

K 6224
3



ქართული
ლიბრთეკა

დ. ნ. შოლესტი
აღდგომა



8917-31

ლ. ნ. ბოლსოვი



ა ჯ დ ბ მ მ ა

რ მ მ ა ნ ი

სამ ნაწილად ავტორის სურათით.

თარგმანი



692/სპეც-2000
საქართველოს ენციკლოპედია


შოლ. კვანდაძისა.


გრ. ყიფშიძის რედაქციით.

საქართველოს ენციკლოპედია	3089.
მე-26	5151.

ტ ე ი დ ი ს ი

Дозволено цензурою. Тифлисъ, 5-го ноября 1904 года.





გრაფი ლ. ნ. ტოლსტოი.



მაშინ მოუხდა მას პეტრე და ჰრკეა: უფა-
ლო! რაოდენ გზის შემცოდოს ძამამან ჩემმან, და
მიუტეო მას? ვიდრე შვდ გზისამდეა? (სახ. მათ.,
თავი 18, მუხ. 21). ჰრკეა მას იესო: არა გეტყვ
შენ: ვიდრე შვდ-გზისამდე, არამედ ვიდრე სამე-
ოცდა-ათ-შვდ-გზის. (იქვე, მუხ. 22).

ანუ რასა ჰხედავ წებლსა თქალსა შინა ძმისა
შენისასა, და დვირესა თქალსა შინა შენსა არა გა-
ნიციდი? (სახ. მათ., თავი 7, მუხ. 3).

...ვინ უცოდებლ არს თქებნგანი, პირ-
ველად მან დაუტევენ ქებუა მგას ზედა. (სახ.
იოანნესი, თავ 8, მუხ. 7).

არა არს მოწაფე უფროს მოძღვარისა თვისისა;
ხოლო განკრძალული იგი ყოველი იყავნ, ვითარ-
ცა მოძღვარი თვისი. (სახ. ლუკასი, თავი 6,
მუხ. 40).

ნაწილი პირველი.

I

თუმცა ადამიანები ერთ პატარა ალაგას რამდენიმე ასი ათასი ერთად შეგროვილიყვნენ, ყოველსავე ღონეს ჰხმარობდნენ გაენადგურებინათ თავის გარშემო ყველაფერი, აბოლებდნენ ქვა-ნახშირს, ამტვრევდნენ ხეებს, ჰგლეჯდნენ ბალახებს, გაზაფხული მაინც გაზაფხულად იყო და თავისი ძლიერება ქალაქშიაც გამოეჩინა. მზე თავისს მშურვალე სხივებს უბუად ჰფენდა ზამთრისაგან გათოშილ დედა-მიწას. აქა-იქ დარჩენილ ბალახს თავი ამოეყო. ათას ფერად აღყვავებული ხეები საუცხოვო ელფერს სდებდა არე-მარეს. პატარა ჩიტები, ეშხით დამთვრალნი, ჭივილ-ხივილით ეგებებოდნენ ნახ ზაზაფხულს. ზამთრის სუსხით მიმკვდარებული ბუზებიც მოცოცხლებულიყვნენ და ერთი ალაქოთი აეტებათ მზისაგან გამთბარ სახლის კედლებზე. ყოველი სულდგმული ხარობდა. ამ საზოგადო მხიარულებაში მხოლოდ ადამიანები არ ილებდნენ მონაწილეობას. არც ებლა დაევიწყათ ერთმანეთის გაქელვა და ძალმომრეობა. იმათთვის რომ გეკითხნათ, ასე გეტყოდნენ: ჩვენი გამოგონებანი, ერთი-მეოთხის დამზავრელ - დამშონავებელი, უფრო მნიშვნელოვანია და წმინდა, ვიდრე ეს ნაზი გაზაფხულიო.

ამ გვარად, საგუბერნიო სატუსაღოს კანტორაშიაც მნიშვნელოვანი და წმინდა იყო, სულის ჩამდგმელი და სანეტარო გაზაფხული კი არა, — მნიშვნელოვანი იყო ის, რომ გუშინ მიიღეს ბეჭედ-დასმული ქალაქი, რომლის ძალითაც დღეს, 28 აპრილს, დილის 9 საათზე, უნდა წარედგინათ სამი გამო-



ძიების ქვეშ მყოფი ტუსალი—ორი ქალი და ერთი მათგანი, როგორც მძიმე დამნაშავე, ცალკე უნდა წაიყვანათ. ამ მოწერილობის ძალით, 28 აპრილს, დილის 8 საათზე, ქალების განყოფილების მყარ და ნესტიან კარიდორში შემობრძანდა უფროსი ზედამხედველი, რომელსაც ფეხ-და-ფეხ შემოჰყვა გამზდარი, ქალარა-შერთული დედა-კაცი; ტანთ გახუნებული ფორმის ტანსაცმელი ეცვა. ეს იყო ზედამხედველი ქალი.

— მასლოვის ქალი გნებათ?—დაეკითხა ერთ კამერის კარებთან მისულ ზედამხედველს.

ზედამხედველმა გასაღების ჩხარა-ჩხურით გააღო კარები, საიდგანაც სულის შემზუთველი მყარალი სუნი გამოვარდა და დაიყვირა:

— მასლოვის ქალი სასამართლოში უნდა წავიდეს!...— ძლიერად მიაჯახუნა კარები და ლოდინი დაუწყო.

თითქმის სატუსალოს ბინძურ ეზოშიაც მოეფინა გაზაფხულს თავისი ყნოსვის მომზიბლველი სუნნელება და სატუსალოს კარიდორში კი ისეთი გულისა და სულის შემზარავი სუნი ტრიალებდა, რომ თავ-ბრუს დაახვევდა ხამად შესულ კაცს და ხერს არ დააყრიდა მის ჯანმრთელობას. ხერი არ დააყარა ამ მოწამოლომა ჰაერმა ზედამხედველ ქალის ჯანმრთელობასაც; შესვლისათანავე დაღლილობა იგრძო და ძილი მოუვიდა.

კამერაში ფაცა-ფუცი შეიქნა. კარიდორში მკაფიოდ ისმოდა დედაკაცების ლაპარაკი, ფეხ-შიშველთა სიარულის ტყაბი-ტყუპი.

— ჰეი! მასლოვის ქალო, ჩქარა-მეთქი, გეუბნები, გაინძერი, რას უყურებ?—დაუყვირა კარებიდან უფროსმა ზედამხედველმა.

ორი წუთიც არ გასულა, რომ კარიდორში გამოვიდა ახალგაზდა ქალი და მორჩილებით ზედამხედველის წინ გაჩერდა. ტანთ ნაცროსფერი ხალათი ეცვა და თავი თეთრის თავ-



სახვევით ჰქონდა წაკრული: თავსახვევს ქვეშ ჩამოსკვეცილი და შავი ხუკუქი თმა და ამშვენებდა მის ახალგაზღვრულ სახეს. ნაზი, უსიცოცხლო, თოვლივით თეთრი პირი-სახე მოწამე იყო იმისი, რომ სატუსალოს დიდის ხნის სტუმარი უნდა ყოფილიყო, უსიცოცხლო სახეს კუნაპეტივით შავი თვალე-ბი ამშვენებდა. ის იყო ზედამხედველი კარების მიხურვას აპი-რობდა, როცა იქიდან თავი გამოჰყო ბებერმა დედაკაცმა და ლაპარაკი დაუწყო მასლოვის ქალს, მაგრამ ზედამხედველმა იქვე ცხვირ-წინ მიუხურა კარები და ისიც მიიმალა. კამერი-დან სიცილი მოისმა. მასლოვის ქალმა გაიღიმა და კარებზე გამოქრილ ფანჯრისკენ მიბრუნდა. კამერიდან ფანჯარას ბე-ბერი მოადგა და ჩაბრინწიანებულის ხმით წაილაპარაკა:

— ზედ მეტი არაყერი სთქვა, გაჩერდი ერთზე, მორჩა და გათავდა.

— მეტი რა უნდა ვსთქვა, რაც იქნება—იქნება,—უპასუხა მასლოვის ქალმა.

— რასაკვირველია, ერთი და არა ორი,—ბრძანების კი-ლოთი წარმოსთქვა ვითომდა თავის მოსწრებულის სიტ-ყვით კმაყოფილმა ზედამხედველმა. —გამოყვევით,—უბრძანა მან ქალს.

ბებერი მოშორდა კარებს. მასლოვის ქალი გავიდა 'მუა კარიდორში და ჩქარის ნაბიჯით გაჰყვა ზედამხედველს. საჩქა-როდ დაეშენენ ქვის კიბეზე, გაიარეს ქალების კამერებზე კა-ცების უფრო მყრალ კამერების წინ, რომლის კარების ჯუ-ჭრუტანიდანაც მოსჩანდა ცნობის მოყვარული თვალეები, და შევიდნენ სატუსალოს კანტორაში, სადაც ორი თოფიანი ჯა-რის კაცი უცდიდა. იქვე მჯდომმა მწერალმა გარდასცა ერთ ჯარის კაცს თამბაქოს კვამლით გაჯღენთილი ქალაღდი, მიუთითა ტუსაღ ქალზე და უთხრა: „ჩაიბარე“. ჯარის-კაცმა, ნიჟეგოროდის ჩოფურა გლებმა, გაწითლებულის სახით ჩაიღო ქალაღდი ჯიბეში, ეშმაკურის ღიმილით გადაჰხედა ამხანაგს და თვალით ანიშნა ქალზე. ჯარის კაცები ტუსაღითურთ



გამოვიდნენ გარედ და ნელის ნაბიჯით უმთავრეს განსაზღვრისა-
კენ გაემართნენ.

უმთავრეს გასავლის კარები გაიღო. ისინიც გავიდნენ გა-
რედ და გაუღვნენ ქალაქის მოკენჭულ გზას.

მეეტლები, მელუქნეები, მუშები, მოხელენი, თითქმის
ვინც კი ქუჩაში შეხვდებოდათ, ყველანი ცნობის-მოყვარეო-
ბით ათვალთქვნიდნენ ტუსად ქალს. ზოგნი წყრომით თავს
იქნევდნენ და ბუტბუტებდნენ: „აი, სადამღე მიიყვანს ადა-
მიანს გახრწნილი და საძაგელი ცხოვრებაო“. ერთმა სოფ-
ელელმა გლეხმა, რომელსაც ქალაქში ნახშირი გაეყიდა, კაპე-
იკიანი ჩაუდო ხელში ტუსად ქალს; ქალი გაწითლდა, თავი
ჩაპლუნა და რაღაც ჩაიბუტბუტა კვნესით.

გრძნობდა, რომ ცნობის მოყვარულ თვალებით აცქერ-
დებოდნენ და ეს გარემოება სიამოვნებას ჰგვრიდა. სასიამოვნო
იყო აგრედვე წმინდა ჰაერი, რომელსაც დიდი ხანია
მოკლებული იყო და ახლა ხარბად ეწაფებოდა. ალაფის დუქ-
ნის წინ რომ გაიარეს, ტუსადმა ქალმა უცაბედად ფეხი წა-
მოჰკრა გოგმანა მტრედს; საწყალს გული გაუსკდა, შეფრთხი-
ალდა და ტუსადმა ქალმა გაიღიმა, მაგრამ მალე მოაგონდა
თავისი მდგომარეობა და მწარედ ამოიკვნესა.

II

ტუსად ქალის ისტორია—ჩვეულებრივი ისტორიაა. ეს იყო
გაუთხოვარ მოახლე დედაკაცის ქალი და ბატონიანთ ქალებთან
სცხოვრობდა სოფელში. მოახლე დედაკაცი თითქმის ყოველ
წლივ შობავდა შვილს და, როგორც ეს ჩვეულებრივ ჰხდება
სოფელში, ბავშვს ნათლავდნენ. დედა, მოუცლელობის გამო,
ყურადღებას ვერ აქცევდა ამ დაუბატრებელ ბავშვებს და ისი-
ნიც ხშირად შიმშილით იხოცებოდნენ.

ასეთი ბედი ეწია ხუთ ბავშვს. მონათლეს, შემდეგ მიავ-
დეს, როგორც მუშაობაში ხელის შემშლელი, და შიმშილის-
გან დაიხოცნენ. მეექვსე ბავშვი, რომელიც გამვლელ ყიზილ-



ბაშისაგან შეეძინა, ქალი იყო, მისი ბედი სულ სხვაგვარად დატრიალდა. ერთ მშვენიერ დღეს მეძროხე დედაკაცებთან შეგობობდა ქალბატონი, რომ დაეტუქსა უფარგისის ნაღებისათვის. საძროხეში იწვა დედა მშვენიერის ბავშვით. ქალბატონმა სასტიკად დასტუქსა დედაკაცები და ის იყო უკან გაბრუნება დააპირა, რომ უცხად თვალი მოჰკრა ავადმყოფ დედაკაცს და საშინლად განრისხდა მშობიარე დედაკაცის საძროხეში დაწვენიანთვის; მაგრამ, გადახედა თუ არა ბავშვს, ისე გაიტაცა მისმა მშვენიერებამ, რომ უცხად მოღბა და იქვე განაცხადა ბავშვის მონათვლის სურვილი. ასეც მოხდა: ქალბატონმა მონათლა ბავშვი. შემდეგ ამისა, ხშირად უგზავნიდა თავის ნათლულს რძეს და ფულს; ამ წყალობით ბავშვი სიკვდილს გადაარჩა. ამიტომ ქალბატონებმა მეტ სახელად „გადარჩენილი“ დაარქვეს.

სამის წლისა რომ შეიქმნა, დედა ავად გაუხდა და მოკვდა. მეძროხე ქალებს ძლიერ გაუჭირდათ ბავშვის მოვლა და ამიტომ ქალბატონებმა თავიანთსა წაიყვანეს. არ გასულა დიდი ხანი, რომ ერთი ნუგეში და გასართობი ეს ბავშვი იყო.

ხანში შესული გაუთხოვარი ქალბატონები ორნი იყვნენ: უმცროსი, სოფიო ივანოვნა, გულ-კეთილი ადამიანი, რომელმაც ბავშვი მონათლა, და მეორე, სოფიოზე უფროსი და უფრო პრისხანე, მარია ივანოვნა. სოფიო ივანოვნა ყოველსავე ღონეს ჰხმარობდა ბავშვი კარგად აღეზარდა, აცმევდა, აქმევდა, ასწავლიდა წერა-კითხვას და გულით სურდა არაფერი მიეკლო მისთვის. სულ სხვა აზრისა იყო მარია ივანოვნა. უნდოდა ბავშვი ისეთივე მუშა დედაკაცი ყოფილიყო, როგორც მისი დედა იყო, ამიტომ უფრო სასტიკად ეპყრობოდა ბავშვს და ხშირად, როცა გუნებაზედ არ იყო, კიდევ სცემდა ხოლმე. ამ ორ გავლენის ქვეშ ბავშვი მოწაფეც შეიქმნა და მოახლეც. სახელად კატიუშა უწოდეს. რამოდენიც შეეძლო, შრომობდა, ჰკერავდა, რეცხავდა, სწმენდა და ასუფთავებდა, ხანდისხან კი ქალბატონებთან იჯდა და წიგნებს უკითხავდა.



როცა კატო წამოიზარდა, ურიცხვი საქმროები უჩნდა და სურდათ მისი შერთვა, მაგრამ ყველას ეუბნებოდა, რადგან ჰგონობდა, რომ მისთვის, როგორც ბატონურ ცხოვრებით განებივრებულ არებისთვის, ამ მშრომელ ხალხთან ცხოვრება ძნელი იქნებოდა

როცა კატო თექვსმეტის წლისა შეიქნა, მის ქალბატონებს ესტუმრა მათი ძმის წული, ახალგაზდა მდიდარი სტუდენტი. კატოს, მისდა საუბედუროდ, შეუყვარდა ეს სტუდენტი, თუმცა ამ აზრს შიშით ვერაფერს უმხელდა. ორის წლის შემდეგ ქალბატონებს ხელმეორედ ესტუმრა ეს ძმის-წული, რომელიც ამ დროს ომში მიემგზავრებოდა, და დარჩა მათთან ოთხი დღე. იმან იმდენად გაიტაცა კატო, რომ შეაცდინა, უკანასკნელ დღეს მისცა ხელშიათ-თუმნიანი ქალაღდის ფული და გზას გაუღდა.

ამ შემთხვევის შემდეგ კატო საშიშარ მდგომარეობაში ჩავარდა. მთელი მისი გონება ახლა მხოლოდ იმაზე იყო მიქცეული, თუ როგორ დაეღწია თავი ამ საშინელ სირცხვილისათვის. შრომაზე გული აუცრუვდა. ბოლოს იმ ზომამდე მივიდა, რომ ერთს მშვენიერ დღეს კარგად მილანძლა ქალბატონები და ანგარიშის გაწმენდა მოითხოვა.

რასაკვირველია, კატოს ამ გვარი ქცევა არ ესიაშინათ ქალბატონებს და მაშინვე დაითხოვეს სახლიდან. აქედან წასული დადგა შინა-მოსამსახურედ თემის უფროსთან, მაგრამ, საუბედუროდ, დიდხანს არც აქ მოუყვლია. მიზეზის იყო, რომ თემის უფროსის უზნეო საქციელმა იმ ზომამდე მიიყვანა, რომ ერთ მშვენიერ დღეს, როდესაც 50 წლის მოხუცმა ურცხვით მიჰმართა, კატო იმდენად გაბრაზდა, რომ კარგად მილანძლა და ხელიცაც შეეხო. კატო იქიდანაც დაითხოვეს. მოახლედ დადგომა შეუძლებელი-ლა იყო, რადგანაც ჩქარა დედა უნდა გამხდარიყო. დადგა ერთ სოფლის ბებია-ქალთან, რომელიც არაყსა ჰყიდდა სოფელში. მშობიარობა ადვილად იტანა, მაგრამ ბებია-ქალმა, რომელიც ავადმყოფ დედას ემსახურებოდა სოფელში, კატოს ცხელება შესძინა. ბავშვი ჩქარა მოაშორეს



და ობოლთ აღსაზრდელ სახლში წაიყვანეს, მაგრამ, ^{მარტო} წამყვანი დედაკაცი ამბობდა, გზაშივე გარდაიცვალა.


როცა კატო სოფლის ბებია ქალთან დადგა, სულ 127 მანათი ფული ჰქონდა, 27 მანათი თავის შრომით შეძენილი და 100 მანათი მისის გამრყენელის მოწყალება. როცა ბებია-ქალისაგან გადავიდა, სულ ექვსი მანათი-ლა დარჩა. სრულიად არ იცოდა ფულის ყადრი, თავის თავზედაც ჰხარჯავდა და, ვინც კი სთხოვდა, ყველას აძლევდა. ბებია ქალმა, რომელთანაც კატო იდგი, ბინის ქირად და სასმელ-საქმელში წაიღო ორისთვისა—40 მანეთი, 25 მანათი ბავშვის გაგზავნაში დაიხარჯა; 40 მანეთი კიდევ ბებია-ქალმა გამოართვა სესხად, ძროხის სასყიდლად; 20 მანათი ტანისამოსსა და სხვა წვრილმან ხარჯებში წავიდა, ასე რომ, როცა კატო ცოტათი მოლონიერდა და ლოგინიდან წამოდგა, გახერცტილი გროში არ ეგდო ჯიბეში და, შიმშილით რომ არ მომკვდარიყო, ადგილი უნდა ეძებნა. დიდხანს არ მოუნდა ლოდინი. ჩქარა ტყის მცველის ოჯახში იშოვნა ადგილი. საუბედუროდ, ტყის მცველი ისეთივე გარყვნილი გამოდგა, როგორც თემის უფროსი. პირველ დღიდანვე არშეიყობა დაუწყა კატოს. ეს ცოლმა გაიგო და, როდესაც ერთხელ ორივეს მარტო მოასწრო ოთახში, გაპრაზებული შავარდა და კატოს ცემა დაუწყა. კატომაც, რასაკვირველია, ხურდა მიართვა და ჩინებული ხელ-და-ხელი ბრძოლა გაიმართა. იმ წუთშივე დაითხოვეს ალაგიდან უგროშ-უკა-პეიკოდ. კატოს საიმედო სოფელში აღარაფერი დარჩენოდა. გაემგზავრა ქალაქში და დეიდასთან ჩამოხდა. დეიდას ქმარი წიგნების მკაზმავი იყო და წინად კარგად სცხოვრობდა, მაგრამ ბოლოს მუშტრები სულ შემოეფანტა, დაიწყო ლოთობა და ყველაფერს, რაც კი ხელში მოჰხვედებოდა, სულ სასმელში ჰფლანგავდა.

დეიდას პატარა სამრეცხელო ჰქონდა, დღე და ღამ შრომაში იყო, წელეებზე ფეხს იდგამდა და ძლივს-ძლივობით ინახავდა წვრილ-შვილსა და დაღუპულ ქმარს. სთხოვა კატოს,—



დადგეი ჩემთან სამრეცხელოშიო. მასლოვის ქალი ნაფლავებულად დაედა, თუ რა ძნელი იყო იქ მუშაობა და აქა-ბქმ-კანტონებში რებში ეძებდა მოახლის ალაგს, ამიტომ გადაჭრილი პასუხი ვერ მიეცა დეიდისთვის. საბედნიეროდ, ალაგი ჩქარა გამოუჩნდა. დადგა მოახლედ ერთ ქალბატონთან, რომელსაც ორი შვილი ჰყავდა გიმნაზიაში. დადგა თუ არა, საუბედუროდ, უფროსმა ვაჟმა, მეექვსე კლასის მოწაფემ, მიატოვა გიმნაზია და მოსვენებას აღარ აძლევდა კატოს. დედამ, რასაკვირველია, ბრალი მასლოვის ქალს დასდო და მალე სახლიდანაც გააგდო. ახალი ალაგი დიდხანს არ გამოუჩნდა, მაგრამ ერთხელ, როდესაც მასლოვის ქალი კანტონში შევიდა, სადაც მოსამსახურეებს აყენებდნენ, ნახა ერთი ქალბატონი, რომელსაც თეთრ ფუნთუშა ხელებზე მრავალი ძვირფასი ბეჭდები და სამკაულები ჰქონდა გაკეთებული. ქალბატონმა, როგორც კი ვაიგო მასლოვის ქალის მოგომარეობა, მისცა თავისი აღრესი და მიიწვია თავის ბინაზე. კატო ესტუმრა ქალბატონს. ქალბატონმა ფრიად აღერსიანად მიიღო, მიაჩნდა ტკბილეულობა და საუცხოვო ღვინით გაუმასპინძლდა. შემდეგ თავისი მოსამსახურე გაპზავნა სადღაც ბარათით; საღამოზედ ქალბატონთან შემობრძანდა მალალ-მალალი ქალარა კაცი. შემოსვლისთანავე მიუჯდა მასლოვის ქალს და ხუმრობა დაუწყო. ქალბატონმა გაიხმო კაცი მეორე ოთახში და მასლოვის ქალმა მკაფიოდ ვაიგონა: „სულ ნორჩია, საუღლელოაო“. შემდეგ დაუძახა მასლოვის ქალს და უთხრა: „ის კაცი მწერალია, ბევრი ფული აქვს და, თუ მოგიწონა, შენთვის არასდაიშურებს“-ო. მასლოვის ქალი მოიწონეს, მწერალმა მისცა 25 მან. და აღუთქვა ხშირად ნახვა. ფული მალე გამოიღია. რამდენისამე დღის შემდეგ მწერალიმა ხელმეორედ მიიწვია. ისიც წავიდა. მწერალიმა მისცა კიდევ 25 მანათი და სთხოვა, ცალკე ბინა დაიჭირეო...

მასლოვის ქალი გადავიდა მწერლის ნაჭირავებ ბინაზე. აქ შეუყვარდა ახალგაზდა ნოქარი, რომელიც იმ ეზოში სცხოვრობდა. მასლოვის ქალმა არ დაუმალა მწერალს ეს ამბავი,



ერთი პატარა ოთახი იქირავა სხვაგან და იქ გადავიდა. ნოქარმა თუმცა აღუთქვა—ცოლად შევირთავო, მაგრამ ქართლში ტოვა და გაიქცა ნიქნის ქალაქში. მასლოვის ქალი დარჩა მარტო. უნდოდა დარჩენილიყო თავის ბინაზე, მაგრამ უარი უთხრეს. ისევ დეიდასთან დაბრუნდა. დეიდამ ველარ გაუბედა სამრეცხელოში დაყენება. თვითონ მასლოვის ქალს კი შიშის ჟრუანტელი დაუვლიდა ხოლმე ტანში, როცა წარმოიდგენდა, რომ ერთ დროს სამრეცხელოში დადგომას აპირებდა, სადაც ჯოჯობეთურ შრომას სწევდნენ ფერმიხდილი და მშვიერ-მწყურვალნი ქალები, რომელთა შორის ბევრი ქლეჭიანებიც ერია.

პაპიროსს მასლოვის ქალი დიდი ხანია ეწეოდა. უკანასკნელ დროს ღვინოც ძალიან შეუყვარდა. ღვინო იმით კი არ იზიდავდა, რომ გემრიელი იყო, ღვინო ავიწყებდა იმ საშინელ ტანჯვა-წამებას, რომელიც გამოიარა, ათამამებდა და არწმუნებდა, ვითომ ისეთი ღირსება ჰქონდა, რომელიც უღვინოდ არ ეტყობოდა. უღვინოდ მუდამ მოწყენილი იყო. მასლოვის ქალს ორი გზა-ღა დარჩენოდა: ან უნდა მოსამსახურედ დამდგარიყო, სადაც მუდამ სდევნიდნენ მამაკაცები, და აეტანა ყოველივე გაქივრება, ან და უკვე დაწყებული ცხოვრება კანონიერად აღიარებინა. ამით უნდოდა სამაგიერო გადაეხადა მის პირველ გამრყენელისათვის, ნოქრისთვის და ყველა მათთვის, ვინც მისი გაქელვა და გათახსირება მოინდომა. გარდა ამისა, ის აზრი იზიდავდა კიდევ, რომ მაშინ შეეძლო თვითონ შეეცკრა თავისი კაბები, როგორსაც კი მოისურვებდა—ხავერდისა, აბრეშუმისა და სხ.; როცა მასლოვის ქალმა წარმოიდგინა თავისი თავი მშვენიერ აბრეშუმის კაბაში, ველარ გაუძლო ცდუნებას და გადასწყვიტა მეორე გზას დასდგომოდა.

შემდეგ ამისა კატყუშამ დაიწყო ისეთი ცხოვრება, როგორც ცხოვრობს რამდენიმე ასი და ასი ათასი დედაკაცი და რომლებშიაც ათში ცხრა საშინელის ავადმყოფობითა კვდება.

ღამე ქეიფის შემდეგ დღისით მძიმე, მოუსვენარი ძილი. 3—4 საათზე ზანტად წამოდგომა ბინძურ ლოგინიდან, ზელ-



ტერის წყალი, ყავა, უსიცოცხლოდ ბოლთის ცემა, ოთახში ტუფლებითა და ხალათით სარკმელში მზერა, უწყვეტად სტყვების ტყორცნა ერთმანეთში, შემდეგ სუნნელოვანების ცხება ტანზე, თავზე, ტანსაცმელის სინჯვა, ჩხუბი ტანსაცმელზე დიასახლისთან; სარკეში ჰერეტი, პირის თხუპენა, ტკბილი, მსუქანი საკმელი, შემდეგ შრიალა აბრეშუმის კაბით მორთვა, შემდეგ გაბრწყინებულ დარბაზში გამოსვლა, სტუპრების მოსვლა, მუსიკა, ცეკვა, ტკბილეულობა, ღვინო და თამბაქოს წვეა.

ასე სცხოვრობდა მასლოვის ქალი შვიდ წელსა. მერვე წელიწადს, როცა 26 წელიწადი შეუსრულდა, შეემთხვა ის, რისთვისაც საპატოროში ჩასვეს, და ახლა, ექვსის თვის საპატოროში ჯდომის შემდეგ, მიჰყავდათ სხვა ავაზაკებთან ერთად სასამართლოში.

III

იმ დროს, როდესაც დაღლილ-დაქანცული მასლოვის ქალი მიადგა სასამართლოს კარებს, თვით ის ჩვენი ნაცნობი, კატას აღმზრდელების ძმისწული, თავადი დიმიტრი ივანეს ძე ნეხლიუდოვი, რომელმაც სასტიკად მოატყუა და გარყვნა, ჯერ კიდევ ნებიერობით ვორავდა თავის მშვენიერ ბუმბულის ლოგინში. თეთრ ჰოლლანდიურ საღამურ პერანგის საყველო გაეხსნა და, ფიქრებში წასული, მადიანად ეწეოდა პაპიროსს.

მოაგონდა გუშინდელი საღამო, რომელიც მდიდარ და შესანიშნავ კაცების კორჩაგინებისას გაატარა, მწარედ ამოიოხრა და პაპიროსის ნამწევი გადაისროლა, უნდოდა ვერცხლის საპაპიროსედან მეორე პაპიროსი ამოეღო, მაგრამ გადაიფიქრა, გადმოდგა ტახტიდან თავისი ნაზი ფუნთუშა ფეხები, ჩადგა ტუფლებში, გადაიკვა აბრეშუმის ხალათი და ზანტად გაემართა, საწოლ ოთახის გვერდზე საპირფარეშო ოთახისაკენ, რომელიც სხვა-და-სხვა სუნნელებით იყო შევსებული; იქ გამოირეცხა კბილები რალაც წამლით, შემდეგ დაიბანა პირი და სხვა-და-სხვა



პირსახოცებით წმენდა დაიწყო. როცა კარგად გაიწმინდა თეთ-
თელი ფრჩხილი, გავიდა მეორე ოთახში, სადაც იყო მომზადებული. იქ ნახად იბანავა ცივ წყალში, შეიწმინდა
ზეწორით ჩასუქებული ტანი, ჩაიცვა თეთრი წმინდა საცვალი,
მიუჯდა სარკეს და გულმოდგინეთ დაიწყო პატარა შავის ხუ-
კუქის წვერისა და თმის ვარცხნა.

ყოველი ნივთი, რომელსაც ჰხმარობდა, საპირფარეშო მა-
გიდის მოსართავი: საცვლები, ტანსაცმელი, ფეხსაცმელები,
ყელსახვევები, ქინძისთავები და ზაპინკები, სულ ძვირფა-
სი იყო.

ამოიჩინა ყელსახვევებსა და ქინძისთავებში ის, რომელიც
პირველად მოჰხვდა ხელში, ჩაიცვა გაწმენდილი ტანისამოსი
და გავიდა სასადილო ოთახში, სადაც იდგა ვეებერთელა ბუ-
ფეტის შკაფი და ვასაწვეი მაგიდა, რომლის ლომის ტოტე-
ბივით გაწეული ფეხებიც დიდებულ ვლფერს სდგბდა იქაურო-
ბას. მაგიდაზედ ელაგა: ვერცხლის საყავე სუნნელოვანის ყა-
ვით, ამგვარივე საშაქრე, ჭურჭელი ნაღებით და პატარა კა-
ლათი ბისკვირებითა და სუხრით. იქვე ახალი გაზეთები და
წერილები ეყარა. ის იყო ნებლიუდოვი წერილების აღებას
აპირებდა, რომ კარებიდან, რომელიც კარრიდორში გადიოდა,
შემოცურდა ხნიერი, ჩასუქებული დედაკაცი, შავებში ჩაცმუ-
ლი. ეს იყო განსვენებულ ნებლიუდოვის დედის მოსამსახურე
აგრაფინა პეტროვნა, რომელიც ეხლა მის ქალბატონის შვილ-
თან დარჩენილიყო და მოლარეობას ასრულებდა.

ბავშვობიდან ნებლიუდოვებისას სცხოვრობდა და დი-
მიტრი ივანოვიჩის პატარაობიდანვე იცნობდა, როცა ჯერ ისევ
მიტიას ეძახდნენ.

- დილა მშვიდობისა, დიმიტრი ივანოვიჩ!
- გამარჯობა, აგრაფინა პეტროვნა. ამბავი-ხაპარი? — და-
ეკითხა ნებლიუდოვი ხუმრობით.
- წერილია, კნენინასაგან თუ კნიაენასაგან, არ ვიცი.



დიდი ხანია მოახლემ მოიტანა და იცდის, — უთხრა აგრაფინა პეტროვნამ და ღიმილით გადასცა წერილი.

— კარგი, ეხლავე! — უთხრა ნებლიუდოვმა, გამოართვა წერილი და, რა შენიშნა ღიმილი აგრაფინა პეტროვნას, მოიღუშა.

აგრაფინა პეტროვნას ღიმილი იმას პნიშნავდა, რომ წერილი კნიაენა კორჩაგინისგან უნდა ყოფილიყო, რომლის შერთვისაც, აგრაფინას აზრით, ნებლიუდოვი აპირებდა. ეს მნიშვნელოვანი ღიმილი არაფრად ესიამოვნა ნებლიუდოვს.

— ვეტყვი მისამსახურე ქალს; რომ დაიცადოს, — სთქვა აგრაფინა პეტროვნამ და გასრიალდა ოთახიდან.

ნებლიუდოვმა გახსნა სუნნეფისგანი წერილი, რომელიც აგრაფინამ გადასცა, და დაიწყო უთხრა:

„ვასრულებ რა ჩემს მოვალეობას, თქვენის მესხიერების მაგივრობა ავახრულო, — ეწერა სქელ ნაცრის ფერ ქალაღღზე — მოგაგონებთ, რომ დღეს, 28 აპრილს, უნდა დაესწროთ ნაფიც მსაჯულთა მსჯელობას სასამართლოში; ამიტომ არ შეგიძლიანთ ჩვენთან და კოლოსოვებთან ერთად წამოსვლა სურათების სანახავად, როგორც ჩვეულებრივის მოაფიქრებლობით გუშინ შეგკვირდით. აგრე, არ დაგაევიწყდეთ.

კნ. მ. კორჩაგინისა“.

ნებლიუდოვმა კოპები შეიკრა. ეს ბარათი იმ ოინების განგრძობა იყო, რომელსაც კნიაენა კორჩაგინისა დიდი ხანია ხმარობდა და რომელიც შეუმჩნევლად აკავშირებდა ერთმანერთს შორის ორივეს. ნებლიუდოვი ძლიერ გაუბედავი იყო ქალებთან, როგორც ეს სჭირთ ხანში შესულ და არა-შეყვარებულ ადამიანებს, და თანაც ერთი მძიმე მიზეზი ხელს უშლიდა კნიაენა კორჩაგინისათვის ცოლობა ეთხოვნა. ეს მძიმე მიზეზი ის კი არ იყო, რომ ამ ათის წლის წინად სასტიკად მოატყუა კატო, შეუბრალებლად მოიგლიჯა გულიდან და გადაავდო. ეს დიდი ხანია დაივიწყა და რომ ხსოამებოდა, მაინც ხელს არ შეუშლიდა ცოლის შერთვაში. მიზეზი ის იყო, რომ



ამ დროს ერთ ქმრიან ქალთან ჰქონდა საქმე დაქვრივლი და, თუმცა თავისის მხრივ ყოველივე კავშირი გასწყვიტა, მაინც ქალის მხრივ კიდევ არ იყო საქმე გათავებული.

ეს ქალი იმ მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლის ცოლი იყო, სადაც არჩევნებზე, სხვათა შორის, ნებლიუდოვიც დაესწრო. უცბად გაება მახეში და, რამდენიც დღე მიდიოდა, მათი კავშირიც თან-და-თან რთულდებოდა. პირველად, როგორც ჩვეულებრივმა სიკვდილის შეიღმა, ნებლიუდოვმაც ველარ გაუძლო ცდუნებას და აპყვა თავის გულისთქმას, მაგრამ შემდეგ კი, როცა დაუკვირდა თავის საზიზღარ მოქმედებას, აღარ შეეძლო ისე გაეწყვიტა კავშირი, თუ ქალიც თანახმა არ იქმნებოდა. ეს იყო ის თვალსაჩინო მიზეზი, რომლის წყალობითაც ნებლიუდოვს ნება არ ჰქონდა, კორჩაგინის ქალი შეერთო.

16.224

სწორედ ამ დროს წერილებში ნებლიუდოვმა ამ ქალის ქმრის წერილი შენიშნა, - ნაწერზე იცნო და გულმა ძაგაძუგი დაუწყაო. მისი შიში უსაბუთო გამოდგა: ქმარი, რომელიც იმ მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლი იყო, სადაც ნებლიუდოვს უმთავრესი მამულები ჰქონდა, სწერდა, რომ მაისის უკანასკნელ რიცხვებში დანიშნულია ერობის წარმომადგენელთა არა-ჩვეულებრივი კრებაო, და სთხოვდა უსათუოთ დასწრებოდა კრებას და მხარი დაეჭირა მისთვის მომავალ ფრიად მნიშვნელოვან კრებაზე, სადაც უმთავრესი საქმე სკოლების გამართვისა და გზების გაკეთებაზედ სჯა იქნებოდა და რეაქციის დახთანძლიერი შეტაკება იყო მოსალოდნელი.

თავადაზნაურთა წინამძღოლი ლიბერალი იყო და მთელი თავისი გრძნობა-გონება ამ ბრძოლისკენ ჰქონდა მიქცეული და თავისის უბედურის ოჯახის ამბავისა კი სრულიად არაფერი იცოდა.

ნებლიუდოვმა მოიგონა ყველაფერი. მოაგონდა, თუ ერთხელ როგორ ეგონა, რომ ქმარმა ყველაფერი გაიგო და პტიქრობდა, დუღელში გამომიწვევსო და ემზადებოდა, მოაგონდა



ის საშინელი სცენა, როდესაც ქალი გაიქცა მახლობელ ტბაში და იქ დასაღრმად და ის კი ქუდ-მოგლეჯილად დაიბრუნდა და ეძებდა. „არა, ეს ყოველად შეუძლებელია, ახლა არაფრის გადაწყვეტა არ შემძლიან, სანამ მისგან გადაჭრილ პასუხს არ მივიღებ“, — ჰუიქრობდა ნებლიუდოვი. ამ ერთის კვირის წინად მისწერა ქალს წერილი, ბოდის იხდიდა და რადგანაც ორივესთვის საჭირო და საკეთილდღეო იქნებოდა, სთხოვდა გაეწყვიტათ ყოველივე კავშირი ერთმანეთთან. აი, ამ წერილის პასუხს ელოდა ასე მოუთმენლად ნებლიუდოვი, მაგრამ ჯერ-ჯერობით კი არსად იყო. ერთის მხრით წერილის დაგვიანება კარგი ნიშანი იყო. თუ არ დათანხმებულყო მის წინადადებაზე, უეჭველად ან მაშინვე უბასუხებდა და ან თვითონ მოვიდოდა, როგორც წინად მოიქცეოდა ხოლმე.

მეორე წერილი მოურავისაგან იყო. მოურავი სწერდა, რომ ძლიერ საჭიროა თქვენი მამულში მოსვლა უფლების დასამტკიცებლად და, გარდა ამისა, უნდა გადასწყვიტოთ, როგორ დავიმუშავოთ მიწები, ისე, როგორც განსვენებულ დედათქვენს ვურჩევდი და თქვენც გირჩევთ, თუ სხვაფერაო; ყველა მიწები, რომლებსაც ამდენ ხანს გლებები ამუშავებდნენ, თვითონ დავიმუშავოთ, თუ ისევ გლებებს მივცეთო. ამას სწერდა მოურავი და თანაც ბოდის იხდიდა, — უდაგვიანე კუთვნილ 3,000 მანათის გამოგზავნა, რომელიც ამ თვის პირველს უნდა გამოემგზავნაო. ეს ფული შემდეგის ფოსტით მოვიდოდა. „ფულის დაგვიანების მიზეზი ის იყო, — სწერდა მოურავი, — რომ ვერას გზით ვერ შევავროვე დროზედ გლებთაგან, რომლებიც ისე გაუსინიღისოვდნენ, რომ იძულებული შევიქვნი ძალა მებმარა და მთავრობას მივმართეო“. ეს წერილი ნებლიუდოვისთვის სასიამოვნოც იყო და საწყენიც. სასიამოვნოდ ჰქონდა ის, რომ ვეებერთელა მამულის პატრონი იყო და საწყენი კი ის იყო, რომ ახალგაზდობაში ჰერბერტ სპენსერის დიდი თაყვანისმცემელი იყო და ახლა კი დიდი მკების დაცემა იყო მის თავზე, რომ ჰეშმარიტება კერძო მიწად-მფლობელობას უარ-



ჰყოფდა და ის კი ამოდენა მამულის პატრონი იყო. მამან არა თუ სიტყვით, საქმითაც დაამტკიცა, რომ კერძო მფლობელების წინააღმდეგი იყო, აჩუქა გლეხებს პატარა ნაკერი მიწა, რომელიც მამამ დაუტოვა. ახლა კი ორში ერთი უნდა აერჩია: ან უნდა წინანდებურად ხელი აეღო ამოდენა მამულებზე და მიეცა გლეხებისათვის და ან უნდა ხმა-ამოუღებელი უარყო წინანდელი თავისი აზრი.

პირველი არ შეეძლო, რადგან, გარდა მამულისა, არავთარი საღსარი არ გააჩნდა. სამსახურიც არ შეეძლო, რადგან ბატონურ ცხოვრებას და ფუფუნებას, დიდი ხანია, შეჩვეული იყო. მეორე — უარ-ყო ყოველივე ის, რაც მან კერძო მიწად-მფლობელობის შესახებ ჰერბერტ სპენსერის „სოციალურ სტატიკში“ ამოიკითხა და რომლის დესამტკიცებელი საბუთებიც ჰენრი ჯორჯის თხზულებაში ჰნახა, შეუძლებელი იყო.

IV

ყავის მირთმევის შემდეგ ნებლიუდოვი გავიდა კაბინეტში უწყების გასასინჯად, რომ გავგო, როდის უნდა წასულიყო სასამართლოში და კნაიენასთვისაც წერილი მიეწერა. კაბინეთი სამუშაო ოთახის იქით იყო. სამუშაო ოთახში იღვა მოლბერტი დაწყებულის სურათით და აქა-იქ ეტიუდები ეკიდა. ამ სურათის და ეტიუდების დანახვამ დაარწმუნა ნებლიუდოვი, რომ მხატვრობის ნიჭი არ ჰქონდა და ფუჭი იყო განგრძობა ხატვისა. ეს გარემოება მაინცა და მაინც არ იყო მისთვის სასიამოვნო.

შვილის წლის წინად შიატოვა სამსახური და მიჰყო ხელი მხატვრობას, რადგან თავისი თავი დიდის ნიჭის პატრონი ეგონა და, გარდა მხატვრობისა, ყველაფერს ზიზღით უყურებდა. როგორც ბოლოს აღმოჩნდა, ამის უფლება არ ჰქონდა. ყველა ამის მოგონება ძლიერ საწყენად დაჰრჩა ნებლიუდოვს. უსიამოვნოდ გადაჰხედა სურათებს და გავიდა კაბინეტში.



შესვლისათანავე გამოიღო მიგიდის უჯრა და სახელო გან-
ყოფილებაში საჩქაროდ იპოვნა უწყება; წაიკითხა და გვირგვინ
რომ თერთმეტ საათზე უნდა მისულიყო სასამართლოში. და-
ჯდა და კნიაენას წერილი მისწერა, მადლობას უცხადებდა
და სწერდა, — ვეცდები სადილად მოვიდეთ, მაგრამ დახია, რა-
დგან ძალიან დაახლოებულ კაცის კილოთი იყო დაწერილი,
დასწერა მეორე, მაგრამ ძალიან გულ-ცრვი წერილი გამოვიდა
და ისიც დახია. წამოდგა და ზარი დააწკარუნა. კარები გაიღო
და წვერ-მოპარსული ლაქია შემოვიდა.

— აბა, ერთი მეეტლეს დაუძახე.

— ეხლავე.

— მართლა, მანდ კორჩაგინისგან გამოგზავნილი მო-
სამსახურე იცდეს; უთხარი, რომ ვეცდები მოვიდეთ-თქო.

— ბატონი ბრძანდები.

„თუმცა უზრდელობაა, მაგრამ წერილის მიწერა მაინც
არ შემოძლიან, სულ ერთია, დღეს ენახავ“, — იფიქრა ნებლიუ-
დოვმა და გავიდა ტანთ ჩასაცმელად.

როცა ტანთ ჩაიცვა და გამოვიდა, ნაცნობი მეეტლე,
რეზინიანის ეტლით, უკვე იქ იდგა.

— გუშინ თქვენ, ის იყო კიდევ წამოსულიყავით თავად
კორჩაგინიდგან, რომ მეც მოვედი და მეკარემ მითხრა: „ეს არის
წაბრძანდაო“, — უთხრა ნებლიუდოვს მეეტლემ და თავისი ძარ-
ღვიანი, მზისგან დამწვარი კისერი მოიგრიბა მისკენ.

„ღმერთო, დიდებულო! მოდი და ნუ გაგიკვირდება, მე-
ეტლეებსაც კა სკოდნიათ ჩემი დამოკიდებულება კორჩაგინებ-
თან“, — იფიქრა ნებლიუდოვმა და თავსატეხი საგანი ისევ თვალ-
წინ დაუდგა და, როგორც ჩვეულებად ჰქონდა, გადაუწყვე-
ტელი დასტოვა.

ცოლის შერთვა ნებლიუდოვისთვის ბევრ ნაირად იყო
სასარგებლო: ერთი, რომ ოჯახურ ცხოვრებით დასტკებო-
და და, მეორე, ამ ბოლოს დროს მაინც შესაძლებელი იქმნე-
ბოდა ზნეობრივად ეცხოვრა. გ. და ამისა, ოჯახი და ცოლ-



შვილი მისს ფუქსავატ ცხოვრებას რაიმე მნიშვნელობას მისცულა
 ცემდა და ეს კი უმთავრესი იყო მისთვის. ყველა მისთვის
 ხელს უშლიდა ის გარემოება, რომ, როგორც ეს სჭირთ ხან-
 ში შესულ უცოლო კაცებს, ძალიან ეშინოდა თავისუფლე-
 ბის დაკარგვისა და უაზრო შიშსა ჰკრძალობდა ქალის საიდუმ-
 ლოვებით მოცულ არსების წინაშე.

კერძოდ, მისი (კონჩაგინის ქალს მარიაში ერქვა, მაგრამ,
 როგორც ეს ჩვეულებად აქვთ დიდებულ ოჯახებში, თავისე-
 ბური სახელი უწოდეს) კონჩაგინის შერთვა სასარგებლო იყო,
 პირველად მით, რომ კარგის გვარისა იყო, ტანისამოსიდან
 დაწყებული, ყოველისავე მიხვრა-მოხვრით, სიცილით, სია-
 რულითა და ლაპარაკით ძლიერ განირჩეოდა სხვა უბრალო
 აღამიანებისაგან, მაგრამ განირჩეოდა უფრო გვარით, „ჯიშით“.
 ამ თვისებათა გამოსახატავი სხვა ტერმინი ვერ მოეგონა. გარ-
 და ამისა, მისის ძალიან მოსწონდა ნებლიუდოვი, ყველაზე
 წინ აყენებდა და, უგმველია, კარგად იცნობდა. კერძოდ მის-
 სის შერთვის წინააღმდეგი ისა ჰქონდა, რომ შეიძლება სხვა
 უფრო კარგი ქალი ეშოვნა. გარდა ამისა, მისი ამ დროს 27
 წლისა იყო და ადვილი წარმოსადგენია, რომ ამ ხნის გან-
 მავლობაში ბევრს რასმეგამოსცდიდა ის, და ეს აზრი გულზე
 ჰკბენდა ნებლიუდოვს, მით უფრო, რომ შესაძლოა შემდეგში
 არ ჰყვარებოდა. რასაკვირველია, წინდაწინვე არ იცოდა ნე-
 ხლიუდოვმა, რომ უსათუოდ იმას შეჰხვდებოდა, მაგრამ ერთი
 იმის წარმოდგენა, რომ შეიძლება მისის ოდესმე სხვა უყვარ-
 დაო, სიცოცხლეს უწამლაედა.

„თუ მარია ვასილიენასგან წერილი არ მივიღე და ყოვე-
 ლივე არ გავათავე იმასთან, ისე არაფრის გადაწყვეტა არ შე-
 მიძლიან“, — ჩაილაპარაკა თავისთავად ნებლიუდოვმა.

„ყველა ამას შემდეგ ვიფიქრებ და კარგად აესწონ-და-
 სწონი“, — სთქვა ნებლიუდოვმა და ეტლი კიდევ მისრიალდა
 სასამართლოს კარებთან.

„ახლა, როგორც ყოველთვის, სინიდიისიერად უნდა აღ-



ვასრულო საზოგადოებრივი მოვალეობა, ამასთანავე, ესწრაფო
საინტერესოც არის ხოლმე“, — სთქვა ნებლიუდოვიმ და შეწყვიტა
სასამართლოს დერეფანში.

V

სასამართლო სადგომის კარიდორში დიდი მოძრაობა იყო,
როცა ნებლიუდოვი შევიდა; მოსამსახურეებს სულ ზვითქი გა-
დასდიოდათ. გაცხარებული დარბოდნენ ხან იქით და ხან აქეთ
სხვა და სხვა ბრძანების აღსასრულებლად. ბოჭაულები, ვეჭი-
ლები და სასამართლოს მოსამსახურენი ერთმანეთში ირეოდნენ.
მთხოვნელები და დამნაშავენი ზოგი იჯდა და ზოგი და-
დიოდა.

— საოლქო სასამართლო სად არის? — დაეკითხა ნებლიუ-
დოვი ერთ მოსამსახურეს.

— თქვენ რომელი გნებაეთ? არის სამოქალაქო განყოფი-
ლება და სამოსამართლო პალატა.

— მე ნაფიცო მსაჯული ვარ.

სისხლის სამართლის განყოფილება... თქვე დალოცვილო,
აგრე იტყოდით! აი აქეთ, მარჯვნივ, შემდეგ მარცხნივ შეუ-
ხვიეთ და მეორე კარებში შეხვალთ.

ნებლიუდოვი გაემართა ნაჩვენების გზით.

როცა კარებთან მივიდა, ორი კაცი დახვდა. ერთი იყო
მალაღი ჩასუქებული ვაჭარი, რომელსაც აშკარად ეტყობოდა
კარგად ესაუზმა და ლაზათიანადაც გადაეკრა — მზიარულ გუ-
ნებაზე იყო. მეორე იყო ნოქარი, ებრაელთა შთამომავლო-
ბისა. მატყლის ფასზე ჰქონდათ ბაასი, როცა მათთან ნებლიუ-
დოვი მივიდა და ნაფიცო მსაჯულთა ოთახი იკითხა.

— აქ არის, ბატონო, აქ; თქვენც ჩვენი ამხანაგი უნდა
იყოს? — მზიარულის ღიმილით დაეკითხა ვაჭარი.

— მაშ ერთად ვიშრომოს, — განაგრძო მან, როცა ნებ-
ლიუდოვმა მიუგო: დიალო; — მეორე გილდის ვაჭარი ბაკლა-



შოვი, — უთხრა ვაქარმა და გაუწოდა თავისი რბილი ფუნთუშა.
ხელი: — ვისთან მაქვს პატივი ლაპარაკისა?

ნებლიუდოვმა უთხრა თავისი გვარი და შევიდა ნაფიც მსაჯულთა ოთახში.

ნაფიც მსაჯულთა ოთახში ათიოდე სხვა-და-სხვა ჯურის ხალხს მოეყარა თავი. შოვი იჯდა, შოვი ბოლთას სცემდა და ერთმანეთს ეცნობოდნენ.

ყველანი, თუმცა ბევრი მათგანი საქმეს მოსცდა, კმაყოფილნი იყვნენ, რადგან საზოგადო საქმეს ასრულებდნენ.

ნაფიცი ზოვნი გასცნობოდნენ ერთმანეთს და ბაასობდნენ: დარსა, აღრეულ გაზაფხულსა და მომავალ არჩევნებზედ. ვინც ნებლიუდოვს არ იცნობდა, საჩქაროდ გაეცნო, რადგან ამას რაღაც დიდ ღირსებად სთვლიდნენ. ნებლიუდოვს, თვითონაც არ იცოდა რისთვის, საეაღდებულოდ მიაჩნდა ყველასთვის გასცნობოდნენ მას. რომ გეკითხნათ, რად აყენებდა ის თავის თავს სხვებზე მაღლა, პასუხს ვერ მოგცემდათ, რადგან ისეთ განსაკუთრებულ ღირსებას ვერას დაიტრახებდა. ინგლისურ და ნემეცურ ენაზე ლაპარაკი, მშვენიერი ტანსაცმელი, ყელსახვევი და ზაპინკები — კარგად იცოდა, რომ დიდს არაფერს მშველოდა. მაინც ყველას ვალდებულად ხდიდა თავგანი ეცა; თუ ასე არ მოიქცეოდნენ, დიდ შეურაცხყოფად მიიჩნევდა. მაინც დიდ შეურაცხყოფად მიიღო, როცა ერთმა იქ მყოფთაგანმა სრულიად ყურადღება არ მიაქცია. ეს იყო პეტრე გერასიმოვიჩი (ნებლიუდოვს არასოდეს არ გაეგონა მისი გვარი და ეს საქებურადაც კი მიაჩნდა), რომელიც წინად მისის დის-წულეების მასწავლებლად ყოფილიყო. ეს პეტრე გერასიმოვიჩი ახლა გიმნაზიის მასწავლებლად იყო. მუდამ ეჯავრებოდა ნებლიუდოვს მისი ტოლ-ამხანაგური ქცევა, კმაყოფილი ხარხარი და საზოგადოდ მისი „კომმუნისში“, როგორც ნებლიუდოვის და ამბობდა.

— აა! თქვენც მოხვედით, — ხარხარით მიეგება პეტრე გერასიმოვიჩი ნებლიუდოვს, — ვერ დააღწიეთ თავი?



— მე სრულებითაც არ მიფიქრია თავის დაღწევაში
ნით უთხრა ნებლიუდოვმა.

— ეგ მოქალაქობრივი ვაქცაობაა. მაგრამ მოითმინეთ, როცა დაიქანცებით და ძილს არ დაგაცდიან, მაშინ სხვა ჰანგზე დაიწყებთ მღერას, — უფრო ხმა-მაღალის ხარხარით უპასუხა პეტრე გერასიმოვიჩმა.

„დაიწყებს ახლა ეს დეკანოზის შვილი „შენობით“ ლაპარაკს — გაიფიქრა ნებლიუდოვმა და ისეთი მოწყენილი სახე მიიღო, რომ კაცს ეგონებოდა, ეს არის, ვხლა შეუტყვი აუკლა ნათესავეების სიკვდილით; მაშინვე მოშორდა და იმ ჯგუფს შეუერთდა, რომელიც შემოხვეოდა ერთ წვერ-მოპარსულ წარმოსადგე კაცს, რომელიც რალაცაზე გაცხარებით ბაასობდა, ლაპარაკობდა იმ პროცესის შესახებ, რომელიც ახლა სამოქალაქო განყოფილებაში ირჩეოდა. აღტაცებული იყო იმ საყვირველ ცელილებით, რომელიც მოახდინა საქმეში შესანიშნავმა ვეჭილმა და მისის წყალობით ერთ ძველებურ ქალბატონს, რომელიც ცამდე მართალი იყო, ტყუილ-უბრალოდ დიდ-ძალი ფული უნდა გადაეხადა მომჩივანისათვის.

— სწორედ გენიოსია, გენიოსი! — ამბობდა იმ ვეჭილზე. თუმცა ნებლიუდოვი გვიან მოვიდა, მაგრამ მაინც დიდხანს მოუნდა ცდა, რადგან ერთმა სასამართლოს წევრმა ძალიან დაიგვიანა.

მ. გუკოვი

გუკოვი VI

ხეივანი

თავმჯდომარე ადრე მოვიდა სასამართლოში. ის იყო მაღალ-მაღალი, მოხუცი კაცი, დიდის გაქალაჩევილების „ბაკეებით“. თუმცა ცოლ-შვილიანი იყო, მაგრამ როგორც ცოლი, ისე ქმარი, გარყვნილ ცხოვრებას ხარბად ეწაფებოდნენ და, რაკი ერთხელ წაიხსნიდნენ ალვირს, მათი დამკვიერი არავინ იყო. დღეს მიიღო წერილი ერთის ქალისაგან, რომელიც წინად მათთან მოახლედ იყო და ახლა პეტერბურგში მიემგზავრებო-



და. ქალი სწერდა, სამიდან ექვს საათამდე ქალაქში ვიქტორიას დაქვე
 სასტუმრო „იტალიაში“ გიცდიო. თავმჯდომარე მოწვევებდა
 იყო აღრე გაეთაფებინა დღევანდელი საქმე, რომ დანიშნულ
 დროზე მისულიყო იმ ქერა კლარა ვასილივენასთან, რომელ-
 თანაც ზაფხულში, აგარაკად, პატარა რომანი გააჩაღა.

შევიდა ოთახში და კარები ჩაქკეტა. გამოალო შკაფი, იქიდან
 ქალღმერთთან ერთად გამოიღო ორი ქვა და დაიწყო მით ვარ-
 ჯიშობა. ორჯერ ხან ზევით და ხან ქვევით ასწია, შემდეგ სამ-
 ჯერ ცოტათი ჩაქკეტდა და ქვები მალლა დაიჭირა.

„არაფერი კაცის ჯანმრთელობას ისე არ არგებს, როგორც
 ცივ წყალში ბანაობა და ფიზიკური ვარჯიშობა, — გაიფიქრა
 მან. ამ დროს კარები შეიძრა. ვილასაც სურდა მისი გაღება.
 თავმჯდომარემ შეინახა ქვები და კარები გაალო.

— უკაცრავად! — უთხრა მან.

ოთახში შემოვიდა სასამართლოს ერთი წევრი, ოქროს
 სათვალეებით, შუათანა ტანისა და მრისხანე შეხედულებისა.

— ისევ მატყვი ნიკიტინი არ არის, — სთქვა წევრმა საყ-
 ვედურის კილოთი.

— არ არის კიდევ! — უთხრა თავმჯდომარემ. — მუდამ იგ-
 ვიანებს.

— საკვირველია, რატომ არა სცხვენია, — ბრაზით წარ-
 მოსთქვა სასამართლის წევრმა, დაჯდა და პაპიროსს მოუყიდა.

ამ წევრს, რომელიც მუდამ წესიერად ასრულებდა თავის
 მოვალეობას, დღეს დილით უსიამოვნება მოუვიდა ცოლთან,
 იმიტომ, რომ ცოლს წინდაწინვე მიცემული ერთის თვის სა-
 ხარჯო ფული ვადამდე დაეხარჯა. ქალმა სთხოვა, მეორე
 თვის ფული მომეცო, მაგრამ მან მკვახე უარი სტკიცა. ატყდა
 ერთი აღიარებითი. ცოლიმა გამოუცხადა, რომ სადილს არ გა-
 ვაკეთებინებ და ტყუილად იმედი ნუ გექნებაო. ქმარი მაშინ-
 ვე გამოვარდა გარედ და გამოიქცა, რადგან ეშინოდა ცოლისა,
 რომლისაგანაც ყველაფერი მოსალოდნელი იყო, მართლა სი-
 სრულეში არ მოიყვანოს თავისი მუქარაო. „იცხოვრე ამის შემ-



დევ სინდისიერად და პატიოსნად“, — ფიქრობდა და უმზერდა ჩასუქებულ, კმაყოფილის სახის პატრონს მარეს, რომელსაც თავისი ფუნთუშა ნაზი ხელები წვევრებში შეეყო და ნაზად შეუაზეიყოფდა. — „ეს კმაყოფილი და მხიარულია და მე კი ვიტანჯები“.

შემოვიდა მდივანი და რალაც საქმე შემოიტანა.

— დიდად გმადლობთ, — უთხრა თავმჯდომარემ და პაპიროსს მოუკრდა. — რომელი საქმე დაგიწყოთ უწინ?

— მე ვფიქრობ მოწამელის საქმე სჯობია, — თითქოს გულგრილად უთხრა მდივანმა.

— მაშ კარგი, მოწამელის საქმე იყოს, — უთხრა თავმჯდომარემ და იმედი მიეცა, რომ ამ საქმეს 4 საათამდე მოაჩვენებოდა. — მატყვი ნიკიტინი არ მოსულა?

— არა ჯერ.

— ბრვეე აქ არის?

— აქ არის, — მიუგო მდივანმა.

— მაშ უთხარით, რომ ჩვენ მოწამელის საქმე გვექნება პირველად განსახილველი. — ბრვეე იყო ბრალმდებლის ამხანაგი, რომელიც ბრალმდებლობდა ამ საქმეში.

კარრიდორში გამოსვლისთანავე მდივანი შეხედა ბრვეეს. მუნდირი ღილებ-შეუკვრელი ჰქონდა, პორტფელი ილღიაში ამოეჩარა და გაცხარებული სცემდა ბოლთას.

— მიხეილ პეტროვიჩს ჰსურს გაიგოს, მზადა ხართ, თუ არა“, — ჰკითხა მდივანმა.

— რასაკვირველია, მუდამ მზადა ვარ, — უთხრა ბრალმდებლის ამხანაგმა. — რომელი საქმე ირჩევა პირველად?

— მოწამელის საქმე.

— ძალიან კარგი, — სთქვა ბრალმდებლის ამხანაგმა.

მაგრაც მისთვის ეს სრულიად სასიამოვნო არ იყო, რადგან მთელი ღამე არ უძინია. სხვებთან ერთად გააცილა ერთი თავის ამხანაგი, ბევრი სვეს, ღამის ორ საათამდე ქალაქი ითამაშეს და საქმის წაკითხვა ვერ მოასწრო, ეზლა უნდა



გადაეთვალე რეზინა; მდივანმა კარგად იცოდა ესა დე იმეტი...
მაც ურჩია თავმჯდომარეს პირველად ამ საქმის დანიშნულად...
ვანი ლიბერალურ და თითქმის რადიკალურ აზრების მიმდევარი იყო. ბრვეე კი—კონსერვატორი, ამიტომ მდივანს არ უყვარდა და შურით უმზერდა მის ადგილს.

— სკოპცებისას რას იტყვი?—დაეკითხა მდივანი.

— ერთხელ ვსტევი, რომ არ შემიძლიან მეთქი, რადგან მოწმენი არ არიან,—უთხრა ბრალმდებლის ამხანაგმა:—სასამართლოსაც ასე განვუცხადე..

— ხომ სულ ერთია....

— არ შემიძლიან,—სთქვა ბრალმდებლის ამხანაგმა და ხელების ქნევით გავარდა თავის კაბინეტში.

ეს სკოპცების საქმე გადადებული ჰქონდა ერთ უმნიშვნელო მიზეზის გამო. არ დაესწრო ერთი მოწმე, რომლის დაუსწრებლობაც საქმეს არ აფერხებდა; მაინც და მაინც ნამდვილი მიზეზი კი ის იყო, რომ საქმის გარჩევას ინტელლიგენტი ნაფიცი მსაჯულები დაესწრებოდნენ და მოსალოდნელი იყო დამნაშავის გამართლება, აკი ამიტომ მან, თავმჯდომარესთან შეთანხმებით, გადასწყვიტა საქმე მომავალ სესიისათვის დაენიშნა სამაზრო ქალაქში, სადაც უმრავლესობა გლეხები იქნებოდნენ და მეტი იმედი იქნებოდა გამტყუვნებისა.

კარიდორში დიდი მოძრაობა იყო. სამოქალაქო განყოფილების კარებთან ხალხს თავი მოეყარა, რადგან იქ ისეთი საინტერესო საქმე ირჩეოდა, რომელზედაც გატაცებით ლაპარაკობდა წვე-პროპარსული წარმოსადგეი კაცი. შესვენების დროს დარბაზიდან გამოვიდა ის ბებერი დედაკაცი, რომელმაც, გენიოს ვეჭილის წყალობით, აუარებელი ფულები მისცა მოწინააღმდეგე მხარეს. ეს კარგად იცოდნენ მსაჯულებმაც, ვეჭილმაც და თვით მოწინააღმდეგე მხარემ, მაგრამ საქმე იმ გვარად იყო დაწყებული, რომ მეტი გზა არ იყო, უნდა წაერთმიათ ბებრისთვის მისი ქონება და მოწინააღმდეგესთვის მიეცათ. ბებერი დედაკაცი გამოვიდა კარიდორში და ხელე-



ბის შლით მიუბრუნდა თავის ვეჭილს: „ეს რა ამბავია, ვეჭილი ნი ჭირიმე? რა მოხდა? რა მიყავით?“ ვეჭილი კი უყარეობით ბებრის ყვავილებიან ქუდს ათვალეერებდა და მისს ლაპარაკს ყურადღებას არ აქცევდა.

ბებერს, ფეხ-და-ფეხ გამოჰყვა სახე გაბრწყინვალე ბუღით ის შესანიშნავი ვეჭილი, რომლის წყალობითაც ბებერი ხელ-ცარიელი დარჩა და მის კლიენტს, რომელმაც ათი ათასი მისცა გასამრჯელო, 100 ათასზე მეტი არგუნა. ყველა ცნობის-მოყვარეობით უმზერდა ვეჭილს და ვეჭილიც თითქოს ამყობდა ამით და ამბობდა: „არავითარის ერთგულების გამოხატვა და ხოტბა-დიდება ჩემთვის საჭირო არ არისო“. ზედაც არ შეუხებენია ხალხისათვის, ამაყად გვერდი აუარა და თავის გზას გაუდგა.

VII

ბოლოს მოვიდა მატვეი ნიკიტინიც და გამბდარი, მალალ კისერიანი სასამართლოს ბოქაულიც შემოპრძანდა ნაფიც-მსაჯულთა ოთახში.

სასამართლოს ბოქაული უნივერსიტეტში სწავლა-დამთავრებული და განვითარებული კაცი იყო, მაგრამ, საუბედუროდ, ერთ ალაგას ფეხს ვერ იკიდებდა. ამის მიზეზი ის იყო, რომ დიდი მოტრფიალე იყო ბაბუსისა და ლოთიანად იცოდა ხოლმე გადაკვრა. სამის თვის წინად ვილაც გრაფინიამ, რომელიც მისის ცოლის დიდი მწყალობელი იყო, უშოვნა ეს ალაგი და დიდად მოხარული იყო, რომ ამდენ ხანს შერჩა ამ ალაგს.

— როგორია საქმე, ბატონებო, ყველა აქა ხართ, არავინ გაკლიათ? — დაეკითხა ნაფიც-მსაჯულთ, გაიკეთა პენსნე და აათვალეერ-ჩაათვალეერა ისინი.

— ვგონებ ყველანი აქა ვართ, — უპასუხა მხიარულმა ვაქარმა.

— ეხლავ შევამოწმებ, — სთქვა სასამართლოს ბოქაულმა,

3



ამოიღო ჯიბიდან ქაღალდი და დაიწყო სათითაოდ გამოძიება.

— სტატსკი სოვეტნიკი ი. მ. ნიკიფოროვი.

— მე გახლავარ, — სთქვა წარმოსადგემა კაცმა, რომელსაც ეტყობოდა, რომ სასამართლოს წესები კარგად იცოდა.

— სამსახურიდან გადამდგარი პოლკოვნიკი ივან სემიონი ივანოვი.

— აქა ვარ, — გამოეხმაურა გამხდარი კაცი.

— მეორე გილდის ვაჭარი პეტრე ბაკლაშოვი.

— აქ არის, — უპასუხა მხიარულმა ვაჭარმა და ისეთ ნაირად გაიღიმა, რომ პირის-ნახვევი ყურებამდე მიიჭანა, — მზად ვახლავართ.

— გვარდიის პორუჩიკი თავადი დიმიტრი ნებლიუდოვი.

— მე ვარ, — მიუგო ნებლიუდოვმა.

სასამართლოს ბოქაულმა გადაჰხედა ნებლიუდოვს სათვალეების ზემოდან და მდაბლად თავი დაუკრა და მით სხვებს აგრძნობინა, რომ ამას ყველაზე წინ ვაყენებო.

— კაპიტანი იური დიმიტრი დანჩენკო. ვაჭარი გრიგოლ ეფიმი კულეშოვი და სხვ. — და-სხვ.

ყველა იყო, გარდა ორისა.

— ეხლა, ბატონებო, დარბაზში მიბრძანდით, — სიამოვნების ღიმილით უთხრა ბოქაულმა და კარებისაკენ მიუთითა.

ნაფიცნი მსაჯულნი ზანტად წამოდგნენ და გაემართნენ დარბაზის კარებისაკენ.

სასამართლოს დარბაზი გრძელი ოთახი იყო. ერთ კუთხეში, ამალღებულ ადგილზე, იდგა მაგიდა მწვანე მაუღ-გადაფარებული. მაგიდასთან იდგა სამი რბილი სავარძელი. მარჯვენა კუთხეში ხატი ეკიდა. ცოტა იქით ბრალმდებლის კანტორკა. ბრალმდებლის კანტორკის მარცხნით იდგა მდივნის მაგიდა. მაყურებელთა საჯდომების ახლო მოაჯირი იყო გაკეთებული, რომლის სიღრმეშიაც მოსჩანდა დამნაშავეთა სკამები; ეს სკამები ჯერ ცარიელი იყო. ამალღებულ ალივზე მა-



რჯენივ ორ რიგად სკამები იყო ჩამწკრივებული, დაფუძნებული ჯულთათვის. ცოტა ქვემოთ—ვექილებისათვის. სკამებზე ოთხი დედა-კაცი იჯდა, რომლებიც მოსამსახურენი უნდა ყოფილიყვნენ, და ორი კაცი, მუშათაგანი, რომლებიც ამ დიდებულ მორთულებით გაკვირვებულნი წყნარად ჩურჩულობდნენ.

ნათიც მსაჯულთა შემოსვლისათანავე, დარბაზის შუა ალაგას გამოვიდა სასამართლოს ბოქაული და ხმა-მალლა დაიძახა:

— სასამართლო მოდის!

ყველანი წამოდგნენ. ამაღლებულ ალაგზე გამობრძანდნენ: თამჯდომარე თავისის ბაკებით, შემდეგ მრისხანე სახის სათვალეზიანი სასამართლოს წვერი, რომელიც ახლა ჩვეულებრივზე მეტად მოწყენილი იყო, რადგან კრების დაწყების წინაღ შეხვდა ცოლის ძმა, შეატყობინა, რომ დასთან ვიყავიო: დას ეთქვა, სადილი არ იქნება დღესაო.

— როგორცა სჩანს, მგონია, ჩვენ სამიკიტნოში მოგვიხდება წასვლა, — უთხრა სიცილით ცოლის-ძმამ.

— აქ არაფერი სასაცილო არ არის, — მრისხანედ უბასუბა სისამართლოს წვერმა და კოპები შეიკრა. ყველაზე ბოლოს შემობრძანდა თვით ის მატვეი ნიკიტინი, რომელიც მუდამ იგვიანებდა. მატვეი ნიკიტინს კუკის ანთება ჰქონდა და ექიმის რჩევით ახალის წეს-რიგით დაეწყო წამლობა. ამ ახალმა წეს-რიგმა დააგვიანა დღეს ჩვეულებრივზე მეტად. ახლა, როცა ამაღლებულ ადგილისკენ მიდიოდა, ერთ საგანზე იყო დაფიქრებული და პირ-ჩამობნელებული გამოიყურებოდა. ჩვეულება ჰქონდა, უეჭველად აეხსნა ის საგანი, რომელსაც ხშირად უფიქრდებოდა; ეს საგანი შემდეგი იყო: უკეთუ კაბინეთიდან დაწყებული საეარძლამდე ნაბიჯი თანასწორათ გაიყოფოდა სამზე, ახალის წეს-რიგის წყალობით უეჭველად განიკურნებოდა ავადმყოფობისაგან, თუ არა და—არა. ნაბიჯი



26 გამოვიდა, მაგრამ კიდევ გადადგა ერთი პატარა ნაბიჯი და სწორედ მეოცდამეზიდენზე მივიდა კიდევ სავარძელდონი. თავმჯდომარისა და წევრთა დიდებულმა გამოსვლამ დიდი გავლენა იქონია ხალხზე, კარგად იგრძნეს ესა და თავმოწონებულნი მიუჯდნენ მწევანე მაუდიან მაგიდას, რომელზედაც ქალაღდები და ყარანდაშები ეწყო. შემოვიდა ბრალმდებლის ამხანაგიც, პორტფელით იღლიაში, ხელების ქნევით მიუჯდა კანტორკას და საქმეს სინჯვა დაუწყო. ამ ბრალმდებლისთვის ეს საქმე შეოთხე იყო. რასაკვირველია, როგორც ჯერ ისევ ახალგაზდა და გამოუცდელს, გულით სურს ამალღება და ამიტომ ყოველსავე ღონეს ჰხმარობდა გაემტყუნებია დამნაშავე. მოწამელის საქმის ვითარება თუმცა საზოგადოდ იცოდა, მაგრამ კიდევ საჭირო იყო ზოგიერთი საბუთები და საჩქაროდ იწერდა საქმიდან. მდივანი მზად იყო ქალაღდებით და საწერ-კალმით.

VIII

თავმჯდომარემ გადასინჯა ქალაღდები, ჰკითხა ზოგიერთი რამ სასამართლოს ბოქაულსა და მდივანს და, რაკი საჭირო პასუხი მიიღო, მოითხოვა დამნაშავეთა მოყვანა. მაშინვე მოაჯირის იქითა კარები გაიღო და შემოვიდა ორი ხმალ-ამოწვდილი ეანდარმი. მათ შემოჰყვნენ დამნაშავენი: ერთი კაცი და ორი ქალი. კაცს ნაცრისფერი განიერი ხალათი და ასეთივე შარვალი ეცვა. არავეისთვის არ შეუხედნია, საჩქაროდ დაჯდა, თავმჯდომარეს შეხედა და, თითქო რალასაც ზურჩულღებსო, ლოყის ძარღვები შეაკმაკუნა. მის უკან მოსდევდა თვალგზ-ჩასისხლიანებული და წარბებ-გაცვივნიული დედაკაცი, რომელიც ისე დამშვიღებით და არზენად მოდიოდა, თითქო აქ არაფერიო. წყნარად მივიდა თავის ალაგას და დაჯდა. მესამე დამნაშავე მასლოვის ქალი იყო.

შემოსვლისათანავე ყველა ისე გაიტაცა მისმა მშენიერე-



ბამ, რომ თვალი ვერ მოეშორებინათ, თითქმის ჯანდარმიც, რომლის გვერდითაც კატიუშამ გაიარა, დააკვირდა და მანამდე თვალი არ მოუშორებია, სანამ თავის ალაგას არ დაჯდა.

თავმჯდომარე ელოდა, სანამ დამნაშავენი თავ-თავიანთ ალაგს დასხდებოდნენ და როცა მასლოვის ქალი დაჯდა თავის ალაგას, მიუბრუნდა მდივანს.

დაიწყო ჩვეულებრივი პროცედურა: ნაფიც-მსაჯულთა სათითაოდ გადათვალა, ვინც აკლდა, მათ შესახებ ბქობა და მათი დაჯარიმება, ვინც ნება-ყოფლობით არ მოსულიყო, მათ მაგიერ სხვების დანიშვნა. შემდეგ თავმჯდომარემ დაიწყო ბილეთები, ჩაპყარა შუშის ლარნაკში, ცოტათი წაიწია მუნდირის სახელო და დაიწყო სათითაოდ ბილეთების ამოღება და კითხვა. შემდეგ მიუბრუნდა მღვდელს და სთხოვა მსაჯულები დაფიცებინა.

მოხუცი მღვდელი მიხაკისფერ ანაფორითა, დასიებული, ჩაყვითლებულის სახით, ოქროს ჯვრით, რომელიც მკერდზედ ეკიდა და პატარა ორდენით, რომელიც გვერდზედ ჰქონდა მიკერებული, წყნარად წამოდგა და თავის დასიებულის ფეხებით ძლივს მილასლასდა საწიგნობელთან, ხატ წინა.

მსაჯულნიც წამოდგნენ და მივიდნენ მღვდელთან.

— მობრძანდით, — სთქვა მღვდელმა და თავისის დასიებულის ხელით გულზე ჯვარი შეათამაშა.

როცა მსაჯულნი სათითაოდ ავიდნენ მალლობზე და მღვდლის წინ გაჩერდნენ, მღვდელმა დაღუნა თავისი მელიოტი თავი და გადაიგდო ოლარი. შემდეგ გაისწორა თავისი სქელი წვერები და მიჰმართა მსაჯულთ:

— მარჯვენა ხელი ასწიეთ და სამი თითი მიატყუბეთ, — უთხრა მან და თავისი მსუქანი ხელი მალლა ასწია. — ახლა გაიმეორეთ, რაც მე ვსთქვა, — წარმოსთქვა მან და დაიწყო:

— ვფიცავ ყოვლად შემძლებელ ღვთისა, წმიდა სახარებისა და ცხოველს მყოფელის ჯვრის წინაშე, რომ იმ საქმეში, რომელიც... — დაიწყო მან სვენებ-სვენებით. — ნუ დაუ-



შეგბთ ხელს, მალლა დაიჭირეთ, — მიუბრუნდა ერთ ახალგაზრდას, რომელსაც ხელი ჩამოეშვა... — რომ იმ საქმეში მღვდლის მელიც...

ვაჭარს, პოლკოვნიკს და სხ. ისე ეჭირათ ხელები, როგორც ამას მღვდელი თხოულობდა, ზოგი შკაფიოდ და გარკვევით ამბობდა მღვდლის ნათქვამს, ზოგი, თითქო ეშინიანთო, ჩურჩულით იმეორებდა.

ყოველივე ჩქარა და უბრალოდ გათავდა, მსაჯულნი უკან გამობრუნდნენ და თავის ალაგას დასხდნენ.

დასხდნენ თუ არა მსაჯულნი, წამოდგა თავმჯდომარე, ვრცელის სიტყვით მიჰმართა და ნათლად დაუხატა მათი მოვალეობა და უფლება.

თავმჯდომარის სიტყვით, მსაჯულთა უფლება ის არს, რომ იმათაც შეეძლოთ შეჭკითხებოდნენ დამნაშავეთ. თავმჯდომარის პირით, შეეძლოთ მოეთხოვათ ქალაქი და ყარანდაში და ნივთიერი საბუთების გაესინჯათ. მოვალეობა კი ის იყო, რომ სიმართლითა და სინიღისიერად განეხილათ საქმე, ხოლო უკეთუ ყველაფერს წესიერად არ შეასრულებდნენ და მსჯელობის საიდუმლოება გამომეღვენდებოდა, კანონის ძალით პასუხის გებაში იქმნებოდნენ მიცემულნი.

ყველანი სმენად გარდაქცეულიყვნენ. ვაჭარი, რომელსაც საშინელი ღვინის სუნი ამოსდიოდა პირიდან და ბოყინით იჭაურობას აყრუებდა, თავმჯდომარის თვითეულ სიტყვაზე რეტიანივით თავს აკანტურებდა.

1-7

IX

სიტყვის გათავების შემდეგ, თავმჯდომარემ მიჰმართა დამნაშავეთ.

— სვიმონ კარტინკინო, ადგილთ, — სთქვა მან. სვიმონი სწრაფად წამოვარდა და ლოყის კალთები ძალზე შეაცმატუნა.



- თქვენი სახელი?
 - სიმონ პეტროვიჩ კარტინკინი, — სწრაფად წინდაწინვე მომზადებული პასუხი.
 - თქვენი წოდება?
 - გლეხი გახლავარ.
 - რომელ გუბერნიისა, რომელის მაზრისა?
 - ტულის გუბერნიისა, კრაპივენის მაზრისა, კუპიანსკის სამოურავოსი, სოფელ ბოჩკიდან.
 - რამდენის წლისა ხართ?
 - ოცდა თოთხმეტისა, დაბადებული ვარ ათას რვაას...
 - რა სარწმუნოებისა ხარა?
 - სარწმუნოებისა? რუსისა, მართლმადიდებელისა.
 - ცოლიანი ხართ?
 - არა.
 - რა ხელობისა ხართ?
 - სასტუმრო „მავრიტანიის“ კარრიდორში ვიყავით მოსამსახურედ.
 - წინად როდის იყავით პასუხის გებაში მიცემული?
 - არასოდეს, რადგან ჩვენ ისე ვსცხოვრობდით, რომ...
 - არ ყოფილხართ?
 - არასოდეს, ღმერთმა დამიფაროს!
 - საბრალმდებლო ოქმის პირი მიიღეთ?
 - მივიღე.
 - დაჯექით. — ეფემია ივანოვნა ბოჩკოვა, — მიჰმართა თავ-მჯდომარემ შემდეგ დანაშავე ქალს. სვიმონი ისევ ისევ იდგა-
 - კარტინკინო, დაჯექით.
 - კარტინკინი ისევ იდგა.
 - კარტინკინო, დაჯექით!
- მაგრამ კარტინკინი მანამდე იდგა, სანამ არ მივარდა გაბრაზებული ბოქაული, რომელმაც კისერი განზე მოაგრიხა და ტრადიკულის ჩურჩულით ჩასძახა: „დაჯექით, დაჯექით“-ო.



კარტინკინი ისე სწრაფად დაჯდა, როგორც აღფრთხილებული შოიხვია ხალათი და წინანდებურად ლოყები შეათამაშა.

— თქვენი სახელი?—დაეკითხა თავმჯდომარე მეორე დამნაშავე ქალს და ზედაც არ შეუხედნია, რაღაც ქალაღდს დაუწყა სინჯვა. საქმე ისე ჩვეულებრივი იყო თავმჯდომარისათვის, რომ ერთსა და იმავე დროს შეეძლო ორი საქმე ერთად გაეკეთებინა.

— ბოჩკოვისა 43 წლისა იყო, წოდებით—კოლომენის მდაბიო მოქალაქე, ხელობით—იმავე სასტუმრო „მიერიტანის“ მოსამსახურე. პასუხის გებაში წინად არასოდეს არ ვყოფილვარ მიცემული, საბრალმდებლო ოქმის პირი მივიღეო. პასუხებს ბოჩკოვისა ისე გაზეპირებულად და რიხით აძლევდა, თითქო ამბობდა: „დიად, მე ვფემია ბოჩკოვა ვარ, ოქმის პირი მივიღე და ვამაყობ კიდევ ამით და არავის დაცინვის ნებას არ მივცემო“. გაათავა თუ არა პასუხი, ბოჩკოვა მაშინვე დაჯდა.

— თქვენი სახელი?—მიჰმართა თავმჯდომარემ მესამე დამნაშავეს და, როცა დაინახა, რომ ის ისევე იჯდა, ტკბილის ხმიო უთხრა: „უნდა აღგეთ“.

მასლოვა სწრაფად წამოდგა, თვალი თვალში გაუყარა თავმჯდომარეს და მოემზადა.

— რა გქვიათ?

— ლიუბკას მეძახდნენ, —უპასუხა მან.

ამ დროს ნებლიუდოვს ცხვირზედ სათვალეები წამოვდო და დამნაშავეებს ათვალთვლებდა. „ეს ყოველად შეუძლებელია“, — ჰფიქრობდა და თვალს არ აშორებდა დამნაშავე ქალს. მაგრამ „ლიუბა“ საიდგან? — ჰფიქრობდა, როცა პასუხი ვაიგონა.

თავმჯდომარეს უნდოდა კიდევ ეკითხნა რამე, მაგრამ სათვალეებიანმა მრისხანე წვერმა რაღაც წასჩურჩული და გაჩერდა: თავმჯდომარემ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და მიჰმართა დამნაშავეს:



— როგორ თუ ლიუბა? — სთქვა მან, — თქვენ ხართ ჩაწერილი.

დამნაშავე ხმას არ იღებდა.

— მე თქვენ გგკითხებით, რა არის თქვენი ნამდვილი სახელი?

— წინად კატერინას მეძახდნენ.

„ეს ყოვლად შეუძლებელია“, — ამბობდა თავისთვის ნებლიუდოვი და იმავე დროს დარწმუნებული იყო, რომ მის წინ იდგა ის ქალი, რომელიც ერთ დროს უყვარდა; დიად! უყვარდა, შემდეგ სასტიკად მოატყუა, გარყვანა, ფეხ-ქვეშ გასთელა მისი უმანკო პატიოსნება და ბოლოს, როგორც უვარგისი ნიეთი, ისე მოიგლიჯა გულიდგან და გადაადგო. მას შემდეგ ეს ამბავი ერთხელაც არ მოჰგონებია, რადგან პირდაპირ ამტყუნებდა და ჩირქსა სცხებდა მისს პატიოსნებას, რადგან უმსგავსოდ და მხეცურად მოიქცა ამ ქალის წინაშე.

— თავიდანვე აგრე უნდა გეთქვათ, — ისევე ტკბილის ხმით უთხრა თავმჯდომარემ.

— მამის სახელი?

— მე... უკანონო ვარ, — წაილაპარაკა მან.

— მაინც ნათლობის სახელი?

— მიხაილოვნა!

„ნეტა რა დანაშაული ჩაუდენია“? — ჰფიქრობდა ნებლიუდოვი და სულს ძლივს იბრუნებდა.

— გვარი? — განაგრძო თავმჯდომარემ.

— დედით მასლოვად ვიწერებოდი.

— წოდება?

— მდაბიო მოქალაქე.

— მართლმადიდებელის სარწმუნოებისა?

— მართლმადიდებელისა.

— ხელობა? რას აკეთებდით?

მასლოვა ხმას არ იღებდა.

— რა ხელობისა ხართ? — განაგრძო თავმჯდომარემ.



— თქვენ თვითონ იცით, — უთხრა მასლოვამ, ^{საქონდა} ვად გაიღიმა და თვალი მოაფლო დარბაზში მყოფთა ^{საქონდა}

ამ სიტყვებსა, ძალდატანებულ ღიმილსა და იმ გადახედვაში, რომლითაც მან თვალი მოაფლო დარბაზში მყოფთ, ისეთი რაღაც არა ჩვეულებრივი საიდუმლოება იხატებოდა, რომ თავმჯდომარემ თავი ჩაპლუნა და დარბაზში მყოფნი მღუმარებამ მოიცილა. დუმილი ვილაყის სიცილმა დაარღვია, ხალხში ვილაძაც დაუსტენია. თავმჯდომარემ თავი მალლა აილო და განაგრძო კითხვა:

— პაპოხის გებაში იყავით როდისმე მიცემული?

— არასოდეს, — წყნარად წარმოსთქვა მასლოვამ და მწარედ ამოიკვნესა.

— საბრალმდებლო ოქმის პირი მიიღეთ?

— მივიღე.

— დაჯექით, — უთხრა თავმჯდომარემ.

დამნაშავემ აიწია კაბა, ისე, როგორც მორთული ქალები შლგიფს აიწევენ ხოლმე, და თვალი არ მოუშორებია თავმჯდომარისთვის, ისე დაჯდა თავის ალაგას.

შემდეგ დაიწყეს მოწმეეების გადათვლა და ექსპერტ ექიმს მოუწოდეს დარბაზში. შემდეგ წამოდგა მდივანი და საბრალმდებლო ოქმის კითხვა დაიწყო. თუმცა ხმა-მალლა კითხულობდა, მაგრამ ისე ჩქარა ამბობდა სიტყვებს, რომ ასოებს „დ და რ“-ს ერთმანეთში ურევდა და ერთი აუარებელი ზუზუნი გამოდიოდა. მოსამართლენი მოუთმენლობით ხან მაგიდას დაეყრდნობოდნენ, ხან სავარძლის საზურგეს მიანწევბოდნენ და ჩუმად ჩურჩულებდნენ. ერთმა ეანდარმმა ის იყო დაალო პირი დასამთქნარებლად, მაგრამ უცბად თავი შეიმავრა და, პირშივე ჩაიკლა გულით მომზადებული მთქნარება.

მასლოვის ქალი ხან უძრავად იჯდა და ყურს უგდებდა მკითხველს, ხან უცბად შეკრთებოდა და, თითქოს გამოპასუხება უნდაო, წითლდებოდა, ხან მწარედ ამოიკვნესებდა და



ერთ წამს თვალს მოავლებდა ხალხს და ისევ დაუწყებდა მზერას.

ნეხლიუდოვი პირველ რიგში იჯდა და თვალს არ აშორებდა მასლოვის ქალს. ამ დროს მისს გულში დიდი სულიერი ბრძოლა იყო.

X

აი საბრალმდებლო ოქმის შინაარსი: „ჩვიდმეტ იანვარს 188...წელს სასტუმრო „მავრიტანიაში“ უცრად გარდაიცვალა კურგანის მეორე გილდის ვაჭარი ფერაპონტ ემელიანოვიჩ სმელკოვი.

აღგილობრივ მე-4 უბნის ექიმის შემოწმებით, სმელკოვი გულის სიდამბლისაგან გარდაცვლილიყო; ბევრის მაგარ სასმელების სმის გამო.

სმელკოვის გვამი უკვე მიწას მიაბარეს, როცა რამდენიმე დღის შემდეგ პეტერბურგიდან გამოიარა მისმა ამხმნაგმა ვაჭარმა ტიმოხინმა, ვაიგო დაწვრილებით ყველაფერი დაექვი განაცხადა, —სმელკოვი მოწამლულიაო.

გამოძიების დროს აღმოჩნდა, რომ: 1) სმელკოვმა სიკვდილის წინად მიიღო ბანკიდან 3,800 მანათი, ხოლო მისის ქონების აღწერის შემდეგ აღმოჩნდა მხოლოდ 312 მ. 16 კ.; 2) სიკვდილის წინა დღე და ღამე სმელკოვმა გაატარა სასტუმრო „მავრიტანია“-ში ვიღაც ქალ ლიუბკასთან (ეკატერინე მასლოვთან), სადაც სმელკოვის მინდობილობით, მის შინ არ ყოფნის დროს, მივიდა ეკატერინე მასლოვისა და, სასტუმროს მოსამსახურების სიმონ კარტინკინის და ეფემია ბოჩკოვის თანადანსწრებით, გააღო სმელკოვის მიერ გამოტანებულ გასაღებით მისი ჩემოდანი და ამოიღო იქიდან ფული. ჩემოდანის გაღების დროს იქ კარტინკინმა და ბოჩკოვისამ 100 მანათიან ქაღალდების მთელი შეკვრა დაინახეს. 3) როცა სმელკოვი დაბრუნდა სასტუმრო „მავრიტანია“-ში, ლიუბკამ, კარტინკინის შთაგონებით, დააღვივინა სმელკოვს ერთი რუმკა კონიაკი და



შიგ რაღაც თეთრი ფხვნილი შეურია, რომელიც კარტინკინ-
მა მისცა. 4) მეორე დილით ლიუბკამ (ეკატერინე მასლოვამ)
მიპყიდა თავის დიასახლისს, მოწამე როზანოვისას, ბრილიან-
ტის ბეჭედი, რომელიც სმელკოვს ეკუთვნოდა და ვითომც
ამ უკანასკნელმა აჩუქა. 5) კორრიდორში მოსამსახურე ეფე-
მია ბოჩკოვისამ შეიტანა ბანკში თავის სახელზე 1,800 მანათი.

სმელკოვის შიგნეულის ქიმიურ გამოკვლევით, განსვენე-
ბულის გვამში საწამლაგის უტყუარი ნიშნები აღმოჩნდა, რი-
თაც ცხადად დამტკიცდა, რომ მოწამლეით იყო მკვდარი.

ბრალდებულებმა: მასლოვამ, ბოჩკოვამ და კარტინკინმა
დამნაშავედ არ იცნეს თავი და დასამტკიცებლად შემდეგი გა-
ნაცხადეს: 1) მასლოვამ განაცხადა: თუმცა მართლა სმელკო-
ვის ბრძანებით წავედი მისს ბრძანზე და გავაღე ჩემოდანი, მაგ-
რამ 40 მანათის მეტი არ ამოვიღია, რის მოწამვეც ბოჩკოვა და
კარტინკინია; ამათის თანადასწრებით გავაღე და დავეტე ჩე-
მოდანიო. შემდეგ განაცხადა, მეორედ, მისვლაზე, კარტინკი-
ნის შთაგონებით, მართლა დავალევინე კონიაკი, რაღაც
ფხვნილ-შერეული, რომელიც დასაძინებელი მგონა, იმიტომ,
რომ დროიანად დაეღწია თავი და შინ წასულიყო. ბეჭედი
თვით სმელკოვმა მიაჩუქა, როდესაც მკვება, ტირილი დავიწყე
და წასვლა დავაპირეო.

ეფემია ბოჩკოვამ განაცხადა: მე არაფერი არ ვიცი ფუ-
ლის დაკარგვისა, რადგან სმელკოვის ოთახში არ შევსულ-
ვარო. იქ მარტო ლიუბკა დიასახლისობდა და, თუ კი რამე
დაიკარგა, უთუოდ ლიუბკა მოიპარავდა, როცა ჩემოდნის გა-
საღებად მივიღაო.

ჩვენების ამ ნაწილის კითხვის დროს მასლოვის ქალი
შეკრთა, გააღო პირი და ბოჩკოვას მიუბრუნდა.

როცა ეფემია ბოჩკოვას წარუდინინეს ანგარიში ბანკში
შენახულ 1,800 მანათისა და ჰკითხეს, საიდან იშოვნე ეს ფუ-
ლიო, მან განაცხადა: ეს ფულები შევიძინეთ 12 წლის გან-
მავლობაში მე და სიმონ კარტინკინმა, რომელიც ჩემს ცოლად



შერთვის ჰფიქრობდა. სიმონ კარტინკინმა პირველ ჩვენებაზე სთქვა, რომ მე და ბოჩკოვამ, მასლოვის ქალის შრომით, რომელიც მივიდა სასტუმროში გასაღებით, მოვიპარეთ ჩემოდნიდან ფული და გავიყავითო. ამ სატყუებზე მასლოვა ისევ საშინლად შეკრთა, წამოხტა მთლად გაწითლებული და გაცხარებით რაღაც ლაპარაკი დაიწყო, მაგრამ სასამართლოს ბოქაულმა შეაჩერა. ბოლოს, — განაგრძო კითხვა მდივანმა, — კარტინკინი იმაშიაც გამოტყდა, რომ მე მივეცი მასლოვას რაღაც დასაძინებელი წამალი და ვუთხარი ვაჭრისთვის დაეღვეინებიაო. მეორე შეკითხვის დროს კი ყველაფერზე უარი განაცხადა, ფულის მოპარვაში მონაწილეობა არ მიმიღია, არც საწამლავი მიმიციაო, და ბრალი სულ მასლოვას დასდო. ბანკში შენახულ ფულისა სთქვა, რომ ის ფული მე და ბოჩკოვამ 12 წლის განმავლობაში შევიძინეთ სასტუმროში, სადაც მომსვლელ-მიმსვლელნი ხშირად გვასაჩუქრებდნენო.

საბრალმდებლო ოქმის დასკვნა შემდეგი იყო:

ყველა ზემო აღნიშნულის მიხედვით, სოფელ ბორკის გლეხი სიმონ კარტინკინი, 33 წლისა, მდაბიო მოქალაქე ვფემია ივანოვნა ბოჩკოვა, 43 წლისა, და მდაბიო მოქალაქე ეკატერინა მიხაილოვნა მასლოვა, 27 წლისა, ბრალდებულნი არიან იმაში, რომ 17 იანვარს 188... წელს, წინდაწინვე ურთიერთ შორის შეთანხმებით, გაძარცვეს ვაჭარი სმელკოვი, რომელსაც ბრილიანტის ბეჭედი და ფულად 2,500 მანათი წაართვეს და, იმ მოსახრებით, რომ ავაზაკობა დაეფარათ, დააღვეინეს საწამლავი, რის გამოც იგი გარდაიცვალა.

ეს ბრალდება ექვემდებარება სასჯ. დებ. 1453 სტ. მე-4 და მე-5 მუხლებს, ამიტომ სისხლის სამართლის წესდებათა 201 სტ. ძალით, სიმონ კარტინკინი, ვფემია ბოჩკოვა და მდაბიო მოქალაქე ეკატერინე მასლოვა ექვემდებარებიან საოლქო სასამართლოს, ნაფიც-მსაჯულთა თანადასწრებით“.

ასე დაასრულა საბრალმდებლო ოქმის კითხვა მდივანმა. შემდეგ დაჰკვეცა ქალაღლები და დაჯდა თავის ალაგას. ყვე-



ლამ თავისუფლად ამოისუნთქა, რომ ახლა დაიწყებოდა გომოკვლევა, ყველაფერი ნათლად გამოიჩვენებოდა და სმარტო თავისას გაიტანდა. მარტო ნებლიუდოვი არ იყო გრძნობით გამსქვალული. ის მთლად იმ ფიქრს მოეცვა, თუ როგორ მოჰხდა, რომ ის მასლოვის ქალი, რომელსაც მე ვიცნობდი, ასეთის საშინელის საქმის ჩამდენი შეიქმნაო.

XI

როცა საბრალმდებლო ოქმის კითხვა გაათავეს, თავმჯდომარე, წევრებთან შეთანხმებით, მიუბრუნდა კარტინკინს და ისეთი სახის მეტყველება მიიღო, თითქოს ეუბნებოდა, ახლა ყველაფერი ვიცით და ყველაფერს გავიგებთო.

— გლეხი სიმონ კარტინკინი, — დაიწყო მან და მარცხნივ მიბრუნდა.

სიმონ კარტინკინი საჩქაროდ წამოხტა, ხელები გაჰშალა და ლოყები ჩვეულგვარად შეათამაშა.

— ბრალი გედებათ, რომ 17 იანვარს 188... წელს თქვენ, ეფემია ბოჩკოვასა და ეკატერინა მასლოვასთან შეთანხმებით, მოიპარეთ ვაქარ სმელკოვის ჩემოდნიდან მისი კუთვნილი ფული, შემდეგ მიუტანეთ დარიშხანა და უჩიეთ ეკატერინე მასლოვას დაელგვინებინა ვაქარ სმელკოვისთვის, რის გამოც სმელკოვი გარდაიცვალა. დამნაშავედ სცნობთ თქვენს თავს, თუ არა? — წარმოსთქვა თავმჯდომარემ და მარჯვნივ გადაიხარა.

— ყოვლად შეუძლებელია, რადგანაც ჩვენი საქმე მხოლოდ სტუმრების სამსახურია...

— შემდეგ იტყვით. დამნაშავეთ სცნობთ თავს თუ არა?

— სრულიადაც არა. მე მხოლოდ...

— შემდეგ იტყვით. დამნაშავედ სცნობთ თავს თუ არა? — დაბეჯითებით განუმეორა თავმჯდომარემ.

— არ შემეძლო ეგ მექნა, ამიტომ რომ..



ისევ სასამართლოს ბოქაული მიუხტასვიმონ კარტინკის
და ტრალიკულის ჩურჩულით შეაჩერა. ერქუნსული
გეგულიყოთქა

თავმჯდომარემ ამით გაათავა კარტინკის შეკითხვა და
შემდეგ ეფემია ბოჩკოვას მიუბრუნდა.

— ეფემია ბოჩკოვა, ბრალი გედებათ, რომ 17 იანვარს
188... წელს, სასტუმრო „მავრიტანიაში“, სიმონ კარტინკინთან
და ეკატერინე მასლოვასთან ერთად, მოპარეთ ვაჟარ სმელ-
კოვს ჩემოდნიდან ფული და შემდეგ, ავაზაკობის დასაფარავად,
დაალევინეთ საწამლაფი, რის გამოც იგი გარდაიცვალა. დამნა-
შავედ სცნობთ თავს თუ არა?

— მე არაფერში დამნაშავე არა ვარ, — თამამად და ხმა-
მალლა წარმოსთქვა მან. — მე ოთახშიც-კი არ შევსულვარ...
უთუოდ ეს საძაგელი ჩაიდენდა ამ საქმეს...

— თქვენ შემდეგ იტყვით, — უთხრა რბილად თავმჯდო-
მარემ. — მაშ, დამნაშავედ არ სცნობთ თავს?

— მე არ ამიღია ფული და არც არაფერი დამილევნებია
მისთვის. ოთახშიც არ შევსულვარ. რომ შევსულიყავ, ამ სა-
ძაგელს უთუოდ ვარედ გავაგდებდი.

— დამნაშავედ არ სცნობთ თავს?

— არასოდეს!

— ძალიან კარგი.

— ეკატერინე მასლოვა, — მიუბრუნდა თავმჯდომარე მესამე
დამნაშავეს: — თქვენ ბრალი გედებათ, რომ როდესაც ვაჟარ
სმელკოვის ოთახში მიხვედით, სასტუმრო „მავრიტანიაში“, იმის
ჩემოდნის გასაღებად, მოიპარეთ ჩემოდნიდან ფული და ბეჭე-
დი, — ისე ლაპარაკობდა თავმჯდომარე, თითქო გაზვიანებული
აქვსო და ცალი ყური ერთის წევრისაკენ ჰქონდა მიქცეული,
რომელიც ფურჩულებოდა, რომ ნივთიერ საბუთებში საწამ-
ლაფის შუშა აკლიაო... — მოიპარეთ ჩემოდნიდან ფული და
ბეჭედი, — განიმეორა თავმჯდომარემ, შემდეგ გაიყავით ნაპარევი
და, როდესაც სმელკოვთან ერთად ისევ სასტუმროში დაბრუნ-



დით, დააღვინეთ საწამლაფი, რის გამოც იგი გარდაიცვალა. დამნაშავედ სცნობთ თავს თუ არა?

— არაფერში დამნაშაული არა ვარ, — სწრაფად წაილაპარაკებრალდებულმა: — როგორც წინად ვსთქვი, ახლაც ისევ ვამბობ, რომ არ წამიღია, არ წამიღია, არ წამიღია, არაფერი არ წამიღია და ბეჭედი კი თითონ მაჩუქა.

— არა სცნობთ თავს დამნაშავედ, რომ 2,500 მანეთი მოიპარეთ? — ჰკითხა თავმჯდომარემ.

— გუუბნებით, რომ არაფერი არ წამიღია, გარდა 40 მანათისა.

— მაშ, არც იმაში სცნობთ თავს დამნაშავედ, რომ ვაჭარ სმელკოვს საწამლაფი მიეცით?

— ეგ კი მართალია, მხოლოდ მე მეგონა დასაძინებელია-მეთქი და არა საწამლაფი. ეგეც მხოლოდ იმიტომ მივეცი, რომ დამეძინებია. არც ვფიქრობდი და არც მინდოდა მისი სიკვდილი, ღვთის წინაშე ვამბობ, რომ არ მინდოდა, — წარმოსთქვა მან.

— ძალიან კარგი; მაშ დამნაშავედ არ სცნობთ თავს, რომ მოპარეთ ვაჭარ სმელკოვს ფული და ბეჭედი და იმას ამბობთ მხოლოდ, რომ მიეცით საწამლაფი? — შეეკითხა თავმჯდომარე.

— ეგ საწამლაფი მე მხოლოდ დასაძინებელი მეგონა. მისი სიკვდილი არც მინდოდა და არც მიფიქრია.

— კარგი! — ემაყოფილებს კილოთი უთხრა თავმჯდომარემ, რაკი საჭირო. პასუხი მიიღო: — მაშ, მომიყვებით, როგორ იყო საქმე — უთხრა მან, სავარძელში გადაწვა და ხელები მაგიდაზე დააწყო. — მოჰყვებით ყველაფერს, როგორც იყო. შეგიძლიანთ წრფელის გულით აღიაროთ ყველაფერი; ამით დიდ შეღავათს მისცემთ თქვენს თავს.

მასლოვა მისჩერებოდა თავმჯდომარეს და ხმას არ იღებდა.

— მოჰყვებით, როგორ იყო საქმე.



— როგორ იყო? — უცრად დაიწყო მასლოვამ. — მივედი სასტუმროში. შემიყვანეს ოთახში. ის ძლიერ მთვრალი იყო. მასლოვამ თვალეები დააჭყიტა და უფრო გარკვევით წარმოსთქვა სიტყვა „ის“. — მინდოდა წავსულიყავ, მაგრამ არ გამიშვა.

ქალი უცბად შეჩერდა, თითქო რაღაც დაავიწყდაო.

— შემდეგ?

— შემდეგ რა? დავრჩი და მერე სახლში წაველ.

ამ დროს ბრალმდებლის ამხანაგმა ნახევრად წამოიწია.

— გსურთ ჰკითხოთ რამე? — შეეკითხა თავმჯდომარე და, რაკი თანხმობის პასუხი მიიღო, თითოთ ანიშნა, შეგიძლიანთ ლაპარაკიო.

— მინდა ერთი რამ ვკითხო: იცნობდა თუ არა დამნაშავე სიმონ კარტინკინს წინაღ? — ჰკითხა ბრალმდებლის ამხანაგმა, ისე, რომ მასლოვისათვის არც კი შეუხედნია.

თავმჯდომარემ განუმეორა კითხვა. მასლოვა შეშინებული მისჩგრებოდა ბრალმდებლის ამხანაგს.

— სიმონს ვიცნობდი, — უთხრა მან.

— ახლა მინდა შევიტყო, რა ნაცნობობა ჰქონდა დამნაშავეს კარტინკინთან? ხშირად ჰხედავდნენ ერთმანეთს?

— რა ნაცნობობა გქონდაო? მივეყავდი სტუმრებთან, სხვა არაფერი ნაცნობობა არა მქონია, — უპასუხა მასლოვამ.

— მინდა გავიგო, რაღა მარტო მასლოვა დაჰყავდა კარტინკინს და სხვა არა? — მეფისტოფელურის ღიმილით დაეკითხა ბრალმდებლის ამხანაგი და თვალეები მილიულა.

— რა ვიცი? ეგ საიდგან მეცოდინება? — უპასუხა მასლოვამ, შეშინებული მოიხედა და ერთ წუთს თვალეები ნებლიუდოვზე შეაჩერა: — ვინც უნდოდათ, ის მიჰყავდათ.

„ნუ თუ მიცნო“, — გაიფიქრა ნებლიუდოვმა და საშინლად გაწითლდა, მაგრამ მასლოვას ის სხვებისგან არ განურჩევია, მალე თვალი მოაშორა და ისევ ბრალმდებლის ამხანაგს დააშტერდა.

ბრალმდებლის ამხანაგმა, რადგანაც ნახული ჰქონდა, რომ



ბრალმდებელნი და ვეჭილები მოხერხებულ შეკითხვის შემდეგ სწერდნენ, რაც საჭირო იყო მოწინააღმდეგის შესამუსრავად, დაიწყო წერა, მაგრამ ნამდვილად კი არაფერს სწერდა და მხოლოდ დაწერილ ასოებს აყოლებდა კალამს.

— შემდეგ რა მოჰხდა?—განაგრძო თავმჯდომარემ.

— მივედი სახლში,—განაგრძო უფრო თამამად მასლოვამ,—და დასაძინებლად დაეწეკი. ის იყო, დამეძინა კიდევ, რომ ჩვენი გოგო ბერტა მალეიძებს; „ადე, შენი ვაჟარი ისევ მოვიდაო“-ო. ამას ღვინო უნდოდა,—მისმა ხსენებამ კვლავ შემამჩრუნა,—მაგრამ ფული არა ჰქონდა თან და მე გამგზავნა სასტუმროში, მითხრა, რამდენი იყო ფული და რამდენი წამომეღო. მეც წავედი.

ამ ლაპარაკის დროს თავმჯდომარე მარცხნივ ერთ წევრს ებაახებოდა და მასლოვას სიტყვები ერთიჯ არ გაუგონია და, რომ ეჩვენებინა, ვითომც ყველაფერი გაიგონა, გაიმეორა უკანასკნელი სიტყვა:

— წახვედით? მერე?—ჰკითხა მან.

— წავედი და ყველაფერი ისე მოვიქმედე, როგორც მიბრძანა: შევედი ოთახში, მაგრამ მარტო კი არა, სიმონ მიხაილოვიჩს დავუძახე და აი იმას,—სთქვა მასლოვამ და ბოჩკოვაზე მიუთითა.

— სტყუის, მე არც კი შევსულვარ... დაიწყო ბოჩკოვამ, მაგრამ მალე ჩააჩუმეს.

— ამათ თანადასწრებით ამოვიღე ოთხი წითლიანი—განაგრძო მასლოვამ.

— ხომ არ შეუნიშნავს ბრალდებულს, როცა 40 მანათს იღებდა, რამდენი იყო სულ ფული?—შეეკითხა ისევ ბრალმდებლის ამხანაგი.

მასლოვა შეკრთა. მან ინსტინქტიურად იგრძნო, რომ ბრალმდებელს მისთვის სიკეთე არ უნდოდა.

— არ დამითვლია, დაეინახე მხოლოდ, რომ ას მანათიანები იყო.



— ბრალდებულს დაუნახავს, რომ ეს მანათიანები იყო! —
ეგ მინდოდა მხოლოდ გამეგო.

— მერე, მიუტანეთ ფული? — განაგრძო კითხვა თავმჯდომარემ და საათს დაჰხედა.

— მიუტანე.

— მერე? — ჰკითხა თავმჯდომარემ.

— მერე ისევ თან წამიყვანა, — უპასუხა მასლოვამ.

— აბა, ეხლა მითხარით, როგორ გაურიეთ სასმელში საწამლაფი, — შეეკითხა თავმჯდომარე.

— როგორ გავურიე? ჩავეყარე შიგ ფხვნილი და დავალეფინე.

— რად დაალეფინე?

ამაზედ პასუხი არ გასცა და მწარედ ამოიკვნესა.

— არ მიშვებდა, — ცოტა სიჩუმის შემდეგ დაიწყო მასლოვამ, — და ძალიან შევსწუხდი. გამოველი კარბიდორში და სიმონ მიხაილიჩს ვეუბნები: „დაეილალე, ნეტა ერთი სახლში გამიშვას-მეთქი“. სიმონ მიხაილიჩი მეუბნება: „ჩვენც მოგვაბეზრა თავი, გვინდა ძილის წამალი დავალეფინოთ, დაიძინებს და მერე წადიო“. მე ვუთხარი: „კარგი, მივცეთ მეთქი“. მე მეგონა, წამალი არაფერს ავნებდა. სიმონმა მომცა რაღაც ფხვნილი. შევედი ოთახში, ლოგინში წვეს. მაშინვე კონიაკი მოკითხოვა. ავიღე ფინ-შამპანის კონიაკი, დავასხი ორ ჭიქაში, ერთი მისთვის და ერთი ჩემთვის. მის ჭიქაში ის წამალი ჩავეყარე და მივეცი. რომ მცოდნოდა, განა მივცემდი? მაგრამ არ ვიცი!

— ბექედი როგორღა გაჩნდა თქვენს ხელში? — ჰკითხა თავმჯდომარემ.

— ბექედი თვითონ მაჩუქა.

— როდის გაჩუქათ?

— როცა მივედი; მინდოდა აღრე წამოვსულიყავი. ცემა დამიწყო. მე ტირილს მოვეყე და წასვლა დავაპირე. ოღონდ



ნუ წახეალო და ბეჭედს გაჩუქებო; წაიძრო თითიდან ბეჭედი და მომცა.

ამ დროს ბრალმდებლის ამხანაგმა წინანდებურად წამოიწია, ნება-რთვა მიიღო, რომ მიემართნა ბრალდებულისათვის და ეკითხნა.

— მინდა გავიგო, რამდენ ხანს დარჩა ბრალდებული ვაქართან?

მასლოვას ისევ გააყრეოლა შიშით და სწრაფად წამოიძახა:

— არ მახსოვს, რამდენ ხანს.

— მაშ, არც ის ახსოვს ბრალდებულს, ვაქარ სმელკოვიდან წამოსული, სხვა ოთახში თუ შევიდა სადმე?

— გვერდზედ ცარიელი ოთახი იყო და იქ შევედი, — სთქვა მან.

— რად შეხვედი? — გატაცებულმა პირდაპირ მიჰპარათა ბრალმდებლის ამხანაგმა.

— შეეტლეს ველოდებოდი.

— კარტინკინი იქ იყო, თუ არა?

— ისიც შემოვიდა.

— რათ შემოვიდა?

— ვაქარს ფინ-შამპანი დარჩა და ერთად დავლიეთ.

— ჰოო, ერთად დავლიეთ. ძალიან კარგი! ჰქონდა ლაპარაკი ბრალდებულს სიმონთან, და თუ ჰქონდა, რაზედ ილაპარაკეს?

მასლოვამ უცებ კოპები შეიკრა, საშინლად გაწითლდა და აჩქარებით წარმოსთქვა:

— რაზე გქონდა ლაპარაკი? მე მეტი არაფერი ვიცო და, რაც გინდათ, ის გადამიწყვიტეთ, მე დამნაშავე არა ვარ — მორჩა და გათხვდა. რაც იყო ყველაფერი ვსთქვი!

დუმილი ჩამოვარდა

— გაქვთ კიდევ რამე სათქმელი?

— ყველაფერი ვსთქვი.



— თავმჯდომარემ გამოაცხადა, სხდომა 10 წუთით შეწყდაო, საჩქაროდ ადგა და გავიდა დარბაზიდან მოსამართლეთა შემდეგ წამოდგნენ ნაფიციანი მსაჯულნი, ვეჭილები, მოწმენი და, იმ მოსაზრებით, რომ მნიშვნელოვანის საქმის ერთი ნაწილი გავათავეთ კიდევცაო, აქეთ-იქით გავმართნენ.

ნებლიუდოვი გავიდა ნაფიცი-მსაჯულთა ოთახში და ფანჯარას მიუჯდა.

XII

ღიად, კატო იყო!

პირველად ნებლიუდოვი შეჰხვდა კატას მაშინ, როცა უნივერსიტეტში მესამე კურსზე გადავიდა და მთელი ზაუხუელი დეიდებთან გაატარა. მუდამ ზაფხულს დედიტა და დით მოსკოვის ახლო დედის მამულში ატარებდა. მაგრამ იმ წელს და გათხოვდა, დედა საზღვარ-გარედ წავიდა და ნებლიუდოვმა გადასწყვიტა დეიდებთან წასვლა, რადგან თბულებმა ჰქონდა დასაწერი და იქ ხელს ვერავენ შეუშლიდა. თან დეიდებს ძლიერ უყვარდათ და იმასაც ძლიერ მოსწონდა მათი მარტივი ცხოვრება და ძველებური ოჯახი.

იმ ხანად ნებლიუდოვმა წაიკითხა სპენსერის „სოციოლოგიური სტატისტიკა“ და სპენსერის მსჯელობამ კერძო მიწიდ-მფლობელობის შესახებ ღრმა შთაბეჭდილება დასტოვა მის გულსა და გონებაში, მით უმეტეს, რომ მდიდარ მემამულის შვილი იყო. თუმცა მამა მდიდარი არ იყო, მაგრამ დედამ მზითვად 10 ათასი დესეტინა მიწა მიიღო. ნებლიუდოვმა პირველად გაიგო მთელი უსამართლოება მიწიდ-მფლობელობისა და, როგორც ერთა იმ ჯგუფთაგანი, რომლისთვისაც ზნობრივ მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად მსხვერპლი უმალ-ლესი ბედნიერებაა, გადასწყვიტა არ ესარგებლნა კერძო საკუთრებითა და მაშინვე დაურიგა გლეხებს მამის დატოვებული მიწა. ამ თემაზე სწერდა თბულებსაც.



დღეიდებთან ზაფხულს ასე ატარებდა: დილით ადრე ადგებოდა, ხშირად სამ საათზე და წყალზედ მიდიოდა საბანაოდ. ხან დილიდანვე მიუჯდებოდა თხზულებას და სწერდა. უფრო ხშირად კლდე-ღრეებში ხეტიალს უნდებოდა. სადილის წინად ხშირად ბაღში ეძინა ჩრდილ ქვეშ. სადილს შემდეგ ხშირად ცხენით სეირნობდა, ან ნავით დაცურავდა წყალში. საღამოს კითხულობდა და სწერდა, ან იჯდა დღეიდებთან და ქალაქსა შლიდა. როცა მთვარიანი ღამე იყო, გარედ ატარებდა დროს და ოცნებით გატაცებული სტკებოდა ბუნების მშვენიერებით.

ასე გაატარა დღეიდებთან ერთი თვე და არავითარი ყურადღება არ მიუქცევია შეთვალა ცქრიალა კატოსათვის.

დღის ფრთეთა ქვეშე აღზრდილი ნებლიუდოვი 19 წლის ქაბუკი იყო და სრულიად უმანკო. ოცნებობდა ქალებზე, მხოლოდ როგორც ცოლზე. ყველა ქალი, იმის აზრით, რომელსაც მისი ცოლობა არ შეეძლო, მისთვის ქალი კი არა, უბრალო ადამიანი იყო. ამ ზაფხულს დღეიდებს ესტუმრნენ მეზობელი ქალიშვილები, რომლებსაც თან ახლდა გიმნაზიის მოსწავლე ძმა და ახალგაზდა მხატვარი.

ჩაის შემდეგ ახალგაზდები გავიდნენ მინდორზე სათამაშოდ თან კატოც წაიყვანეს. ნებლიუდოვსა და კატოს ხშირად მოუხდათ ერთად გაქცევა. ეს გარემოება ძლიერ სასიამოვნოდ ჰქონდა ნებლიუდოვს, მაგრამ თავის დღეში ვერ წარმოიდგენდა, რომ იმასა და კატოს შორის შეიძლებოდა სხვანაირი რამ დამოკიდებულება გაჩენილიყო.

— ახლა ამათ ვილა დაიჭერს, — ამბობდა მგზნებარე, მხიარული მხატვარი და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გარბოდა გაქცეულების დასაჭერად, მაგრამ რას დაეწვოდა თავის მოკლე და მრუდე ფეხებით.

— ფეხი არ წამოსდო რასმე.

— დიაღ! როცა დამიჭიროთ, მაშინა სთქვით.

— ერთი, ორი, სამი.



დაპკრეს სამჯერ ტაში. კატო ჩიტვით შეფრთხილდა, შეუცვალა ალაგი ნებლიუდოვს, ჩაპკიდა თავის შავარი ხელი და გაიქცნენ.

ნებლიუდოვი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გარბოდა, რომ მხატვარი არ დასწვოდა. როცა უკან მოიხედა, დაინახა, რომ მხატვარი კატოს გამოსდევნებოდა. კატო მარდად გარბოდა. წინ იასამანის ბუჩქი იდგა, რომლის იქითაც არაფერ გარბოდა, მაგრამ კატომ მოჰხედა ნებლიუდოვს და ანიშნა გასცილებოდა ბუჩქს. საუბედუროდ, ბუჩქს იქით რუ იყო, რომლის არსებობაც ნებლიუდოვმა არ იცოდა, წამოსდო რაღასაც ფეხი და ქინქრებში გაიშლართა, მაგრამ მალე წამოვარდა და სიცილით გაეარდა მინდორზე.

სახე-გაბრწყინებული კატო ჩიტვით მიჰქროდა ნებლიუდოვთან და ხელი ხელში სტაცა.

— მგონი ხელები ქინქარში დაისუსხეთ, — უთხრა მან და თავისი მაყვალივით შავი თვალები შეენათა.

— არ ვიცოდი, თუ იქ რუ იყო, — უპასუხა ნებლიუდოვმა.

კატომ ხელ-ახლა მიიწია ყმაწვილის კაცისაკენ.

უცბად, რაღაც ინსტიქტის ძალითა, ნებლიუდოვმა თავისდა უნებურად მიიზიდა თავისკენ კატო და შიგ ტუჩში აკოცა.

— ეს კარგი ამბავია! — წამოიძახა კატომ, გაუსხლტა ხელიდან და გავარდა.

ამ შემთხვევის შემდეგ ნებლიუდოვსა და კატოს შორის სულ სხვა კავშირი დაიბადა, ისეთი, როგორიც უმანკო ქალსა და ვაჟს შორის არის ხოლმე.

როცა კატო ან ნებლიუდოვის ოთახში შევიდოდა, ან ნებლიუდოვი შორიდან მოჰკრავდა თვალს მისს თეთრ წინსაფარს, რაღაც ტკბილი ერუანტელი დაუფლიდა ხოლმე ტანში, ყოველივე მაშინ საინტერესო იყო მისთვის, გამაცოცხლებელი, აღმამფრენი. ამასვე ჰგონობდა კატოც. როცა ნებლიუ-



დოვი ან უსიამოვნო წერილს მიიღებდა, ან თხზულებების წიგნულ რას ვერ ახერხებდა, საკმარისი იყო მოვეგონებინა, ყანაზე არსებობს კატო და მისი ნახვა ნებლიუდოვს თამამად შეუძლიაო, ყოველივე მოწყენა-უსიამოვნება უცბად ჰქრებოდა.

კატოს თუმცა ბევრი საქმეები ჰქონდა, მაგრამ მულამ თავის დროზე ასწრებდა საქმეებს და თავისუფალ დროს კითხვას ანდომებდა. ნებლიუდოვმა მისცა დოსტოვესკისა და ტურგენიევის თხზულებანი, რომელიც თვითონაც ეხლა ხანს წაეკითხა. ყველაზე მეტად კატოს ტურგენიევის „მყუდროება“ მოსწონდა. ლაპარაკი ხშირად ჰქონდათ კარრიდორში შეხვედრის დროს, აივანზე, ეზოში და ხანდისხან დეიდების მოსამსახურე ქალის შატრონა პაელოვნას ოთახში, სადაც იდგა კატო და სადაც შეხვედრა ყველაზე მეტად სასიამოვნო იყო მათთვის.

ასეთმა კავშირმა კატოს და ნებლიუდოვს შორის მთელს ზაფხულს გასტანა. ეს შეჭნიშნეს დეიდებმა და ისე შეშინდნენ, რომ წერილოც კი მისწერეს საზღვარ-გარედ კნეინა ელენე ივანოვნას, ნებლიუდოვის დედას. დეიდა მარია ივანოვნა შიშობდა, დიმიტრის საქმე არა დაეჭირა-რა კატოსთან, მაგრამ ტყუილი იყო მისი შიში. ნებლიუდოვს ისე უყვარდა კატო, როგორც უყვართ უმანკო ადამიანებს, და ამგვარი სიყვარული იფარაფდა ორივეს დაცემისაგან. ნებლიუდოვს არამც თუ არ უნდოდა მისი ხორციელად დამორჩილება, არამედ იმის წარმოდგენაც კი თავზარსა სცემდა, რომ ვითომ შესაძლებელი იყო ასეთი კავშირი. სოფიო ივანოვნა შიშობდა, ვაი თუ დიმიტრიმ, თავის ახირებულ ხასიათის წყალობით, კატოს შერთვა გაიფიქროსო და შეარცხვინოს თავისი გვარი და წოდებაო. ეს შიში კი უფრო საბუთიანი იყო.

ნებლიუდოვს რომ იმ დროს კარგად გაეთვალისწინებინა თავისი კატოსადმი სიყვარული, ან ვინმეს ეთქვა, ამ ქალიშვილის შერთვა ყოველად შეუძლებელიაო, მაშინვე გადასწყვეტდა, არავითარი მიზეზი არ დამაბრკოლებს შევიტოო ის ქალი,



რომელიც მიყვარს, რა გვარისა და წოდებისაც უნდა იცოდე, დეიდებს არაფერი არ გაუმბელიათ მისთვის დღეს. შეგიძინა შინ, რომ კარგად არც კი ჰქონდა შეგნებული კატოსადმი სიყვარული.

დარწმუნებული იყო, რომ ეს გრძნობა იმ კარგის მდგომარეობის შედეგი იყო, რომელშიაც ის იმყოფებოდა მთელი ზაფხული. როცა შინ მოდიოდა, გარედ გამოჰყვინდებოდა დეიდები და თან კატოც გამოვიდა. კატოს თვალები აცრემლებული ჰქონდა და, რა შეჰნიშნა ეს ნებლიუდოვმა, იგრძნო, რომ რაღაც ძვირფასს ნივთს სტოვებდა იქ. ნებლიუდოვი მეტისმეტად დალონდა.

— მშვიდობით, კატო, გმადლობთ, გმადლობთ, — უთხრა კატოს და ჩაჯდა ეტლში.

— მშვიდობით, დიმიტრი ივანოვიჩი, — უპასუხა კატომ, თავის ნაზისა და სასიამოვნო ხმით, თვალები ცრემლებით აევსო და თავი ძლივს შეიმაგრა, საჩქაროდ შემობრუნდა, გაიქცა დერეფანში და გულ-ამოსკენით დაიწყო ქვითინი.

XIII

მას შემდეგ გავიდა სამი წელიწადი და ნებლიუდოვს კატო ერთხელაც არ უნახავს. ნახა მხოლოდ მაშინ, როცა უკვე აფიცერი იყო, ომში მიემგზავრებოდა და გზად დეიდებთან გამოიარა, მაგრამ სადღა იყო ის სიცოცხლით სავსე, აღფრთოვანებული ნებლიუდოვი, რომელმაც სამის წლის წინად მთელი ზაფხული გაატარა დეიდებთან! წინანდელ ნებლიუდოვსა და ეხლანდელს შორის დიდი განსხვავება იყო. რამდენადაც წინანდელი ნებლიუდოვი პატიოსანი და ყოველ კეთილ საქმისთვის თავდადებული ახალგაზდა იყო, იმდენად ახლანდელი ნებლიუდოვი გაბრწილი, დაწვრილმანებული ეგონისტი და მხოლოდ საკუთარის „მე“-სთვის თავდადებული და თავყვანისმცემელი იყო. წინად თუ ოცნებით გატაცებულს ჰქვია რაღაც საიდუმლოებად ეჩვენებოდა, ახლა ყველაფერი



აშკარა და განსაზღვრული იყო მისთვის. წინად მარტო ბუნებასთან და იმ აღაშინებთან ჰქონდა საქმე, რომლებიც მხოლოდ მისთვის სცოცხლობდნენ და აზროვნობდნენ (ფილოსოფოსები, პოეტები); ახლა მისთვის სხვა-და-სხვა საქეიფო, დროს-გასატარებელ ადგილებისა და დარდიმანდ ამხანაგების გარდა აღარაფერი არსებობდა. წინად თუ ქალი საიდუმლო არსება იყო მისთვის, ახლა კი, ნათესავთა და ამხანაგთა კოლებს გარდა, იმ უბრალო იარაღთაგანი იყო, რომლის სიტკბოებაც მან უკვე სცადა. წინად თუ შეეძლო ეკონომიით ცხოვრება, დაკმაყოფილება იმ ფულის მესამედ ნაწილით, რომელსაც დედა უგზავნიდა, შეეძლო უარი ეთქვა იმ მამულზედ, რომელიც მამამ დაუტოვა, და მიეცა გლეხთათვის, ახლა ხშირად უსიამოვნო ლაპარაკი მოსდიოდა დედასთან, რადგან 1,500 მანეთზედ მეტს არ აძლევდა და ეს ფული კი ვერ აკმაყოფილებდა ნებლიუდოვის აღვირ წახსნილ მოთხოვნილებათ და ხშირად თავგები დანავარდობდნენ მისს ჯიბეში. წინად თუ საკუთარ ნამდილ „მე“-დ თავისი სულიერი არსება მიაჩნდა, ახლა თავისი ჯან-სალი, სიცოცხლის მიმდევარი და პირუტყვეული „მე“ გაეხადა სათაყვანო.

ეს ცვლილება მოხდა ნებლიუდოვის არსებაში იმის წყალობით, რომ საკუთარი რწმენა კარგა ხანია დაკარგა და სხვებისა უფრო მეტად ირწმუნა, რადგან საკუთარის რწმენით ყოველივე თავის „მე“-ს წინააღმდეგ უნდა გადაეწყვიტა და ეს კი, ცოტა არ იყოს, მაინცა და მაინც სასიამოვნო არ იყო მისთვის. სხვების რწმენით-კი არაფერი არ ჰქონდა გადასაწყვეტი და ხშირად, როცა თავის რწმენით ხელმძღვანელობდა რაიმე საქმეში, სხვები მსჯავრსა სდებდნენ მისს მოქმედებას, ემდურებოდნენ, ხოლო სხვისის რწმენით თუ მოქმედებდა, მოწონებისა და ქების მეტი არა ესმოდა-რა.

როცა ან კითხულობდა და ან ლაპარაკობდა ღმერთსა, სიმართლესა, სიმდიდრესა და სიღარიბეზე, თითქმის ყველა სასაცილოდ იგდებდა და ამგვარ ლაპარაკს უალაგოდ სთვლი-



დნენ. დედა და დეიდები „notre cher philosophe“^{ეს, ვისი დედა} ხოლმე. როცა ნებლიუდოვი რომანებს კითხულობდა^{და მშობლებს} და ურცხვად სხვა-და-სხვა უმსგავსო ანეგდოტებს, დადიოდა ფრანგების თეატრში სასაცილო ვოდვეილებზე და შემდეგ მზიარულად უამბობდა ვისმე, მაშინ ყველა აქებდა და აქეზებდა. როცა საჭიროდ ჰხედავდა რამდენადმე ფრთები შეეკვცინა თავის მოთხოვნილებისათვის, იცვამდა ძველ პალტოსა და ღვინოზე უარს ამბობდა—ყველა გაკვირვებული იყო ასეთის საქციელით და, როცა ნადირობაზედ ან კაბინეთის მოსართავად ჰფლანგავდა აუარებელ ფულს, ეს ყველას მოსწონდა და საჩუქრადაც უგზავნიდნენ ძვირფასს ნივთებს. როცა ნებლიუდოვი უმანკო არსება იყო და უნდოდა ქორწინებამდე ასე დარჩენილიყო, მშობლები ძლიერ შიშობდნენ, — ეს ცუდ გავლენას იქონიებს მის ჯანმრთელობაზეო და თითქმის ესიამოვნათ კიდევ, როცა გაიგეს, რომ მათმა შვილმა მოსტაცა თავის ამხანაგს ვიღაც ფრანგის ქალი, რითაც თავისი ვაჟაცობა დაამტკიცაო. ის ამბავი კი, რომ ნებლიუდოვს კატოს შერთვა მოსვლოდა ფიქრად, შიშის ზაცსა სცემდა კნეინადელას.

ამ გვარადვე თავზარ დამცემი იყო მისის დედისა და ნათესავებისათვის, როცა გაიგეს, რომ ნებლიუდოვმა მამის დატოვებული მიწა გლეხებს მისცაო. ყველა ნათესავი სასაცილოდ იგდებდა და ჩასჩინებდნენ: სარგებლობის მიგვიერ, პირიქით, ზარალი მოუტანე გლეხებს, რადგან გამართეს სამიკიტნოები და მუშაობაზე ხელი აიღესო. როცა ნებლიუდოვმა გვარდიის ჯარში შესვლის დროს ქალაქში წაიგო ამხანაგებთან იმდენი ფული, რომ ელენე ივანოვნა იძულებული შეიქმნა თანხისთვის მოეკლო, არც კი სწყენია ესა და თითქმის სასიამოვნოდაც დაურჩა, რადგან, მისის აზრით, ეს საბოლოოდ კარგი იქნებოდა.

დიდხანს იბრძოდა ნებლიუდოვი. ყველა ის, რაც სწამდა და კარგი იყო, სხვას არა სწამდა და ავ საქმედ მიაჩნდა, ხო-



ლო რაც ნებლიუდოვისათვის ცუდი იყო, ის სხვებს მოსწონდათ. გათავდა მით, რომ დაანება საკუთარ რწმენას სხვებისა ირწმუნა. საკუთარ თავის უარყოფა თუმცა ძნელი წარმოსადგენი იყო წინად ნებლიუდოვისთვის, მაგრამ თანდა-თან შეურიგდა ამ აზრს და ბოლოს, როცა ლოთობასა და პაპიროსის წევას მიჰყო ხელი, ვიღას ახსოვდა თავისი თავი!

ისე შესტობა ნებლიუდოვმა ამ ფუქსავეტ ცხოვრებაში, რომ გულშივე ჩაჰკლა ის ხმა, რომელიც მისგან სულ სხვასა თხოულობდა. ასეთი ამბავი დაიწყო პეტერბურგში ვადასელის შემდეგ და დასრულდა სამხედრო სამსახურში შესვლით.

ნებლიუდოვის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როცა სრულიად განთავისუფლდა ყოველისავე ზნეობრივ პრინციპისაგან და ეგოიზმის ნამდვილ სიგიჟესა ჰგრძნობდა.

ამ მდგომარეობაში იყო ნებლიუდოვი, როცა სამის წლის შემდეგ ხელმეორედ შეიარა დეიდებთან.

XIV

ნებლიუდოვმა შეუხვია, დეიდებთან, რადგან ის მამული, სადაც დეიდები სცხოვრობდნენ, იმ გზის ახლოს იყო, სადაც ჯარს უნდა გაეცლო, ამიტომ დიდი გზა არ გაუმრუდდებოდა ნებლიუდოვს იქ შევლით, თან დეიდებიც სთხოვდნენ შეეცლო მათთან. უმთავრესად კი ნებლიუდოვს კატოს ნახვის სურვილი ეწეოდა იქით. შეიძლება ვიფიქროთ, რომ კატოს შესახებ ცუდი აზრი ჰქონდა ახლა და ამ განზრახვით მიდიოდა იქ, მაგრამ ცხადადვერა ჰგრძნობდა ამას. უნდოდა მხოლოდ ენახა ის ადგილები, სადაც მან სიამოვნებით გაატარა ერთ დროს ზაფხული. უნდოდა ენახა დეიდები, რომლებსაც იმაზე ამოსდიოდათ მზე და მთვარე, და მათთან ერთად კატოც, ის კატო, რომელზედაც ბევრი ტკბილი მოგონებანი ჩარჩენოდა ხსოვნაში.

ესტუმრა დეიდებს მარტის მიწურულებში, ვნების კვირას, მთლად გაწუნწული და სიცივისგან აკანკალებული, მაგრამ ჩვეულებრივ მხნე და მზიარული. „ნეტა ვიცოდე, დამხედება



თუ არა“ — გაიფიქრა ნებლიუდოვმა, როცა დაუახლოვდა წინა ცნობ ძველებურ სახლს, რომლის სახურავიდანაც მისი მისამართის თოვლი გორაკებივით იყო დაზეინებული. ნებლიუდოვი გულის ფანქვალით ელოდა, როცა მოვიდა სახლში, აი ებლა გამოვარდება კატო, აი ახლაო, მაგრამ არ სჩანდა. აივანზე გამოვიდა ორი დედაკაცი, რომლებსაც ეტყობოდათ, რომ იატაკს რეცხავდნენ, რადგან ფეხ-შიშველნი იყვნენ. ნებლიუდოვი გადმოხტა ეტლიდან და შევიდა წინა ოთახში. აქაც გაუცრუვდა მოლოდინი, კატოს მაგიერ სოფიო ივანოვნა გამოეგება ცოცხით ხელში.

— უჰ! რა კარგი ჰქენი, რომ მოხვედი, — უთხრა სოფიო ივანოვნამ და ჩაჰკოცნა, — მაშო ცოტა უქეიფოდ შეიქნა, დაიღალა ეკლესიაში დგომით; დღეს ვეზიარებთ.

— მაშ, მომილოცნია; დეიდა სონა, — უთხრა ნებლიუდოვმა სოფიო ივანეს ასულს და ხელზე აკოცა. — მაპატიეთ, დავსველდი.

— წადი შენს ოთახში, სულ დასველებულხარ. გაზრდილხარ, გამშვენიერებულხარ... კატო, კატო! ყავა მოართვი ჩქარა.

— ეხლავე! — მოისმა ნაცნობი ტკბილი ხმა კარიღორიდან.

ამ ხმამ ნექტარივით დაუარა ტანში ნებლიუდოვს და გულმა ძაგა-ძაგი დაუწყო. მზიარულად ვაჰყვა ლაქია ტიხონს თავის წინანდელ ოთახში ტანისამოსის გამოსაცვლელად.

ნებლიუდოვს უნდოდა ეკითხნა ტიხონისთვის კატოს ამბავი, როგორ არის, ან ხომ არ გათხოვილაო, მაგრამ ტიხონი ისეთი ზრდილი და თან სასტიკი იყო, რომ ნებლიუდოვმა ევლარ გაუბედა კატოს ამბის გამოკითხვა, ჰკითხა მხოლოდ, შენი შვილის-შვილები როგორ არიანო; მურა ძაღლის ამბავიც იკითხა, მაგრამ შარშან თურმე გაცოფიანებულიყო.

ის იყო ნებლიუდოვმა გაიხადა სველი ტანისამოსი და მშრალის ჩაცმა დაიწყო, რომ უცბად ჩქარი ფეხის ხმა და



კარების კაკუნი მოესმა. ნებლიუდოვმა იცნო კატო ფეხის ხმაზე. ასე მხოლოდ ას დადიოდა.

საჩქაროდ გადაიკცა სველი შინელი და მივიდა კარებთან.

— შემობრძანდით.

ეს იყო კატო. ისეთივე მშვენიერი და ლამაზი, როგორც წინად. მოიტანა დეიდას გამოგზავნილი ახლად გახსნილი სუნ-ნელოვანი საპონი და ორი პირსახოცი.

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, დიმიტრი ივანოვიჩ, — ძლივს-ძლივობით წარმოსთქვა და გაწითლდა.

— გამარჯობა! გამარჯობათ! — არ იცოდა „შენობით“ თუ „თქვენობით“ დაეწყო ლაპარაკი და ისიც გაწითლდა: — როგორ გიკითხოთ?

— მადლობა ღმერთს... აი დეიდამ თქვენი საყვარელი ვარდისფერი საპონი გამოგიგზავნათ, — უთხრა მან და დასდო საპონი მაგიდაზე.

— თავისი საპონიცა აქვთ, — სთქვა ტიხონმა და თავმო-წონედ გადაჰხედა ჩოთქებით, შუშებით, ფიქსატურებითა და სხვა-და-სხვა „ღუბებით“ საესე დიდ ვერცხლის წესესერს.

— მადლობა მოახსენეთ დეიდა-ჩემებს. რომ იცოდეთ, როგორ მოხარული ვარ? — ტკბილად უთხრა ნებლიუდოვმა და მეტის სიამოვნებისაგან გულიანად გაიღიმა.

კატო გავიდა ოთახიდან.

დეიდებს გულით უყვარდათ ნებლიუდოვი და დიდად სასიამოვნო იყო მათთვის მისი ნახვა; ეხლანდელი ნახვა კი მით უმეტეს საკირო და სასიამოვნო იყო, რომ, ვინ იცის, იქნება მერე ველარც კი ენახათ, რადგან ომში მიემგზავრებოდა და იქ შეიძლება ან დაეკრათ და ან მოეკლათ. ეს ფიქრი ძალიან აღელვებდა დეიდებს.

ნებლიუდოვს ისე ჰქონდა გამოზომილი დრო, რომ დეიდებთან ერთის დღე-ღამის მეტი არ უნდა დარჩენილიყო, მაგრამ კატოს დანახვამ ისე დაუბნია დავთარი, რომ გადასწყვიტა, აღდგომას იქ შეჰგებებოდა და თავს ამხანაგ შენბოკს,



რომელსაც ოდესაში უნდა დახვედროდა, აცნობა, მოიარეო.

კატოს დანახვამ გაუღვიძა ნებლიუდოვს წინანდელი მიფერფლილი გრძნობა. წინანდებურად უღელავდა სისხლი, როცა ჰხედავდა მისს მაყვალივით შავს, მგზნებარე თვალებს, ესმოდა მისი ტკბილი, ნაზი ხმა, გულის წარმტაცი სიცილი. აშკარად ჰგრძნობდა, რომ უყვარდა. მაგრამ ისე კი არა, როგორც წინად, როცა სიყვარული დიდი საიდუმლო იყო მისთვის. მაშინ თითქმის სცხვენოდა სიყვარულისა.

ნებლიუდოვი, როგორც საზოგადოდ ყველა ადამიანი, ორ არსებად იყოფოდა: სულიერ არსებად, რომელიც მუდამ მზადაა ყოველისავე კეთილ საქმისათვის, და მხეცურ ადამიანად, რომელსაც თავისთვის მუდამ კეთილი სურდა და მზად იყო, მთელი ქვეყნიერება მსხვერპლად შეეწირა, ოღონდ-კი თვითონ ყოფილიყო კმაყოფილი. ამ სულელურ ეგოიზმის დროს, რომელიც სამხედრო სამსახურში შეხვდა და პეტერბურგში ცხოვრებამ გამოიწვია, მხეცური ადამიანი გაბატონებულიყო და სულიერი არსება ფებქვეშ გაეთელა და ჩაეღრჩო მაგრამ კატოს ნახვამ ცოტათი გამოათხიზლა, სულიერმა ადამიანმა თავი წამოაპყრა და თავისი უფლება მოითხოვა.

ნებლიუდოვი ჰგრძნობდა, რომ დრო იყო გზას გასდგომა, რადგან ამდენი დაყოვნება კარგს არას მოუტანდა და მაინცა და მაინც არაფრად საჭირო იყო მისი იქ დარჩენა, მაგრამ ისე ალტაცებული და თავდავიწყებამდე მზიარული იყო, რომ თავის თავს არ უმხელდა ამას და ჯერ კიდევ არ ეპირებოდა წასეღას.

აღდგომის წინანდლით, დიდ შაბათს, დეიდებს ესტუმრა მღვდელი და დიაკვანი, რომლებსაც დიდის ვაი-ვაგლაბითა და გაქივრებით გამოველოთ მარზილით სამი ვერსი გზა.

ნებლიუდოვმა დეიდებთან ერთად მთელი ცისკარი ფეხზე დგომით მოისმინა და თვალი არ მოუშორებია კატოსთვის, რომელიც კარებთან იღვა და საცეცხლური შემოაქონდა. ცი-



სკრის შემდეგ ნებლიუდოვმა ჩაჰკოცნა დეიდები, მიულოცა ბრწყინვალე დღესასწაული და ის იყო დასაძინებლად დააპირა, რომ კარიდორში მოსამსახურე ქალის მატრონა ივანოვნას და კატოს ფუსფუსი შემოესმა, რომლებიც ეკლესიაში წასვლას ემზადებოდნენ კვერცხების საკურთხებლად. „წავალ მეცა“!—იფიქრა ნებლიუდოვმა.

გზა იმდენად წამბდარი იყო, რომ არც ფეხით და არც მარხილით წასვლა არ შეიძლებოდა. ნებლიუდოვმა შეაკაზმინა ცხენი, ჩაიცვა ბრწყინვალე მუნღირი, ჩაიცვა პალტო, მარდად მოახტა ცხენს და გასწია ეკლესიისაკენ.

XV

ეს ღამე მგზავრობა და ეკლესიაში წირვის მოსმენა იმდენად სასიამოვნო და ღირს-შესანიშნავი იყო ნებლიუდოვისათვის, რომ საპატიო ადგილი დაიჭირა მისს ხსოვნაში და მთელს მისს სიცოცხლეში საოცნებო საგნად გაუხდა.

როცა დიდის გაჭირების შემდეგ მიადგა ეკლესიის ეზოს, წირვა უკვე გათავებულ იყო.

გაიგეს თუ არა გლეხებმა მარია ივანოვნას დისწულის მისვლა, საჩქაროდ გაიყვანეს მშრალ ალაგზე, ჩამოსვეს ცხენიდან და შეუძღვნენ ეკლესიაში. ეკლესია მთლად გაქვილი იყო სადღესასწაულოდ მორთულ ხალხით.

მარჯენივ იღვნენ გლეხები—მოხუცი, შინ მოქსოვილ შალის ხიფთანითა, ქალამნებითა და თეთრის წინდებით, და ახალგაზრდები—მაულის ახალ ხიფთანით, ბრჭყვილა ქამრებითა და წაღებით; მარცხნივ იღვნენ ქალები სხვა-და-სხვა ფერის კაბებითა და ბათინკებით. სულ უკან იღვნენ მოხუცი დედა-კაცები, უბრალო კაბებითა და თეთრის თავსახვევებით. აქა-იქ ბავშვებიც ერივნენ აქრფლებულ ტანსაცმელით. ყველა წამ-და-უწუმ პირჯვარს იწერდა. ეკლესია გაჩაღებული იყო სანთლებით. კლიროსიდან ისმოდა მგალოზელთა გუნდის ხმა-მალალი გალობა.



ნებლიუდოვი გავიდა წინ. შუაში იღვა არსებობის მემამულე კოლშვილით, თემის უფროსი, ტელეგრაფის ტანჯვას კარი მალალ-ყელიან წაღებით, მამასახლისი თავის მედლით და მათ უკან მარტონა პელონა იისფერ კაბითა და კატო, თეთრის კაბითა და ცისფერი სარტყლით.

ყველა და ყოველივე სადღესასწაულოდ იყო მართული: მღვდელი ბრწყინვალე შესამოსლოთა, დიაკვნები, მგალობელთა გუნდი, სანთლებით გაჩირაღდებული ეკლესია, და „ქრისტე აღსდგას“ ძახილი საოცნებო ელფერსა სდებდა იკაურობას. ყოველივე მშვენიერი იყო, მაგრამ ყველაზე უმშვენიერესი კატო იყო, თეთრის კაბით, ცისფერ სარტყლითა და აღზნებულის თვალებით.

კატოს არც კი მოუხდენია ნებლიუდოვისაკენ, ისე დაინახა. ნებლიუდოვმაც იგრძნო ესა, როცა საკურთხეველისკენ წავიდა და, თუმცა სათქმელი არაფერი ჰქონდა, მაგრამ უცბად მოიგონა და უთხრა:

— დეიღამა სთქვა, რომ წირვის შემდეგ გავიხსნილებო.

კატო საშინლად გაწითლდა და თავისი მგზნებარე თვალები შეანათა.

— ვიცი, — ღიმილით უთხრა მან.

ამ დროს საკურთხეველიდან გამოვიდა დიაკვანი და წამოვიდა ხალხისაკენ. კატოს გვერდით ჩაუარა და უცაბედად წამოსდო სტიქარონის კალთა. ნებლიუდოვი გაოცდა: დიაკვანს არ ესმის, რომ, როგორც აქ, ისე ყველგან ყოველივე მარტო კატოსთვის არსებობსო. ყველაფერის დაგმობა და შელაპერვა შეიძლებოდა ქვეყანაზე, იმის აზრით, და კატოსი კი არა. მისის აზრით, ყველაფერი, რაც კი კარგი და მშვენიერი იყო, მარტო კატოსთვის იყო, ეს გაბრწყინებული ეკლესია, ეს სამხიარულო საგალობლები: „აღდგომა უფლისა, ერნო, გიხაროდენ“ და სხვა. ნებლიუდოვი ჰგონებდა, თვით კატოც ვგრძნობს, რომ ყველაფერი მისთვის არისო. ხანდისხან გადა-



შხედავდა მის ალვისხესავით წერწეტ ტანს და ნებლიუდოვს
ერუანტელი დაუვლიდა ტანში.

ნებლიუდოვი წირვის გათავებამდე გამოვიდა ეკკლესიიდან.
კარებთან შეჩერდა, აქ შემოეხეზინენ მათხოვრები. ამოიღო ქისა
და, რაც წვრილი ფული ჰქონდა, დაურიგა მათხოვრებს და
გავიდა ეკკლესიიდან. თუმცა კარგად ინათლა, მაგრამ მზე ჯერ
კიდევ არ ამოსულიყო. ხალხი გამოვიდა ეკკლესიიდან და
გაიფანტი ეზოში. კატო და მატრონა პავლოვნა ჯერ კიდევ
არ გამოსულიყვნენ ეკკლესიიდან. ნებლიუდოვმა ლოდინი
დაუწყო.

ნებლიუდოვთან მივიდა ახალგაზდა გლეხი.

— ქრისტე აღსდგა; — ღიმილით უთხრა მან და შიგ ტუ-
ჩებში აკოცა.

ამ დროს კატო და მატრონა პავლოვნაც გამოვიდნენ.
ეკკლესიიდან.

ნებლიუდოვს სახე გაუბრწყინდა.

ისინი გაჩერდნენ ეკკლესიის კარებთან და მათხოვრებს
მოწყალება მისცეს. კატოსთან მივიდა ერთი უცხვირო მათხო-
ვარი. კატომ ამოიღო ხელსახოციდგან რალაცა და მისცა, შე-
მდეგ მხიარულის სახით მიუახლოვდა გლახას და სამჯერ აკოცა.
ამ დროს მისი თვალები შეხვდა ნებლიუდოვის თვალებს და,
თითქო ეკითხებოდა, ხომ კარგად მოვიქეციო?!

„აგრე, აგრე, საყვარელო, ყველაფერი კარგია, ყველა-
ფერი მშვენიერია, მიყვარხარ!“

ნებლიუდოვი მივიდა იმათთან.

— ქრისტე აღსდგა, — უთხრა მატრონა პავლოვნამ, მოიწ-
მინდა ცხვირსახოცი თუჩები და გაიწია საკოცნელად.

— ჭეშმარიტად! — მიუგო ნებლიუდოვმა და აკოცა.

მიუბრუნდა ახლა კატოს. კატო მთლად გაწითლებული
მივიდა მასთან.

— ქრისტე აღსდგა, ღიმიტრი ივანოვიჩ!

— ჭეშმარიტად აღსდგა! — მიუგო მან.



აკოცეს ერთმანეთს ორჯერ და გაჩერდნენ, თითქოს ჩაფიქრდნენ, საჭირო იყო თუ არა მესამედ კოცნა და დადგნენ, როგორც საჭირო იყო, კიდევ აკოცეს ერთმანეთს და გაილიმეს.

— მღვდელთან ერთად არ წამოხვალთ? — ჰკითხა ნეხლიუდოვმა.

— არა, დიმიტრი ივანოვიჩ! ჩვენ აქ დავსხდებით, ცოტას დავისვენებთ. — უთხრა კატომ და თვალები შეანათა.

შეყვარებულ ქალისა და კაცის სიყვარულში არის ისეთი წუთი, როცა სიყვარული უმწვერვალეს წერტილამდის მიაღწევს ხოლმე, როცა ამ სიყვარულში არაფერი შეგნებული, გონებრივი და გრძნობითი არა არის-რა.

ასეთი წუთი იყო ნეხლიუდოვისთვის ეს ბრწყინვალე აღდგომის ღამე. როცა ახლა წარმოიდგინა ეს წუთი, წარმოიდგინა კატოს ნაზი წერწეტი ტანი, მაყვალივით შავი თვალეები და უმთავრესად ის ორი ღირსება, რომელიც გარეგან საღამაზესთან სულიერად ამაღლებდა: ქალწულისებური წმინდა სიყვარული არა თუ მარტო კატოსადმი, არამედ ყველასადმი, და იმ გლახისადმიც, რომელსაც მან აკოცა, — ყველაფერი დაჩრდილა ამ წარმოდგენამ.

ოჰ, ნეტავი ყოველივე ამ გრძნობაზე გათავებულიყო, როგორც იმ ღამეს. «ღიალ, ყველა უბედურება იმ ბრწყინვალე აღდგომის ღამის შემდეგ მოჰბდა», — ჰფიქრობდა ახლა ნეხლიუდოვი, ნაფიც მსაჯულთა ოთახში სარკმელთან მიმჯდარი.

XVI

ეკლესიიდან დაბრუნებისას ნეხლიუდოვმა ისაუბრა დედებთან ერთად, ლაზათიანად გადაჰკრა ღვინო და არაყი და შემდეგ წავიდა თავის ოთახში. არც კი გაუხდია, ისე ჩაწვა ლოგინში და მაშინვე ჩაეძინა. კარების კაკუნმა გამოაღვიძა. კაკუნზე იცნო, ვინც იყო, და საჩქაროდ წამოდგა ზმორებით.

— კატო, შენა ხარ? შემოდი, — დაუძახა მან. კარები გააღო.

— სადილადა ვთხოვენ, — უთხრა კატომ.

ჯერ ისევ თეთრის კაბით იყო. შეხედა თუ არა, ნებლიუდოვს სახე გაუბრწყინდა, თითქოს რაღაც დიდად სასიამოვნო ამბავი ახარაო.

— ეხლავე მოვალ, — უთხრა ნებლიუდოვმა და სავარცხელი აიღო თმის დასავარცხნად.

კატო ერთ წუთს რილასთვისაც შეჩერდა. ნებლიუდოვმა შეამჩნია ესა და მიიწია მისკენ, მაგრამ კატო საჩქაროდ შემოტრიალდა და ჩქარის ნაბიჯით წავიდა.

„რა სულელი ვარ, — სტევა ნებლიუდოვმა, — რატომ არ დავიჭირე!“

საჩქაროდ გავარდა ოთახიდგან, სირბილით გამოუდგა უკან და დაეწია კარრიდორში.

ვერ წარმოედგინა, რა უნდოდა, მაგრამ ჰფიქრობდა, რაკი კატო ჩემს ოთახში შემოვიდა, რაღაც უნდა მომეკმეუნდა, ის, რასაც ყველა ჰკისრულობს ამ დროს და მე-კი ასე არ მოვიტყეო.

— კატო, დაიკა, — დაუძახა მან.

— რა გნებაეთ? — უთხრა და შეჩერდა.

— არაფერი... ისე...

თავის თავს ძალა დაატანა, მოიგონა, როგორ იტყვევებ ამ დროს ყველა და კატოს წელზედ ხელები მოჰხვია.

კატო გაჩერდა და გაბედულად თვალი თვალებში გაუყარა.

— ეგ არ შეიძლება, დიმიტრი ივანოვიჩ! — არ შეიძლება, — საშინლად გაწითლდა, თვალები ცრემლით ავესო და თავის პატარა, მძლავრის ხელებით მოიშორა ნებლიუდოვი.

ნებლიუდოვმა გაუშვა და ისეთი საშინელი სირცხვილი იგრძნო, რომ თითქმის თავის თავიც შეეზიზღა. უნდოდა დარწმუნებულიყო, რომ ეს უცბად აღძრული გრძნობა, სირცხვილი და ზიზღი, მშვენიერი გრძნობა იყო, მაგრამ ეს წუთიერი




გამოფხიზლება იყო, გაუელვა აზრმა, ვითომ ეს მისის სისულელის ნაყოფი იყო და ისე უნდა მოქცეულიყო, ვინაშენაც ყველანი იქცევიან.

ისევ გამოუდგა კატოს, დაიჭირა და კოცნა დაუწყო. ეს კოცნა დიდად განსხვავდებოდა იმ ორ წინანდელ კოცნისაგან, ერთი იასამანის ბუჩქს იჭითა და მეორე ამ დილით, ეკლესიის კარზედ. ეს კოცნა კი საზარელი იყო და ეს კატომაც იგრძნო.

— რას შვრებით?—ისეთის ხმით დაიყვირა, თითქოს ნებლიუდოვს რაღაც ძვირფასი რამ გაეტეხოსო, და გაიქცა.

ნებლიუდოვი შევიდა სასადილო ოთახში. მორთულ-მოკაზმული დღიდები, ექიმი და მეზობელი ქალი საუბრეს შეექცეოდნენ. ყველაფერი ჩვეულებრივი იყო, მხოლოდ ნებლიუდოვის გულში საშინელი ქარიშხალი იყო ატეხილი. გონება-დაუტანებელი იუგრძნობლად იძლეოდა ზასუბს. მთლად მისი ფიქრი კატოსა და იმ ტკბილ საოცნებო კოცნას ეხვევოდა გარშემო, რომელიც მოსტაცა კატოს ვარდისფერ ბაგეთაგან. სხვა არაფერზე არ შეეძლო ამ ღროს ფიქრა. როცა კატო შემოდოდა ოთახში, დიდი ძალდატანება იყო საჭირო, რომ არ მიეხედნა და თვალი არ გადაეგლო მისთვის.

სადილის შემდეგ წავიდა თავის ოთახში და დიდად აღელვებული მოჰყვა წინ და უკან სიარულს. ვაფაციცებით ყურს უგდებდა ფეხის ხმას. მხეცურმა ადამიანმა თავი წამოჰყო, გაიბიჯგა, გაინაფარდა, ფეხ-ქვეშ გასთელა სულიერი ადამიანი, გასრისა, გაანადგურა. ასე გაბატონებული თავის დღეში არ ყოფილა. ნებლიუდოვს სულითა და გულით უნდოდა ამ დღეს როგორმე მარტოდ მოეხელებინა კატო, მაგრამ ამაოდ, ვერ მოახერხა. კატო ისე გაურბოდა, როგორც თათარი ლორის ხორცს. საღამოზე საჭმე სხვა რიგად დატრიალდა. კატო იმ ოთახში უნდა შესულიყო, რომელიც ნებლიუდოვის ოთახის გვერდითაა, რადგან ექიმი დარჩა ღამე და მისთვის ლოგინი უნდა გაეშალა. გაიგონა თუ არა მისი ფეხის ხმა, ნებლიუდოვი



წამოდგა და ქურდულად, თითქოს რაღაც საშიშარე კობის ჩადენას აპირებდნო, ფეხ-აკრეფით შეიპარა ოთახში.

როცა იქ ნებლიუდოვი შევიდა, ორივე ხელები კატოს ბალიშის პირში ჩაეყო და კუთხეებს ასწორებდა. ინსტიქტიურად უკან მოიხედა და, რა დაინახა ნებლიუდოვი, საცოდავად გაიღიმა. ეს ღიმილი არ იყო ჩვეულებრივი აღერსიანი და სასიამოვნო. ამ ღიმილში იხატებოდა უსამზღვრო შიში და სასოწარკვეთილება. ამ ღიმილმა ნებლიუდოვს თითქოს აგრძნობინა, ცუდად იქცევით. ერთ წუთს შეჩერდა. აქ კიდევ შესაძლებელი იყო ბრძოლა. თუმცა სუსტად, მაგრამ მაინც ისმოდა წმინდა სიყვარულის იღუმალი ხმა, რომელიც ჩასწურაულებდა: „კატო აღამიანია, გრძნობა აქვს, სიცოცხლე სწყურია“. მეორე ხმა ეუბნებოდა: „რას შვრები, შე ბრიყვო, ხელიდან უშვებ სიკვბოებას, ბედნიერებას?!“ ამ ხმამ ჩააყუჩა პირველი ხმა და ნებლიუდოვი საშიშარმა პირუტყულმა გრძნობამ მთლად დაიმორჩილა.

ნებლიუდოვმა მაგრად მოჰხვია ხელები კატოს და დასვა ლოგინზე. თან ჰკოცნიდა, ეხვეოდა. ბოლოს იგრძნო, რომ რაღაც უნდა ექმნა კიდევ და გვერდით მოუჯდა.

— დიმიტრი ივანოვიჩი! მეგობარო, თუ ხათრი გაქვთ, გამიშეით, — ეუბნებოდა თავგანწირულის ხმით. — მატრონა პავლოვნა მოდის, — დაიყვირა მან და მხოლოდ დაუსხლტა ხელიდგან. მართლაც კარებს ვიღაც უახლოვდებოდა.

— მაშ, მე მოვალ შენთან ღამე, — წაილაპარაკა ნებლიუდოვმა, — შენ ხომ მარტო ხარ?

— რას ამბობთ? არაფრის გულისხამთის! არ შეიძლება! — უთხრა კატომ, მაგრამ მთელი არსება კი სულ სხვა აზრისა იყო.

მართლაც შემოვიდა მატრონა პავლოვნა, საბნით ხელში, წყენით გადაჰხედა ნებლიუდოვს და კატოს ჯავრობა დაუწყია: რატომ ის საბანი არ გაგიტანია სტუმრისთვის, რომელიც საჭირო იყო.

ნებლიუდოვი გავიდა ოთახიდან. სრულიად არა სცხვე-



ნოდა. მატრონა პავლოვნას სახემ ნათლად დაანახა ქუთუმი და ამიანი ყველაფერს მიჰხვდა, და თვითონაც ხედავდა, როგორც უნდა იქცეოდა, მაგრამ მხეცურმა ადამიანმა ჩასჭიდა ხელი, დღეს ის იყო გაბატონებული და ყველაფერი მის სურვილისამებრ უნდა შესრულებულიყო. ნებლიუდოვმა არ იცოდა ახლა როგორ მოქცეულიყო და საშუალებას ეძებდა, როგორმე შეესრულებინა თავისი გულის წადილი.

მთელი საღამო თავის ქერქში აღარ იყო, ერთ აღგილას ველარ ჩერდებოდა, ხან დეიდებთან შედიოდა, ხან თავის ოთახში შევარდებოდა გიჟივით, ხან აივანზე ვადიოდა და მუდამ იმ ფიქრებში იყო, როგორმე მარტოდ მოვახელო კატოსაო. მაგრამ კატო გაურბოდა და თან მატრონა პავლოვნაც მკაცრად ადევნებდა თვალ-ყურს.

XVII



ამ ყოფაში გაატარა ნებლიუდოვმა მთელი საღამო. როცა დაღამდა, ექიმი დასაძინებლად წავიდა, მამიდები კი ოთახს ალაგებდნენ. ნებლიუდოვმა იცოდა, რომ მატრონა პავლოვნა ახლა მამიდებთან იყო და კატო მარტო იქნებოდა სამოახლო ოთახში. ვაფიდა აივანზე. გარედ ძალიან ბნელოდა. გაპენტელ ბამბასავით თეთრი ბურუსი სუდარასავით გარდაჰყვნოდა მთელს ქვეყანას. წყლიდან, რომელიც ასის ნაბიჯით იყო მოშორებული სახლზე, რაღაც უცნაური ქაბა-ქუხის ხმა ისმოდა. ყინული ტყდებოდა.

ნებლიუდოვი ჩამოვიდა აივნიდგან და სამოახლო ოთახის სარკმელთან მივიდა. გულს ისეთი ძაგა-ძუგი ვაჰქონდა, რომ ნებლიუდოვს სული ეხუთებოდა, ხან ისე საშინლად ამოიგმი-ნებდა, გვეგონებოდათ, გული თან ამოაყოლაო.

სამოახლო ოთახში პატარა ლამპარი ბეუტავდა. კატო მაგიდასთან იჯდა და, ღრმა ფიქრებში წასული, ერთს ალაგს მისჩერებოდა. ნებლიუდოვმა სული გატრუნა, მიბობლდა სარკმელთან და ყურება დაუწყა. ორის წუთის შემდეგ კატომ



გაილიმა, თავი გაიქნია, თითქო ღრმა ფიქრები მოიშორებოდა. ვიღანაო, და ისევ წინანდებურად გაშტერდა.

ნებლიუდოვი სულ-განაბული იდგა და თვალს არ აშორებდა კატოს. აშკარად ესმოდა თავის გულის ძაგა-ძუგი და თან ის უცნაური ხმა, რომელიც მდინარიდან ისმოდა. იქ, მდინარეში, რაღაც გაცხარებული მუშაობა იყო. ისმოდა მტრევა თხელის ყინულებისა.

ნებლიუდოვი ჰხედავდა, რა სულიერი ბრძოლა იხატებოდა კატოს სახეზე, ჰხედავდა მისს ტანჯულს სახეს და სიბრალოლი აღეძრა გულში, მაგრამ საკვირველია! ეს სიბრალოლი უფრო ცეცხლს უკიდებდა, აღელვებაში მოჰყავდა.

ნებლიუდოვმა წყნარად სარკმელი დაუკაკუნა. კატო შეკრთა, ელექტრონივით დაუარა ტანში ამ კაკუნმა, წამოვარდა ზეზე, მივიდა სარკმელთან და გამოიხედა. იცნო ნებლიუდოვი. კატოს ისეთი დაფიქრებული, — თითქოს სასტიკი სახე ჰქონდა, როგორც არასოდეს. გაილიმა მხოლოდ მაშინ, როცა ნებლიუდოვმა გაუღიმა. ნებლიუდოვმა ხელით ანიშნა გარედ გამოდიო, მაგრამ მან თავი გაიქნია უარის ნიშნად. ნებლიუდოვმა სარკმელთან მიიტანა თავი და ის იყო დაძახებას აპირობდა, რომ კატო უცბად კარებისკენ მიტრიალდა. ვიღამაც დაუძახა. მაშინვე მოშორდა სარკმელს. ბურუსი ისეთი სქელი იყო, რომ ნებლიუდოვი ხუთ ნაბიჯზედ ვეღარ ჰხედავდა სარკმელს. მდინარეზე ისევ ყინულს გაჰქონდა ქახა-ქუხი. სადღაც მახლობლად მამალმა დაიყიელა. ამას მისცეს ბანი სხვა მამლებმაც და გაიმართა ჩინებული კონცერტი. უკვე მეორე მამლის ყივილი იყო.

ნებლიუდოვმა გაიარ-გამოიარა სახლის გვერდზე და ისევ სარკმელთან მივიდა. ლამპარი ისევ ბეუტავდა და კატო ისევ ისე დაღონებული იჯდა მაგიდასთან. კატომ უცბად მოიხედა; ნებლიუდოვმა დაუკაკუნა სარკმელი, კატო სწრაფად წამოხტა, გამოვარდა სამოახლო ოთახიდან და ნებლიუდოვმა აშკარად გაიგონა, როგორ გაიღო ვარედ გამოსასვლელი



კარები. იგი კატოს ელოდა დერფთანში; დაინახა თქვენს მამა-
 ტა და მოჰხვია ხელები. კატო მიეკრა და, ასწია თავი მაღ-
 ლა თუ არა, მათი ტუჩები ერთმანეთს მოჰხვდა და შეე-
 წება. ნებლიუდოვი საშინლად ჰქმინავდა, მთლად აღზნე-
 ბული იყო დაუკმაყოფილებელ სურვილით. უცბად კარები
 გაიღო და მატრონა პავლოვნას გაჯავრებული ხმა მოისმა.

— კატო!

კატო სწრაფად დაუსხლტა ხელიდან და შევარდა ოთახ-
 ში; ნებლიუდოვს ესმოდა, როგორ ჩაჰკეტეს კარები და ჩააქ-
 რეს ლამპარი. დარჩა მარტო გარედ.

ნებლიუდოვი ისევ მივიდა სარკმელთან, მაგრამ არაფერ
 არა სჩანდა. დააკაკუნა, მაგრამ ხმა არაფერ გასცა. დაბრუნდა
 ოთახში, გაიხადა წაღები და შიშველის ფეხებით გასწია კა-
 ტოს ოთახისაკენ, რომელიც მატრონა პავლოვნას ოთახის
 გვერდით იყო. ის მიუახლოვდა მატრონა პავლოვნას ოთახს,
 საიდანაც ისმოდა მატრონა პავლოვნას ხმა-მადლი ზერინვა. ის
 იყო შესვლა დააპირა კატოს ოთახში, რომ მატრონა პავლო-
 ვნას ხველა აუვარდა და მეორე გვერდზე გადაბრუნდა. ნებ-
 ლიუდოვი გაჰქვავდა ერთ ალაგას. ცოტა ხნის შემდეგ მატ-
 რონა პავლოვნამ დამშვიდებული ზერინვა ამოუშვა.

ნებლიუდოვი მიადგა კატოს ოთახის კარებს. კატოს უთუ-
 ოდ არ ეძინა, რადგან მისი სუნთქვა არ ისმოდა. ნებლიუ-
 დოვმა წყნარად დაუძახა; კატო თოფნაკრავივით წამოვარდა,
 მივარდა კარებთან და დაუწყა ხეწინა-მუდარა ნებლიუდოვს—
 წადიო.

— აბა, ეს რასა ჰგავს? რასაქციელია? დეიდები გაიგებენ, —
 ეუბნებოდა კატო, მაგრამ მთელი მისი არსება-კი თითქოს
 ამას ამბობდა: „მე მთლად შენი ვარ, ჩემო სასურველოო“.

აშკარად ჰგრძნობდა ამას ნებლიუდოვი.

— მხოლოდ ერთ წუთს გააღე კარი, გთხოვ, გემუდა-
 რები, — ეუბნებოდა ნებლიუდოვი. კატო გაჩერდა. შემდეგ ნე-



ხლიუდოვმა გაიგონა კარებზე ხელის ცაკუნნი. კარები გაი-
ლო და ნებლიუდოვი შევიდა ოთახში.

შესვლისათანავე სტაცა ხელი კატოს და, როგორც იყო,
ისე აიტაცა და წაიყვანა თავის ოთახში.

— ოჰ! რას შერბით!—ჩურჩულებდა კატო.

მაგრამ ნებლიუდოვი ყურადღებას არ აქცევდა ამ სიტ-
ყვებს და არხეინად მიდიოდა თავის ოთახში.

— ოჰ! არ შეიძლება! გამიშვით!—ფუბნებოდა კატო და
თან მაგრად ეკვროდა, ეხუტებოდა...

როცა კატო საშინლად აკანკალებული და დაქანცული
დაბრუნდა თავის ოთახში, ნებლიუდოვი გავიდა აივანზედ და
გაჩერდა.

გარედ მონათებულოყო. მდინარეზე ხმაურობა თან-და-
თან მატულობდა. ამოცურდა ბადრი მთვარე და თავისი მკრთა-
ლი ნათელი მოჰფინა დედამიწას

„რა არის ეს? დიდი ბედნიერება, თუ დიდი უბედური
შემემთხება, ნეტავი?“—ეკითხებოდა ნებლიუდოვი თავის თავს.
„მუდამ ასეა, ყველა ასე იქცევა“,—სთქვა მან თავისთვის და
წავიდა დასაძინებლად.

XVIII

მეორე დღეს ნებლიუდოვთან შემოიარა მომხიბლველმა
შენბოკმა და თავისის მოსწრებულის სიტყვებით, ოხუნჯობითა
გულ-უზნობით და დიმიტრისადმი სიყვარულით მთლად მოჰ-
ხიბლა დეიდები. მისი სიუხვე თუმცა ძალიან მოეწონათ დე-
იდებს, მაგრამ გოაცებულნი იყვნენ, რადგან შენბოკმა ნა-
მეტანი გადაამეტა. ბრმა მათხოვარს აჩუქა ერთი მანათი, მო-
სამსახურეს 15 მანათი და, როდესაც სოფიო ივანოვნას პა-
ტარა ფინია სიუზეტკამ ფეხი გაიფხაქნა, შენბოკი ერთს წუთ-
საც არ დაფიქრებულა, ამოიღო მშვენიერი ცხვირსახოცი და
ფეხი შეუხვია ძალს (სოფიო ივანოვნამ კარგად იცოდა,
რომ თორმეტი ასეთი ცხვირსახოცი 15 მანათად ღირდა). დეი-



დებს შენბოკისთანა კაცი ჯერ არ ენახათ და არც იცოდნენ, რომ ამ შენბოკს 200 ათასი მანათი ვალი ჰქონდა და შენბოკის ნათით მეტი ან ნაკლები მისთვის სულ ერთი იყო.

შენბოკი დარჩა ერთი ღღე და შემდეგ ნებლიულოვთან ერთად გაემგზავრა. მეტი დარჩენა არ შეიძლებოდა, რადგან ჯარში გამოცხადების უკანასკნელი ღღე იყო.

ამ უკანასკნელ ღღეს საშინელ მდგომარეობაში ჩაეარდა ნებლიულოვი. ჰგრძნობდა, რომ რაღაც დიდი დანაშაული მოიქმედა და ამ დანაშაულის გასწორება საჭირო იყო.

უგუნურ ეგოიზმის წყალობით, ნებლიულოვი ახლა მხოლოდ მარტო თავის თავზე ჰფიქრობდა, სახელდობრ იმაზედ, თუ როგორ შეჰხედავდა ხალხი მისს ამ გვარ ქცევას კატოსთან, გაამტყუნებდნენ, თუ არა, და იმაზედ კი ერთხელაც არ დაფიქრებულა, რას ჰგრძნობდა ახლა კატო და რა მოელოდა მომავალში.

ნებლიულოვს ფრიად სასიამოვნოდ ჰქონდა, რომ შენბოკი მიუხედა ყველაფერს.

— კიდევ იმითმ შეგაუყვარდა ასე უცხად დეიდები, — უთხრა შენბოკმა, როცა კატო დაინახა. — თითქმის ერთი კვირაა აქა ხარ; შენს ედგილას მეც ასე მოვიქცეოდი. საუცხოვოა, ღმერთმანი.

თუმცა ძლიერ საშფუხარო იყო მისთვის ასე უცხად წასვლა, როცა ჯერ კიდევ არ გამძღარიყო სიყვარულით, მაგრამ ერთის მხრით ძალიან საჭირო იყო, რაც შეიძლება, ადრე წასვლიყო, რადგან ამით ერთბაშად სწყვეტდა კატოსთან კავშირს; უამისოდ ამ კავშირის გაწყვეტა ბოლოს ძნელი იქმნებოდა. ჰფიქრობდა მიეცა მისთვის ფული, რადგან ამისთანა შემთხვევაში ყველა ასე იქცეოდა.

წასვლის ღღეს ნებლიულოვმა დაუწყო კატოს დერეფანში ლოდინი. კატო გამოვიდა და, დაინახა თუ არა ნებლიულოვი, საშინლად გაწითლდა, უნდოდა გზა აექცია და თავა-



ლით ანიშნა სამოახლოს გაღებულ კარები, მაგრამ ნებლიულოვმა შეაჩერა.

— მე მინდოდა გამოგთხოვებოდით, — უთხრა მან. — შენ კონვერტს კმუჭნიდა. — იმ მე...

კატო მიჰხვდა, კაპები შეიკრა, თავი გაიქნია უარის ნიშნად და ხელი იქით წააღებინა.

— გამომართვი! — წაიბუტბუტა მან და ძალიან უბეში ჩაუღო კონვერტი და, თითქოს ხელი დაეწვაო, უცბად მოაშორა და საჩქაროდ გაიქცა თავის ოთახისაკენ.

დიდხანსა სცემდა მოუხვენრად ბოლთას ოთახში, ხან ხტოდა, ხან დარბოდა და მწარედ ჰკვენსოდა, როცა ეს სცენა გაახსენდებოდა.

მაგრამ რა უნდა ეთქვა? მუდამ ასეა. ასე მოექცა შენბოკი ერთ მოახლეს, ასე მოიქცა ბიძია გრიშა და მისი მამაც, სოჯელში ცხოვრების დროს რომ შეეძინა შეილი მიტრო, რომელიც ახლა ცოცხალი იყო. მაშ, რაკი ყველა ასე იქცეოდა, სჩანს, ასე უნდოდა და ისიც ასე უნდა მოქცეულიყო, — ასე ანუგეშებდა თავის თავს ნებლიულოვი, მაგრამ ნუგეში შორს იყო. ეს მოგონება გულ-მუცელსა სწვავდა.

თავის გულის სიღრმეში რომ ჩაეხედნა ნებლიულოვს, აშკარად დაინახავდა, რომ ისე საძაგლად, მკაცრად და უსვინდისოდ მოიქცა, რომ არ შეეძლო ხალხისათვის თვალეში შეეხედნა, არ შეეძლო თავის თავისთვის პატიოსანი, გულკეთილი ახალგაზდა ეწოდებინა.

იმ ცხოვრებაში, რომელშიაც ფეხი შესდგა: — ახალი სანახავენი ამხანაგები, ომი, — ძალიან ხელი შეუწყო და, რამდენადაც ღრმად შედიოდა ამგვარ ცხოვრებაში, იმდენად თანდათან ავიწყდებოდა ეს ამბავი და, მართლაც, ბოლოს სულ დავიწყა.

მხოლოდ ერთხელ, ომის გათავების შემდეგ, ესტუმრა დეიდებს, რომ კატო ენახა, მაგრამ იქ აღარ დაუხვდა. დეიდებმა უამბეს, კატოს ყოლა შეილი და უფრო გაიბრუნა, გა-



ფუქდაო. ნებლიუდოვს რაღამაც გულზე უჩხვლიტა. ანგარი-
 შით, ის ბავშვი, რომელიც კატოს ეყოლა, შეეძღვებოდა
 ყოფილიყო და შეიძლება სხვისიც. დედები ცუდად იხსენი-
 ებდნენ კატოს და ამბობდნენ, თავიღვანვე ისეთივე გარყვნი-
 ლი იყო, როგორც დედა-მისიო. ნებლიუდოვს სასიამოვნოდ
 დარჩა დედების ამგვარი ლაპარაკი კატოს შესახებ, რადგან
 ეგონა, რომ ეს ჩემი გასამართლებელი მიზეზიაო. თუმცა პირ-
 რველად უნდოდა მოენახა კატოცა და ბავშვიც, მაგრამ ისეთ
 საშინელს სირცხვილსა ჰგრძნობდა, რომ შესაფერი ღონისძი-
 ება არ მიიღო და სულ მთლად დაივიწყა თავისი ცოდვები.

მაგრამ ახლა არა-ჩვეულებრივმა შემთხვევამ აგრძნობინა,
 რომ ყოველად უგულოდ, სასტიკად და საზიზღრად მოიქცა.
 არ უნდოდა მხოლოდ გამოტეხილიყო, შეენანა თავისი საქ-
 ციელი და ჰფიქრობდა მხოლოდ იმას, რომ რაიმე მანქანებით
 ყოველივე არ გამომეღვანებულიყო და ან კატოს, ან მისს
 ვეჭილს არ ეთქვათ ყველაფერი და ამდენის ხალხის წინაშე
 თავი არ მოექრათ მისთვის.

XIX

ასეთ სულიერ მდგომარეობაში იყო ნებლიუდოვი, როცა
 სასამართლოს დარბაზიდან ნაფიც მსაჯულთა ოთახში გავიდა.
 იჯდა სარკმელთან, ყურს უგდებდა გარშემო ლაპარაკს და პა-
 პიროსს პაპიროსზე ეწეოდა.

შხიარული ვაჭარი თანაუგრძნობდა ვაჭარ სმელკოვის დროს
 ტარებას.

— ეჰ, რომ იცოდეთ, რა ნაირად ქეიფობდა. ნამდვილ
 ციმბირულ გემოზე. მერე არჩევაც რომ კარგი სცოდნია! რა
 ლამაზი გოგონა უშოენია და!

პეტრე გერასიმოვიჩისა და ებრაელ ნოქარს ერთი ამბავი
 ჰქონდათ და რაღაზედაც გულიანად ხარხარებდნენ. როცა ვინმე
 დაეკითხებოდა რასმე ნებლიუდოვს, უგულოდ და ნაწყვეტ-ნა-



წყვეტად პასუხს იძლეოდა. მხოლოდ ერთი რამ უნდოდა ვი-
ლით: თავი დაენებებინათ მისთვის და მოსვენებით ყოფილიყო.

როცა ფილენჯიანმა სასამართლოს ბოქაულმა შიშვენიან-
ფიცნი მსაჯულნი სასამართლოს დარბაზში, ნებლიუდოვს ში-
შის ჟრუანტელმა დაუარა ტანში. ისე შეეშინდა, თითქოს ხვას
კი არა, იმას ასამართლებნო. ახლა ის აშკარადა ჰგრძობდა,
რომ ყოვლად გახრწნილი ადამიანი იყო, მაგრამ ჩვეულები-
სამებრ მტკიცე ნაბიჯით ავიდა ამაღლებულ ალაგზე და, ვი-
თომც აქ არაფერი იყო, გვერდით მიუჯდა ამხანაგებს.

დამნაშავენიც ისევ შემოიყვანეს.

დარბაზში ახალი ხალხი იყო — მოწმენი — და ნებლიუდოვ-
მა შეამჩნია, რომ კატომ რამდენჯერმე გადაჰხედა ერთ აბრე-
შუმის კაბით მორთულ ქალს, რომელიც პირველ რიგში იჯ-
და. როგორც ბოლოს გაიგო ნებლიუდოვმა, ეს ქალი კატოს
ღიასახლისი და მოწამე თურმე იყო.

დაიწყო მოწმენთა ჩვენების მოსმენა და გამოკითხვა: სა-
ხელი, სარწმუნოება და სხ.; შემდეგ შეეკითხნენ მომჩივან-მო-
პასუხეთა, როგორა ვსურთ, ფიცით იყოს ჩვენების ჩამორთმე-
ვა, თუ არაო. წამოდგა ისევ ძლივს-ძლიობით ბებერი მღვდელი
და წინანდელგებრ გულ-დამშვიდებით დააფიცა მოწმენი და ექ-
სპერტი. დაფიცების შემდეგ ყველა მოწმე გაიყვანეს, გარდა
კატოს ღიასახლისის კიტაფვისა. იმასა ჰკითხეს, რა იცით ამ
საქმის შესახებ. კიტაფვამ ეს ელაპარაკა:

პირველად ჩემთან მოვიდა სასტუმროს მოსამსახურე სიმო-
ნი ლიუბაშას წასაყვანად და, რამდენისამე ხნის შემდეგ, ლიუ-
ბაშა დაბრუნდა ვაჭართან ერთადო.

— ვაჭარი ეშხზე იყო მოხული, — გაიღიმა ოდნავ კიტაფ-
ვამ, — და ჩვენსას განაგრძო სმა, მაგრამ ფული შემოაკლდა და
თვით ლიუბაშა გაჰგზავნა ფულის მოსატანად, — სთქვა ესა და
ბრალდებულს გადაჰხედა.

ნებლიუდოვს მოეჩვენა, ვითომც კატომ გაიღიმა ამ სი-
ტყვებზე და საშინელი ზიზღი აღეძრა გულში.



რა აზრის იყავით მასლოვის შესახებ? — კრძალვით შეეკითხა ახალგაზდა დამცველი, რომელიც კატოს ^{სტატიკა} ^{განათლებული} ^{და მშვენიერი ქალი იყო.}

— ძალიან კარგისა, — მიუგო კიტაევამ, — განათლებული და მშვენიერი ქალი იყო. კარგს ოჯახში იზრდებოდა და ფრანგულადაც კი კარგად ლაპარაკობდა. თუმცა ხანდისხან ზედმეტსა სვამდა ხოლმე, მაგრამ არასოდეს თავდავიწყებამდე არ მიდიოდა. ძალიან კარგი ქალი იყო!

კატო ამ დროს კიტაევას შეჰპურებდა, მაგრამ უცხად თვალი მოაშორა იმას, გადაჰხედა ნაფიცი მსაჯულთ და ნებლიუდოვს მიაჩერდა. დიდხანს იყო დაშტერებული მისი მოვლევარე, საოცარი თვალეზი ნებლიუდოვზე და, თუმცა ეს ნაფიცი მსაჯული საშინელმა შიშის ზარმა აიტანა, მაინც თვალი ვერ მოეშორებინა მისთვის. ახლა მოაგონდა ის საშიშარი ბნელი ღამე, ბურუსით მოცული, როცა მდინარეზე ხმაურობა ისტყდა. ეს თვალეზი რაღაც საშინელს ამბავს აგონებდა.

„მიცნო“! — გაიფიქრა ნებლიუდოვმა და მუშტის ოდენად ამოიკუნტა, თითქო ეს არის, ახლა დამეცემა თავზე შები და ჩამიტანსო, მაგრამ კატომ ვერ იცნო, ყრუდ ამოიკვნესა და ისევ თავმჯდომარეს დაუწყო ყურება. ნებლიუდოვმაც თავისუფლად ამოისუნთქა. „ოჰ, ნეტავ ჩქარა გათავდეს“, — ჰფიქრობდა ნებლიუდოვი. ახლა იმ გრძნობით იყო გამსქვალული, როგორიც აღეძვრის ხოლმე მონადირეს, რომელმაც ბოლო უნდა მოუღოს დაკოდილ ფრინველს: ზიზღი, შეცოდება და სინანული ერთად ირევა. დაკრილი ფრინველი ფართხალებს, მონადირეს ებრალებს, თან ეზიზღება და თანაც საჭიროა ბოლო მოუღოს.

ასეთ ორ-ქოთა გრძნობით იყო გამსქვალული ნებლიუდოვი, როცა მოწმეთა ჩვენებას ყურს უგდებდა.

XX

თითქოს ნებლიუდოვის ჯიბრზედ, საქმე ძალიან გაქიანურდა: შემდეგ სათითაოდ მოწმეთა შეკითხვისა და, როგორც საზოგადოდ მიღებულია, ყველა უმნიშვნელო ჩვენების ჩამორ-



თმევისა, შემდეგ გამოკითხვისა, თავმჯდომარემ სთხოვა ნაფიც მსაჯულთ, გაესინჯათ ნივთიერი საბუთები, ვებერთელსა მხეცელნი და ბრილიანტის თვლითა და ფილტრი, რომლითაც გამოკვლეული იყო საწამლავი.

ნაფიცნი ის იყო შეუდგნენ ნივთების გასინჯვას, რომ ბრალმდებლის ამხანაგი წამოდგა და მოითხოვა ნივთების გასინჯვამდე წაეკითხათ მიცვალებულის გვამის სამკურნალო გამოკვლევა.

თავმჯდომარე თუმცა ყოველსავე ღონეს ჰხმარობდა, ადრე გაეთავებინა საქმე და კარგად იცოდა, რომ ამ ქალაქის წაკითხვა საჭირო არ იყო მიინცა-და-მიინც, მაგრამ უარი ვერ უთხრა ბრალმდებლის ამხანაგს და თანხმობა გამოაცხადა. მდინეანმა აიღო ქალაქი და თავისებურის წრიპინით დაიწყო კითხვა.

გარეგნულის გამოკვლევით შემდეგი აღმოჩნდა:

1) ფეროპონტ სმელკოვი სიმაღლით 2 ადლი და 12 გოჯი იყო.

— ლაზათიანი და მოსული ვაჟკაცი ყოფილა, — წასწურჩულა ყურში ნახლიუდოეს ვაჭარმა.

2) გარეგნულის შეხედულობით ორმოცის წლისა.

3) გვამი დასიებული იყო.

4) ტყავი ალაგ-ალაგ დაბერილა ტანზე პატარა ბუშტებივით და ალაგ-ალაგ გადამძვრალა და ნაჭრებ-ნაჭრებად არის ჩამოკიდებული.

5) თმა ქერა, სქელი, ხელის მიკარებაზე აღვილად სცვივა.

6) თვალები ფრასოებიდან გადმოვარდნია და ჩაჰქრობია.

7) პირიდანა, ცხვირიდანა და ყურებიდან ქაფივით სითხე გამოსლის, პირი ნახევრად გაღებული აქვს.

8) კისერი აღარ ეტყობა თავ-პირის დასიებისაგან.

9) და სხვა და სხვ.

ამ გვარად, ოც-და-ოთხ ფურცელ ქალაქლზე დაწერილებით აღწერილი იყო გარეგნული გამოკვლევა მოქიფე ვა-



ქრის საშიშარ, ვებერთელა დასიებულ გემისა. კატოს ცხოვრება, ცხვირიდან გამოდენილი ჩირქი, გადმოკუქტნილი მძვინვარება, — ყოველივე ერთმანეთში ერეოდა ნებლიუდოვს და ღრღინა გაქირვებაში იყო. გათავდა თუ არა გარეგნულ გამოკვლევის კითხვა, თავმჯდომარეს ეგონა, ეს არის, გათავდა ყველაფერიო და თავისუფლად ამოისუნთქა, მაგრამ, საუბედუროდ, მდივანმა მაშინვე დაიწყო შინაგან გამოკვლევის აღწერის კითხვა.

შინაგან გამოკვლევით შემდეგი აღმოჩნდა:

1) თავის ქალას ტყავი აღვილად სძვრებოდა და შედედებული სისხლი არსად არ შეუნიშნაეთ.

2) თავის ქალის ძვლები საშუალო სისქისა და მთელია.

3) ტვინზე აღმოჩნდა ორი პატარა ლაქა, დაახლოვებით 4 დიუიმი, და სხვ. და სხვ., კიდევ 13 მუხლი.

შემდეგ იწყებოდა დამსწრეთა ხელ-მონაწერები და ექიმის დასკვნა, რომ, როგორც ვაქრის გემის გაქრის დროს აღმოჩნდა და როგორც ოქმშია შეტანილი, კუქსა და ნაწლავებში მომხდარი ცვლილება გვაძლევს საბუთს ვიფიქროთ, რომ ვაქარ სმელკოვის სიკვდილი გამოიწვია საწამლაემბა, რომელიც სისმელთან ერთად დაუღვევია.

კუქისა და ნაწლავების გამოკვლევით ძნელი იმისი თქმა, თუ რომელი საწამლაევი მიიღო სმელკოვმა, მაგრამ ეს კი აშკარაა, რომ სასმელთან ერთად მიუღია საწამლაევი, რადგან კუქში ბლომად აღმოჩნდა მაგარი სასმელი.

— სჩანს, ძალიან მსმელი ყოფილა, — წაიბუტბუტა გამოფხიზლებულმა ვაქარმა.

ამ ოქმის კითხვა მთელს საათს გაგრძელდა, მაგრამ მაინც ვერ დააკმაყოფილა ბრალმდებლის ამხანაგი. როცა გათავდა კითხვა, თავმჯდომარე მიუბრუნდა:

— ჩემის აზრით, შიგნეულის გამოკვლევის აღწერა მეტი იქნება.

— მე კი გთხოვთ წაიკითხოთ ეგ გამოკვლევა, — მკვეთრის კილოთი უთხრა ბრალმდებლის ამხანაგმა და ისეთნაირ-



რათ წამოიწია და ისეთის კილოთი წარმოსთქვა ეს სიტყვები რომ ნათლად აგრძნობინა თავმჯდომარეს, ამის უფლებად და ვებოულობ კანონის ძალით, ხოლო და, უკეთუ უარს მეტყვით, საბუთი მექნება პროტესტი ვანვაცხადოო.

დიდ-წვერა სასამართლოს წევრი, რომელიც კუქის ტკივილით საშინლად იტანჯებოდა, მიუახლოვდა თავმჯდომარეს და უთხრა:

— რა საჭიროა ამის კითხვა? მხოლოდ საქმე გაქიანურდება და სხვა არაფერი. ეს ახალი ცოცხი დიდხანს ვერ დაჰგვის ასე წმინდად.

ოქროს სათვალეებიან წევრს არაფერი არ უთქვამს, თავჩაქინდრული იჯდა და იატაკს დაჰყურებდა, რადგან არც კოლისაგანა და არც ცხოვრებისაგან კეთილს არას მოელოდა.

ოქმის კითხვა დაიწყო:

188... წელს, 15 თებერვალს, მე, ქვემოთ ამისა ხელის მომწერმა, სამკურნალო განყოფილების მონდობილობით, 638 №-ქვეშა, — დაიწყო თავისებურის ხმით მდივანმა, — სამკურნალოს ინსპექტორის თანდასწრებით გამოვიკვლიე:

- 1) მარჯვენა ფილტვები და გული (ექვს-გირვანქიან შუშის ქილაში).
- 2) კუქში შეგროვილი ნივთიერება (ექვს-გირვანქიან შუშის ქილაში).
- 3) თვით კუჭი (ექვს-გირვანქიან შუშის ქილაში).
- 4) ღვიძლი, ტყირაბი და თირკმლები (სამგირვანქიან შუშის ქილაში).
- 5) ნაწლევები (ექვს გირვანქიან თიხის ქილაში).

თავმჯდომარე ოქმის კითხვის დაწყების დროს მიუბრუნდა ერთ წევრს და უჩუროჩულა რაღაც, შემდეგ მეორეს და, როცა საჭირო პასუხი მიიღო, მიუბრუნდა მდივანს და კითხვა შეაწყვეტინა.

— სასამართლოს აზრით, მეტია ამ ოქმის კითხვა, — სთქვა მან.



მდივანი მაშინვე დაიშინდა. ბრალმდებლის ვიზიტით კვირვებით რილასიც წერა დაიწყო.

— ნათიც მსაჯულთ შეუძლიანთ გასინჯონ ნივთიერი საბუთები, — სთქვა თავმჯდომარემ.

ზოგიერთნი ნათიცთაგანნი წამოგნენ და გასინჯეს ბეჭედი, შუშა და ფილტრი. ვაქარმა თითხედაც კი გაიკეთა ბეჭედი.

— აბა, თითიც ამისა ჰქვიან, აი! — სთქვა მან, როცა თავის ალაგას დაბრუნდა. — შუშა კიტრის ოდენა თითი არა ჰქონია იმ დალოცვილს! — დაუმატა და ოცნებაში წავიდა.

XXI

როცა ნივთიერ საბუთების განხილვა გათავდა, თავმჯდომარემ გამოაცხადა, გამოძიება გათავებულიაო და, რადგან ძალიან უნდოდა ადრე მოელო ბოლო საქმისთვის, ბრალმდებლის ამხანაგს სიტყვის თქმის ნება მისცა, იმ იმედით, რომ იქნება შეგვიბრალოს და სიტყვა მოკლედ მოსჭრასო. მაგრამ ბრალმდებლის ამხანაგმა არ შეიბრალა არც თავისი თავი და არც სხვები. როცა სიტყვის თქმის ჯერი იმაზე მიდგა, ზღაპრით წამოდგა, ტანში ვაიმართა, ორივე ხელები საწიგნობელზე დააწყო, თვალი მიმოაეღო დარბაზში მყოფთ ისე, რომ ბრალდებულთათვის არ შეუხედნია, და დაიწყო:

— საქმე, რომელიც თქვენ უნდა განიხილოთ, ბატონო ნათიცნო მსაჯულნო, — დაიწყო მან წინდა-წინვე მომზადებული სიტყვა, — თუ შეიძლება ასე ესთქვათ, ერთი ფრიად საგულთსხმიერო ავაზაკობაა.

ბრალმდებლის ამხანაგის აზრით, მის სიტყვას, როგორც შესანიშნავ ევქილთა სიტყვასაც, უთუოდ საზოგადო მნიშვნელობა ჰქონდა. შესანიშნავნი ევქილნიც ასე იწყებენ სიტყვას. ბრალმდებლის ამხანაგის ვალი იყო, ღრმად შეეგნო ავაზაკობის ფსიხოლოგიური მნიშვნელობა და საზოგადოების იარები გამოემზევებინა.



— თქვენ, ნაფიცნო მსაჯულნო, ჰხედავთ დღეს სა-
გულისხმიერო, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, ავაზაკობას, რომელი
მელსაც იმ დაწყებითის მოვლენის დაკნინებითი სპეციფიციური
ხასიათი აქვს, რომლის გავლენის ქვეშაც იმყოფება საზოგადო-
ების ის ელემენტი, რომელიც დღეს ამ არა-ჩვეულებრივ პრო-
ცესის მწველ სხივებს ქვეშ იმყოფება...

ბრალმდებლის ამხანაგმა, რათა ერთის მხრით გაეხსენე-
ბინა ყველა ის აზრები, რომელიც წინაღ მოიფიქრა, და მეორის
მხრით სიტყვა არ გაეწყვიტა, დიდხანს, ილაპარაკა. მხოლოდ
ერთხელ შესწყვიტა ლაპარაკი, დიდხანს აწკლავუნებდა უცნა-
ურად პირს და ნერწყვსა ჰყლაპავდა, მაგრამ შემდეგ, რაკი
დაიწყო, დანაკლისი ერთ-ერთად შეასრულა.

ხან ნახის, წყნარის ხმით ლაპარაკობდა, ხან მოიშავებე-
დებდა სახეს და რვეულში იხედებოდა, ხან ხმას აღამაღლებდა,
თავს მაღლა აიღებდა და რიხით მიჰმართავდა მაყურებელთა და
ნაფიც მსაჯულთ, ხოლო ბრალდებულთათვის ერთხელაც არ
შეუხებდნია. მისი სიტყვა ყველაფრით შეზავებული იყო, არა-
ფერი არ აკლდა, რაც კი ამ ჩვენს დროს ხმარებაშია და მე-
ცნიერების უკანასკნელ სიტყვად ითვლება; აქ იყო მემკვი-
დრეობით, დაბადებით თან-დაყოლილი ავაზაკობა, ლომბროზო,
ტარდი, ევოლიუცია, ბრძოლა არსებობისათვის, ჰიპნოტიზმი,
შთაგონება, შარკო და დეკადენტობა.

ბრალმდებლის ამხანაგის აზრით, ვაჰარი სმელკოვი ერთი
იმ ხელუხლებელ რუს ვაჟკაცის ძლიერი ტიპთაგანი იყო, რო-
მელიც თავის წრფელის გულის წყალობით შეიქმნა გარყვნილ
ადამიანთა მსხვერვლად, რომელიც ენდო გულუბრყვილოდ ავა-
ზაკთა.

სიმონ კარტინკინი ბატონჯომბის ატვისტური ქმნილებააო,
მივიწყებული, გაუნათლებელი, უპრინციპო და ურჯულო.
ფეშია—მისი ხასა იყო და მსხვერპლი მემკვიდრეობისაო. დეგე-
ნერატიულ პიროვნების უტყუარი ნიშნები ამჩნევია ფეშეიას.
ავაზაკობის უმთავრესი ჩარხი კი მასლოვაა, როგორც დეკა-



დენტობის წარმომადგენელი. ამ დედაკაცმა, — ამბუბდუ, ტუბუ-
მდებლის ამხანაგი და მასლოვას თვალს არიდებდა, —
ლება მიიღო, როგორც მისი დიასახლისი ამტკიცებს, იცის
წერა-კითხვა და ამასთანავე ფრანგული ენაც; ობოლია, უთუოდ
თანდაყოლილი აქვს ავაზაკობა. აღიზარდა ინტელიგენტ-
აზნაურთა ოჯახში და შეეძლო პატიოსან შრომით ეცხოვრა,
მაგრამ სტოვებს თავის მწყალობელთა ოჯახს და სულითა და
ხორციით მთლად ეძლევა ვნებათა ღელვის სურვილს. დიდად
განიჩნევა სხვებისაგან თავის გამჭირაზობითა და განვითარე-
ბულის გონებით და როგორც თქვენ გააგონეთ, ბატონო-
ნაფიცო მსაჯულნო მისის დიასახლისისაგან, ის გავლენა
აქვს აღამიანზედ, რომელიც გამოკვლეულია მეცნიერებისაგან
და რომელსაც, შარკას მეცნიერულ გამოკვლევით, ეწოდება
შთაგონება, ჰიპნოტიზმა. ამ თვისების წყალობით ხელთ იგდებს
გულ-კეთილ რუს გმირს, მდიდარ სტუმარს, ჯერ სძარცვავს
და შემდეგ უწყალოდ ასალმებს სიცოცხლეს.

— მოგვაბეზრა თავი ამ დალოცვილმა სიტყვების რაბა-
რუხით, — უთხრა თავმჯდომარემ მრისხანე წევრს.

— დიდი ბრძოლა კაცია, — უპასუხა მრისხანე წევრმა.

— ბატონო ნაფიცო მსაჯულნო! — განაგრძო ბრალ-
მდებლის ამხანაგმა, — თქვენს ხელშია ამ კაცების ბედ-იღბალი
და რამდენადმე იმ საზოგადოებისაც, რომელზედაც თქვენ დიდ
გავლენას იქონიებთ თქვენის განაჩენით. ღრმად ჩაუკვირდით
იმ ავაზაკობის მნიშვნელობას, ჩაუკვირდით იმ საფრთხეს, რო-
მელსაც უმზადებენ საზოგადოებას ისეთი პატოლოგიურის აგე-
ბულობის ქმნილებანი, როგორიც მასლოვის ქალია; დაი-
ცევით საზოგადოება ამ სენისაგან, დაიცევით ამ საზოგადო-
ების უმანკო და საღი ელემენტები გაბრწყინისა და მთლად და-
ლუპვისაგან.

თავისის სიტყვის მშვენიერებით აღტაცებაში მოსული
ბრალმდებლის ამხანაგი სკამზე დაეშვა.

მთელის მისის სიტყვის აზრი, გარდა გამჭვერემტყველო-



ბისა, ის იყო, რომ მასლოვამ ჰიპნოტიზმის წყალობით შექმნილი ჰიპოქა ვაქარი სმელკოვი და მივიდა მის ოთახში ფულანტის. უნდადა ფული მთლად წაელო, მაგრამ ამ დროს მიუსწრეს სიმონმა და ეფემიამ და ის იძულებული შეიქმნა მათთვისაც დაედო წილი. შემდეგ ავაზაკობის დასაჩქმალადად მივიდა ვაქარი თურთ სასტუმროში და იქ მოსწამლა.

ბრალმდებლის ამხანაგის სიტყვის გათავების შემდეგ ვექილების სკამიდან წამოდგა შუათანა ტანის ახალგაზდა კაცი, ფრაცში გამოწყობილი, და რიხიანად დაიწყო კარტინკინისა და ბოჩკოვის დაცვა. 300 მანეთად დაეჭირა ვებინათ ეს ნაფიცი ვექილი. იგი ამართლებდა მისდამი რწმუნებულ ბრალდებულთ და ყოველსავე ბრალს მასლოვის ქალსა სდებდა.

უარს ჰყოფდა მასლოვას ჩვენებას, ვითომ ბოჩკოვა და კარტინკინი ოთახში ყოფილიყვნენ, როცა ის ფულებს იღებდა ჩემოდნიდან. მით უმეტეს უარსაყოფელია ვე ჩვენება, რომ გამოტყდა, მე ჩავეურიე მოსაწამლაი ფხენილი კონიაკში და დავალევი ევაქარსაო. ის 2,500 მანათი კო, — ამბობდა ვექილი, — მნელი მოსაგროვებელი არ არის ორის შრომის მოყვარე ადამიანისაგან, რომლებიც ხშირად დღეში სამიდან ხუთ მანეთამდე იღებდნენ სტუმრებისაგან საჩუქარს. ვაქრის ფული მასლოვას მოპარულია და უთუოდ ან ვისმე გადასცა, ან დაეკარგა, რადგან ამ დროს არ იყო ნორმალურ მდგომარეობაშიო. მოწამლვითაც მარტო მასლოვამ მოსწამლა ვაქარიო.

ამ საბუთების ძალით თხოულობდა ნაფიცთაგან, კარტინკინი და ბოჩკოვა უდანაშაულოდ გეცნოთ; ჟეტუ ფულის მოპარვა ამათაც დაედებათ ბრალად, იმაში მაინც უდანაშაულოდ სცანით, რომ მოწამლვა ამათის მონაწილეობით არ მომხდარაო.

ბოლოს ვექილმა ბრალმდებლის ამხანაგს შეჰნიშნა: ბნ ბრალმდებლის ამხანაგის მქვერმეტყველური მსჯელობა მემკვიდრეობის თაობაზედ, თუმცა ნათლად არკვევს მემკვიდრეობის შესახებ მეცნიერულ საგნებს, მაგრამ აქ სრუ-



ლიად უალაგოა, რადგან ბოჩკოვა უცნობის დეტრ-მამის-შვი-
ლიაო.

ბრალმდებლის ამხანაგმა სიბრაზით კბილები გააკრაჭუნა, რალაც ჩასწერა თავის ქალაღში და ზიზლით მხრები შეიშმუშნა.

შემდეგ წამოდგა მასლოვას დამცველი და შემკრთალმა დაიწყო მისი დაცვა.

უარს არა ჰყოფდა, შესაძლოა ფულის მოპარვაში მასლოვამ მონაწილეობა მიიღოა, მაგრამ აიხირა, მასლოვას სმელკოვის მოწამლევა არ უნდოდა და ფხენილი იმიტომ ჩაურია სასმელში და დააღევიანა, რომ უნდოდა დაეძინებოა. აქ მოინდომა მკვერმეტყველობით გამოეჩინა თავი, მოჰყვა იმას, თუ როგორ ჩაითრია გარყვნილ ცხოვრებაში მასლოვის ქალი იმ კაცმა, რომელიც დაუსჯელი დარჩა იმ დროს, როცა ზნედაცემულობის სიმძიმე მარტო მასლოვას უნდა ეზიდნა, მაგრამ ეს ფსიხოლოგიის სფერაში სფერობა ისეთი უგემური გამოუვიდა, რომ ყველას შერცხვა, როცა მან უხერხულად დაიწყო ღეჭვა. თავმჯდომარემ, რომ დაეხსნა გაჭირვებისაგან, სთხოვა საქმის შესახებ ელაბარაენა.

ამ ვეჭილის შემდეგ წამოდგა ისევ ბრალმდებელის ამხანაგი და დაცვა თავისი სიტყვა მემკვიდრეობით თანდაყოლილ თვისებათა შესახებ. ის შემთხვევაო, — დაიწყო მან, — თუ ბოჩკოვა უცნობის დედამამის შვილია, სრულიადაც არ უარჰყოფს მემკვიდრეობის მნიშვნელობას, რადგან მემკვიდრეობის კანონი ისეთია, რომ არამც თუ მემკვიდრეობით შეგვიძლიან ავაზაკობა ავხსნათ, არამედ ავაზაკობით მემკვიდრეობაცაო. რაც შეეხება იმას, რომ ვითომც მასლოვა ჩაითრია გარყვნილ ცხოვრებაში ვილაც მოგონილმა კაცმა (გესლიიანად წარმოსთქვა სიტყვა: მოგონილი), სიმართლეს მოკლებულია, რადგან საქმის ვითარებადგან აშკარადა სჩანს, რომ მასლოვის ქალმა ბევრი შეიწირა მსხვერპლად და ბევრი დააყენა გარ-



ყენილს გზაზედაო. გაათავა ამების თქვა და თავი დაჯდა.

შემდეგ დამნაშავეთ მისცეს ნება დაეცათ თავიანთი თავი. ეფემია ბოჩკოვამ გაიმყორა, არაფერი არ ვიცი და არაფერში მონაწილეობა არ მიმიღიაო. ყოველივე ბრალი მასლოვის ქალს დასდო. სიმონმა მხოლოდ რამდენჯერმე გაიმყორა:

— თქვენი ნებაა, მე უდანაშაულო ვარ უბრალო და თქვენ იცით.

მასლოვის ქალმა არაფერი არა სთქვა. როცა თავმჯდომარე შეეკითხა, გაქვთ თუ არა რამე სათქმელიო, იმან მხოლოდ ერთი შეპხვდა, გადაპხვდა დარბაზში მყოფთ, როგორც დამფრთხალმა ნადირმა, მწარედ ამოიკენესა და გულ-ამოსკვნით დაიწყო ტირილი.

— რა მოგივიდათ, ყმაწვილო?—დაეკითხა ვაქარი ნუსხლიუდოვს, როცა საშინელი გმინვა აღმოხდა გულიდგან. ეს გმინვა შეკავშირებულის ქვითინის ხმა იყო.

ნახლიუდოვს ჯერ კიდევ არ ესმოდა ყოვლიანი მნიშვნელობა თვისის ეხლანდელ მდგომარეობისა და ეს შეკავშირებული ქვითინი ნერვების სისუსტეს მიაწერა. გაიკეთა სათვალეები, რომ ცრემლები დაეფარა და ცხვირსახოცით ცხვირის ხოცვა დაიწყო.

უზომო შიშმა წინაშე სირცხვილისა, რომელიც მოელოდა, უკეთუ სასამართლოს დარბაზში ყოველივე გამომქდავდებოდა და ყველა გაიგებდა მისს მოქმედებას, დაარდილა ის სულიერი ბრძოლა, რომელიც მისს არსებაში სწარმოებდა. ეს შიშეხლა, ამ პირველ ხანს, უფრო ძლიერი იყო, ვიდრე რომელიმე სხვა მისი გრძნობა.

XXII

ბრალდებულთა უკანასკნელ სიტყვის შემდეგ გაიმართა მსჯელობა და კამათი გადასაწყვეტ საგნების შესახებ. მოლა-



პარაკება კარგა ხანს გაგრძელდა. შემდეგ ვადასაწყვეტის ნაწილი ნები ანუხსულ იქმნა და თავმჯდომარემ დაიწყო საქმის ვადასაწყველ გარემოებისა და წვლილის თავი-თავს მოყრა—რეზიუმე. თუმცა ძალიან ეჩქარებოდა, მაგრამ ისე გაიტაცა საქმემ, რომ დიდხანს ილაპარაკა. დაწერილებით აუხსნა ნაფიცთ, რომ უკეთეს დაშინაშავედ იცნობთ ბრალდებულთ, სრული უფლება გაქვთ დაშინაშავედ გამოაცხადოთ; უკეთეს უდანაშაულოდ იცნობთ, აქაც სრული უფლება გაქვთ უდანაშაულოდ გამოაცხადოთ, და უკეთეს დაინახავთ, რომ დაშინაშავენი არიან ერთში და უდანაშაულონი მეორეში, უფლება გაქვთ დაშინაშავედ იცნოთ ერთში და უდანაშაულოდ—მეორეშიო. შემდეგ კიდევ აუხსნა, რომ, თუმცა ასეთი უფლება გაქვთ, მაგრამ გონივრულად უნდა გამოიყენოთ ეს უფლებათ, უნდოდა აეხსნა კიდევ, უკეთეს „პოს“ იტყვიან ვადასაწყვეტის საგნებისათვის, ამითი თანახმა გახდებით ყველა იმისი, რასაც საგანი შეიცავს, ხოლო უკეთეს უარს იტყვიან, უნდა ახსნათ, რა მიზეზით ამბობთ უარსათ. მაგრამ დაჰხედისათს და რა დაინახა, რომ სამის შესრულებას ხუთი წუთით-ღა აკლდა, ვადასაწყვეტის საქმის ვითარების განხილვაზე ვადასაწყვეტით...

— საქმის ვითარება ამგვარია,—სთქვა მან და გაიმეორა ყველა ის, რაც რამდენჯერმე ნათქვამი იყო დამცველებისა, ბრალმდებლის ამხანაგისა და მოწმეებისაგან.

თავმჯდომარე დაპარაკობდა და მის გვერდით მსხდომნი წვერნი გულ-მოდგინედ ისმენდნენ მისს სიტყვებსა, მაგრამ ხშირად საათს უყურებდნენ, რადგან, თუმცა ძალიან მოსწონდათ თავმჯდომარის სიტყვა, მაინც ძალიან გაჭიანურებული ეგონათ.

თავმჯდომარემ გაათავა სიტყვა.

ყველამ თავისუფლად ამოისუნთქა, ეგონათ, გათავდა ყველადგერიო, მაგრამ თავმჯდომარემ საქიროდ დაინახა, კიდევ განემარტნა ნაფიც მსაჯულოთათვის იმ უფლებათა მნიშვნელობა, რომელიც ჰქონდათ მინიჭებული, როგორ ესარ-



გებლნათ ამ უფლებით და ბოროტად არ გამოეყენებინათ; მოაგონა, რომ ფიცი გაქვთ მიღებულიო; „თქვენა ნაშრომებია ნიღისი საზოგადოებისაო და სათათბირო ოთახის საიდუმლო წმინდად უნდა დაიცვათო“, და სხ.-და-სხ.

დაიწყო თუ არა ლაპარაკი თავმჯდომარემ, სიტყვის გათავებაშივე მასლოვის ქალს თვალი არ მოუშორებია, თითქოს ეშინია, სიტყვა არ გამოშვებაროსო. ნებლიუდოვმა, რაკი დარწმუნდა მასლოვა ჩემკენ არ იცქირებოა, გატაცებით დაუწყო ყურება. მისს გულსა და გონებაში ჩვეულებრივი მუშაობა იყო ფიქრისა. დიდის ხნით უნახვე ადამიანის სახე დიდად გაკვირვებთ პირველში იმ ცვლილებით, რაც დაჰმჩნევია, მაგრამ როცა კარგად დააკვირდებით, თვალ-წინ დაგიდგებათ ისევ ის ადამიანი, ცვლილება ჰქრება და რჩება მხოლოდ უმთავრესი, სულიერის არსების განუმეორებელი, განსაკუთრებული ვინაობა. სწორედ ასე იყო ნებლიუდოვის გულშიაცა.

დიად, თუმცა ტუსაღის ხალათი ეცვა, ცოტა არ იყოს ჩასუქებულიყო კიდევ და გულ-მკერდი წინა ჰქონდა მეტად გამოდგმული, თუმცა შესუსტებოდა თვალეში, მაინც იგივე კატო იყო, რომელიც ბრწყინვალე აღდგომას ისეთის გატაცებით შესცქეროდა ნებლიუდოვს თავის ანგელოზებრივის სიკოცხლით სავსე თვალეებით.

„გასაოცარი შემთხვევაა სწორედ! რაღა უთუოდ მაშინ უნდა გარჩეულიყო ეს საქმე, როცა მე ვარ დანიშნული ნათურა მსახულად, რათა ათის წლის უნახავი ახლა მენახა უთუოდ ბრალდებულთა სკამზე. ნეტა რით გათავდება ყოველივე ეს? ოჰ, ჩქარა, ჩქარა მაინც მოეღოს ბოლო!“

მისი გული ნელ-ნელა შეიპყრო სინანულის გრძობამ, რომელსაც აქამდე ებრძოდა და არა ჰნებდებოდა. ასე ეგონა, რომ ეს შემთხვევა უცაბედი შემთხვევაა და ისე ჩაივლის, რომ შესცვლის ჩემს ცხოვრებასაო. იმ ლეკვის მდგომარეობაში ჰგრძნობდა თავს, რომელიც ცუდად მოიქცა ოთახში, პატრონმა სტაცა ხელი და იმ სისამაგლეში წააყობინა ცხვირი,



რომელიც მოიქმედა. ლეკვი წკმუტუნებს, უკან-უკან იწევს, უნდა დააღწიოს თავი, მაგრამ შეუბრალებელი პატრონი უშვებს. ასეთ მდგომარეობაში იყო ნებლიუდოვიც. ჰგრძნობდა რა სისაძაგლევ მოიქმედა, ჰხედავდა პატრონის ძლიერ ხელსაც, მაგრამ ჯერ კიდევ კარგად ვერ გაეგო რა სისაძაგლე მოიქმედა. არ სჯეროდა თითქო, რომ მის წინ იდგა შედეგი მისი მოქმედებისა. მაგრამ უხილავსა და უღმობელს ხელს მძლავრად ჰყავდა ჩაბლუჯული. ჰგრძნობდა, რომ ძნელი იყო თავის დაღწევა. ჯერ კიდევ თამამად იყო და ჩვეულებრივად ფეხი-ფეხ გადადებულნი იჯდა მაგრად პირველ რიგში. მაგრამ მისი სულის სიღრმეში კი საშიშარი ქარ-ტეხილი იყო ატეხილი. უკვე ჰგრძნობდა არა მარტო თავისი მოქმედების საზიზღროებასა და სისაძაგლეს, არამედ მთელის თავისის უქმის, ვახრწნილისა და თავ-ნება ცხოვრების უშავავსოებასაც. წყუელი ფარდა, რომელიც თორმეტის წლის განმავლობაში ჰფარავდა ყველა ამ სისაძაგლეს, ნელ-ნელა ირხეოდა და ნებლიუდოვი უკვე ჰხედავდა ცოტ-ცოტას იმ ფარდის იქითაც.

XXIII

ბოლოს, როგორც იყო, გაათავა სიტყვა თავმჯდომარემ და აიღო ქალაღი, რომელზედაც დაწერილი იყო გადასაწყვეტი საგნები, და გადასცა ნაფიც მსაჯულთა თავმჯდომარეს. ნაფიცმა მსაჯულებმა თავისუფლად ამოისუნთქეს, რომ გათავდა ძლიერ ამდენი კითხვა და ლაპარაკი, და სათითაოდ გავიდნენ სათათბირო ოთახში. მსაჯულების შესვლისათანვე ეანდარმა ხმალი ამოიწოდა და კარებთან გაჩერდა. მოსამართლენი წამოდგნენ და გავიდნენ. ბრალდებულნიც გაიყვანეს.

შევიდნენ თუ არა ოთახში, ნაფიცმა მსაჯულებმა თავისუფლად იგრძნეს თავი, მოუკიდეს პაპიროსებს ცეცხლი და გაცხარებული კამათი გაჰმართეს.

— საწყალი გოგო ზრათერში არ არის დამნაშავე, —



სთქვა გულ-კეთილმა ვაჟარმა, — ცოტა ლმოზიერად უნდა მოვეპყროთ.

— ეგ კარვად გამოვიკვლიოთ, — უბასუხა რემ, — ჩვენის კერძო შთაბეჭდილებით არ უნდა ვიხელმძღვანელოთ.

— კარვად მოუყარა თავი-თავს ყოველსავე თქმას თავ-მჯდომარემ, — შეჭნიშნა პოლკოვნიკმა.

— დიად, კარვად! კინალამ ჩამეძინა!

— საქმე ის არის, რომ თუ მასლოვის ქალი წინდაწინ-ვე არ იყო მსახურებთან მოლაპარაკებული, ფულისა არაფერი ეცოდინებოდა, — სთქვა ებრაელმა ნოქარმა.

— მაშ, თქვენის აზრით, იმ ქალმა მოიპარა? — შეეკითხა ერთი ნათელითაგანი.

— არაფრის გულისათვის არ დავიჯერებ! — წამოიძახა გულკეთილმა ვაჟარმა.

— ერთი-ერთმანერთს არაფერში არ ჩამოუფარდებიან, — სთქვა პოლკოვნიკმა.

— ის დედაკაცი ამბობდა, რომ ოთახში სულაც არ შევსულვარო.

— თქვენ ძალიანა გჯერათ მისი სიტყვები! მე კი იმისი არა მწამს-რა.

— ეგ არა კმარა, რომ თქვენ არა გწამთ-რა, — უთხრა ნოქარმა.

— გასაღები იმასა ჰქონდა.

— მერე რა, რომ იმასა ჰქონდა? — გამოეპასუხა ვაჟარი.

— თვითონვე სთქვა, — დაიყვირა ისევ ვაჟარმა, — რომ იმ კაცმა მცემიაო. რა გასაკვირველია მერე. გადაკრულში იყო, აღზად, და მიბეგვა, შემდეგ შეეცოდა: კარგი, ნუ სტირიო. იცით, როგორი კაცი იყო? ხო გაიგონეთ, რაც წაიკითხეს, ამდენი და ამდენი სიმაღლე ჰქონდა და რვა ფუთი მოვიდოდა სიშიძიშითაო.

— ეგ საქმეს არ შეეხება, — სთქვა პეტრე გერასიმოვიჩმა, — საქმე ის არის, თვითონ მან დაიწყო ყოველივე და შემდეგ მო-



სამსახურენი გააბრიყვა, თუ მოსამსახურეთ დაიწყეს ეს ბორკ-
ტება და ის საწყალი ქალიც გაპრიეს.

— მოსამსახურეს არ შეეძლო მოეპარა ფული, რადგან
გასაღები იმასა ჰქონდა.

ასეთი უთავბოლო ლაპარაკი კარგა ხანს გაგრძელდა.

— ნება მომეცით, ბატონებო, — სთქვა თავმჯდომარემ —
ჩვენ-ჩვენს ალაგას დავსხდეთ და საქმის გარჩევას შევეუფდეთ.
მობრძანდით, — მიიწვია მან და დაჯდა თავმჯდომარის ალაგას.

— საძაგლები არიან ეს გოგოებიცა, — სთქვა ნოქარმა
და იმის დასამტკიცებლად, რომ უმთავრესი დამაშავე მასლოვა
არის, უამბო, რომ ერთმა გოგომ ჩემს ამხანაგს ბულღარზე
საათი მოჰპარაო.

პოლკოვნიკმა უფრო უცნაური ამბავი დაურთო ზედ-
ვერცხლის სამოვრის ქურდობისა.

— ბატონებო, გთხოვთ პასუხი მომცეთ შემდეგს შე-
კითხვაზედ, — სთქვა თავმჯდომარემ და ყარანდაშს დაუწყო კა-
კუნი მაგიდაზედ.

ყველანი გაჩუმდნენ. თავმჯდომარემ წაიკითხა თვითოეული
გადასაწყვეტი საგანი:

1) დამნაშავეა თუ არა კროპიენის მაზრის სოფელ
ბორკის მცხოვრები გლეხი სიმონ პეტრეს ძე კარტანკინი, 33
წლისა, იმაში, რომ 17 იანვარს 188... წელს, ქალაქ №-ში,
სხვებთან შეთანხმებით, გადასწყვიტა მოეკლა ვაქარი სმელკოვი,
რათა ვაეძარცვა, და ამ აზრის ასასრულებლად მისცა მაგარ
სასმელში ჩარეული საწამლავი, რამაც სმელკოვს სიკვდილი
გამოიწვია, მოჰპარა ფულად 2,500 მან. და ბრილიანტის ბე-
ჭელი?

2) დამნაშავეა თუ არა, ამაშივე ეფემია ივანოვნა ბო-
ჩკოვა, 43 წლისა?

3) დამნაშავეა თუ არა ამავეში ეკატერინე მიხაილოვნა
მასლოვა, 27 წლისა?



4) უკეთუ პირველ დანაშაულში ეფემია ივანოვნა ბოჩკოვა უბრალოა, არის თუ არა დამნაშავე იმაში, რომ 17 სანტიმეტრული 188... წელს, ქალაქ მ-ში, სასტუმრო „მავრიტანიაში“ მანა-ხურად ყოფნის დროს, მოპარა დაკეტილ ჩემოდნიდან ამ სასტუმროს მდგმურს ვაქარ სმელკოვს 2,500 მანეთი?

— აბა, რას იტყვი, ბატონებო? — სთქვა თავმჯდომარემ, და პირველს მუხლს მიაქცია ჯერ ყურადღება ნაფიცი მსაჯულთა. ამის პასუხი ყველამ სწრაფად მისცა. ყველა დასთანხმდა: „დიად, დამნაშავეა“, — რადგან ფულის მოპარვაშია ცა და მოწამლვაშიაც დამნაშავედ იცნეს. მხოლოდ ერთი მოარტყელე არ დაეთანხმა დანარჩენთ და კარტინკინი დამნაშავედ არ იცნო. ეს კაცი, რასაც ჰკითხავდნენ მას, ისეთ პასუხს იძლეოდა, რომელიც სრულიად ამართლებდა დამნაშავეს. ეგონათ, მეარტყელემ ჯერ გაიგო, რასა ჰკითხავდნენო და გარკვევით იუბნეს კარტინკინის დანაშაული, მაგრამ მეარტყელემ მაინც თავისი დაიჭინა და თან დასძინა: „ჩვენც არა ვართ მთლად წმინდანები“-ო.

მეორე მუხლი ბოჩკოვას შეეხებოდა. დიდის კამათის შემდეგ სთქვეს პასუხად: „არ არის დამნაშავე“-ო, რადგან თვალსაჩინო საბუთი არა აღმოჩნდა-რაო.

ვაქარმა, რომელსაც ძალიან უნდოდა მასლოვა გამართლებულიყო, დაიჭინა, რომ ყველაფერში ბოჩკოვა არის დამნაშავეო, მაგრამ თავმჯდომარემ განაცხადა, საბუთი არა გვაქვს გავამტყუნოთ ეგ დედაკაციო. დიდის კამათის შემდეგ თავმჯდომარემ თავისე გაიტანა.

მეოთხე მუხლიც ბოჩკოვას შეეხებოდა და უპასუხეს: „დიად, დამნაშავეა“-ო და, რადგან მეარტყელემ ძალიან დაიჭინა, დაუმატეს: „მაგრამ შელავათის ღირსიაო“.

მესამე მუხლში მასლოვას შესახებ ცხარე კამათი გამოიწვია. თავმჯდომარემ აიჩემა: მასლოვა მოწამლვაშია ცა და ქურდობაშიაც დამნაშავეაო, მაგრამ ვაქარი არ დაეთანხმა; მას პოლკოვნიკმა, ნოქარმა და მეარტყელემ დაუჭირეს მხარი, და-



ნარჩენები რყევაში იყვნენ და არ იცოდნენ, რა გადაწყვეტი-
 ტათ. თავმჯდომარის აზრი იმარჯვებდა თითქმის, რადგან უყუ-
 ლა ძლიერს დაღლილობასა ჰგრძობდა და მზად იყვნენ იმას
 მიმბრობოდნენ, ვისი აზრიც გაიმარჯვებდა. ყოველივე ის, რაც
 გამოძიების დროს გაიგონა და რამდენადაც თვითონაც იც-
 ნობდა მასლოვას, ნებლიუდოვს არწმუნებდა, რომ ეგ ქალი
 არც მოწამლვასა და არც ქურდობაში დამნაშავე არ იყო.
 ნებლიუდოვს პირველად ეგონა, რომ მასლოვას გაამართლე-
 ბენო, მაგრამ როცა დაინახა, რომ ვაქრის ულაგო ნაქო-
 მაგებით უფრო გამწვავდა თავმჯდომარე და, რადგან დანარ-
 ჩენება დაღლილობის გამო მზად იყვნენ თავმჯდომარეს მიმბრო-
 ბოდნენ, დარწმუნდა, რომ სასწორი დანაშაულობისკენ გადაი-
 ხარა, უნდოდა გამოპასუხებოდა, მაგრამ საშიშარი იყო მისთვის
 მასლოვის ქალზედ ლაპარაკი: მას ეგონა, ეხლავე გაიგენენ,
 რა დამოკიდებულებაცა მქონდა მასლოვასთანაო თანაც ჰგრძო-
 ბდა, რომ საქმის ასე დატოვება შეუძლებელი იყო და გამო-
 პასუხება ძალიან საჭირო იყო. ხან წითლდებოდა და ხან
 ყვითლდებოდა. ის იყო, დააპირა ლაპარაკის დაწყება, რომ
 პეტრე გერასიმოვიჩი შეეკამათა თავმჯდომარეს. მან სთქვა ის,
 რაც ნებლიუდოვს უნდა ეთქვა.

— უკაცრავად, — სთქვა მან, — თქვენა ბრძანებთ, რომ
 მასლოვის ქალია მოიპარა ფული, რადგან გასაღები იმასა
 ჰქონდაო. მეკარბილორეებს არ შეეძლოთ, მისის წასვლის შე-
 მდგე, სხვა გასაღებით გაეღოთ ჩემოდანი?

— ჰო და, ჰო! ოო, მე და ჩემმა ლმერთმა! — კვერი და-
 უკრა ვაქარმა.

— იმას არ შეეძლო ფულის მოპარვა, რადგან ისეთს
 გარემოებაში იყო, რომ არ შეეძლო შეენახა.

— მეც მავას ვამბობ, მე და ჩემმა ლმერთმა, — დაემოწმა
 ვაქარი.

-- უფრო ჰკუთხე ახლოა ვითქვით, რომ მისმა მისვლამ



დაუბადა აზრი შეკარბილარეებს, ისარგებლეს შემთხვევით, მოიპარეს ფული და შემდეგ ბრალი იმას დასდეს.

პეტრე გერასიმოვიჩი გაცხარებით ლაპარაკობდა. ლაპარაკმა უფრო გააბრაზა თავმჯდომარე და უფრო მეტი მომხრეობა გაუწია მეორე, საწინააღმდეგო აზრს, მაგრამ პეტრე გერასიმოვიჩი ისეთის დაბეჯითებით ლაპარაკობდა, რომ უძრავ-ღესობა იმას მიემხრო. როცა სიტყვა მოწამლვის შესახებ ჩამოვარდა, ვაქარა წამოდგა და სთქვა, ჟღანაშაულოა, რადგან საჭირო არ იყო მასთვის ვაჭრის მოწამლვა. თავმჯდომარემ განაცხადა, მოწამლვაში მასლოვა უთუოდ დამნაშავეა, რადგან თვითონ თავის პირით აღიარა, რომ ფხენილი ჩაუჭრიე იმის დასალევე სასმელშიო.

— ჩაურია, მაგრამ ეგონა, ძილის წამალიაო, — სთქვა ვაქარმა.

— ძილის წამლითაც შეეძლო მოეწამლა, — უპასუხა პოლკოვნიკმა და თავის სიტყვის დასამტკიცებლად მოჰყვა, როგორ გადაჩა მისის ცოლის ძმისწული თრიაქისაგან მოწამლვის მხოლოდ მიზეზი, რომ ექიმი მალე მოეიყვანეთ და მაშინვე ღონისძიება ეიზმარეთო.

— ზოგიერთები ისე ეჩვევიან, რომ შეუძლანთ ორმოცი წვეთი მიიღონ. მე მყავდა ნათესავი...

თუმცა სიტყვა გააწყვეტინეს, მაგრამ მაინც თავისი გაიტანა და განაგრძო ლაპარაკი თავის ცოლის ძმისწულსა და თრიაქის გავლენაზე.

— ბატონებო! ჟევე მებუთე საათია, — სთქვა ერთმა ნაფიცთავანმა.

— მაშ, რას იტყვით, ბატონებო, — მიჰმართა ყველას თავმჯდომარემ, — დამნაშავედ ვსცნობთ, მაგრამ გაძარცვის განზრახვას არ ვაბრალებთ, არაფრის მოპარვის არა ვსდებთ ბრალად. ხომ ასეა?

თავის გამარჯვებით კმაყოფილი პეტრე გერასიმოვიჩი მაშინვე დაეთანხმა.



— მაგრამ ღირსია სასჯელის შემსუბუქებისა, — დაუმარტა ვაქარმა.

ყველა დაეთანხმა, გარდა მეარტელისა, რომელმაც წინანდებურად დაიყინა. უნდა ვადავსწყვიტოთ ასე: „არა, არ არის დამნაშავე“-ო.

— მაინც აგრე გამოდის, — განუმარტა თავმჯდომარემ, — არაფერი არ მოუპარავს და არც გაძარცვა განუზრახავს, მისასაღამე, არც დამნაშავეა.

— მართალია. ამიტომაც არის სასჯელის შემსუბუქების ღირსი, — მზიარულად ჩაილაპარაკა ვაქარმა.

ყველა ისე დაიქანცა ლაპარაკითა და ისე აერიათ თავგზა რომ ვერაფერ ვერ მოისახრა პიემატებინათ: „მოგვლას განზრახვაც არა ჰქონიაო“.

ნებლიუდოვი ისე იყო აღფლავებული, რომ იმასაც გამოეპარა ეს გარემოება. თვისი ასეთი განაჩენი წარადგინეს სასამართლოს დარბაზში

რაბლეს სწერს, რომ იურისტმა, რომელთანაც მივიდნენ საქმის გასარჩევად, ყველა ნაირ კანონების განმარტებისა და უაზრო იურიდიულ ლათინურ სისულელის კითხვის შემდეგ, ურჩია მომჩივან-მოპასუხეს, რომ კამათელი გაეგორებინათ: თუ ლუწი იქნება, მომჩივანია მართალი, თუ კენტი — მოპასუხეო.

აქაც აგრე მოჰხდა. ასეთი განაჩენი იმიტომ კი არ დაადგინეს, რომ ყველანი დაღლილნი იყვნენ, პირველად იმიტომ, რომ თავმჯდომარემ დაივიწყა ფოქვა მათთვის, რომ შეეძლოთ ასე გადაეწყვიტათ: დიად, დამნაშავეა, მაგრამ სიკვდილის განზრახვა არა ჰქონიაო; მეორედ იმიტომ, რომ პოლიკოვნიკმა ძალიან გააქიანურა თავის ცოლის ძმის ამბავი და ყველას თავი მოაბეზრა; მესამედ იმიტომ, რომ ნებლიუდოვმაც, მეტის მღელვარების გამო, ვერ შეჰნიშნა ესა და ჰფიქრობდა: რაკი ჩასწერეს „გაძარცვის განზრახვა არა ჰქონიაო“, ეს გარემოება გააქარწყლებს მის დანაშაულსაო; მეოთხედ იმიტომ, რომ პეტრე გერასიმოვიჩი ის დროს გავიდა ოთახიდან, როცა თავმჯდო-



მარემ წაიკითხა გადაწყვეტილება და, ბოლოს, უმთავრესი მო-
 ზეზი კი ის იყო, რომ ყველა დიდს დაღლილობასა ჰგონებდა
 და, რომ აღრე განთავისუფლებულიყვნენ, დასთანხმდნენ იმ
 გარდაწყვეტილებას, რომელიც აღრე მოუღებდა საქმეს ბოლოს.

ნაფიცმა მსაჯულებმა ხარი დააწკარუნეს. ეამდარმა, რო-
 შელიც კარებთან იდგა, ხმალი ქარქაშში ჩააგო და მოეცალა
 მსაჯულთ. თავთაფიანთ ალაგას დასხდნენ და ნაფიცნი სათი-
 თაოდ გამოვიდნენ ოთახიდგან.

სახე-გაბრწყინვებულ თავმჯდომარეს მხიარულად მიჰქონ-
 და ფურცელი. მივიდა სასამართლოს თავმჯდომარესთან და
 გადასცა ქალაღდი. თავმჯდომარემ წაიკითხა, გაოცებულმა ხე-
 ლები გაშალა და ამხანაგებს მიუბრუნდა მოსალაპარაკებ-
 ლად. თავმჯდომარე გააოცა იმან, რომ, როცა ნაფიცმა მსა-
 ჯულებმა განმარტეს: „გაძარციის განზრახვა არა ჰქონია“, არ
 განუმარტავთ მეორე საგანი: „მოკელის განზრახვაც არა ჰქო-
 ნიაო“. ნაფიც მსაჯულთა განაჩენით ასე გამოდიოდა: მასლოვას
 არც ფული მოუბარავს, არც გაუძარცვავს ვაჭარი, მაგრამ
 ამსთანავე უმიზეზოდ მოწამლა კაციო.

— ნახეთ ერთი, რა სისულელე დაუწერიათ,—უთხრა
 მან წვევრს მარცხნივ. ეს ხომ კატორღაში გაგზავნა სრულიად
 უდანაშაულოსი...

— დიღ, როგორ არა, უდანაშაულოსი! —უთხრა მრისხანე
 წვევრმა.

— სწორედ, დაშნაშავე არ არის; ჩემას აზრით, ეს შე-
 მთხვევა კანონის 878 შუბლს ექვემდებარება (818 მუხლი ამ-
 ბობს, რომ უყეთუ სასამართლო იცნობს უსამართლოდ ნაფიც
 მსაჯულთა განაჩენს, შეუძლიან გააუქმოსო).

— თქვენ რას იტყვი? — მიუბრუნდა თავმჯდომარე კეთილ
 წვევრს.

- მეც იმას ვიტყვი, რაც საქირაო.
- თქვენა? — მიჰმართა თავმჯდომარემ მრისხანე წვევრს.
- არასოდეს! — სთქვა მან გადაჭრით. — ისედაც გაზეთები



ქვეყანას აყრუებენ, ნაფიცნი მსაჯულნი ავახაყებენ, მათგან ბენო და, აბა, მაშინ რას იტყვიან, როცა გამოვხატავთ თვით სასამართლომ გაამართლაო?! მე არას დროს არ ვიქნები ამის თანახმა

თავმჯდომარემ საათს დაჰხედა.

— სამწუხაროა, მაგრამ რა ვქნათ, — სთქვა მან და ვადასცა ნაფიცთა თავმჯდომარეს ფურცელი. ყველანი წამოდგნენ. ნაფიცთა თავმჯდომარემ ჩაახველა და წაიკითხა. ყველა მოსამართლე, მდივანი, ვეკილები და თით ბრალმდებელიც განცვიფრებაში მოვიდნენ. ბრალდებულნი არხეინად იჯდნენ, თითქოს არაფერი იყო, რადგან წაკითხულის მნიშვნელობა ვერ გაიგეს. ყველანი დასხდნენ და თავმჯდომარე შეეკითხა ბრალმდებლის ამხანაგს, რა სასჯელის ღირსნი არიან ბრალდებულნიო. გამარჯვებული ბრალმდებლის ამხანაგი წამოდგა და სახე-გაბრწყინვებულმა სთქვა:

— სიმონ კარტინკინი უნდა დაისაჯოს სასჯელთა დებულების 1452 სტ. და 1453 სტ. მე-4 მუხ. ძალით. ეფემია ბოჩკოვა 1659 სტ. ძალით და ეკატერინე მასლოვა 1454 სტ. ძალით.

ეს სასჯელი უსასტიკესი იყო.

— სასამართლო გავა განაჩენის დასადგენად, — სთქვა თავმჯდომარემ და წამოდგა.

ყველანი წამოდგნენ; ზოგი ვარედ გავიდა და ზოგმა იქვე დაიწყო სეირნობა.

— კაცო-და, ჩვენ ხომ სამარცხეინოდ შევესკდით? — სთქვა პეტრე გერასიმოვიჩმა, როცა ნებლიუდოვთან მივიდა. — ის საწყალი ხომ კატორღაში გავგზავნეთ?!..

— რას ამბობთ?! — შესძახა ნებლიუდოვმა და აღარავითარი ყურადღება აღარ მიაქცია მასწავლებლის უსიამოვნო ლაყბობას.

— მაშ, როგორა გგონიათ? — სთქვა პეტრე გერასიმოვიჩმა, — სულ დაგვაფიწყდა ჩაგვეწერა: „დამნაშავეა, მაგრამ მო-



კვლის განზრახვა არა ჰქონიაო“. — ახლა მეუბნებოდა მდგანდის
რომ ბრალმდებელს უნდა 15 წლით კატორღა გადაეწვეტიოსო.

— ჩვენ რომ აგრე გადაწყვიტეთ? — სთქვა ნაფიცთა
თავმჯდომარემ.

პეტრე გერსიმოვიჩი შეეკამათა: ცხადია, თუ ფული არ
მოუპარავს, არც მოკვლის განზრახვა ჰქონიაო.

— სანამ გამოვიდოდით, გადაწყვეტილება წაიკითხე და
არგინ წინააღმდეგი არა ყოფილა, — იმართლებდა თავს ნაფიცთა
თავმჯდომარე.

— მე იმ დროს კარში გავედი, — უთხრა პეტრე გერსი-
მოვიჩმა, — თქვენ სადღა იყავით? როგორ გამოგეპარათ ეს გა-
რემოება?

— თავის დღეში ვერ წარმოვიდგენდი მაგას, — უპასუხა
ნებლიუდოვმა.

— ვერ წარმოიდგენდით და ახლა რაღა იქნება.

— შეიძლება გამოვასწოროთ საქმე, — უთხრანებლიუდოვმა.

— არა, ახლა გვანლაა, ყოველივე გათაყდა.

ნებლიუდოვმა გადაპხედა დამნაშავეთ. ისინი, ვისი ბედ-
იღბალიც უკვე გადაწყვეტილი იყო, ისევ ისე უძრავად ისხდნენ.
მასლოვა რაღაზედაც იღიმებოდა.

ნებლიუდოვს გულში რაღაც ცუდმა აზრმა გაუელვია. ცო-
ტა წინაღ-კი რყევაში იყო და ჰფაქრობდა, როგორ მოვექცე
ამ ქალს, როცა გაამართლებენ და ქალაქში დაიჩეხაო. მას-
თან რაიმე დამოკიდებულება უკვე შეუძლებელი იყო, რადგან
კატორღა და ციმბირი ყოველივეს ერთბაშად სპობდა. დაქ-
რილი და ჯერ კიდევ ცოცხალი ფრანველი ფართხალს არ
შესწყვეტდა ნადირის ჩანთაში და ძალა-უნებურად გაახსე-
ნებდა თავს მონადირეს.

XXIV

პეტრე გერსიმოვიჩის აზრი სრულიად გაპართლდა.

მოსამართლენი გამოვიდნენ ოთახიდგან. თავმჯდომარემ
აიღო ქალაღდი და წაიკითხა:



„188... აპრილის 28 დღესა, მისის იმპერატორის უდიდებულესობის ბრძანებით, №-ს საოლქო სასამართლოს სხლის სამართლის განყოფილებამ, ნაფიცი მსაჯულთა გადაწყვეტილებით, სასჯელთა დებულების 771 სტ. 3 პუნ., 776 და 777 სტ. ძალით, დაადგინა: გლახს სიმონ კარტინკინს, 33 წლ., და ეკატერინე მასლოვას, 27 წლ., ჩამოერთვას ყოველივე უფლება უპირატესობანი და გაგზავნილ იქმნას კატორღაში. კარტინკინი 8 წლით, ხოლო მასლოვა—4 წლით.

ფემია ბოჩკოვას ჩამოერთვას ყოველივე უფლება უპირატესობანი და დაპატიმრებულ იქმნას სატუსალოში 3 წლით. სასამართლოს ხარჯი განაწილებულ იქმნას თანასწორად დამნაშავეთა შორის და, უკეთუ ვერ შესძლებენ გადახდას, ხაზინამ იკისროს მისი გადახდა.

ნივთიერი საბუთები გაიყიდოს, ბეჭედი დაუბრუნდეს პატრონს და შუშები დამტვრეს.

კარტინკინი იღვა გამოკომუღი და ლოყები ძალზე უთამაშებდა. ბოჩკოვა თითქო სრულიად დამშვიდებული იყო. მასლოვის ქალი, განაჩენი რომ მოისმინა, საშინლად გაწითლდა.

— მე არა ვარ დამნაშავე!—საზარელის ხმით შესძახა უცხად, — არა ვარ დამნაშავე! ამისი სურვილი არა მქონია, თქვადაც არ მომსვლია!—ქალი დაეშვა სკამზე და ქვითინი წასქდა.

როცა კარტინკინი და ბოჩკოვა გავიდნენ, ის რცხე რჯდა და მღუღარე ცრემლს აფრქვედა. ბოლოს თანდარმმა მოჰკიდა ხელი და გაიყვანა.

„არა, ამ საქმის ასე დატოვება ყოველად შეუძლებელია, — სთქვა თავისთვის ნებლიუდოვმა და გაეშურა კარრიდორისაკენ, რომ ერთხელ კიდევ მოველო თვალი კატოსათვის. როცა კარრიდორში გავიდა, მასლოვა უკვე კარგა შორს იყო. გამოუდგა უკან ჩქარის ნაბიჯით, თუმცა ყველა გოაცებული უცქეროდა, მაგრამ არავისთვის ყურადღება არ მიუქცევია.



უყვლა წინ და გაიწერდა. მასლოვა უკვე დამშვიდებულიყო, მხოლოდ ხანდისხან მწარედ ამოიკვნესებდა ხოლმე დედასთან ხოცით ნამტირალევ და დაწითლებულ თვალებს იწმენდდა. ნეხლიუდოვისათვის არც კი შეუხედნია, ისე გაუარა გვერდით. ნეხლიუდოვმა თავი დაანება მასლოვას და ისევე უკან გამობრუნდა, რომ თავმჯდომარისთვის მიესწრო და ენახა, მაგრამ ის უკვე წასულიყო და კარებში ძლივს დაეწია.

— ბატონო თავმჯდომარევ, — მიჰმართა ნეხლიუდოვმა იმ დროს, როცა თავმჯდომარე პალტოს იცვამდა და ის იყო ვერცხლის ჯოხი აილო ხელში: — შეიძლება მოგელაპარაკოთ იმ საქმის შესახებ, რომელიც დღეს გაირჩა? მე ნათიცი ვარ.

— რატომ არა. ნეხლიუდოვი ბრძანდებით? წინადაც შევხვედრ ივართ ერთმანერთს, — უთხრა თავმჯდომარემ და სიამოვნებით ხელი გაუწოდა, — რითი შემძლიან გემსახუროთ?

— ცოტა შეცდომა მოჰხდა მასლოვას შესახებ ნათიცთა გადაწყვეტილებაში, ის უდანაშაულოა მოწამლვაში და კატორლა კი გადაუწყვიტეს, — დაღვრემილის სახით წარმოსთქვა ნეხლიუდოვმა.

— სასამართლომ თქვენგან მოცემულის გარდაწყვეტილების ძალით დაადგინა განაჩენი, — უპასუხა თავმჯდომარემ და კარებისკენ გასწია, — თუმცა გარდაწყვეტილება სასამართლოსი არ ეჩვენა საქმეთა ვითარების შესაბამად.

დააპირა აეხსნა ნეხლიუდოვისათვის, რომ თქვენი გადაწყვეტილება: „დიად, დამნაშავეაო“, მოკვლის განზრახვის უარუყოფელად, განზრახ მოკვლას ამტკიცებდა, მაგრამ რაკი ძალიან ეჩქარებოდა, აღარაფერი სთქვა.

— განა შეუძლებელია შეცდომის გასწორება?

— კასაციის საბუთები ყოველთვის შეიძლება იპოვოს კაცმა. ვეჭილს უნდა მიჰმართოთ, — უთხრა თავმჯდომარემ და ისევე გაიწია კარებისკენ.

— დიად, მაგრამ ეს ხომ საშინელებაა!

— როგორც ჰხედავთ, მასლოვას ორში ერთი მოყოლო-



და, — ზრდილობიანად უთხრა თავმჯდომარემ და ისწორა, კობტად შემოტრიალდა და გასწია თქვენც ხომ მოდიხართ?

— დიად, — უთხრა ნებლიუდოვმა, საჩქაროდ გადაიცვა პალტო და გაჰყვა.

გავიდნენ ქუჩაში. მზე ძალზე იკბინებოდა. ეტლების რახა-რუხას გამო ისეთი ქრიაშული იყო, რომ კარგა ხმა-მალლად უნდა ელპარაკნათ, რომ ვაეგონათ ერთმანეთის სიტყვები

— როგორც ჰხედავთ, გასაოცარი შემთხვევაა, — განაგრძო თავმჯდომარემ, — მასლოვას ორში ერთი მოელოდა — ან სრულიად გამართლდება და ან კატორღა. სხვა გზა არ იყო. რომ მიგემატებიათ „სიკვდილის განზრახვა არა ჰქონია“-ო, უსათუოდ გამართლდებოდა.

— საუბედუროდ, ვერ შევნიშნე, — უთხრა ნებლიუდოვმა.

— საქმეც ეგ არის, — ლიბილით უთხრა თავმჯდომარემ და საათს დაჰხედა. კლარას დანიშნულ ვადამდე მხოლოდ 45 წუთი დარჩენილიყო.

— თუ გნებავთ, ახლა ვეჭილს მიჰპართვით. განსაჩივრების საბუთები უნდა ხელთ იქონიოთ. ეგ ადვილი საქმეა. — დვორიანსკის ქუჩაზე, — უთხრა მან მეეტლეს, — 40 კ. მეტს თავის დღეში არავის ვაძლევ.

— მობრძანდით, თქვენო აღმატებულებავ.

— მაქვს პატივი გამოგეთხოვოთ. თუ საჭირო ვარ და შემიძლიან რითიმე გემსახუროთ, მობრძანდით დვორიანსკის ქუჩაზე, დვორნიკოვის სახლებში.

მდაბლად თავი დაუკრა და წავიდა.

XXV

თავმჯდომარის სიტყვებმა და წმინდა ჰაერმა ცოტათი დაამშვიდა ნებლიუდოვი. დღევანდელი გრძნობა ახლა გადამეტებულად ეჩვენებოდა, რადგან დილიდანვე შეუჩვეველს გარემოებაში ჩაეარდა.



„რასაკვირველია, გასაკარნი და თავ-ზარ დამცემე რქმუნული თხვევაა. საჭიროა ყოველივე ღონე ვიხმარო, რაც შეეძლება, ბა, ჩქარა შევეუწყებუქო მდგომარეობა. ჯერ უნდა შევიტყო სასამართლოში, სად სცხოვრობს ფანარინი ან მიკიშინი“. მოაგონდა ორი შესანიშნავი ვექელი.

ნებლიუდოვი დაბრუნდა სასამართლოში. გაიხადა პალატო და ავიდა ზვეით. პირველ კარნიდორშივე შეჭბედა ფანარინს, გააჩრა და უთხრა, საქმე მაქვსო. ფანარინი იცნობდა ნებლიუდოვს და მაშინვე შეჩერდა.

— თუმცა დავიღალე, მაგრამ, თუ დიდი ხანი არ მოგინდებათ, მითხარით, რაშია საქმე. წამობრძანდით აქეთ.

ფანარინმა შეიყვანა იმ ოთახში, რომელიც მოსამართლის კაბინეთი უნდა ყოფილიყო, და მაგიდას მიუსხდნენ.

— აბა, ბრძანეთ, რაშია საქმე?

— თავდაპირველად გთხოვთ, — უთხრა ნებლიუდოვმა, — არაფერ გავიგოს, რომ მე ამ საქმეში მონაწილეობას ვიღებ.

— ეგ ხომ თავისთავად ცხადია. მაშ...

— მე ახლა ვიყავი ნათიკ მსაჯულად და უდანაშაულო ქალს კატორღა გადაეუწყვიტეთ. მე ეს მტანჯავს.

ნებლიუდოვი თავისდა უნებურად გაწითლდა და ნერწყვის ყლაპვა დაიწყო. ფანარინმა შეჭბედა, მაგრამ ჩქარა ძირს დაიწყო ყურება და სმენად გარდაიქცა.

— დიად! მესმის... წარმოსთქვა მან მხოლოდ ეს ორი სიტყვა.

— დავსაჯეთ უდანაშაულო ადამიანი და მინდა განვასაზიერო საქმე უმადლეს სასამართლოში.

— სენატში? — სთქვა მან.

— დიად, და გთხოვთ იკისროთ ეგ საქმე.

ნებლიუდოვს უნდოდა, უფრო საშძიმო რაც იყო ამ საქმეში, მაშინვე გაეთავებინა, და უთხრა:

— გასამრჯელოს და ყოველსავე ხარჯს მე ვკისრულობ.



— ეგ არაფერია, მოვრიგდებით, — ლიმილით ქილმა, — რაშია საქმე?

ნებლიუდოვმა უამბო ყოველივე დაწერილებით

— ძალიან კარგი, ხვალ გაესინჯავ საქმეს ან ზეგ... მაგრამ არა, ხუშაბათს მობრძანდით ჩემთან, ექვსს საათზე და პასუხს მოგცემთ. ასე, მაშ, ახლა წავიდეთ.. მე კიდევ ცოტა საქმე მაქვს აქა.

ნებლიუდოვი გამოეთხოვა და გამოვიდა.

ვექილთან ლაპარაკმა კიდევ უფრო დაამშვიდა ნებლიუდოვი. გავიდა ქუჩაში. დარი მშვენიერი იდგა და ხარბად დაუწყო ყლაპვა გაზაფხულის წმინდა ჰაერს. თუმცა მეეტლეები თავს აბეზრებდნენ და იწვევდნენ ეტლში ჩასაჯდომად, მაგრამ ფეხით წასვლა არჩია. გზა-და-გზა კატოს ფიქრმა სულ გაიტაცა. „არა, ამას ყოველსავე შემდეგ მოვიფიქრებ, — სთქვა მან, — და ახლა კი საქიროა ცოტაოდენი გართობა და გადაყრა ამდენ უსიამოვნო ფიქრისა“. მოაგონდა, რომ სადილიად კორჩაგინებისას უნდა ყოფილიყო და საათს დაჰხედა. ჯერ კიდევ გვიან არ იყო. ახლოს ცხენის რკინის გზის ვაგონის ზარის წკარუნი მოესმა. გაიქცა და შეხტა ვაგონში. მოედანზე გადმოვიდა, ჩაჯდა ეტლში და ათის წუთის შემდეგ უკვე კორჩაგინების დიდის სახლის კარებთან გაჩერდა.

XXVI

— მობრძანდით, თქვენო ბრწყინვალეზე, — უთხრა ჩასუქებულმა ლაქიამ და წყნარად გაულო დიდი მუხის კარები. — ეს არის ახლა დასხდნენ სადილიად და გთხოვენ შემობრძანდეთ.

მეკარე მივიდა კიბესთან და ზარი დააწკარუნა.

— არის ვინმე? — დაეკითხა ნებლიუდოვი.

— ბ-ნი კოლოსივი და მიხაილ სერგეიჩი, დანარჩენები სულ ჩვენები არიან.

კარებიდან ლამაზმა, ფრაკში გამოწყობილმა ლაქიამ გამოიხედა.



— მობრძანდით, თქვენო ბრწყინვალეებავ, — უთხრა მან, ნაბრძანები მაქვს სთხოვეო.

ნებლიუდოვი აჰყვა კბებს, გაიარა ნაცნობი ვეებერთელა დარბაზი და შევიდა სასადილო ოთახში. მაგიდას შემოსხდომოდა მთელი ოჯახი, გარდა დიასახლისისა, რომელიც არას დროს არ გამოდიოდა თავის კაბინეთიდან. სუფრის თავში იჯდა ბებერი კორჩაგინი, მის გვერდით მარცხნივ — ექიმი, მარჯვნივ ივან ივანის კოლოსოვი, თავად-აზნაურთა ყოფილი წინამძღლოლი და ახლაც ბანკის მმართველობის წევრი; შემდეგ მარცხნივ — Miss რედერი, მისისის პატარა დის აღმზრდელი ქალი და თვით 4 წლის პატარა გოგონა; მარჯვნივ პირდაპირ მისისის ძმა, კორჩაგინების ერთად ერთი ვაჟი, გინნაზიის მე-III კლასის მოწაფე პეტრე, რომლის გულისთვისაც დაჩენილიყო ქალაქში მთელი ოჯახი, და სტუდენტი-რეპეტიტორი; ქვემოდ, მარცხნივ — ეკატერინე ალექსეევნა, 40 წლის გაუთხოვარი ქალი; პირდაპირ მიხეილ სერგეიჩი, ანუ მიშა ტელევინი, მისისის ბიძაშვილი; სუფრის ბოლოში თვით მისი იჯდა და გვერდით ხელუხლებელი „პრიბორი“ ელაგა.

— ძლიერ სასიამოვნოა, დაბრძანდით, ჯერ მხოლოდ თვეში გაახელით — ძლიეს-ძლიევობით წარმოსთქვა ბებერმა კორჩაგინმა, რადგან ამ დროს მოზრდილი ლუკმა ჩაიღო პირში და საცოდავად ილოღებოდა ჩასმულ კბილებით.

— სტეფანე! — მიჰმართა მან სქელ-სქელ საკუქნაოს გამგეს და „პრიბორი“ ანიშნა.

თუმცა ნებლიუდოვი წინადაც იცნობდა ბებერ კორჩაგინს და არა ერთხელ და არა ორჯელ უნახავს, მაგრამ დღევანდელმა მისმა შესახელობამ — ჩასისხლიანებულმა თვალებმა და სქელმა კისერმა — ზიზღი მოჰგვარა.

— ამ წუთში, თქვენო ბრწყინვალეებავ, — უთხრა სტეფანემ ბებერ კორჩაგინს, საკუქნაოდან დიდი კოვზი გადმოიღო, შემდეგ ლამაზ ლაქიას წვერით რაღაც ანიშნა. ლაქია ცქვი.



ტად მივიდა მისის გვერდით მაგიდასთან და „პრობორს“ წმენდა დაუწყო.

ნებლიუდოვმა ჩამოუარა მაგიდას და სათითაოდ ყველას ხელი ჩამოარავა. ბებერ კორჩაგინსა და ქალების გარდა, ყველანი წამოდგნენ. ასეთი ცერემონია სასაცილოდ ეჩვენა ნებლიუდოვს. ბადიში შობიხადა დაგვიანებისათვის და მისისა და ეკატერინე ალექსეევნას შუა ჩაჯდომა დააპირა, მაგრამ ბებერმა კორჩაგინმა სთხოვა, თუ არაყს არ დაღვეთ, ხიზილალა, ყველი და თევზი მიირთვიოთ ცალკე მაგიდაზეო. ნებლიუდოვს არ ეგონა, თუ ეშივებოდა, მაგრამ რაკი დაუწყო ყველისა და პურის ჭამა, თავი ველარ შეიმაგრა და ხარბად ილუქმებოდა.

— აბა, როგორ გამოუთხარეთ ძირი სახელმწიფოს საფუძველს?—სთქვა კოლოსოვმა და დაცინვის კილოთი იხმარა ტერმინი ერთის რეტროგრადიულის გაზეთისა, რომელიც ნაფიც მსაჯულთა წინააღმდეგი იყო. —გამართლეთ დამნაშავენი და უდანაშაულონი დასაჯეთ?

— გამოუთხარეთ საფუძველი... გამოუთხარეთ!—სიცილით გაიმეორა ბებერმა თავადმა, რომელსაც ისე სწამდა თავის ამბანაგის ნათქვამი, რომ ნამდვილ ქეშმარიტებად მიაჩნდა.

ნებლიუდოვმა პასუხი არ გასცა კოლოსოვს, მიუჯდა ცხელ სუფს და მადიანად დაუწყო ხერება.

— მიართვით საქმელი, —ღიმილითა სთქვა მისსიმ ისეთის კილოთი, რომ გამოჰბატა მასთან ახლო დამოკიდებულება.

კოლოსოვი ხმა-მადლა ლაპარაკობდა იმ წერილის შინაარსის შესახებ, რომელიც ნაფიც მსაჯულთა წინააღმდეგი იყო დაწერილი, მას მიჰყვა მიხეილ სერგეიჩი და იმავე გაზეთის მეორე წერილის შინაარსს მოჰყვა.

მისი დღეს ჩვეულებრივზე უფრო მშვენიერი იყო — მგონია ძალიან დაღლილხართ და მოგშინიათ კიდევ, — უთხრა მისსიმ ნებლიუდოვს და დაუწყო ლოდინი, სამ ლუკმას დაღეჭდა და გადაჰყლაპავდა.

— მინცა და მინც არც ისე ძლიერ. იყავით სურათების სანახავად?—ჰკითხა ნებლიუდოვმა.

— არა, სხვა დროისთვის გადავდეთ. დღეს ლაუნ ტენ-ნისსზედ ვიყავით, სალმატოვებისას. მართლაც, მისტერ კრუქსი სამაგალითოდ თამაშობს ზოლმე.

ნებლიუდოვი იმ აზრით მოვიდა აქ, რომ ცოტათი მინც გართობილიყო, მაგრამ დღეს კი, საკვირველია, ყველაფერი, ქალაქიდან დაწყებული მშვენიერ მისსამდე, რომელიც დღეს ჩვეულებრივზე უფრო ღამაში და მშვენიერი იყო, მხოლოდ ზიზღსა ჰგვრიდა. საზიზღარი იყო კოლოსოვის ლიბერალური კილო, საზიზღარი იყო ბებერ კორჩაგინის უშნო ტანი, საზიზღარი იყო ეკატერინე ალექსანდროვნას ფრანგულად ტიტინი, საზიზღარი იყო აღმზრდელის ქალისა და სტუდენტის დარცხვენილი სახე და, ყველაზე უფრო საზიზღარი კი იყო შინაურულად თქმული მის შესახებ: „მოართვით საქმელიო“. მისის შესახებ ნებლიუდოვი ორქოფა გრძნობით იყო გამსჭვალული. ხან ჰზიზღავდა იგი თავის სიმშვენიერითა და ხან კი აშკარად ჰხედავდა თვითეულ მის ნაკლულევენებას. დღეს ასეთი იყო მისთვის მისი. აშკარად ჰხედავდა თვითეულ ნაოქს მის შუბლზე, ჰხედავდა, როგორ ხელოვნურად ჰქონდა თმა გაკეთებული და უმთავრესად ეხამუშებოდა ცერის დიდი ფრჩხილი რომელაც მამის ფრჩხილს მოგავგონებდათ.

— ძალიან მოსაწყენი თამაშობაატენისზედ, — სთქვა კოლოსოვმა, უფრო მხიარული თამაშობაა ბურთაობა, ბავშვობისას რომ ვთამაშობდით.

— არა, აღბად არ გამოგიცდიათ. ძლიერ გასართობია, — გაეპასუხა მისი და, როგორც ნებლიუდოვს მოეჩვენა, რალაც სხვა კილოთი წარმოსთქვა სიტყვა „ძლიერ“.

გაიმართა კამათი. მიხეილ სერგეინმა და ეკატერინე ალექსეევნამაც მიიღო მონაწილეობა, ზოლო სტუდენტი, აღმზრდელი ქალი და ბავშვები ჩუმად იყვნენ.



— მუდამ კამათობენ, — სთქვა ბებერმა კორნაბენმა, — გულიანად გადაიხარხარა და წამოდგა სადილიდგან. იმას მიჰყენენ დანარჩენებიც. სათითაოდ მივიდნენ პატარა მაგიდასთან, რომელზედაც გამზადებული იყო პირის გამოსარეცხი სუნნელოვანი წყალი. გამოირეცხეს პირი და განაგრძეს ისევ უინტერესო ლაპარაკი.

— მართალია, ხომ? — მიჰმართა მისსიმ ნებლიუდოვს და დაუწყო მტკიცება, რომ არაფერში ისე არა სჩანს ადამიანის ხასიათი, როგორც თამაშობაშიო.

— სიმართლე უნდა გითხრათ, არ ვიცი, მე არასოდეს არ მიფიქრნია მაგაზე, — უპასუხა ნებლიუდოვმა.

— დედამემთან არ შეხვალთ? — ჰკითხა მისსიმ.

— დიად, დიად, — უპასუხა ნებლიუდოვმა ისეთის კილოთი, რომელიც ნათლად ამტკიცებდა, რომ მაინცა და მაინც არ უნდოდა წასვლა, და პაპიროსი ამოიღო.

მისსიმ გაკვირვებით შეხვდა. ნებლიუდოვს შერცხვა და გიწითლდა.

„მართლაც, ეს არაფერს არა ჰგავს: მიხვიდე სტუმრად და ყველა მოაწყინო“, — სთქვა მან თავისთვის და, რომ მზიარულად ეჩვენებინა თავი, უთხრა მისსის, რომ დიდის სიამოვნებით ვნახავ კნენას, თუ მიმიღებსო.

— დიად, დიად, დიდად მოხარული იქნება. პაპიროსის მოწევა იქაც შეგიძლიანთ. ივან ივანიჩიც იქ არის.

კნენა სოფიო ვასილიევნა მუდამ ლოგინში იწვა და ძვირად წამოდგებოდა ხოლმე. მერვე წელიწადი იყო, რაც იწვა სხვა-და-სხვა სამკაულით მორთულ ლოგინში, ფერად-ფერად ლენტეშში და ხავერდებში იყო ჩაფლული; არსად არ დადიოდა და ამ მდგომარეობაში იღებდა იმით, ვინც უფრო დაახლოვეული იყო მასთან, ე. ი ვისაც სხვა ხალხისაგან არჩევდა. ნებლიუდოვიც ამ დაახლოვეულობა ჯგუფს ეკუთვნოდა, როგორც ჭკვიანი ახალგაზდა და თან მისსის საქმრო.

კნენა სოფიო ვასილიევნას ოთახი დიდ და პატარა სა-



სტუმრო ოთახს შუა იყო. დიდს სასტუმრო ოთახში გაველინს დროს მისი უცბად შეჭერდა და თვალი თვალში წაუფრიალა ნებლიუდოვს.

მისის ძალიან უნდოდა გათხოვება და ნებლიუდოვიც სწორედ მისი შესაფერი იყო. გარდა ამისა, მისის მოსწონდა ნებლიუდოვი და მუდამ იმის ფიქრში იყო, რომ ნებლიუდოვი იქნება ჩემი, და არა მე ნებლიუდოვისაო, და ყოველსავე ღონეს ჰხმარობდა, რომ ასე მომხდარიყო. მისიმ გადასწყვიტა ეხლავე აეხსნა ყველაფერი.

— ვგრძნობ, რაღაც შეგემთხვავთ, — უთხრა მან, — რა ამბავია თქვენს თავს?

— დიად, შემემთხვა, — უთხრა ნებლიუდოვმა, რადგან სიმაჩთლის თქმა უნდოდა: — საკვირველი, არა ჩვეულებრივი და შესანიშნავი შემთხვევაა.

— რა? განა არ შეიძლება სთქვას, რა შემთხვევაა?

— ეხლა არ შემიძლიან. ნება მომეცით, არა ვსთქვა; მოჰხდა ის, რაც ჯერაც ვერ მომიფიქრებია კარგად, — უთხრა მან და გაწითლდა.

— განა მე უნდა დამიმალოთ?

ნებლიუდოვი გაფითრდა.

— არა, არ შემიძლიან, — უპასუხა მან და იგრძნო, რომ ამ პასუხს თავის თავსაც ეუბნებოდა; დარწმუნებული იყო, რომ რაღაც დიდი რამ შეემთხვა

— მაშ წავიდეთ.

ქალმა შეარჩია თავი, თითქო უსიამოვნო ფიქრები უნდა მოიშოროს, და ჩქარის ნაბიჯით გასწია.

ნებლიუდოვს მოეჩვენა, თითქო მისიმ ისე მოკუმა პირო, რომ ცრემლებს იმაგრებსო, საშინლად შერცხვა და გაწითლდა, რომ აწყენინა, მაგრამ კარგად იცოდა, რომ გულ-ახდილობით მთლად დაილუპებოდა. დღეს ყველაზე მეტად ამას უფრთხობდა და ამიტომ ხმაც არ ამოუღია, ისე მივიდა კენინას კაბინეთთან.



კნენია სოფიო ვასილიევენას ნოყიერი სადღობო თავებინა; მუდამ მარტო სადილობდა, რადგან არ უნდოდა ენახა ვისმე ამ არა პოეტურს მდგომარეობაში. ტახტის ახლო პატარა მაგიდაზე ფინჯანით ყავა ეღვა და პაბიტოსკას შეექცეოდა. კნენია ძალიან გამზდარი იყო, მოგრძო კბილები და დიდრონი თვალები საშინლად აუშნოებდა მისს ისედაც უშნო პირისახეს.

ექიმი და იმის დამოკიდებულებას ცუდად იხსენიებდნენ. ეს გარემოება არ ახსოვდა ნებლიუდოვს, მაგრამ ახლა, როცა კნენიას ტახტის ახლო დაინახა ექიმი თავის დაბზნილის წვერებით, ზიზღი აღეძრა.

სოფიო ვასილიევენას გვერდით, მაგიდას ახლო, რბილ სავარძელში იჯდა კოლოსოვი და ყავას ურევდა კოვზით.

მისი შემოვიდა ნებლიუდოვთან ერთად, მაგრამ ოთახში აღარ დარჩა.

— როცა დედა დაიღლება და გამოგადგმთ გარეთ, ჩემთან წამობრძანდით, — უთხრა მან ნებლიუდოვს ისეთის კილოთი, თითქო მათ შორის არაფერი მომზდარიყოს, და ფეხაკრეფით გავიდა ოთახიდან.

— გამარჯობათ, გამარჯობათ, მეგობარო! — მიესალმა კნენია სოფიო ვასილიევენა ნებლიუდოვს და ისე ოსტატურად გაიღიმა, რომ ნამდვილი ღიმილი გვეგონებოდათ. — აბა, დაბრძანდით და მიამბეთ: მითხრეს, რომ სასამართლოდგან ძლიერ დაღონებული დაბრუნდაო. მე მეგონა, რომ გულ-კეთილ ადამიანისათვის ძალიან ძნელია მაგისთანა შემთხვევა, — სთქვა მან ფრანგულად.

— დიად, მართალია, — უთხრა ნებლიუდოვმა, — ხშირად ჰგრძნობთ, რომ... ჰგრძნობთ, რომ არა გაქვთ კაცთა გასამართლების უფლება.

— Comme C'est vrais! — წამოიძახა კნენიამ, — პო, მართლა, როგორ არის თქვენი სურათი? სწორედ გითხრათ, ძალიან



მენტერესება ნახვა, — დაუმატა მან, — ჩემი უძლეობა, თორემ დიდი ხანია მინდა თქვენსა მოსვლა.

— კარგა ხანია, რაც თავი დავანებე, — უგემურად უპასუხა ნებლიუდოვმა, რომელიც ნათლად ამჩნევდა კნენას პირფერობას; ასევე ცხადად ამჩნევდა, რომ კნენა ჰმალავდა თავისს სიბერეს. ნებლიუდოვმა ვერას გზით ვერ მოახერხა აღერსიანად ლაპარაკი.

— ტყუილად დავინებებიოთ თავი. თქვენც კარგად იცით, თვით რეპინმა მითხრა, რომ დიდი ნიჭი აქვს მხატვრობისაო, — უთხრა კნენამ კოლოსოვს.

„როგორ არა სცხვენია ასეთის ტყუილებისა“, — გაჯავრებული ჰფიქრობდა ნებლიუდოვი.

რაკი კნენა დარწმუნდა, რომ ნებლიუდოვი არ იყო გუნებაზე და ამისთანა საგანზედ ლაპარაკი მოუხერხებელი იყო, მიუბრუნდა ისევე კოლოსოვს და ერთის ახალ დრამის შესახებ დაუწყო მუსიკით, იმ კოლოთი, რომელიც ნათლად ამტკიცებდა, რომ კოლოსოვის აზრი მისთვის ჭეშმარიტება იყო. კოლოსოვმა საშინლად გაჰკიცხა, როგორც დრამა, ისე მისი ავტორი, და ხელოვნების შესახებ ლექციის კითხვა დაიწყო. კნენამ მოინდომა დრამის ავტორის დაცვა, — მაგრამ ისე გაიტაცა კოლოსოვის მჭევრმეტყველობამ, რომ ან ეთანხმებოდა და ან არც აქვთ იყო, არც იქით. ნებლიუდოვი შესტკეროდა მოსაუბრეთ, მაგრამ მისი ვონება კი შორსა ჰფრინავდა.

ხან სოფიო ვასილიევენას შეჰხედავდა და ხან კოლოსოვს. ნათლადა ჰხედავდა, რომ არც კნენასა და არც კოლოსოვს არავითარი დარდი არა ჰქონდათ არც დრამისა და არც ერთმანეთისა და, თუ ასე გაცხარებით კამათობდნენ, ფიზიოლოგიურ მოთხოვნის ბრალი იყო. უნდოდათ გაძლომის შემდეგენისა და ყელის ძარღვები მოძრაობაში მოეყენათ. გარდა ამისა, ჰხედავდა, რომ კოლოსოვი მეტის დაღვეით მთვრალი იყო, მაგრამ იმდენად კი არა, როგორც ლენოს შეუჭვველი გლეხები თვრებიან ხოლმე, ისე იყო მთვრალი, როგორც



დათვრება ისეთი კაცი, რომელსაც მეტი სმა ჩვეულებად გადაჰქცევია. თუმცა არ ბარბაცობდა და სისულელეებსაც ბაღ ამბობდა, მაგრამ არა ნორმალურ და ალტაცებულ მდგომარეობაში იყო. თანაც კნენინა, ლაპარაკის დროს, წამ-და-უწუმ სარკმელისკენ იყურებოდა, საიდანაც შხის სხივი შემოდოდა და ამ სხივს შეეძლო მისის სიბერის გამოჩენა.

— მართლაც, რომ ეგ სრული ჭეშმარიტებაა, — სთქვა მან კოლოსოვის ერთ შენიშვნაზე და კედელზე ზარის დუგმას თითი დააჭრა.

ექიმი, როგორც შინა კაცი, წამოდგა და გავიდა ოთახიდან. კნენინამ თვალეები გააყოლა.

— ფილიპე, თუ ღმერთი გწამს, სარკმელს ფარდა ჩამოაფარე, — უთხრა მან ლამაზ ლაქიას, რომელიც ზარის წკარუნზე შემოვიდა.

— არა, როგორც გინდათ, ისე სთქვით, მაგრამ იმ დრამაში რაღაც მისტიციზმია და უმისტიციზმოდ პოეზია ხომ შეუძლებელია?! — ამბობდა კნენინა და ცალის თვალით ლაქიას მიჩერებოდა, რომელიც ამ დროს ფარდას ასწორებდა.

— მისტიციზმი უპოეზიოდ ცრუმორწმუნობაა და პოეზია უმისტიციზმოდ კი — პროზა, — დაღონებულმა წარმოსთქვა და თან ლაქიას თვალს არ აშორებდა.

— ფილიპე! — ეს ფარდა კი არა, იმ დიდ სარკმლისა გაასწორე, — დიდის გაქივრებით წარმოსთქვა მან და დასამშვიდებლად მაშინვე სუნნელოვან ჰაბიტოსკას დაუწყა წვევა.

ფილიპემ მდაბლად თავი დაუკრა და წყნარის ნაბიჯით დიდ სარკმლისკენ წავიდა. გულმოდგინედ დაუწყა ფარდას დაშვება, რომ არც ერთი სხივი კნენინას არ მოჰხვედროდა, მაგრამ ვერც აქ გააკეთა კნენინას გემოზე, რას გამოც კნენინამ შესწყვიტა ლაპარაკი და მიჰმართა ლაქიას. ერთ წუთს ფილიპეს თვალეები ცეცხლივით აენთო.

„ეშმაკმა წაიღოს შენი სული და ხორცი, ვინ მიჰხვედება, რა ჯანდაბა გინდა“, — იფიქრა ალბად ლაქიამ, როცა ფარდას



ასწორებდა. ღონიერმა, ლამაზმა ლაქიამ მიინც სწრაფად და-
ფარა თვისი მოუთმენლობა და დამშვიდებით დაუწყო ღონის
სწორება, ისე, როგორც უბრძანა უღონომა და მთლად
ყალბმა კნენმა სოფიო ვასილიევნამ.

— რასაკვირველია, დარვინის მეცნიერებაში ბევრი სი-
მართლეა, — სთქვა დაბრუნებულმა კოლოსოვმა, გადაითხლა შა-
რბილს საეარძელში და ძილ-მორეული თვალები კნენას
მიაპყრო.

— მაგრამ მეტის მეტად შორს მიდის.

— განა მემკვიდრეობა გწამთ? — შეეკითხა სოფიო ვასი-
ლიევნა ნებლიუდოვს, რომ გამოეწვია სალაპარაკოდ.

— მემკვიდრეობა? — გაიმეორა ნებლიუდოვმა, — არა, არა
მწამს. — ამ დროს მისი გონება შთანთქმული იყო იმ ფიქრებით,
რომელიც რაღაც მიზეზით წარმოუდგა თვალ-წინ. წარმოიდ-
გინა ღონიერ, ლამაზ ფილიპეს გვერდით შიშველი კოლო-
სოვი, მისი საზამთროსებური მუცელი, მოტყვებელი თავი
და უძარღვო მოჩონხლილი მკლავები, მაგრამ ეს წარმოდგე-
ნა სასიამოვნო არ იყო ნებლიუდოვისათვის და ძლივს ძლივო-
ბით მოიშორა თავიდან.

სოფიო ვასილიევნამ თვალი ააღელ-ჩაავლო ნებლიუდოვს.

— მართლა, თქვენ ხომ მისი გელოდებით? — უთხრა მან, —
წადით მასთან, უნდოდა დაეკრა თქვენთან შუმანის ახალი
პიესა — საინტერესოა.

„ქარვად ვიცი, რაც უნდა დაუკრას და როგორ საზიზ-
ღრდად სტყუით“, — გაიფიქრა ნებლიუდოვმა, საჩქაროდ წამო-
დგა, ჩამოართვა კნენას ხელი და გავიდა ოთახიდან.

სასტუმრო ოთახში ეკატერინა აღექსევენა დახვდა და
მაშინვე ლაპარაკი დაუწყო.

— როგორც ვხედავ, ნაფიც მსაჯულის მოვალეობა
თქვენზე კუდად მოქმედებს, — ჩვეულებრივ ფრანგულად უთ-
ხრა მან.



— დიად, მაპატიეთ, დღეს ვერა ვარ კარგს გუნებაზე და არაერთი უფლება არა მაქვს სხვებიც მოვაწუხოთ უნდა სუბა ნებლიუდოვმა.

— რადა ხართ კუდს გუნებაზე?

— ნება მომეცით, არა ვსთქვა მიზეზი, — უპასუხა მან და კუდს დაუწყო ძებნა.

— თქვენ-კი მუდამ იმას ამბობდით, რომ ადამიანმა სი-მართლე უნდა ილაპარაკოსო. რატომ არ გინდათ ახლა სთქვათ?

— გახსოვს, მისსი? — მიჰმართა ეკატერინე ალექსეევნამ მათ-თან გამოსულ მისსის.

— იმიტომ, რომ მაშინ ეგ ხუმრობა იყო, — დაფიქრებით უპასუხა ნებლიუდოვმა; — ხუმრობაში შესაძლებელია და ნამდვი-ლად კი ისეთი საძაგლები ვართ, ე. ი. მე ვარ ისეთი საძაგელი, რომ არ შემიძლიან სიმართლე ვსთქვა.

— არა, სიტყვას ბანზედ ნუ ისვრით, უმჯობესია სთქვათ, რითა ვართ საძაგლები? — უთხრა ეკატერინე ალექსეევნამ.

— იმაზე კუდი არა არის-რა, როდესაც ადამიანი ამბობს, უგუნებოდა ვარო, — სთქვა მისსიმ: — მე თავის დღეში არ ვიტ-ყვი და ამიტომ მუდამ კარგ გუნებაზე ვარ. რას უყურებთ? წამოდით ჩემთან. ვეცდები გავფანტო თქვენი ჭმუნყარება.

ნებლიუდოვის მდგომარეობა ჰგავდა იმ ცხენის მდგომა-რეობას, რომელსაც ჯერ ზურგზე ხელს უსმენ და ეფერებიან, რომ შემდეგ ლაგამი ამოსდონ და მერე შეაბან ეტლში. ეს მან აშკარად იგრძნო; ბოდიში მოიხადა, რომ სახლში მივე-ჩქარებო, და გამოეთხოვა. მისსის ჩვეულებრივზე უფრო დიდ-ხანს ეჭირა მისი ჩამოსართმევად გაწვილილი ხელი.

— არ დაგავიწყდეთ, რომ ის, რაც თქვენთვის არის სა-ყურადღებო, ისე საყურადღებოა თქვენის მეგობრისთვისაც, — უთხრა მან ნებლიუდოვს. — ხვალ ხომ მოხვალთ?

— არა მგონია, — უპასუხა ნებლიუდოვმა და ისე შერ-ცხვა, რომ სულ გაწითლდა და საჩქაროდ გამობრუნდა.



— ეს რა ამბავია? — სთქვა ეკატერინე ალექსეევნამ, როცა ნებლიუდოვი წავიდა, — უთუოდ შევითყობ, რაც ჩვენის დიმიტრის თავსა.

მისისი უნდოდა რაღაც მკვახე სიტყვა ეთქვა, მაგრამ აღარა სთქვა. — ყველა ჩვენგანს შეემთხვევა კარგი და ავიო, — წაილაპარაკა მან.

„ნუ თუ ესეც მომატყუებს, — იფიქრა მისსიმ, — ყველა იმის შემდეგ, რაც მოჰხდა. ეს საშინელება იქმნება იმის მხრით“.

რომ გეკითხნათ მისისისთვის, რას ჰნიშნავდა ეს წინადადება, ვერაფერ პასუხს ვერ მოგცემდათ. თანაც გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ იმასა და ნებლიუდოვს შორის თვალსაჩინო არა ყოფილა-რა და ყველაფერი მოსალოდნელი იყო, მაგრამ მაინც ნებლიუდოვს თავისად სთვლიდა და მისს დაკარგვას დიდად სამწუხაროდ მიიჩნევდა.

XXVIII

„მრცხენიან და მეზიზღება ჩემი თავი“, — ჰფიქრობდა ნებლიუდოვი, როცა სახლისკენ მიდიოდა. ის გრძნობა, რომელიც მისისისთან ლაპარაკით გამოსცადა, არა შორდებოდა. ჰგრძნობდა რომ ფორმალურად, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, არაფერი არ აკავშირებდა მისისისთან, რადგან სიტყვა არ მიუცია მაგრამ ნამდვილად კი ჰგრძნობდა, მათ შორის ისეთი კავშირი იყო, რომ უცქველად უნდა შეერთო. დღეს კი იგრძნო, რომ არაფრის გულისათვის არ შეეძლო მისი შერთვა.

„მრცხენიან და მეზიზღება ჩემი თავი, — იმეორებდა თავი სთვის არა მარტო მისისის გამო, არამედ ყველაფრის გამო. „ყველაფერი საზიზღარია და სამარცხენია“, იმეორებდა ნებლიუდოვი, როცა თავის სახლის კიბეზედ აღიოდა.

— ვახშამი არ მინდა, — უთხრა კარნეის, რომელიც შე-



მოპყვა სასტუმრო ოთახში, სადაც გაშლილი იყო სუფრა და მომზადებული იყო ჩაი.—წადი.

— ბატონი ბრძანდებით, — უპასუხა კორნეი, შეგნამ არ წავიდა და მაგიდას დაუწყო ლაგება. ნებლიუდოვი უმზერდა კორნეის და ბრაზი მოსდიოდა. უნდოდა მარტოდ ყოფნა და თითქო განგებ ყველა ხელს უშლიდა, თავს აბეზრებდა. კორნეი ააღაგა ჩაის იარაღი და გავიდა გარედ. ის იყო ნებლიუდოვი მივიდა სამოეართან, რომ ჩაინიკში ჩაი ჩაეყარა, და აგრაფინა პეტროვნას ფეხის ხმაც გაიგონა. რომ არ შეზვედროდა, საჩქაროდ გავიდა სასტუმრო ოთახში და კარები გაიხურა. ეს ის სასტუმრო ოთახი იყო, რომელშიაც ამ სამის თვის წინად სული დალია შისმა დედამ. ახლა, როცა განათებულ ოთახში გადაჰხედა დედის სურათს, მოაგონდა, თთ როგორ ექცეოდა ბოლოს დროს, და შესწუხდა. ესეც სამარცხვინო და საზიზღარი საქმე იყო. ნებლიუდოვს მოაგონდა დედის ავადმყოფობის დრო და ისიც, თუ როგორ უნდოდა, რომ დედა აღრე მომკვდარიყო, რათა განთავისუფლებულიყო ტანჯვისაგან, ნამდვილად კი იმიტომ, რომ თვითონ განთავისუფლებულიყო დედის ტანჯვის ცქერისაგან.

ნებლიუდოვმა გადაჰხედა დედის სურათს, რომლის დახატვისშიაც 5,000 მანეთი მისცეს ერთს შესანიშნავს მხატვარს. ეს სურათი იყო დახატული შავის ხავერდის გულ-ამოჭრილ კაბაში. მხატვარს ყოველივე ღონე ეხმარა, რომ კარგად გადმოელო შესანიშნავი გულ-მკერდი და ბროლივით თეთრი კისერი. ეს კი მთლად საძაგელი და სასირცხო სანახაი იყო. სასირცხო იყო მით უფრო, რომ ამ სამის თვის წინად ამავე ოთახში იწვა გაძვალტყავებული ჩონჩხი ამ ქალისა და საშინელის ტანჯვით სულს ჰლევდა. ნებლიუდოვს მოაგონდა, თუ როგორ აიღო დედამ მისი ხელი და უთხრა: ნუ დამემღურები, მიტრო, თუ მე ისე არ მოვიქეცი, როგორც საჭირო იყო“, და მისს მიბნედილსა და ჩავარდნილს თვალებზე ცრემლები ჩამოკრიალდა. „რა საძაგლობაა“, — სთქვა თავისთვის ნებლიუდოვმა და



ერთხელ კიდევ გადაჰხედა ნახევრად შიშველ ქალს, ვეებერთელა ბროლივით თეთრის კისრითა და გულ-მკერდით. შიშველმა გულ-მკერდმა ნებლიუდოვს მოაგონა სხვა ახალგაზრდა ქალი, რომელიც ამ ღღებში ჰნახა, სწორედ ეგრე გულ-გახსნილი. ეს იყო მისი, რომელმაც ნებლიუდოვი მიიწვია ერთ საღამოს იმიტომ, რომ ეჩვენებინა საბალო ტანისამოსი; ნებლიუდოვმა ზიზღით მოიგონა მისის გაშიშვლებული მკლავები. „საძაგლობაა და სასირცხო, სასირცხოა და საძაგლობა“.

„არა, არა, — ჰფიქრობდა ნებლიუდოვი, — უნდა განვთავისუფლდე კორჩავინებთან ყველა ამ ყალბ დამოკიდებულებიდან, მარია ვასილივენასგან, მამულებიდან და ყველაფრისგანაც... დიად, თავისუფლად უნდა ამოვისუნთქო. წავალ საზღვარ-გარედ — რომში, და განვაგრძობ მხატვრობას“. აქ მოაგონდა თავისი უნიკობა და ენაზე იკბინა. „მაგრამ სულ ერთია, ოღონდ თავისუფლად ამოვისუნთქო. პირველად სტამბოლში, შემდეგ რომში, ოღონდ, რაც შეიძლება, ჩქარა მოვიშორო თავიდან ნაფიც-მსაჯულობა და ეს საქმე მოვაწყო ვეჭრლთან.“

უცხად თვალ-წინ დაუდგა შეთვალა ტუსალი-ქალი. ოჰ, როგორ გულ-ამოსვენით ატირდა საწყალი ქალი დამნაშავეთა უკანასკნელ სიტყვაზე! ნებლიუდოვმა საჩქაროდ გადაადგო დაღეული პაპიროსი, მოუკიდა მეორეს და დაიწყო ოთახში წინ და უკან გაჩქარებით სიარული. ახლა თვალწინ წარმოუდგა ყოველივე წუთი, იმ ქალთან გატარებული, მოიგონა უკანასკნელი მასთან შეხვედრა, როცა ნებლიუდოვი ისე საშინლად გაიტაცა ვნებათა ღელვის სურვილმა, მოიგონა ცისფერ ლენტიანი თეთრი კაბა, მოიგონა ცისკრის წესის შესრულება. „მე ხომ მიყვარდა ის, წრფელის გულით მიყვარდა, წმინდა, უმანკო სიყვარულით, მიყვარდა წინადაც, როცა დეიდებთან ვსცხოვრობდი ზაფხულში, და მერე როგორ მიყვარდა!“ — ჰფიქრობდა ნებლიუდოვი. მან წარმოიდგინა თავისი თავი ისე, როგორც იმ დროს იყო, და გულზედ რაღაც ლოდინით დააწვა. ეხლანდელს ნებლიუდოვსა და წინანდელს შორის ისეთი

Handwritten note in purple ink on the right margin: უკანასკნელი სიტყვაზე



დიდი განსხვავება იყო, როგორც ეკლესიაში მდგომ კატოსა და იმ კატოს შორის, რომელსაც დღეს ასამატროვანს. წინად ნებლიუდოვი იყო სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა, რომლისთვისაც ყველაფერი შესაძლებელი იყო. ეხლა კი უაზრო და უზნეო ცხოვრების მონა, გათელილი ადამიანი, მოაგონდა, როგორის თავგამოდებით იბრძოდა წინად სიმართლისთვის და მუდამ სიმართლეს ამბობდა, ეხლა კი საზიზღარის სიცრუის მორევში სცურავდა. ამ მორევიდგან გამოსასვლელი გზა არსად იყო. შესტოპა ამ მორევში, გაითხუპნა და ისე შეეჩვია, რამ ნახად გორავდა შიგ და გამოსვლა კი არ უნდოდა.

„როგორ გავსწყვიტო კავშირი მარია ვასილიევნასა და მის ქმართან ისე, რომ შემდეგ პირნათლად შევხედო როგორც იმათ, ისე მათს შეიღებს? როგორ გავსწყვიტო უმიზნოდ მისისთან კავშირი? როგორ მოვექცე დედის-მიერ დატოვებულს მამულებს, როდესაც კერძო მიწად-მფლობელობის წინააღმდეგი ვარ? როგორ შევინანო კატოს წინაშე დანაშაული? ყველა ამების ასე დატოვება შეუძლებელია! არ შეიძლება ასე უყურადღებოდ მივატოვო ის ქალი, რომელიც მიყვარდა; არ შეიძლება დაეკმაყოფილდე იმით, რომ მივსცე ვეჭილს ფული და დავიხსნა კატორღიდან, რომელიც არაფრით არ დაუშაახურებია. ან წინანდებურად მივსცე ფული და შევინანო დანაშაული“?

მოაგონდა ის წუთი, როცა კატოს დაეწია კარიდორში, ძალიად მიაჩნია ხელში ათ თუმნიანი და გაიქცა. „ოჰ, ეს ფული!“—ზიზღით მოიგონა ნებლიუდოვმა ის წუთი,—ოჰ, ოჰ! რა საზისღრობაა!—წამოიძახა ხმა-მალლა.—მხოლოდ უსინდისო, საზიზღარ ადამიანს შეეძლო ამ საქმის ჩადენა.—და ეს საზიზღარი და საძაგელი ადამიანი კი მე ვარ, მე!—წამოიძახა ნებლიუდოვმა.—ნუ თუ მართლა?—გაჩერდა ის,—ნუ თუ მართლა საზიზღარი ადამიანი ვარ? მაშ ვინ არის, თუ არ ხე?—უპასუხა მანვე თავის თავს.—მერე განა ეს ერთი?—განაგრძო თავის მხილება:—ნუ თუ საზიზღრობა. არ არის ჩემი მარია



ვასილიყენასთან და მის ქმართან კავშირი? ჩემი მამულთან და-
 მოკიდებულება? იმ აზრით, რომ ფული დედის წყაროებზე
 ვისარგებლო იმ სიმიდრით, რომელსაც უკანონოდ ვსთვლი?
 მთელი ჩემი ფუქსავატი ცხოვრება და ყველა ამის დადნის
 გვირგვინი — ჩემი საქციელი კატოსთან?! საძაგელო, საზიზლა-
 რო!...ხალხმა, როგორც სურს, ისე გამასამართლოს, მე თა-
 მამად შემიძლიან მათი მოტყუება, მაგრამ თავის თავს კი
 ვერასოდეს ვერ მოვატყუებ

ნებლიუდოვს არა ერთხელ მოსვლია თავის ცხოვრებაში,
 თუ როგორა იძახდა „სულის გაწმენდაო“. „სულის გაწმენდას“
 ის ეძახდა იმის, როცა კარგა ხნის შემდეგ შეატყობდა, რომ
 სულიერი ცხოვრება შეჩერებული იყო, და მიჰყოფდა ხელს იმ
 ნაგავის გამოწმენდას, რომლის მიზეზითაც იყო ცხოვრება შე-
 ჩერებული.

ამ გვარ გამოფხიზლების შემდეგ ნებლიუდოვი აწესრი-
 გებდა თავის ცხოვრებას და აღთქმასა სდებდა, არ გადაეხვი
 ამ წეს-რიგისათვის; — სწერდა დღიურს, იწყებდა ახალს
 ცხოვრებას, რომლის ლაღატსაც თავისს დღეში არ იფიქრებ-
 და — turning a new leaf, — როგორც ის ამბობდა ხალხმე.
 მაგრამ გადიოდა დრო და ხერხლიუდოვიც ივიწყებდა ყველა-
 ფერს და ისევ ითრუტუდა გაბრწინილი ცხოვრება.

ასე და ამ გვარად, რამდენჯერმე გამოფხიზლდებოდა და
 და გაიხმინდებოდა ხალხმე ნებლიუდოვი. ასე მოუხდა, როცა
 პირველად მაშიდებს ესტუმრა საზუხაულოდ. ეს ყველაზე უკ-
 რო ძლიერი და აღტაცებული გამოფხიზლება იყო, რომლის
 შედეგიც დიდხანს გაგრძელდა. მეორე გამოფხიზლება სამო-
 ქალაქო სამსახურის მიტოვებისა და სამხედრო სამსახურში
 შესვლის დროს მოჰხდა. შემდეგი გამოფხიზლება მოჰხდა მაშინ,
 როცა გამოვიდა სამსახურიდან, წაეიდა საზღვარ-გარეშ და
 მხატვრობას მიჰყო ხელი.

მას შემდეგ კარგა ხანი გავიდა, რაც ის არ გაწმენდილა
 სულით, ამიტომ არასოდეს ასე არ გაქუქყიანებულა, არა-



სოდეს ასეთი უთანხმოება არ ჩამოვარდნილა მის ცხოვრებასა და სინდისის მოთხოვნილებას შორის, როგორც ვეღვაძის შინაგან შინაგან ცხოვრების ასეთი უფსკრული დაინახა.


თითქმის იმედი დაეკარგა განწყობისა. „ხომ სცადე ხასიათის გამოცვლა და გადაგვარება, რომ უკეთესი ყოფილიყავ, მაგრამ არაფერი გამოვიდა*, — ეუბნებოდა იღუმალის მაცდური ხმა: — „მაშ რაღა გინდა? რასა თხოულობ? მარტო შენ ხომ არა ხარ, ყველა ასეთია, ასეთია ცხოვრება, — ეუბნებოდა იღუმალის ხმა. მაგრამ იმ სულიერმა არსებამ, რომელიც მხოლოდ ერთად-ერთი არის ქეშმარიტი, ყოველად ძლიერი და საუკუნე, უკვე გაიღვიძა ნებლიუდოვის არსებაში. ნებლიუდოვს არ შეეძლო არ ერწმუნა ამ სულიერის არსებისა. თუმცა წინანდელსა და ეხლანდელს შორის დიდი მანძილი იყო, მაგრამ სულიერ არსებისთვის ყველაფერი შესაძლებელია.

„რათაც უნდა დამიჯდეს, დავამსხვრევ ამ სიცრუის ბორკილს, რომელსაც აგრე შევუბოჭივარ; ყველას ნამდვილ სიმართლეს ვეტყვი, — გადაჭრით უთხრა თავის თავს. — ვეტყვი მისის, რომ მე უნამუსო ვარ, არ შემიძლიან მისი შერთვა და ამდენ ხანს-კი ტყუილად ვაწუხებდი; ვეტყვი მარია ვასილიენას — წინამძღოლის ცოლს... მართლა, იმასთან არაფერი მაქვს სათქმელი... — ვეტყვი მისს ქმარს, რომ მე საზიზღრად ვატყუებდი; მამულს ისე მოვიხმარ, როგორც სიმართლე მოითხოვს. კატოს ვეტყვი, რომ მე საზიზღარი აღამიანა ვარ, დიდი დანაშაული მიმიძღვის მის წინაშე და ყოველსავე ღონეს ვიხმარ, რომ შევეუმსუბუქო ტანჯვა. დიალ, ვნახავ კატოსა და ვსთხოვ, მაპატიოს დანაშაული. დიალ, ვსთხოვ პატიებას ისე, როგორადაც ბავშვები სთხოვენ ხოლმე.

ნებლიუდოვი შეჩერდა.

— და ცოლადაც შევირთავ, თუ კი საჭირო იქნება.

აქ გაჩერდა და ხელები გულზე დაიკრიფა ისე, როგორც



ბავშვობისას იცოდა ხოლმე; თვალები ზეცისაკენ აღაპყრო და
წარმოსთქვა: **ბალონი.**

ბიზლიჩოცა

— უფალო, შემეწიე, მასწავლე რამე! მოვედ ჩემთანა და წმინდა მეყვენ მე ყოვლისაგან ბიწისა.

ლოკულობდა, სთხოვდა ღმერთს სულით გაწმენდას, მაგრამ განწმენდა უკვე აღსრულდა. ნებლიუდოვმა მზიარულად იგრძნო თავი და თავისუფლად ამოისუნთქა. ყველაფერი, რაც კი კეთილია და ადამიანს შეუძლიან—მეც შემიძლიან ებლა გევაკეთაო, — ჰგრძნობდა ნებლიუდოვი. ამას რომ ამბობდა, მეტის სიხარულისაგან თვალები აუცრემლდა, რომ იმ სულიერმა არსებამ, რომელსაც ამდენ ხანს ეძინა, უკვე გამოიღვიძა.

ნებლიუდოვს საშინლად დასცბა, მივიდა სარკმელთან და გააღო. სარკმელი ბალისაკენ იყო; მშვენიერი წყნარი, მთვარიანი ღამე იყო. ქუჩაში უტღმა გაიარა და ყველაფერი მიყუჩდა. სახლის სახურავები მთვარას მკრთალს სხივზე მარმადილოსებრ კრიალებდა; ნებლიუდოვი სიამოვნებით უცქეროდა ამ დიდ სანახაობას და ხარბად ჰყლაპავდა გამაცოცხლებელს ცივ ჰაერს.

XXIX

მასლოვის ქალი სალამოს ექვს საათზე დაბრუნდა თავის კამერაში მშვიერი და თანაც სასტიკის განაჩენით საშინლად გულ-მოკლული. ქვებზე სიარულის გამო ფეხები საშინლად სტკიოდა და მთლად დაქანცულიყო.

როცა სასამართლოში საქმის შეწყვეტის დროს მოსამსახურეები არხეინად პურსა და კვერცხს შეექცეოდნენ, მასლოვის ქალს პირი ნერწყვით აევესო და მიჰხვდა, რომ ძალიან მოჰშიენოდა, მაგრამ თხოვნა დიდ თავის დამცირებად მიიჩნდა. ამ მდგომარეობაში იყო, როცა უეცრად სასტიკი განაჩენი წაუეკითხეს. პირველად ვითომ ეგონა, კარგად ვერ გაეიგონეო, არ უნდოდა ასე უცბად დაეჯერებინა ის, რაც გაიგონა, არ შეეძლო ეფიქრნა კატორღაზე, მაგრამ როცა მოსამართლეებისა



და ნაფიც-მსაჯულთა დამშვიდებული სახე დაინახა, გაბრუნდნენ და საზარელი ხმით დაიყვირა: „მე დამნაშავე მკრთო მკრთო მკრთო მაგრამ როცა დაინახა, რომ ვერც ამ დაყვირებით გაჰხდა რასმე და არ არავის არ გაჰკვირვებია, გულ-ამოსკვნით დაიწყო ტირილი, რადგან იგრძნო, რომ უნდა დაჰმორჩილებოდა იმ შკაქრ განაჩენს, რომელიც სრული უსამართლობა იყო. კატოს მეტის-მეტად უკვირდა, რომ ასე სასტიკად მოექცნენ ის ახალგაზდა ვაჟკაცები, რომელნიც ისე აღერსიანად შეჰყურებდნენ მას რამდენისამე წუთის წინად. მხოლოდ ბრალმდებლის ამხანაგი ვერ იყო კარგ გუნებაზე და კატოსკენ ერთხელაც არ მოუხედნია, როგორც თვითონ კატომ შეჰნიშნა. მასლოვის ქალი ხშირად ხედავდა, როგორ გადიოდნენ ახალგაზდები ოთახში ვითომ-და საქმისათვის, ნამდვილად კი უნდოდათ თვალი გადაეგლოთ მისთვის. ამ კაცებმა კი კატორღა გადაუწყვიტეს, თუმცა სრულიად უდანაშაულო იყო. დიდხანს სტიროდა, შემდეგ ტირილი შესწყვიდა და ელოდა როდის გაიყვანდნენ. ეხლა მხოლოდ ერთი რამ უნდოდა—პაპიროსი. ამ მდგომარეობაში ნახეს კატო ბოჩკოვის ქალმა და კარტინკინმა, როცა ისინი განჩინების გამოსაცხადებლად შემოიყვანეს. ბოჩკოვის ქალმა მაშინვე ჩხუბი გაუმართა კატოს და „კარტოქინცა“ უწოდა.

— აი, შე საძაგელო, გერგო განა? გაიმართლე თავი? ნუ გეშინია, კარგებ მოგაყოლეს, მგონია, შე საძაგელო! რაც დაიმსახურე, ის გერგო. ეხლა კი დაანებებ კატორღაში ემხობას თავს.

მასლოვას ხალათის სახელოებში ხელებში შეეყვო, უძრავად იჯდა და იატაკს დაჰყურებდა.

— მე თქვენ არას გიშავეთ და თქვენც თავი დამინებეთ,—უთხრა კატომ და დაჩუმდა. კატო ცოტათი მოცოცხლდა, როცა კარტინკინი და ბოჩკოვის ქალი გაიყვანეს; შემოვიდა მოსამსახურე და სამი მანათი მიუტანა.

— შენ მასლოვა ხარ?—ჰკითხა მოსამსახურემ,—ჰა! ეს



ქალბატონმა გამოგვიზავნა, — უთხრა მან და გარდასცა ქაში
მანათი.

— რომელმა ქალბატონმა?

— აიღე! შენ თვითონ უნდა იცოდე, შენთან სალაპა-
ჩაკოდ არა მცალიან.

ეს ფული ქ-ნმა კიტაევამ გამოუგზავნა მასლოვის ქალს.
სასამართლოდგან გასვლის დროს კიტაევა დაეკითხა ბოქაულს:
არ შეიძლება ცოტა ფული გადასცეთ მასლოვის ქალსაო?
ბოქაულმა უთხრა, — შეიძლებაო. ქ-ნმა კიტაევა ნახად ჩაიყო
ჯიბეში თავისი ფუნთულა ხელი, ამოიღო ახალ-მოღის ქისა
და იქიდგან ამოიღო ახალ-მოქრილი კუბონი, ერთი 2 მ.
50 კ., მიუმატა 50 კ, და გარდასცა ბოქაულს. ბოქაულმა
დაუძახა მოსამსახურეს და კიტაევას თვალწინ გარდასცა ეს
ფული კატოს გადასაცემად.

— სწორედ გარდაეცი, გეთაყვა, — უთხრა მოსამსახურეს
კაროლინა ალბერტოვნამ.

მოსამსახურემ შეურაცხყოფად მიიღო ასეთი უნდობლობა
და ამიტომ იყო, რომ ისე გაჯავრებული შეჰხედა მასლოვის
ქალს. ფული ძალიან გაეხარდა კატოს, რადგან ეხლო შეედლო
ემოვნა, რაც გულით უნდოდა.

„ოლონდ კი პაპიროსი ეიშოვნო და გულიანად მო-
ვსწიო“, — ჰფიქრობდა მასლოვა და სხვა არა ახსოვდა-რა. ისე
საშინლად უნდოდა პაპიროსის მოწვევა, რომ თამბაქოს კვამ-
ლით გაჭედნთილ ჰაერსაც ხარბად ეწაფოდა.

დიდის ხნის ლოდინის შემდეგ, ნაშუადღევის ნ საათზედ,
წაიყვანეს მასლოვის ქალი სასამართლოდგან. კატომ დერე-
ფანში გარდასცა ერთს ჯარის-კაცს აბაზი და სთხოვა: ორი
ნაზუქი და პაპიროსი მიყიდეო. ჯარის-კაცმა გაიღიმა და
უთხრა: „კარგი, გიყიდია“, გამოართვა ფული, როგორც რიგი
იყო, უყიდა ყველაფერი და ხურდაც მიუტანა. გზაში მოწვევა
არ შეიძლებოდა და ამიტომ სატუსალოში მისვლამდე ვერ
აისრუოდა კატომ გულის წადილი. იმ დროს, როცა კატო



სატუსალოს კარებს მიადგა, რკინის გზის სადგურიდგან, ასამდე სხვა-და-სხვა ჯურის ტუსალი მიიყვანეს.

ტუსალები—წვერიანები, წვერ-მოპარსულები, ახალგაზ-
დები, მოზუცნი, რუსები და სხვა-და-სხვა ტომის ხალხი, ზო-
გი ნახევარ-თავმოპარსულები ბორკილების ჩხარა-ჩხურითა და
ხმა-მაღალის ჩოჩქოლით იქაურობას აყრუებდნენ. კარიდორში
საშინელი მტვერისა და ოფლის მყრალი სუნი იდგა. მასლოვის
ქალს ტუსალებმა გვერდით აუარ-ჩამოუარეს, დაათვალიერეს და
ზოგი კიდევ გაეხუმრა.

— უჰ, რა კარგი გოგონაა, — სთქვა ერთმა.

— მაშიდა ჩემს გაუმარჯოს! — სთქვა მეორემ და ეშმა-
კურად თვალი დაუხამხამა.

ერთი შევ-შავი, თავ-მოპარსული ტუსალი, ბორკილების
ჩხარუნით მივარდა მასლოვასთან და გადაეხეია.

— ნუ თუ ვერ მიცანი, გენაცვალე? კმარა თვალთ-მაქ-
ცობა! — დაიყვირა მან და საშინლად დააკრაქუნა კბილები.
მასლოვამ, როგორც იქმნა, მოიშორა.

— რასა შვრები, შე საზიზღარო! — დაუღრიალა ციხის
უფროსის თანაშემწემ, რომელიც შეესწრო ამ სცენას.

ტუსალი ბურთივით მოიკუნტა და უკან გამობრუნდა.
თანაშემწემ მასლოვას შეუტია:

— შენ აქ რა გინდა?

მასლოვას უნდოდა ეთქვა, სასამართლოდგან მომიყვანესო,
მაგრამ ისე დაღალული იყო, რომ ხმის ამოდება ვერ შე-
სძლო.

— სასამართლოდგან მოვიყვანეთ, თქვენო კეთილ-შო-
შობილებავ! — უთხრა უფროსმა დარაჯმა ჯარისკაცმა, ხელი
ქუღზე მიიღო და „ჩესტი“ გაუკეთა.

— მაშ, ჩაიბარე უფროსს... ეს რა ამბავია აქ?

— მესმის, თქვენო კეთილ-შობილებავ!

— სოკოლოვ, ჩაიბარე! — დაიყვირა თანაშემწემ.

უფროსი მეთვალყურე მივიდა მასლოვასთან, წაუჯიქავა



და ქალების კარიდორისკენ წაიყვანა. აქ გულმოდგინედ გას-
ჩხრიკეს და, რაკი ვერაფერი უპოვნეს (პაპიროსი მასწავლებელის
ნახტქში დაჰმალა), ისევ შეადგეს იმ კარებში, რომლიდგანაც
დღეს დილით გამოიყვანეს.

XXX

კამერა, რომელშიაც მასლოვის ქალი იჯდა, სრული
ოთახი იყო, სიგრძით 9 ადლი და სიგანით 7, ორი სარკმე-
ლი ჰქონდა, დანგრეულ ბუხარი, ერთი ხის ტახტი, რომელ-
საც მთელის ოთახის ორი მესამედი ალაგი ეჭირა. შუაში კე-
დელზე ძველი ხატი ეკიდა, ხატის ქვეშ ლურსპანზე მიწებე-
ბული იყო თაფლის სანთელი, სულ ქვემოდ იმამორტელის
გამზმარი ყვავილი ეკიდა, კარების ახლოს მარცხნივ მყრალი
კასრი იდგა; იატაკი სხვა-და-სხვა სიბინძურის გამო მთლად
გაშავებულიყო. ტუსაღების შემოწმება უკვე გათავდა და კა-
მერა დაკეტეს.

ამ კამერაში სულ თხუთმეტი მდგმურა იყო: თორმეტი
ქალი და სამი ბავშვი. ჯერ კიდევ მთლად არ დაღამებული-
ყო და მხოლოდ ორი ქალი იწვა ტახტზე: ერთი სულელი, რომელსაც ხალათი შემოეხვია თავზე და რომელიც უპასპორტობის
გამო იყო დაჭერილხ და თითქმის მუდამ ეძინა, მეორე კი ქლე-
ქიანი, რომელიც ქურდობაზე დაეჭირათ. ქლექიანს არ ეძი-
ნა, ხალათი თავქვეშ შემოედო, თვალეები დაეჭყიტა და ძლივს
იმაგრებდა თავს, რომ ყელში მომდგარი ხველა შეეკავებინა.
დანარჩენები, თავშიშველა მაგარ ტილოს პერანგებში, ზოგი
იჯდა და ჰკერავდა, ზოგი სარკმელთან იყო მიმდგარი ღ თვალს
ადევნებდა ეზოში მოსეირნე ტუსაღებს. მკერავ ქალებში ერთი
ის ბებერი დედაკაციც, რომელმაც ამ დილით სასამართლო-
ში გააცილა მასლოვის ქალი. ეს იყო კარაბლიოვისა, მრის-
ხანე შეხედულობისა, მაღალი და ღონიერი დედაკაცი. კატორ-
ლა ჰქონდა გადაწყვეტილი ქმრის ნაჯახით მოკვლისათვის.
ეს მკვლელობა იმიტომ ჩაიდინა, რომ ქმარი მოსვენებას არ
აძლევდა მის ქალიშვილს და საზიზღარად ექცეოდა. კარა-



ბლიოვისა კამერის უფროსად იყო დანიშნული და მუშაობდა ვაქრობდა. თვალეზზე სთვალეები ჰქონდა გაკეთებული და ისე ჰყერაედა. ნემსი თავის მძლავრის ხელით ნამვილ გლეხის დედაკაცივით ეჭირა სამს თითში და წვერი თავისკენ ჰქონდა. მის გვერდით ერთი პატუა ცხვირიანი შავგვრემანი ქალი იჯდა და ტომრებს აყერებდა. ეს იყო რკინის გზის დარაჯი-ქალი; სამის თვით სატუსალო ჯდომა ჰქონდა გადაწყვეტილი, რადგან მატარებლის გაელის დროს ბაირალი არ უჩვენა, რის გამოც უბედურება მოჰხდა — მატარებელი დაიმსხვრა. მესამე პერავი ქალი თეოდოსია იყო. ფენიჩკა (ისე ეძახდნენ ამხანაგი ქალები) ჯერ სულ ახალგაზდა იყო, თეთრფეროვანი, ცისფერი ბავშვურ თვალეებიანი და ორი გრძელი ნაწნავი თავზე ჰქონდა შემოხვეული. სატუსალოში ქმრის მოწამლვის განზრახვისათვის იჯდა. ქმრის მოწამლევა განიზრახა გათხოვებისათნავე, როცა ჯერ ისევ 16 წლისა იყო. რვა თვე თავდებობით იყო გამოშვებული და ამ ხნის განმავლობაში ისე შეუყვარდა ქმარი, რომ ხელი-ხელ ჩაკიდებულნი ტკბილად სცხოვრობდნენ. ეს ამბავი სასამართლომაც იცოდა და, თუმცა ქმარი და სიმამრი, და განსაკუთრებით კი სიდდერი, რომელსაც სიძე საშინლად შეუყვარდა, ყოველსავე ღონეს ჰმარობდნენ, რომ გაემართლებინათ როგორმე თეოდოსია, მაგრამ სასამართლომ მაინც კატორღაში გაგზავნა გადაუწყვიტა. კეთილი, მზიარული და მუდამ მოღიმარე თეოდოსია კატოს მგზობლად იწვა ტახტზე და არამც თუ შეუყვარდა ის, არამედ მოვალედაც სთვლიდა თავის თავს, მუდამ ეზრუნა და მოევლო მისთვის. ტახტზე კიდევ ორი ქალი იჯდა, ერთი იქნებოდა ასე ორმოცის წლისა; წინად, ეტყოზოდა; ძალიან ლამაზი იყო, ახლა-კი გამხდარი და გაფითრებული. ხელში ბავშვი ეჭირა და ძუძუს აწოვებდა. მისი დინაშაულობა ის იყო, რომ როცა სოფლიდან სამხედრო ზეგრის მოსახდელად ახლად კენჭ-ნარგებნი გაიწვიეს, რომელნიც, გლეხების აზრით, უკანონოდ მიჰყავდათ, ხალხმა გააჩერა თემის უფროსი და წაართვა ახალი ჯარის კაცნი. ამ ქალ-



მა, როგორც უკანონოდ წაყვანილის მამიდამ, პირველმა ახლო ხელი ცხენის ლაგამს, რომელზედაც მისი ძმისწული იჯდა. კიდევ ტახტზე იჯდა შოათანა ტანის მოხუცი დედაკაცი, წელში მოხრილი და დანაოქებულ პირისახიანი. ეს დედაკაცი ბუბრის ახლოს იჯდა ტახტზე და იწევდა აქეთ-იქით, ვითომც უნდოდა დაეჭირა ოთხის წლის თმა-გაკრეჭილი, ჩამრგვალებული ბავშვი, რომელიც მის ახლოს გარბოდა და გულიანად ხარხარებდა. ბავშვი პერანგის ამარა დარბოდა და სულ ერთსა და იმავეს იმეორებდა: „ჰო! ხომ ვერ დამიჭირე?“ ამ მოხუც დედაკაცს თავის ვაჟიშვილთან ერთად ცეცხლის წაკიდება ჰბრალდებოდა და ამიტომ იჯდა სატუსალოში; საცოდავი დამშვიდებით იტანდა ყოველსავე ტანჯვას, მაგრამ სწუხდა მხოლოდ შეილისათვის, რომელიც იმავე სატუსალოში იჯდა, და უფრო კი მოხუცის ქმრისათვის, რომელიც სახლში დარჩენილიყო და მომვლელი არავინა ჰყავდა.

ამ შვიდ ქალს გარდა ოთხი კიდევ სარკმელთან იდგა და ნიშნებითა და ყვირილით ეხმაურებოდნენ ეზოში გამვლელ ტუსალებს, რომელთაც კარიდორში შეაჩერეს მასლოვის ქალი. ერთი ამათვანი მგტად ჩასუტებული და ამისთანავე გაყვითლებული იყო, ჩოფურა პირისახე ჰქონდა და სქელი კისერი. ეს ქალი ხმა-მალლა ჰყვიროდა უწმაწურ სიტყვებს სარკმლიდან. მის გვერდით იდგა შავ შავი ტუსალი-ქალი, გრძელ ზურგიანი და ძლიერ მოკლე ფეხებიანი. პირისახე ჭარბალივით წამოსწითლებოდა, ბრიალა შავი თვალები ჰქონდა და სქელი ბაგეები, რომელიც ძლივსა ჰფარავდა მისს გრძელ-გრძელ თეთრ კბილებს. ხან-გამოშვებით გულიანად გადიხარხარებდა ხოლმე. ეს ტუსალი-ქალი, რომელსაც მეტის ეშმაკობის გამო „ხოროშავკას“ ეძახდნენ, ქურდობისა და ცეცხლის წაკიდებისათვის იჯდა სატუსალოში. იმის უკან იდგა ძლიერ ჭუჭყიან ტილოს პერანგისანი გამბდარის სახის ორსული დედაკაცი, რომელიც ნაქურდალის შენახვისათვის იჯდა სატუსალოში. ის ჩუმად იყო, მაგრამ კმაყოფილების ღიმილით უცქერო-



და ყოველსავე იმ იმას, რაც ეზოში ჰხდებოდა. ექვეყნებოდა დაკაცი, აგრედვე სარკმელთან მდგომი, ნებამბურათვესს სხვა და-სხვა მაგარ სასმელების გაყიდვისათვის იჯდა ციხეში. ის იყო შუათანა ტანისა და ღონიერი სოფლელი დედაკაცი; თვალები გამოკუჭული ჰქონდა და სახის გამომეტყველება კეთილი. ამ დედაკაცს თან ახლდა სატუსალოში პატარა ბიჭი, რომელიც მოხუც დედაკაცს ეთამაშებოდა, და შვიდის წლის გოგო; რადგან სახლში არავინ დარჩენოდა, რომ ბავშვებისათვის მოეელო, ამიტომ ესენიც სატუსალოში წამოყვანა. ისიც სარკმელთან იდგა და ეზოში გაიყურებოდა. ხელში წინდა ეჭირა, ჰქსოვდა და უკმაყოფილოდ თავს აქანებდა, რადგან ეზოდან უწმაწური სიტყვები ესმოდა. პატარა გოგოც სხვებთან ერთად სარკმელთან იდგა და გულმოდგინედ ისმენდა იმ უწმაწურ სიტყვებს, რომელსაც ტუსალი კაცები და ქალები ერთმანეთს ეუბნებოდნენ და, თითქოს იზებარებსო, ჩურჩულით იმეორებდა თვითვე სიტყვას. მეთორმეტე ტუსალი-ქალი დიაკვნის ქალიშვილი იყო, რომელსაც თავისი ბავშვი დაედარჩო ქაში და ამიტომ იჯდა ციხეში. ის მალალ-მალალი და კარგი ტანადი ქალი იყო. თმის ნაწნავები ბეჭებზედ გადაეყარა და თვალები მიმინოსავით წამოეკუსა. არავითარ ყურადღებას არ აქცევდა იმას, რაც მის გარშემო ჰხდებოდა; ფეხშიშველა და ჭუჭყიან პერანგის ამარა დასვირნობდა კამერის ერთის კუთხიდან მეორემდე და როცა კუთხეში მივიდოდა, ციბრუტივით შემოტრიალდებოდა.

XXXI

დაიხარუნა კლიტემ და მასლოვის ქალი შეეყვანეს კამერაში. ყველა იქ მყოფნი ცნობის მოყვარეობით მიაჩრდნენ. დიაკვნის ქალიც კი ერთ წუთს შეჩერდა, სათვალღიერა ჩაათვალღიერა კატო, მაგრამ ხმა არ ამოუღია, ისევ ისე მიტრიალდა და განაგრძო გულმოდგინედ წინ და უკან სეირ-



ნობა. კარაბლიოვისამ დაარქო ნემსი ტილოში და გაკვირვებით დაუწყო კატოს ყურება.

— ოჰ, ღმერთო ჩემო! დაბრუნდი განა? მე კი მგგონა, რომ გაგამართლებდნენ, — უთბრა მან თავის ჩაბრინწიანებულ ბოზის ხმით, — სჩანს დაგლუპეს!

ჩამოილო სათვალეები და საკერავი გვერდზე გადასდო.

— ჩვენ, ჩემო მშვენიერო, დიდხანს ვიბაასეთ შენს საქმეზე და ასე გვეგონა, სულ გაგამართლებდნენ; ამბობენ, ხშირად ჰხდება ასეო; მგონი ფულსაც კი იძლევიან იმ საათიდან, რა საათიდანაც დაგაკავებენ, — მაშინვე დაიწყო გალობის ხმით რკინის გზის დარაჯმა ქალმა.

— ნუ თუ გადაგიწყვრტეს? — ჰკითხა თეოდოსიამ აღერსიანის ხმით და მისი ბავშვური მხიარული სახე ქმუნვის ღრუბლებში დაჰფარა და ისე მოიქეშა, რომ გვეგონებოდათ, ეხლა ატირდებაო.

მასლოვის ქალმა პასუხი არ გასცა, წყნარად წავიდა ტახტისაკენ და ჩამოჯდა კარაბლიოვის გვერდით.

— მგონი ჯერ არაფერიც არ გიქამია, — უთბრა თეოდოსიამ, წამოდგა და მივიდა კატოსთან.

კატო ისევ ჩუმად იყო. გადასდო სას რუმლისაკენ ნაზუქები, გაიხადა გამტერიანებული ხალათი და მოიხადა თავსახვევი.

ტახტის ბოლოდან წამოდგა კუზიანი ბებერი დედაკაცი, რომელიც ბავშვს ეთამაშებოდა, და კატოს წინ გაჩერდა.

— ტსსსსს! — წაიბუტშუტა ბებერმა და საცოდავად გაიქნია თავი.

ბავშვიც გვერდით ამოუდგა ბებერს და პირ-დაღებული და თვალე-დაბრეცილი მისჩერებოდა ნაზუქებს, რომელიც კატომ მოიტანა. რა დაინახა კატომ, რომ ყველა თანაგრძნობით უცქეროდა, აუჩვილდა გული და ტირილი კინაღამ დაიწყო. ძლიეს-ძლივობით იმაგრებდა თავს, სანამ ბებერი დედაკაცი არ მივიდა მასთან, მაგრამ როცა გაიგონა ბებრის საბრალო ბუტბუტი და ბავშვს შეჰხვდა, თავი ევლარ შეიმავრა,



სახე საშინლად აუთრთოდ და სა გულ-ამოსკვნილი ქვეთინი დაიწყო.

— აკი გეუბნებოდი, ნაადვ ლი ვეჭილი დაიჭირე-მეთქი, — უთხრა კარაბლიოვისამ.

კატოს უნდოდა ეპასუხნა, მაგრამ ისე საცოდავად ქვეთინებდა, რომ სიტყვის თქმა ვერ მოახერხა, მხოლოდ გამოაძრო ნახუქიდან პაპიროსის კოლოფი, რომელზედაც მაღალი, საუსტოვოდ გამოკვანწული ქალი იყო გამოხატული, და მიაწოდა კარაბლიოვისას. კარაბლიოვისამ დაჰხედა სურათსა და წყენით თავი გაიქნია, ასეთ უბრალო რამეებში რად ჰქონტავ ფულსაო, ამოიღო ერთი პაპიროსი, მოუკიდა ლამპარზე და კოლოფი ისევ კატოს დაუბრუნა. კატომაც ამოიღო პაპიროსი და ტირილი არ შეუწყვეტნია, ისე ხარბად დაუწყო წევა და სულ-მოუთქმელად ჰყლავდა თამბაქოს კვამლს.

— კატორლა! — ქეთინითა სთქვა მასლოვის ქალმა.

— წყულები, სისხლის მსმელები, ქვეყნის მკამელნი, ღმერთის ღღარ ეშინიანთ მაინც? — წაილაპარაკა კარაბლიოვისამ: — სულ უდანაშაულოდ დასაჯეს საცოდავი გოგო!

ამ დროს სარკმელთან მდგომმა ქალებმა საშინელი ხარხარი ასტეხეს. მათ აპყვა პატარა გოგო და მისი ხარივით წკრიალა ხმა შეუერთდა დანარჩენების ხითხითს. ასეთი ხარხარი და აურზაური იმან გამოიწვია, რომ ეზოში ერთი ტუსალი უზრდელად მოიქცა.

— რასა შერება ეს საძაგელი! — წაილაპარაკა ქერა ტუსალმა-ქალმა, მთლად მიეკრა სარკმლის ჩამტვრეულ რკინებსა და უწმაწურის სიტყვებით გამოეპასუხა ეზოში მდგომთ.

— ეს თავ-გასახეთქი რა ამბავშია, რა აკვირვებს?! — სთქვა კარაბლიოვისამ და ქერა ქალზედ უკმაყოფილოდ თავი გადაიქნია. მერე ისევ კატოს მიუბრუნდა:

— რამდენის წლით? ბევრი თუ ცოტა?

— ოთხის წლით, — უპასუხა კატომ და ცრემლის ნაკადული წასქდა თვალთაგან. ერთი მოზრდილი ცრემლი ნელა



გადმოკოცდა თვალიდან, ცხვირის წვერზე ჩამოუვრიალდა, შემდეგ მოსწყდა, პაპიროსს დაეცა და დუქრო.

მასლოვის ქალმა გადაადგლო პაპიროსი და მეორე ამოიღო.

რკინის გზის დარაჯი-ქალი თუმცა პაპიროსს არ ეწეოდა მაგრამ მაინც აიღო ნაწიწავი და სწორება დაუწყა.

— რა ვქნათ, ჩემო მშვენიერო, ძალია მათ ხელშია და, რაც უნდათ, იმას სჩადიან. ჩვენ გვეგონა, რომ გაგანთავისუფლებდნენ. მათვევენა ამბობდა, გაანთავისუფლებენო, მე ვამბობდი—არა-მეთქი, და ასეც მოხდა,—ამბობდა კარაბლიოვისა და სიამოვნებით ისმენდა თავისსავე სიტყვებს.

ამ დროს ეზოდგან ტუსალები გავიდნენ. ტუსალი-ქალებიც მოშორდნენ საარკმელს და მივიდნენ კატოსთან. პირველად თვალ-გამოკუსული ქალი წამოდგა წინ, მაგარ სასმელების ჩუმად გაყიდვისათვის დაპატიმრებული.

— რა ამბავია? ძალიან სასტიკად მოგექცნენ?—ჰკითხა მან მასლოვის ქალს, მიუჯდა გვერდით და გაცხარებით წინდის ქსოვა დაიწყა.

— სასტიკად იმიტომ მოექცნენ, რომ ფული არ არის. ფული ყოფილიყო თორემ, ისეთ მოქნილ ადვოკატს დავიკებრდით, რომ სრულიად გაამართლებდნენ,—სთქვა კარაბლიოვისამ. ის... რა ჰქვიან—ბანჯგელიანი, დიდ-ცხვირა, ის, ჩემო ბატონო, ისეთია, რომ ვინ გინდა არ გაამართლოს. როგორმე იმას რომ ავიყვანდეთ ვეჭილად, სრული იმედი იქნება მაშინ გამართლებისა.

— დიად, როგორ არა, აიყვანთ!—უთხრა ხოროშევამ,—ათასზე ნაკლებ ფეხსაც არ მოიცილის.

— დიად! სჩანს, რომ ასეთის ბედისა ყოფილხარ,—ჩერია ლაპარაკში ბებერი დედაკაცი, რომელიც ცეცხლის წაკიდების თაობაზე იჯდა,—ყველაფერი ფულის საქმეა. თუ ფული არა გაქვს, უმჯველად ციხეს უნდა ელოდე.

— აღბად ასეთი წეს-რიგი აქვთ,—სთქვა არყით მოვაქრე დედაკაცმა, მიიწია პატარა გოგო თავისკენ და მკბენარის ძებ-



ნა დაუწყოთ თავში. „რატომ ვაქრობ არყითო!“ მაშ რით ვი-
 ვაქრო? რით ვარჩინო ზავშეები?“ — ამბობდა ის და მისი
 რიგ საქმეს ერთგულად ასრულებდა.

არყით მოვაქრე დედაკაცის სიტყვებში კატოს არაყი
 მოაგონა.

— ოჰ, ნეტა ერთი არაყი მომცა, — უთხრა კატომ კარა-
 ბლიოვას და პერანგის სახელოთი თვალები ამოიწმინდა.

— არაყი? კარგი, მოვიტან, — უპასუხა კარაბლიოვისამ.

XXXII

მასლოვამ გამოიღო ნაზუქიდან ქალაღდის ფული და გადას-
 ცა კარაბლიოვას, რომელმაც, თუმცა კითხვა არ იცოდა, მაგ-
 რამ ყველაფრის მცოდნე ხოროშავკას დაუჯერა, რომ ის
 ქალაღდის კუბონი 2 მან. და 50 კაპეიკისა იყო, მივიდა ბუ-
 ხრის საკვამლესთან და იქ დამალული არყით საესე ბოთლი
 ამოიღო. დაინახეს თუ არა ეს ტუსაღმა ქალებში, ყველა თავ-
 თავის ალაგას დაჯდა. კატო ავიდა ტახტზე, მოიკეცა ფეხი
 და ნაზუქის ქამა დაიწყო.

— მე შენ ჩაი შეგინახე, მაგრამ გაცივებულა, — უთხრა
 ხოროშავკამ და ბიუტანა თუნუქის საჩაიე ჭურჭელი, რომელ-
 საც შალის ნაქრები ჰქონდა გარშემო შემოხვეული, რომ არ
 გაცივებულყო.

ჩაი თუმცა ძალიან გაცივებულყო და თუნუქის გემო
 უფრო ჰქონდა, ვიდრე ჩაისა, მაგრამ მშაერმა კატომ ხარბად
 დაუწყო სმა და თან ნაზუქსაც ილუკმებოდა.

— ფინაშკა! აჰა შენ! — დაუძახა კატომ პატარა ბიჭს,
 რომელიც თვალებში მიშტერებოდა, და ნაზუქის პატარა ნა-
 ტები უთავაზა.

კარაბლიოვისამ გადასცა კატოს არყით საესე ბოთლი და
 ჭიქა. მასლოვამ მიიწვია კარაბლიოვისა და ხოროშავკა. ეს
 სამი ტუსაღი ქალი ამ კამერის არისტოკრატები იყვნენ, რად-



გან ფული ჰქონდათ და, რაც კი გააჩნდათ, ერმანერთს შუა უყოფდნენ.

რამდენისამე წუთის შემდეგ კატო ისე გამხიარულდა, რომ თამამად დაიწყო ლაპარაკი სასამართლოსა და იმაზედ, რომ კატოს დღეს ყველგან სდევნიდნენ კაცები, სადაც კი მოუხდა ყოფნა. მართლაც, სასამართლოში ყველა კატოს მისჩერებოდა და, რომ თვალი გადაეფლოთ მისთვის, ტუსაღების სადგომშიაც კი შედიოდნენ, რაც მეტად აკვირვებდა მასლოვის ქალს.

— დარაჯი ჯარის-კაცი, რომელმაც სასამართლოში გამაცილა, მეუბნებოდა, ყველა შენს სანახავად შემოდისო. მეც ეხედადი, რომ შემოდოდა ერთი და ჰკითხულობდა, — სად არის ესა და ეს ქალაღდიო, ნამდვილად შეატყობდით, რომ ქალაღდები კი არაა, ჩემი ნახვა უნდოდათ. ვითომ ისინიც არტისტები არიან რაღა!

— დიად, ეს ასეა, — გაისმა რკინის გზის დარაჯ-ქალის ბულბულის მსგავსი ხმა, — ისინი, როგორც ბუზები შექარზე, ისე გვეხვევიან ქალებს გარეშემო. სხვა რამეზე თვალითაც არ დაგენახვებათ და ამაზე კი — როცა გინდათ. პური არ უნდა აქამოს იმას კაცმა...

— აქ უარეს უბედურებაში ჩავევარდი, — გააწყვეტინა კატომ: — ის იყო, კიდევ მოვედი, რომ რკინის გზის სადგურიდან ტუსაღების მთელი გროვა მოიყვანეს. ისე მომაბეზრეს თავი, რომ არ ვიცოდი, რა მექნა. ღმერთმა უშველოს ციხის უფროსის თანაშემწეს, იმან გარეკა, თორემ თქვენი მტერი, შემქამდნენ. ერთი ისე ამეკვიატა, რომ ძლივს მოვიშორე თავიდგან.

— რომელი? როგორის შეხედულობისა იყო?

— შავ-შავი, უღვაშიანი.

— შეიძლება ის არის.

— ვინ ისა?

— ის, შჩეგლოვი... აი, ახლა რომ გიიარა.



— რომელი შჩეგლოვი?

— განა შჩეგლოვს არ იცნობ? შჩეგლოვი მოიქცა კატორღიდან. ახლა დაიქირეს, მაგრამ კიდევ მოახერხებს გაქცევას. მისი ზედამხედველებსაც კი ეშინიანთ, — ამბობდა ხოროშავა, რომელმაც სატუსაღოს ყოველი წერილმანი იცოდა და წერილებსაც აპარებდა ციხედან. — უთუოდ წავა, ისეთი დაუდევარი რამ არის!

— წავა და ჩვენც თან წავიყვანს, არა? — უთხრა კარაბლიოვამ. — შენ ერთი ეს შითხარი, უმჯობესია, — მიუბრუნდა ის მასლოვის ქალს: — თხოვნაზედ რა გითხრა აბლაკატმა, ახლა ხომ საჭიროა თხოვნის მირთმევა?

— მაგისი არაფერი ვიცი, — უპასუხა მასლოვის ქალმა. — ამ დროს ქერა დედაცაი თავის ქექით მიუახლოვდა.

— მე შენ, კატერინა, ყველაფერს გეტყვი, — დაიწყო მან. — თავდაპირველად შენ უნდა დასწერო, სასამართლოს განაჩენზედ უკმაყოფილო ვარ-თქო და შემდეგ ბრალმდებელს უნდა განუცხადო.

— შენ რა საქმე გაქვს? — გაჯავრებით მიჰმართა კარაბლიოვისამ. — არყის სუნე გეცა განა? ტყუილად იღესაც კბილებს! უშენოდაც იციან, რაც უნდა ჰქნან, საჭირო არა ხარ!

— შენ არავინ გელაპარაკება, რას მომვარდი პირში?

— არაყი მოგინდა? იმიტომ მობრძანდით?

— მიეცი რაღა, — უთხრა კატომ, რომელიც ყველას აწვდიდა, თუკი რამე ჰქონდა.

— მე მაგას ისეთებს მივსცემ, რომ...

— აბა, აბა, — მიიწია ქერამ კარაბლიოვისაკენ, — შენი არ მეშინიან.

— შე საპატიმროს გომბიო, შენა.

— ასეთისგანვე მესმის.

— მოხარული დაშვი.

— მე ვარ ფაშვი? შე კატორღელო, სულმდაბალო! — დაიწილა ქერამ.



— გასწი-მეთქი, გეუბნები, — მრისხანედ უთხრა კარა-
ბლიოვისამ.

მაგრამ ქერა მისკენ მიიწევდა და კარაბლიოვისამ მაგრად ხელი ჰკრა ჩასუქებულ გულ-მკერდში. ქერა, თითქოს ამას უცდიდაო, ქორივით გადაფრინდა. ცალი ხელი თმაში სტაცა კარაბლიოვისას და მეორეთი უნდოდა ღონიერი სილა გაერტყა მისთვის, მაგრა კარაბლიოვისამ ხელი ხელში სტაცა და დაუჭირა. მასლოვის ქალი და ზორაშავა ეცნენ ქერას, რომ ხელი გაეშვებინებიათ თმისთვის, მაგრამ ისე მაგრად ჰქონდა ჩაბლუჯული თმა, რომ ვერას გზით ხელი ვერ გაუშალეს. ერთ წუთს გაუშვა თმა, მაგრამ იმიტომ, რომ უფრო მაგრად გადაეხვია ხელზე. კარაბლიოვისა გამწარებით სცემდა ერთის ხელითა და კბილებ-დაღრქენილი იწევდა ხელზე საკბენად. მოჩუბრებს შემოეხევივნენ ქალები და უნდოდათ გაეშველებინათ. ქლექიანი ქალიც კი მივიდა და დაუწყო ყურება. ბავშვები ერთმანეთს მიეკრნენ და ტირილი მორთეს. ყვირილზე შემოვიდა ზადამხედველი ქალი და კაცი და გააშველეს მოჩუბრები. კარაბლიოვისამ გაიშალა თეთრი თმა და გადაგლეჯილ თმების გამოკრეფა დაიწყო. ქერა გულზე ჩამოხეულ პერანგს იჭერდა ხელით. ორივენი საშინლად ჰყვიროდნენ.

— მე ხომ ვიცი, რომ ყველა ეს არყის ბრაღია... ხვალ უთუოდ ვეტყვი უფროსს და მაშინ ნახავთ. გესმით, მიაღაგეთ ყველაფერი, თორემ ცუდად იქნება საქმე. თქვენის საქმის გასარჩევად მე არა მკალღიან. დაჯექით თქვენ-თქვენს ალაგას და ჩუმად იყავით.

მაგრამ სიჩუმე დიდხანს არ დამყარდა. ქალები დიდხანს ყაყანობდნენ, ლანძღავდნენ ერთმანერთს და იმის სჯა-ბაასში იყვნენ, თუ ვინ იყო დამნაშავე და როგორ ასტყდა ჩუბი. ბოლოს ზედამხედველი ქალი და კაცი გავიდნენ და ქალებიც მიჩუმდნენ.

— შეიყარა ორა კატორღელი, — უცბად წამოიძაბა ტა-



ხტის ბოლოდგან ქერამ და ლაზათიანად შეუკურთხა კარაბ-ლიოვას.

— ჩუმად, თორემ მოგხედება კიდევ,—გასძახა კარაბ-ლიოვამ და შესაფერი ლანძღვა-გინება დაუმატა.

ორივენი დაჩუმდნენ.

— არ დაეშალათ, გაჩვენებდი შენს სერს,—წამოიძახა ისევ ქერამ. კარაბლიოვამაც დიღხანს არ აღოცინა და შესაფერი პასუხი მისცა.

კოტა სიჩუმე და ისევ ლანძღვა-გინება. სიჩუმე თან-და-თან გაგრძელდა. ბოლოს ყველაფერი მიყრუვდა.

ყველანი მიწვნენ, ზოგმა ხერინეაც კი ამოაუშვა. მხოლოდ ბებერი დედაკაცი დაჩოქილი იღვა ხატის წინა და ლოკულობდა. ღიაკენის ქალი თავისებურად ბოლთასა სცემდა კედლიდან კედლამდე.

არ ეძინა მასლოვასაც. მთლად გაეტაცნა იმ ფიქრს, რომ კატორღელი ვარო და კიდევაც უწოდეს ეს სახელი ბოჩკოვამ და ქერა ტუსაღმა ქალმა. ამ აზრს ვერას გზით ვერ შეერიგებოდა. კარაბლიოვას პირი კედლისაკენ ჰქონდა მიქცეული და ისე იწვა. ახლა გადმობრუნდა მასლოვასკენ.

— სრულიად არ ველოდი და გულშიაც არ გამივლია,—ნელის ხმითა სთქვა მასლოვამ,—სხვები, ვინ იცის, რას არ ჩადიან და არაფერი, მე კი სრულიად უბრალოდ უნდა ვიტანჯო.

— ნუ დარდობ, გოგო! ციმბირშიაც სცხოვრობს ხალხი, იქაც არა გიშავს-რა,—ანუგეშებდა კარაბლიოვა.

— ვიცი, რომ არაფერი მიშავს, მაგრამ მაინც საწყენია. მე ხომ კარგ ცხოვრებას ვარ შეჩვეული. ასე არ უნდა გათავებულყო ჩემი ცხოვრება.

— ღვთის წინააღმდეგ ვერ წახვალ,—ოხერით წარმო-სთქვა კარაბლიოვამ,—მის წინააღმდეგ ვერას გააწყობ.

— ვიცი, მაშინდა, მაგრამ მაინც ძნელია, ძნელი. ისინი დაჩუმდნენ.



— გესმის? — წაილაპარაკა კარაბლიოვამ და მასლოვას ყურადღება მიაქცია უცნაურ ხმას, რომელიც ტახტის ტახტის დან ისმოდა.

ეს ხმა ქერას შეკავებული ჭეითინის ხმა იყო. ქერა სტიროდა, გამიანძღეს და არ დამალევენეს არაყი, სულითა და გულითკი მინდოდაო. სტიროდა კიდევ იმას, რომ მთელს თავის სიცოცხლეში ლანძღვა-გინების მეტი არაფერი გაუგონია. უნდოდა ენუგეშებინა თავისი თავი და მოიგონა თავისი პირველი სიყვარული მეფაბრიკე თედო მოლოდიონკოვთან, მაგრამ აქ წარმოუდგა ის, თუ როგორ გათავდა ეს სიყვარული. სიმთვრალის დროს ამ მოლოდიონკოვმა წაუსვა ქერას პირზე შაბიამანი და გულიანად ხარხარს მოჰყვა, როცა დაინახა, როგორ იხლანებოდა ტყვილითა; მოაგონდა ახლა ესა, ეგონა არავის ესმისო და გულ-ამოსკენით ტირილი დაიწყო, ისე, როგორც ბავშვები სტირიან ხოლმე.

— მეზრალემა საწყალი, — სთქვა მასლოვამ.

— რასაკვირველია, შესაბრალისია, მაგრამ თავის ქერქში უნდა იყოს.

XXXIII

მეორე დღეს, გაღვიძების უმაღვე, ნეხლიუდოვმა იგრძნო, რომ რალაც შეემთხვა და, სანამ კარგად გაითვალისწინებდა ამ შემთხვევას, უკვე იცოდა, რომ კარგი და ფრიად საგულისხმარო შემთხვევა იყო. „კატო, სასამართლო!“ დიდი, დროა სიცრუეს თავი დავანებო და ყველაფერი სიმართლე ვსთქვა. ამ დილით მიიღო მარია ვასილიეცნისაგან წერილი რომელსაც დიდი ხანია მოუთმენლად მოელოდა. მარია ვასილიეცნა სრულიად ანთავისუფლებდა და ღმერთსა სთხოვდა, რომ ბედნიერი ყოფილიყო მისი მომავალი ქორწინება.

— ქორწინება! — დაცინვის კილოთი წარმოსთვა მან, — რა შორსა ვარ მე ეხლა ქორწინებაზე?! მოიგონა გუშინდელი თავისი განზრახვა, ყველაფერს ვეტყვი მარია ვასილიეცნას



ქმარს და ბოდის მოვიხდი მის წინაშეო. მაგრამ დღეს დილით ისე საადვილოდ აღარ ეჩვენა ეს განზრახვები გუშინ. „რად უნდა მოეუშხამო სიკაცხლე, თუ კი არაფერი არ იციის?! თუ თვითონ მკითხავს, მაშინ ყველაფერს სიმართლეს ვეტყვი. მაგრამ განგებ წავიდე მასთან და ვუთხრა? არა, ეს საქირო არ არის“.

ასევე საძნელოდ ეჩვენა დღეს დილით ყველაფერის თქმა. მისსისათვის. როგორც საზოგადოდ ჰხდება ცხოვრებაში, აქაც რაღაც საიდუმლო დი გამოურკვეველი უნდა დარჩენილიყო. მხოლოდ ერთი რამ გადასწყვიტა დილით. თავი დაენებებინა იქ სიარულისთვის და, როცა ჰკითხაედენ მიზეზს, ეთქვა ყველაფერი დაუფარავად. კატოს შესახებ-კი არაფერი გამოურკვეველი და გადაუწყვეტელი არა ჰქონდა. „წავალ სატუსალოში, ვინახულებ და ვსთხოვ, რომ მაპატიოს და, თუ საქირო იქნება, დიად, თუ საქირო იქნება, კიდევ შევირთავ“.

ის აზრი, რომ ზნეობრივის დაკმაყოფილებისათვის მზად იყო გაეწირა ყველაფერი და გადასწყვიტა კატოს ცოლად შერთვა, ძალიან სასიამოვნო იყო ნებლიუდოვისთვის.

ასე მხნედ თავის დღეში არ წამომდგარა დილით. შემოვიდა თუ არა აგრაფინა პეტროვნა, გადაქრით გამოუცხადა, ჩემთვის საქირო აღარ არის ეს ბინა და არც თქვენი სამსახურიო. წინად გადაწყვეტილი იყო, იმიტომ მიქირავეს ეს ბინა, რომ ცოლი შემერთოო. ბინის გამოცვლა-კი დიდის მნიშვნელობის საქმე იყო და აგრაფინა პეტროვნა საშინლად გააოცა მისმა სიტყვებმა.

— დიად გამდლობთ, აგრაფინა პეტროვნა, იმ სამსახურისათვის, რომელიც გამიწიეთ ამდენ ხანს; ახლა საქირო აღარ არის არც ამდენი მონა და არც მოსამსახურეები. თუ გინდა, რომ დახმარება გამიწიო, ისე მიაღაგ-მდალაგე ავეჯი, როგორც დედას დროს, და როცა ნატო ზოვა, მერე იმან იცის, როგორც უნდა, ისე მოიხმარს ყველაფერს.

აგრაფინა პეტროვნამ თავი გააქან-გამოაქნია.



— როგორ თუ მოიხმარს? ხომ საჭირო იქნება თქვენ-
თვის? ქართული
ენების ინსტიტუტი

— არა, ჩემო აგრაფინა პეტროვნა, არ იქნება საჭირო, —
უთხრა ნებლიუდოვმა, — კორნეისაც უთხარი, გეთაყვა, რომ
ორის თვის ჯამაგირი წინ-და-წინვე მივეცი და ახლა საჭირო
აღარ არის.

— რათა შერებით ამას, დიმიტრი ივანოვიჩი? — უთხრა მან,
— საზღვარ-გარედ თუ წახვალთ, მაინც საჭირო იქნება ბინა?

— სულ სხვასა ჰფიქრობთ, აგრაფინა პეტროვნა; საზღვარ-
გარედ არ მივდივარ; თუ წავედი, სულ სხვა ალაგს წავალ.

ნებლიუდოვი უეცრად ქარხალოვით გაწითლდა.

„ღიად, საჭიროა ამასაც ვუთხრა ყველაფერი, — ფიქრობან,
— არაფერი დასაფარავი არ არის. ყველაფერი უნდა ვუთხრა“.

— გუშინ საკვირველი და შესანიშნავი საქმე შემემთხვა.
იცნობთ კატოს, რომელიც დეიდა მარია ივანოვნასთან იყო?

— როგორ არა; კრვას ვასწავლიდი.

— ჰო და, აი იმ კატოს გუშინ ასამართლებდნენ სასა-
მართლოში და მე ნაფიც მსაჯულად ვიყავი.

— ოჰ! ღმერთო ჩემო, რა საცოდაობაა, — სთქვა აგრა-
ფინა პეტროვნამ; — რაზე ასამართლებდნენ?

— კაცის კვლისათვის, და ყოველივე ჩემის მიზეზით-კი
მოჰხდა

— როგორ თუ თქვენის მიზეზით? თქვენ როგორ შე-
გძლოთ ეგ გქნათ? საკვირველია, თქვენი ლაპარაკი, — უთხრა
აგრაფინა პეტროვნამ და მიმქრალი თვალები აენტო.

მან კარგად იცოდა კატოს ისტორია.

— ღიად, ყველაფრის მიზეზი მე ვარ და კიდევ ამან შე-
მაშლევინა ყველა ჩემი მოსაზრებანი.

— განა რა ცვლილება უნდა მოახდინოს მაგ ამბავმა
თქვენს ცხოვრებაში? — შეკავებულის ღიმილით უთხრა აგრაფი-
ნა პეტროვნამ.

— ის, რომ თუ ჩემის წყალობით დაადგა იგი ამ გზას, ახლა



მე ყოველივე ღონე უნდა ვიხმარო დავიხსნა განსაცდელი საგან.

— თქვენი ნებაა, მხოლოდ ამ მოგახსენებთ, რომ თქვენ აქ არაფერ შუაში ხართ. ყველას შეემთხვევა ხოლმე მაგისტანა ამაზავი, მაგრამ ყველაფერს იფიქრებენ და ჩვეულებრივად სცხოვრობენ. თქვენ რაღადა ჰკისრულობთ ყველაფერსა? ეგ ვერაფერი მოსაწონია და არც არავისთვის საჭირო. არ არის. წინადაც გამოგონია, რომ კატო ცუდს გზას დაადგაო, მაგრამ ვინ არის აქ დამნაშავე, თუ არ თვითონვე?

— მე ვარ დამნაშავე და ამიტომაც მინდა მევე გავასწორო ახლა ჩემი დანაშაული.

— მაგისი გასწორება ახლა ძნელია, მგონი.

— ეგ მე ვიცი, ხოლო თუ თქვენი დარდი გაქვთ და იმასა ჰუიქრობთ, რაც დედაჩემს უნდოდა...

— ჩემი დარდი არა მაქვს-რა. განსვენებულისგან იმდენად პატივნაცემი და კმაყოფილი ვარ, რომ ჩემთვის ახლა არაფერი საჭირო არ არის. არც არაფერი მინდა. მე ლიხანკა (მისის ძმის გაუთხოვარი ქალი იყო) მთხოვეს და, როცა საჭირო აღარ ვიქნები, იმასთან წაველ. ის მაწუხებს მხოლოდ, რომ თქვენ ტყუილად ჰკისრულობთ ყოველსავე. ეგ ყველას შეემთხვევა ხოლმე.

— მე აგრე არა ვფიქრობ. თქვენ კი ყველას ვთხოვთ დამეხმაროთ, ბინა მოვიშორო თავიდან და ავეჯი ცალკე დავალაგო. ნუ დამემღურებით, თუ კარგად ვერ გეპტეოდით. მე დიდი და დიდი მადლობელი ვარ თქვენი.

საკვირველია! მას შემდეგ, რაც ნებლიუდოვმა დაინახა თვისი სისამაგლე, იცნო თავისი თავი. შეუყვარდა ყველა ის, ვინც წინად ეზიზღებოდა და თვისზე ნაკლები ეგონა. აგრაფინა პეტროვნას და კორნეის შესახებაც-კი სულ სხვა გრძობა აღეძრა გულში. უნდა კორნეისთან ბოდნიში მოეხადა, მაგრამ კორნეი ისეთის მოკრძალებითა და პატივისცემით ეპყრობოდა, რომ ველარ მოახერხა ასე მოქცეულიყო.



გზაში, როცა სასამართლოსკენ მოდიოდა, მეტად უკვირ-
და თავისი ამბავი, თავისი გამოცვლა, ჰგრძნობდა, ახლა სულ
სხვა კაცი ვარო.

მისისი შერთვა, რაიცა გუშინ გადაწყვეტილი ჰქონდა, დღეს შეუძლებელი იყო მისთვის. გუშინ ჰგრძნობდა, რომ მისი ჩემთან დიდი ბედნიერი იქნებაო და დღეს-კი არა სცნობდა თავს თავის არა თუ მის შერთვის ღირსად, არამედ ახლო მეგობრობისაც-კი. „მარტო ეს რომ სკოლნიყო, ვინა ვარო, არაფრის გულისთვის სახლში არ მიმიღებდა. მე თითქმის კიდევაც ვუსაყვედურე ერთ ვაებატონს, კეკელუცობა რად დაიწყე-მეთქი; კიდევაც რომ გამომყვეს ცოლად, განა შემძლიან მოსვენებით ვიცხოვრო იმ დროს, როცა ის სატუსალოში ზის და დღეს თუ ხვალ კატორლაში უნდა წაეიდეს?! ის, ჩემგან გაქვლილი და დაღუპული, კატორლაში უნდა წაეიდეს, და მე-კი ახალგაზდა ცოლით სადარბაზოდ დავრბოდე?! ან და თავად-აზნაურთა წინამძღოლთან ვიყო საერობო კრებაზე და მონაწილეობას ვიღებდე საზოგადო საქმეებში და შემდეგ მის ცოლს რანდელუს ვუნიშნაედე?! რა სისაძაგლეა! ან და ჩემის სურათის ხატვას მივჰყო ხელი, რომელსაც თავის დღეში ვერ დავასრულებ, რადგან ახლა ჩემთვის საქორო არ არის ასეთ უბრალო რამისთვის ვიშრომო... არა, არა, ყველა ეს ახლა შეუძლებელია“, — ეუბნებოდა თავის თავს და სიხარულით ფეხზე აღარ იდგა, რომ ასეთი სულიერი ცვლილება დაეტყო.

XXXIV

მივიდა თუ არა სასამართლოში, ნებლიუდოვი დერეფანთანვე შეგფეთა გუშინდელს სასამართლოს ბოქაულს და გამოჰკითხა, სად იმყოფებოდნენ გასამართლებული ტუსალები და ან ვისგან უნდა აეღო ნებართვა, რომ ენახა ისინი. ბოქაულმა აღუსნა, რომ ტუსალები სხვა-და-სხვა ალაგას არიან და განჩინების უკანასკნელად გამოცხადებამდე მათი ნახვა ბრალმდებლის საქმეაო. „მე თვითონ გეტყვით და კიდევაც გაგაცილებთ



სხდომის შემდეგ. ახლა კი მოზრძანდით სასამართლოში, ახლავე დაიწყება.

ნებლიუდოვმა მადლობა გადაუხადა ბოქაულს, რომელიც გუშინდელზე უფრო საცოდავი ეჩვენა, და წავიდა ნაფიც მსაჯულთა ოთახისაკენ.

მიუახლოვდა თუ არა ოთახის კარებს, ნაფიცნი მსაჯულნი კიდევ გამოვიდნენ ოთახიდან სხდომის დარბაზში შესასვლელად. ვაჭარი ჩვეულებრივად გადაკრულში იყო და აღერსიანად მიეგება ნებლიუდოვს, როგორც ძველს ნაცნობს. პეტრე გერასიმოვიჩი ისეთი საზიზლარი აღარ იყო ნებლიუდოვისათვის, როგორც გუშინ.

ნებლიუდოვს უნდოდა ყველა ნაფიც მსაჯულისთვის ეთქვა, რა დამოკიდებულება ჰქონდა გუშინდელ დამნაშავესთან. „გუშინ სხდომის დროს უნდა ავმდგარევიყავი და სახალხოვად გამომეცხადებინა ჩემი დანაშაულიო“, — ჰფიქრობდა გულში, მაგრამ როცა დაიწყო გუშინდელივით პროცედურა, როცა გამოაცხადეს ისევ „სასამართლო მოდისო“, ისევ სამი ბრწყინვალე მაღალ საყელოიანი მუნდირიანები ავიდნენ ამაღლებულ ალაგას, ნაფიცნი თავ-თავის ალაგას დასხდნენ, ეანდარმი, მღვდელი და სხვა, — მან იგრძნო, რომ, თუმცა საჭირო იყო ასე მოქცეულიყო, მაგრამ არ შეეძლო დაერღვია ეს სადღესასწაულო ბრწყინვალე სანახაობა.

დღევანდელი საქმე ქურდობის შესახებ იყო. ორს ხმალი ამოწვდილ ეანდარმს შუა იჯდა ბრალდებული, ოცის წლის გამხდარი ყმაწვილი, ნაცრის ფერ ხალათითა. ბრალდებულთა სკამზე მარტო ის იჯდა და შუბლ ქვეშ გამოიყურებოდა. ამ ბავშვს ჰბრალდებოდა, რომ ამხანაგითურთ გასტეხა საკუქნაოს კლიტე და მოიპარა იქიდან რამდენიმე ფეხ ქვეშ საფენი ჩული, 3 შ. და 67 კ. ლირებული. როგორც საბრალმდებლო ოქმიდანა სჩანდა, ბავშვი იმ დროს გაეჩერებინა ქუჩის დარაჯს, როცა ამხანაგითურთ სახლისკენ მიდიოდა ნაქურდალ ნივთებით. ბავშვები მაშინვე დაიჭირეს და სატუსალოში უკრეს თავი. ბავ-



შვის ამხანაგი ზეინკალი სატუსალოში გარდაიცვალა და ახლა მარტო ბავშვს ასამართლებდნენ. ფეხ-ქვეშ საფენი როგორც ნივთიერი საბუთები, მაგიდაზედ ელაგა.

საქმე ისე ირჩეოდა, როგორც გუშინ: ფიცი, მოწმენი, ექსპერტები და გამამტყუენებელ საბუთების მთელი არსენალი და სხვ.; ქუჩის დარაჯი თავმჯდომარის, ბრალმდებლის და ვე-ქილის კითხვაზე, უსიკოცბლოდ წამოაყრან ტალეზდა ხოლმე: „ღიალ, აგრეა“, „არ ეიცი“ და ისევე „ღიალ, აგრეა“-ო... მაგრამ აშკარად ეტყობოდა, ძლიერ ეკოდებოდა ბავშვი და უხალი-სოდ უამბობდა, როგორ დაევიქირეო.

მეორე მოწმემ, ნივთების პატრონმა, როცა ჰკითხეს, სცნობ თუ არა შენს ნივთებსაო, გულ-გრილად უპასუბა, ესცნობო. როცა ბრალმდებელი შეეკითხა, ძალიან საჭირო იყო შენთვის ეს ნივთები, თუ არაო, საშინლად გაჯავრდა და უპასუბა: „ჯანდაბას იმისი თავი, სრულიად საჭირო არ იყოო. რომ მკოდნოდა, რომ ამ ნივთებისათვის ამდენი თრე-ვა და წანწალი დამქირდებოდა, არა თუ მოვსძებნიდი, პირ-იქით, თუმნაისსაც წავაბულებდი ზედ, ოღონდ კი ამ თრევის ავსცდენოდი. მარტო ეტლით სიარულში ნ მ. წაეიდა, ავად-ცა ვარ. ფუშები მაქვს ჩამოსული და ქარებიცაცა ვარ ავადო.

ასე ამბობდნენ მოწმენი და თვითონ დამნაშავე კი, რო-გორც დამწყვედული ნადირი, ისე იყო დაფეთებული, აქეთ-იქით იტკირებოდა და ლულლულთ უამბო სასამართლის, როგორც იყო ყოველივე.

საქმე აშკარა იყო, მაგრამ ბრალმდებლის ამხანაგი, ჩვე-ულეზბრივის მხრების შმუშენით, ხან რას ჰკითხავდა და ხან რას, სიტყვა მოეჭრა „ხერხიანც ავაზაკისათვის“.

თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ ქურდობა საცხოვრე-ბელ ბინაზე მოჰხდა და ისიც კლიტის გატეხით, ამიტომ დამ-ნაშავე სასტიკად უნდა დაისაჯოსო.

სასამართლოსაგან დანიშნული ვექილი ამტკიცებდა, რომ ქურდობა საცხოვრებელ ბინაზე არ მომხდარა და, თუმცა ეს



შინც არ აქარწყლებს დანაშაულობას, მაგრამ ბრალმდებელი ისეთი საშიში არ არის საზოგადოებისათვის, როგორც ამიტყუებებს ამას ბრალმდებლის ამხანაგო.

თავმჯდომარემ გუშინდელებრ აუხსნა ნათიკ მსაჯულთ, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ. როგორც გუშინ, დღესაც ისე შესწყვიტეს საქმე, სწევდნენ პაპიროსს, ისევე დაიძახებდა სსსამართლოს ბოჭაული: „სასამართლო მოდის“ და სხვ.; საქმიდანა სჩანდა, რომ ეს ბავშვი პატარაობისას მამის მიეზარებინათამბაქოს ერთ ქარხანაში, სადაც წელიწადი გაატარა. წელს, მუშებთან მომხდარ უსიამოვნების შემდეგ, დაითხოვა ქარხნის პატრონმა და, უალაგოდ დარჩენილი, დახეტიალობდა ქალაქში და უკანასკნელ გროშებს ჰფლანგავდა. ერთხელ ტრაქტორში შეზღდა ერთ ზეინკალს, რომელიც ამ საქმეზედვე დაეთხოვათ წინად აღფიგდგან და ლოთობისთვის მიეყო ხელი. ისინი დამეგობრდნენ. ერთ ღამეს, ორივე მთვრალი, მიადგნენ ერთს სახლს, გასტებეს კლიტე და, რაც პირველად მოზღდათ ხელში, მოიპარეს. დაიქირეს და ყველაფერში გამოატყდნენ. ჩასვეს სატუსალოში, სადაც ზეინკალი გარდაიცვალა. ბავშვის კი ახლა ასამართლებდნენ, როგორც საშიშ არსებას, რომლი-საგანაც უნდა დაეცვათ საზოგადოება.

„ისეთივე საშიში არსებაა, როგორც გუშინდელი დამნაშავე, — ჰფიქრობდი ნებლიუდოვი და თვალ-ყურს ადევნებდა ყოველსავე, რაც მის თვალ-წინ ჰხდებოდა. — ისინი საშიშრები არიან და ჩვენ, ჩვენ-კი არა ვართ საშიშრები?! მე — გარყვნილი, მატყუარა და ყველა ჩვენ, ყველა ისინი, რომლებმაც იცოდნენ, რა წითელი კოჭიკ ვიყავ, არამც თუ არ მღანძღავდნენ და არ ვეზიზღებოდი, არამედ დიდ პატივსაცა მცემდნენ“.

ხომ ყველასთვის ცხადია რომ ეს ბავშვი განსაკუთრებული ავაზაკი არ არის, ჩვეულებრივი ადამიანია, და თუ დღეს ამ მდგომარეობამდე მიადწია, ალბად, იმ გარემოების წყალობით, რომელშიაც ასეთი ხალხი იმყოფება. საჭიროა იყო ისეთი ადამიანი, — ჰფიქრობდა ნებლიუდოვი და სიბრალუ-



ლით ათვალისწინებდა ავადმყოფ ბავშვს, — რომელსაც სიბერისა და სიღატაკის აღძროდა, როცა პატარა ბავშვი, გაჭირვების სათვის, სოფლიდან ქალაქში მომავლად და ხელი შეეწყობისთვის; ან და როცა უკვე ქალაქში იყო და 12 საათის მუშაობის შემდეგ მიდიოდა ამხანაგთან ერთად ტრაქტორში, საჭირო იყო ისეთი ადამიანი, რომელსაც ეთქვა: „ვანო, ნუ მიდიხარ, არ არის კარგი“! — ბავშვი არ წავიდოდა და ამ ცუდ საქმესაც ასცდებოდა.

როცა ეს ბავშვი, დაავადმყოფებული აუტანელ შრომით, ზნეობრივად დაცემული და ღოთი, როგორც სიბერეში მყოფი, ისე დახეტიალობდა ქალაქში და უგუნურად შეძვრა საკუჭნაოში, საიდანაც მოიპარა რაღაც გამოუსადეგარი ნივთები, ჩვენ იმ მიზეზების გამოკვლევას და მოსპობას კი არა ვსცდილობთ, რომელმაც ამ მდგომარეობამდე მიიყვანა, არა, გვინდა მით გავასწოროთ საქმე, რომ ვაწამოთ საცოდავი.

საშინელებაა!

ნებლიუდოვი ისე გაიტაცა ამგვარმა ფიქრებმა, რომ აღარ ესმოდა, რაც მის გარშემო ჰხდებოდა. თან-და-თან განცვიფრებაში შედიოდა, რატომ ამდენ ხანს ვერ შევნიშნე ყველა ეს, რაც დღესავეთ ნათელიაო.

XXXV

პირველ შესვენების შემდეგ ნებლიუდოვი გამოვიდა დერეფანში, რომ აღარ შებრუნებულყო სასამართლოში. რაც უნდათ, ისა ქნანო, მხოლოდ ამ კომედიაში ჩარევა აღარ შემიძლიანო.

ნებლიუდოვმა გაიგო, სად იყო ბრალმდებლის კაბინეთი და წავიდა მასთან. მეკარეს არ უნდოდა შეეშვა, რადგან ბრალმდებელს არ ეცალა, მაგრამ ნებლიუდოვმა ყურადღება არ მიაქცია, შეაღო კარები და მიჰმართა მოხელეს, შეეტყობინებია ბრალმდებლისათვის, რომ ნაფიცო ვარ და ძლიერ სა-



ჭირო საქმისათვის მინდა მისი ნახვაო. მოხელემ ^{შევეცდებოდა} ბრალმდებელს და ნებლიუდოვი შეუშვეს. ^{ბრალმდებელმა} ფეხზე დგომით მიიღო, რადგან უკმაყოფილო იყო, ნებლიუდოვიმ ასე დაეინებით რად მოითხოვა ჩემი ნახვაო.

— რა გნებავთ? — მრისხანედ დაეკითხა ბრალმდებელი.

— მე ნაფიცი ვარ, გვარად ნებლიუდოვი და ძლიერ საქიროა ტუსალი მასლოვის ქალი ენახო, — სხაპა-სხუპითა და გადაქრით წარმოსთქვა ნებლიუდოვი და საშინლად გაწითლდა, რადგან იგრძნო; რომ ისეთს საქმეს ჰბედავდა, რომელსაც დიდი გავლენა ექმნებოდა მისს მომავალ ცხოვრებაზედ.

ბრალმდებელი დაბალის ტანის ჩასკვნილი კაცი იყო, ქალარა-შერთული, ეღვარე თვალგებიანი და მოკლედ შეკრეპილი წვერი ჰქონდა.

— მასლოვის ქალი? როგორ არა, ვიცი. ბრალი დაედო კაცის მოწამლვისათვის, — წყნარად წარმოსთქვა ბრალმდებელმა. — რაზედ გსურთ მისი ნახვა? — ტკბილის ხმით ჰკითხა ბრალმდებელმა. — არ შემიძლიან ნება მოგცეთ, სანამ არ შევიტყობ, რაზედ გინდათ მისი ნახვა.

— მე მსურს ჩემ კერძო და ფრიად საქირო საქმისათვის ენახო, — უთხრა ნებლიუდოვი და საშინლად აენტო.

— დიალ! — სთქვა ბრალმდებელმა ზე გულმოღვინედ აათვალთქრა-ჩაათვალთქრა ნებლიუდოვი, — მისი საქმე გაირჩა ჯერ, თუ არა?

— გუშინ გაასამართლეს და შეცდომით მიუსაჯეს ოთხის წლით კატორღა. უდანაშაულოა!

— დიალ... თუ მხოლოდ გუშინ გადაუწყვიტეს, — სთქვა ბრალმდებელმა და უყურადღებოდ დასტოვა ნებლიუდოვის სიტყვა მასლოვის ქალის უდანაშაულობაზედ, — იმ შემთხვევაში მისი ნახვა აღნიშნულ დღეებს არ შეიძლება. გირჩევთ იქ მიჰპართოთ.

— ეგ მართალია, მაგრამ საჩქაროდ მინდა მისი ნახვა, —



უთხრა ნებლიუდოვმა და მისს ხმას კანკალი დაეტყო, იგრძნო, ეს არის მოახლოვდა საბედისწერო წუთიო.

— რაზედ გინდათ მისი ნახვა?—წარბებ-აწვევით შეეკითხა ბრალმდებელი.

— იმაზე, რომ უდანაშაულოა და კატორღა გადაუწყვიტეს. ყველაფერში დამნაშავე მე ვარ,—ათრთოლებულის ხმით ამბობდა ნებლიუდოვი და ჰგრძნობდა, რომ იმას ამბობდა, რაც სულ საჭირო არ იყო.

— როგორ?—ჰკითხა ბრალმდებელმა.

— ისე, რომ მოვატყუე და იმ მდგომარეობამდე მივიყვანე, რომელშიაც ის ახლა არის. ისეთი რომ არა ყოფილიყო სანამდეც მივიყვანე, არ ჩაიდენდა იმ საქმეს, რისთვისაც დღეს კატორღა გადაუწყვიტეს.

— მე მაინც ვერა გამიგია—რა, რა დამოკიდებულება აქვს ყველა ამას მის ნახვისთან.

— ის, რომ მე მინდა თან წაეყვე და...ცოლად შევიერთო...წაილაპარაკა ნებლიუდოვმა და, როგორც ყოველთვის, თვალები ცრემლებით ავესო.

— მართლა? გასაოცარია, თქვენმა მზემ!—სთქვა ბრალმდებელმა,—მართლა არა ჩვეულებრივი შემთხვევაა. მგონი კრასნოპერსკის საეროზო სასამართლოს წევრი ხართ?—ჰკითხა ბრალმდებელმა, რომელსაც ოდესღაც გაეგონა ეს გარემოება იმ ნებლიუდოვზე, რომელსაც ახლა ასეთი საქმე გადაეწყვიტა.

— უკაცრავად, არა მგონია, მაგას რაიმე დამოკიდებულება ჰქონდეს ჩემს თხოვნასთან,—უბასუხა ნებლიუდოვმა და სიბრაზით საშინლად გაფითრდა.

— რასაკვირველია, ეგ მართალია,—ლიმილით უთხრა ბრალმდებელმა,—მაგრამ თქვენი სურვილი ისეთი არა ჩვეულებრივი და განსაცვიფრებელია, რომ...

— შეიძლება თუ არა, ნება-რთვა მივიღო?



— ნება-რთვა? დიალ, ეხლავე მოგცემთ ნება-რთვის ქა-
ლადს. ვთხოვთ დაბრძანდეთ.

ბრალმდებელი მივიდა მაგიდასთან და წერა დაიწყო.

ნებლიუდოვი ზეზედ წამოდგა.

ბრალმდებელმა დასწერა ნება-რთვის ბარათი და ცნო-
ბის მოყვარეობით დაუწყო ყურება ნებლიუდოვს.

— ამასთანავე უნდა განეცხადო, რომ აღარ შემიძლიან
სესხაში მონაწილეობის მიღება, — უთხრა ნებლიუდოვმა.

— როგორც გენებოთ, მხოლოდ საჭიროა საპატიო მი-
ზეზი წამომიყენოთ.

— მიზეზი ის გახლავთ, რომ ყველა სასამართლო არამც
თუ სასარგებლოდ, არამედ ზნეობის წინააღმდეგადაც კი მი-
მარტობია.

— დიალ, — ღიმილით უპასუხა ბრალმდებელმა, რადგან
ასეთი ამბები არა ერთხელ გავგონა, — დიალ, მაგრამ უნდა იცო-
დეთ, რომ მე, როგორც ბრალმდებლის თანამდებობის კაცს,
არ შემიძლიან დაგეთანხმოთ, ამიტომ უმჯობესია, სასამართლოს
განუცხადოთ და იმან იცის: ან საყურადღებოდ იცნობს ამ
მიზეზს, ან და დაგაჯარიმებთ შესაფერად. მიჰმართეთ სასა-
მართლოს.

— გამომიცხადებია და ეს არის, სხვაგან აღარსად აღარ
წავალ, — გაჯავრებით უთხრა ნებლიუდოვმა.

— მაქვს პატივი გამოგთხოვოთ, — უთხრა ბრალმდებელ-
მა და ოდნავ თავი დაუკრა, რომ დროზე მოეშორებინა თა-
ვიდან ეს უცნაური სტუმარი.

— ვინ იყო თქვენთან? — შეეკითხა ბრალმდებელს სასა-
მართლოს წევრი, რომელიც ნებლიუდოვის გასვლისათანავე
შევიდა მასთან.

— ნებლიუდოვი, რომელიც, თუ გახსოვთ, უცნაურს
პროექტებს არღვენდა კრასნოპერსკის საერობო სასამართლო-
ში. წარმოიდგინეთ, ნაფიცი მსაჯულია და დამნაშავეთა შო-
რის აღმოჩნდა ერთი ქალი, რომელსაც კატორღა გადაუწყვი-



ტეს და რომელიც, როგორც ნებლიუდოვი ამბობს, მაგას შეუცდენია და ახლა მისი ცოლად შერთვა უნდა.

— რას ამბობთ? ეგ შეუძლებელია?!

— ასე მითხრა თვითონ... თან რაღაც აღვლევებული იყო.

— ეხლანდელ ახალგაზრდებში რაღაც ამბავი ჰხდება სწორედ. სრულს კკუაზედ არ არიან თითქო.

— დიაღ, მაგრამ ეგ მაინცა და მაინც ახალგაზრდა არ უნდა იყოს.

— უჰ! როგორ მოგვაბეზრა თავი თქვენგან ქებულმა ივაშენკომ. დასასრული აღარ იცის, ლაპარაკობს და ლაპარაკობს.

— უნდა შეაჩეროთ ხოლმე, როცა თვითონ არ ჩერდებიან; ნამდვილი ობსტრუქციონისტები არიან..

XXXVI

ბრალმდებელიდგან ნებლიუდოვი პირდაპირ სატუსალოსკენ წავიდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ იქ არავითარი მასლოვა არ იყო. ციხის უფროსმა აუხსნა, რომ უთუოდ ძველ სატუსალოში იქნებოა; ნებლიუდოვი ახლა იქ წავიდა.

მართლაც ეკატერინე მასლოვა იქ იყო.

ერთ სატუსალოდან მეორემდე კარგა შორი მანძილი იყო და ნებლიუდოვი მხოლოდ საღამოს მივიდა იქ. უნდა კარებთან მისულიყო; მაგრამ დარაჯმა არ მიუშვა. ნებლიუდოვმა უჩვენა შესვლის ბარათი, მაგრამ ზედამხედველმა უთხრა, არ შემიძლიან უფროსის ნება-დაუთველად შევიშვათო. ნებლიუდოვი მივიდა უფროსის ოთახის კარებთან, საიდანაც ფორტოპიანოს ხმა მოისმოდა. ეს იყო მობეზრებული ლისტის პიესა, რომელსაც, თუმცა მშვენივრად უკრავდნენ, მაგრამ მხოლოდ ერთ ადგილამდე დაროცა ამ ადგილამდე მივიდოდა დამკვრელი, თავიდან იწყებდა პიესას და იმეორებდა. კარები თვალშეუხვეულმა გოგომ გაუღო. ნებლიუდოვმა ჰკითხა გოგოს, შინ არის უფროსი თუ არაო.



ქართული
ნიგელიონთა

მოსამსახურემ უთხრა, უფროსი შინ არ არის,

— ჩქარა მოვა?

ფორტოპიანოს ხმა ისევ შეწყდა და ჭრილითა და ვშხით განმეორდა მოჯადოებულ ადგილამდე.

— წავალ და ვიკითხავ.

გოგო წავიდა.

უცბად ფორტოპიანოს ხმა შესწყდა და მოისმა:

— უთხარით, რომ არ არის და დღეს არ მოვა-თქო. სტუმრად არის წასული-თქო... რას ჩაგვაცვიდნენ, რა ამბავია?

— მოისმა კარებიდან ქალის ხმა და ისევ ახმაურდა ფორტოპიანო, მაგრამ უცბად შესწყდა და სკამის განძრევის ხმა მოისმა. უთუოდ გაჯადოებულ პიანისტ ქალს უნდოდა თვათონ მიეცა შენიშვნა უდროვოდ მოსულ მნახველისთვის...

— მამა სახლში არ არის, — გაჯადოებით წარმოსთქვა კაბინეთიდან გამოსულმა გამხდარმა ქალმა, რომელსაც თმა აბურძგნოდა და სიგამბდრისაგან თვალის გარშემო ალთავი დალურჯებული ჰქონდა. დაინახა თუ არა კარგად გამოწყობილი ახალგაზდა კაცი, უცბად მორბილდა. — შემობრძანდით... რა გნებავთ?

— ტუსალის ნახვა მინდა; ნებართვის ბარათიცა მაქვს ბრალმდებლისაგან.

— მე არაფერი არ ვიცი, მამა სახლში არ არის. შემობრძანდით, გეთაყვა, — ისევ მიიწვია მან ნებლიუდოვი. — თუ გნებავთ, თანაშემწეს მიმართეთ, ახლა კანტორაშია და იმას მტელაპარაკეთ. რა გვარი ბრძანდებით?

— გმადლობთ, — უთხრა ნებლიუდოვმა და მისს უკანასკნელ კითხვაზე პასუხი არ მიუცია, ისე გამობრუნდა უკან.

ჯერ არც-კი გამოსულიყო ნებლიუდოვი, რომ ისევ გაისმა ფორტოპიანოს მხიარული ხმა, რომელიც არც ადგილს, სადაც უკრავდნენ, და არც დამკვრელის დაღონებულს სახეს სრულიად არ შეეფერებოდა. სატუსალოს ეზოში ნებლიუდოვი შეხვდა გრძელ-უღვაშებიან აფიცრს და თანაშემწე იკით-



ხა. თვით ეს აფიკერი იყო თანაშემწე. მან აიღო ბარათი, დაჰხედა ზედ და უთხრა, ეს ბარათი მეორე სატუსალოშია. ხელზეა აღებული და ამ ბარათით აქ შეშვება არ შემიძლიანო. თან დაგვიანებულიც არის, ხვალ მობრძანდითო, — უთხრა მან.

— ხვალ 10 საათზე ყველას აქვს ნახვის ნება და თქვენც მობრძანდით. უფროსიც შინ იქნება. მაშინ საზოგადოოთახში გექნებათ ნახვის ნება, ან და, თუ უფროსი ნებას მოგცემთ, კანტორაშიაც შეიძლება.

ამ გვარად ნეხლიუდოვმა ვერ მოახერხა ამ დღესმასლოვას ნახვა და სახლში დაბრუნდა. ძალიან აღელვებული იყო. გზაში გაახსენდა ბრალმდებელთა და ციხის უფროსთან ლაპარაკი. მეტად აღელვებდა ის, რომ მასლოვას ნახვა უნდოდა, რომ ბრალმდებელს გაუმეღაენა თავისი განზრახვა, რომ ორ სატუსალოში იყო და მინც ვერა ჰნახა. სახლში მისვლისათანავე მონახა დიდის ხნის ხელუხლებელ დღიურის რვეული და შემდეგი ჩასწერა შიგ: „ორი წელიწადია, რაც დღიური არ მიწერია და ვფიქრობდი, თავის დღეში არ დავუბრუნებოდი ამ ბავშვობას. მაგრამ ეს ბავშვობა კი არ იყო, ეს იყო ჩემ თავთან ბასი. ბასი იმ ღვთაებრივ მკ-სთან, რომელიც სცხოვრობს ყოველ ადამიანში. ამ ჩემ მკ-ს მუდამ ეძინა და არ შემეძლო ბასი მასთან. გამოაღვიძა იმ არა ჩვეულებრივმა შემთხვევამ, რომელიც 28 აპრილს მოჰხდა სასამართლოში, სადაც მე ნაფიც მსაჯულად ვიყავი. იქ ბრალდებულთა საკმზე დავინახე კატო, ის კატო, რომელიც მე სასტიკად მოვატყუე, გავრყევენი, ფეხ-ქვეშ გვთელე და მერე, როგორც უბრალო ჩიარი, ისე გადავაგდე. სხვების გაუგებრობითა და ჩემის შეცდომით იმა კატორღა გადაუწყვარეს. მე ახლა ვიყავი ბრალმდებელთან და მერე სატუსალოში. იქ არ შემიშვეს, მაგრამ ყოველსავე ღონეს ვიხმარ ვინახულო, პატიება ვთხოვო და რითიმე გამოვიწყიდო ჩემი დანაშაული, თუ გინდ მის ცოლად შერთვით. ღმერთო შემეწიე, ძალიან კარგად და მხიარულად ვარ“.



ქართული

ხელნაწილები

მასლოვამ დიდხანს ვერ დაიძინა იმ ღამეს. თვალებ-დაქყეტილი და ფიქრებით გატაცებული კარებს მისჩერებოდა.

ჭეიქრობდა თავის მომავალ ცხოვრებაზედ კატორღაში. გადასწყვიტა, არას გზით არ გაჰყოლოდა ცოლად სახალისზე ვინმე კატორღელთაგანს და როგორმე სხვაფრივ მოეწყო საქმე, ან რომელსამე უფროსთან ეცხოვრა, ან მწერალთან, ან ზეღამხედველთან. ისინი ხომ ძალღებრივით სულ-წასულნი არიან ამისთანაებში. „მხოლოდ უნდა ვსცადო არ გაებდე და სილამაზე შემჩრჩეს, თორემ დავიღუპებიო“. მოაგონდა, როგორ უყურებდნენ სასამართლოში. მოაგონდა, როგორ უაპბო სატუსალოში მისულმა ბერტამ, რომ ის სტუდენტი, რომელსაც უყვარდი, როცა კიტავესთან სცხოვრობდი, მოვიდა ჩვენთან და გიკითხაო, და როცა გაიგო შენი აპბავი, ძალიან დაღონდაო. მოაგონდა ქერა ქალი და იმასთან ჩხუბი და შეეცოდა; მოაგონდა მგებურე, რომელმაც ერთი ბულკი უფულოდ უთავაზა. ბევრი რამ მოაგონდა, მხოლოდ ნებლიუდოვი-კი არ გაჭხსენებია. ეს საშინელი წყლული ძნელი ხელსახლები იყო. ნებლიუდოვის ხსენება სადღაც შორს კუნჭულში იყო მიმაღული, მიფერფლილი. თითქმის სიზმარშიაც ერთხელ არ უნახავს ნებლიუდოვი. ახლა სასამართლოში ვერ იცნო, არა იმიტომ, რომ წინად ახალგაზდა, პატარა, ახლად ამწვანებულ ულვაშებიანი, წვერ-მოპარსული, სამხედრო ტანისამოსში იყო და ახლა-კი შეხედულობით ახალგაზდა აღარ იყო და წვერიც მოეშვა, არამედ იმიტომ, რომ თავის დღეში არ უფიქრნია იმაზე. ყველა თავისი წარსული დამარხა იმ საშინელ ბნელ ღამეს, როცა ნებლიუდოვი ლაშქრიდან დაბრუნდა და დეიდებთან არ შემოიღარა.

დეიდები მოუთმენლად ელოდნენ ნებლიუდოვს, მაგრამ მან დეპეშით აცნობა, რომ ვერ შემოვივლიო, რადგან და-



ნიშნულ ვადაზე უთუოდ უნდა პეტერბურგში მივიდეთ, როცა ეს გაიგო კატომ, რკინის გზის სადგურზე წავიდა მისი ბაბა და ხავად. მატარებელი ღამის ორ საათზე უნდა მოსულიყო. კატომ მოასვენა ქალბატონები, გაიყოლია თან მზარეულ დედაკაცის გოგო მაშო და გაჰქანდა სადგურისაკენ.

შემოდგომის ბნელი და ქარიშხალიანი ღამე იყო. წვიმა ხან კოკისპირულად ასხამდა და ხან გადაიღებდა. ისე ბნელოდა, რომ გზა სრულიად არა სჩანდა და, თუმცა კატომ კარგად იცოდა გზა, მაგრამ მაინც აერია; მივიდა პატარა სადგურზე, სადაც მატარებელი მხოლოდ სამ წუთს ჩერდებოდა. კატო მისვლისათანავე გავიდა ბაქანზე და პირველ კლასის ვაგონში დაინახა ნებლიუდოვი. ხვერდის სავარძელში ორი აფიცერი იჯდა და ქალაქს თამაშობდნენ. სარკმლის ახლო მაგიდაზე სანთელი ენთო, ნებლიუდოვი, თეთრ კურტკაში გამოწყობული, სავარძლის ხელზე წამოსკუბებულები და რაღაზედაც იცინოდა. იცნო თუ არა კატომ, გაათოშინის ხელით სარკმელი დაუკოცუნა, მაგრამ ამ ღროს გაისმა მესამედ ზარის ხმა და მატარებელიც დაიძრა, ჯერ ერთი ვაგონი, მერე მეორე და იმათდანარჩენებიც მიჰყვა. ერთი მოთამაშეთაგანი წამოდგა და ქალაქდებით ხელში მოადგა სარკმელს. ამ ღროს დაიძრა ის ვაგონიც, რომელთანაც კატო იდგა. კატო გაჰყვა ვვერდით და სარკმელს თვალს არ აშორებდა, აფიცერს უნდოდა სარკმლის გაღება, მაგრამ ვერას გზით ვერ მოახერხა. ნებლიუდოვი წამოდგა და თვითონ დაუწყო გაღება. მატარებელმა სიარულს უმატა და, რომ არ ჩამორჩენილიყო, კატო სირბილით მისდევდა. მატარებელმა უფრო მოუჩქარა და სარკმელიც გაიღო. ამ ღროს კატოს ხელი ჰკრა კონდუქტორმა და შეხტა ვაგონზე. ის ჩამორჩა ვაგონს, მაგრამ რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მაინც გარბოდა ბაქანის სველ ფიცრებზე. გათავდა ბაქანი და კატომ ძლივს შეიმავრა თავი, რომ არ დაცემულიყო. გარბოდა, მაგრამ პირველ კლასის ვაგონი წინ წავიდა და ახლა კარგა შორს იყო. მის ახლო ახლა მეორე კლასის ვა-



გონები გარბოდა, შემდეგ უფრო ჩქარა გაიბრინა მესამე კლასის ვაგონებში. მასლოვამ სირბილს უმატა; როცა უკვე ნელნელა ვაგონში გაიბრინა, კატო კარგა შორს იყო სადგურიდან და ისეთის ძლიერებით დაეჯახა ქარი, რომ თავსახვევი მოსტაცა, მაგრამ მაინც არ შეჩერებულა და გარბოდა.

— დეიდა, მიხაილოვნა! — გაჰკიოდა პატარა გოგო და ძლივს მისდევდა: — თავსახვევი დაჰკარგეთ.

კატო შეჩერდა, იტაცა თავში ხელები და განწირულის ხმით აქვითინდა.

— წავიდა! — შეჰკივლა კატომ.

„ის გაბრწყინებულ ვაგონში, რბილ ხავერდის სავარძელში ზის, სევას, თამაშობს, ხუმრობს და მე-კი აქ, ამ ტიალაღვას, ქარსა და წვიმაში ვდგევარ და ვსტირი“, — გაიფიქრა მან. იქვე ჩაჯდა და ისეთის საზარელის ხმით დაიწყო ქვითინი, რომ გოგოს შეეშინდა და მოეხვია.

— დეიდა, წავიდეთ სახლში.

„მატარებელი გამოიღოს — ვაგონებს ქვეშ ჩავეარდები, მორჩა და ვათავდა“, — ჰფიქრობდა კატო და გოგოს პასუხს არ აძლევდა. ამ დროს მის მუცელში ბავშვმა გაიჭუნა. უცბად ყველა ის, რაც ერთის წუთის წინად სტანჯავდა და სიციხბლეს შეუძლებლად მიაჩნდა, და ის მოსაზრება, რომ თავის სიკვდილით შური ეძია, უცბად საღვაც გაჰქრა. კატო დამშვიდდა, წამოდგა, დაიხურა თავსახვევი და შინისკენ წავიდა.


დაბრუნდა სახლში საშინლად დაქანცული და მთლად ტალახში ამოგანგლული. ამ დღიდან მოხდა ის ცვლილება, რომელმაც კატო დღევანდელ მდგომარეობამდე მიიყვანა. ამ საზარელ ღამის შემდეგ მან უარყო ღვთის რწმენა. წინად სწამდა ღმერთი, სწამდა კეთილი და ისიც, რომ ხალხსაც სწამს ერთიკა და მეორეკაო, მაგრამ ამ საზარელ ღამის შემდეგ კი დარწმუნდა, რომ არავის არა სწამს-რა და, რასაც ღმერთსა და მის კანონებზე ლაპარაკობენ, სულ ტყუილია და დიდი უსამართლობაა. ნებლიუდოვმა ხომ ფეხ-ქვეშ გასთელა



მისი უმანკო პატიოსნება და შორს გადაისროლა. ნებლიუდო-
 ვი ყველაზე უკეთესი იყო მისთვის, მაშასადამე, დაწინაურების
 უარესები უნდა ყოფილიყვნენ, რადგან, რაც შეეძებოდა, ნა-
 თლად ამტკიცებდა ყოველსავე ამას. ყველანი, ქალი თუ კაცი,
 რომელთანაც-კი საქმე ჰქონდა—ქალები ცდილობდნენ ფული
 დაეტყუენათ, ხოლო კაცები, მოხუც თემის უფროსიდგან და-
 წყებულები, სატუსაღოს ზედამხედველამდე, ისე უყურებდნენ,
 როგორც სიამოვნების საგანს, რომლითაც შეიძლებოდა ენებათა
 ღელვის დაკმაყოფილება. არავისთვის სხვა არა არსებობდა-რა
 ქვეყანაზე; რომ ეს ასე იყო, უფრო მტკიცედ დაარწმუნა მო-
 ხუცმა მწერალმა, რომელსაც კატო დაუმეგობრდა ერთის
 წლის თავისუფალ ცხოვრების შემდეგ. ის პირდაპირ ეუბნე-
 ბოდა, ეგ არის პოეზიაცა და ესტეტიკაცაო, მაგაშია მთელი
 ბედნიერებაო.

ყველა მხოლოდ თავის ბედნიერებებსა და კმაყოფილე-
 ბისათვის სცხოვრობდა და ყოველი სიტყვა ღმერთსა და კე-
 თილ საქმეზე მტკნარი სიცრუე იყო. თუ როდისმე დაფიქრე-
 ბოდა და დაეკითხებოდა თავის თავს, რატომ არის ასე მო-
 წყობილი ქვეყანა, რომ ყველა ერთი მეორის დაჩაგვრას
 სცდილობს და ყველა იტანჯებაო, გადაწყვეტილი ჰქონდა მოე-
 შორებინა თავიდგან ეს ფიქრი და გართობილიყო როგორმე.
 ასე ამბობდა, მომწყინდება—პაპიროსს მოესწევ, გადავკრავ
 კიდევ და, მორჩა—გათავდა, ყოველივე გაივლისო.

XXXVIII



მეორე დღეს, კვირას, დილის ხუთ საათზე, როცა ქა-
 ლების განყოფილების დერეფანში გაისმა ჩვეულებრივი სტვენა
 ნიშნად აღგომისა, კარაბლიოვამ გააღვიძა მასლოვა.

„საკატორღე“—გაღვიძების უმაღლვე გაუელვა მასლოვას
 ფიქრმა, თვალები მოიფშენოტა და უნდადა ისევ მიწოლი-
 ლიყო და დაეძინა, მაგრამ ჩვეულებრივმა შიშმა სძლია ძილს;
 წამოდგა, ფეხთ მოიკეცა და აქეთ-იქით მზერა დაიწყო. გარდა



ბავშვებისა, ქალები ყველანი წამოდგნენ, ბავშვებს კი ჯერ ისევ
ეძინათ. არაყის გამყიდავი ვაქარი დედაკაცი წამოდგა და
ფრთხილად გამოაძრო ბავშვს ქვეშიდგან ხალათი. თეოდოსიას
ბავშვი ეჭირა ხელში და ნაზის ხმით ნანინას ეუბნებოდა. ბა-
ვშვის დედა ლუმელთან იჯდა და მწვრებს აშრობდა ცეცხლზე.
ქლეკიანს გულზე ხელი ეტაცნა და საშინლად ახველებდა.
ქერა დედაკაცი პირაღმა იწვა და არხეინად უამბობდა სიზმარს
მეზობლებსა. ბებერი დედაკაცი, რომელიც ცეცხლის წაკი-
დების თაობაზე იყო დაჭერილი, იდგა ხატის წინა და ბუტბუ-
ტებდა უაზრო სიტყვებს. დიაკვნის ქალი ჯერ კიდევ ვერ
გამორკვეულიყო ძილისაგან, ტახტზე წამამჯდარიყო და გა-
შტერებული აქეთ-იქით იყურებოდა. ხოროშავკა შავ თმას
იწეწავდა.

მოისმა ღერეფანში ფეხის ხმა ფოსტლებითა თუ ქოშე-
ბით მომავალისა. დაიჩხარუნა კლიტემ და ოთახში შემოვიდა
ორი ტუსალი „პარაშნიკები“ კურტკებითა და მოკლე ნაცრის
ფერ შალვრებითა, აიღეს მყრალი კასრი და გაიტანეს კარებ-
ში. ქალები გამოვიდნენ ღერეფანში პირის დასაბანად. პირის
ბანაზე ჩხუბა მოუვიდათ ქალებს ქერა ქალთან, რომელიც
სხვა კამერიდგან გამოვიდა. შეიქნა ერთი ყვირილი და ლან-
ძღვა-გინება.

— კარცერი ხომ არ მოგინდათ?— დაიღრიალა ზედამ-
ხედველმა და ისე მაგრად დაჰკრა ქერას სქელ ბეჭებზე გა-
შლილი ხელი, რომ მისი ტყლაშუნი მთელმა სატუსალომ გაი-
გონა.— მეორედ აღარ გაეიგონო შენი ხმა, თორემ ვაი შენი
ბრალი!

— რაო, სისხლი აგიდულდა, ბებერო?— შეეპასუხა ქერა,
რადგან ზედამხედველის ასეთი ქცევა ხუმრობად მიიღო და
აღერსი უფრო ეგონა.

— აბა, ჩქარა: წაეთრიეთ წირვაზე.

მასლოვამ თმის დეარცხნაც ველარ მოასწრო, რომ უფ-



როსიც შემოვიდა თავის მზღებლებით ტუსალების მებლად.

— შემოწმება! — დაიძახა ზედამხედველმა.

მეორე კამერიდგან გამოვიდნენ სხვა ტუსალი ქალები და ჩამომწკრივდნენ ორ რიგად დერეფანზე. ყველანი გადაითვალეს.

შემოწმების შემდეგ შემოვიდა ზედამხედველი ქალი და ყველანი ეკლესიაში წაიყვანა. მასლოვა და თეოდოსია შუაში იდგნენ, მათ გარშემო ას ტუსალ ქალმდე იდგა სხვა-და-სხვა კამერებიდგან. ყველანი თეთრის კაბებით იყვნენ გამოწყობილნი, გარდა რამდენისამე დედაკაცისა, რომლებიც საკუთარ ქრულ კაბებით იყვნენ. ისინი თავის ნებით მიჰყვებოდნენ თავიანთ ქმრებს. ისმოდა ფეხის ხმა ამოდენა წულებიანის ხალხისა, ლაპარაკი და ხენ სიცილ-ხარხარი. გზაში მასლოვამ მოჰკრა თვალი თავის მტერს ბოჩკოვას და თეოდოსიას ანიშნა ხელით. როცა ეკლესიის კარებს მიადგნენ, ქალები გაჩუმდნენ და მოკრძალებით შევიდნენ ჯერ კიდევ ცარიელ, გაბრწყინვებულ ეკლესიაში. დიდის ჰაი-ჰუსის შემდეგ, როგორც იყო, ჩამწკრივდნენ მარჯვნივ. მათ შემდეგ შემოვიდნენ ტუსალი კაცები და ჩამწკრივდნენ მარცხნივ.

სატუსალოს ეკლესია ახალი აგებული იყო. ერთ მდიდარ ვაჭარს რამდენიმე ათი ათასი დაეხარჯა და მშენებრად მოეწყო ეკლესია.

რამდენსამე ხანს ეკლესიაში სრული სიჩუმე იყო, მხოლოდ ხველა, ბავშვების ტირილი და ბორკილების ჩხარუნი არღვევდა სიჩუმეს. მაგრამ ტუსალები უცბად შეინძრნენ, ერთი მეორეს მიეჯახნენ და გზა გაარღვიეს. შემობძანდა სატუსალოს უფროსი და დადგა ყველაზე წინ.

XXXIX

ნებლიუდოვი დილით ადრე გამოვიდა სახლიდგან. ქუჩაში სოფლელი გლეხი დადიოდა და უცნაურის ხმით გაჰკიოდა:

— რძეე! რძეე! რძეე!



წინა ღამით გაზაფხულის ეუუუნა წვიმა დაუშვა და ყველ-
გან, სადაც-კი ქვა-ფენილი არ იყო, მწვანე ბალახს თავი აწო-
ცო. ბაღებში ხეები საუცხოვოდ გაფურჩქნილიყო და ათას-
ფრად აყვავებული კეკლუც პატარძალივით მორთულ-მოკაზ-
მულიყო. ბაზარში, სადაც ნებლიუდოვს მოუხდა გავლა,
ხალხი ბუზივით ირვოდა, ზოგი ვაჭრობდა, ზოგი, სხვა-და-სხვა
საქონლით დატვირთული, დადიოდა და მუშტარს ეძებდა, რომ
დროზე მოეშორებინა თავიდან ბარგი, და ზოგი კიდევ იდგა
უსაქმოდ და ცნობის მოყვარეობით ათვალისწინებდა სხვა-და-
სხვა საეაქროს.

ტრაქტირების წინ ბევრ ქალსა და კაცს მოეყარა თავი,
რომლებიც სხვა-და-სხვა ქარხნიდან იყვნენ, სუფთად გამოწ-
ყობილნი. ქუჩის დარაჯები, ყვითელის გრებილითა და რვეოლ-
ვერებით, თავიანთ ალაგას იდგნენ. ბულვარზე ბავშვები თა-
მაშობდნენ და მათი აღმზრდელი ქალები დამჯდარიყვნენ სკა-
მებზედ და ტკბილად ბაასობდნენ.

ჯერ კიდევ სველ ქუჩაზე ეტლებისა და კონკის ხრიგი-
ნით ყურთა სმენა აღარ იყო. ქალაქის ყოველის მზრიდან სა-
შინელი ხმაურობა ისმოდა, ამას ბანს აძლევდა ზარების რეკა,
რომელიც იწვევდა ხალხს ისეთ წირვაზე, როგორც ამ დროს
ეკლესიაში სრულდებოდა. ხალხი დაიშალა და ეკლესიები-
საკენ გაემართნენ.

მეეტლემ მოიყვანა ნებლიუდოვი ციხის ახლო მოსახვევში.
აქ რამდენსამე ქალსა და კაცს მოეყარა თავი, რომელნიც
სატუსაღოში შემსვლელნი უნდა ყოფილიყვნენ. მარჯვნივ
იდგა რამდენიმე დაბალი ხის შენობა და მარცხნივ ორ-საო-
თულიანი ქვითკირის სახლი რაღაც განცხადებით. ციხის ვე-
ებერთელა ქვის შენობა წინ იყო და იქ ჯერ არავის უშვებ-
დნენ. სატუსაღოს გარშემო თოფიანი ჯარის-კაცები დადიო-
დნენ და ახლოს არავის აქაჰანებდნენ.

ხის შენობის წინ, კარებთან, იჯდა სატუსაღოს ზედამ-
ხედველი და ხელში ჩასაწერი წიგნი ეჭირა. მისთან მიდიოდ-



ნენ მნახველები, ეუბნებოდნენ იმის გვარს, ვისი ნახვაც უნდოდათ და ისიც სწერდა წიგნში. ნებლიუდოვიც მივიდა მასთან და დაუსახელა ეკატერინე მასლოვის ქალი. ზედამხედველმა ჩასწერა.

— რატომ არ გვიშვებენ ახლა? — ჰკითხა ნებლიუდოვი.

— ახლა წირვა სდგას. გათავდება წირვა და შეგიშვებენ.

ნებლიუდოვი გამობრუნდა უკან და ხალხში შეერია. ხალხიდან გამოვიდა დაფლეთილ ტანისამოსით, დაქმუქნილის ქუდითა და ძირგამოგდებულ წალებით სახე დაწითლებული კაცი და გასწია სატუსალოსაკენ.

— ჰეი, შენ, სად მიძვრები?! — დაუყვირა თოფიანმა ჯარის კაცმა.

— შენ რაღა გაღრიალებს? — უპასუხა დაფლეთილ ტანისამოსიანმა და ყურადღებაც არ მიუქცევია მის ყვირილისათვის, უკანვე გამობრუნდა: — არ მიშვებ — მოვიცდი, არა და რა გაყვირებს, თითქო გენერალიაო.

ხალხში სიცილი ასტყდა. მნახველთა უმრავლესობა ღარიბულად იყო ჩაცმული, ზოგი თითქმის დაფლეთილ ტანსაცმელის ამბარა, მაგრამ ერივნენ ისეთებიც, რომელთაც წმინდა ტანსაცმელი ეცვათ. ნებლიუდოვის გვერდით ვიღაც ლამაზად ჩაცმული კაცი იდგა. ნებლიუდოვი შეეკითხა მას, პირველად ხართ აქაო? კაცმა უპასუხა, ყოველ კვირა-დღე დავდივარო და მოუყვა თავის ამბავს. ბანკში ვარ მეკარედ და ჩემ ძმასთან დავდივარ სატუსალოში. ძმა სიყალბის ჩადენისათვისა ჰზის სატუსალოშიო. გულკეთილმა კაცმა დაწვრილებით უამბო თავისი ისტორია და იმასაც უნდოდა გამოეკითხა ნებლიუდოვისთვის მისი ვინაობა, რომ მათი ყურადღება მიიპყრო ეტლმა, რომელიც გრიალით მოაგდეს სატუსალოსთან გაფქვირებულმა შავმა ცხენებმა. ეტლში იჯდა ახალგაზრდა სტუდენტი და პირბადე ჩამოფარებული ქალი. სტუდენტს რაღაც ნივთები ეჭირა ხელში. მივიდა ნებლიუდოვთანა და ჰკითხა, შეიძლება თუ



არა, ან როგორ მოვახერხო, რომ გადავცე სატუსალოში მოწყალება:—ბულკები, რომელიც თან მოვიტანე.

— საცოლოს სურვილია და იმიტომ. ეს ჩემი საცოლოა. ამისმა მშობლებმა გვირჩიეს მოგვეტანა სატუსალოში პერობილთათვის.

— მე თვითონ პირველად ვარ აქ და არ ვიცი, მაგრამ ვფიქრობ, რომ აი, იქ რომ კაცი ზის, იმან უნდა იცოდეს და იმასა ჰკითხეთ, — უბასუხა ნებლიუდოვმა და ზედამხედველზე ანიშნა, რომელიც ისევ ისე იჯდა წიგნით ხელში.

ამ დროს კიდევ გაიღო სატუსალოს დიდი კარები, საიდანაც გამოვიდა აფიცერი და ერთი ზედამხედველი და იქვე მჯდომმა ზედამხედველმა გამოაცხადა, რომ მნახველების მიღება დაიწყო. მნახველები ერთის ამბით მიაწყდნენ კარებს, თითქოს ეშინოდათ, არ დაეფეიანოთო. კარებში იდგა ერთი ზედამხედველი და იმ დროს, როცა მნახველები შედიოდნენ, სათითაოდ სთვლიდა და ხმა-ჩაღლა გაიძახოდა: 16, 17 და სხვ.; შიგნით მეორე ზედამხედველი იდგა. ისიც სათითაოდ სთვლიდა ყველას და ხელს ადებდა ზურგზე, რომ გამოსვლის დროს ან შიგ არაფინ დარჩენილიყო და ან ტუსალი არ გამოპარულიყო მათთან ერთად. ზედამხედველი თვალს არ ადევნებდა, თუ ვინ შედიოდა, და ნებლიუდოვსაც, სხვებსაც, დაჰკრა ხელი ზურგზე. ზედამხედველის ასეთმა უზრდველობამ პირველად თუმცა გააბრაზა ნებლიუდოვი, მაგრამ გაიხსენა რისთვისაც მოდიოდა და ხმა არ ამოუღია.

კარებს იქით იყო მოზრდილი ოთახი, პატარა სარკმელით და კაბარინებულ რკინებით. ამ ოთახში ნებლიუდოვმა შეამჩნია კუთხეში დიდი ხატი.

ნებლიუდოვი ნელის ნაბიჯით მიდიოდა და წინ უშვებდა სხვა მნახველებს. მეტის მეტად აღვლევებული იყო. პირველი ოთახიდან გამოსვლის დროს ზედამხედველმა რალაც წაილაპარაკა, მაგრამ ნებლიუდოვი ისე იყო შთანთქმული ფიქრებით, რომ ყურადღება არ მიუქცევია ზედამხედველისათვის და წაფი-



და იქითკენ, საითკენაც უმრავლესობა მიდიოდა, ესე იგი კაცებისა და არა ქალების განყოფილებიასკენ, სადაც ის უნდა შესულიყო.

ნებლიუდოვი ყველაზე ბოლოს შევიდა იმ ოთახში, სადაც ნებადართული იყო ტუსალების ნახვა. პირველი, რამაც თავზარი დასცა, ის იყო, რომ, შეაღო თუ არა კარები, ოთახში ისეთი ყვირილი და ღრიანცელი იდგა, რომ მეორედ მოსელა ეგონებოდა ადამიანს; მხოლოდ მაშინ გაიგო, რაშიაც იყო საქმე, როცა იმ ბადესთან მივიდა, რომელიც ორად ჰყოფდა ოთახს და რომელსაც, როგორც შაქარს ბუზები, ისე ეხვია ხალხი. ოთახი ორად იყო გაყოფილი ორის რკინის ბადით, რომელიც ქერიდან იატაკზე ეშვებოდა. ბადეებს შუა დადიოდნენ ზედამხედველები. ბადეს იქითა მხრიდან ტუსალები იდგნენ და აქეთა მხრიდან — მნახველები; მათ შუა ორი რკინის ბადე იყო ამართული, სამის ადლის სიშორეზე, ასე რომ, არამც თუ რისამც გადაცემა, არამედ პირისახის გარჩევაც კი ძნელი იყო. თითქმის ლაპარაკიც-კი არ შეიძლებოდა, რადგან კარგა ხმა-მალა დაყვირება იყო საჭირო. ორივე მხრით ბადეზე მომდგარიყვნენ ცოლები, მამები, დედები, ბავშვები. ყველას სცდილობდა დაენახა თავისიანი და ეთქვა რამე და ერთი მეორეს უსწრობდა. თვითოეული სცდილობდა უფრო მალე დაეყვირა. აი ეს იყო მიზეზი, რომ საშინელი ღრიანცელი იდგა, როცა ნებლიუდოვმა კარები შეაღო და გაშეშდა. ლაპარაკის გარჩევა ყოველად შეუძლებელი იყო. მხოლოდ შეიძლებოდა სახეზე შეეტყუა ადამიანს, რას ლაპარაკობდნენ ან რა დამოკიდებულება იყო მოლაპარაკეთა შორის. ნებლიუდოვის ახლო იდგა ბებერი დედაკაცი, რომელიც ძალზედ გაჰკეროდა ბადეს და ათრთოლებულის ხმით ელაპარაკებოდა გაფითრებულს ახალგაზდას, ნახევარ თავმოპარსულ კაცს. ტუსალი გულმოდგინედ უგდებდა ყურს. ბებრის გვერდით ახალგაზდა კაცი იდგა და თავის ქნევით ყურს უგდებდა გამხდარ, შექალარებულ ტუსალს. იმას იქით იდგა დაფლეთილ ტანისამოსიანი კაცი და რალსაც თავის ქნევითა

და სიცილით ამბობდა. მის გვერდით იატაკზე იჯდა ქალი ბავშვით ხელში და მწარედ ქვითინებდა, უთუოდ ენისა და ზნის პირველად ჰხედავდა ქალაჩა, თავმოპარსულ და ბორკილებიან ტუსალს. ამ ქალს თავზე ადგა ბანკის მეკარე, რომელსაც ნეხლიუდოვი გამოეგლაპარაკა, და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, უყვიროდა ტუსალს.

ნეხლიუდოვიმა ხუთს წუთს დაჰყო ამ ოთახში და საშინელი სევდა შემოაწია გულზე, იკრძაო ობლობა სულისა და, თითქოს რაღაც მოსწყდა გულიდანაო, საშინლად ამოიკვნესა.

„დროა შევეუდგე საქმეს, რისთვისაც მოვედი, — სთქვა მან თავისთვის, — როგორ მოვიტყეო? დაიწყე უფროსის ძებნა. ხალხის უკან დაინახა შუათანა ტანის გამზდარი კაცი აფიცრის ტანისამოსითა და მიჰმართა:

— არ შეგიძლიანთ, მოწყალეო ხელმწიფევე, მიბრძანოთ, სად იმყოფებიან ტუსალი ქალები და სად შეიძლება მათი ნახვა? — მორიდებით დაეკითხა ნეხლიუდოვი.

— ქალების განყოფილებაში გნებავთ განა შესვლა?

— დიალ: მე მინდოდა მენახა ერთი ტუსალი ქალი, — თავაზიანად უპასუხა ნეხლიუდოვი.

— როცა შემოხვედით, მაშინ უნდა გეთქვათ, ვისი ნახვაც გინდოდათ?

— ეკატერინე მასლოვა მინდა ვნახო.

— გადაწყვეტილი აქვს სასჯელი თუ არა?

— დიალ, მესამე დღეა, რაც გადაუწყვიტეს, — თავაზიანად უპასუხა ნეხლიუდოვი, თითქოს ეშინოდა, უფროსი არ გაეჯავრებინა და მით საქმე არ წაებდინა.

— რაკი ქალების განყოფილება გნებავთ, მაშ, აქეთ მიბრძანდით, — უთხრა უფროსმა, რომელიც ნეხლიუდოვის გარეგანის შეხედულებით დარწმუნდა, რომ ყურადღების ღირსი იყო. — სიღორავ! — დაუძახა მან გრძელ-უღვაშა მენდლებიან უნტერ-აფიცრს: — გააცილეთ ქალების განყოფილებისაკენ.

— ეხლავე!



ამ დროს ოთახში გულის მომკვლელი ქვითინი გაისმა. ყოველივე უკვირდა ნებლიუდოს და, სხვათა შორის იხილა რომ თავის მოვალეობად მიაჩნდა უფროსისა და ზედამხედველისათვის მადლობა გადაეხადნა.

ზედამხედველმა გაიყვანა ნებლიუდოვი დერეფანში და იქიდგან პირდაპირ ქალების განყოფილებაში შეიყვანა.

XL

როგორც კაცებისა, ეს ოთახიც ორ რკინის ბადით სამად იყო გაყოფილი, მაგრამ კაცებისაზე უფრო პატარა იყო და ისეთივე ყვირილი და ვაი-უშველებელი იდგა შიგ, როგორც კაცების ოთახში. როგორც იქ, აქაც ბადეებს შუა ზედამხედველები დადიოდნენ. ზედამხედველ კაცის მაგიერ აქ— ზედამხედველი ქალი დადიოდა ისეთისავე ფორმის კურტკით, როგორიც ზედამხედველ კაცებს ეცვათ. აქაც, როგორც კაცების ოთახში, ბადეს აქეთ-იქით ხალხი ბლომად ეხვია. აქეთა მხრიდგან ფერად კაბებში გამოწყობილი ქალები და კაცები იდგნენ და იქითა მხრიდგან ტუსალი ქალები, ზოგი თეთრის კაბებით და ზოგიც საკუთარ ტანსაცმელით. ზოგი ფეხზე იდგა და თითის ფრჩხილებზე იყო, რომ დაენახა მოლაპარაკე, და ზოგნი იატაკზე ისხდნენ და ისე ლაპარაკობდნენ.

ტუსალების მხრიდგან საშინლად გაჰკიოდა თმა-გაწეწილი ყიზილბაშის ქალი, რომელიც ხელების ქნვეითა და ყვირილით ანიშნებდა რაღასაც აქეთა მხარეს მწვანე კურტკიან ყიზილბაშს. ყიზილბაშის გვერდით იჯდა ჯარის-კაცი, რომელიც ტუსალ-ქალს ელაპარაკებოდა. იმას იქით ბადეს მიჰკვროდა ახალგაზდა გლეხი ქერა წვერ-უღვაშით და ისე გაწითლებულიყო, რომ ცრემლებს ძლივს იმაგრებდა. ელაპარაკებოდა ახალგაზდა ლამაშს, ცქრილია ტუსალ-ქალს. ეს ქალი იყო თეოდოსია თავის ქმრით. მათ ახლო იდგა ძონძებში გახვეული კაცი და თმა-გაწეწილ პირ ფართე ტუსალ-ქალს ელაპარაკებოდა. შემდგე ორი ქალი, კაცი, კიდევ ქალი და თვითეული მათგანის



პირდაპირ თითო ტუსალი ქალი იდგა. მასლოვა არ იყო მათ შორის. მაგრამ ტუსალ-ქალებს უკან იდგა ერთი ქალი და ნებლიუდოვმა მაშინვე იცნო: მასლოვა იყო და გული ისე ძალზე შეუფანტკალდა, რომ საშინლად გაფითრდა და ენა ჩაუვარდა. მივიდა ბადესთან და კარგად შეჰხედა კატოს. ის იდგა თეოდოსიას უკან და ღიმილით ისმენდა მის ლაპარაკს. დღეს კატო საუცხოვო სანახავი იყო, ნაცრის ფერ ხალათის მაგიერ წმინდა თეთრი კოფთა ეცვა, წელზე კობხად გადაჭერილი შქონდა ქამარი და, როგორც სასამართლოში, შავი ხუკუჭი თმა ჩამოსცივინოდა და ამშვენებდა მისს კეკლეუც სახეს.

„ახლა გადაწყდება ყოველივე, — ჰფიქრობდა ნებლიუდოვი: — როგორ დაფუძახო? ან იქნება თვითონ მოვიდეს!“

მაგრამ ის არ მოდიოდა: ელოდა კლარას და ვერ წარმოედგინა, თუ ის კაცი მასთან იყო მისული.

— თქვენ ვინა გნებაეთ? — უთხრა ნებლიუდოვს ზედამხედველმა ქალმა, რომელიც ბადეებს შუა დადიოდა.

— ეკატერინე მასლოვა, — ძლივს წამოიღულღულა ნებლიუდოვმა.

— მასლოვა! შენთან არის, — დაიყვირა ზედამხედველმა ქალმა.

მასლოვამ თავი მალლა აიღო და მტკიცე ნაბიჯით გამოსწია ბადისკენ. მოადგა ბადეს და გაკვირვებით დაუწყაო ცქერა ნებლიუდოვს, რაკი ვერ იცნო.

მაგრამ რადგან ტანისამოსზე შეამჩნია, რომ მდიდარი კაცი უნდა ყოფილიყო, გაუღიმა.

— რა გინდათ? — დაუძახა მან და მიიტანა ბადესთან გაღივებული პირისახე.

— მინდოდა მენახეთ...

ნებლიუდოვმა არ იცოდა, როგორ ეთქვა, „თქვენ“ თუ „შენ“ და გადაწყვიტა „თქვენ“ ეთქვა.

ჩვეულებრივზე მალლა არ ლაპარაკობდა.

— მინდოდა მენახეთ... მე...



— შენ კბილებს ნუ კრეკავ, — ყვიროდა მის გვერდით დაფლეთილ ტანისამოსიანი კაცი, — წაიღე თუ არ წაიღე.

— სულსა ჰლევს, ისე სუსტად არის, — ყვიროდა ვილაც მეორე მხრიდან.

მისლოვის ქალს თუმცა არ ესმოდა ნებლიუდოვის სიტყვები, მაგრამ მისმა სახის გამომეტყველებამ მოაგონა ის, რის მოგონებაც არ სურდა. უცბად ღიმილი გაჰქრა და შუბლზე ტანჯვის ნაოჭები გამოუჩნდა.

— არ შესმის, რას ლაპარაკობთ, — დაუყვირა მან და უფრო მოიღრუბლა.

— მოვედი, რომ...

„ღიად იმას ვეკისრულობ, რის მოვალეცა ვარ. სინანულის გრძნობამ შეიპყრო ჩემი არსება“, — იფიქრა ნებლიუდოვმა. ამ ფიქრის გავლენით გული ისე აუჩვილდა, რომ თვალეზზედ კრემლები მოადგა და სული ყველში მოებჯინა. ბარბაცით წაეტანა რკინის ბადეს და ორივე ხელეები მაგრად ჩასქიდა და დაჩუმდა. თავს ძალა დაატანა, რომ ქვითინი არ დაეწყო.

— „კარგად რომ ყოფილიყავი, არ წამოვიდოდი“, — ყვიროდნენ ერთის მხრიდან.

— „ღმერთს ერწმუნე, არაფერი არ ვიცი“, — ყვიროდა იქითა მხრიდან ტუსადი ქალი.

მისლოვის ქალმა შენიშნა ნებლიუდოვის მღელვარება, თვალეები საშინლად აენტო და ლოყები წამოუწითლდა, მაგრამ ისევ მრისხანე შევადულობა მიიღო.

— ვილასაც დავამგსავსე, მაგრამ ვერ გიცანი, — დაუყვირა მან.

— მოვედი იმიტომ, რომ პატყება გთხოვოთ, — წარმოსქვა ნებლიუდოვმა ისე, თითქო გაზეპირებული ჰქონდა ეს სიტყვებიო.

უცბად შერცხვა და უკან მოიხედა, მაგრამ ჩქარა მოაგონდა, რომ ეს სირცხვილი ძალიან კარგი იყო; ვალდებუ-



ლი იყო ეტვირთნა ყოველგვარი სირცხვილი და განაგრძო:

— საძაგლად, საზაზღრად მოგვექცით, მაპატიეთ! — წარმოსთქვა მან კიდევ.

მასლოვის ქალი უძრავად იდგა და თვალს არ აშორებდა.

ნებლიუდოვს აღარ შეეძლო მეტა ლაპარაკი. მოშორდა ბადეს და გულზე ხელი იტაცა, რომ ყელში მომდგარი ქვითინი შეეჩერებია.

სატუსალოს უფროსი, რომელმაც გამოჰგზავნა ნებლიუდოვი ქალების განყოფილებაში, შემოვიდა და რაკი ნებლიუდოვი ბადესთან ვერ დაინახა, ჰკითხა, რატომ არ ელაპარაკებით, ვისთანაც გინდათ ლაპარაკიო. ნებლიუდოვმა ცრემლები მოიწმინდა და თითქოს დამშვიდებულმა უპასუხა:

— აქედან ლაპარაკი არ შემიძლიან, არაფერი არ ისმის.

— მაშ, რახან აგრეა, შეიძლება აქაც გამოვიყვანოთ.

— მარია პავლოვნა! — მიჰპართა მან ზედამხედველ ქალს, — გამოიყვანეთ გარედ მასლოვის ქალი.

XLI


ერთი წუთიც არ გასულა, რომ გვერდის კარიდან გამოვიდა მასლოვის ქალი. მიუახლოვდა ნებლიუდოვს და შეპბღვირა. ისეთივე მშვენიერი სანახავე იყო, როგორც ამ სამისდლის წინად. თვალები ცეცხლივით აენტო და სახე თითქმის დამშვიდებული ჰქონდა.

— აქ შეგიძლიანთ ილაპარაკოთ, — უთხრა უფროსმა და მოშორდა.

ნებლიუდოვი მივიდა კედელთან მდგომ სკამისაკენ.

მასლოვის ქალმა გაკვირვებით შეჰხედა უფროსს, მხრები შეიშმუშნა და გაჰყვა ნებლიუდოვს სკამისაკენ და გვერდით მოუჯდა.

— ვიცი, რომ ძალიან გიჭირთ მაპატიოთ, — დაიწყო ნებლიუდოვმა და ისევ შეჩერდა, რადგან ცრემლები უშლიდა



ლაპარაკს, — მაგრამ, თუ წარსულის გასწორება არ შეიძლება, იმ შემთხვევაში მზადა ვარ ყველაფერი მოვიქმედო, შემოძლიან, მიტხარით ოღონდ...

— საკვირველია, როგორ მიპოვნეთ? — შეეკითხა მასლოვის ქალი და ის-კი, რაც იმან ჰკითხა, უპასუხოდ დასტოვა.

„ღმერთო შემეწიე! მასწავლე, რა უნდა ვქნა“, — ამბობდა ნებლიუდოვი გულში და თვალს არ აშორებდა მასლოვას, რომელიც უცბად გამოიკვალა სახეზე.

— სამის დღის წინად ნათიკ მსაჯულად ვიყავი, — უთხრა ნებლიუდოვმა, — როცა თქვენ გასამართლებდნენ; განა ვერ მიცანით?

— ვერა, ვერ გიცანი. დროც არა მქონდა მაგისათვის. არც კი შემომიხედავს თქვენთვის, — უპასუხა მასლოვის ქალმა.

— მგონია ბავშვი გყავდათ? — უთხრა ნებლიუდოვმა და იგრძნო, როგორ წამოუწივითლდა ლოყები.

— მადლობა ღმერთს, მაშინვე მოკვდა, — მოკლედ მოუქრა მასლოვის ქალმა და პირი შოარიდა.

— როგორ? რითი მოკვდა?

— მე თვითონ ავად ვიყავი, კინალამ მოგვედი, — უთხრა მან ისე, რომ თავი მალლა არ აულია.

— დეიდაჩემებმა როგორ გაგიშვეს?

— ვინ შეინახეს „ბავშვიან მომამსახურეს“. შემატყვეს თუ არა, მაშინვე გამაგდეს. ეპ, — რალა სალაპარაკოა. აღარაფერი აღარ მახსოვს, ყველაფერი დამავიწყდა. წავიდა ის დრო, გათავდა ყოველივე!

— არა, სრულიადაც არ გათავებულა. არ შემოძლიან ასე დავტოვო საქმე. მინდა ეხლა მაინც გამოვისყიდო ჩემი დანაშაული.

— არაფერი არ არის გამოსასყიდი. რაც იყო, — იყო, მორჩა, გათავდა, — სთქვა მასლოვის ქალმა და ისეთის გესლიანობითა და ცბიერობით გაიღიმა, რომ ნებლიუდოვს თავგზა დაეზნა.



მასლოვის ქალი არ მოელოდა ნებლიუდოვის ნახვას, მერე ისიც აქ, ამ დროს, და პირველმა მისმა დანახვამ, მისი თავზარი დასცა, რომ კარგა ხანს გონს ვერ მოვიდა. მოაგონდა ის ბედნიერი წუთი, როცა სიყვარულით აღზნებული ახალგაზდა ყმაწვილი ტკბილის ხმით ჩასჩურჩულებდა ყურში სატრფიალო სიტყვებს, შემდეგ მოტყუება, მისის უმანკოების გათელვა და ბოლოს ის გარყვნილი ცხოვრება და ტანჯვაწვალება, რომელიც ამ მოტყუების წყალობით გამოიარა. მწარე ტკივილები იგრძნო, მაგრამ რაკი არ შეეძლო გაეთვალისწინებია ყოველივე ეს, ისე მოიქცა, როგორც ყოველთვის იქცეოდა ხოლმე: მოიშორა თავიდან ეს მოგონებანი და შეეცადა გარყვნილების განსაკუთრებულის ბურუსით დაეფარა. ერთხანს წარმოიდგინა, ვითომ მასთან მჯდომი კაცი ის ახალგაზდა იყო, რომელიც ერთ დროს უყვარდა, მაგრამ მეტად მწვავე იყო მისთვის ეს აზრი და თავი დაანება ამ ფიქრს. ახლა ეს სუფთად ჩაცმული ნებლიუდოვი ის ნებლიუდოვი კი არ იყო, რომელიც ერთ დროს უყვარდა, არამედ ერთი ამ ადამიანთაგანი, რომელნიც, როცა სჭირიათ, სარგებლობენ ისეთის არსებით, როგორიც მასლოვის ქალი იყო, და ამ აზრით მასლოვის ქალმა ცბიერებით გაუღიმა.

კატო ჩუმად იყო და ფიქრობდა, რა მოეგონებინა ისე თი, რომ გამორჩენოდა რაზე ნებლიუდოვს.

— უკვე გათავდა, — სთქვა მასლოვის ქალმა, — ახლა აი, კატორღა გადამიწყვიტეს. — ტუნები საშინლად აუკანკაღდა მასლოვის ქალს, როცა წარმოსთქვა სიტყვა „კატორღა“.

— ვიცოდი და დარწმუნებულიც ვიყავი, რომ დამნაშავე არა ხართ, — უთხრა ნებლიუდოვმა.

— რასაკვირველია, არა ვარ დამნაშავე. განა მე ქურდი ან მტაცებელი ვარ?

— აქ ჩვენები ამბობენ, რომ ყველაფერი ვეჭილზეა დამოკიდებულიო, — განაგრძო მან, — თხოვნის მიცემაა საჭიროო; მაგრამ, როგორც გავიგე, მაგას ფული ბევრი უნდა.



— დიად, უთუოდ, — უთხრა ნებლიუდოვმა: — შენ ვინ ხარ? ვინ ხარ?

— კარგის ვეჭილისათვის ფული არ უნდა დაიშუროს კაცმა, — სთქვა მასლოვის ქალმა.

— მე ყველაფერს მოვახერხებ, რაც კი შესაძლებელია, ორივენი დაჩუქდნენ.

მასლოვის ქალმა ისევ ისე გაიღიმა.

— მე მინდა გთხოვოთ... ფული, თუ შეიძლება, ცოტა... ათი, — უცბად წაილაპარაკა კატომ.

— კარგი, კარგი, — დარცხვენით წარმოსთქვა ნებლიუდოვმა და ჯიბეს ხელი გაიკრა.

მასლოვის ქალმა სწრაფად გადაჰხედა უფროსს, რომელიც იქვე დადიოდა.

— იმის თვალწინ არ მომცეთ, როცა წავა, მაშინ მომეცით, თორემ გამომართმევს.

ნებლიუდოვმა ამოიღო საფულე ქისა და ის იყო გაუწოდა ათ-მანეთიანი ქალაქის ფული, რომ უფროსიც შემობრუნდა. ნებლიუდოვმა ფული ხელში დამალა.

„ეს ხომ მკედარი ქალია“, — ჰფიქრობდა ნებლიუდოვი და ათვლიერვად ოდესღაც კეკლუსს, ხოლო ახლა სახე-დასიეზულსა და სხვაგვარად აღგზნებულ თვალებიან ქალს, რომელიც თვალს ადევნებდა უფროსს და უფრო ხშირად კი ნებლიუდოვის ფულიან ხელს შესჩერებოდა. ერთ წუთს ნებლიუდოვი რყევაში იყო, მიეცა თუ არა ფული.

ნებლიუდოვის გულში გაიღვიძა ისევ იმ მაცდურმა არსებამ, რომელიც გუშინ ელაპარაკებოდა და ამხილებდა, — როგორ უნდა მოვიქცე და რა შედეგი მოჰყვება ჩემს ამგვარს საქციელსაო.

„ვერაფერს ვერ გააკეთებ შენ ამ ქალთან, — ეუბნებოდა მაცდური ხმა, — მხოლოდ ცოლს იკიდებ კისერზე, რომელიც დაგაღრჩობს და ხელს შეგიშლის რაიმე სარგებლობის მოტანაში“.



„მივცე ფული, გამოვეთხოვო სამუდამოდ დეკორაციული ყველაფერი?“ — გაიფიქრა ნებლიუდოვმა.

მაგრამ ამ დროს იგრძნო, რომ მის გულში რაღაც შესანიშნავი ამბავი ჰხდებოდა, მისი სულიერი ცხოვრება სასწოროზე იყო დადებული და ცოტა ძალა იყო საჭირო, რომ სასწორო ან იქით და ან აქეთ გადაბრლიყო. მან ძალა დაატანა თავს, მოუწოდა ღმერთს, რომელიც მან გუშინ იგრძნო თავის გულში და რომელიც იქვე გამოეხმაურა. ნებლიუდოვმა გადასწყვიტა ახლაცვე ყველაფერი ეთქვა მასლოვასათვის.

— კატო! მე მოვედი შენთან და პატრება გთხოვე, შენ კი პასუხი არ მომეცი. მაპატიე თუ არა, ან როდისმე მაპატიებ თუ არა? — უთხრა და უცბად შენობით დაუწყო ლაპარაკი.

მასლოვის ქალი ყურს არ უგდებდა, ხან უფროსს შეხედავდა და ხან ნებლიუდოვის იმ ხელს, რომელშიაც ფული ჰქონდა. როცა უფროსი მიბრუნდა, კატომ უცბად გაუწოდა ხელი ნებლიუდოვს, გამოჰკლიჯა ფული და ქამარში ჩაიღო.

— საკვირველია თქვენი ლაპარაკი, — უთხრა კატომ და ზიზლით გაიღიმა.

ნებლიუდოვი ჰხედავდა, რომ კატო მთლად ზიზლითა და შურის ძიებით იყო გამსჭვალული, მაგრამ ეს უფრო მეტად აგულიანებდა, რომ სისრულეში მოეყვანა თავისი განზრახვა.

— კატო, რად მეუბნები მაგას? ზომ იცი, კარგად გიცნობ? მახსოვს, შენ რომ პანოვში....

კატო მაინც არ ნებდებოდა.

— რა სიჭიროა წარსულის მოგონება, — წარბებ-შეკმუხვებითა და მრისხანედ წარმოსთქვა კატომ.

— მე იმიტომ ვიგონებ წარსულს, რომ გამოვისყიდო ჩემი დანაშაული. კატო! — დაიწყო ნებლიუდოვმა და ის იყო უნდა ეთქვა ცოლად შეგირთავო, რომ უცბად შეჰხედა და მის თვალეში რაღაც ისეთი საზიზლარი და საშინელი რამ წაიკითხა, რომ მაშინვე დაჩუმდა.

სიყვარული
მეგობრობა

ამ დროს მნახველებმა იწყეს გამოსვლა. უფროსი მივიდა ნებლიუდოვთან და უთხრა, ნახვის დრო უკვე გათავდაქმნის სლოვის ქალი წამოდგა, მოაჩილებით გაჩერდა და ელოდა, როდის გამიშვებენო.

— მშვიდობით! კიდევ ბევრი რამ უნდა მეთქვა, მაგრამ, როგორც ჰხედავთ, დრო აღარ არის.

— მგონია, რომ ყველაფერი სთქვით...

— არა, ვეცდები კიდევ გნახო და მაშინ ყველაფერს გეტყვი, — წაილაპარაკა ნებლიუდოვმა.

— რა მენაღვლება, მობრძანდით! — უთხრა მასლოვის ქალმა და ისე გაუღიმა, როგორ საზოგადოდ ყველას უღიმიოდა ხოლმე, ვისთვისაც თავი უნდა მოეწონებინა.

— თქვენ ჩემს დაზე უფრო ახლობელი ხართ, — უთხრა ნებლიუდოვმა.

— საკვირველია! — სთქვა მასლოვის ქალმა და თავის ქნევით შევიდა კამერაში.

XLII

ნებლიუდოვი დარწმუნებული იყო, რომ პირველ ნახვაზედვე კატო, როგორც კი გაიგებდა მისს განზრახვას, სიხარულით ეას დაეწეოდა, მაგრამ მწარედ მოსტყუვდა. ნათლად დაინახა, რომ წინანდელი კატო აღარ იყო, იყო მხოლოდ მასლოვის ქალი; ამ ამბავმა თავზარი დასცა ნებლიუდოვს.

უფრო იმან გააოცა ნებლიუდოვი, რომ კატოს არა თუ სცხვენოდა თავის მდგომარეობისა, პირიქით, კიდევაც ამაყოზდა და მეტად კმაყოფილი იყო. სხვათრივ არც შეიძლებაოდა. ყველა ადამიანს, ვინც კი ჰმოქმედებს, თავისი მოქმედება დიდ რამედ მიიჩნია. ამიტომ, რა მდგომარეობაშიაც უნდა იყოს კაცი, თავის კერძო ცხოვრებასა და მოქმედებას მულამ საზოგადოზედ წინ აყენებს და უფრო მნიშვნელოვანი ჰგონია.

საზოგადოდ ასე ჰფიქრობენ: როცა ქურდი ან კაცის მკვლელობა ჩაუკვირდება თავისს საქციელს და გაიგებს მისს სი-



სადაგლოს, უნდა სცხვენოდეს კიდევცაო. მაგრამ სულ წინააღ-
მდეგსა ვხედავთ. სხვა-და-სხვა მიზეზთა წყალობით ვითარებაში მყოფნი აღამიანნი, რაც უნდა ცუდი და უმსგავსო
იყოს ეს ვითარებანი, ისეთის შეხედულობისანი არიან საზო-
გადოებრივს ცხოვრებაზე, რომ თავიანთი ვითარებანი კანო-
ნიერად მიანინათ. ამ აზრის დასაცველად ასეთნი აღამიანნი
უფრო ისეთს ჯგუფს ეტანებიან, სადაც ყველანი ასეთის შე-
ხედულობისანი არიან ცხოვრებაზე. ჩვენ განცვიფრებაში მოვ-
დივართ, როცა ვხედავთ, როგორ ტრაბახობს ქურდი თავისის
ხერხიან ქურდობით და მკვლელი თავისის სისასტიკით. გან-
ცვიფრებაში მოვდივართ იმიტომ, რომ ის ჯგუფი, რომელსაც
ეს ხალხი ეკუთვნის, ვიწრო ფარგალშია და ჩვენ მის გარშე-
მო ვიმყოფებით.

ასეთისავე შეხედულობისა შეიქმნა მასლოვის ქალი თავის
ცხოვრებასა და იმ ვითარებაზედ, რომელშიაც ის ჩავარდა.
თუმცა კატორღა გადაუწყიტეს, მაგრამ წინდაწინვე ისეთი
წარმოდგენა ჰქონდა თავის თავზე, რომ ეს გარემოება სრუ-
ლიად ხელს არ უშლიდა, რომ ემაყნა კიდევ ხალხში თავის
მდგომარეობით.

კატო იმ აზრისა იყო, რომ საერთოდ ყველა აღამიანთა —
ბებერთა, ახალგაზღაბთა, გიმნაზიელთა, გენერალთა და განათ-
ლებულთა — დანიშნულება ის არის, რომ დამოკიდებულება იქო-
ნიონ ლამაზ ქალებთან და, თუმცა ყველა აღამიანები ისე აჩ-
ვენებენ თავს, თითქო სხვა საქმეს აკეთებდნენო, მაგრამ ნამდვი-
ლად კი მარტო ამითი არიან გატაცებულნი. კატოს, როგორც
ლამაზ არსებას, შეუძლიან დააკმაყოფილოს ან არ დააკმაყო-
ფილოს იმათი მოთხოვნილებანი, იმიტომ ის ყოველად საჭირო
და შესანიშნავი აღამიანია. ამ შეხედულობას ამტკიცებდამისი
წარსული და ეხლანდელი ცხოვრება.

მთელის ათის წლის განმავლობაში თითქმის ყველგან,
სადაც ის იყო, ნებლიუდოვისა და ბებერ თემის უფროსიდან
დაწყებული სატუსალოს ზედამხედველებამდე, ჰხედავდა, რომ



ნაზნი არსებანი საჭირო იყო ყველასთვის და ისეთებს კი ვერ ამჩნევდა, რომლებსთვისაც ის სრულად არ იყო საჭირო. ამიტომ მთელის ქვეყნის ხალხი იმ გროვად მიაჩნდა, რომელიც არაფერს არა ჰზოგავდა: არც ხერხს, მოტყუებას, ძალადობასა და ყიდვას, რომ როგორმე ხელში ჩაეგდოთ ლამაზი ქალები.

ასე უყურებდა ცხოვრებას მასლოვის ქალი და, არა თუ უკანასკნელად, პირველ აღამიანდაც კი მოჰქონდა თავი. ამნაირი შეხედულება მისთვის ძვირფასი იყო, რადგან, თუ ასე არ მოიქცეოდა, ჰკარგავდა ხალხში იმ ღირსებას, რომელიც ვითომ ამ გვარმა შეხედულებამ შესძინა. რომ არ დაეკარგა ეს ღირსება, ის ინსტიქტიურად, იმ ჯგუფს ეტანებოდა, სადაც ყველა ამნაირის შეხედულობისა იყო. კატომ შეატყუო ნებლიუდოვს, სხვა ცხოვრებაში სურს შემიყვანოსო, და წინააღმდეგობა გაუწია, რადგან ეშინოდა, სხვა ცხოვრება რომ დაეიწყო, ვაი თუ დაეკარგო ის ღირსებანი, რომელიც ძალით მივითვისეო. ამიტომ სცდილობდა დაევიწყებინა თავისი ახალგაზღვობა და ნებლიუდოვთან კავშირი. ეს მოგონებანი სრულიად არ შეფერებოდა მისს ეხლანდელს ცხოვრებას და ამიტომ ისეთ ალაგასა ჰქონდა ჩაკეტილი და მიჩქმალული, როგორც ფუტკრები მისჩქმალავენ ხოლმე მატლების ბუდეს, რომ არ გაუფუქონ ნამუშეიარი. ამგვარად, ახლანდელი ნებლიუდოვი კატოსთვის ის ნებლიუდოვი აღარ იყო, რომელიც ერთ დროს უყვარდა წმინდა, უმანკო სიყვარული, იყო მხოლოდ მდიდარი კაცი, რომლისგანაც ცოტა რამ უნდა გამოეცინცლა და ისეთი კავშირი დაეჭირა მასთან, როგორც საზოგადოდ ყველა კაცებთან.

„რაც უფრო საჭირო იყო, იმის თქმა კი ვეღარ მოვასწარ“, — ჰფიქრობდა ნებლიუდოვი, როცა სხვებთან ერთად წამოვიდა ალაყათის კარებისაკენ. — „ვეღარ მოვასწარ მეთქვა ცოლად შევირთავ-მეთქი. ვერ მოვასწარ მეთქვა, მაგრამ სხვა დროს ვეტყვი“, — ჰფიქრობდა ის.

ალაყათის კარებთან ისევ ზედამხედველნი იდგნენ და სა-



თითაოდ სთვლიდნენ გამოძვლელთ, რომ ან ზედ მეტი არ გაეშვათ, ან შიგ არ დარჩენოდათ ვინმე. წინანდებურად, ერთი ზედამხედველი სათითაოდ ყველას ხელს ავლებდა ზურგზე, მაგრამ ეხლა ეს ველარ შეპნიშნა ნებლიუდოვმა და, რომ შეენიშნა კიდევ, არც კი იწყებდა.

LXIII

ნებლიუდოვმა გადასწყვიტა ძირიანად შეეცვალა თავისი გარეგნული ცხოვრება: გადასწყვიტა გამოცვალა ბინა, დაეთხოვნა მოსამსახურეები და სასტუმროში გადასულიყო საცხოვრებლად. მაგრამ აგრაფინა პეტროვნამ დაუმტკიცა, რომ ამ ზამთარში ბინის გამოცვლა ღირსი სისულელეა, რადგან ზაფხულში ბინას არაფერ არ აიღებს და ნივთების შესანახ ადგილსაც ველარ ვიშოვნითო. ასე რომ, თუმცა ნებლიუდოვმა ყოველივე ღონე იხმარა თავისი გარეგნულის ცხოვრების გამოსაცვლელად (მას უნდოდა სულ უბრალოდ ეცხოვრა, სტუდენტურად), მაგრამ ვერას გზით ვერ მოახერხა. გარდა იმისა, რომ სახლში ყველაფერი წინანდებურად დარჩა, გახურებული მუშაობაც გაიშართა: გამოჰფინეს მთლად ოჯახის ავეჯეულობა, ოთახები დაასუფთავეს და მიაღაგ-მოაღაგეს; ამ მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ მეგზოვე, მისი თანაშემწე, მზარეული დედაკაცი და თვით კორნეი. ჯერ გამოიტანეს სხვა-დასხვა მუნდირები და რაღაც ტყავის ტანთსაცმელები და თოკებზე გაჰკიდეს, შემდეგ ხალიჩები და სხვა-და-სხვა ოჯახის ავეჯეულობა. როცა გადაჰხედავდა ნებლიუდოვი ამ აუარებელ ნივთებს, ჰფიქრობდა: ამ ნივთების ერთად-ერთი დანიშნულება ის არის, რომ ფიზიკურად ივარჯიშოს კაცმაო. აგრაფინა პეტროვნა, კორნეი, მეგზოვე, მისი თანაშემწე და მზარეული დედაკაციც სხვა სარგებლობას ვერაფერს ვერა ჰხედავდნენ.

„სანამ მასლოვის ქალის საქმე ჯერ კიდევ არ გათავებულა, არა ჰლირს ცხოვრების გამოცვლა, — ჰფიქრობდა ნებლიუდოვი: — ერთის მხრით ეს ძნელიც არის; სულ ერთია, ყვე-



ლაფერი თავის თავად შეიცვლება, როცა კატოს გაანთავისუფლებენ ან გაჰგზავნიან, და მეც თან გავყვები“.

დანიშნულ დღეს ნებლიუდოვი მივიდა ვეჟილ ფანარინთან და შევიდა მის მდიდრულად მორთულ სასახლეში. სხვადასხვა მცენარეები და ათასნაირი ფარდები სადღესასწაულო ელფერსა სდებდა იქაურობას. წინა ოთახში ისხდნენ მთხოვნელნი და თავჩალუნულნი ჰფურცლავდნენ სხვადასხვა ნახატებიან ქურნალ-გაზეთებს. ვეჟილის თანაშემწე, რომელიც იქვე იჯდა, მაშინვე წამოვიარდა, როგორც კი ნებლიუდოვი შევიდა, და უთხრა — ეხლავე შევატყობინებ ვეჟილსო. მაგრამ კარებთან მისვლა ვერც კი მოასწორო, რომ კარები უცბად გაიღო და მოისმა დაბალ-დაბალის, გრძელ ულვაშებიანის კაცისა და ფანარინის გაცხარებული ლაპარაკი. მოსაუბრეთა სახეს ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, როგორიცა აქვთ ისეთ კაცებს, რომ რომელთაც, მაინცა და მაინც კარგი კი ვერა, მაგრამ სასარგებლო საქმე გაუკეთებიათ.

— თვითონ თქვენა ხართ დამნაშავე, მეგობარო! — ღიმილით ეუბნებოდა ფანარინი.

— გულით მინდა სამოთხეში შესვლა, მაგრამ ცოდვები არ მიშვებს.

— აბა, აბა, ჩვენ ვიცით.

და ორივემ უცნაურად გადაიხარხარა.

— აა, თავადო, მობრძანდით! — უთხრა ფანარინმა, როცა ნებლიუდოვი დაინახა, ერთი კიდევ დაუქნია თავი მიმავალ ვაჭარს და შეიყვანა ნებლიუდოვი კაბინეტში. — მოსწიფთ, გეთაყვა, პაპიროსი, — უთხრა ვეჟილმა, ნებლიუდოვის პირდაპირ დაჯდა და სიამოვნებით გაიღიმა, რადგან ჰგონებოდა, რომ წინანდელი საქმე კარგად იყო.

— გმადლობთ! მე მასლოვის ქალის საქმეზედ ვიახელით.

— დიალ, დიალ, ეხლავე! უჰ, რა ტუტუცები არიან ეს სქელჯიბიანები, — სთქვა ფანარინმა, — ხომ დაინახეთ ის მამაკაცი; 12 მილიონის შეძლება აქვს და, რომ შეგატყოს, რომ



შეიძლება თქვენგან 25 მანეთის გამოცინცვლა, კბილებით გამოგლეჯსთ.

ვექილის გაიძვერულმა კილომ ცუდად იმოქმედა ნებლიულოვზე.

— უპ, როგორ დამტანჯა მაგ წყეულმა; საძაგელი კაცია... აბა, ახლა თქვენს საქმეზედ ვილაპარაკოთ... გულმოდგინედ წავიკითხე და, როგორც ტურგენიევი ამბობს: „მისი შინაარსი არ მომეწონა“, ე. ი. ვექილი უტვინო კაცი ყოფილა და განსაჩივრების ყველა საბუთები გამოჰპარვია.

— თქვენ რაღა ვადასწყეიტეთ?

— ამ წუთში... უთხარით იმას,—მიუბრუნდა შემოსულ თანაშემწეს,—რომ, როგორც მე ვსთქვი, ისე იქნება. შეუძლიან—კარგი, არ შეუძლიან და—საჭირო არ არის!

— კი, მაგრამ უარს ამბობს.

— მაშ არც ძალიან საჭიროა,—სთქვა ვექილმა და კაპები შეიკრა.

— ამბობენ, ვექილები მუქთად ბევრს ფულს იღებენო,—სთქვა მან და ისევ მზიარული სახე მიიღო.—ერთი ვილაკოხერი ლარიბი მოვალე გამოვიხსენი მუქთად უკანონო ბრალდებისაგან და ახლა ყველანი მე მომაწყდნენ და მოსვენებას აღარ მაძლევენ. თვითოეული ასეთი საქმე კი დიდ შრომასა თხოულობს. ჩვენც ხომ, როგორც ერთი ნიჭიერი მწერალი ამბობს, მხოლოდ ერთ ნაჭერ ხორცსა ვსტოვებთ სამელნეში...

— დიად, თქვენი საქმე, ანუ ის საქმე, რომელიც თქვენ გაინტერესებთ,—განაგრძო ვექილმა,—ძალიან ცუდად უწარმოებიათ; განსაჩივრების საბუთები ცოტაა, მაგრამ, ხომ გავიგონიათ: „ცდა ბედის მონახვერეაო“,—ჩვენც ვსცადოთ და, თუ რამე გამოდნა, ხომ კარგი, თუ არა და—რასა ვკარგავთ, მე კიდევაც დავსწერე ქალალდი.

ფანარინმა აიღო ერთი ფურცელი ქალალდი, რომელიც



თავიდან ბოლომდე აქრელებული იყო, და სხაპა-სხუპით წაიკითხა:

„სისხლის სამართლის საკანონმდებლო ორგანოში და სხ.-და-სხ., ესა და ეს საჩივარი და სხვ.-და-სხვ., გარდაწყვეტილ განჩინების ძალით და სხ.-და-სხვ., ვერდიქტი და სხ., ესა და ეს მასლოვის ქალი დამნაშავედ იქმნა ცნობილი ვაქარ სმელკოვის მოწამლევაში და სასჯელთა დებულები 1454 მუხლის ძალით გადაწყვეტილი აქვს ამდენისა და ამდენის წლით კატორღა და სხ.-და-სხვ.“

აქ ვეჭილი შეჩერდა.

— ეს განაჩენი იმ მრავალ შეცდომათა შედეგია, რომელიც მოუვიდათ განსამართლების დროს, და ამიტომ უნდა გაუქმდეს. პირველად, სასამართლოს მიერ მომხდარ გამოძიების ოქმის კითხვა სმელკოვის შიგნეულობის გამოკვლევებზედ შესწავიტა დაწყებისათანავე თვით თავმჯდომარემ; ეს ერთი.

— დიად, მაგრამ ამ ოქმის წაკითხვა ხომ თვით ბრალმდებელმა მოითხოვა? — გაკვირვებით შეეკითხა ნებლიუდოვი.

— სულ ერთია, დამცველსაც სრული უფლება ჰქონდა ვგვე მოეთხოვა.

— კარგი, მაგრამ რომ არაფრისთვის საჭირო არ არის?!

— ეს მინც საბუთია; შემდეგ: „მეორედ, მასლოვის ქალის დამცველი სიტყვის აქმის დროს შეჩერებულ იქმნა თავმჯდომარის მიერ იმ დროს, როცა მას უნდოდა მასლოვის ქალის დახასიათება და მისის ზნეობით დაცემის შინაგან მხარეებს შეეხა, ვითომ იმ მიზეზით, რომ დამცველის სიტყვები საჭმეს არ შეეხებოდაო. სისხლის სამართლის საქმეში-კი, როგორც ეს არა ერთხელ განმარტა სენატმა, დამნაშავის დახასიათებასა და ზნეობრივს მხარეს უპირველესი ადგილი უჭირავს. — ეს ორი... — სთქვა ფანარინმა და ნებლიუდოვს შეჰხედა.“

— დიად, მაგრამ ის ვეჭილი ისე ცუდად და უაზროდ



ლაპარაკობდა, რომ არაფრის გაგება არ შეიძლებოდა. კიდევ უფრო გაკვირვებით უთხრა ნებლიუდოვმა. ^{სარქვესული}
 თუმცა იმ უტყინოს არაფრის სახეიროს თქმა არ შეეძლო, ^{ბიკლინიქთაქა}
 მაგრამ მაინც საბუთია. ჰო, შემდეგ: „მესამედ, სისხლის სამართლის დებულების 801 მუხლის 1 პუნ. კატეგორიულ მოთხოვნილების წინააღმდეგ, თავმჯდომარემ თავის უკანასკნელ სიტყვაში არ აუხსნა ნაფიც მსაჯულთა, თუ რომელ იურიდიულ ელემენტებისგან შესდგება დანაშაულობის გაგება და არ უთხრა, სრული უფლება გაქვთ, უკეთეს საბუთებით დამტკიცდება, რომ მასლოვის ქალმა მართლა დააღვიძა საწამლავი ვაქარ სმელკოვის, არ იცნოთ დამნაშავედ კაცის მოკვლაში, რადგან ეს განზრახ არ ჩაუდენიაო; ამ გეარად, ის უნდა იცნოთ დამნაშავედ მხოლოდ შეცდომაში, გაუფრთხილებლობაში, რომლის შედეგად ვაქარ სმელკოვის სიკვდილი იყო“, — აი ეს არის უმთავრესი.

— ეს თვითონ ჩვენ უნდა გაგვეგო, ჩვენი შეცდომაა...

— „დაბოლოს, მეოთხე: — განაგრძო ვეჟილმა, — ნაფიც მსაჯულთა პასუხები სასამართლოს შეკითხვაზე მასლოვის ქალის დანაშაულობის შესახებ ისეთი იყო, რომ ერთი მეორეს ეწინააღმდეგებოდა. მასლოვის ქალს ამტყუნებდნენ, ფულის გულისათვის განიზრახა ვაქარ სმელკოვის მოწამლევა. ნაფიცმა მსაჯულებმა კი უარჰყვეს, მასლოვის ქალს ფულის მოპარვაში წილი არ უდევსო, რისგანაც ცხადადა სჩანდა, ნაფიც მსაჯულთ სურდათ უარყვოთ ისიც, რომ მან განზრახ მოჰკლა ვაქარი, მაგრამ, თავმჯდომარის უთავებოლო სიტყვის გამო, მსაჯულნი შეცდომაში შევიდნენ და ვერ გამოსთქვეს ეს აზრი თავიანთს დადგენილებაში. ამიტომ ნაფიცთა ასეთი დადგენილება უნდა დაექვემდებარებინათ სისხლის სამართლის დებულების 816 და 808 მუხ., ე. ი. თავმჯდომარეს უნდა განემარტებინა ნაფიც მსაჯულთა ასეთი შეცდომა და ახალი სხდომა უნდა დაენიშნა, — გაათავა კითხვა ფანარინმა.

— მერე რატომ ასე არ მოიქცა თავმჯდომარე?



— მეც მაგას ვამბობ, რატომ არ ინება ასე მოქცევა სიცილით უთხრა თანარინმა.

— მაშ, როგორცა სჩანს, სენატი გაასწორებს შეცდომას.

— ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ ვინ იქნება სენატში ამ საქმის გარჩევის დროს თავმჯდომარედ.

— აი, აგრე. ქვევითა ვწერ: „ასეთი ვერდიქტი არ აძლევდა სასამართლოს უფლებას, — განაგრძო ვეჭილმა სხაპა-სხუბით, — სისხლის სამართლის დებულების ძალით დაესაჯათ მასლოვის ქალი და რადგანაც იგი ხსენებულ დებულების 771 მუხ.მ პუნ. გაასამართლეს, ეს სისხლის სამართლის პროცესის ძირითადის წყობილების დარღვევაა. ზემო აღნიშნულ საბუთების მიხედვით, მაქვს პატივი ვიშუამდგომლო და სხვ. და სხვ., გააუქმოთ, თანახმად სისხლის სამართლის დებულების 909, 910, 912 და 928 მუხ. და სხვ. და სხვ., გარდასცეთ საქმე განსახილველად იმავე სასამართლოს სხვა განყოფილებაში“. აი, როგორც ჰხედავთ, რის გაკეთებაც შეიძლებოდა, გავაკეთე, მაგრამ გამოგიტყდებით და გეტყვით, რომ გამარჯვების იმედი ცოცხალია. ყველაფერი სენატის დეპარტამენტის წევრებზეა დამოკიდებული; თუ გყავთ იქ ვინმე ნაცნობი, კარგია.

— ვიცნობ თითო-ოროლა კაცს.

— მაშ, რაც შეიძლება, დააჩქარეთ მათი ნახვა, თორემ ყველანი დაიფანტებიან და შემდეგ მთელი სამი თვე უნდა უცადოთ... თუ იქ ვერ გავიმარჯვებთ, მაშინ უმაღლესს სახელობაზეა თხოვნა საჭირო. ამ შემთხვევაშიც მზადა ვარ გემსახუროთ.

— გმადლობთ... მაშ გასამარჯვლო...

— ჩემი თანაშემწე გადმოგცემთ თხოვნის თეთრს და ის გეტყვისთ.

— კიდევ რამ უნდა გკითხოთ: ბრალმდებელმა სატუსალოში შესვლის ნება მომცა და იქ მითხრეს, გუბერნატორის ნებართვაა კიდევ საჭირო, რომ აღნიშნულ დღეებს გარდაც შეგვეძლოს ტუსადის ნახვაო. საჭიროა ეს თუ არა?



— დიად, როგორც ვფიქრობ, საქიროა. მაგრამ ვუბრუნატორი ეხლა აქ არ არის, მის თანამდებობის ქრისტიანული ასრულებს.

— მასლენნიკოვი?

— დიად.

— ვიცნობ, — სთქვა ნებლიუდოვმა და წამოდგა.

ამ დროს ოთახში შემოვიდა პატარა, საშინლად გამხდარი, პაქუა-ცხვირიანი, გაყვითლებულის სახის ქალი — ვეჭილის ცოლი, რომელიც თავის მახინჯობას სრულიადაც არ იმჩნევდა. საუცხოვოდ მორთულ-მოკაზმულიყო, რა გინდათ, რომ ტანზე არა ჰქონდა მიკრული: აბრეშუმი, ხავერდი, ყვითელი, წითელი, თეთრი და შავი. ვეჭილის ცოლს მგლურის ძუნძულით შემოსდია მალაღმა კაცმა, რომელიც უშნოდ იღრიკებოდა. ტანთ გრძელი სერთუკი ეცვა და კალთებს სასაცილოდ მოაფრიალებდა. ეს იყო მწერალი, რომელსაც ნებლიუდოვიც იცნობდა.

— ანატოლ! — შემოსვლის უმაღვე მიჰმართა ცოლმა, — წამოდი ჩემთან. სიმონ ივანოვიჩმა მითხრა, ჩემს ლექსს წაგიკითხა და შენც უთუოდ გარშინზედ უნდა წაიკითხო რამე.

ნებლიუდოვმა წასელა დააპირა, მაგრამ ვეჭილის ცოლმა რაღაც უჩუჩჩულა ქმარსა და მაშინვე მიჰმართა ნებლიუდოვს.

— მობრძანდით, თავადო; მე თქვენის ესტეტიურ გრძობის ამბავი კარგად ვიცი; დაესწართ ჩვენს სალიტერატურო დილას. ძალიან კარგი იქნება. ანატოლი საუცხოვო წამკითხველია.

— ხომ ჰხედავთ რამდენი საქმე მაქვს, — სთქვა ანატოლმა, ხელები გაასავსავეა, გაიღიმა და ცოლზე მიუთითა, რითაც ვითომ იმისი თქმა უნდოდა, რომ ასეთის მომზიბლველ არსებისათვის წინაღმდეგობის გაწევა შეუძლებელიაო.

ნებლიუდოვმა ზრდილობიანად მადლობა გადაუხადა ვეჭილის ცოლს მიბატოებისათვის და უარი განაცხადა დასწრე-



ბაზე, რადგან დრო არა ჰქონდა, და გამოვიდა ოთახში.

მისაღებ

მართლმადიდებელ

ბიბლიოთეკას

— რა მანქანა! — ზიზღით წარმოსთქვა ვეკილის ცოლმა, როცა ნებლიუდოვი გამოვიდა.

მისაღებ ოთახში ვეკილის თანაშემწემ გარდასცა ნებლიუდოვს თეთრად გამზადებული თხოვნა და გასამრჯელოზედ უთხრა: ანატოლი სემიონიჩი 1,000 მან. თხოულობსო, და თან დასძრა: ანატოლი ასეთ საქმეებს თავის დღეში არა ჰკიდებს ხელს, მაგრა ესმ თქვენის ხათრისთვის აიღოო.

— როგორ მოვაწეროთ თხოვნას ხელი? ვინ უნდა მოაწეროს? — ჰკითხა ნებლიუდოვმა.

— შეიძლება თვითონ ბრალდებულმაც მოაწეროს ხელი და, თუ საძქლოა, მაშინ თვით ანატოლი სემიონიჩისაც შეუძლიან მის მაგიერ მოაწეროს, როცა რწმუნების ქალაღდს მიიღებს.

— არა, მე წავალ და თვითონ მას მოვაწერიებ ხელს, — სთქვა ნებლიუდოვმა და სიხარულით ფეხზედ აღარ იყო, რომ დანიშნულ დღეზე შეგძლო კატოს ნახვა.

XLIV

დანიშნულ დროს სატუსაღოს კარიდორში ჩვეულებრივად გაისმა სტვენა; შეიქმნა კლიტვების ჩხარა-ჩხური. გაიღო კამერების კარები, საიდანაც „პარაშნიკებმა“ *) გამოიტანეს მყრალი კასრები; ტუსაღებმა ტანთ ჩაიცვეს, პირი დაიბანეს და გამოვიდნენ შესამოწმებლად. შემოწმების შემდეგ წავიდნენ ჩაის წყლის მოსატანად.

ჩაის სმის დროს ყველა კარებში გაცხარებული ლაპარაკი იყო იმის თაობაზედ, რომ დღეს ორი ტუსაღი უნდა გაე-

*) „პარაშნიკებს“ ეძახიან იმათ, რომელნიც დატუსაღებულნი არიან ამა თუ იმ დანაშაულობისა გამო და სატუსაღოში მოსამსახურეთა თანამდებობას ასრულებენ.



როზგათ; ერთი მათგანი იყო ახალგაზდა, წერა-კითხვის მოკლ-
ნე ნოქარი ვასილიევი, რომელსაც იჭვიანობის სახელი ერქვა
საყვარელი მოეკლა. ამიანაგებს ძლიერ უყვარდათ, რადგან
გულ-უხვი, მხიარული და მთავრობასთან გაბედული იყო;
კარგად იცოდა კანონები და თხოულობდა საფსებით მისს
ასრულებას. სამის კვირის წინად ზედამხედველმა სცემა ერთ
„პარაშნიკს“, რემელმაც უცაბედად „ბორში“ გადაასხა ახალ
მუნდირზე. ვასილიევი გამოეჭკომა „პარაშნიკსა“ და სთქვა,
ისეთი კანონი არ არსებობს, რომ ტუსაღებსა სცემოთო. „მე
შენ გიჩვენებ კანონსაო“, — უთხრა ზედამხედველმა და კარგები
შეუკუროთხა. ვასილიევმაც სამაგიერო უთხრა. ზედამხედველს
უნდოდა ეცემნა, მაგრამ ვასილიევი, ეცა და ხელები დაუჭირა,
შემდეგ შემოაბრუნა და გარედ გამოაგდო. ზედამხედველმა
უფროსთან უჩივლა და უფროსის ბრძანებით ვასილიევი კარ-
ცერში ჩააგდეს.

კარცერები პატარა, ბნელი, ნოტიო და მყრალი ოთა-
ხები იყო; გარედან რკინის ურდულითა და მაგარის კლიტით
ჰკეტავდნენ. ამ ბნელს, ციესა და მყრალს კარცერში არც
მაგიდა იდგა, არც ტახტი და არც სკამი, რომ ჩამომჯდა-
რიყვნენ ან წამოწოლილიყვნენ, ასე რომ, შიგ დამწყვდეუ-
ლი ან ფეხზედ უნდა მდგარიყო დანიშნულ დრომდე, ან
მყრალსა და ბინძურს იატაკზედ უნდა დაწოლილიყო, სადაც
ვირთაგვების შიშით მუდამ ფხიზლიდ უნდა ყოფილიყო, თო-
რემ იმდენზე წათამამებულნი იყვნენ, რომ აღამიანს პირდაპირ
ხელიდან სტაკებდნენ პურსა. ვასილიევმა მტკიცე უარი განა-
ცხადა კარცერში დაჯდომაზე, რადგან თავს უდანაშაულოდა
სთვლიდა. ზედამხედველებმა ძალათი წაათრისს. ვასილიევიც
ძალას დაადგა და უნდოდა ხელიდან დასხლტომოდა ზედამხე-
დველთ. ვასილიევს ორი ტუსალი მიემზრო და ამნაირად თავი
დააღწია ზედამხედველთ. შეგროვდნენ ზედამხედველნი და
მათთან ერთად თავისის ღონით შესანიშნავი პეტროვიც, გაჰ-
ფანტეს ტუსალთა ბრბო და ვასილიევს, მის მომხრეებთან ერ-



თად, ძალით უკრეს თავი კარცერში. მაშინვე აცნობეს ბერნატორს, რომ რალაც „ბუნტის“ მსგავსი მოხდაო. ბერნატორმა ფიცხელი განკარგულება მოახდინა და აცნობა სატუსალოს მთავრობას, რომ უმთავრესნი დამნაშავენი—ვასილიევი და მაწანწალა ნებომნიაშჩევი—გაეროზებათ; თვითოეულს გადაუწყვიტეს ოცდა ათი როზგი.

დასჯა ქალების მნახველთა ოთახში უნდა მომხდარიყო.

ეს ამბავი საღამოდანვე სატუსალოს ყველა კუნძულებში იცოდნენ და ამის გამო კამერებში გაცხარებული სჯა-ბაასი ჰქონდათ.

კარაბლიოვისა, ხოროშავკა, თეოდოსია და მასლოვის ქალი მიმჯდარიყვნენ კუთხეში და არყისაგან პირ-წამოქარხალებულნი (არაყი ახლა გამოუღვეველად ჰქონდა კატოს და ყველას უმასპინძლდებოდა) ჩაის შეექცეოდნენ და ამ ახალ ამბის შესახებ გაცხარებული კამათი ჰქონდათ.

— განა ვასილიევი გაქირვეულდა? — ამბობდა კარაბლიოვისა და თან თავის მაგარის კბილებით ახრამუნებდა შაქრის ნატებს: — მხოლოდ ამხანაგს გამოეჭომაგა, სხვა არაფერი!

— ამბობენ, კარგი ყმაწვილიაო, — დაუმატა თეოდოსიამ, რომელიც ტახტის ახლოს შეშის ნაკერზე წამოჯდარიყო და ისე შეექცეოდა ჩაის.

— კარგია, იმას რომ ეტყოდე მიხაილოვნაე, — უთხრა რკინის გზის დარაჯმა ქალმა კატოს. რკინის გზის დარაჯ ქალს ეგონა, ლაპარაკი ნებლიუდოვზე იყო.

— ვეტყვი! ის ყველაფერს ამისრულებს, — ღიმილით უპასუხა კატომ.

— კი, მაგრამ ტუსალების მოსაყვანად უკვე გაუგზავნიათ და ახლავე დასჯიან, — სთქვა თეოდოსიამ და დაუმატა: — საშინელებაა!

— მინახავს სასოფლო სამმართველოში როგორ უწყალოდ სცემეს ერთ გლეხს, რომელმაც სიმამრს გამოეგზავნა სასოფლო-



სამმართველოში ზამისახლისთან. მიეყვინა და ის იყო... დაიწყო რკინის გზის დარაჯმა ქალმა გრძელი ამბავი... ერთბაშად ზედა სართულის კარიდორში რაღაც ხმაურობა ისტყდა. დარაჯმა ქალმა ლაპარაკი შესწყვიტა. ყველამ სული განაბა.

— წაქციეს წყეულებმა, — სთქვა ხოროშევამ, — გასთეთქვავენ ახლა საწყლებს. ზედამხედველნი ძალიან გაჯაგრებულნი არიან ვასილიევზედ, რადგან იგი ხელს უშლის მათს ნაფარდობას.

ზევით ხმაურობა შესწყდა. დარაჯმა ქალმა დაათვათათვისი ამბავი. თვოდოსიამ ჩაის ჭურჭელი ააღაგა. კარაბლიოვამა და დარაჯმა ქალმა საკერავს მიჰყვეს ხელი. მასლოვის ქალი კი მუხლებზე დაეყრდნო და ჩაფიქრდა. ის იყო კიდევ ჩასთვლიმა, რომ ზედამხედველმა ქალმა გამოუძახა, კანტორაში გეძახიან, შენს სანახავად ვილაც მოსულაო.

— უგებელად უთხარი რამე ჩვენს შესახებ, ეუბნებოდა მასლოვის ქალს ბებერი დედაკაცი მენშოვისა იმ დროს, როდესაც კატო სარკესთან იდგა და თავსახვევს ისწორებდა. — არ დაგავიწყდეს, რომ თვითონ იმ ავაზაკმა დასწვა და არა ჩვენ... ამას მოჯამაგირეც იტყვის. უთხარი, მიტროს დაუძახოს და ყველაფერს დაწვრილებით ეტყვის. აბა, ეს რასაჰგავს, შენი ჭირიმე, ჩაგვამწყვდიეს ოთხ კედელ შუა და რამდენი ხანია, მზის სხივიც არ დაგვინახავს; ავაზაკი კი თავისუფლად დაპარპაშობს, აუყვანია სხვისი ცოლი ხასად და სამიკიტნოში ზის.

— ეგ დიდი უსამართლობაა, — დაემოწმა კარაბლიოვისა.

— ვეტყვი, უგებელად ვეტყვი! — უპასუხა მასლოვის ქალმა. — კარგია, ცოტა არაყი რომ გადაეჭკრა, უფრო თამამად ვიქნები, — სთქვა მან და კარაბლიოვას თვალი იყო.

კარაბლიოვისამ დაუსხა ნახევარი ფინჯანი. კატომ გადაჭკრა, მოიწმინდა ტუჩები და მხიარულის სახით გაჰყვა ზედამხედველ ქალს.

XLV



ქართველთა
წიგნების კავშირი

ნებლიუდოვი დიდხანს იღგა დერეფანში და უცდიდა, როდის გამოვა ზედამხედველიო. ბოლოს ზარის წკარუნზე გამოვიდა მორიგი ზედამხედველი და ნებლიუდოვმა გარდისცა შესვლის ნება-რთვის ბარათი.

— ვინა გნებავთ?

— ტუსაღ მასლოვის ქალის ნახვა მინდა.

— ახლა არ შეიძლება—უფროსს არა სცალიან.

— კანტორაშია?—ჰკითხა ნებლიუდოვმა.

— არა, აქ, მნახველთა მისაღებ ოთახშია, —უპასუხა ზედამხედველმა და, როგორც ნებლიუდოვმა შეატყო, ფერი ეცვალა.

— განა დღეს იღებენ მნახველებს?

— არა, რალაც განსაკუთრებული საქმე აქვს, —უპასუხა ზედამხედველმა.

— როგორ მოვახერხო მისა ნახვა?

— აი, საცაა გამოვა და უთხარით, დაიცადეთ.

ამ დროს განის კარებიდგან გამოვიდა გრძელ უღვაშე-ბიანი ფელთფებელი და შრისხანე კილოთი მიუბრუნდა ზედანხედველს.

— რად შემოუშვით აქ?... კანტორაში...

— მითხრეს, უფროსი აქ არისო, —უთხრა ნებლიუდოვმა და საშინლად გაუკვირდა ფელთფებელის ასეთი აღელვება.

ამ დროს გაიღო შიგნითა კარები და გამოვიდა პეტროვი, რომელიც საშინლად ჰქშინავდა და მთლად გაოფლიანებულიყო.

— სიკვდილამდე არ დაივიწყებს, —სთქვა პეტროვმა და ფელთფებელს მიუბრუნდა.

ფელთფებელმა თვალთ ანიშნა ნებლიუდოვზე. პეტროვი უცბად გაჩერდა და გავიდა უკანა კარებში.

„ვის არ დაავიწყდება? რად არიან ყველანი ასე აღელ-



ვებულნი? რა ანიშნა ფელთფებელმა პეტროვს? — ნებლიუდოვი.

— არ შეიძლება აქ დაცდა. კანტორაში მიბრძანდით, — მიჰმართა ფელთფებელმა ნებლიუდოვს; ის იყო ნებლიუდოვმა დააპირა წასვლა, რომ კარები გაიღო და იქიდან გამოვიდა თავის ხელქვეითებზედ მეტად აღელვებული სატუსალოს უფროსი. საშინლად ჰქლოწინობდა; დაინახა თუ არა ნებლიუდოვი, ზედამხედველს მიუბრუნდა.

— ფიოდოტოვ! მასლოვის ქალს დაუძახე კანტორაში, ქალების მეხუთე კამერიდან, — უხრა თავის ხელქვეითს.

— მიბრძანდით, — მიჰმართა მან ნებლიუდოვს.

ორივენი შევიდნენ ერთს ვიწყო ოთახში, სადაც პეტარა საწერი მაგიდა და რამდენიმე სკამი იდგა. უფროსი დაჯდა.

— უნდა მოგახსენოთ, რომ მძიმე მოვალეობაა ჩემი თანამდებობა, — უთხრა ნებლიუდოვს და პაპიროსს მოუკიდა.

— ალბად დაიღალეთ, — მიუგო ნებლიუხოვმა.

— დიად, დამიღალა სამსახურმა... ძალიან ძნელი მოვალეობაა... გინდა ცოტათი საბრალოებს ტვირთი შეუმსუბუქო და უარესი გამოდის; მხოლოდ იმაზედ-ლა ვფიქრობ, როგორ დავაღწიო ამ გარემოებას თავი და მოვისვენო. მძიმე, ძლიერ მძიმე მოვალეობა მაწევს კისრად.

ნებლიუდოვი ძლიერ გააოცა სატუსალოს უფროსის ასეთმა ჩივილმა სამსახურზე, მაგრამ მისმა საცოდავმა სახის გამომეტყველებამ გულში სიბრალოული აღიჭრდა.

— დიად, მგეც ასე მგონია, რომ ძალიან მძიმე თანამდებობაა, — სთქვა ნებლიუდოვმა, — მაგრამ ვინ გატანთ ძალას, რატომ ასრულებთ ამ თანამდებობას? დაანებეთ თაიი!...

— საშუალება არა მაქვს, ოჯახი...

— კარგი მაგრამ თუ კი გეძნელებათ...

— უნდა გითხრათ, რომ შეძლებისა და გვარად სარგებლობაც მომაქვს. რამდენიც შემიძლიან, შელავათს ვაძლევს. ვინმე რომ ყოფილიყო ჩემს ალაგას, სულ სხვაფრივ წა-



იყვანდა საქმეს. განა აღვილია 2,000 ტუსალის მოვლა? და მერე როგორის ტუსაღებებისა? უნდა იცოდეთ, როგორ არაა არათ; ისინიც ხომ აღამიანები არიან; გეცოდება... გაათამამებ და არც ეს ვარგა. — უფროსმა უამბო ნებლიუდოვს ტუსაღების ჩხუბის ამბავი, რომელიც კაცის კვლით გათავდა.

ამ დროს კარები გაიღო და შემოვიდა ზედამხედველი, რომელსაც შემოჰყვა ქალი. ის თამამად მოჰყვებოდა ზედამხედველს, მხიარულად იღიმებოდა და თავს უქნევდა ნებლიუდოვს. მოჰკრა თუ არა თვალი უფროსს, უცბად შეჰკრთა, მაგრამ ჩქარა ისევ გონს მოვიდა და მხიარულიდ მიჰმართა ნებლიუდოვს.

— გამარჯობათ, — უთხრა მან გაკიანურებულის ხმით, გაულიმა და მაგრად ხელი ჩამოართვა.

• — თხოვნა მოგიტანეთ ხელ-მოსაწერად, — უთხრა ნებლიუდოვმა და საშინლად გაუკვირდა მასლოვის ქალის დღევანდელი არა ჩვეულებრივი მხიარულება. — ვეჭილმა შეადგინა თხოვნა, ხელი უნდა მოაწეროთ და მე გავგზავნი პეტერბურგს...

— რატომაც არა, შეიძლება მოწერა. ყველაფერი შეიძლება, — სოქვა მასლოვამ, აღმაცერად გადაჰხედა ნებლიუდოვს და გაიღიმა.

ნებლიუდოვი მივიდა მაგიდასთან და ჯიბიდან დაკეცილი ქალაღლი ამოიღო.

• — შეიძლება აქ მოაწეროს? — დაეკითხა უფროსს.

— მოდი აქ, დაჯექი, — მიმართა უფროსმა მასლოვის ქალსა, — აი კალამი. წერა იცი?

— ოდესღაც ვიცოდი, — უბასუხა მასლოვის ქალმა, მიუჯდა მაგიდას, აიღო კალამი და ღიმილით გადაჰხედა ნებლიუდოვს.

მასლოვამ დიდის გულმოდგინებით მოაწერა თავისი სახელი და გვარი.

— სხვა ხომ არაფერი უნდა? — ჰკითხა ნებლიუდოვს.



— მინდა გითხრა რამე, — უთხრა ნებლიუდოვმა და ქალამი გამოართვა.

— აბა, სთქვით, — უთხრა მასლოვის ქალმა და უცბად სერიოზული სახე მიიღო.

სატუსალოს უფროსი წამოდგა და გავიდა. ნებლიუდოვი და მასლოვის ქალი მარტო დარჩნენ.

XLVI

ზედამხედველი, რომელმაც მასლოვის ქალი შემოიყვანა, შორი-ახლოს ჩამოჯდა სარკმლის თამჩაზე. ნებლიუდოვისთვის დადგა საბედის-წერო წუთი. უსაყვედურებდა თავის თავს, რომ პირველ ნახეაზედვე ვერ უთხრა უმთავრესი — ის, რომ ცოლად შეერთავდა, და ახლა გადასწყვიტა უეჭველად ეთქვა ესა.

ჩამოჯდა მაგიდის მეორე მხარეს, მასლოვის ქალის პირდაპირ. ოთახი ძალიან ნათელი იყო და ნებლიუდოვმა პირველად შეპნიშნა მასლოვის ქალს ტუჩებისა და შესუჭმულ თვალების გარშემო ნაოქი და წინანდელზე უფრო მეტად შეეცოდა.

ნებლიუდოვს უნდოდა ისე ელაპარაკნა, რომ ზედამხედველს არაფერი გაეგო და იდაყვებით მაგიდას დაეყრდნო.

— თუ ამ თხოვნამ არ გასჭრა, უმაღლეს სახელობაზე მივართვათ თხოვნა. რაც-კი შესაძლებელია, ყველაფერს მოვიქმედებ...

— როგორმე ჯერ კარგ ვექილს რომ ვიშოვნოდე... — გააწყვეტინა მასლოვის ქალმა, — თორემ ის ჩემი ვექილი მტკნარი სულელი იყო. სულ კომპლიმენტებს მეუბნებოდა, — სიცილით წარმოსთქვა.

— მაშინ რომ სცოდნოდათ, რომ თქვენი ნაცნობი ვიყავი, სულ სხვა საქმე იქნებოდა. თორემ რა გამოვიდა? ასე ჰგონიათ, ყველა ქურდები ვიყოთ, — განაგრძო კატომ.

„საკვირველია სწორედ ამისი ღღევანდელი ქცევა“, — გაიფიქრა ნებლიუდოვმა და ის იყო ლაპარაკი დააპირა, რომ ისევ მასლოვის ქალმა დაიწყო.



— იცით, რა უნდა ვითხრათ: ჩვენთან არის ერთი ბებერი დედაკაცი. სამაგალითო დედაკაცია და სულ უბრალოა ზის სატუსაღოში თავის შვილით. თუმცა ყველამ იცის, რომ უბრალოა, მაგრამ მაინც აბრალებენ სახლს ცეცხლი წაუკიდაო. ამ ბებერმა დედაკაცმა გაიგო, რომ მე თქვენ გიცნობთ, — უთხრა მასლოვის ქალმა ნებლიუდოვს თავის ქნევით, — და მთხოვა მეთქვა თქვენთვის, მისი შვილი ნახოთ და ის გეტყვიოთ დაწვრილებით ყველაფერს. მათი გვარი მენშოვია, რას იზამთ? სამაგალითო ბებერია და უდანაშაულოდ კი ზის. გაისარჯეთ, გეთაყვა, იქნება გააკეთოთ რამე, — უთხრა მან და ტკბილად გაუღიმა.

— კარგი, გავიგებ ყველაფერს, — უთხრა ნებლიუდოვმა და თან უფრო და უფრო განცვიფრებაში მოდიოდა მისის დღევანდელის ლაპარაკით, — მაგრამ მე დღეს თქვენის საქმის შესახებ მინდოდა მელაპარაკნა. ვახსოვთ, რა გითხარით მაშინ?

— თქვენ მაშინ ბებერი ილაპარაკეთ. რა სთქვით? — ჰკითხა და კიდევ უფრო გაიღიმა და თავის ქნევა დაიწყო.

— მე ვსთქვი, რომ მოგვდი თქვენთან პატიება გთხოვოთ მეთქი.

— აბა, ეგ რასა ჰგავს: სულ მაპატიე და მაპატიე! რა საქირია ეგა... უმჯობესია თქვენ...

— რათა გავასწორო ჩემი დანაშაული არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც, — განაგრძო ნებლიუდოვმა, — გადავსწვებოთ თქვენი ცოლად შერთვა.

მასლოვის ქალი უცხად საშინლად შეჰკრთა, მის სახეზე უზომო შიში გამოიხატა და თვალეები გიჟივით დააბრიალა.

— ეგ რაღა ფიქრი მოგსვლიათ? — ზიზღით წარმოსთქვა მან.

— ვგრძნობ, რომ ღვთის წინაშე მოვალე ვარ ასე მოვიქცე.

— რომელი ღმერთი გამოგიჩნდა? ახლა? ღმერთი? რომელი ღმერთი? სად იყო მაშინ ღმერთი? რატომ მაშინ არ მოიგონეთ? — მრისხანედ წარმოსთქვა მასლოვის ქალმა და გაჩერდა.

ნებლიუღოვმა მხოლოდ ახლა იგრძნო საშინელი სურნი არყისა, რომელიც მასლოვის ქალს ამოსდიოდა. მიხვდა მის აღელვების მიზეზს.

— დამშვიდდით, — სთქვა მან.

— საჭირო არ არის ჩემთვის დამშვიდება. თქვენა გგონიათ, ვითომ მთვრალი ვარ? შეიძლება მთვრალიც ვიყო, მაგრამ კარგად ვიცი, რასაც ვლაპარაკობ, — აჩქარებით წაილაპარაკა მასლოვის ქალმა და საშინლად გაწითლდა. — მე საკატორღე ვარ, თქვენ კი თავადი ზრძანდებით და ჩემთან არაფერი საერთო არა გაქვთ. მიბრძანდით თქვენს კნინა-კნიატნებთან.

— რაც უნდა მკაცრად მომექცეთ და რაც უნდასთქვათ, არ შეგიძლიანთ იმისი თქმა, რასაც მე ახლა ვგრძნობ, — ყრუდ უთხრა ნებლიუღოვმა: — ვერ წარმოიდგენთ, რამდენად დანაშაულად ვგრძნობ თავს თქვენს წინაშე...

— „დანაშაულად ვგრძნობ!“ — ზიზღით გააჯაერა მასლოვამ, — მაშინ რატომ არაფერი იგრძენით, როცა ფეხქვეშ გასთელეთ ჩემი პატიოსნება და ასეთის შეცდომის გამოსასყიდლად ითუშნინა ქალაღი ჩამიდეთ ხელში? სად იყო მაშინ თქვენი გრძნობა?! ეძინა?! აი, ეგა ხართ, იი!...

— ვიცი, ვიცი, მაგრამ, აბა, ახლა რაღას ვუშველით წარსულსა, — უთხრა ნებლიუღოვმა, — ახლა გადაწყვეტილი მაქვს, ყოველივე ღონე ვიხმარო და დაგიხსნა ამ ვაჭივრებიდან, და ავასრულებ კიდევ ჩემს სურვილს.

— მე ვამბობ, რომ ვერაფერს ვერ აასრულებთ, — წაილაპარაკა მასლოვის ქალმა და ხმა-მალლა გაადიხარხარა.

— კატო!

— გასწი, გამშორდი! მე საკატორღე ვარ, თქვენ კი თავადი და არაფერი საერთო არა გაქვთ ჩემთან! — საშინლად შეუმაღლა ხმა მასლოვის ქალმა და გაბრაზებულმა წამოიწია. — შენ ჩემით გინდა იხსნა თავი? — განაგრძო სხაპა-სხუპით, — შენ ჩემით დასტკბი ამ ქვეყნად და ახლა იმ ქვეყანასაც ჩემით გინდა იხსნა თავი?! მეზიზღები მაგ შენის სათვალეებიან და მაგ



მსუქან, გახრწნილ სახიანად. გასწი, გასწი! — საშინლად შესაძახა მან და მზნელ წამოვარდა ზეზე.

— შენ ეი, რა ამბავში ხარ? — დაუყვირა ზედამხედველმა და მიუახლოვდა, — როგორ შეიძლება?

— დაანებეთ თავი, ვეთაყვა, — უთხრა ნეხლიუდოვმა ზედამხედველს.

ზედამხედველი ისევ სარკმელისაკენ გაბრუნდა.

მასლოვის ქალი ისევ დაჯდა, თავი ჩაპლუნა და მეტის სიბრაზით თითს იმტვრევდა.

ნეხლიუდოვი იდგა და არ იცოდა რა ექნა.

— არა გჯერა ჩემი სიტყვები? — შეგეკითხა ქალს.

— რა სიტყვებში? ის, რომ ცოლად უნდა შემირთო? იცოდე, რომ ეგ არასოდეს არ იქნება. უმაღლეს ჩამოვიღრჩობ, გესმის თუ არა?

— მე მაინც გემსახურები.

— ეგ კი საკუთარი შენი საქმეა. მხოლოდ ამას გეტყვით, რომ ბქვენი არაფერი არ მინდა. მართალს გეუბნებით. რატომ არ მოგვკვდი, რატომ, იმ დღეს?! — დაუმატა მან და გულამოსკენით დაიწყო ტირილი.

ნეხლიუდოვმა მეტის მღელვარებით ხმა ვეღარ ამოიღო, ცოტა ხნის შემდეგ მასლოვის ქალმა თავი მაღლა აიღო, შეეხებდა ნეხლიუდოვს და ხელსახოცით ცრემლებს წმენდა დაიწყო.

— ეხლა აღელვებული ხარ და, თუ შეიძლება, ხვალ მოვალ, კარგად დაფიქრდით, — უთხრა ნეხლიუდოვმა.

მასლოვის ქალმა ხმა არ გასცა და არც კი შეუხებდნია, ისე გაჰყვა ზედამხედველს.

— აბა, გოგო, ახლა რაღა გიჭირს, კარგად წავა შენი საქმე, — უთხრა კარაბლიოვამ მასლოვის ქალს, როცა კამერაში დაბრუნდა, — ეტყობა, ძალიან მოგიხიბლავს, რომ ასე ხშირ-



ხშირად დადის შენთან; მარჯვედ იყავი. გამოგიხსნის, მდიდარი
კაცებს ყვალათფერი შეუძლიანთ.

— ეს როგორ არის,—გალობის ხმით დაიწყო რკინის
გზის დარაჯმა ქალმა,—რომ ღარიბი ირთავს ცოლს და უბე-
დურია, მდიდარი კი, რასაც მოინდომებს, ყველაფერს აისრუ-
ლებს. ჩვენ, ჩემო მშენეიერო, ისეთი პატროსანი...

მასლოვის ქალს არავისთვის ხმა არ გაუცია. შემ ისვლი-
სათანავე წამოწვა ტახტზე და მწარე ფიქრებმა შეიპყრო. ახლა
დიდს სულიერს ბრძოლაში იყო. ნებლიუდოვის სიტყვები იწ-
ვევდა იმ საზოგადოებაში დასაბრუნებლად, სადაც იმდენი
იტანჯა და რომელიც მეტად შეეზიზლა. არც გაუცვნია კარ-
გად ის საზოგადოება და ისე მიატოვა. ახლა იცოდა ცხოვ-
რების ყველა კუნჭულები და ამიტომ იმ საზოგადოებაში ცხოვ-
რება ძალიან მძიმე იყო მისთვის. საღამოზედ კიდევ იყიდა
არაყი და თავის ამხანაგ ქალებთან ერთად ლაზათიანად გა-
დაჰკრა.

XLVII

„მაშ აგრე, ვგ არის რალა?“—პფიქრობდა ნებლიუდოვი,
როცა სატუსალოდგან გამოვიდა. აშკარად იგრძნო ეხლა, თუ
რა საზიზღარი საქმე მოიქმედა. იგრძნო და მოინდომა თა-
ვისის ცოდვების გამოსყიდვა. მხოლოდ ახლა ჩაუკვირდა თავის
მოქმედებას და მწარე ტკივილები იგრძნო. წინად ნებლიუდო-
ვი აინუნშიაც არ იგდებდა ამ ამბავს და ახლა კი, როდესაც
აშკარად დაინახა თავის საზიზღარ მოქმედების შედეგი, თავზარი
დაეცა. ვერ გამოერკვია, როგორ მოქცეულიყო ამ შემთხვე-
ვაში: დავიწყნა ყველაფერი, თავი მიენებებინა მასლოვის ქა-
ლისთვის და უპატრონოდ დაგდო, შეუძლებელი იყო; გა-
ნეგრძო თავისის აზრის სისრულეში მოყვანა და—არ იცოდა,
რა შედეგი მოჰყვებოდა ამგვარს საქმეს და გამოურკვეველს
მდგომარეობაში იყო.

ის იყო კარებიდგან გამოვიდა ნებლიუდოვი, რომ ვი-



ლამაც ბარათი მისცა ხელში. გამოვიდა თუ არა სატუსალო-
დგან, ნებლიუდოვმა მაშინვე წაიკითხა წერილი. წერილში
ეწერა:

„გავიგე, რომ ერთ ტუსალ ქალთან დადიხართ სატუსა-
ლოში. ძალიანა მსურს თქვენი ნახვა. ითხოვეთ ნება მოგცენ
ჩემის ნახვისა. ნებას მოგცემენ და მე ბევრ საქირო ცნობას გა-
დმოგცემთ თქვენის ნაცნობისა და პოლიტიკურ დამნაშავეთა
შესახებ. ვერა ბოგოდუხოვსკაია“.

„ბოგოდუხოვსკაია“? ვინ არის „ბოგოდუხოვსკაია“? — ვფი-
ქრობდა ნებლიუდოვი და ისე გაეტაცნა მასლოვის ქალის ლა-
პარაკით გამოწვეულ ფიქრებს, რომ ვერას გზით ვერ გაეხსე-
ნებინა წერილის ავტორი. „ჰოა! — უბაღ მოაგონდა, — დიაკ-
ვნის ქალი, დათვებზე ნადირობის დროს გაცნობილი“.

ვერა ბოგოდუხოვსკაია იყო ნოვგოროდის გუბერნიის
ერთ მიყრუებულ სოფლის მასწავლებლად, სადაც ერთხელ
შეიარა ნებლიუდოვმა თავის ამხანაგებით დათვებზე ნადირო-
ბის დროს. მასწავლებელმა ქალმა ფულით შემწეობა სთხოვა
ნებლიუდოვს კურსებზე წასასვლელად. ნებლიუდოვმა მისცა
ფული და შემდეგ ერთხელაც კი არ გაჰხსენებია ეს ამბავი.
ახლა, როგორც აღმოჩნდა, ეს ქალი სატუსალოში იჯდა, პო-
ლიტიკური დამნაშავე იყო და, რაკი ვაიგო ნებლიუდოვის
ამბავი, უნდოდა სამსახური გაეწეა მისთვის. ნებლიუდოვმა
სიამოვნებით მოიგონა ის დრო, როდესაც ბოგოდუხოვსკაია
გაიცნო: ეს იყო ყველიერის წინად, ნების კვირას. ერთ მი-
ყრუებულ სოფელში, სადაც ბედნიერის ნადირობის შემდეგ
მონადირენი სადილს შეექცეოდნენ, შემოვიდა მათთან საბლის
პატრონი და უთხრა, დიაკვნის ქალი მოვიდა და თავადის ნე-
ბლიუდოვის ნახვ უნდაო.

— ლამაზია? — იკითხა ვილამაც.

— კარგი, თუ ღმერთი გწამს, რა დროს მისხრობაა, —
სთქვა ნებლიუდოვმა და გავიდა დიასახლისის ოთახში დიაკვნის
ქალის სანახავად.



ოთახში დახვდა გამზდარი ულამაზო ქალი, რომელიც სხვა მხოლოდ მაყვალისთვის შავი თვალები ამშვენებდა.

— აი, ვერა ეფრემოვნა, მოილაპარაკეთ, — სთქვა დიასახლისმა, — ეს არის თავადი, მე კი გავალ.

— რით შემოძლიან გემსახუროთ, — ჰკითხა ნებლიუდოვმა.

— მე... მე... როგორც ჰხედავთ... თქვენ მდიდარი ბრძანდებით, სულ უბრალო რამეზე ჰთანტაუთ ფულს, მე ვიცი, — დარცხვენით დაიწყო ქალმა, — მხოლოდ ერთი რამ მინდა, მინდა ხალხს სარგებლობა მოეუტანო და არაფერი კი არ შემოძლიან, რადგან არაფერი არ ვიცი.

— მე რა შემოძლიან, მერე?

— მასწავლებელი ქალი ვარ. მინდოდა უმაღლეს კურსზე წავსულიყავ და არ მიშვებენ... არ მიშვებენ კი არა, მიშვებენ, მაგრამ საშუალება არ არის. მომეცით, გავათავებ კურსებს და გადავიხდით.

ისეთის სათნო სახითა და მუდარებით უმზერდა ნებლიუდოვს, რომ სიბრაღული აღუძრა გულში.

— მდიდარი ხალხი ნადირობს დათევებზე და აქეიფებს გლეხებს; მგონია, ეგ ვერ არის მაინცა და მაინც კარგი. რატომ არ უნდა ჰქნათ კეთილი საქმე? მხოლოდ 80 მ. მინდა. უარს იტყვიან და — ჩემთვის სულ ერთია, — წყენით წარმოსთქვა, რადგან ნებლიუდოვის დაშტერებით ყურებამ და სასტიკმა სახემ დაარწმუნა, რომ მისგან ხეირი არ იქნებოდა.

— კიდევ მაღლობელი ვარ თქვენი, რომ მომეცით შემთხვევა...

როცა ქალმა შეატყო, რომ ნებლიუდოვი თანახმა იყო, გაწითლდა და დაჩუმდა.

— ახლავე მოგართმევთ, — უთხრა ნებლიუდოვმა.

ნებლიუდოვი გამოვიდა დერეფანში და იქვე შეეხება ამხანაგს, რომელიც მათს ლაპარაკს ყურს უვდებდა. ნებლიუდოვს ყურადღებაც არ მიუქცევია მისთვის, ამოიღო ფული და მიუტანა ბოგოდუხოვსკაიას.



— თუ ხათრი გაქვთ, თუ ხათრი გაქვთ, ნუ მიხდით მადლობას. მე თვითონ მადლობელი ვარ თქვენი.

ნებლიუდოვს ძალიან სისიამოვნოდ დაურჩა ყველა ამის მოგონება. მოაგონდა ერთ ამხანაგ აფიცურთან მომხდარი ჩხუბი, რომელმაც მისს ამ მოქმედებას სულ სხვა ხასიათი მისცა. ნადირობამ ძალიან მხიარულად ჩაიარა და ნასიამოვნები დაბრუნდნენ ღამით რკინის გზის სადგურზე.

ნებლიუდოვს მოაგონდა ყოველივე ესა, წარმოიდგინა მაშინდელი თავისი ახალგაზღვრა და გული ეტკინა. „ფილტვები ძალზე გვებერება და ხარბად სუნთქავ ცივისა და წმინდა ჰაერს, პირისახეზე ფიფქი თოვლი დაგდის და სიცივისაგან ლოყები აგტკეცია: გულში არაფრის დარდი. არის ერთი სიცილ-ხარხარი. ამხანაგებთან ერთად მისრიალებ მარხილითა თოვლიან ტრიალ მინდორზე. ოჰ, რა სისიამოვნო იყო! ოჰ, რასა ჰგონობს მაშინ ადამიანის უღარდელი გული. ღმერთო ჩემო! ყველა ეს როგორ გაჰქრა და წავიდა. რა ძნელი მოსაგონებელია ყოველივე ის, რაც ნათლად გიხატავს შენს ახალგაზღვრებას, იმ დროს, როდესაც უკვე დაუძლურებული, დაკნინებული და დახურდაგებული ხარ“.

XLVIII

როცა მეორე დღით ნებლიუდოვმა გაიღვიძა და მოიგონა გუშინდელი ამბავი, თავზარი დაეცა, მაგრამ მაინც გადასწყვიტა; უფრო ბეჯითად მოჰკიდებდა საქმეს და სისრულეში მოყვანა თავისი განზრახვა.

საჩქაროდ წამოდგა და გასწია გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელ მასლენნიკოვთან, რათა გამოეთხოვა ნება, რომ მასლოვის ქალის გარდა ბებერ დედაკაცი მენშოვისა და ბოგოდუხოვსკის ქალიც ენახა, რომელსაც, შესაძლო იყო, დახმარება გაეწია მასლოვისათვის.

ნებლიუდოვი დიდი ხანია იცნობდა მასლენნიკოვს, როცა იგი ჯარში მსახურებდა. მასლენნიკოვი მეტად გულ-კეთილი



ადამიანი იყო და თავის მოვალეობას წესიერად ასრულებდა. გარდა თავის სამსახურისა, არაფერი არ იცოდნენ. ხელიუღოვი იმ დროს შეხვდა, როცა ჯარში სამსახური გუბერნატორობაზედ გაეცვალა და ადმინისტრატორობისათვის მიეყო ხელი. მასლენნიკოვს ერთის მდიდარ კაცის ქალი ჰყავდა ცოლად, რომლის წყალობითაც მიატოვა სამხედრო სამსახური და გადავიდა სამოქალაქოში.

ცოლი ისე აღოლიანებდა მასლენნიკოვს, როგორც პატარა ბავშვს. ერთხელ გასულ ზამთარს მათთან იყო ნებლიუღოვი, მაგრამ ისე მკრთალად ეჩვენა მათი ცალ-ქმრობა, რომ მას შემდეგ ერთხელაც აღარ გაუქაქანებია იქ.

ღაინახა თუ არა ნებლიუღოვი, მასლენნიკოვს მეტის სიამოვნებისაგან სახე გაუბრწყინდა. მასლენნიკოვი ისეთისავე შეხედულობისა იყო, როგორც წინად: ჩასუქებული კისერი და გაქრულილებული პირისახე ჰქონდა. ჯარში სამსახურის დროს მუდამ უკანასკნელს მოდაზედ შეკერილ სამხედრო მუნდირში იყო გამოწყობილი და ახლა კი უკანასკნელს მოდაზედ შეკერილი სტატსკურ ტანსაცმელში. ამ ჟამად ვიცმუნდირი ეცვა. თუმცა ხნიანი კაცი იყო (მასლენნიკოვი 40 წლისა იქნებოდა), მაგრამ შენობით ლაპარაკობდნენ.

— ძალიან მოხარული ვარ, რომ მოხვედნი; აბა, წავიდეთ ჩემ ცოლთან. მე თითქმის ათი წუთი მაქვს თავისუფალი სხდომის დაწყებამდე. პრინციპალი აქ არ არის და ახლა მე განვადგებ გუბერნიას, — სიამოვნებითა სთქვა მასლენნიკოვმა და სახეზედ ღიმილი დაეტყო.

— შენთან საქმე მაქვს.

— რა ამბავია? — უცბად, თითქმის შეშინებულისა და მკეაბე კილოთი, უთხრა მასლენნიკოვმა.

— სატუსალოში ზის ერთი ადამიანი, რომელიც მე ძლიერ მაინტერესებს (სატუსალოს ხსენებაზედ მასლენნიკოვმა კიდევ უფრო მრისხანე გამომეტყველება მიიღო); მინდა მისი ნახვა საზოგადო ოთახში კი არა, არამედ კანტორაში და, რაც



შეიძლება, ხშირ-ხშირად. როგორც მითხრეს, ეს თქვენთვის
თურმე დამოკიდებული.

— რასაკვირველია, მეგობარო, მე მზადა ვარ ყველა-
ფერში დაგეხმარო, — უთხრა მასლენნიკოვმა და ორივე ხელები
მუხლებზე დაადვა, — შეიძლება, მაგრამ საქმე ის არის, რომ მე
დროებითა ვარ ამ თანამდებობაზე და, შესაძლოა, ერთის სა-
ათის შემდეგ კიდევ ჩამოშორდები.

— მაშ შეგიძლიანთ მომცეთ ქალაქი, რომ შემეძლოს
იმ ტუსალის ნახვა?

— ქალია?

— დიალ!

— რაზედაა დაპატიმრებული?

— მოწამლვის თაობაზედ, მაგრამ უსამართლოდ გადა-
წყვეტიეს.

— ესეც შენი მართლ-მსაჯულება! ვიცი, რომ არ დამეთან-
ხმებით, მაგრამ რა გქნათ. C'est mon opinion bien arrefee, —
დაუმატა მასლენნიკოვმა ის ფრაზა, რომელიც რამდენჯერმე
ამოგეთხა ერთს რეტროგრადიულსა და კონსერვატიულს გა-
ზეთში: — ვიცი, რომ შენ ლიბერალი ხარ...

— არ ვიცი, ლიბერალი ვარ თუ სხვა რამე, — ლიმილით
უთხრა ნეხლიუდოვმა, — რომელსაც მუდამ უკვირდა, რომ რაღაც
დასის მომხრე კაცადა სთვლიდნენ და ლიბერალს ეძახდნენ
მხოლოდ იმიტომ, რომ ამ აზრის მიმდევარი იყო: სასა-
მართლოს წინაშე ყველა თანასწორი უნდა იყოსო. ადამიანის
წვალება უსამართლობაა, მეტადრე, თუ უდანაშაულოაო. —
არ ვიცი, ლიბერალი ვარ თუ არა, მაგრამ ეს კი ვიცი, რომ
აბლანდელი სასამართლოა, რაც უნდა იყოს, წინანდელს მაინცა
სჯობიან.

I ეინ აიყვანე ვეჭილად?

I ფანარინი.

— ოჰ, ფანარინი! — წყენით წამოიძახა მასლენნიკოვმა
და მოაგონდა, რომ ეს ფანარინი შარშან, როდესაც დაბარე-



ბული ვიყავ სასამართლოში მოწმედ, ყველაფერს ვიხსენებდი კილოთი მეკითხებოდა და შემდეგ ზრდილობისად მისმარებდ მოგდებდაო.— ჩემის მზრით, არ გირჩევთ ფანარინთან რაიმე საქმის დაქერას. მეტად უზრდელი კაცია.

— კიდევ მაქვს შენთან სათხოვარი,— უთხრა ნებლიულოვმა,— დიდი ხანია ვიცნობდი ერთ მასწავლებელ ქალს. ახლა ისიც სატუსალოშია და ჩემი ნახვა უნდა. შეგიძლიან მისის ნახვის ნება მომცე?

მასლენნიკოვმა ცოტათი თავი გაიქნია და დაფიქრდა.

— პოლიტიკური დამნაშავეა?

— დიალ, აგრე მითხრეს.

— როგორც ჰხედავ, პოლიტიკურ დამნაშავეთა ნახვა შშობლებს გარდა არავის არ შეუძლიან, მაგრამ მოგცემ ნებას საზოგადო ოთახში ინახულო; რა ჰქვიან შენს ნაცნობს? ბოგოდუხოვსკაია? Elle est solie?

— Nideme!

მასლენნიკოვმა უქმაყოფილების ნიშნად თავი გაიქნია, მივიდა მაგიდასთან და გარკვეულის ასოებით შემდეგი დასწერა: „ამ ბარათის წარმომდგენელს, თავადს დიმიტრი ივანეს ძეს ნებლიულოვს, ვაძლევ ნებას სატუსალოს კანტორაში ინახულოს სატუსალოში მყოფი მდაბიო მოქალაქე ეკატერინე მასლოვის ქალი და მასწავლებელი ქალი ბოგოდუხოვსკაია“. გაათავა და ხელი მოაწერა.

— აი, შენ თვითონ ნახავ, რა წეს-წყობილებაა იქ. თუმცა წესიერების დაცვა იქ ყოველად შეუძლებელია, რადგან სატუსალო მთლად სავსეა ტუსალებით, მაგრამ მე მაინც სასტიკად ვადევნებ თვალ-ყურს ყველაფერს და მიყვარს წესიერება. შენის თვალით დარწმუნდები, თუ როგორ კმაყოფილია იქ ყველა დაროგორსცხოვრობენ. საჭიროა მხოლოდ იცოდეს კაცმა, როგორ უნდა მოექცე ტუსაღთ. ამ დღეებში ერთი უსიამოვნება მოჰხდა სატუსალოში. ჩვენს აღგიღზედ სხვა ამ ამბავს არეულობის ხასიათს მისცემდა და ბევრს გააუბედურებდა; ჩვენ



კი მშვენიერად გავარიგეთ საქმე. საქიროა ერთის მზრუნველობა და მეორეს მხრით—სასტიკი მთავრობა,—და მასლენნიკოვმა მუშტი მოიღერა.—მზრუნველობა და სასტიკი მთავრობა, დიად!

— არ ვიცი, —სთქვა ნებლიუდოვმა, —ორჯერ ვიყავი სატუსალოში და თიანჭის აუტანელი შეიქმნა ჩემთვის იქ გაჩერება.

— იცი რა? შენ უნდა ინახულო გრაფინია პასეკი, — განაგრძო მასლენნიკოვმა, რაკი ლაპარაკის მადაზედ მოვიდა. — ის მთელს ძალ-ღონეს ამ საქმეს სწირავს. სიმართლე უნდა ესთქვა, ვგონებ მეც მისის წყალობით მოვახდინე ასეთი ცვლილება, რომლის შემდეგაც ისეთი საშიში ამბავი აღარ მოახდება, როგორც წინად იყო ხოლმე, და თვითონ ტუსაღნიც კარგს მდგომარეობაში არიან. ამაში შენც დარწმუნდები. აი, ფანარინი!... მე პირადად არ ვიცნობ და ჩვენს შორის თუმცა დიდი განსხვავებაა, მაგრამ საძაგელი კაცია და თანაც სასამართლოში ისეთს რასმე იტყვის, რომ...

— მაშ, ნახვამდის, გმადლობთ! — უთხრა ნებლიუდოვმა აიღო ქალაღლი და ბოლომდე ყური არ უგდია ლაპარაკისათვის, ისე გამოეთხოვა თავის ძველს ამხანაგს.

— ჩემ კოლთან არ შეხვალ?

— არა, ბოღიშს ვიხდი, მაგრამ ეხლა არა მცალიან.

— ეგ როგორ შეიძლება, ამას არ მაპატიებს! — უთხრა მასლენნიკოვმა და კიბის პირველ საფეხურამდე მიაცილა ნებლიუდოვი, როგორც მეორე ხარისხის პატივსაცემი ადამიანი, — არა, თუ ხატრი გაქვთ, ერთ წუთს მაინც შემოდით.

მაგრამ ნებლიუდოვი ცივს უარზედ იდგა, გადაიკვა პალტო და გავიდა ქუჩაში.

— აბა, მაშ ხუთშაბათს მოდი, თუ ხატრი გაქვს; ჩემი კოლი ხუთშაბათობით იღებს სტუმრებს. მე ვეტყვი, — გამოსაძახა კიბიღდან მასლენნიკოვმა.



XLIX

იმამე დღეს მასლენნიკოვიდან ნებლიუდოვი პირდაპირ სატუსალოსკენ წაეიდა. სატუსალოში მისვლისათანავე უფროსის ბინისაკენ გაემართა. ეხლაც, როგორც წინად, ფორტოპიანოს ხმა ისმოდა, მაგრამ ეხლა კლემენტის გტიულდს უკრავდნენ წინანდებურად ძლიერად და გარკვევით. გამოვიდა თვალშებვეული მოსამსახურე გოგო და უთხრა ნებლიუდოვს, კაპიტანი სახლში არის და სასტუმრო ოთახში დაუცადეთო. ჩქარა უფროსიც გამოვიდა.

— უმორჩილესად ვთხოვთ, რა გნებაეთ?—უთხრა ნებლიუდოვს და მუნდირის შუა ღილი შეისკვნა.

— ვიცე-გუბერნატორთან ვიყავი და აი ნებართვის ბარათი,—უთხრა ნებლიუდოვმა და გადასცა ბარათი:—მასლოვის ქალის ნახვა მინდა.

— მარკოვის ქალისა?—დაეკითხა სატუსალოს უფროსი, რადგან მუსიკის ხმაურობის გამო კარგად ვერ გაიგონა.

— მასლოვის ქალი!

— კარგი, კარგი!

სატუსალოს უფროსი წამოდგა და მივიდა კარებთან, საიდანაც ფორტოპიანოს ხმა ისმოდა.

— მარუსია! ცოტა ხანს მაინც გაჩერდი, გეთაყვა, არაფერი არ ისმის.

ფორტოპიანოს ხმა მისწყდა. მოისმა უკმაყოფილო ფეხის ხმა და ვიღამაც კარებში შემოიჭვრიტა.

სატუსალოს უფროსმა, თითქოს მუსიკის შეწყვეტით დიდი შეღავათი იგრძნო, ამოიღო მსხვილი პაპიროსი და გულიანად მოსწია. მიაწოდა ნებლიუდოვსაც, მაგრამ უარი მიიღო.

— მასლოვის ქალი...

— მასლოვის ქალის ნახვა ახლა მოუხერხებელია,—უთხრა სატუსალოს უფროსმა.

— რატომ?

— იმიტომ, რომ თქვენ თვითონა ხართ დამნაშავე, —ლი



მილითა სთქვა უფროსმა:—რად აძლევთ, თავადო, ფულს? თუ გნებავთ, მე ვაღმომეცით. თორემ გუშინ თქვენ ფულს მიგვცაოთ და არაყი ეშოვნა. ვერას გზით ვერ მოვსპე ეს ბოროტება! დღეს დალია და ისე დაითრო, რომ ამ ქვეყნისა ალარაფერი გავგება!..

— რას ამბობთ? ეგ როგორ შეიძლება?!

— როგორ არა, მერწმუნეთ! იძულებული გავხდი სასტიკი ღონისძიებანი მიმელო... ცალკე კამერაში ვადავიყვანე. ძალიან წყნარი ქალია, მაგრამ თუ დაითრო—თქვენი მტერი! თუ ხათრი გაქვთ, ფულს ნუ მისცემთ. აქ ისეთი ხალხია, რომ...

ნებლიუდღვს შოაგონდა გუშინდელი იმბავი და შეკრთა.

— პოლიტიკური დამნაშავე ბოგოდუხოვსკაია შეიძლება ვნახო?— ჰკითხა ნებლიუდღვმა ცოტა სიჩუმის შემდეგ.

— შეიძლება!— უპასუხა სატუსალოს უფროსმა.— ეი, რას აკეთებ მანდ?— დაუძახა უფროსმა პატარა გოგონას, რომელიც თვალ-გაშტერებით მისჩერებოდა ნებლიუდღვს და ისე მიდიოდა მამისკენ.— ფრთხილად, თორემ წაიქცევი, — უთხრა მამამ, როცა ბავშვმა ხალიჩას ფეხი წამოსდო და წაიბორძიკა.

— მაშ, თუ შეიძლება, წავალ?

— როგორ არა, შეიძლება, — უთხრა უფროსმა და ბავშვი გულში ჩაიკრა. — მობრძანდით...

უფროსი ადგა, წყნარად მოიშორა ბავშვი და გავიდა წინა ოთახში.

ჯერ კიდევ არ ჩაეცვა პალტა, რომელიც თვალშებვეულომა მოსამსახურე გოგომ მიაწოდა, რომ ისევ გაისმა ფორტოპიანოს გრილი.

— კონსერვატორიაში სწავლობდა, მაგრამ იქ ახლა არეულობაა. დიდი ნიჭი აქვს, — სთქვა სატუსალოს უფროსმა, როცა კიბეზე ჩადიოდა: — კონცერტში უნდა მიიღოს მონაწილეობა.

ნებლიუდღვი და უფროსი მიუახლიედნენ სატუსალოს კარებს, რომელიც სწრაფად გააღეს. ზედამხედველნი მოწიწებით გამოეჯგვიმნენ და თვალი გააყოლეს უფროსს, კარებთან შეხე-



დათ ოთხი კაცი, ნახევრად თავმოპარსულნი, რომელთაც კლასრებით რაღაც მიჰქონდათ. უფროსის დანახევაზე ეჩინა მკერდნი და საცოდავად მოიკუნტნენ ერთ ალაგას. ერთი მათგანი უფრო მოიხარა, მოიქუშა და შავი თვალები ცეცხლივით დაანთო.

— რასაკვირველია, როცა ნიჭი გაქვს, უნდა განავითარო, მაგრამ მაგარი ის არის, რომ გარემოება ხელს გიშლის, და ეს კი ძალიან ცუდია...—სთქვა უფროსმა, ყურადღება არ მიუქცევია ტუსალებისათვის და წელის ნაბიჯით შევიდა მისაღებ ოთახში.

— ვისი ნახეა გსურთ?—ჰკითხა უფროსმა.

— ბოგოდუხოვსკაიასი, მასწავლებელ ქალისა.

— ცოტა უნდა დაიცადოთ.

— მაშ, რაკი აგრეა, თუ შეიძლება, ტუსალი მენშოვი მაჩვენეთ. დედა-შვილი, რომელნიც ცეცხლის წაკიდებისათვის არიან დაპატიმრებულნი.

— მე-21 კამერიდგან? რატომ არა, შეიძლება!

— არ შეიძლება კამერაში ვნახო?

— მისაღებ ოთახში უფრო თავისუფლად შეგიძლიანთ ლაპარაკი.

— არა, მე იქ მირჩევნია ვნახო.

— ძალიან საყურადღებოა კია, სწორედ!—ღიმილითა სთქვა სატუსალოს უფროსმა.

ამ დროს განის კარებიდგან გამოვიდა სატუსალოს უფროსის თანაშემწე, კოხტა აფიცერი.

— წაიყვანეთ თავადი მენშოვის კამერაში, მე-21 კამერაში,—უთხრა სატუსალოს უფროსმა თავის თანაშემწეს,—და შემდეგ კანტორაში მე გამოვუძახებ იმას...რა ჰქვიან?

— ვერა ბოგოდუხოვსკაია,—უპასუხა ნებლიუდოვმა.

უფროსის თანაშემწე ახალგაზდა, უღვაშ-გაწყვიპინებული აფიცერი იყო და ისე გატყნთილიყო სხვა-და-სხვა სუნნელე-ბით, რომ მეტი არ შეიძლებოდა. სადაც კი შევიდოდა, ისეთ სუნს დააყენებდა, რომ თავ-ბრუს დაასხამდა ადამიანს.



— მობრძანდით! — მიჰმართა თანაშემწემ ალერსიანს, რომელიც მილით ნებლიუდოვს: — ჩვენის დაწესებულების ნახვა რეგულარული რესებათ?

— დიალ, მინტერესება იმ კაცის ნახვა, რომელიც, როგორც ამბობენ, უდანაშაულოდ ჩავარდნილა აქ.

თანაშემწემ მხრები აიწია.

— დიალ! ეს ხშირად ჰხდება, — უთხრა თანაშემწემ და ზრდილობიანად წინ გაუშვა ნებლიუდოვი მყრალ კარიდორში: — ისიც მოხდება ხოლმე, რომ ისინიცა სტყუიან... მობრძანდით.

კამერების კარები ღია იყო და ზოგიერთი ტუსაღები კარიდორში იდგნენ. თანაშემწემ ცოტათი თავი დაუქანა ზედამხედველს, გადაჰხედა ტუსაღებს, რომელნიც ზოგი საცოდავად მიკუნტულიყო და ზოგიც ჯარისკაცივით გამოქიმულიყო, და გაიყვანა ნებლიუდოვი ჯერ ერთ კარიდორში, შემდეგ კი მეორეში.

ეს კარიდორი პირველზე უფრო მყრალი და ბნელი იყო. ორსავე მხრიდან კარები ჰქონდა და რკინის ურდულეებით იყო დაკეტილი. კარებზე ორი პატარა, თვალის ოდენა ჯუჭურუტანა იყო გამოჭრილი გასახედავად. კარიდორში არავინ იყო, გარდა მოხუც ზედამხედველისა.

— რომელ კამერაშია მენშოვი? — დაეკითხა თანაშემწე ზედამხედველს.

— მერვეში, მარცხნივ, თქვენო კეთილშობილებავ!

— ამ კამერაში არის ვინმე? — დაეკითხა ნებლიუდოვი.

— ყველაში არის, გარდა ერთისა.

L

— შეიძლება შევიტყვიტო? — დაეკითხა ნებლიუდოვი თანაშემწეს.

— დიდის სიამოვნებით, ინებებთ, — სიამოვნების ღიმილით უთხრა თანაშემწემ და ზედამხედველს დაუწყო ლაპარაკი. ნებლიუდოვმა შეიხედა ერთ კამერაში კარებზე გამოჭრილ



პატარა სარკმლიდგან, იქ ახალგაზდა შე-წვერა კვეციუ ჭეჭვირებით სცემდა ბოლთას. გაიგონა თუ არა ფეხის ხმა, განწყობდა მოიხედა კარებისაკენ, კოპები შეიკრა და ისევ განაგრძო ბოლთის ცემა.

ნებლიუდოვმა შეიხედა მეორეში. მისი თვალები მეორე დიდრონ შეშინებულ თვალებს შეხვდა, რომელიც სარკმლიდან იჭვრიტებოდა; ნებლიუდოვი საჩქაროდ მოეცალა. მესამე კამერაში ნებლიუდოვმა დაინახა ტახტზე მძინარე პატარა კაცი, რომელსაც თავი ხალათით წაეხვია. მეოთხეში დაინახა ფერ-მიხდლილი გამხარი კაცი, რომელიც ღრმად ჩაუიქრებული იჯდა. გაიგონა თუ არა ფეხის ხმა, სწრაფად წამოხტა და გამოიხედა; მთელ მისს პირისახეზე, და უფრო კი თვალებში, საშიშარი ტანჯვა და უიმედობა იხატებოდა. უთუოდ არ ეინტერესებოდა, ვინ იყურებოდა კამერაში. ვისაც უნდა შეეხედნა, სულ ერთი იყო მისთვის, რადგან არავისგან კარგს არას მოელოდა. ამ სანახაობამ ნებლიუდოვს თავზარი დასცა. დაანება კამერებში მზერას თავი და მივიდა მე-21 კამერასთან, სადაც მენშოვი იჯდა. ზედამხედველმა კარები გააღო. ტახტის ახლო იდგა გრძელ-კისერა, კეთილის სახის ახალგაზდა და შეშინებულის სახით მისჩერებოდა შემომსვლელთ და აჩქარებით ხალათს იცვამდა.

— აი, ამ ბატონს სურს შენის საქმის შესახებ მოგელაპარაკოს.

— უმდაბლეს მადლობას გწირავთ.

— დიად, მიაშვს თქვენის საქმის გარემოება, — უთხრა ნებლიუდოვმა, გაიხმო და სარკმელთან გაჩერდა, — მინდოდა თერთან თქვენგან გამეგო დაწვრილებით ყველაფერი.

მენშოვი მიუახლოვდა ნებლიუდოვს და მაშინვე მოუყვა თავის ამბავს, ჯერ მოკრძალებით და მერე უფრო გაბედვით. როცა თანაშემწე გავიდა კამერიდან რალაც ბრძანების მისაცემად, მენშოვი მთლად გათამამდა. ნებლიუდოვი ყურს უგდებდა გლეხს და თან გულმოდგინედ ათვალიერებდა დაბალ



ტახტს, რკინებიან სარკმელს, შეთხუპნილ ნესტიან ცეცხლს და საცოდავ სახეს უბედურის გლახისას, რომელიც ტუნის ტანსაცმელს სულ დაესახიჩრებინა. ნებლიუდოვი საშინლად დაღონდა, არ უნდოდა დაეჯერებინა, რომ რასაც ეს გულწრფელი ადამიანი ეუბნებოდა, სიმართლე იყო. გლებმა უამბო: ცოლი წამართვეს; ვეძებდი სამართალს, მაგრამ ყველგან უარს მეუბნებოდნენო. ერთხელ ძალიათი წამოვიყვანე ცოლი, მაგრამ ისევ უკანვე გამეჭკა. წივედი და მოვსთხოვე წამეყვანს ზემი ცოლი, მაგრამ იმან მიპასუხა, შენი ცოლი აქ არ არისო. არ წამოვედი. მომიხიეს ბიჭები და იმდენი მცემეს, რომ სულ სისხლი მარწყევინეს. მეორე დღეს ჩემის მეტოქის სახლს ცეცხლი გაუჩნდა. ცეცხლის გაჩენა მე და დედაჩემს დაგვაბრალეს, თუმცა უდანაშაულონი ვიყავით და იმ დროს ნათლიისას ვისხედით, როცა ცეცხლი გაჩნდა.

— მართლა შენ არ წაგიკიდებია ცეცხლი?

— ფიქრადაც არ მომსვლია, ბატონო. იქნება თვითონ დასწვა იმ აეაზაკმა. ამბობენ, დაზღვეული ჰქონდაო. ბრალიკი ჩვენ დაგვედვა, გვემუქრებოდაო. მართლაც, იმ დღეს გულმა აღარ მომიტოვინა და კარგად მივლანძლე, მაგრამ დაწვით კი არ დამიწვავს. არც კი ვიყავით იქ ცეცხლის გაჩენის დროს. განგებ მოახერხა იმ დღეს, როცა დედასთან ერთად ვიყავი სხვაგან. თვითონ დასწვა, რომ ფული აეღო და ჩვენ კი დაგვაბრალა.

— ნუ თუ მართლა?

— ღმერთი, რჯული, სიმართლეს მოგახსენებთ, ბატონო! მიშველეთ, ბატონო, — უნდოდა მუხლი მოედრიკნა ნებლიუდოვის წინაშე, მაგრამ ნებლიუდოვმა ნება არ მისცა. — როგორც ჰხედავთ, ასეა ჩვენი საქმე და ასე უდანაშაულოდ კი ვიტანჯებით, — განაგრძო მან, უცბად ტუჩები აუთრთოლდა და მდულარე კრემლები წასქდა თვალთავან.

— გაათავეთ? — შეეკითხა უფროსი.

— ღიად!



— ნუ სწუხართ, რაც შემიძლიან, ვეცდები, თქვენს საქმე გავაკეთო, — უთხრა ნებლიუდოვმა და გამოვიდა ისევ იდგა, როცა ნებლიუდოვი გამოვიდა. ზედამხედველმა კარები მიხურა. მენშოვი ქუჩკიან პერანგის სახელოთი ცრემლებს იწმენდა.

LI

უკან დაბრუნებისას, დიდ კარიდორში გავლის დროს (სადილობის დრო იყო და კარები ყველა ღია იყო), ნაცრის ფერ ხალათიანი და ვანიერ შარვლებიანი ტუსალები ცნობის მოყვარეობით ათვალიერებდნენ ნებლიუდოვს და ამიტომ ისე უხერხულად ჰგრძნობდა თავს და ისეთი სიბრალოლი აღეძრა ამ ხალხის მიმართ, რომ თითქმის კიდევ შერცხვა, ასე დამშვიდებით რად ვუყურებო.

ერთ კარიდორში ვიღამაც გაიბინა და კოთხუჯებით დაუწყო ერთ კამერის კარზე ბრახუნი. იქიდან გამოვიდნენ ტუსალები, გადაუდგნენ გზაში ნებლიუდოვს და მდაბლად თავი დაუკრეს.

— უბრძანეთ, თქვენო კეთილშობილებავ... არ ვიცით, რა გიწოდოთ, — ბოლო მოულონ როგორმე ჩვენს საქმეს.

— მე უფროსი არა ვარ, არაფერი არ ვიცი.

— სულ ერთია, — უთხარით უფროსს — მოისმა დრტვინვის ხმა, — არაფერში დამნაშავე არა ვართ და ორი თვეა ვიტანჯებით.

— როგორ, რისთვის? — გაოცებით ჰკითხა ნებლიუდოვმა.

— ისე, რომ ჩაგვაშწყვდიეს სატუსალოში და ორი თვეა ვზივართ, არ ვიცით კი რისთვის.

— მართლაც ეს ასე მოჰხდა ერთ არა ჩვეულებრივ შემთხვევის გამო, — სთქვა თანაშემწემ: — ეს ხალხი უპასპორტობისათვის დაიჭირეს და თავიანთ გუბერნიებში უნდა გაეგზავნათ, მაგრამ იქ სატუსალო დამწვარა და იქაურმა მმართველობამ გვაცნობა, რომ ტუსალების გაგზავნა შეგვეჩერებინა. ჩვენც,



ვინც სხვა გუბერნიებისა იყო, ყველა გავგზავნეთ და ამით კი ამდენი ხანია აქ ვაჩერებთ ამ მიზეზის გამო.

— რას ამბობთ? განა მარტო ამ მიზეზის გამო იჭერთ ამდენს ხანს?—გაოცებით ჰკითხა ნებლიუდოვმა და კარებში გაჩერდა.

ტუსაღები, 40 კაცამდე, გარს შემოგზავნიდნენ ნებლიუდოვსა და თანაშემწეს და ერთი მეორეს აღარ აცდიდნენ ლაპარაკს. თანაშემწემ, როგორც იქმნა, დააჩუბა.

— ერთმა ილაპარაკოს, ყველანი ნუ დავდავობთ.

გამოცალკევდა ასე 50 წლის გლეხი. გარკვევით აუხსნა ნებლიუდოვს, რომ უპასპორტობის გამო დაგვიჭირესო. პასპორტი თუმცა გვექონდა, მაგრამ ორის კვირის წინად ვადა გასედოლა; წინადაც ხშირად ხდებოდა ასეთი ამბავი, რომ პასპორტებს ვადა გასდიოდა, მაგრამ ხმასაც არავინ გვეცემდა, და ახლა კი ყველას სატუსაღოში გვაკვრევენეს თავი და ორი თვეა საშინლად ვიტანჯებითო.

ჩვენ ყველანი კალატოზები ვართ, ერთის არტელისა. ამბობენ, გუბერნიაში სატუსაღო დაიწვიაო. მერე და რა ჩვენი ბრალია, იქ რომ სატუსაღო დაიწვას? მოიღეთ მოწყალება, გვიშველეთ რამე.

ნებლიუდოვი ყურს უგდებდა, მაგრამ არაფერი არ ესმოდა გლეხის ლაპარაკისა, რადგან მთელი მისი გონება მიქცეული იყო ვეებერთელა, ნაცრისფერ, მრავალფერ მკებნარისაყენ, რომელიც არხეინად დასეირნობდა გლეხის წვერში.

— დაუჯერებელი ამბავია! ნუ თუ მართლა მარტო ამ უბრალო მიზეზის გამო ატანჯებოდა ეს ხალხი?— ჰკითხა ნებლიუდოვმა თანაშემწეს.

— დიად, უნდა თავიანთ ქვეყანაში გაიგზავნონ, საცხოვრებელ ბინაზე, — სთქვა თანაშემწემ.

ამ დროს ტუსაღებიდან გამოვიდა დაბალის ტანის კაცი და აჩქარებით ლაპარაკი დაიწყო, აქ საშინლად გვტანჯავენო.

— ძაღლებზე უარესად... — დაიწყო მან.



— შენ ეი, ბევრს ნუ ყბედლობ, თორემ ხომ ეგეტყუებოდა

— რა უნდა ვიცოდეთ, — განწირულის ხმით წარმოასმენს ქონდრის კაცმა, — ვითომ ჩვენ რაში ვართ დამნაშავენი?

— დაჩუმდი! — დაუღრიალა უფროსმა და ჯუჯა კაციც უცხად ჩაჩუმდა.

„ეს რა ამბავია?“ — გაიფიქრა ნებლიუდოვმა, როცა კამერიდან გამოვიდა.

— ნუ თუ მართლა ასე სრულიად უდანაშაულო კაცებს ამწყვდევენ სატუსალოში? — ჰკითხა ნებლიუდოვმა თანაშემწეს.

— რას იზამთ? უნდა იცოდეთ, რომ ბევრსაც სტყუიან ეგენი. მაგათ რომ ყური დაუგდოთ, გამოვა, რომ ყველანი უდანაშაულონი არიან, — უთხრა თანაშემწემ, — ესეც ხშირად მოჰხდება ხოლმე, რომ სრულიად უდანაშაულო ზის სატუსალოში.

— დიად, მაგრამ ესენი ხომ არაფერში დამნაშავენი არ არიან?

— ესენი, მართლაც, დამნაშავენი არ არიან, მაგრამ ძალიან ცუდი ხალხი კია... სასტიკად თუ არ მოექცევი, ისე მაგათთან ვერას გააწყობს კაცი. ზოგნი ისეთი ჯიუტები არიან, რომ თქვენი მოწონებილი! აი, გუშინ, იძულებული შევიქცენით ორი მათგანი დაგვესაჯა.

— როგორ თუ დაგვესაჯათ? — ჰკითხა ნებლიუდოვმა.

— როზგებით... გავროზგეთ მოწერილობის ძალით...

— ფიზიკურად დასჯა ხომ კანონით აღკრძალულია უკვე?

— კი, მაგრამ უფლება ჩამორთმეულთათვის კი არა. მათი დასჯა შეიძლება.

ნებლიუდოვმა გაიხსენა გუშინდელი ამბავი, როცა დერეფანში იცდიდა, და მიჰხვდა, რომ სწორედ იმ დროს მოჰხდა ტუსადების დასჯაო და ძალიან დანაღვლიანდა.

თანაშემწესთვის ყურადღება არ მიუქცევია, საჩქაროდ გამოვიდა კარიდორიდან და ვასწია კანტორისაკენ. უფროსი კარიდორში იდგა და, დაინახა თუ არა ნებლიუდოვი, მოაგონდა, რომ ბოგოდუხოვსკაიასთვის უნდა დაეძახნა.



— ახლავე დაკაძახებინებ და მანამდე-კი აქ დაბრძანდით, სთხოვა მან ნებლიუღოვს.

1939-16/1133

LII

კანტორა ორის ოთახისგან შესდგებოდა. პირველ ოთახის ერთ კუთხეში იდგა ტუსაღების სიმაღლის გასაზომი, მეორე კუთხეში ხატი ეკიდა. ამ ოთახში იდგა რამდენიმე ზედამხედველი. მეორე ოთახში ისხდნენ ოცამდე ქალი და კაცი და ხმა-დაბლა ლაპარაკობდნენ. სარკმელთან საწერი მაგიდა იდგა.

უფროსი მიუჯდა მაგიდას და სთხოვა ნებლიუღოვს დამჯდარიყო იქვე სკამზედ. ნებლიუღოვი დაჯდა და ოთახში მყოფ ხალხს დაუწყა თვალიერება.

პირველად ნებლიუღოვის ყურადღება მიიპყრო სასიამოვნო სახის ახალგაზდა კაცმა, რომელსაც მოკლე კურტკა ეცვა და რალაზედაც გაცხარებით ებაასებოდა მის წინ მჯდომ ტუსაღ კაცს. მათ გასწვრივ იჯდა მოხუცი კაცი მწვეანე სათვალეებით და გულმოდგინედ ყურს უგდებდა ახალგაზდა ქალს, რომელიც რალასაც უამბობდა. მოხუცს შეშინებული მისჩგრებოდა ყმაწვილი რეალისტი. მათ შორი-ახლოს ისხდნენ შეყვარებულნი: ახალგაზდა, სიმპატიურის სახისა, ქერა, თმა-შეკრეკილი ქალი და ნაზის სახის პატრონი, მოგრძო თმიანი კაცი, ტუსაღის ხალათში განწყობილი მიკუნჭულიყენენ ერთ კუთხეში და სიყვარულით მთვრალნი წყნარად ჩურჩულდებდნენ. ყველაზე ახლო მაგიდასთან იჯდა შავებში ჩაცმული დედაკაცი. თვალ-დამტერებით მისჩგრებოდა ქლეჭიანის სახის ახალგაზდა კაცს და რალაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ცრემლები აღრჩობდა, დაიწყებდა თუ არა, მაშინვე გაჩერდებოდა. ახალგაზდა კაცს მოუსვენრობა ეტყობოდა და მეტის მღელვარებით ქალაღდს ქმუჭნიდა ხელში, თითქოს ამაზედ უნდა ჯაგრი ამოიყაროსო. მათ ახლო იჯდა თეთრ-ყორმიზი ახალგაზდა ქალი ნაცრის ფერ ტანსაცმელით. ის იჯდამტირალ დედის ახლო და აღერსიანად მხრებზედ ხელს უსვამდა. ყველაფრით მშვენიერი



იყო ეს ქალი, მაგრამ ყველაზედ უმშვენიერესი წარმტაცი მისი მშვენიერი ქრელი, პატარა კეთილი თვალები იყო. შემოვიდა თუ არა ნებლიუდოვი, დაანება თავი დედის მზერას და მისი თვალები ნებლიუდოვის თვალებს შეჰხვდა, მაგრამ უცბად მიბრუნდა და დედას დაუწყო ლაპარაკი. შეყვარებულთა ახლო იჯდა ძონძებში გახვეული კაცი და გაჯავრებით რალსაც ელაპარაკებოდა უწვერო კაცს. ნებლიუდოვი დაჯდა უფროსის გვერდით და ცნობის მოყვარეობით დაიწყო თავის გარშემო ყურება. ამ მდგომარეობიდან გამოიყვანა პატარა თმა-გაკრეჭალმა ბავშვმა, რომელიც მივიდა მასთან და ჰკითხა.

— ვის უცდით?

ნებლიუდოვი გაოცდა ამ კითხვაზედ, მაგრამ როცა შეჰხვდა ბავშვს და დაინახა მისი დაფიქრებული სახე, დაფიქრებითვე უპასუხა, ნაცნობ ქალს ვუცდითო.

— თქვენი და არის?—ჰკითხა ბავშვმა.

— არა, და არ არის,—უპასუხა გაკვირვებით ნებლიუდოვმა.—შენ ვისთანა ხარ აქა?—ჰკითხა ბავშვს.

— დედასთანა ვარ. პოლიტიკური დამნაშავეა,—უთხრა ბავშვმა.

— მარია პავლოვნა! წაიყვანეთ ბავშვი,—უთხრა უფროსმა, რომელმაც აღბად უკანონოდ დასახა ბავშვის ნებლიუდოვთან ლაპარაკი.

მარია პავლოვნა იყო თვით ის ახალგაზდა ლამაზი ქალი, რომელმაც ნებლიუდოვის ყურადღება მიიპყრო; ის წამოდგა და გაბედვით მივიდა ნებლიუდოვთან.

— რას გეკითხებათ ბავშვი? ვინა ხართ თქვენ?—ჰკითხა მან ნებლიუდოვს და ისეთ ნაირად გაიღიმა თავის მშვენიერის ტუჩებით, რომ ნებლიუდოვს ეტევი არა ჰქონდა, ეს ქალი მუდამ უბრალოდ და მშურისსიყვარულით ეგებებოდა ყველასო:—ყველაფრის გაგება სურს,—სთქვა მან და ისეთის აღერისი-



ნობით გაუღიმა ბავშვს, რომ ნებლიუდოვმაც და ძალაუნებურად გაიღიმეს.

— დიად, მე შეკითხებოდა ვისთან მოხვედრო.

— მარია პაელოვნა! თქვენც კარგად იცით, რომ უფროსთან ლაპარაკი არ შეიძლება, — უთხრა უფროსმა.

— კარგი, კარგი, — უბასუხა მან უფროსს. ჩაპკიდა ბავშვს ხელი და მივიდა ქლეჭიან კაცს დედასთან.

— ვისია ეს ბავშვი? — ჰკითხა ნებლიუდოვმა უფროსს.

— ერთ პოლიტიკურ დამნაშავე ქალისა; აქ დაიბადა, სატუსალოში.

— მართლა?

— დიად. ეხლა ცამბირში მიდის დედასთან ერთად.

— ეს ქალი ვილაა?

— არ შემიძლიან ვითხრათ, — უთხრა უფროსმა და მხრები შეეშეშა. — აი ბოგოდუხოვსკაიც.

LIII

უკანა კარებიდგან რხევითა და რყევით გამოვიდა პატარა ტანის, თმა-შეკრეპილი, გამხდარი ვერა ეფრემოვნა, თავის დიდრონის კეთილის თვალებით.

— დიად გამდლობთ, რომ მოხვედით, — უთხრა მან ნებლიუდოვს და მაგრად ხელი ჩამოართვა. — გაგახსენდით? დავსხდეთ.

— ვერ წარმოვიდგენდი, თუ ამ მდგომარეობაში გნახავდით.

— მშვენიერადა ვარ; ისე კარგად, ისე კარგად, რომ უკეთესიც არ შეიძლება... — ამბობდა ვერა ეფრემოვნა და, როგორც ყოველთვის, შემკრთალივით უმზერდა ნებლიუდოვს თავის დიდრონ კეთილის თვალებით.

ნებლიუდოვმა გამოჰკითხა დაპატიმრების მიზეზები. ვერა ეფრემოვნამ დიდის სიხარულით უამბო ყველაფერი. მისი გაქიანურებული ლაპარაკი მთლად აპრელებული იყო სხვა-და-



სხვა უცხო სიტყვით; ხშირად ისმოდა: პროპაგანდა, დემოკრატი-
განიზაცია, ჯგუფ-გუნდნი, სექციები და პოდსექციები და სხვადასხვა
დარწმუნებული იყო, ყველამ იცის ეს სიტყვებიო, მაგრამ ნე-
ხლიუდოვს კი თავის დღეშიაც არ გაეგონა.

იმ აზრით უამბობდა ასე ხალხსით, რომ დარწმუნებული
იყო, ნეხლიუდოვს საინტერესოდ უნდა ჰქონდეს ეს ამბებიო
და სასიამოვნო იქნება მისთვის ამისი მოსმენაო. ნეხლი-
უდოვი გაშტერებით უმზერდა მისს საცოდავად გაწვრილებულ
კისერს, აბურძღნულ თხელ თმებს და ვერ გამოერკვია, რამ
აიძულა ვერა ეფრემოვნა ასეთი საქმე ჩაედინაო. შეებრაღა ნე-
ხლიუდოვს, მაგრამ ისე კი არა, როგორც გლეხი მენშოვი თა-
ვის გამხდარ თეთრის ხელებით, რომელიც სრულიად უდანა-
შაულოდ იტანჯებოდა, არამედ ისე, როგორც გზა-დაბნეული
ადამიანი, რაღაც უმნიშვნელო იდეების წყალობით ასე სა-
სტიკად ტანჯული. შეებრაღა იმიტომ, რომ ატყობდა რა
არეულ-დარეულობაც სუფევდა იმის გონებაში. იმას-კი გვირად
შოჰქონდა თავი და ისე აჩვენებდა თავს ნეხლიუდოვს, თითქო
მთელი ქვეყანა გადაუბრუნებიაო. ესევე შეჰნიშნა ნეხლიუ-
დოვმა ზოგიერთ სხვადაც იქ მყოფთა შორის. მისმა შემოსვლამ
მიიქცია მათი ყურადღება და ისინიც ცოტა სხვაფრივ იქცე-
ოდნენ; ეს აშკარად შეამჩნია ნეხლიუდოვმა ახალგაზდა კაცს,
რომელსაც გუტაპერჩის კურტკა ეცვა, ტუსალის ხალათში
გამოწყობილს ქალს და შეყვარებულ ახალგაზდებსაც. არათერი
ამისთანა არ ემჩნეოდათ მხოლოდ ქლეკიანს, ლამაზ კრელ-
თვალა ქალსა და ძონძებში გამომხვეულს კაცს, რომელიც წვერ-
მოპარსულს ელაპარაკებოდა.

ვერა ეფრემოვნას უნდა ელაპარაკნა იმაზედ, რომ ერთი
მისი ამხანაგი ქალი, გვარად შუსტოვა, რომელიც მათს დასს
არც კი ეკუთვნოდა, დაატუსაღეს მხოლოდ იმისთვის, რომ გაჩ-
ხრეკის დროს უპოვნეს აღკრძალული წიგნები, შესანახად მიცემუ-
ლი. ვერა ეფრემოვნას თავისი თავი მიაჩნდა ცოტად თუ ბევრად
ღამნაშავედ ამ ამბავში და ემუდარებოდა ნეხლიუდოვს, როგორც



ძღვეა-მოსილთა ნაცნობს, მოეხერხებინა რამე და გაენთავისუფლებინა.

ვერა ეფრემოვნამ უამბო თავისი ამბავიკა. საბებიო კურსების გათავების შემდეგ ერთ გუნდში მოვეყვი; პირველში კარგად მიდიოდა საქმე, მაგრამ შემდეგ დაიჭირეს ერთი, წაიღეს ქაღალდები და შემდეგ ყველას მოგვისვეს ხელიო.

— დამიჭირეს მეცა და აი ეხლა მგზავნიან, — დაასრულა მან თავისი ამბავი; — მაგრამ ეს არაფერია. მშვენიერადა ვგრძნობ თავსა, — სთქვა მან და საცოდავად გაიღიმა.

ნებლიუდოვი გამოჰკითხა ქრელ-თვალა ქალის ამბავი. ვერა ეფრემოვნამ უამბო, რომ იმ ქალმა სხვისი დანაშაული თვითონ იკისრა და ახლა კატორღაში მიდისო.

— ალტრუზმით არის გამსჭვალული, — სთქვა ვერა ეფრემოვნამ.

მეორე საქმე, რომელზედაც უნდა მოელაპარაკნა ვერა ეფრემოვნას, მასლოვის ქალს შეეხებოდა. მასლოვის ქალის ამბავი კარგად იცოდა; საზოგადოდ სატუსალოში ყველას ამბავი დაწვრილებით იცოდნენ. ამიტომ ურჩევდა ნებლიუდოვს მოეხერხებინა როგორმე და მასლოვის ქალი ან პოლიტიკურებთან გადაეყვანა და ან საავადმყოფოში, სადაც ახლა ბევრი ავადმყოფია და მომვლელია საქიროო.

ნებლიუდოვი დაჰპირდა; თუ აქ ვერას გავაწყობ, პეტერბურგში ვეცდები და როგორმე მოვახერხებ მაგ საქმესაო.

LIV

მათი ლაპარაკი შესწყვიტა უფროსმა, რომელიც წამოდგა და გამოაცხადა: ნახვის დრო გათავდა და დროა მიბრძანდეთო. ნებლიუდოვი წამოდგა, გამოეთხოვა ვერა ეფრემოვნას და გაჩერდა კარებს ახლო, საიდანაც ყურადღებით ათვალიერებდა, რაც მის თვალწინ ჰხდებოდა.

— ბატონებო! დროა, დრო, — სთქვა უფროსმა და გა-



ვიდა, მაგრამ არც მნახველები და არც ტუსაღებები იბერტყავენდნენ.

უფროსის ბრძანებამ უფრო გაცხარებული ლაპარაკი გამოიწვია და წასვლას კი არავინ ჰფიქრობდა. ზოგნი წამოდგნენ და ისე განაგრძეს ლაპარაკი, ზოგი კი ისევ იჯდა და ისე ლაპარაკობდა. ზოგი ეთხოვებოდა ერთი მეორეს და ქვითინებდა. გულ-მოსაკლავი იყო ქლექიან კაცისა და დედის ყურება; ახალგაზდა კაცი ისევ ისე გამეტებით ქმუჭნიდა ქალაღს და საშინელ ძალას ატანდა თავს, როგორმე შეეპავრებინა კრემლი და ქვითინი არ დაეწყუ. გაიგო თუ არა დედამ წასვლის დროაო, გადაეხვია შვილს და გულ-ამოსკენით დაიწყა ქვითინი. ქრელ-თვალა ქალი, რომელსაც ნებლიუდოვი ძალაუნებურად თვალს ადევნებდა, იდგა დედასთან და ამშვიდებდა. ლურჯ სათვალეებიანი მოხუცი ფეხზე იდგა, ხელი ხელში ჩაეკიდნა თავის ქალასთვის და ყოველ მისს სიტყვებზე უაზროდ თავს იქნევდა. შეყვარებულნიც წამოდგნენ და ხელი-ხელ ჩაკიდებულნი ერთმანეთს მისჩერებოდნენ თვალეებში.

— აი, მხოლოდ ესენი არიან მზარულად, — სთქვა ახალგაზდა კაცმა, რომელიც ნებლიუდოვის გვერდით იდგა და შეყვარებულეებზედ ანიშნა.

შეყვარებულეებმა იგრძნეს ეს თუ არა, რომ ნებლიუდოვი და ახალგაზდა კაცი ცნობის მოყვარე თვალეებით გვიცქერიანო, სიცილით უკან დაიხიეს და კოხტად გატრიალდნენ.

— დღეს საღამოზე იწერენ ჯვარს სატუსალოში და ის ქალიც თან მიჰყვება ქმარს ციმბირში, — სთქვა ახალგაზდა კაცმა.

— ვინ არის?

— საკატორღეა. თუმცა მზარულობენ, მაგრამ საცოდაობაა მაგათი ყურება, — დაუმატა ახალგაზდა კაცმა, რომლის ყურადღებაც ამ დროს ლურჯ სათვალეებიანი მოხუცის ქვითინმა მიიპყრო.

— ბატონებო! გთხოვთ მიბრძანდეთ. ნუ მიმიყვანთ იმ



ზომამდე, რომ ძალა ვიხმარო, — სთქვა უფროსმა და რამდენჯერმე განიმეორა ერთი და იგივე. — თუ ხათრი გაქვთ, — ამბობდა სუსტის ხმით, — დიდი ხანია დრო გავიდა. ეს არაფერს არა ჰგავს. შეუძლებელი იქნება ამის შემდეგ თქვენი მიღება! უკანასკნელად გეუბნებით! — ამბობდა და მოუსვენრად ხან აღგებოდა, ხან დაჯდებოდა და ხარბად ეწვოდა სუნწელოვან პაპიროსს.

ბოლოს, როგორც იყო, დაიშალნენ. გავიდა კურტიანი ახალგაზდა, ქლექიანი და ძონძებში გახვეული საკატორღეცა. გავიდა ვერა ეფრემოვნა და მარია პავლოვნაც თავის ბავშვით. მნახველებიც სათითაოდ გაემართნენ კარებისაკენ. გავიდა ლურჯ სათვალეებიანი მოხუცი და მას გაჰყვა ნებლიუდოვიც.

— დიალ! საკვირველი წეს-რიგია, — განაგრძო ახალგაზდა კაცმა, რომელიც ნებლიუდოვთან ერთად ჩადიოდა კიბეზე, — კაპიტანი კიდევ მიღლობის ღირსია, რომ კანონს ნაკლებად აქცევს ყურადღებას, თორემ აუტანელი იქნებოდა აქ ყოფნა. ყველაფერზე ლაპარაკი შეუძლიანთ და ეს კი საუკეთესო საშუალებაა, რომ ცოტათი დამშვიდდეს ადამიანი.

როცა ნებლიუდოვი მედინცევს (ასე გააცნო თავი ახალგაზდა კაცმა) ებაასებოდა და დერეფანს დაუახლოვდნენ, მათთან მივიდა უფროსი, რომელსაც მეტის მეტი დაქანცული სახე ჰქონდა.

— ფუ მასლოვის ქალის ნახვა გინდათ, ხვალ მობრძანდით, — უთხრა მან ტკბილის ხმით ნებლიუდოვს.

— ძალიან კარგი, — უპასუხა ნებლიუდოვმა და წასვლას დაეჭარა.

დღევანდელმა სანახაობამ სულ დავთარი დაუბნია ნებლიუდოვს და სხვანიირ გუნებაზე დააყენა.

„რისთვის ან ვისთვის არის ყოველივე ეს საჭირო?“ — ეკითხებოდა თავის თავს და პასუხი კი არსად იყო.



მეორე დღეს მივიდა ვეკილთან ნებლიუდოვი და სთხოვა მენჭოვების საქმეც ეკისრა და დაეცვა. ვეკილი შეჰპირდა, თუ მართლა საქმე ისე ყოფილა, როგორც მიაშბეთ, უსასყიდლოდ დაეიცავო. სხვათა შორის, ნებლიუდოვმა ის 130 კაცის საქმეც უამბო, რომელიც ისე უმიზეზოდ ეყარნენ სატუსალოში და სასტიკად იტანჯებოდნენ.

— ვისზეა ეს საქმე დამოკიდებული? ვისი ბრალია? — ჰკითხა ნებლიუდოვმა.

ვეკილმა მკირე ღუმილის შემდეგ უპასუხა.

— ვისი ბრალია? არავისი, — სთქვა მან გადაჭრით: — ჰკითხეთ ბრალმდებელს ვისი ბრალია-თქო? ის გეტყვით — მასლენნიკოვისო, ჰკითხეთ მასლენნიკოვსა და ის გეტყვით, რომ ბრალმდებელია დამნაშავეო. არავის ბრალი არ არის.

— ახლავე მივდივარ მასლენნიკოვთან და ყველაფერს ვეტყვი.

— არა, ტყუილად თავს ნუ იწუხებთ, სრულიად არაფერი არ გამოვა, — ღიმილით უთხრა ვეკილმა. ის ისეთი... — თქვენი შეგობარი ან ნათესავი ხომ არ არის? — ისეთი გაუთლელი და თანაც ცბიერი პირუტყვია, რომ თქვენი მოწონებული.

ნებლიუდოვს მოაგონდა მასლენნიკოვის სიტყვები ვეკილის შესახებ, გამოეთხოვა და წავიდა მასლენნიკოვთან.

ნებლიუდოვს ორი სათხოვარი საქმე ჰქონდა: მასლოვის ქალის გადაყვანა საეადმყოფოში და იმ უბედურ 130 კაცის განთავისუფლება, რომელიც უპასპორტობის გამო ეყარნენ სატუსალოში.

თუმცა მეტად სამწუხარო იყო ნებლიუდოვისათვის მიემართნა ისეთის კაცისათვის, როგორც მასლენნიკოვი იყო, მაგრამ მეტი გზა არა ჰქონდა.

მასლენნიკოვის სახლის კარებთან ნებლიუდოვმა რამდენიმე ეტლი დაინახა და მოაგონდა, რომ დღეს სწორედ ის



დღე იყო, როდესაც მასლენნიკოვის ცოლს სტუმრები ჰყავდა ხოლმე. სწორედ იმ დროს მიაღდა კარებს, როდესაც ერთხელ გამოწვიპული ლაქია ფრთხილად სვამდა კარებში ვილაც ქალბატონს, რომელსაც შლეიფი აეწია და ლამაზი ფეხები გარკვევით უჩანდა ტუფლებში. ეტლებს შორის ნებლიუდოვმა კორჩაგინების დახურული ლანდო შეჰნიშნა. ქალბატონ-შერთულმა მსუქანმა მეეტლემ ზრდილობიანად მოუხადა ქუდი და სალამი მისცა ნებლიუდოვს, როგორც ნაცნობ ბატონს. ნებლიუდოვმა ვერც კი მოასწრო ეკიბნა მეკარესთვის, შინ არის მიხეილ ივანიჩიო (მასლენნიკოვი), რომ მოფარდაგებულ კიბეზე გამოჩნდა თვით მასლენნიკოვი; ერთ საპატო სტუმარს მოაცილებდა, ისეთს, რომლებსთანაც კიბის უკანასკნელ საფეხურამდე აცილებდა ხოლმე. საპატო სტუმარი გაცხარებით ებაასებოდა თავშესაფარის სასარგებლოდ ლატარია-აღფერის გამართვის შესახებ და ამტკიცებდა, ძლიერ კარგი გასართობი იქნება ქალებისათვისაო: „ქალებიც დროს ატარებენ და ფულიც გროვდებაო“.

— აა, ნებლიუდოვი, გამარჯობა: ამბავი-ხაბარი? სადა ხარ ამდენ ხანს?—მიესალმა ნებლიუდოვს.

სტუმარი გამოეთხოვა, გადაიკვა პალტო, რომელიც მალა-მალაღმა ლაქიამ მიართვა, და გავიდა.

— აბა, ავიდეთ, გეთაყვა, ზეით. ძლიერ მოხარული ვარ, — აღელვებით წარმოსთქვა მასლენნიკოვმა და, თუმცა ზორბა და მძიმე ტანისა იყო, მინც გაიტაცა ნებლიუდოვი და სწრაფად აირბინა კიბეზე.

მასლენნიკოვი მშვენიერ გუნებაზე იყო; ალბად საპატო სტუმრის ყურადღებამ დააყენა ასეთს გუნებაზეო, ჰფიქრობდა გულში ნებლიუდოვი. საპატო სტუმრის თვითოეულ სიტყვას ისეთს აღტაცებაში მოჰყავდა, როგორაც ფინია მოდის აღტაცებაში, როცა პატრონი ნაზად ხელს გადაუსვამს ზურგზე და ურებს დაჰტხანს ხოლმე. ამ დროს კუდს აქნევს, წელში იგრინება და გცივით იწყებს ბზრიალ-ტრიალს. მას-



ლენნიკოვიც თითქმის ასე იქცეოდა. არავითარ ყურადღებას არ აქცევდა ნებლიუდოვის დაფიქრებულ სახეს და პარაკს და გიჟივით მიაქანებდა სასტუმრო ოთახისაკენ, ასე რომ, ნებლიუდოვმა ვეღარ შესძლო წინააღმდეგობა გაეწია და მოჩილებით მისდევდა უკან.

— რაც შეეხება საქმეს, რასაც მიზრძანებ, ავასრულებ, მხოლოდ შემდეგ, — უთხრა მასლენნიკოვმა, როცა დარბაზში გადიოდნენ: — მოახსენე გენერალ შას, რომ თავადი ნებლიუდოვი მოზრძანდა-თქო, — უბრძანა მან ლაქიას. ლაქია. საჩქაროდ გავარდა. — ახლა უეჭველად უნდა ნახოთ ჩემი ცოლი. მაშინაც კარგები მომხვდა, ერთხელ რომ გავიშვით მის უნახვად.

როცა შევიდნენ, ლაქიამ კიდევ მოასწრო მოეხსენებინა გენერალ შასთვის და ანა იგნატიევნა, ვიცე-გუბერნატორ შა, გენერალ შა, როგორც თავის თავს ეძახდა, ღიმილით მიესალმა ნებლიუდოვს. ოთახის ერთს კუთხეში მაგიდას შემოსხდომოდა რამდენიმე ქალი და კაცი და ჩაის მიირთმევდნენ.

— რა ამბავია, რომ სულ დაგვივიწყეთ? იქნება გაწყენინეთ რამე? — ამ სიტყვებით მიჰმართა ანა იგნატიევნამ ნებლიუდოვს, როცა სასტუმრო ოთახში შევიდა.

— გაცნობილი ხართ?.. ქალბატონი ბელიაესკაია, მიხეილ ივანოვიჩ ჩესნოვი... ახლოს დაბრძანდით.

— თქვენც... მიუბრუნდა აფიცერს, რომელიც მისისი ებაასებოდა და რომლის სახელიც დაავიწყდა, — მობრძანდით აქეთ; თავადო, ჩაის არ მიირთმევთ?

— არა, არა, არაფრის გულისათვის არ დაგეთანხმებით. იმას სრულიად არ უყვარდა, — ისმოდა ქალის ხმა.

— ქალები უფრო უყვარდა, ვიდრე ისა.

— სულ ტუტუტური ხუმრობა გამიგონია? — სიცილით ჩაერია ლაპარაკში ძვირფასად ჩაცმული ქალი.

— ჯერ ხომ არ აპირობთ წასვლას?



— დიად, დღეს უკანასკნელი დღეა და კიდევ მოვედი აქ.

— უპ, რა მშვენიერი გაზაფხულია! ახლა ყოფნას არაფერი სჯობია.

მისი ისე ლამაზად მორთულ-მოკაზმულიყო, რომ ადამიანს თავბრუს დაახვევდა მისი სიმშვენიერე. უნაოქო, ძვირფასი კაბა ისე გამოკვართოდა ტანზე, თითქოს დედის მუცლიდან გამოპყოლილიო. დაინახა თუ არა ნებლიუდოვი, საშინლად გაწითლდა.

— ესე მეგონა, აქ აღარ იყავით, უკვე წასული მეგონეთ, — უთხრა მან ნებლიუდოვს.

— თითქმის, რომ წავედი, — უბასუხა ნებლიუდოვმა: — საქმეების გამო მოკლია არა მაქვს, წარმოიდგინეთ, აქაც კი საქმეზე მოვედი ახლა.

— შემოიარეთ დედასთან, ძალიან უნდა თქვენი ნახეა, — სთხოვა მისსიმ ნებლიუდოვს და თითქოს იგრძნო, რომ ტყუილს ამბობდა. ნებლიუდოვიც მიუხედა. მისი უფრო გაწითლდა.

— არა მგონია, რომ მოვასწრო, — უთხრა ნებლიუდოვმა დაღვრემით და ისეთი სახე მიიღო, თითქო არ შეუნიშნავს მისი სიწითლეო.

მისი მოიღრუბლა, მხრები შეიმშუშნა და მიუბრუნდა იქვე მდგომ კობწია აფიცერს, რომელმაც გამოსტაცა ხელიდან. ცარიელი ფინჯანი და გმირულის სიარულით წავიდა მაგიდისაკენ ზედ დასადგმელად.

— თქვენც უნდა შესწიროთ თავშესაფარის სასარგებლოდ?

— დიად, უარს არ ვამბობ, მაგრამ მინდა მთელი ჩემი სიუხვე აღლევარის დროს გამოვიჩინო. მთელს ჩემს ძალღონეს იქ გავშლი.

— მაშ, გთხოვთ, არ დაივიწყოთ, — მოისმა ძალდატანებული სიცილი.



ანნი იგნატიევნას სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, რომ დღევანდელმა სტუმრიანობამ ჩინებულად ჩაიარა.

— მე მიკამ მითხრა, რომ სატუსალოში თურმე გაქვთ საქმე. ძალიან კარგად მესმის თქვენის გულის პასუხი, — ეუბნებოდა ნებლიუდოვი: — მიკას (მიკა მასი ჩასუქებული ჭმარი მასლენნიკოვი იყო), შეიძლება, სხვა ბევრი ნაკლულევიანება ჰქონდეს, მაგრამ შეტის-შეტად გულ-კეთილია. უბედური ტუსადები მისი შვილები არიან. სწორედ მამაშვილურად ეკიდება.

კარგა ხნის ლაპარაკის შემდეგ ნებლიუდოვი ზრდილობიანად წამოდგა და მივიდა მასლენნიკოვთან.

— ჰო, მართლა, აბა რას იტყვი? წავიდეთ აქეთ.

შევიდნენ პატარა იაპონურ გემოზე მორთულ კაბინეტში და დასხდნენ სარკმელთან.

LVI

— აბა, პაპიროსს არ ინებებთ? მოითმინეთ, აქ ფერფლი არ დაცვიდეს, — სთქვა მან და საფერფლე მოიტანა, — აბა, რას იტყვით?

— თქვენთან ორი სათხოვარი საქმე მაქვს.

— ოჰო! რა აბაგია?

მასლენნიკოვმა მოიწყინა. წინანდელი ფინიასებური აღტაცება უცბად გაუქრა. სასტუმრო ოთახიდან ქალების ხმა ისმოდა და ნებლიუდოვი იმათ უგდებდა ყურს.

— ისევ იმ ქალის შესახებ უნდა გთხოვოთ, — უთხრა ნებლიუდოვმა.

— ჰოო, უბრალოდ დასჯილი რომ არის? ვიცი ვიცი!

— მინდა გთხოვოთ, თუ მოსახერხებელია, საავადმყოფოში გადაიყვანონ მოსამსახურედ, მითხრეს, მოხერხდებაო.

მასლენნიკოვმა ტუჩები მოკუმბა და დაფიქრდა.

— საეჭვოა მაგ თხოვნის შესრულება, — უთხრა, მან: — ხვალ მაინც მოვილაპარაკებთ და მაშინვე დეპეშით გაცნობებ.

— მე მითხრეს, რომ იქ ბევრი ავადმყოფია და მომვლელია საქიროო.



— დიად, დიად! ყოველ შემთხვევაში, შეგატყობინებ.

— იმედი მაქვს, — უთხრა ნებლიუდოვმა.

სასტუმროდან საერთო ხარხარი მოისმა.

— ეს უთუოდ ვიქტორიაა, — სთქვა მასლენნიკოვმა, — ისეთი ხუმარაა, რომ, როცა კარგს გუნებაზეა, მისს მოსწრებულ სიტყვებს დასასრული არა აქვს ხოლმე.

— გარდა ამისა, — სთქვა ნებლიუდოვმა, — სატუსალოში სხედან 130 კაცი, რომელნიც უპასპორტობისა გამო იტანენ სიშინელ ტანჯვა-წვალებას. ორი თვე იქნება, რაც იქა სხედან. უამბო ის მიზეზები, რისთვისაც არ უშვებდნენ ამდენ ხალხს.

— როგორ გაიგე ევა? — ჰკითხა მასლენნიკოვმა და მის სახეზე შიში გამოიხატა.

— ერთ დამნაშავესთან ვიყავი, იქ ის ხალხი შემომეხვია და მთხოვეს...

— რომელ დამნაშავესთან იყავით?

— გლებთან, რომელსაც უმიზეზოდ ბრალსა სდებენ და რომლისათვისაც ვექილიც ვიზრუნე; მაგრამ საქმე ეს არ არის: ნუ თუ ამდენი უდანაშაულო ხალხი იმიტომა ჰყრია სატუსალოში, რომ პასპორტების ვადა გაუვიდათ და...

— ეგ ბრალმდებლის საქმეა, — წყენით გააწყვეტინა მასლენნიკოვმა სიტყვა, — შენ ამბობ: სამართალი სწრაფი და სწორია. ბრალმდებლის საქმეა მივიდეს სატუსალოში და გაიგოს; ვინ რა მიზეზის გამო ზის იქა. ის-კი ქალაქის თამაშობის მეტს არას აკეთებს.

— მაშ, არ შეგიძლიან გააკეთო ეს საქმე? — წყენით უთხრა ნებლიუდოვმა და მოაგონდა ვექილის სიტყვები, გუბერნატორი ბრალმდებელს დააბრალბესო.

— არა, მე ვაეკეთებ. ახლავე შევიტყობ.

— უფრო უარესია მისთვის, — ისმოდა სასტუმრო ოთახიდგან ქალის ხმა.

— მით უკეთესი, მე ამასაც წავიღებ, — ისმოდა მეორე



მხრიდან ქალისა და კაცის ხმა, რომელნიც ერთმანეთს არაბ-საც ართმევდნენ.

— არა, არა, არაფრის გულისა თვის, — ეუბნებოდა ქალი.

— აგრე, ყველაფერს გავაკეთებ, — სთქვა მასლენნიკოვმა და პაპიროსი ნაზად ჩააქრო საფერფლეში, — ახლა ქალებთან წავიდეთ.

— კიდევ აი რა, — უთხრა ნებლიუდოვმა და კარებთან გააჩერა: — მე მითხრეს, რომ გუშინ სატუსალოში რამდენიმე ტუსალი გაუროზგნიათ. მართალია ესა?

მასლენნიკოვი საშინლად გაწითლდა.

— ჰოო, მეგ საქმეს ამბობ?.. არა, მეგობარო, უნდა გამოგიტყდე და ვითხრა, რომ შენ იქ არ უნდა შეგიშვას კაცმა, რადგან ყველაფერსა წვლილობ და ძიობ. წავიდეთ, წავიდეთ, ანეტა გვეძახის, — უთხრა მან და წინანდებურად ხელი წაატანა და უნდა გაეტაცნა სასტუმრო ოთახისკენ.

ნებლიუდოვმა უცბად ხელი გაინთავისუფლა, არავის აღარ მიჰხედა, აღარც გამოესალმა და ხმა-ამოუღებლივ მოღრუბლული, თავ-პირ ჩამობნელებული გავიდა დერეფანში და გავარდა გარედ.

— რა მოუვიდა? რა უყავი განა ისეთი? — ჰკითხა ანეტამ ქმარს.

— À la française, — სთქვა ვილამაც.

— საღაური à la française, — ეს ნამდვილი à la zoulou იყო.

— დიაღ, სულ აგრე იცოდა წინადაც.

ვილაც მოვიდა. გაიმართა ჩვეულებრივი დადანი. საღა-პარაკოდ ნებლიუდოვის საქციელი გაუხდათ.

მეორე დღეს ნებლიუდოვმა მიიღო მასლენნიკოვის წიგნი, დაწერილი მშვენიერისა, მტკიცე ხელით, მაგარ მოვლევარე ქალაღმზედ, რომელსაც გერბიცა ჰქონდა და ბეჭედიც ესვა. ატყობინებდა, რომ უკვე მივწერე სატუსალოს ექიმს მასლოვის ქალი გადაიყვანოს და უეჭველად ასრულდება შენი სურვილიო. ქვეშ ეწერა: „შენი უფროსი ამხანაგი“.



— სულელი! — ვერ მოითმინა, რომ არ ეთქვა ნებლიუ-
დოეს, რადგან ჰგრძნობდა, აი როგორ ვიმდაბლებ თქვენს და,
თუმცა დიდი ვინმე ვარ, მაინც მინდა გასიამოვნო ან არა და
გაგრძნობინო მაინც, რომ არც ისე თავი მომაქვს ჩემის დიდის
ხარისხით, როცა ამხანაგად გთვლიო.

LVII

არის ერთი მეტად გავრცელებული ცრუმორწმუნოება,
რომ თვითეულ ადამიანს თვისი განსაზღვრული თვისება აქვსო.
არის კაცი კეთილი, ბოროტი, სულელი და სხვა. ნამდვი-
ლად კი ასე არ არის. შეგვიძლიან ვსთქვათ კაცზე, ხშირად
უფრო კეთილია, ვიდრე ბოროტი და ხშირად ჰკვიანი, ვიდრე
სულელი. ტყუილი იქნება, რომ ვსთქვათ ერთ კაცზე, რომ
მუდამ ბოროტია ან სულელიო. ჩვენ-კი მუდამ ასე ვანაწილებთ
ადამიანებს. და ეს კი სიმართლეს მოკლებულია. ადამიანები
მდინარესა ჰგვანან. წყალი ყველა მდინარეში ერთნაირია, მა-
გრამ მდინარე ხან ვიწროა, ხან ჩქარი და ხან განიერი; ხან
წყნარი, წმინდა და ცივი და ხან მღვრიე და თბილი. ასეა
ადამიანის თავსაც. თვითოეულ კაცს აქვს ადამიანის ყველა თვი-
სება ჩასახული და ხან ერთ თვისებას გამოიჩენს და ხან მეო-
რეს. ზოგიერთს ეს ცვლილება ძალიან ემჩნევა ხოლმე. ასეთი
იყო ნებლიუდოეიც. ცვლილება შეემჩნეოდა ხოლმე როგორც
ფიზიკურის, ისე სულიერ მიზნების გამო. ასეთი ცვლილება
მოჰხდა ახლაც.

ის აღფრთოვანება და უსაზღვრო სიხარული, რომელიც სა-
სამართლოსა და კატოს პირველ ნახვის შემდეგ იგრძნო, სრულიად
გაჰქრა და ახლა, უკანასკნელად კატოს ნახვის შემდეგ, შიში
აღედრა, თითქმის სიძულელი დებადა და მხოლოდ მოვალეო-
ბის აღსრულების საპირობებს-ლა ჰგრძნობდა. გადასწყვიტა არ
ელალატნა თავის გადაწყვეტილებიანათვის და, თუ ქალი ისურ-
ვებდა, შეერთო კიდევ ცოლად, მაგრამ ეს მეტის-მეტად მიი-
მე საქმედ მიაჩნდა.



მასლენნიკოვთან ყოფნის მეორე დღეს კვლავ წავიდა სატუსალოში კატოს სანახავად. სატუსალოს უფროსმა მიხეილმა ნება, მაგრამ კანტორაში კი არა, მისაღებ ოთახში. უფროსი თუმცა გულკეთილი იყო, მაგრამ მაინც წინანდელზე უფრო ახლა ფრთხილობდა ნებლიუდოვის საქმეში. უთუოდ მასლენნიკოვთან ლაპარაკმა გამოიწვია ფიცხელი განკარგულება, რომლის ძალითაც ნებლიუდოვს ფრთხილად უნდა მოჰქცევოდნენ სატუსალოში.

— ნახვა შეიძლება, — უთხრა უფროსმა, — მხოლოდ, გეთაყვა, ფულის შესახებ, როგორც ვითხარით, ისე იყოს. რაც შეეხება მისს საავადმყოფოში გადაყვანას, როგორც მისი აღმოცენებულება იწერება, შესაძლებელია და ექიმიც თანახმაა. მხოლოდ თვითონ უარს ამბობს, ძალიან საჭიროა იმ ქეციანებს ვემსახუროო... ესენი, ბატონო, ხომ ისეთი ხალხია, რომ... — დაუმატა მან.

ნებლიუდოვმა არა უპასუხარა და სთხოვა დაეძახა მასლოვასთვის. უფროსმა გაჰკზავნა ზედამხედველი და თვითონ ნებლიუდოვთან ერთად შევიდა მიხაღებ ოთახში.

ჩქარა მასლოვაც შემოვიდა მოკრძალებით და ახლო მივიდა ნებლიუდოვთან.

— მაპატივეთ, დიმიტრი ივანოვიჩ, იმ დღეს ცუდად მოგექცით.

— შენ ჩემგან ითხოვ პატივბას, როდესაც... — დაიწყო ნებლიუდოვმა.

— მაგრამ მაინც, ყოველ შემთხვევაში, მე თავი დამანებეთ, — დაუმატა მასლოვამ და მის აღგზნებულ თვალებში ნებლიუდოვმა ისევ ზიზღი და სიძულვილი ამოიკითხა.

— რად დაგანებო თავი?

— იმიტომ...

— როგორ თუ იმიტომ?

— აი რა, — უთხრა მასლოვამ, — თავი დამანებეთ, სწორედ გუებნებით, არ შემიძლიან, სულ დანებეთ თავი ყველაფერს, —



სთქვა მან ტუჩების თრთოლით და დაჩუმდა, — სწორედ ვამბობ, უმჯობესია თავი ჩამოვიღო, ვიდრე...

ნებლიუდოვი ჰგონობდა, ამ უარში სიძულვილი იმაღლება ჩემდამიო; ეტყობა, ჯერ კიდევ არ მოუტყვევებია ჩემთვის შეცოდება, რომელიც მის წინაშე მიმიძღვისო. სხვა რამეც აღმოაჩინა ამ უარში, უფრო კარგი და საყურადღებო. ახლაც იმასვე ამბობს, რაცასთქვა მაშინ, რაცა ნასვამი იყო. ამ გარემოებამ ყოველივე ეჭვი გაუფანტა, გული მოუღობო და კარგს გუნებაზედ დააყენა.

— კატო! რაც წინად გითხარი, ახლაც იმას გეუბნები, — უთხრა მან გულითა, — გთხოვ ცოლად წამომყვე; თუ არა გსურს, ან ჯერ არ გინდა, მე, როგორც წინად, ახლაც იქ ვიქნები, სადაც შენ იქნები, და მეც იქ წამოვალ, საცა შენ წაგიყვანენ.

— ეს თქვენ იცით, მე მეტს არას ვიტყვი, — უთხრა მასლოვის ქალმა და ტუჩები აუკანკალდა.

ნებლიუდოვიც დაჩუმდა, რადგან აღარ შეეძლო ლაპარაკი.

— ახლა სოფელში მივდივარ და შემდეგ პეტერბურგს წავალ, — როგორც იყო, დაიწყო ნებლიუდოვმა, — ვიმეცადინებ შენის, ჩვენის საქმისათვის და, ღვთის მადლით, იმედი მაქვს განაჩენს გააუქმებენ.

— არ გააუქმებენ და ეგვეც სულ ერთია ჩემთვის. თუ ამ დანაშაულობისთვის არა, სხვა საქმისთვის მაინც ღირსი ვარ სასჯელისა, — სთქვა მასლოვის ქალმა და ნებლიუდოვმა აშკარად შეჰნიშნა, რა ძალია დაატანა თავს, რათა ცრემლები შეემაგრებინა.

— რა ჰქენით, ჰნახეთ მენშოვი? — ჰკითხა მან, რომ დაეფარა თავისი მღვლეარება. — ხომ მართალია, რომ ისინი უბრალონი არიან?

— დიად, მეც აგრე მგონია.



— რა სამაგალითო მოხუცია ის დედაკაცი! ნებლიუდოვმა უამბო, რაც მენშოვისაგან გზავდა: მითხარ, თუ გკირია რამეო.

მასლოვის ქალმა უპასუხა, არაფერი არ მესაქიროებო. კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა.

— ჰო, მართლა, საავადმყოფოს ამბავი? უცბად წამოი-
დახა მასლოვის ქალმა და ნებლიუდოვს შეჰხედა:—თუ გინდათ,
გადავალ და არყის სმასაც თავს დავანებებ.

— ძალიან კარგი იქნება!—სთქვა ნებლიუდოვმა.

„ღიად, ღიად, ახლა სულ სხვა აღამიანია“, ამბობდა გულ-
ში ნებლიუდოვი და მისს სიბარულს საზღვარი არა ჰქონდა.

მასლოვა დაბრუნდა თავის ჰაერ-შეხუთულ კამერაში, გაი-
ხადა ხალათი, დაჯდა თავის ალიაგას ტახტზე და ხელები მუხ-
ლებზე დაიწყო. კამერაში იყვნენ მხოლოდ ჭლექიანი, ვლა-
დიმირსკაია ძუძუ-მწოვარა ბავშვით, ბებერი დედაკაცი მენშო-
ვისა და გზის დარაჯი ქალი ორის ბავშვით. დიაკვნის ქალი გუ-
შინ სულით ავადმყოფად ეცნოთ და საავადმყოფოში წაეყვა-
ნათ. დანარჩენი ქალები ყველანი სარეცხსა რეცხდნენ. ბებე-
რი დედაკაცი ტახტზე იწვა და ეძინა. ბავშვები კარიდორში
თამაშობდნენ. ვლადიმირსკაია ბავშვითა და გზის დარაჯი ქალი
ჩულქით ხელში, რომელსაც მუდამა ჰქსოვდა, მიუახლოვდნენ
მასლოვის ქალს.

— რა ამბავა, ნახე?—შეეკითხნენ ორივენი.

მასლოვის ქალი ხმას არ იღებდა. იჯდა მალალ ტახტზედ
და ძირს ჩამოშვებულს ფეხებ აქნევდა აქეთ-იქით.

— რა ამბავია, რა მოგივიდა?—უთხრა დარაჯმა ქალმა, —
უფრო იმას ეცადე, რომ სულით არ დაეცე.

მასლოვის ქალი ხმას არ იღებდა.

— ჩვენებს სარეცხი უდგიათ. ამბობენ, დღეს დიდ მოწყალე-
ბას არიგებენო. ბებერი რამეები მოიტანესო,—სთქვა ვლადი-
მირსკაიამ.



— ფინაშკა!—დაიყვირა კარებში გზის დარაჯმა ქალმა, —
სად დაიკარგა ის ლაწირაკი?

მან დაანება ჩულქის ქსოვას თავი და გავიდა კარიდორში.
ამ დროს მოისმა ფეხის ხმა და ქალების ლაპარაკი კარი-
დორში.

ქალები შემოვიდნენ. თვითყულ მათგანს ზოგს თითო
და ზოგს ორ-ორი ბულკი ეჭირა. თეოდოსია მაშინვე მივიდა
მასლოვის ქალთან.

— რა ამბავია? ცუდი ამბავი ხომ არაფერი შეგტყვიან?—
ჰკითხა თეოდოსიამ და თავისი საყვარელი ცისფერი თვალელები
შენათა მასლოვის ქალს:—აი, ეს ჩაისთვის, — სთქვა მან და
დააწყო ბულკები ტახტზე.

— რაო, იქნება შენს შერთვაზე უარს ამბობს?—დაე-
კითხა კარაბლიოვისა.

— არა, უარს არ ამბობს, მაგრამ მე არ მანდა, — უპა-
სუხა მასლოვის ქალმა.

— სულელი თუ გინდათ, ეს არის! — სთქვა ბოხის ხმით
კარაბლიოვისამ.

— თუ კი ერთად არ იცხოვრებენ, რის მაქნისია ცოლ-
ქმრობა, — სთქვა თეოდოსიამ.

— ეგ მართალია, მაგრამ შენი ქმარი ხომ მოდის შენთან
ერთად?—დაიწყო გზის დარაჯმა ქალმა.

— მერე რა? ჩვენ ხომ კანონიერად ჯვარ-დაწერილები
ვართ? — უთხრა თეოდოსიამ, — იმან რად დაიწეროს ჯვარი, თუ
კი ერთად არ იცხოვრებენ?

— აი სულელი! რათა? რათა და მათა, რომ შეერთავს
თუ არა, სულ ოქროში ჩასვამს.

— ასე სთქვა, სადაც უნდა გაგზავნონ მეც შენთან წა-
მოვალო, — სთქვა მასლოვის ქალმა:— წამოვა და წამოვიდეს,
არა და—ნუ მოდის. მე არ შევვებვებები. ახლა ის პეტერ-



ბურგში აპირებს საქმის გასაკეთებლად წასვლას, ^{სადაც} მინისტრები მისი ნათესავეები ყოფილან, — განაგრძობს მან, — მე იმათი არა მესმის-რა.

— დიდაც, — უცბად დაეთანხმა კარაბლიოვისა და რალასაც ძებნა დაუწყო ტომარაში: — არაყი მინც დავლიოთ, — სთქვა მან.

— მე არ დავლევ, — უპასუხა მასლოვის ქალმა, — თქვენ დალიერთ, თუ გინდათ.



ნაწილი მეორე.

I

ორის კვირის შემდეგ მასლოვას საქმე სენატში უნდა გარჩეულიყო და ნებლიუდოვიც ემზადებოდა ამ დროისთვის პეტერბურგს წასასვლელად. უკეთუ საქმეს წააგებდა, უმაღლეს სახელობაზე უნდა მიერთებია თხოვნა. უკეთუ საქმე აქაც უყურადღებოდ იქმნებოდა დატოვებული, რაც, ვეჭილის აზრით, ადვილი მოსალოდნელი იყო, რადგან საკასაციო საბუთები ვერ იყო მაინცა და მაინც თეალსაჩინო, მასლოვის ქალს სხვებთან ერთად გაჰგზავნიდნენ იენისის დამდეგს. ამიტომ, რათა გამზადებულიყო მასლოვის ქალთან ერთად ციმბირში წასასვლელად, — რაც მტკიცედ გადაწყვეტილი ჰქონდა ნებლიუდოვს, — საჭირო იყო ახლავე წასულიყო სოფელში, რომ გაეწესრიგებინა იქ ყველა თავის საქმე.

პირველად ნებლიუდოვი გაემგზავრა სოფელ კუზმინსკში, სადაღ დიდი მამული ჰქონდა და უმთავრეს შემოსავალს იქიდან იღებდა. ბავშვობისას ამ მამულში სცხოვრობდა, შემდეგ ვაქცალობაში ორჯერ იყო და ერთხელაც, დედის თხოვნით, მოიყვანა შოურავი, ტომით გერმანელი, და მასთან ერთად შეამოწმა მთელი მამული, ამიტომ დიდი ხანია იცოდა მამულის მდგომარეობა და გლეხების დამოკიდებულება კანტორასთან, ე. ი. მიწის მფლობელთან. ნებლიუდოვმა იცოდა გლეხების მდგომარეობა თითქმის სტუდენტობიდანვე, როცა ჰენრი ჯორჯის მოძღვრებას ჰქადაგებდა, და ამ მოძღვრების წყალობით აჩუქა გლეხებს მამის დანატოვარი მამული, თუმცა, საზედრო სამ-



სახურის შემდეგ, როცა უკვე დაჩვეული იყო 20 ათასობით ფლანგავს, სავალდებულოდ აღარ მიიჩნდა ეს მოვლენები და ერთხელაც არ დაფიქრებულა, საიდან მოსდიოდა ამდენი ფული, რომელსაც დედა აძლევდა, და არც უნდოდა ფფიქრა, მაგრამ დედის სიკვდილმა იძულებულ ჰყო თვითონვე მოველო თავის მამულისთვის და ამან კი ძალიანებურად თვალწინ დაუყენა ის საკითხი, თუ რა დამოკიდებულება ჰქონდა კერძო მიწად-მფლობელობასთან. ერთისთვის წინად თამამად შეეძლო ერთქვა ნებლიუდოვს, რომ ისევ ძველი წეს-რიგი დარჩენილიყო მამულის მართვა-გამგეობაში, რადგან თვითონ არ უვლიდა მამულს და, ცოტად თუ ბევრად, დამშვიდებული იქნებოდა, მით უმეტეს, რომ მამულზე შორსა სცხოვრობდა და ფულს ისე იღებდა. ახლა კი გადასწყვიტა, რაკი ციმბირში მგზავრობა მომელის და სულ სატუსალოებთან მექნება საქმე, ფული საჭირო იქნებაო, ამიტომ მამულის საქმესაც ძველებურს მდგომარეობაში ვერ დაეტოვებ. მე თვითონ აღარ შევიმუშავებ მამულს და ისევ გლებებს მივცემო; თუკი ეს საზარალო იქნება ჩემთვის, მაგრამ შინაც ძირიანად უნდა შევსცვალო ჩემი მდგომარეობაო. ამ აზრით, ნებლიუდოვმა გადასწყვიტა მიეცა გლებებისათვის ხელმისაწვდომ ფასებში მიწები, რათა ამით საშუალება მიეცა დამოუკიდებელნი გამხდარიყვნენ მემამულისაგან.

შუადღე იქნებოდა, როცა ნებლიუდოვი კუზმინსკში მივიდა. იმდენად შეამოკლა ამ ბოლოს დროს თავისი მოთხოვნილებანი, რომ დებეშაც კი არ გაუგზავნა მოურავს—მოვდივარო; დაიქირავა ეტლი და წავიდა. კოხტად ჩაცმულმა ახალგაზდა მეეტლემ გზა და გზა ბაასი გაუმართა ნებლიუდოვს და, სხვათა შორის, უამბო როგორ იქცეოდა მოურავი კუზმინსკში; მეეტლემ არ იცოდა, თუ ის იყო მამულის პატრონი. ნებლიუდოვმაც ვანგებ არ უთხრა თავისი ვინაობა.

— კოხტა გერმანელია, — ეუბნებოდა მეტლემ ნებლიუდოვს, — შინაური ეტლი გაიჩინა და თავის მეუღლით ხან აქეთ



დასერირობს და ხან იქით; ზამთარში შობის ხე ჰქონდათ დიდ სახლში და მე სტუმრები მივიყვანე; ისეთი მორთულნი იყვნენ რომ რაღა გითხრათ,—გუბერნიისაიაც ვერ ნახავთ ისეთს; ქვეყანა გაყვლიფა და ფული ბზესავით მოხვეტა. რაღა უჭირს, ყველაფერი მისს ხელშია. ამბობენ, დიდძალი მამულები იყიდლაო.

ნებლიუდოვი თუმცა ჰფიქრობდა, სულ ერთია ჩემთვის, როგორც უნდა, ისე მოუაროს მამულს მოურავმაო, მაგრამ შეეტლეს სიტყვებმა მაინც მეტად ცუდს გუნებაზედ დაყენა. ის შეშხაროდა მშვეიერ დღეს, მწვანედ მობიბინე მინდორ-ეელსა და ამ სიამოვნებას უშხამავდა რაღაც მწარე მოგონება. როცა დაეკითხებოდა თავის თავს ამ მოგონების გამო, მაშინვე მოაგონდებოდა მეტრლეს სიტყვები მოურავის შესახებ, რომელიც თავისუფლად ფარფაშობდა მისს მამულში—კუზმინსკში.

მივიდა თუ არა ნებლიუდოვი მამულში და შეუდგარა თავის საქმეებს, უკვე დაავიწყდა ეს უსიამოვნება.

კანტორის წიგნების ვანხილვაში და მოურავის სიტყვებმა, რომელიც ამტკიცებდა, რომ გლეხებს ცოტა მიწა აქვთ და გარშემორტყმულნი არიან ბატონის მიწებით, რაც ფრიად სასალგებლოა მემამულისათვისო, უფრო დაარწმუნა ნებლიუდოვი, რომ დიდი უსამართლობაა ამოდენა მამულების მფლობელობა იმ დროს, როცა თითქმის ახლო-მახლო მცხოვრები გლეხები ძალიან-უნებურად ჩემგანაა დამოკიდებულნიო, და მტკიდედ გადასწყვიტა, ხელი აეღო მამულებზე და მიეცა გლეხებისთვის. კანტორის წიგნებიდანა და მოურავის სიტყვებიდან ნებლიუდოვიმ გაიგო, რომ მამულის ორ მესამედ ნაწილს თვით მისი მუშები ამუშავებდნენ კარგის სამეურნეო იარაღით, და ნარჩენს-კი გლეხები; ესენი შრომის ფასად ხუთ მანათს იღებდნენ დესეტინაზედ, ე. ი. ხუთ მანათად გლეხს სამჯერ უნდა მოეხნა და დაეფარცხა ერთი დესეტინა მიწა, შემდეგ მოეთიბა და კალოზე უნდა მიეტანა. გლეხები ტყავს იძრობდნენ,



შრომობდნენ, მაგრამ მაინც მუდამ ვალდებულნი იყვნენ კანტორისაგან. ერთ დესტინა მიწაზედ, რომელსაც გლეხებს აძლევდნენ დასამუშავებლად, თითქმის მიწის ღირებულებას ახდევინებდნენ საფასედ.

ნებლიუდოვმა თუშკა წინადაც იცოდა ეს ამბავი, მაგრამ ახლა მაინც საშინლად გაუკვირდა და ვერ წარმოედგინა, როგორ ვერ მივხვდი ამდენ ხანს, ან სხვები რატომ ვერა ჰხედავენ ამგვარ დამოკიდებულების სრულს სიყალბესაო. მოურავის სიტყვებმა:—მამულების გაყიდვით დიდ ზარალს ნახავთო და გლეხებიც მიწას შესაფერად ვერ დაამუშავებენო, უფრო დაარწმუნა ნებლიუდოვი, როგორც საჭიროება თხოულობს, ისე ვიქცევით, როცა გლეხებს აძლევდა მიწებსა და თვითონ იკლებდა შემოსავლის მეტ ნაწილს. ნებლიუდოვმა გადასწყვიტა, მისვლისათანავე გაეთავებინა საქმე. რაც უძრავი ქონება ჰქონდა, მოურავს უნდა გაეყიდნა ნებლიუდოვის წასვლის შემდეგ. მისვლისათანავე სთხოვა მოურავს, შეეკრიბა მეორე დღისათვის სამის სოფლის გლეხნი, რომელნიც კუზმინსკის მამულის გარშემო სცხოვრობდნენ, რომ გამოეცხადებინა თავისი განზრახვა და ფასზე მორიგებოდა.

ნებლიუდოვს ძლიერ სასიამოვნოდ დაურჩა, რომ ვერც მოურავის საბუთებმა და ვერც სხვა რამემ ვერ შეარყია მისი განზრახვა და მტკიცედ გადაწყვეტილი ჰქონდა, ეხლავე სისრულეში მოეყვანა. გამოვიდა კანტორიდან და გაემართა საყვავილესაკენ.

აქ მოიგონა მოკლე სიტყვა, რომელიც გლეხებისთვის უნდა ეთქვა, და წავიდა მოურავთან. ჩაის დროს კიდევ მოელაპარაკა მოურავს მამულების შესახებ და დიდად სასიამოვნები იყო, რომ კეთილ საქმეს ასრულებდა. ნებლიუდოვი შევიდა დიდ სახლის ოთახში, რომელიც მუდამ მზად იყო სტუმრების მისაღებად.

კოპწიად მორთულ პატარა ოთახში, რომელიც ვენეციურ სხვადასხვა სურათებით იყო მორთული, იდგა პატარა კოხტა



საწოლი და მაგიდა, რომელზედაც წყლით სავსე გრაფინა იდგა. სარკის წინ მაგიდაზე იდგა მისი დიდი ჩემოდანი, დანაც მოსჩანდა ნესესერი და წიგნები: რუსული — „ავანკობის კანონების გამოკვლევის ნიმუში“ და ამ გეარისავე შინაარსისა, ერთი გერმანული და ერთი ინგლისური. უნდოდა სოფელში მგზავრობის დროს თავისუფალ დროს წაეკითხნა ეს წიგნები, მაგრამ ახლა, როცა გადაჰხედა ამ წიგნებს, თავი გაიქნია. ახლა სულ სხვა საქმე ჰქონდა გასაკეთებელი.

ოთახის ერთ კუთხეში იდგა ძველებური საფარძელი. ამ საფარძლის დანახვამ დედის საწოლ ოთახში მოულოდნელი გრძნობა აღუძრა ნებლიუდოვს. უცბად თითქოს დანანდა ყველაფერი: სახლი, რომელიც უპატრონობისა გამო აღრე ჩაინგრეოდა, ბალი, რომელიც მოუვლელობისა გამო სულ გაფერანდებოდა, ტყე, რომელიც სულ გაიჩეხებოდა, და შენობები, მანქანები, ძროხები და ცხენები, რომელთა მოვლა-პატრონობასაც დიდი შრომა მოუწია. წინად თუმცა საადვილოდ მიაჩნდა ყველა ამებზედ ხელის აღება, მაგრამ ახლა კი მისდაუნებურად დანანდა; დანანდა აგრედვე მიწების გაცემაცა და შემოსავლის ნახევარიც, რომელიც ახლა ძალიანა სჭირდებოდა, და საძნელოდ ეჩვენა. ნებლიუდოვი ფიქრებმა გაიტაცა. დიდი სისულელე იქნება ყველაფერზე ხელი ავიღო და გლეხებს ჩაეღყარო ხელშიო, — იფიქრა.

„მიწას არ უნდა ვისაკუთრებდე; როცა აღარ მექნება, მაშინ ველარც ამოდენა ოჯახს ვავეუძლევები. ამას გარდა, მე ახლა ციმბირში უნდა წავიდე და არც სახლ-კარი და არც მამული ჩემთვის საჭირო არ არის“, — ჩასძახოდა ერთი ხმა. — „ესთქვით კარგი, — ეუბნებოდა მეორე ხმა, — მოსაწონია ასეთი ქცევა, მაგრამ მთელს შენს ცხოვრებას ხომ ციმბირში ვერ გაატარებ? თუ კოლი შეირთე, ხომ შეიღებები გეყოლება? და როგორც შენ მიიღე მამულები, იმათაც აგრედვე უნდა გარდასცე; ასეა წესი. გაცემა, განადგურება ყველაფრისა, ძალიან ადვილია, შეძენა კი — ძნელი. ჯერ კარგად უნდა გაი-



თვალისწინა შენი მომავალი ცხოვრება, თუ რას აპირებ მომავალში, და ისე უნდა მოექცე შენს საკუთრებში, როგორც შენთვის უმჯობესი იყოს. შემდეგ—წესიერად იქცევი შენის სინიღისის წინაშე, როცა ხალხისთვის საკეთე გსურს მარტო იმიტომ, რომ სახელი მოიპოვო მათს თვალში? — ეკითხებოდა თავის თავს ნებლიულოვი და არ შეეძლო არ ეთქვა, რომ ხალხის მიტქმა-მოტქმას მისს მოქმედებაზე დიდი გავლენა ჰქონდა; რამდენსაც მეტსა ჰფიქრობდა, იმდენად მეტს ეკითხებოდა თავის თავს და უშეტესობა უპასუხოდ დასტოვა. რათა ეს ფიქრები თავიდან მოეშორებინა, ნებლიულოვი ჩაწვა მშვენიერს ქვეშაგებში, მაგრამ დიდხანს ვერ დაიძინა. გაღებულ სარკმელში გაბადრული მთვარე კვკლუცად აციმციმებდა თავის მკთალს სხივებს. ბაყაყებს საუცხოვო კონცერტი გაეპართათ. იქვე ახლოს ბულბულიც არაკრავებდა მშვენიერს სიმღერას. ბაყაყების ყიყინმა და ბულბულის ტკბილმა ვალობამ მოაგონა ნებლიულოვს სატუსალოს უფროსის ქალის მუსიკა. სატუსალოს უფროსის მოგონებაზე მასლოვის ქალიც თვალწინ დაუდგა მთრთოლვარე ტუჩებითა და მოაგონდა მისი სიტყვები: „სულ დაანებეთ ამას თავიო“. შემდეგ წარმოუდგა, ვითომ გერმანელი, მისის მამულების მოურავი, ჩავიდა ბაყაყებთან, უნდოდა გაეჩერებინა, მაგრამ არამც თუ გააჩერა, მასლოვის ქალადაც კი გადაიქცა და დაუწყო ყვედრება: „მე საკატორლე ვარ და შენ კი თავადაო“. „არა, არ დაგნებდები“, — იფიქრა ნებლიულოვმა, გაიღვიძა და თავს ძალა დაატანა, რომ არ ჩასძინებოდა, და დაეკითხა თავის თავს: „კარგად ვიქცევი თუ არაო?“ — არ ვიცი, ხვალ შევიტყობ!.. ჩქარა ნებლიულოვიც იქითკენ წავიდა, საითკენაც მოურავი და მასლოვის ქალი წავიდნენ, — და იქ ყველაფერი გათავდა...

II

54
 მეორე დღეს ნებლიულოვმა დილის ცხრა საათზედ გაიღვიძა. ახალგაზა მოურავმა დაინახა თუ არა, რომ ნებლიუ-



დოვი გაინძრაო, საჩქაროდ მიუბრუნინა სარკესავით დაწინააღმდეგებელი დილი ბათინკები და წყაროს ცივი წყალი პირის დასახსნად და მოახსენა: გლეხები უკვე შეიკრიბნენო. ნებლიუდოვი წამობტა ლოგინიდგან. გუშინდელი ფიქრი, რომ ხელს ვიღებ ჩემს ქონებაზე და გლეხებს ვუყრი ხელშიო, სრულიად გაჰქრა. დღეს მშვენიერს გუნებაზედ იყო, რომ ასეთ კეთილ საქმეს ასრულებდა, და სწრაფად ტანზედ ჩაცმა დაიწყო. ოთახიდან თვალნი მოჰქრა, როგორ იკრიბებოდნენ. მოედანზე გლეხები. ბაყაყები ტყუილად არ ყიყინებდნენ. დილიდგანვე დაუშვა ეუფუნა წვიმა და ლამაზ მარგალიტებივით ჩამოიკინწლა ხის ფოთლებზე. ნებლიუდოვმა ტანზე ჩაცმის დროს რამდენჯერმე გაიხედა სარკმელში და გადაჰხედა, როგორ იკრიბებოდნენ გლეხები: კანტი-კუნტად მოდიოდნენ, ერთმანეთს სალაშს აძლევდნენ და საერთო ბაასი ჰქონდათ გამართული. მოკლე პიჯაკში გამოწყობილმა მოურავმა მოახსენა ნებლიუდოვს, გლეხები უკვე შეიკრიბნენ და გიცდიან, სანამ ყავას ან ჩაის მიირთმევთო.

— არა, უმჯობესია ახლავე წაეღო, — სთქვა ნებლიუდოვმა და რალაც გამოურკვეველი შიში იგრძნო, რომ გლეხებთან უნდა ელაპარაკნა.

ნებლიუდოვი მიდიოდა გლეხების სურვილის შესასრულებლად, რომელსაც თავის დღეში ვერ იფიქრებდნენ ისინი. ნებლიუდოვს უნდა მიეცა გლეხებისათვის იაფად მიწები და იცოდა, რომ ეს კეთილი საქმე იყო, მაგრამ ამავე დროს საშინლად სცხვენოდა, მაგრამ რისა, ეს კი ვერ გამოერკვია. როცა გლეხებთან მივიდა და უცბად დაინახა ქერა, ხუჭუქთმიანი, მელოტი და ქალარა თავები, ისე დაიბნა, რომ დიდხანს ხმა ვერ ამოელო. წვიმა წინანდებურად ცვარავდა და გლეხების თმასა და წვერზე წვეთ-წვეთად იღგა და ბრილიანტივითა ჰბრწყინავდა. გლეხები მისჩერებოდნენ ბატონს და უცდიდნენ რას გვეტყვისო, ნებლიუდოვი კი ისე აირია, რომ ენა დაემა და ვერაფერი ეთქვა. სიჩუმე დაარღვია გერმანელ-



მ
ა მოურავმა, რომელიც გლეხების ყოველ წვერილსავე
დნელ სთვლიდა თავის თავს და მშვენიერად, თავისუფლად ლა-
პარაკობდა რუსულად.

— თავადს კეთილი საქმე სურს თქვენთვის: უნდა მოგ-
ცესთ მიწები, მაგრამ თქვენ მაგის ღირსნი არა ხართ,—
სთქვა მან.

— როგორ თუ ღირსნი არა ვართ, ვასილ კარლოვიჩ?!
განა ჩვენ თქვენთან არ ვმუშაობდით? ჩვენ დიდად კმაყო-
ფილნი ვართ განსვენებულის ქალბატონისა და მადლობას
ვსწირავთ ახალგაზნდა თავადს, რომ უყურადღებოდ არა
გვტოვებს.

— საყვედურს ვერ ვიტყვით ბატონზე, მხოლოდ ეს სი-
ვიწროვე კი... ძალიან ვიწროდა ვსცხოვრობთ და გვიჭირს,—
სთქვა მეორემ, პირ-ფართე დიდ-წვერა გლეხმა.

— მეც იმიტომ მოვედი და, თუ თქვენი სურვილიც
არის, მინდა მოგცეთ მთელი მამული, — წარმოსთქვა ნებლიუ-
ლოვმა.

— რა განზრახვით გვაძლევთ? — სთქვა ერთმა შუა ხნის
გლეხმა.

— იმ განზრახვით, რომ ცოტა საფასით ისარგებლოთ.

— სამაგალითო საქმეა, — სთქვა ერთმა მოხუცმა გლეხმა.

— მაგრამ საქმე იმაშია, ქირის გადახდას შევიძლებთ? —
სთქვა მეორემ.

— რატომაც არ უნდა ავიღოთ მიწა?

— ჩვენთვის ჩვეულებრივი საქმეა, — მიწისგან ვიკვებებით!

— თქვენ კი თავისუფალი იქნებით; ოღონდ ფული
აიღოთ და სხვა არაფერი! ბოროტებას კი რამდენს ჩაიდენტ... —
მოისმა აქე-იქიდან ხმები.

— ბოროტებას თქვენ თვითონ ჩადიხართ, — სთქვა მოუ-
რავმა: — რომ გემუშავნათ და წეს-რიგი დაგეცვათ, ხომ უმჯო-
ბესი იქნებოდა!

— არ შეუძლიან ჩვენისთანა ბეჩაე ხალხს, ვასილ კარ-



ლოეი, — უთხრა ცხვირ-წვეტიანმა მოხუცმა გლეხმა მისთვის ამბობ, ცხენი რად შემოაუშვით პურშიო! მერე და მისთვის მოაუშვია? მე დღე და ღამ მთელის წლის განმავლობაში წელლებზე ფეხს ვიდგამ და კიდევ მშიერი ვარ, შენ კი ბელლები და საბზლები სავსე გაქვს და კიდევ მე მაძრობ ტყავს.

— წეს-რიგი უნდა დაგეცეთ.

— რა გიშავს, ილაპარაკე: წეს-რიგია! რომ აღარა მაქვს ღონე ამ წეს რიგის დაცვისათვის? — გაჯაგრებით წარმოსთქვა შავ-წვერა გლეხმა.

— აკი გითხარით, ღობე შემოაეღეთ-მეთქი.

— მერე ტყე მოგვეცი? — დაიწყო დაბალმა გლეხმა: — მინდოდა ზაფხულში შემეღობა; ორი წკებლა მოვკერი ტყეში და შენ კი სამის თვით ციხეში დამალპე მკბენარებისა და რწყილების შესაქმელად. მოდი და შელობე ახლა!

— რას ამბობს? — ჰკითხა ნებლიუდოვმა მოურავს.

— Der erste Dier im Dorfe, — უთხრა ნებლიუდოვს გერმანულად მოურავმა: — ყოველ წელიწადს ტყეში იჭერენ, — და მიუბრუნდა მოლაპარაკე გლეხს: — იცოდე, რომ სხვის საკუთრებას პატივი უნდა სცე.

— დიად, მაგრამ შენ პატივს არა გცემთ? — სთქვა მოხუცმა გლეხმა, — არ შეიძლება, რომ ჩვენ პატივი არა გცეთ, რადგან ყველანი შენს ხელში ვართ და ჩვენგან-კი შენ თოქსა ჰგრებ.

— დიად, არაფერს არ დაგიშავებს, თქვენ რომ არ აწუხებდეთ სხვას.

— როგორ არა — არ დაგვიშავებთ! ზაფხულში უბა მომატერიეთ და შეგრჩათ კიდევ. მდიდრებთან სამართალს რომ აღარაფერი ძალა აქვს, ცხადია!

— შენც კანონიერად მოიქეცი და ის იქნება.

გაიმართა საერთო კამათი, მაგრამ არც ერთმა კი არ იცოდა, ვისთვის ან რისთვის იყო ეს საჭირო.

ნებლიუდოვი დაფაცურდა ჩქარა გაეთავებინა საქმე, დაენიშნა ფასი და გადახდის ვადაც დაედვა.



— მაშ, მიწის შესახებ რას იტყვი? გნებავს თუ არა?
და რა ფასს მომცემთ ყველა მიწებში? გნებავს თუ არა?
გნებავს თუ არა?

— მამული თქვენია, თქვენ დაარქვით ფასი.

ნებლიუდოვმა დანიშნა ფასი. თუმცა ნებლიუდოვის ფასი ბევრად ცოტა იყო იმასთან შედარებით, რასაც სხვა გლეხები იხდიდნენ, მაგრამ გლეხებმა მაინც დაიწყეს ვაქრობა. ნებლიუდოვს ეგონა, ჩემს წინადადებას სიხარულით მიიღებნო, მაგრამ მოსტყუვდა. ნებლიუდოვი მხოლოდ მაშინ მიჰხვდა, რომ მისი წინადადება სისარგებლო იყო გლეხებისთვის, როდესაც მის მიერ აღძრულმა საგანმა იმის თაობაზედ, თუ ვინ აიღებდა მიწას: ამხანაგობა თუ მთელი საზოგადოება, — დიდი კამათი გამოიწვია შეძლებულ და შეუძლებელ გლეხთა შორის; შეძლებულთ არ უნდოდათ შეუძლებელთა ამხანაგობა. ბოლოს, როგორც იქნა, მოურავის საქმეში ჩარევით დანიშნეს ფასი, დასთქვეს ფულის გადახდის ვადა და გლეხებაც ყაყანი გაემართნენ თავიანთ სახლისაკენ. ნებლიუდოვი კი დაბრუნდა კანტორაში მამულის გაცემის პირობათა შესადგენად.

ყველაფერი ისე მოეწყო, როგორც ნებლიუდოვს უნდოდა: გლეხებმა აიღეს მიწა 30 პროცენტით ნაკლებ ფასად, ვიდრე გარშემო სოფლების გლეხებსა ჰქონდათ; მიწის შემოსავალი სანახევროდ შემცირდა, მაგრამ მაინც საკმაო იყო ნებლიუდოვისათვის, რადგან ამ ფასებს მიემატებოდა გაყიდულის ტყისა და ნივთების ფასიც. თითქოს ყველაფერი მშვენიერად გათავდა, მაგრამ ნებლიუდოვი მაინც რაღაც დალონებული და დარცხვენილი იყო. აშკარად ჰხედავდა, რომ თუმცა ზოგიერთი გლეხები მადლობას უცხადებდნენ, მაგრამ საერთოდ ყველა მაინც რაღაც უკმაყოფილო იყო და უფრო დიდ რასმე მოელოდნენ. ჰგრძნობდა, რომ ბევრი მოიკლო და გლეხების გული კი მაინც ვერ მოიგო.

მეორე დღეს პირობაზედ მოაწერეს ხელი. ნებლიუდოვი ჩაჯდა მოურავის ეტლში და დალონებული, რომ კიდევ რა-

ლაც გაუკეთებელი დარჩა, წავიდა რკინის გზის სადგურისაკენ. უკმაყოფილო იყო თავის თავისა, ხოლო რისთვის, ეს უნდა იცოდეს იცოდა.



III

კუზმინსკიდგან ნებლიუდოვი პირდაპირ იმ მამულში წავიდა, რომელიც დედებმა დაუტოვეს და სადაც პირველად ნახა კატო. ამ მამულის საქმეც ისე უნდოდა მოეწყო, როგორც კუზმინსკისა: უნდა მიეცა გლეხებისთვის მიწა; გარდა ამისა, უნდოდა შეეკრიბა ცნობები კატოს შესახებ და გაეგო, მართლა მოკვდა ბავშვი თუ არა, ან როგორ მოკვდა. დილაადრიანად მივიდა პანოვოში და საშინლად გაოცდა, როცა იქაურობა მინგრეულ-მონგრეული დაინახა. სახლი, სადაც ისე ტკბილად გაატარა ის ზაფხული, რომელიც აღმოუფხვრელად დარჩა მის ხსოვნაში, სიძველის გამო გვერდზე გადმოხრილიყო, თუნუქის სახურავი ეანგისგან გაწითლებულიყო და აქაიქ ქარს აეგლიჯა. აივანი წინაც და უკანაც დამპალიყო და ჩანგრეულიყო, მხოლოდ მოაჯირი-ღა იყო გაბობორიკებული; სარკმლებში მინების მაგიერ ზოგან ფიკრის ნაქრები იყო ჩასმული. მხოლოდ მარტო ბაღს შერჩენოდა წინანდელი სახეხეები გაზრდილიყო და, ფერად ყვავილებით მორთულ-მოკაზმული, საუცხოვო სანახავი იყო. სირინოზის ბუჩქი ისევ ისე ჰყვავოდა, როგორც ამ 14 წლის წინად, როცა, ჯერ კიდევ 28 წლის ყმაწვილი, კატოსთან ერთად გარბოდა და თამაშობის დროს დეცა და ქინქარმა დასუსხა. ფართო ფოთლებიანი ხე, რომელიც სოფიო ივანოვნამ ჩარგო სახლის ახლოს, ახლა ვეებერთელა გამხდარიყო. მდინარეს ნაპირებიდგან გადმოველო და აქაფებული მიექანებოდა წისქვილისკენ დაბლობზე. მდინარის გაღმა მინდორზე გლეხების ოთხ-ფეხი საქონელი სძოვდა. მოურავი, რომელიც სემინარიიდან იყო, ღიმილით შეეგება ნებლიუდოვს ეზოში, ღიმილითვე შეუძღვა კანტარაში და გაღიმებული, თითქო ამ ღიმილით რაღასაც უქადის ნებლიუდოვსაო, გავიდა გარედ. რაღაცა იჩურჩულეს და ჩა-



ჩემდენ. ნებლიუდოვმა ცოტაოდენი ფული აჩუქა მეეტლეს, რომელმაც მადლობა გადაუხადა და წავიდა. იქაურებმა სიხარულით მემ მოიკცა. ცოტა ხნის უკან სარკმელს ახლო გაირბინა ფეხ-შიშველა გლეხის გოგამ, მას შემდეგ გაირბინა გლეხმა, რომელსაც დიდრონი წაღები ეცვა.

ნებლიუდოვი მიუჯდა სარკმელს და დაუწყა იქაურობას თვალიერება. სარკმელში გაზაფხულის სიო შემოდინოდა. მდინარეზე განუწყვეტლივ ისმოდა „ტრა-პა-ტაპ, ტრა-პა-ტაპ“ — ქალების სატყეპელის ხმა.

უცბად ნებლიუდოვს მოაგონდა, რომ ოდესღაც, როცა ჯერ ისევ ყმაწვილი იყო, ესმოდა ამგვარი ხმა მდინარიდგან. მოაგონდა, რომ იმ დროს სიცოცხლით სავსე ახალგაზნდა იყო და საოცნებო მომხივალს მოელოდა; მოაგონდა ყველა ეს და საშინლად დალონდა, რადგან ახლა ვერაფერ სასუფეშოს ჰხედავდა ცხოვრებაში.

— როდის მიირთმევთ საუზმეს? — ჰკითხა მოურავმა ლიმილით.

— სულ ერთია, როცა იქნება. ჯერ კი სოფელში წავალ და მოვივლი.

— სახლის დათვალიერება ხომ არა გნებავთ? იქ ყველაფერი რაგზე მაქვს. ინებეთ დათვალიერება, ან გარედან....

— არა, მერე იყოს. ახლა ეს მითხარი, გეთაყვა: თქვენთან აქ ქალი არის — მატრონა ხარინა? კატოს დეიდა რომ იყო?

— როგორ არა, სოფელშია და ისეთი როკაპი რამ არის, რომ ვერაფერი გავაწყვეთ მასთან. მულამ ველაპარაკები, მაგრამ ვერაფერი გავაზიგე; ოქმი რომ შეეუდგინო — მეცოდება, მოხუც დედა-კაცია და თან შეილის-შეილებიცა ჰყავს, — უთხრა მოურავმა ლიმილით, თითქო ამით უნდა ნებლიუდოვს ასია-მოენოსო.

— სადა სცხოვრობს? მინდა მასთან მისვლა.

— სოფლის ბოლოზე, იქითა მხრიდან, მესამე ქობში. მარცხნით აგურის ქობია და მის უკან იმისი ქობმახი სდგას. თუ გნებავთ, მე თვითონ მიგაცილებთ იქამდე, — სიხარულით უთხრა მოურავმა.



— არა, გმადლობთ, მარტო წავალ; თქვენ-კი, გეთაყუბო, შეატყობინეთ გლეხებს, რომ შეიკრიბნენ; მინდა მიწის მშენებლებს მოველაპარაკო, — უთხრა ნებლიუდოვმა. უნდოდა ისე გაეთავებინა საქმე, როგორც კუზმინსკში და, თუ მოხერხდებოდა, ამ საღამოსვე.

IV

გამოვიდა თუ არა ეზოდან, ნებლიუდოვი შეეფეთა ფეხ-შიშველა გლეხის გოგოს, რომელიც მარცხენა ხელს ძალზე აპანტურებდა სიარულის დროს და მარჯვენათი მაგრად ჩაებლათუქებია წითელი მამალი, რომელიც, თითქოს დამშვიდებულიაო, თავის შავ ფეხებს ხან მალა აიწვედა და ხან ძირს დაუშვებდა. გოგომ დაინახა თუ არა ბატონი, უკლო სიარულს, წყნარის ნაბიჯით მოუახლოვდა, მდაბლად თავი დაუკრა და, როცა ცოტათი გამოშოდა, სირბილით გაუდგა გზას. ჰის ახლოს ნებლიუდოვი შეხედა ბებერ დედა-კაცს, რომელიც წელში სამიდ მოხრილიყო და ძლივს-ძლივობით მიჰქონდა წყლით სავსე დოქები. დედა-კაცმა ფრთხილად დასდგა დოქები და პატარა გოგოსავით მდაბლად თავი დაუკრა. ჰის იქით სოფელი იწყებოდა. მოწმენდილი დღე იყო და სიციხე იდგა; თუმცა ხან-და-ხან ლურბლები ეფარებოდა მზეს, მაგრამ 10 საათზედ მაინც საკმაოდ დაცხა. ქუჩაში მყრალი სუნი იდგა, რადგან აქა-იქ ეზოებში ნაგავი გაეშალათ. ძონძებში გახვეული გამურული გლეხები, რომელთაც ურმები მიჰყავდათ, შურით უყურებდნენ მალალ-მალალ, ჩასუქებულ ბატონს, რომელიც სოფლისკენ მიდიოდა მძიმე ნაბიჯით. მინდვრიდგან მომავალი გლეხები ზიარინებდნენ ცარიელ ურემს და გაოცებულნი მიშტერებოდნენ უცხო კაცს, რომელიც იმათს ქუჩაზედ მიდიოდა; დედა-კაცები გამოვიდნენ ქუჩაში და ერთი-მეორეს უჩვენებდნენ ნებლიუდოვზე და თვალებით აცილებდნენ.

მეოთხე ჰიშკართან ნებლიუდოვი შეაჩერა სასუქით დატვირთულმა ურმებმა, რომელიც ეზოდგან გამოჰყავდათ. ურ-



მებს ექვსის წლის ფეხშიშველა ბავშვი მოსდევდა, ცხუნვებდა, ახალგაზდა გლეხი მოერეკებოდა. მეორე ურემსი მისსტყვიდა მოხუცი კაცი, ისიც ფეხშიშველა. როცა ურემები გავიდნენ სწორე გზაზე, მოხუცი მობრუნდა უკან და ნებლიუდოვს მდაბლად თაფი დაუკრა.

— ჩვენის ბატონიანთ ქალების დისწული უნდა იყოს?

— დიად, დიად!

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება. იმიტომ მობრძანდით, რომ გაიგოს ჩვენი ამბავი?— შეეკითხა მოხუცი.

— დიად, დიად! რასა იქო, როგორა სცხოვრობო?— უთხრა ნებლიუდოვმა.

— როგორ უნდა ვსცხოვრობდეთ, ძალიან ცუდად!— თითქოს სიამოვნებით უბასუბა მოხუცმა.

— რატომ სცხოვრობო ცუდად?— ჰკითხა ნებლიუდოვმა და ჰისშარში შევიდა.

— აბა, რა ცხოვრებაა ჩვენი ცხოვრება? საძაგელი ცხოვრებაა, — უთხრა მოხუცმა და გაჰყვა ნებლიუდოვს. ნებლიუდოვი მოხუციითურთ შევიდა ალაყაფის კარებში.

— აი, იქ თორმეტი სული სარჩენი მყავს, — განაგრძო მოხუცმა და ორ დედა-კაცზე მიუთითა, რომელნიც, ორთითით ხელში, ნებვით გათხუზულნი იდგნენ სანებევზე. — რამდენიც თვე გადის, იმდენი წ ფუთი უნდა ვიყიდო... საიდგან ვიშოვნო?

— განა საკუთარი არა გყოფნის?

— საკუთარი? — მწარე დაცინვის კილოთი შეეკითხა მოხუცი, — მე მთლად სამის სულის სამყოფი მიწა მაქვს და წელს კი მხოლოდ 8 კონა მოვაგროვებო. შობამდეც არ მიგვყოლია!...

— მაშ, ეხლა რას აპირობო?

— იმას, რომ ერთი მოჯამაგირედ დავაყენე და თქვენჯანაც ცოტაოდენი ფული მივიღე. რაც მქონდა, სულ მოვრჩით და გარდასახადი კი ჯერაც გარდაუბდელია.



ქართველთა
წიგნების კავშირი

— რამდენია ვარდასახადი?

— ჩვენს ეზოს 17 მანათი ჰხედება და სამზედ უფროა. იყოს. ოპ, ღმერთო! ასეთ ცხოვრებას სიკვდილი სჯობიან. განა ასატანია ასეთი ძალღუობი ცხოვრება?

— შეიძლება თქვენს ქობში შემოვიდეთ?—ჰკითხა ნებლი-
ულდოვმა, წინ გასწია, გაიარა გაწმენდილი ალაგი და შესდგა
ფეხი ჯერ კიდევ სულ უშლივლ, გადაუბრუნებელ ნებზე, რო-
მელიც ზაფრანასავეთ ყვითელი იყო და მთლად აყროლებდა
იქაურობას.

— რატომაც არა, მობრძანდით!—უთხრა მოხუცმა, ჩქა-
რის ნაბიჯით გაუსწრო წინ და ქობის კარები გაუღო.

დღეა-კაცებმა თავსახვევები მოიძრეს თავიდგან, კაბა ჩა-
მოაუშვეს და შეშინებულნი უცქეროდნენ ბატონს, რომელსაც
პალტოს სახელოვებზედ ოქროს ფოლაქები ჰქონდა და რო-
მელიც მათს სახლში შედიოდა.

ქობიდან გამოვიდა პერანგის ამარა ორი პატარა გოგო.
ნებლიულდოვმა ქუდი მოიხადა, დაიხარა და ძლივს-ძლივობით
შევიდა დაბალს, მყარლსა და ბინძურს ქობში. ლუმელთან
იღვა ბებერი დედა-კაცი, რომელსაც დაემკლავებინა თავისი
გამხმარი ხელები.

— აი, ჩვენი ბატონი გვესტუმრა!—სთქვა მოხუცმა კაცმა
და სახლში შეუძღვა.

— მობრძანდით, დიდად სასიამოვნოა!—სთქვა მოხუცმა
დედა-კაცმა.

— მინდოდა მენახა, როგორა სცხოვრობთ!—უთხრა ნე-
ბლიულდოვმა.

— ვსცხოვრობთ ასე, როგორცა ჰხედავთ. საცაა, ქობი
წაიქცევა; ნეტა არავის გასჰყლეთდებ და მოჰკლავდეს, თორემ
სხვას ვინა სჩივის. ეს ჩემი ბებერი კი ამბობს, ესეც კარგიაო. აი,
ასე ვსცხოვრობთ, ვმეფობთ რაღა!—ამბობდა მოხუცი დედა-
კაცი:—ახლავე სადილს შევუდგები. მუშა ხალხს უნდა ვაქამო...

— რაღა სჯამთ სადილად?

— რასა ვქამთ? საქმელი კარგია. პირველი კერძი პური და კვასია, მეორე—კვასი და პური,—უპასუხა მოხუცმა დედა-კაცმა და თავისი დაბლაგული კბილები დაკრიჭა.

— არა, ხუმრობა იქით იყოს, მიჩვენეთ, რასა სქამთ დღეს სადილად.

— რასა ვქამთ?—სიცილით უთხრა მოხუცმა გლეხმა,— ჩვენი საქმელი ძნელი გამოსაცნობი არ არის. აჩვენე, ბებერო!— მიუბრუნდა მოხუც დედა-კაცს.

მოხუცმა დედა-კაცმა თავი ჩაიქნია.

— ჩვენებურ, გლეხურ საქმელის ნახვა ვსურთ? საკვირველი კაცი ყოფილხართ, ბატონო! ყველაფრის გაგება გინდათ. ვითხარით პური და კვასი-მეთქი და კიდევ შჩი, შემდეგ კარტოფილი. ეს არის სულ.

— მეტი არაფერი?

— მეტი რა უნდა იყოს. შევათეთრებთ ცოტათი რძით,— სთქვა დედა-კაცმა, გაიცინა და კარებისკენ გაიხედა.

კარები ღია იყო და დერეფანი ხალხით გაქედლი იყო. ბიჭები, გოგოები და დედა-კაცები ძუძუმწოვარა ბავშვებით ერთი-მეორეს აწევბოდნენ კარებისკენ და გაოცებულნი უცქეროდნენ საკვირველ ბატონს, რომელიც გლეხის საქმელს სინჯავდა. მოხუცი დედა-კაცი უთუოდ ამაყობდა, რომ ბატონს შესაფერად ექცეოდა.

— დიად, თქმა აღარ უნდა, ცუდია, ცუდი, ბატონო, ჩვენი ცხოვრება,—უთხრა მოხუცმა გლეხმა:—ვი, სად მოძარებთ?!—დაუყვირა მან კარებში მდგომთ.

— ნახვამდის!—უთხრა ნებლიუდოვმა და თავისდა უნებურად შერცხვა, თუმცა სირცხვილის მიზეზი კი ვერ აეხსნა.

— დიდად გმადლობთ, რომ გვინახულეთ,—უთხრა მოხუცმა გლეხმა.

დერეფანში მდგომმა ხალხმა გზა მისცა. ნებლიუდოვი გავიდა გარედ და შეჰყვა სოფლის ზემოდ. გავიდა თუ არა,



დერეფნიდგან გამოვიდა ორი პატარა პერანგის ამარა ბიჭი და გამოუდგნენ უკან. ნებლიუდოვმა მოუხებდა.

— ახლა სად მიდიხარ?—დაეკითხა თეთრ-პერანგიანი ბავშვი.

— მატრონა ხარინასთან, —უთხრა ნებლიუდოვმა, —იცი თუ სადა სდგას?

ვარდის ფერ პერანგიანმა პატარა ბავშვმა რაღაზედაც გაიცინა, უფროსმა კი დინჯადა ჰკითხა.

— რომელი მატრონა? ბებერია?

— ჰო, ბებერია.

— ოოო!—გაჰიანურებით წარმოსთქვა მან, —სიმონაანთ მატრონას ამბობს; ვიცი, სოფლის ბოლოზე სდგას; ჩვენ გაგაცილებთ. თედო, აბა, გაგაცილოთ.

— ცხენები?

— არა უშავს-რა!

თედო დასთანხმდა და სამნივე გაუდგნენ გზას.

†

ნებლიუდოვი ბავშვებთან უფრო თავისუფლად ჰგროძობდა თავს, ვიდრე დიდებთან და გზა-და-გზა დაუწყო მუსიკა. ვარდის ფერ პერანგიანმა პატარა ბიჭმა დაანება სიცილს თავი და ახლა ჰკუიანად და დალაგებით დაიწყო ლაპარაკი.

— აბა, მითხარით, ვინ არის თქვენში ყველაზე უფრო ღარიბი, —დაეკითხა ნებლიუდოვ.

— ვინ არის ღარიბი? მიხეილია ღარიბი, სიმონ მაკაროვი და კიდევ მართა.

— ანუსია? ის ხომ ყველაზე უფრო ღარიბია? ძროხაც კი არა ჰყავს!—სთქვა მეორემ.

— ძროხა არა ჰყავს, მაგრამ სამნი არიან და მართას კი ხუთი სული ჰყავს შესანახი, —სთქვა უფროსმა.

— კი, მაგრამ ის რომ ქვრივია?—სთქვა უმცროსმა.

— შენ ამბობ ანუსია ქვრივიაო; მართაც ხომ ქვრივზედ



უარეს მდგომარეობაშია, — განაგრძო უფროსმა, — რაკი ქმარი აქ არა ჰყავს — ქვრივია.

— სად არის ქმარი? — ჰკითხა ნებლიუდოვმა.

— სატუსალოში ტილებსა ჰკვებავს! — უპასუხა უფროსმა ბიჭმა და იხმარა მათში შემოდებული ჩვეულებრივი გამოთქმა. — ზაფხულში ბატონიანთ მამულში ორი დერი ნეკერჩხალი მოსჭრა და აშიტომ ჩასვეს. მეექვსე თვეა იქა ზის. საწყალი დედა-კაცი წვლებზე ფხს იდგამს; სამი ბავშვი ჰყავს და ერთი კუტი ბებერი დედა-კაცი, — დალაგებით უამბობდა ბავშვი.

— სადა სცხოვრობს? — ჰკითხა ნებლიუდოვმა.

— აი, ამ ეზოში, — უთხრა ბიჭმა და იქვე ახლო სახლზე მიუთითა; სახლის პირდაპირ თავთეთრა პატარა ბიჭი იდგა ქუჩაში.

— ვასო, სად დაიკარგე, შე ქეციანო! — დაუყვირა ქალია, რომელიც ამ დროს სახლიდან გამოვიდა ტანთ-დაფლეთილი და, თითქო ნაცარი აყრიდა, ისე გათუთხნული კაბა ეცვა. გადაურბინა წინ ნებლიუდოვს, პიტაცა ბავშვი და გაარბენინა ქოხისკენ, თითქოს ეშინია, ნებლიუდოვმა არაფერი უყოს მისს ბავშვსაო.

ეს იყო იმ გლეხის ცოლი, რომელიც ნებლიუდოვის ტყეში ნეკერჩხლის მოჭრისათვის იჯდა სატუსალოში.

— მატრონაც ლარიბია? — ჰკითხა ნებლიუდოვმა, როცა მატრონას სახოს დაუახლოვდნენ.

— სადაური ლარიბია! ის არყით ვაქრობს. — გადაქრით უპასუხა პატარა ბიჭმა.

როცა ნებლიუდოვი დაუახლოვდა მატრონას ქოხს, გაუშვა ბიჭები და შევიდა პირდაპირ ქოხში. მატრონას ქოხი ძალიან პატარა იყო, ასე რომ ტახტზე, რომელიც ლუმელს იქით იდგა, ვერ გაიმართებოდა მოზრდილის ტანის კაცი: „მგონი თვით ამ ტახტზე მოლოგინდა საწყალი კატა“, — გაიფიქრა ნებლი-



უღოვმა. ნეხლიუღოვს ფეხ-და-ფეხ შეჰყვნენ ქობში დედა-კაცი
შვილის-შვილები და კარებთან გაჩერდნენ.

— ვინ გინდათ? — გაჯაკრებით ჰკითხა მოხუცმა დედა-
კაცმა რომელიც, ეტყობოდა, ვერ იყო დღეს კარგ გუნე-
ბაზედ.

— მე მემამულე ვარ. მინდოდა თქვენთან მოლაპა-
რაკება.

მოხუცი დედაკაცი დაჩუმდა და გაშტერებით დაუწყო
ყურება უცხო კაცს. ცოტა ხნის შემდეგ უცხად სახე გაუ-
ბიწყინდა.

— ახ, შენა ხარ, ჩემო მშვენიერო! მე სულელმა კი ვე-
ლარ გიციანი. მეგონა, ვილაც გამვლელია-მეთქი, — უთხრა მო-
ხუცმა დედა-კაცმა, — მაპატიეთ, ღვთის გულისათვის.

— როგორმე მარტოდ მოვილაპარაკოთ, თუ შეიძლება, —
უთხრა ნეხლიუღოვმა და კარებისკენ მოიხედა, სადაც იდგნენ
ბავშვები და მათ უკან გამხდარი დედა-კაცი ავადმყოფის
ბავშვით.

— რა ამბავია, კაცი არ გინახათ? რას უყურებთ? და-
მაკადეთ: მომეციოთ ჩემი ჯოხი! — დაუყვირა მოხუცმა დედა-
კაცმა კარებში მდგომთ. — მოხურეთ კარები.

ბავშვები მოშორდნენ კარებს და გამხდარმა დედა-კაცმა
მოხურა კარები.

— ვიფიქრე, ვინ უნდა იყოს მეთქი? თურმე ჩვენი ბა-
ტონი ყოფილა, ჩვენი მშვენიერი, — დაიწყო მოხუცმა დედა-
კაცმა. — აბა, სად შემობრძანდით, რატომ არ შეგეზარათ აქ
შემოსვლა? ოჰ, ჩემო ძვირფასო ბრილიანტო! აქ დაბრძანდით,
თქვენო ბრწყინვალეებავ, აი, აქ, — ეუბნებოდა ბებერი. — ვი-
ფიქრე, ვინ ეშმაკი შემოდის-მეთქი და აკი თვით თქვენი ბრწყინ-
ვალემა, კარგი ბატონი, მოწყალე, ჩვენი მარჩენალი ბრძანე-
ბულხართ. მაპატიეთ გამოსულელებულ ბებერ დედაკაცს. სწო-
რედ რომ დავბრმავდი!

ნეხლიუღოვი დაჯდა. დედა-კაცი გაჩერდა მის წინ, მარ-



ჯვენა ხელი ლოყაზე მიიღო, მარცხენათი მარჯვენას იდაყვი დაიჭირა და ისე დაიწყო მუსაიფი.

— მოხუცებულხართ კიდევ, თქვენო ბრწყინვალებაჲ! დაბრაწულ ვაშლივითა გქონდათ ლოყები და ახლა სადღაა? სიანს, თქვენცა გქონიათ რალაც საზრუნავი.

— მე აი, რის საკითხავად მოვედი: გახსოვს კატო მასლოვის ქალი?

— კატერინა! როგორ არ მახსოვს?!.. ჩემი დისწულია, როგორ არ უნდა მახსოვდეს? მერე რამდენი ცრემლები დაედვარე მისთვის. მე ხომ ყველაფერი ვიცი. ვინ არის, ბატონო, რომ ღმერთთან არ იყოს შემცოდე და მეფესთან დანაშაული. ახალგაზრდები იყავით და მოჰხდა ცოდვა, რა ვქნათ! უბატონოდ რომ დაგვეგდოთ კიდევ, ჰო, მაგრამ როგორ დაასაჩუქრე: ასი მანათი მიეცი და იმან კი რა ჰქნა? ჭკუიანად ვერ მოიქცა. ჩემთვის რომ დაეჯერებინა, მშვენიერად იცხოვრებდა. თუმცა ჩემი დისწულია, მაგრამ სიძარტლეს ვიტყვი, უჭკუო გოგოა. მშვენიერ ალაგზე დაეყენე, მაგრამ არ იქნა, ვერ შერჩა, გალანძლა ბატონი. განა ჩვენ ნება გვაქვს ბატონები ვლანძლოთ?! გალანძლა და ალაგიდანაც დაითხოვეს. შემდეგ ტყის მცველთან დადგა და შეეძლო ეცხოვრა, მაგრამ აღარც ის ალაგი ინდომა.

— ბავშვის ამბავი მინდოდა შეკითხნა. ბავშვი აქ ჰშობა ხომ? სად არის ბავშვი?

— ბავშვი? მე მაშინ, ბატონო, კარგად მოვიფიქრე. საწყალი ქალი ისე ცუდად იყო, რომ, თუ აღგებოდა, არ მეგონა; ბავშვი მოვნათლე, როგორც რიგი იყო, და აღსაზრდელ სახლში გავგზავნე. აბა, როგორ შეიძლებოდა ანგელოზის წვალება, როცა დედა სულსა ჰლევდა. სხვები ასე შერებიათ, რომ მიაგდებენ ბავშვს, არ აქმევენ და კვდება; მე ვიფიქრე: ასე არ შეიძლება-მეთქი და გავგზავნე აღსაზრდელად, ფული გვქონდა და გავგზავნეთ.



— ნომერი არა გქონდათ?

— არა გქონდა, მაგრამ ბავშვი მაშინვე მოკვდა. ქალი ამბობდა, როგორც კი მივიყვანე, მაშინვე მოკვდაო.

— ვინ იყო ის ქალი?

— ის ქალი სოფელ სკარდნოში სცხოვრობდა და მხოლოდ ამისთანა საქმეებს მისდევდა. სახელად მელანია ერქვა, ახლა ხან მოკვდა. ძალიან ჭკვიანი ადამიანი იყო. აი, როგორ იქცეოდა: როცა ბავშვს მიუყვანდნენ, ერთ ხანს სახლში სტოვებდა და აქმევდა. მანამდე აუ წაიყვანდა, სანამ რამდენიმე ბავშვი არ შეუგროვდებოდა. როცა შეჭრებდა სამს ან ოთხს ერთად, მიჰყავდა აღსაზრდელ სახლში. აკვანიც სამაგალითო ჰქონდა, ისე მართული, რომ ერთის მხრიდანაც აწვევდა ბავშვსა და მეორე მხრიდანაც. ხანდისხან ოთხს დააწვევდა ერთად და ისე მიჰყავდა ხოლმე.

— მერე?

— მერე ის, რომ კატოს ბავშვიც წაიყვანა. სანამ წაიყვანდა, ორი კვირა სახლში ჰყავდა თავისთან და წაყვანამდე აფად შეიქნა საბრალო.

— ბავშვი კარგი იყო?— ჰკითხა ნეხლიულოვმა.

— ისეთი ბავშვი იყო, ისეთი, რომ იმისთანა მეორე არ მინახავს. მთლიად შენა გგავდა!— უთხრა ბებერმა და თვალი უყრ ნეხლიულოვს.

— რად დასუსტდა ბავშვი, უჩუოდ რძეს ვერ აწოვებდნენ კარგად?

— წოვება კი არა და!! ცხადია, კარგად ვერ აწოვებდნენ, რადგან საკუთარი შვილი არ იყო; ოღონდ როგორმე ცოცხალი მიეყვანა და სხვას რას დასდევდა? ამბობდა, მოსკოვამდე ძლივს მივიყვანე და იქვე გათავდაო. მოწმობაც კი მოიტანა სიკვდილისა. ყველაფერი ისე მოახერხა, როგორც რიგი იყო. ჭკვიანი დედა-კაცი იყო,— დაუმატა დედაბერმა და გაჩუმდა. მხოლოდ ეს გაიგო ნეხლიულოვმა თავის ბავშვისა.



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

VI

ნებლიუდოვი გამოვიდა ქობის დაბალ კარებიდან და ვიდა ქუჩაში. იქ ბავშვები უცდიდნენ. იქვე თავი მოეყარა რამდენსამე ქალს ძუძუ-მწოვარა ბავშვებით და მათ შორის ის გამხდარი ქალიც იყო, რომელიც ქობის კარებთან იდგა; ხელში ძონძებში გახვეული ბავშვი ეჭირა. ბავშვი მეტის-მეტის სიგამხდრით მოხუცს უფრო წაგავდა, ვიდრე ნორჩ ყმა-წვილს, და ისე საცოდავად იღიმებოდა, რომ ნებლიუდოვის ყურადღება მიიქცია. ნებლიუდოვმა იკითხა, ვინ არის ის ქალიო.

— ეგ ის ანუსიაა, მე რომ გითხარი, — უპასუხა უფროსმა ბიჭმა.

ნებლიუდოვი მიუბრუნდა ანუსიას.

— როგორა სცხოვრობ? — ჰკითხა მან ქალს, — რასა სკამ?

— როგორა ვსცხოვრობ? ვსცხოვრობ ასე, ძალღ-უმაღურად, — უპასუხა ანუსიამ და ატირდა.

ბავშვმა საცოდავად გაიღიმა.

ნებლიუდოვმა ამოიღო ქისა და მისცა ქალს 10 მანათი. ვერც კი მოასწრო ორის ნაბიჯის გადადგმა, რომ მეორე ქალი გამოუდგა და დაეწია, იმას მიჰყვა ბებერი დედა-კაცი და კიდევ ერთი ქალი. შემოეხვივნენ და დაუწყეს მოწყალების თხოვნა. ნებლიუდოვმა დაურიგა ის 60 მანათი, რომელიც წერილად ჰქონდა ჯიბეში, და საშინლად დაღონებული დაბრუნდა სახლში. მოურავი ღიმილით მიეგება ნებლიუდოვს და მოახსენა, გლეხები საღამოზე შეიკრიბებიანო. ნებლიუდოვმა მადლობა გადაუხადა, სახლში არც კი შესულა, გავიდა ბაღში და დაიწყო სეირნობა; ჰფიქრობდა დღევანდელ ამბების შესახებ: ხალხი იხოცება, განდა ცხოვრების ისეთი ვითარება, რომელსაც შედეგად მოჰყვა ხალხის გაღატაკება და ამან გამოიწვია — ბავშვების სიკვდილი, ქალების გიღამეტებული შრომა, საქმელის უქონლობა, უმეტესად ბებრებისათვის — აი რა მდგომარეობაშია დღეს ხალხი. ხალხი თან-და-თან ეჩვენება ამ მდგომარეობას,



ვერა ჰხედავს სავსებით თავის საშინაო ყოფას და არც კი იხილის. ამიტომ ჩვენც გულგრილად ვუცქერით ამ ამბავს და ვხედავთ, რომ ბუნებრივი ამბავია და ასე უნდა იყოსო. ყოველივე ეს ისე ცხადი იყო მისთვის, რომ საშინლად უკვირდა, რატომ ვერ ჰხედავს ამას ხალხი, ან თვითონ მე რატომ ვერ ვამჩნევდი ამდენხანს იმას, რაც ასე დღესავით ნათელი და ცხადიაო. ცხადი იყო, რომ ბავშვები და ბებრები ურძეობით იხოცებოდნენ, რძე არა ჰქონდათ იმიტომ, რომ არ ჰქონდათ მიწა, საძოვარი, რომ საქონელი ეძოვებინათ და პური და თივა დაეთესათ. შეადგინა თავის გულში გეგმა, რომ გლეხებისათვის მიეცა მიწები ფასით, მაგრამ ისე, რომ აღებული ფასი ისევ გლეხებს მოხმარებოდა გადასახადისა და სხვა საზოგადო საქოროების გასაძღოლად. მისი განზრახვა ის იყო უმთავრესად, რომ კერძო საკუთრების უფლება უარ-ეყო.

როცა ნებლიუდოვი სახლში შევიდა, მოურავი მხიარულად მიეგება და თავისებურის ღიმილით სთხოვა, სადილი მიირთვიო.

სუფრაზე, სხვა საქმელებს შორის, თვით ისე ჩვენი ნაცნობი მამალიც იყო ჩამოორიგებული, რომელიც ისე საუცხოვოდ სწევდა ფეხს ხან ზევით და ხან ქვევით, და ახლა კი რამდენსამე ნაქრად იყო დაკეპილი. თუმცა მაინცა-და-მაინც გემრიელი არ იყო სადილი, მაგრამ ნებლიუდოვი ისე გატაცებული იყო დღევანდელ ამბით, რომ უგრძობლად ჰყლაპავდა ლუქმას ლუქმაზედ.

სადილს შემდეგ ნებლიუდოვმა გაუმელავენა მოურავს თავისი სურვილი მიწების დარიგების თაობაზედ. მოურავი ბებერ ცხენივით თავს აკანტურებდა და თავისებურად უღიმოდა ბატონს, თუმცა ნებლიუდოვის ლაპარაკისა არაფერი ესმოდა, იმიტომ კი არა, რომ ნებლიუდოვი ვერ უხსნიდა რიგიანად თავის განზრახვას, არამედ იმიტომ, რომ მისს გულსა და გონებაში მაგრად გაედგა ფესვები იმ აზრს, რომ ყოველი ადამიანი თავის სარგებლობისთვის უნდა სცდილობდეს, თუნდაც



ამას სხვისი დაღუპვა და გაქცევა მოჰყვეს შედეგადო. ასეთის აზრით მოურავმა, რასაკვირველია, ვერ გაიგო ნებლიუდოვის ხლიუდოვისა, რომელიც ეუბნებოდა, მიწებს გლეხებს ვაძლევ და მთელი შემოსავალი გლეხების საზოგადო თანხას უნდა მივმართოსო.

— მივხვდი! მაშ, ამ კაპიტალის პროცენტს თქვენ მიიღებთ? — უთხრა მან მთლად გაბრწყინვებულმა.

— რას ამბობთ? გაიგეთ და შეიტყეთ, რომ მიწებს მთლად გლეხებს ვაძლევ.

— მაშ, თქვენ შემოსავალი სულ აღარა გექნებათ? — შეეკითხა მოურავი და ჩვეულებრივი ღიმილი უცხად გაჰქრა მისს სახეზედ.

— დიაღ, უარს ვამბობ, როგორც შემოსავალზედ, ისე მთელ საკუთრებაზედაც.

მოურავმა ამოიოხრა და შემდეგ ისევ გაიღიმა. ახლა მიხვდა, რაშიაც იყო საქმე. მიხვდა, რომ ნებლიუდოვი სრულის ჭკუის პატრონი კაცი არ იყო და მაშინვე დაიწყო ნებლიუდოვის გეგმის ჩხრეკა, რათა თავის სასარგებლო რამ მანც ეპოვნა შიგა. მოურავი სცდილობდა ისე გაეგო გეგმა, რომ ცოტა რამ მანც ყოფილიყო მისი სასარგებლო.

როცა დარწმუნდა, ეგ ტყუილი იმეღიაო, თავი დაანება გეგმის გამორკვევას, მაგრამ, რომ მანც ესიამოვნებინა ნებლიუდოვისთვის, ისევ ღიმილი დაიწყო. ნებლიუდოვი მიხვდა, რომ მოურავმა ვერაფერი გაიგო მისი, დაანება თავი, თვითონ მიუჯდა მელნით გათხუზულ მაგიდას და დაიწყო თავისი გეგმის შედგენა.

მზე უკვე გადახრილი იყო, როცა ნებლიუდოვმა გაათავა წერა. დაუძაბა მოურავს და უთხრა, გლეხებს ნულარ დაუძაბებ, რადგან მე თვითონ წავალ სოფელშიო. წამოდგა, დალია საჩქაროდ მომზადებული ერთი ჭიქა ჩაი და წავიდა სოფელში.

VII



ქართული
წერეთლების
კავშირები

გლეხებს ნაცვლის ეზოში მოეყარათ თავი და ეტყვიან, რომ ვიღაცა დაიწყო დაიწყო, დაინახეს თუ არა ნებლიუდოვი მაშინვე, გაჩუმდნენ და, როგორც კუზმინსკში, აქაც სულ ყველამ ქუდები მოიშეღიპა. აქაური გლეხები კუზმინსკის გლეხებზე უფრო ღარიბნი იყვნენ, უმრავლესობას ქალამნები და შინ გაკეთებული ხიფთანი ეცვა. ზოგნი პირდაპირ ყანებიდან მოსულიყვნენ ფეხში შეელა და პერანგის ამარა.

ნებლიუდოვმა ძალა დაატანა თავს და დაიწყო ლაპარაკი; აუხსნა გლეხებს, რომ მამულები თქვენ უნდა მოგკეთო. გლეხები ჩუმად იყვნენ და ნებლიუდოვის სიტყვებმა არავითარი ცვლილება არ გამოიწვია მათ სახეზე.

— იმიტომ, რომ, ჩემის აზრით, — დარცხვენით განაგრძობდა ნებლიუდოვი, — ყველას უნდა ჰქონდეს მიწა და საარგებლობდეს.

— ოღონდაც, რომ აგრე უნდა იყოს! — მოისმა გლეხების ხმა.

ნებლიუდოვმა განაგრძო ლაპარაკი იმის შესახებ, თუ როგორ გაენაწილებინათ ერთმანეთ შორის მიწის მთელი შემოსავალი. ურჩია გლეხებს, აიღეთ მიწები და ის ფასი გადაიხადეთ, რომელსაც მე გადაგიწყვეტავთ, ისე კი, რომ გადახდილი ფული მთლად მიჰმატებოდა საზოგადო თანხას; ეს თანხა თქვენვე გამოიყენეთ თქვენდა სასარგებლოდ. მოისმა მადლობის სიტყვები და გლეხნი თან-და-თან უფრო ჩაფიქრდნენ; თვალები, რომლითაც ამდენ ხანს ბატონს მისჩერებოდნენ, ახლა ძირს დაიღეს, თითქოს არ უნდათ შეარცხინონ ნებლიუდოვი, რადგან მიუხედავად ეშმაკობასა და ახლაველარავის მოატყუებოდა.

ნებლიუდოვი გასაგების ენით ამბობდა და გლეხებსაც ესმოდათ, მაგრამ მაინც ვერაფერი გაიგეს ნებლიუდოვის ლაპარაკისა, იმ მიზეზით, რა მიზეზითაც ვერას მიუხედა მოურავი. ყველა მათგანი დარწმუნებული იყო, რომ ყოველი კაცი



სკდილობს მხოლოდ თავის სარგებლობისათვისაო. განსაკუთრებით მემამულეთა შესახებ უფრო დარწმუნებული ვარ, რომ ისინი მარტო თავის სარგებლობისათვის სკდილობდნენ, რადგან ეს გამოცდილებითა ჰქონდათ შეგნებული.

— აბა, როგორა გგონიათ, რამდენი შეგვიძლიან გადაიხადოთ მიწის ფასად? — ჰკითხა ნებლიულოვმა.

— ჩვენ საიდან შეგვიძლიან მაგის თქმა? მიწა თქვენია და თქვენი ნებაა, — უბასუხეს.

— ეს ფული ხომ ისევ თქვენი იქნება და თქვენვე ისარგებლებთ საზოგადო საჭიროებისათვის.

— ჩვენ არ შეგვიძლიან. საზოგადოება თავისთვის იყოს და ჩვენ კიდევ ჩვენთვის.

— გაიგეთ, რომ თავადი გაძლევთ მიწებს და აქედან აღებული ფული ისევ თქვენა გრჩებათ საზოგადო საჭიროებისათვის, — ჩაერია ლაპარაკში მოურავი, რომელიც ნებლიულოვის შემდეგ მოვიდა.

— ძალიან კარგად გვესმის, — სთქვა უკბილო მრისხანე ბებერმა: — აი, ისე ბრძანებთ, როგორც ბანკშია, ხოლო ვადაზედ უნდა გადაგხადოთ ფული; ჩვენ ეგ არ გვინდა, იმიტომ, რომ ისედაც გალატაკებულები ვართ და სულ ტყავს გავაძრობს.

— ეს საჭირო არ არის. ისევ ძველებურად ვიქნებით, — მოისმა რამდენიმე უკმაყოფილო ხმა.

გლეხები უფრო უარზე მაშინ დადგნენ, როცა ნებლიულოვმა აუხსნა, რომ შევადგენ პირობას, რომელზედაც თითოეულმა თქვენგანმა და მეც ხელი უნდი მოვაწეროთო.

— რად უნდა მოვაწეროთ? ჩვენ როგორც გვიმუშავნია, ისე უნდა ვიმუშავოთ. ეგ რაღა საჭიროა? ჩვენ გაუგებარი ხალხი ვართ.

— იმიტომ არა ვართ თანახმა, რომ მაგისთანა საქმე არ გვიცდია. როგორც ყოფილა, დეე, ისევ ისე იყოს, ისევე ვიმუშავებთ.



— მაშ არ გინდათ მიწა აილოთ?— მიჰმართა ნებლიუდოვმა შუა ხნის ფეხშიშველა გლეხს, რომელსაც ძონძები მარცხენა ხელით ისე მაგრად ჩაებლუჯა დაგლეჯელი ქუდი, თითქოს ეშინია, არაეინ წამართვასო.

— დიალ, აგრე გახლავთ! — უპასუხა გლეხმა.

— მაშ, როგორცა სჩანს, საკმაოდა გქონიათ მიწები? — ჰკითხა ნებლიუდოვმა.

— სწორედ რომ არ გვინდა! — უპასუხა ყოფილიმა ჯარისკაცმა, რომელსაც ისე ეჭირა ქუდი, თითქოს აწვდიდა ყველას, ვისაც კი სურდა გამოერთმიაო, და ვანგებ მზიარული სახე მიიღო.

— ყოველ შემთხვევაში, კარგად მოიფიქრეთ, რაც მე გითხარიო, — უთხრა გაკვირებულმა ნებლიუდოვმა და ვაიმეო-რა თავისი რჩევა.

— არაფერი არა გვაქვს-რა მოსაფიქრებელი, როგორც ვსთქვით, ისე უნდა იყოს, — გაჯავრებით წაიბუტბუტა უკბილო ბებერმა კაცმა.

— ხვალაც აქ დავრჩები და, თუ შესცვალთ თქვენი აზრი, გამოგზავნეთ ვინმე და შემატყობინეთ.

გლეხებმა არა უპასუხეს-რა.

ამ გვარად, ნებლიუდოვმა ვერაფერი გააწყო გლეხებთან და დაბრუნდა კანტორაში.

— უნდა მოგახსენო, თავადო, — უთხრა მოურავმა, როცა სახლში დაბრუნდნენ, — რომ მაგ ხალხთან ვერას გააწყობთ, ჯიუტები არიან. როცა ყრილობაზე არიან, ვაჯიქდებიან და აღარას შეისმენენ ხოლმე, ყველაფრისა ეშინიანთ და იმიტომ. აი, თუნდა ის ჭალარა და შავ-თმიანი გლეხნი — ძალიან ჰკვიანები არიან! მოიწვევთ კანტორაში, დასვამთ, დაალევენებთ ჩაის და ისინიც დალაგებით შეისმენენ ყველაფერს, ისე, როგორც რიგია; ყრილობაზე კი სულ სხვა ნაირად იქცევიან...

— მაშ, თუ შეიძლება, დავუძახოთ აქ რამდენსამე მაგის-



თანა შეგნებულს გლახს, — უთხრა ნებლიუდოვმა, უდაწერელე-
ბით აეუბსნი ყველაფერს!

— რატომ, შეიძლება, — უთხრა ღიმილით მოურავმა.

— მაშ, გეთაყვა, ხვალისათვის დაიბარეთ

— ყველაფერი შეიძლება, ხვალისთვის დაეიბარებ, —
უთხრა მოურავმა და მხიარულად გაიღიმა, რადგან ამ დროს
კარებში ორი დედაკაცი დაინახა გაჩერებული.

რალაც ანიშნა დედაკაცებს და გავიდა უკან აივანზე.
დედაკაცები გაჰყვნენ უკან.

ნებლიუდოვი გავიდა კანტორაში, ჩამოჯდა კიბეზე და
დაიწყო თავის გეგმის მოსაზრება. ამ დროს შემოესმა დედა-
კაცების გაბრაზებული ლაპარაკი. დაუგლო ყური.

— რომ აღარ შემიძლიან, ხომ ხელავ? რა ამბავია, რომ
ჯვარს მაცივ! — ამბობდა გაბრაზებული დედაკაცი.

— შემოვიდა მხოლოდ, ხომ არაფერი წაუხდენია?! —
ამბობდა მეორე: — მომეცი-მეთქი, გეუბნები, ტყულად საქო-
ნელს სიმშლით მოჰკლავ და ბავშვები ურძეოდ მებოცება.

— ან გადამიხადე და ან სამაგიეროდ მუშად მომეხმარე,
უპასუხა დამშვიდებულმა მოურავმა.

ნებლიუდოვი გამოვიდა სახლიდან და გავიდა უკანა
აივანზე, სადაც იდგნენ დედაკაცები. ერთი იმათგანი, რო-
გორც ეტყობოდა, ორსულად უნდა ყოფილიყო. კიბის საფე-
ხურზე პარუსინის პალტოს ჯიბეში ხელეგ ჩაწყობილი იდგა
მოურავი. დაინახეს თუ არა ბატონი, დედაკაცებმა თავშელები
გაისწორეს თავზე. მოურავმა ამოიღო ჯიბიდან ხელეგი და
ღიმილი დაიწყო.

საქმე იმაში იყო, რომ, როგორც მოურავი ამბობდა,
გლახები განგებ უშვებდნენ თავიანთ ძროხებს და ხარებს ბა-
ტონიანთ ყორულებში. ახლა ამ დედაკაცების ორი ძროხა
დაეკირათ და არ ანებებდნენ. მოურავი თითო ძროხაზე 30
კაპ. თხოულობდა ან და ორის დღის მუშაობას. დედაკაცები
ამტკიცებდნენ, რომ ძროხები მხოლოდ შევიდნენ და არაფე-



რი არ შეუტყამიათო, რომ ფული არა გვაქვს და, თუ დაგპირდებით მუშაობაში მოხმარებას, ახლავე უნდა გამოვუშვათ ძროხები, რომლებიც დილას აქეთია უკმეღლები არიან და საცოდავად ბლავიანო.

— რამდენჯერ ვუთხარი მე მაგათ, — სთქვა მოურავმა და ნებლიუდოვს გადაჰხედა, თითქოს მოწმედ იწვევსო, — რომ თქვენს საქონელზე თვალი გეჭიროთ, არსად გადავიდნენ-მეთქი.

— ის იყო ბავშვთან შევირბინე და ძროხაც გადასულიყო.

— რაკი აძოვებდი, აღარსად უნდა წასულიყავი.

— ბავშვს ვილა მიჰხედავდა?

— ძროხებს ერთი ბეწო ბალახიც არ მოუძოვნიათ, მხოლოდ შევიდნენ ყორულში, — ამბობდა მეორე დედაკაცი.

— მთელი სათივე გადაძოვა მაგათმა საქონელმა, — მიუბრუნდა მოურავი ნებლიუდოვს, — რომ არ გადავახდევინათ, ერთი ბეწო თივა აღარ მოგვივა.

— ნუ სცოდავ ღმერთს, — შეჰყვირა ორსულმა დედაკა, — ჩემი ერთბელაც არ გადასულა სათივეში.

— გადასულა! როგორც გნებავდეთ, ან გადაიხადეთ...

— ჰო და ვიმუშავებ. მხოლოდ ძროხა გამოუშვი, ნუ ჰკლავე შიმშილით! — გაბრაზებით დაუყვირა მან; — ერთი დღე რა არის, ერთი დღე მოსვენება არა მაქვს მამამთილი ავადა მყავს, ქმარი დამეკარგა. ყველაფერი მარტო ჩემს კისერზეა. აღარა მაქვს ღონე, არა, გაიგონე, შე დასაღრჩობო! — დაუყვირა მან და ქვითინი დაიწყო.

ნებლიუდოვმა სთხოვა მოურავს, გამოუშვი ძროხებო და თვითონ გაკვირვებული შევიდა ოთახში. „მიკვირს და გამკვირვებია, რატომ ვერა ხედავს ხალხი იმას, რაც ასე ღღესავით ნათელიაო!“

— ჰხედავთ, რა გაქნილია? — ამბობდა თმა-დაუვარცხნილი გლეხი, რომელიც ფაშატ ცხენზედ იჯდა და ძონძებში გახვეულ გლეხთან ერთად მიდიოდა ღამე მინდორში.



გლებები მიდიოდნენ და უნდოდათ ცხენები ებალახებინათ და იქედან ბატონიანთ ტყეშიც უნდოდათ ჩუმად მიხვედნენ.

— გესმის, როცა თივა შემოვა მინდორში, უქმე დღეს დედაკაცები გავგზავნათ; აქა-იქ გამოპკლიჯონ ბალახი, თორემ ცელს დაგვიმტვრევს, — სთქვა ერთმა გლებმა.

— დაუყინიათ, ხელი მოაწერეთო, — განაგრძო თმა-გაბურძგენილმა გლებმა და ბატონს გადაჰკრა სიტყვა, — მოაწერავ და ცოცხლივ-კი გადაგყლაპავს!

— ოღონდაც, მაშ! — მიუგო ბებერმა.

გლებები დაჩუმდნენ და ამის მეტი აღარა უთქვამთ-რა, მხოლოდ ცხენების ფეხის ხმა-ლა მოისმოდა გატყეცილ გზიდან.

— მუქთად მოგცემთ მიწებს, მხოლოდ ხელი მოაწერეთო. განა საკმაოდ არ გაგვაძრეს ტყავი მაგათ? არა, ძმარო და მეგობარო, ახლა ჩვენც გავიგეთ, როგორც არის საქმე და ასე ადვილად ვერ მოგვატყუებთ! — დაუმატა მან და დაუწყო ძახილი კვიცს, რომელიც უკან ჩამორჩა. დიდხანს უძახა, მაგრამ კვიცი არა სჩანდა, უკვე ბატონიანთ ყორულში და გადასულიყო.

— აი, შე სამგლევ, სად გადასულა, — წაილაპარაკა შავმა გლებმა, როცა მოესმა თქარა-თქუნი კვიცისა, რომელიც გამაღებელი მორბოდა მინდვრებიდან.

VIII

ნებლიუდოვი შევიდა კანტორაში, სიდაც ლოგინი უკვე გაეშალათ. მოურავმა მიართვა ვახშამი, მაგრამ ნებლიუდოვმა უარი სთქვა; მოურავმა ბოდში მოიხანდა, შესაფერი პატივი ვერ გეცითო, და ვავიდა გარედ. ნებლიუდოვი მარტო დარჩა.

გლებების უარს სრულებით არ შეუშინებია ნებლიუდოვი. პირ-იქით, კუზნინსკის გლებებმა რომ სიხარულით მიიღეს მისი რჩევა და მადლობა უთხრეს, აქაურებმა კი, არამც თუ არ მიიღეს მისი აზრი, არამედ ვერც კი დარწმუნდნენ, რომ საკეთილო საქმეს ურჩევდა და თითქმის მტრულის თვლით დაუწი-



ყეს ყურება, სასიამოვნოდ დარჩა. კანტორაში საბაგელი სურნი იდგა. ნებლოუდოვი გამოვიდა გარედ და უნდოდა ბაღში გასულიყო, მაგრამ მოაგონდა ის ღამე, სამოახლო ოთახის სარკმელი, უკანა კბე და ველარ შესძლო გაველო იმ მხარეს, რომელიც საზიზღარის მოგონებით იყო წიბილწული. ჩამოჯდა კბეზე და დიდხანს უმზერდა ბაღს და ყურს უვდებდა ბულბულის სტვენას; მოურავის ოთახში სანათი ჩაჰქრა. ამოკურდა ბადრი მთვარე და მკრთალი ნათელი მოჰქვინა არე-მარეს. უცბად შორიდან ქუხილის ხმა მოისმა და კუბრივით შავი ღრუბლები ელვის სისწრაფით გასრიალდა ცის სივრცეში, გაიძაბა და ცის მეოთხედი ნაწილი დაჭყარა. ბულბულებმა სტვენა შესწყვიტეს. წყლის ხმაურობასთან მოისმა ბატების ყიყინი, აქა-იქ მამლებმა დაიწყეს ყივილი, როგორც ეს ჩვეულებად აქვთ, როცა ცუდი ღამეა ან ქექა-ქუხილი ასტყდება. ნათქვამია, კარგი მამლები აღრე ჰყივიანო. ნებლოუდოვისათვის ეს ღამე სასიხარულო და ბედნიერი იყო. წარმოუდგა თვალწინ ის ბედნიერი ზაფხული, რომელიც მან უმანკო ახალგაზდობაში გაატარა აქ, და იგრძნო, რომ ახლაც ისეთივე ვარ, როგორც მაშინაო. არამც თუ მოიგონა, არამედ იგრძნო კიდევ, რომ ისეთივე ვარ, როგორც წინად, როცა 14 წლის ყმაწვილი დაჩოქილი ვევედრებოდა ღმერთს, სტიროდა დედის კალთაში, როცა შორდებოდა, და აღუთქვა, მუდამ კეთილი ვიქნები და არაფერს გაწყენინებო; იგრძნო, რომ ისეთივე იყო, როგორც მაშინ, როცა ისა და ნიკოლკა ირტენიევი სიტყვას აძლევდნენ - ერთმანეთს, ხელი შეეწყობთ ერთმანერთისათვის და ყოველი ღონე ეხმარათ ყოველ ადამიანის გასაბედნიერებლად.

მოიგონა, როგორ დანანდა ოჯახი, ტყე და მინდორი, და შეგკითხა თავის თავს: ახლაც მენანება თუ არაო. თითქმის გაოცდა, როცა დარწმუნდა, ახლაც ჰღვივის ჩემს გულში გრძნობა დანანებისაო. თვალწინ დაუდგა ყველაფერი, რაც ჰნახა დღეს: ბავშვებიანი დედაკაცი, რომლის ქმარიც სა-



ტუსალოში იჯდა ნებლიუდოვის ტყეში ხეების მოჭრისათვის, მოიგონა საშინელი მატრონა და მისი ოსტიტუტობა და მკვების საქმეში, მათი აყვანა და წაყვანა აღსაზრდელ სახლში, მოიგონა უქმელობით გამხდარი ბავშვი, რომელსაც ბებრის შეხედულობა ჰქონდა, მოიგონა ორსული დედაკაცი, რომელსაც ძალაუნებურად უნდა ემუშავნა მისსასარგებლოდ, იმიტომ, რომ, ფრიად დატანჯულმა აუტანელის (ჯაფით, თვალ-ყური ვერ უგდო თავის მშვიერ ძროხას...

მთვარე ამოსცილდა საუკუნაო სახლის სახურავს და მორცხვად მიანათა თავისი მკრთალი სხივები ბაღის ყოველ კუნტულს.

ამ საუცხოვო სანახაობის ეშხით დამთვრალმა ბულბულმა ამპუსკა თავისი ენა და სულის წარმტაცი ვალობა ჩააკაჯანა.

ნებლიუდოვმა მოიგონა, რას ჰფიქრობდა კუზმინსკში თავის ცხოვრებაზედ, როგორ დაიბნა სხვა და სხვა მოკორებულ ფიქრთა შორის და ვერ გადასწყვიტა ვერაფერი, რადგან მისი მომავალი ცხოვრება ძალიან რთული და ძნელი გამოსარკვევი იყო. წამოაყენა თავისთვის ახლა ის ფიქრები და გაუკვირდა, რა უბრალო და მარტივი იყო თვითველი მათგანი. უბრალო და მარტივი იყო იმიტომ, რომ ახლა არ ფიქრობდა, რა მოელოდა; ჰფიქრობდა მხოლოდ იმას, რაც უნდა გაეკეთებინა. საკვირველია! ევრას გზით ვერ გადაწყვიტა, რა იყო მისთვის საჭირო და ის კი ნათლად იცოდა, რა უნდა მოექმედნა. იცოდა, რომ არ უნდა მიეტოვებინა კარო, დახმარება უნდა გაეწია მისთვის და მზად უნდა ყოფილიყო ყველაფრისთვის, რომ როგორმე გამოესყიდნა თავისი დანაშაული, იცოდა, რომ მისთვის ძლიერ საჭირო იყო გაეგო სასამართლოს ყველა წესი და რიგი, აჭ ჰხედავდა იმას, რასაც სხვები ვერ ამჩნევდნენ. რა შედეგი მოჰყვებოდა ყველა ამას, არ იცოდა, მაგრამ იცოდა მხოლოდ ის, რომ ერთიც, მეორეც და მესამეც მისთვის ძლიერ საჭირო იყო. ეს მტკიცე რწმენა ძლიერ სასიხარულო იყო მისთვის.

ცა მთლად მოიკვა შავმა ღრუბლებმა. ელვამ გაანათა



მთელი ეზო და მინგრეული სახლი და საზარლად დაიქექა. ფრინველებმა სული გატრუნეს, შესწყვიტეს გალობა. სინა ქარმა, ხის ფოთლები შეანძრია, მიაღწია კიბემდე, სადაც ნებლიუდოვი იჯდა და, თითქოს ვალერსებაო, თმები აუწეწა. ჩამოვარდა ერთი წვეთი, მეორემ მძლავრად დაჰკრა სახლის სახურავს და მთელი ცა უცხად ცეცხლივით აენტოა; ყველაფერი მიყუჩდა და ნებლიუდოვმა ვერც კი მოასწრო სამამდე დათვლა, რომ რაღამაც ზედ თავზე საშინლად დაიქექა და გაირბინა ცის სივრცეში.

ნებლიუდოვი შევიდა სახლში.

„ღიად, ღიად — ჰუიქრობდა იგი, — საქმე, რომელსაც ცხოვრება აწარმოებს, მთელი ეს საქმე, ამ საქმის მთელი შინაარსი ჩემთვის გაუგებარია, არ შემოძლიან მისი შეგნება; რად სცხოვრობდნენ დეიდები? რად მოკვდა ნიკოლაკა ირტენიევი და მე-კი ისევ ცოცხალი ვარ? რად სცხოვრობდა კატო? რა იყო ჩემი ვასულღლება და გარყვნილი ცხოვრება? ყველა ამის გაგება, გაგება მთლად იმ საქმისა, რომელსაც ჩვენი დიდი პატრონი აწარმოებს, ჩემს ხელთ არ არის, მაგრამ მისის იმ სურვილის აღსრულება, რომელიც ჩემს გულსა და სინილისშია ჩაწერილი, ჩემი საქმეა. ეს, ვიცი, ექვს გარეშეა. როცა ვასრულებ იმ სურვილს, დამშვიდებულიცა ვარ“.

წვიმა კოკის-პირულად ასხამდა. სახლის სახურავიდან ნიაღვარი ჩამოდიოდა. ნებლიუდოვი შევიდა საწოლ ოთახში, გიზხადა ტანთა და ჩაწვა ლოგინში იმ შიშით, რომ ამ ღამეს ბალღინჯოების კერძი უნდა გამხდარიყო: მათს სიმრავლეს კედელზე აგლვეჯილ ქაღალდის ნაქრები ამტკიცებდა.

„ღიად, პატრონად კი არა, მოსამსახურედ უნდა იგრძნო თავი“, — ჰუიქრობდა და უხაროდა. შიში გამართლდა. გააქრო თუ არა სანთელი, დამშეული ბალღინჯოები ხარბად მიესივნენ და გულმოდგინედ დაუწყეს წიწკნა.

„მისცე მიწა გლეხებს, წავიდე ციმბირში, — რწყილები,



ბალონჯოები, უწმინდურობა... რა ექნა, თუ საქართველომ
ესეც ავიტანო—ავიტან“.

ბიზლიჩიშვილი

მაგრამ, მიუხედავად თავისი სურვილისა, ვეღარ გაუძლო
ყველა ამას, წამოვარდა ლოგინიდან, მიუჯდა სარკმელს და
გამალებით მოსრიალე ღრუბლებსა და გაბადრულ მთვარეს და-
უწყყო მზერა.

IX

მხოლოდ განთიადისას ჩაეძინა ნებლიუდოვს და ამიტომ
მეორე დღეს გვიან გაიღვიძა.

შუადღისას მოვიდნენ შვიდნი ამორჩეულნი გლეხნი, რომელნიც მოურავმა მოიწვია. დიდხანს ელაპარაკეს გლეხებს, ქუდი დაიხურეთ და დასხედითო. ყველაზე უფრო მეტად უარზე იდგა ყოფილი ჯარის კაცი, რომელსაც ისე მაგრად ეჭირა თავისი დაგლეჯილი ქუდი, როგორც მიცვალებულის გასვენების დროს იციან ხოლმე, მაგრამ როცა ზრდილობიანის სახის მხარბეჭიანმა გლეხმა, მიქელ ანჯელოს მოსესავით, ქალარა წვერიანმა და სქელ-თმიანმა, დაიხურა თავისი ქუდი და დაჯდა, დანარჩენებიც მიჰყვნენ მისს მავალითს.

როცა ყველანი დასხდნენ, ნებლიუდოვიც მიუჯდა მათ პირდაპირ მაგიდას, დაეყრდნო ქალალდს, რომელზედაც თავისის გეკმის კონსპექტი ჰქონდა დაწერილი, და დაიწყო მისი გარკვევა.

იმიტომ, რომ ახლა გლეხები ცოტანი იყვნენ, თუ იმიტომ, რომ ნებლიუდოვს თავისთვის აღარ ეცალა და მხოლოდ საქმით იყო გატაცებული, ისე აღარ ეტყობოდა დარცხვენა, როგორც წინად. თავისდა უნებურად უფრო მხარ-ბეჭიან გლეხს ელაპარაკებოდა, თითქოს მისგან ელის ან მოწოდებას და ან წინააღმდეგობასაო. მაგრამ ნებლიუდოვი სცდებოდა ამ გლეხის შესახებ. სათნოიანის სახის მოხუცს, თუმცა თანხმობის ნიშნად აქნევდა თავის პატრიარქის მსგავს თავს, მაინც ნებლიუდოვის ლაპარაკისა არაფერი არ ესმოდა; მიხვდა მხოლოდ



მაშინ, როცა სხვებმა ჩააგონეს თავისებურად. სხვებზე მეტად
ესმოდა ნებლიუდოვის აზრი პატრიარქ-ბებრის გვერდით მდებარე
ლაბალის ტანის უწვერო გლეხს, რომელიც, როგორც შემდეგ
გაიგო ნებლიუდოვმა, ლუმელების ოსტატი იყო. ეს გლეხი სულ-
განაბული ისმენდა ნებლიუდოვის ლაპარაკს და შემდეგ თავი-
სებურად უხსნიდა სხვებს. აგრედვე კარგად ესმოდა ყველაფე-
რი მაღალის ტანის მოხუც გლეხს თეთრის წვერითა და ვლვარე
ქვედან თვალებით; ეს გლეხი ნებლიუდოვის ყოველ სიტყვა-
ზე საოხუნჯო რასმე იტყოდა ხოლმე, რომ მით თავი მოეწო-
ნებინა. ყველაზე მეტის დაფიქრებით ექცეოდა საქმეს ბოხ-ხშია-
ნი, მაღალი, გრძელ-ცხვირა გლეხი, რომელსაც შინ გაკეთე-
ბული ტანსაცმელი და ქალამნები ეცვა. ამ გლეხს ყველაფე-
რი ესმოდა და მაშინ დაიწყებდა ლაპარაკს, როცა საჭირო
იყო ხოლმე. დანარჩენი ორი მოხუცი გლეხი—ერთი თვით ის
უკბილო ბებერი, რომელიც ნებლიუდოვის წინადადებაზე უარს
ამბობდა გუშინ ყრილობაზე, და მეორე—თეთრი, მაღალი,
კოკლი გლეხი, ჩუმად იყენენ და გულმოდგინედ ისმენდნენ
ნებლიუდოვის ლაპარაკს.

თავდაპირველად ნებლიუდოვმა სთქვა, თუ რა აზრისა იყო
მიწად-მფლობელობის შესახებ.

— ჩემის აზრით,—სთქვა მან,—მიწა არც გაიყიდება და
არც იყიდება, იმიტომ, რომ, თუ გაყიდვა შეიძლება, ვისაც
ბევრი ფული აქვს, მთლად ის იყიდის და შემდეგ, ვისაც არა
აქვს, იმდენს გადაახდევინებს მიწის სარგებლობისთვის, რამდე-
ნიც უნდა. იმაშიაც კი ახდევინებს ფულს, რომ მიწაზე დაესა-
ხლოს კაცი,—დაუმატა მან სპენსერის თხუხულებმაში ამოკით-
ხული აზრი.

— ერთად ერთი ღონე-ღაა, რომ ფრთები შევისხაოთ და
ვიფრინოთ,—სთქვა თეთრ-წვერა პირ-მკინარე გლეხმა.

— მართალია, მე და ჩემმა ლმერთმა,—სთქვა ბოხის ხმით
ცხვირ-გრძელმა.

— სწორედ აგრეა, ჩაუროთო სიტყვა ყოფილმა ჯარის კაცმა.



— დედაკაცმა ძროხას ბალახი დაუგლიჯა, დატყორცს და ხატუსალოში ჩასვებს, — სთქვა კოჭლმა ბებერმა. ხიზლიწყინება

— საკუთარი მიწები ხუთ ვერსზე გვაქვს, სხვებისა ავიღოთ საღალოდ და — ისე ასწიეს ფასი, რომ კაცი ვერ მიუღებდა, — დაუმატა უკბილო ბებერმა.

— მეც ისე ვფიქრობ, როგორც თქვენა, — სთქვა ნებლიუდოვმა, — და ამიტომ მინდა თქვენ მოგცეთ ჩემი მიწები.

— კარგი საქმეა, — სთქვა წვერ-ხუტუტა ბებერმა, რომელსაც ეგონა, ნებლიუდოვი საღალოდ გვაძლევს მიწებსო.

— მეც იმითომ მოვედი: აღარ მინდა მიწის პატრონი ვიყო. მოვიფიქროთ, როგორ მოვაწყუთ საქმე.

— აიღეთ და მიეცით გლეხებს, მორჩა და გათავდა! — სთქვა უკბილო ბებერმა.

— დიდის სიხარულით მივსცემ, — სთქვა ნებლიუდოვმა, — მაგრამ ვის და როგორ? რომელ გლეხებს მივსცეთ? რაღა თქვენს საზოგადოებას მივსცე და არა დემინსკისას? (მახლობელი სოფელი იყო, სადაც მიწა ძალიან ძვირობდა).

ყველანი გაჩუმდნენ, მხოლოდ ყოფილმა ჯარის კაცმა სთქვა: „დიად, სწორედ აგრეაო“.

— აბა, თქვენა სთქვით, გლეხებს რომ მიწა მივსცე, როგორ მოიქცეოდით?

— როგორ მოვიქცეოდით? გავყოფდით თანასწორად, — მიუგო ლუმელების ოსტატმა და წარბები შეათამაშა.

— მაშ, როგორ? გავყოფდით თითოეულ სულზედ, — დაემოწმა კოჭლი გლეხი.

ყველა თანახმა გახდა ამ გადაწყვეტილებისა, რადგან სამართლიანად სცნეს ასეთი გაყოფა.

— როგორ თითოეულ სულზედ? განა შინა-ყმასაც მისცემდით? — ჰკითხა ნებლიუდოვმა.

— არა, არასოდეს! — სთქვა ყოფილმა ჯარის კაცმა.

გონიერი, მაღალეი გლეხი არ დაეთანხმა იმასა და, მკირვ მოფიქრების შემდეგ, წარმოსთქვა ბოხის ხმით:



— თუ გაყოფაა, ისე უნდა გაიყოს, რომ ყველასთან ერთად სწორად ერგოს.

— არ შეიძლება, — სთქვა ნებლიუდოვმა, რომელსაც წინდაწინვე ჰქონდა ამის პასუხი მოფიქრებული: — ყველას რომ გაუყოთ თანასწორად, მაშინ ისინი, რომელნიც თვითონ არ მუშაობენ, აიღებენ თავის წილს და მდიდრებს მიჰყიდნიან და ისევ იმათ ჩაუვარდებათ ხელში მიწები. ხალხი ისევ დაბრკოლდება და მიწა გაძვირდება. მდიდრები ისევ თავიანთ კლანჭებში მოიგდებენ იმათ, ვისაც მიწა სჭირია.

— ეს კი მართალია, — სწრაფად დაემოწმა ჯარის კაცი.

— უნდა აეუკრძალოთ მიწის გაყიდვა და მხოლოდ თვითონ მოხნას და მოსთესოს, — სთქვა ლუმელის ოსტატმა და გაჯავრებით გადაჰხედა ჯარისკაცს.

ამაზედ ნებლიუდოვი არ დაეთანხმა, რადგან, მისის ფიქრით, ძნელი იყო თვალ-ყურის გდება იმისი, თავისთვის მოჰხნავდა ვინმე თუ სხვისთვის.

მაშინ წამოდგა გლეხი და თავის ბოხის ხმით უთხრა თავის ამბანაგებს: ვინც მოჰხნავს, იმას მიგცეს წილი და, ვინც არა, — იმას არაფერიო.

ამ კომუნის მსგავსს პროექტზედაც შესაფერი არგუმენტები ჰქონდა ნებლიუდოვს მომზადებული. მაგისტვის საჭიროა ყველას ჰქონდეს სახნისი და ჰყავდეს კარგი ცხენები, ყველამ ერთნაირად იმუშავოს, ან და სახნისი, ცხენი და ყველა იარაღი საზოგადო უნდა იყოს. ამის მოსაწყობად კი საჭიროა თანხმობა.

— ჩვენს ხალხს თავის დღეში არ შეუძლიან თანხმობით ცხოვრება, — სთქვა მრისხანე ბებერმა გლეხმა.

— მაშინვე ჩხუბი და უბედურება დატრიალდება, დედაკაცები თვალებს გამოაკაწვრენ ერთმანეთს, — სთქვა თეთრ წვერა ბებერმა გლეხმა.

— თავი და თავი ის არის, როგორ გაიყოფთ მიწას



ღირსებისა დაგვირად, რადგან ერთს შვიი და მოსკელონტე მიუწა შეჰხედება და მეორეს—თიხა და სილა.

— ისე უნდა გაიყოს, რომ ყველას ერთნაირი შეხედეს, — სთქვა ოსტატმა.

ნებლიუდოვმა სთქვა, მიწის განაწილება მარტო ერთს საზოგადოებაში ხომ არ მოხდება, არამედ რამდენსამე გუბერნიაშიო. თუ უფასოდ დაურიგებთ გლეხებს მიწებს, ერთს ცუდი რად უნდა ერგოს და მეორეს კარგი? ყველა ხომ კარგს მოინდომებს?

— სწორედ აგრე გახლავს, — სთქვა ჯარის კაცმა. დანარჩენები ჩუმად იყვნენ.

— თქვენ რომ ჰფიქრობთ, არც ისე ადვილი არის ეგა, — სთქვა ნებლიუდოვმა, — ამ საგანზე ჩვენს გარდა ბევრი ხალხფიქრობს. არის ერთი ამერიკელი ჯორჯი; აი როგორ მოიფიქრა იმან და მეც თანახმა ვარ მისი...

— შენა ხარ პატრონი და შენ მიეცი, სხვა რა გინდა. შენი ნება არ არის? — უთხრა მრისხანე ბებერმა გლეხმა.

სიტყვის შეწყვეტამ ნებლიუდოვს ფიქრები დაუბნია, მაგრამ, მისდა საბედნიეროდ, სხვებსაც შენიშნა უკმაყოფილება სიტყვის შეწყვეტის გამო.

— მოიცადე, ბიძია სვიმონ! ჯერ გეითხრას, რასაც ამბობს, — უთხრა ბოხის ხმით გონიერმა გლეხმა.

ამ სიტყვებმა წაათამაშა ნებლიუდოვი და მოჰყვა ჰენრი ჯორჯის მოძღვრების გარკვევას.

— მიწა არაეისი არ არის, ღვთისაა, — დაიწყო მან

— ეს აგრეა, სწორედ აგრეა, — მოისმა რამდენიმე ხმა.

— მიწა საზოგადოა. ყველას თანასწორი უფლება აქვს მიწაზე. მაგრამ არის მიწა ავი და კარგი. ყველას, რასაკვირველია, კარგი მიწა უნდა. როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ თანასწორად გაიყოს? ვისაც კარგი მიწა აქვს, უნდა უხდიდეს მას, ვისაც კარგი მიწა არა აქვს, იმდენს, რამდენიც მისი მიწა ჰღირს. რადგან ძნელია განსაზღვრა, ვინ ვის რამდენი უნდა



გადაუხადოს და საზოგადო საქმისთვის ფულის შეგროვება
საჭიროა, ისე უნდა მოეწყოს საქმე, რომ, ვისაც მიწა აქვს,
საზოგადო საქმეებისათვის ფული იხადოს მიწის ღირებუ-
ლებისა დაგვარად. ასე ყველას თანასწორად ექნება. გინდა მიწის
მფლობელობა? — კარგის მიწისთვის მეტი იხადე და ცუდის-
თვის — ნაკლები. არ გინდა მიწა და — არაფერს არ იხდი. შენს
მაგიერ საზოგადო საქმეების ვალს ის იხდის, ვისაც მიწა აქვს.

— ეს კარგია, — სთქვა ოსტატმა წარბეზის შეთამაშე-
ბით, — ვისაც უკეთესი მიწა აქვს, იძინ მეტ-ც გადაიხადოს.

— ძალიან თავი ჰქონია ი ვილაც ჯორჯია, — სთქვა წარ-
მოსადგემა გლენმა, — მხოლოდ საქმე იმაშია, გადასახადი დი-
დი არ იყოს, — სთქვა ბოხის ხმით მალაღმა, რომელმაც უკვე
გაიგო, რაშიაც იყო საქმე.

— გადასახადი ისეთი უნდა იყოს, რომ არც ძვირი იყოს
და არც იაფი. თუ ძვირი იქნება, ვერ გადაიხდიან და ზარა-
ლი იქნება, და თუ იაფი — ყველა იყიდის ერთი-მეორისაგან და
ივაჭრებენ მიწით. აი, ეს მინდოდა შეთქვა მეც თქვენთვის.

— ეს მართალია, მართალია, კაი ფიქრია, — ამბობდნენ
გლენები, რადგან ახლა კი მიჰხედნენ, საქმე როგორ იყო და
უწონებდნენ კიდევ ნებლიუდოვს აზრს.

— აბა, ვაგრა ისა ყოფილა, — იმეორებდა სქელი გლე-
ხი, — ის ჯორჯია თუ ვილაცა! რა მოუგონია!

— აბა, რა იქნება, მე რომ მოკინდომო მიწის აღება, —
უთხრა ლიმილით მოურავმა.

— თუ კი თავისუფალი ნაჭერი იქნება, აიღეთ და იპუ-
შავეთ, — უთხრა ნებლიუდოვმა.

— შენ რად გინდა? შენ ხომ ისედაც მაძლარი ხარ? —
უთხრა მომცინარე გლენმა.

ამით გათავდა სჯა-ბაასი.

ნებლიუდოვმა კიდევ გაუმეორა თავისი აზრი გლენებს
და სთხოვა მოელაპარაკნათ საზოგადოებასთან და პასუხი მე-
რე მიეცათ.



გლებები დაჰპირდნენ, აგრე მოვიქცევითო, გამოვუბნენ ნებლიუდოვს და აღფრთოვანებულნი წავიდნენ. დიდხანს გასტანა მათმა გაცხარებულმა ლაპარაკმა.

მეორე დღეს გლებებმა მუშაობას თავი დაანებეს და ბატონის წინადადების განხილვაში იყვნენ. საზოგადოება ორ დასად გაიყო: ერთმა სასარგებლოდ იცნო ბატონის წინადადება და მეორეს კი რალაც მახე ეგონა, ვერ მიხვედრილიყვნენ მისს აზრს და მით უფრო შიშობდნენ. მესამე დღეს მაინც ყველანი დასთანხმდნენ. შეთანხმდნენ, რა პირობით აეღოთ მიწები და მივიდნენ ნებლიუდოვთან, რომ გამოეცხადებინათ საზოგადოების გადაწყვეტილება. დათანხმებაზე დიდი გავლენა იქონია ერთ ბებერ დედაკაცის სიტყვებმა; იმან აუხსნა გლებებს, რომ ბატონი სულის საქმეს დაადგა და იმიტომ იქცევა აგრეო. ამ აზრს ამტკიცებდ, ნებლიუდოვის უხვი მოწყალება, რომელიც მან დაარიგა პანოეოში მოსვლის დროს. ასეთის უხვის მოწყალების გაცემა იმან გამოიწვია, რომ ნებლიუდოვმა პირველად დაინახა აქ ის სიღატაკე და გაჭირვებული ცხოვრება, რომელშიაც გლებები იყვნენ ჩაცვივნულნი. ამ საწაობით ზარდაცემული ნებლიუდოვი თუმცა გრძნობდა, რომ უგნურობა იყო, მაგრამ მაინც არაგებდა ფულს, რადგან ახლა ბლომად ჰქონდა გაყიდულ ტყეში აღებული.

გაიგეს თუ არა, ბატონი მოწყალებას არიგებსო, აუარებელი ხალხი მიაწყდა ნებლიუდოვს, უმეტესად დედაკაცები. ნებლიუდოვი გამოურკვეველ მდგომარეობაში ჩავარდა. არ იცოდა, რით ეხელმძღვანელა და ვისთვის რამდენი მიეცა. ღარიბთათვის არ მიეცა — შეუძლებელი იყო; მიეცა მათთვის, ვინც შემთხვევით სარგებლობდა და თხოულობდა, — ესეც შეუძლებელი იყო. ერთად-ერთი გზა, რომ დაეღწია თავი ამ გაჭირვებისათვის, ის იყო, რომ, რაც შეიძლება, ჩქარა გასცლოდა იქაურობას და წასულიყო. ისიც დაეჩქარა.

უკანასკნელ დღეს ნებლიუდოვი წავიდა სახლში და იქ



მარჩენილი ნივთები გადააწყო. ნივთების გადაღობების დროს დედის განჯინაში იპოვნა აუარებელი წერილები და მათგან რის სურათი სოფიო ივანოვნასი, ეკატერინე ივანოვნასი, თავის სტუდენტობის დროისა და კატოსი. ყველა ნივთიერებიდან ნებლიუდოვმა მხოლოდ წერილები და ეს სურათი აიღო თავისთვის. დანარჩენი ყოველივე: სახლი თავისის მორთულობითა და ყოველივე სხვა, მომლიმარ მოურავის წყალობით, მეწისქვილეს მიჰყიდა თითქმის ჩალის ფასად.

ახლა, როცა წარმოიდგინა ნებლიუდოვმა, როგორ დანადა კუზმინსკში თავისი საკუთრება, საშინლად უკვირდა, რად დამებადა მაშინ ეს გრძნობაო. ახლა სიხარულით ფეხზე აღარ იდგა, რომ გაინთავისუფლა თავი და, თითქო ახალ ცხოვრებაში შესდგა ფეხიო, ისე იყო აღფრთოვანებული, როგორც მოგზაური, რომელმაც ახალი ქვეყნები აღმოაჩინა.

X

ქალაქმა ნებლიუდოვზე მისვლისათანავე უცნაურად იმოქმედა. საღამო იყო, როცა რკინის გზის სადგურს მოატანა და, როცა იქიდან სახლში მივიდა, ფანრები უკვე ანთებულიყო. სახლში ისე იყო აფორიაქებული ყველაფერი, რომ ოთახში გასვლა არ შეეძლო ადამიანს. აგრაფინა პეტროვნა და კორნეი ბარგს ალაგებდნენ. სოფელში ნახულ ამბების შემდეგ უსიამოვნოდ შეიქმნა ნებლიუდოვი ამ ბარგის დანახვაზედ და მაშინვე გადასწყვიტა გადასულიყო სასტუმროში, ზოლო სანამ მისი და მოვიდოდა, ეს ბარგი აგრაფინა პეტროვნასთვის ჩაებარებინა.

ნებლიუდოვი დილითვე გამოვიდა სახლიდან, ამოარჩია სატუსალოს ახლოს, უბრალო სასტუმროში, ორი ოთახი და იქ გადაატანინა თავისი ბარგი და წავიდა ვეჟილთან.

ძალიან ციოდა. როგორც იცის საზოგადოდ გაზაფხულზე, კეჩა-ქუხილის შემდეგ საგრძნობლად აცივდა. ისეთი მძაფერი სიცივე იყო და ისეთი სუსხიანი ქარი სისინებდა, როც



ნებლიუდოვი მთლად გაიყინა თხელ პალტოში და, რომ ცო-
ტათი შემთბარიყო, ნაბიჯს მოუმატა.

მისს გონებაში მტკიცედ იყო აღბეჭდილი სოფელში ნა-
ხული და გაგონილი. თვალ-წინ წარმოუდგა სოფლის ხალხი:
ქალები, ბავშვები და მათი გაქირვებული მღვდომარეობა, უმე-
ტესად მოხუცის შეხედულობის ბავშვი, რომელიც თავის
ჩინჩხერივით ფეხებს აქეთ-იქით აქანებდა. თავისდა უნებუ-
რად აღარებდა იქ ნახულს იმას, რასაც ქალაქში ჰხედავდა.
ახლა. როცა საყასბოსა, თევზისა, მზა ტანისამოსისა და სხვა
მაღაზიების წინ გაიარა, საშინლად გაოცდა, — თითქო პირვე-
ლად ჰხედავსო, — ჩასუქებულისა და სუფთად ჩაცმულ მღვდუქ-
ნეების დანახვით, რომლებმისთანაც სოფელში ერთიც არ მოი-
პოვებოდა. საითაც მიიხედავდა ნებლიუდოვი, ყველგან ასეთ
ჩასუქებულსა და ლაზათიანად ჩაცმულ ხალხსა ჰხედავდა. ყვე-
ლანი სუფთადა და კარგად იყენენ ჩაცმულნი: მგეტლეები, მე-
კარეები, მზარეული დედაკაცები; ყველა ესენიც თვით იმ
სოფლის ხალხი იყო, რომლებიც სიღარიბისა და უმიწა-წყლო-
ბის გამო ქალაქში გადმოვარდნილიყვნენ. ზოგმა იმათგანმა
ქალაქის გარემოება კარგად გამოაყენა და ისე მოაწყო თა-
ვიანთი ცხოვრება, რომ თითქმის ბატონებსაც არ ჩამოუვარ-
დებოდა; ზოგიერთები კი უფრო უარეს გარემოებაში ჩაცვიფ-
ნულიყვნენ, ვიდრე სოფელში, და უფრო შესაბრალისნი იყვნენ.
სოფელელებზედ. ასეთ ცუდს გარემოებაში იყვნენ, როგორც
ნებლიუდოვმა შეჰნიშნა, ის წაღების მკერვალნი, რომელნიც
დაინახა სარდაფის სარკმელ ქვეშ; ასეთები იყვნენ გამზდარი,
გაფითრებული მრეცხავი დედაკაცები, რომელნიც დამკლავე-
ბულნი აუთოებდნენ სარეცხს ღია სარკმელიდან, ასეთები
იყვნენ ის ორი მღვბავი, რომელნიც ნებლიუდოვს შეჰხედნენ
ქუჩაში თავიდან ფეხებამდე საღებავში გათხუპნილნი და და-
კონკილ ტანსაცმელითა. დაკარწახებულლებს ხელში საღებავით
საღსე ვედრა ეჭირათ და უშვერის სიტყვებით იღანძღებოდ-
ნენ; მრისხანე და დატანჯული სახე ჰქონდათ. ასეთივე სახე



ჰქონდათ დაკონკილ ტანსაცმელით მოსილ, სახეზე შესუბრა-
ბულ კაცებსა და ბავშვებთან ქალებს, რომელნიც ქუჩაში დადგნენ,
საცოდავად დაგდაგობდნენ და გამვლელ-გამომვლელთ ხელს
უწვდიდნენ მოწყალებისათვის. ასეთივე დატანჯული ხალხი
დაინახა ნებლიუდოვმა სამიკიტროს სარკმელში, რომლის
ახლოც გავლა მოუხდა. ბინძურ სამიკიტროებში ბოთლებით
და ჩაის ჭურჭლებით სავსე სუფრას მისხდომოდა რამდენიმე
კაცი, სახე-გაქარხლებულნი აქეთ-იქით იზნიკებოდნენ, თით-
ქოს წაქცევას ლამობდნენო, და ჩახრინწიანებულის ხმით სადაგ-
ლად გაჰკიოდნენ რაღაც სიმღერას. ერთი მათგანი სარკმელის
ახლოს იჯდა, წარბები მაღლა აეწია, ტუჩები ღორივით წაე-
შვირა და ისე მისჩერებოდა ერთს წერტილს, თითქოს უნდა
რაღაც მოიგონოსო. „ნეტა რას მოგროვილა აქ? რამ აიძუ-
ლა ეს ხალხი მიეტოვებინათ მყუდრო ბინა და ამ აზვირთე-
ბულ ქალაქში გადმოვარდნილიყვნენ, სადაც ბრძოლა არსებო-
ბისათვის იმდენად მწვავე და საგრძნობელია, რომ მოუშხადე-
ბელ მშიშარა სოფელს ტყავს გააძრობს, გარყვნის და ბო-
ლოს იძულებულს ჰყოფს ან ისევ სოფელს დაუბრუნდეს და
ან ისეთს სამარცხვინო ხელობას მიჰყოს ხელი, რომელიც
ფეხ-ქვეშ სთელავს მისს ყოველ ადამიანურს ღირსებას“, —
ჰფიქრობდა ნებლიუდოვი.

ერთ ქუჩაში შეხვდა რკინეულობით დატვირთული ურემი,
რომელსაც ერთი რახა-რუხი გაჰქონდა ქვაფენილზე; ამ ურ-
მის ხათქა-ხუთქმა ისე გააბრუა და გააყრუა, რომ კინალამ გუ-
ლი შეუწუხდა. ნაბიჯს მოუმატა, უნდოდა გაესწრო ურმი-
სთვის, რომ უცებ ამ ზრიგინში თავისი სახელი გაიგონა. შე-
ჩერდა და მინ წინ სამხედრო სამსახურის კაცი კი იყო, რო-
მელიც ეტლიდგან ქუდს უქნევდა და მხიარულად უღიმოდა.

— ნებლიუდოვ! ნუ თუ შენა ხარ?

ნებლიუდოვს პირველად სიამოვნება დაეტყო სახეზედ.

— ააა, შენბოკ! — სიხარულით დაიძახა მან, მაგრამ მა-
შინვე იგრძნო, რომ სასიხარულო აქ არაფერი იყო.



ეს შენბონკი იყო, რომელმაც მაშინ შემოუარა დედასთან. ნებლიუდოვმა დიდი ხანია მიივიწყა შენბონკი, მაგრამ ესმოდნო, რომ თუმცა აუარებელი ვალები აქვს, მაგრამ სამსახურიდგან გამოსვლის შემდეგ კიდევ მაინც არისტოკრატიასა და ფულიან კაცებში ტრიალებსო. ამას ამტკიცებდა მისი კმაყოფილი და მზიარული სახე.

— უჰ, ძალიან სასიამოვნოა, რომ შეგხვდი, თორემ ქალაქში აღარავინ აღარ არის. დაბერებულხარ, ძმობილო! — უთხრა მან და ეტლიდგან გადმოვიდა: — მხოლოდ სიარულზედ გიკანი. აბა, ერთად ვსადილობთ, რალა? სად შეიძლება, თუ იცი, ერთი ლაზათიანი პური ვჭამოთ?

— არ ვიცი, მოვასწრებ თუ არა, — უპასუხა ნებლიუდოვმა, რომელსაც ისე უნდოდა მისი თავიდგან მოშორება, რომ არ ეწყენინებინა.

— აქ რა გინდა? — ჰკითხა მან.

— საქმე, ძმაო, საქმე მაქვს აპეკუნობისა. მე ხომ აპეკუნი ვარ. სამიანოვის საქმეების მმართველი გახლავარ. ხომ იცი, რა მდიდარია! ასე 54 ათასი დესეტრინა მიწა აქვს, — ისეთი კილოთი სთქვა, თითქმას მან გააჩინა ეს დესეტრანებიო: — საქმე საშინლად იყო აწეწილი. სულ გლეხებს ეჭირათ. არაფერს იხდიდნენ და 80 ათასი ჯერაც გადაუხდელია. ერთ წელიწადში ყოველივე გავაწესრიგე და 70%⁶-ზედ მეტი მივეცი პატრონს...

ნებლიუდოვს გაგონილი ჰქონდა, რომ თვით ეს შენბონკი, რომელმაც თავისი ქონება გაჰფლანგა და ყელამდე ვალებში იყო ჩავარდნილი, პროტექციის წყალობით დაინიშნა ერთის მდიდარის კაცის ქონების მზრუნველად და ახლა ამ ქონებას იდგა და სქამდა.

„როგორ მოვიშორო თავიდგან, რომ არ ვაწყენინო? — ჰფიქრობდა ნებლიუდოვი და ყურს უგდებდა მისს კვებნას, თუ როგორ მოეწყო თავისი საქმეები.

— მაშ, სად ვისადილებთ?



— მე არა მკალიან, — უთხრა ნებლიუდოვმა და საათს დააჩვენა.

— მაშ, აი რა: სალამოზე დოლია. იქნები იქა?

— არა, არ ვიქნები!

— მოდი! ჩემები აღარა მყავს, მაგრამ გრიშინის ცხენები მყვოლება. გახსოვს? რა მშვენიერი თავლა ჰქონდა? მაშ, მოდი და ერთად ვივახშმოთ.

— არც ვახშობა შემიძლიან, — ღიმილით უპასუხა ნებლიუდოვმა.

— რა ამბავია? სად მიდიხარ ახლა? გინდა მიგაცილო?

— ვეჭილთან მივდივარ. აი აქვეა, მოსახვევში, — უპასუხა ნებლიუდოვმა.

— ჰო, მართლა, რაღაც საქმეებს არიგებ სატუსალოში? სატუსალოს მეოხად ხომ არ დადექი? კორჩაგინებმა მითხრეს, — სიცილით უთხრა შენბოკმა: — ისინი უკვე წავიდნენ. რა ამბავია? რაშია საქმე, მითხარი?

— დიად, დიად, მართალია, — უპასუხა ნებლიუდოვმა, — რა უნდ გიამბო, აბა, ქუჩაში?!

— ეჰ, შენ ხომ სულ ასე ვიცი იყავი. მაშ, დოლზე მოხვალ?

— არა, არც შემიძლიან და არც სურვილი მაქვს. ნუ გეწყინება, გეთაყვა.

— მეწყინება კი არა, ის არ გინდა! სადა დგებარ? — ჰკითხა მან და უცებ სერიოზული სახე მიიღო.

— რა ცივა, ა?

— დიად, დიად!

— ნასყიდი ნივთები შენა გაქვს? — მიჰმართა მან მეტლეს.

— მაშ, მშვიდობით, ძალიან მოხარული ვარ, რომ გნახე. — უთხრა შენბოკმა, მაგრამ ხელი ჩამოართვა, კობტად შეხტა ეტლზე და გაჰქანდა.

„ნუ თუ მეც ასეთი ვიყავი“, — ეკითხებოდა ნებლიუდოვი თავის თავს და მიდიოდა ვეჭილთან: — დიად, თუმცა მთლად



ასეთი არა ვყოფილვარ, მაგრამ მინდოდა კი ასეთივე მოსაზრებით და მეგონა, ცხოვრებასაც ასე გავატარებდი.

XI

ვექილმა სხვებზე უწინ ნებლიუდოვი მიიღო და მენშოვევის საქმეზე ჩამოუგდო ლაპარაკი; ეს საქმე უკვე წაგეოთხნა და ძალიან აღელვებული იყო ასეთის უსაბუთო ბრალდებით.

— ეს საქმე აღმაშფოთებელი საქმეა სწორედ, — სთქვა მან, — აღვილი მისახვედრია, რომ ცუცხლი თვითონ პატრონს წაუკიდებია, რათა დაზღვევის ფული აეღო; საქმე ის არის, რომ მენშოვევის დანაშაულობა სრულიად არ არის დამტკიცებული. ყველა ეს კი გამომძიებლის დაუდევრობისა და ბრალმდებლის ამხანაგის უხეირობის ბრალია. ოღონდ საქმე აქ გაირჩეს და, სრული იმედი მაქვს, მოვიგებთ და სასყიდელსაც არ ავიღებ. ახლა მეორე საქმე; თეოდოსია ბირიუკოვის თხოვნა უმაღლეს სახელობაზეა დაწერილი. თუ წახვალთ პეტერბურგში, თან წაიღეთ, მიეცით თქვენ თვითონ და სთხოვეთ პირადად, ვისიც ჯერ არს, თორემ მიწერ-მოწერას დაიწყებენ და არაფერი არ გამოვა. ეცადეთ გაიცინოთ ის კაცები, რომელთაც გავლენა აქვს თხოვნების მიღებაზე კომიტეტში. ეს არის ყველაფერი?

— არა, აი მე რასა მწერენ კიდევ....

— როგორც ვხედავ, იმ ძაბრად ქეულებართ, რომელშიაც მთელის სატუსაღოს საჩივარი ჩადის, — ღიმილით შენიშნა ვექილმა. — ძალიან ბევრი საქმეა, ვერ შეიძლება.

— არა, ეს საკუთარი საქმეა, — უპასუხა ნებლიუდოვმა და მოკლედ მოუყვა საქმის ვითარებას.

— რა გიკვირთ? აქ რა არის საკვირველი?

— ყველაფერი! მესმის, როცა ჩაფარი ჩაიდნენ ამ გვარ საქმეს, მაგრამ ბრალმდებლის ამხანაგმა როგორ ზნდა ჩაიდინოს? ის ხომ განათლებული კაცია...

— კიდევ გვ არის ჩვენი შეცდომა და ვეჩვიეთ იმ ფიქრს, რომ ვითომ ბრალმდებლები და საზოგადოდ მოსამართლეები



რალაც ლიბერალები გვგონია. ერთ დროს, შეიძლება, ეახვეოდნენ უკვე ბი იყვნენ, მაგრამ ახლა სულ სხვა საქმეა. ისინი მხოლოდ „ჩინოვნები“ არიან, რომელთა საზრუნავი და სადარდელიც მხოლოდ 20 რიცხვია. იღებენ ჯამაგირს, სკდილობენ მეტი აიღონ და ეს არის და ეს, ამითი განისაზღვრება მათი დედა-აზრები. სულ იმას ვეუბნები ბატონ მოსამართლეებს,—განავრძო ვეჭილმა,—რომ დიდი მადლობელი ვარ მათი, რადგან, თუ დღეს სატუსალოში არა ვართ, თქვენც და თითქმის ყველანიც, ეს იმათის გულკეთილობის წყალობაა. თვითეულის ჩვენგანის უფლებათა ჩამორთმევა და ციმბირში გაგზავნა მათთვის სულ ადვილი საქმეა.

— თუ კი ყველაფერი ბრალმდებლის საქმეა, კანონიც და უკანონობაც, მაშ რაღა საქიროა მოსამართლეები?!

ვეჭილმა სიამოვნებით გადაიხარხარა.

— აბა, მაგას რას მეკითხებით? ეგ, მეგობარო, ნამდვილი ფილოსოფიაა. რატომ არა. ამაზედაც შეიძლება ვილაპარაკოთ. აი, მობრძანდით შაბათს და მაშინ მოვილაპარაკოთ საზოგადო მნიშვნელობის საგნებზედ,—უთხრა ვეჭილმა და ირონიულის კილოთი წარმოსთქვა სიტყვა „საზოგადო საგნები“.—ჩემს კოლს იცნობთ? მობრძანდით.

— ვეცდები! —უპასუხა ნებლიუდოვმა და გადასწყვიტა, რომ შაბათ საღამოთი არ მისულიყო ვეჭილთან, სადაც შეკრებოლი იქმნებოდნენ მეცნიერები, ლიტერატორები და მხატვრები.

ვეჭილის სიცილმა და იმ კილომ, რომლითაც მან წარმოსთქვა სიტყვები „ფილოსოფია“ და „საზოგადო საგნები“, ნათლად დაანახვა ნებლიუდოვს, როგორ შორს იყო ისიცა და ვეჭილიც ამგვარ საგნებზედ და, თუმცა იმისთანა თავის მეგობრებს დაშორდა, როგორც, მაგალითად, შენბოკია, მანც ნებლიუდოვი უფრო შორს მხედველი იყო, ვიდრე ვეჭილი და მისი ამხანაგები.

XII

სატუსალომდე კარგა დიდი მანძილი იყო და კიდევ ცამდე-
დებოდა, ამიტომ ნებლიუდოვმა ეტლით წასვლა არჩია. ერთ
ქუჩაში მეეტლემ, შუა ხნის კაცმა, მიჰმართა ნებლიუდოვს და
ვეებერთელა შენობა ანიშნა, რომელიც ახლად შენდებოდა.

— ჰხედავთ, რამოდენა სახლი აუგიათ? — უთხრა მან, თით-
ქო თვითონ აშენებს ამ სახლს და მით თავი მოაქვსო.

სახლი მართლა ვეებერთელა იყო და რაღაც ახალრთულ
გვეგმაზე შენდებოდა; ფიჭვის დიდი ნამორები, ერთი ერთმანეთ-
ზე რკინით მაგრად დამაგრებული, შემოვლელბული იყო შენო-
ბის გარშემო. მუშები, თავით ფეხამდე კირში გათხუზნულნი,
ქიანქველებივით ირგოდნენ: ზოგი ქვებსა სთლიდა, ზოგი აწ-
ყობდა და ზოგს კირი აჰქონდა მალდა.

ჩასქვლებული და მშვენიერად ჩაცმული ბატონი, ალბად
ხუროთ-მოძღვარი, იდგა ხეებთან და რაღაც ბრძანებას აძლევდა
მოიჯარადრეს.

„მერე, როგორ დარწმუნებულნი არიან მუშები და ისიც,
ვინც იმათ ამუშავენს, რომ ეს ასე უნდა იყოს. დიად, დარ-
წმუნებულნი არიან მუშები იმ დროს, როცა მათს სახლში ქა-
ლები აუტანელ მუშაობას ითმენენ და მათი ბავშვები, მშვი-
რები, უდროვოდ ჰბერდებიან და ადრე და მალე ესაღმებიან
წუთი-სოფელს. განა ისინი უნდა უშენებდნენ ამ უსარგებლო
და სულელურ სახლს ვიღაც სულელს და უსარგებლო კაცს?“ —
ჰფიქრობდა ნებლიუდოვი და სახლს მისჩერებოდა.

— დიად, ვიღაც სულელის სახლია! — სთქვა მან ხმა-მალდა.

— როგორ თუ სულელისა?! — წყენით დაეკითხა მეეტ-
ლე: — მაღლობელი ვართ, რომ ხალხს სამუშაოს აძლევს. სუ-
ლელი რად არის?

— ეგ მართალია, მაგრამ მუშაობა ხომ უსარგებლოა?!

— ალბად სისარგებლო იქნება, თორემ რად ააშენებენ? —
შეეკამათა მეეტლე: — ხალხი იკვებება.



ნებლიულოვი გაჩუმდა, რადგან ეტლების ხრიგინისაგან ყურთა სმენა აღარ იყო. სატუსალოს ახლოს ხმაურობდა მეეტლე უნაპარდა და მეეტლემ ისევ მიჰმართა ნებლიულოვს.

— აბა, რა არის, რომ ამდენი ხალხი აწყდება სოფლებიდან ქალაქს; აბა, ერთი შეჰხედეთ! — უთხრა მან ნებლიულოვს და ანიშნა სოფლის ხალხის მთელი გროვა, რომელიც ხერხით, ცულებით, ხურჯინებითა და სხვა-და-სხვა იარაღით მათკენ მოდიოდა.

— განა წინანდელზედ უფრო მეტი მოდის ახლა? — ჰკითხა ნებლიულოვმა.

— რა ბრძანებაა! ახლა იმდენი ხალხი აწყდება ქალაქს, რომ უთვალავ-უანგარიშო. ბატონები ისე იწუნებენ მუშებს, როგორც უბრალო რამ დაიწუნო. ყველგან ბევრნი არიან და იმიტომ.

— მერე რა არის მიზეზი?

— ხალხი გამრავლდა, საცხოვრებელი აღარა აქვთ.

— მერე რაო, რომ გამრავლდა, რატომ სოფელში არა რჩებიან?

— სოფელში საქმე არა აქვთ — რა, მამული არ არის და, თუ არის, ცოტაა.

ნებლიულოვს რადამაც უჩხვლიტა გულზე. „ნუ თუ ყველგან ასეა“? — ჰფიქრობდა ის და გამოჰკითხა მეეტლეს, რამდენია შენს სოფელში მიწა, რამდენი გქონდა და რატომ საცხოვრობ ქალაქშიო.

— ჩვენში, ბატონო, თითო სულზე თითო დესეტინა მიწა მოდის, ჩვენ-კი სამ სულს ერთი დესეტინა გვქონდა, — სთქვა მეეტლემ: — მე სახლში მოხუცებული მამა მყავს და ძმა, ერთი ძმაც ჯარშია. ისინი უვლიან ყველაფერს. ან კი რა აქვთ მოსავედელი? ძმას მოსკოვშია — კი უნდოდა წასვლა.

— მიწების საღალოდ აღება არ შეიძლება?

— სად უნდა აიღონ? ბატონები, ვინც იყო, უმამულოდ დარჩნენ: მთელი თავიანთი მამულები გაჰფლანგეს. ყველაფე-



რი ვაქრებს ჩაუგდეს ხელში. მათგან-კი ვერაფერს იყიდის კაცია—თვითონ მუშაობენ. ჩვენში ფრანგია მიწების მპროდუქტი, უწინდელის ბატონისაგან იყიდა. ჩვენ არას გვაძლევს და ის არის

— ეინ ფრანგია?

— დიუფარი ფრანგი, იქნება გაგიგონიათ? დიდ თეატრში აქტიორებს პარიკს უკეთებს. კარგი საქმეა და კიდევ გამდიდრდა. ჩვენი ბატონის ქალისაგან იყიდა მამული. ახლა ჩვენი ბატონი ის არის; როგორც უნდა, ისე შევედგება ზედა. მაინც მადლობელი ვართ, კარგი კაცია. მხოლოდ ვილაც რუსის ქალი ჰყავს და ისეთი აბეზარი რამ არის, რომ ღმერთმა შეინახოს. სულ ტყავს აძრობს ხალხს... აი, სატუსალოც, მივედით კიდევ; საით გნებავთ შეხკიდეთ? მგონია, რომ არ უშვებენ.

XIII

გულის კანკალითა და შიშით, ვაი თუ რა მდგომარეობაში ვნახავ ახლა კატოსაო, და იმ საიდუმლოებით გარემოცულმა, რომელშიაც შთანთქმული იყო მთელი სატუსალო, ნებლიუდოვიმა ზარს ჩამოჰკრა და გამოსულ ზედამხედველს ჰკითხა მასლოვის ქალის ამბავი. ზედამხედველმა შეატყობინა, რომ კატო საავადმყოფოშიაო. ნებლიუდოვი წავიდა საავადმყოფოსკენ. გულკეთილმა ბებერმა მოსამსახურემ მაშინვე კარები გაუღო და, როცა გაიგო ვისი ნახეაც უნდოდა, ბავშვების განყოფილებისკენ გაუძღვა.

კარიდარში გამოვიდა ახალგაზდა ექიმი, რომელიც მთლად გაეღწეოდა იყო კარბოლის სიმკვავის სუნით, და მრისხანედ დაეკითხა: ვინ გნებავთ? ეს ექიმი გულმტკივნეულობით ექცეოდა ტუსალებს და ამის გამო ხშირად უსიამოვნება ჰქონდა მთავრობასთან და უფროს ექიმთანაც-კი. იმ მოსაზრებით, რომ ნებლიუდოვს კანონს გარეშე არა მოეუბნებოდა-რა და თანაც იმ ფიქრით, რომ ეწვევებინა, ჩემთვის სულ ერთიაო, განგებ მიმართა ასე მრისხანედ.



— აქ ქალები არ არიან, აქ ბავშვების ოთახებია, — უნდა სუხა მან.

— ვიცი, მაგრამ აქ არის სატუსალოდან გადმოყვანილი მოსამსახურე ქალი.

— დიად, არის ორი. მერე რა გნებავთ?

— ერთის მათგანის მახლობელი ვარ—მასლოვის ქალი-სა—და მინდოდა მისი ნახვა, რადგან პეტერბურგში ვაპირებ წასვლას საკასაციო საჩივარი უნდა შევიტანო მაგის საქმეზედ და თან ესეც მინდოდა გადამეცა, — უთხრა ნებლიუდოვმა და ჯიბიდან კონვერტი ამოიღო, — ფოტოგრაფიული სურათია.

— რატომ არა, ეგ შეიძლება გადასცეთ, — უთხრა ექიმმა და უცხად მორბილდა. მიუბრუნდა ბებერ დედაკაცს და უბრძანა, მასლოვის ქალს დაუძახეო: — თუ გნებავთ, დაბრძანდით, ან მისაღებ ოთახში წაბრძანდით.

— გმადლობთ! — უთხრა ნებლიუდოვმა და, რა-კი შეატყუო, ექიმი კარგს გუნებაზედ დადგაო, შეეკითხა, კმაყოფილი ბრძანდებით მასლოვის ქალისა თუ არაო.

— არა უშავს, იმ გარემოებაში, რომელშიაც ის არის, კარგად მუშაობს, — უთხრა ექიმმა, — აგერ, თვითონ ისიც მოდის.

ერთის კარებიდგან გამოვიდა ბებერი და მასლოვის ქალიც იმას გამოაჰყვა. ზოლებიან კაბაზე თეთრი წინსაფარი ჰქონდა და თავშალი ჰქონდა მოხურული. დაინახა თუ არა ნებლიუდოვი, უეცრად გაწითლდა, შეჩერდა და ყოყმანი დაიწყო, შემდეგ მოიღრუბლა, თვალები ძირს დაიღო და ჩქარის ნაბიჯით გაემართა მისკენ. ნებლიუდოვს არ ენახა იმ ლაპარაკის შემდეგ, როცა ბოდიში მოიხადა მის წინაშე თავის სიფიცხისათვის და ეგონა, ახლაც ისეთივე იქნებოა, როგორც მაშინ, მაგრამ ახლა სულ სხვა იყო. მისს სახეზე სულ რაღაც ახალი აზრი იხატებოდა: თავ-შეკაფება, მოკრძალება და, როგორც ნებლიუდოვმა შეჰნიშნა, მისდამი არა კეთილის მყოფლობა. ნებლიუდოვმა იგივე უთხრა, რაც ექიმს უთხრა — პეტერბურგში



ვაპირებ წასვლასაო, და გადასცა კონვერტით მელიც პანოვოდგან მოიტანა.

— პანოვოში ვიპოვნე; დიდის ხნის სურათია, იქნება გესიამოვნოს ამის ნახვა. შენა გქონდეს.

მასლოვის ქალმა გაკვირვებით შეჰხედა თავის აღგზნებულის თვალებით, თითქოს უკვირდა, რა საჭიროა ეს სურათიო. გამოართვა კონვერტი და წინსაფარს ქვეშ შეინახა.

- იქ მე თქვენი დეიდა ვნახე, — უთხრა ნებლიუდოვმა.
- ჰნახეთ? — გულგრილად იკითხა კატომ.
- ხომ კორგადა ხართ აქა? — ჰკითხა ნებლიუდოვმა.
- არა მიშავს-რა, კარგადა ვარ, — უპასუხა მან.
- ძალიან ძნელი გასაძლისი ხომ არ არის?
- არა, არ არის ძნელი გასაძლისი. მხოლოდ ჯერ ვერ შევეჩვიე.

- ძალიან მოხარული ვარ. აქ უკეთესია, ვიდრე იქ.
- სად იქ? — ჰკითხა მან და აენტო.
- იქ, სატუსალოში! — სწრაფად უპასუხა ნებლიუდოვმა.
- რით არის უკეთესი? — ჰკითხა კატომ.
- ვგონებ, აქ უფრო კარგი ხალხია. ისეთები არ არიან, როგორც იქ.
- იქაც ბევრნი არიან კარგები.
- მენშოვებისათვის ვეცადე და იმედი მაქვს, ჩქარა გაანთავისუფლებენ.

- ღმერთმა ჰქნას! ისეთი სამაგალითო მოხუცი დედაკაცია, — სთქვა მასლოვის ქალმა და ოდნავ გაიღიმა.
- ახლა პეტერბურგში მივდივარ. თქვენი საქმე ჩქარა გაირჩევა და, იმედი მაქვს, განაჩენს გააუქმებენ.
- გააუქმებენ თუ არა, ახლა სულ ერთია.
- რადა?
- ისე.

ნებლიუდოვი მიჰხედა ამ სიტყვების აზრს. კატოს უნდა, ალბად, გაიგოს, თანახმა ვარ მეც მისი, თუ ისევ ჩემს გარდაწყვეტილებას ვადგევირო.



— არ მესმის, რად არის თქვენთვის სულ ერთი? — ჰკითხა ნებლიუდოვმა: — ჩემთვის კი მართლაც სულ ერთია, გაგზავნა თუ არა. მე ყოველ შემთხვევაში მზადა ვარ ისე მოვიქცე, როგორც გითხარით, — გადაჭრით უთხრა ნებლიუდოვმა.

— ტყუილად ამბობთ მაგას, — უთხრა მასლოვის ქალმა და აქეთ-იქით დაიწყო მოუსვენრად სტეერა.

— იმიტომ გეუბნებით, რომ თქვენც იცოდეთ.

— ამაზე ყველაფერი ვსთქვით და მეტი აღარ არის საჭირო, — ძლივს-ძლივობით წარმოსთქვა მასლოვის ქალმა და ღიმილი შეიკავა.

ოთახში რაღაც ხმაურობა ასტყდა. მოისმა ბავშვების ტირილი.

— მგონი მე შეძახიან, — სთქვა კატომ და მოუსვენრად აქეთ-იქით იყურებოდა.

— მაშ, მშვიდობით! — უთხრა ნებლიუდოვმა.

კატომ თითქოს ვერ დაინახა გაწვდილი ხელი, არ ჩამოურთმევიდა, ისე მიტრიალდა და ჩქარის ნაბიჯით წავიდა ოთახისაკენ.

„ეს რა მოსდის? რასა ჰფიქრობს? რასა ჰგრძნობს? გამოცდა უნდა ჩემი თუ მართლა არ შეუძლიან მამატიოს? არ შეუძლიან ყველაფრის თქმა, რასაც ჰფიქრობს და ჰგრძნობს, თუ არ უნდა მითხრას? უფრო მორბილებულია ებლა, თუ გაბრაზებული?“ — ეკითხებოდა თავის-თავს ნებლიუდოვი და ვერას გზით პასუხი ვერ მიეცა. მხოლოდ ერთი ის კი იცოდა ნებლიუდოვმა, რომ კატო გამოიცივალა და მისს არსებაში დიდი სულიერი ცვლილება იყო, და ეს ცვლილება კი აერთებდა მას არა მარტო კატოსთან, არამედ ღმერთთანაც, რომლის გულისთვისაც ასეთი ცვლილება ჰხდებოდა. ეს შეერთება ახარებდა ნებლიუდოვს და სიამოვნების ერუანტელსა ჰგვრიდა.

ოთახში დაბრუნებისას, სადაც რვა ტახტი იდგა ბავშვებისათვის, კატომ, სათნოების დის ბრძანებით, ლოგინის დაგება დაიწყო და ისე გადაიზნिया ზეწრის გადაფენის დროს,



რომ ფეხი გაუსხლტა და კინალამ იქვე გაიშხლართა და ბავშვმა დაინახა ესა და სიცილი შესქდა. კატომ შეიშინა და შეიშინა, დაჯდა ტახტზე და ისეთი ხარხარი დაიწყო, რომ ბავშვები სიცილით იქაქებოდნენ. სათნოების დამ დაუყვირა:

— რას ხარხარებ? შენა გგონია, ისევ იქა ხარ, სადაც იყავი? წადი კერძისთვის!

მასლოვის ქალი დაჰმდა, აიღო ჭურჭელი და წავიდა კერძისთვის, მაგრამ გადასცდა თუ არა თავ-შებვეულ ბავშვს, რომელსაც სიცილი აღკრძალული ჰქონდა, თავი ვერ შეიკავა და დაიფხუტუნა.

იხელთებდა თუ არა ღროს, კატო ყოველდღე რამდენჯერმე ნახევრად გამოსწევდა უჯრას, სადაც სურათი ჰქონდა შენახული, და სტკებოდა მისის მხერით; ერთხელ, ღამით, როცა ყველას ეძინა, მთლად გამოიღო უჯრიდან სურათი და გაგიჟებით დაუწყო ყურება: ათვლიერებდა სურათის ყოველ წერილმანს და თვალი ვერ მოეშორებინა, ისე გაეტაცნა თავის ახალგაზდა ღამაზ სახეს. გატაცებით მისჩერებოდა სურათს და ვერ შენიშნა, როგორ შემოვიდა მისი ამანავი მოსამსახურე ქალი.

— ეს რა არის? იმან მოგცა?—ჰკითხა სქელმა გულკეთილმა ქალმა, სურათისკენ გადაიხარა და დაუწყო მზერა:— ნუ თუ ეს შენა ხარ?

— მაშ ვინ იქნება?—ღიმილით უბასუხა კატომ და თვალეზში შეჰხედა.

— ეს ვინლა არის? თვითონ ის? ეს იმის დედაა?

— დედაა. განა ვერ მიცნობდი?—ეკითხებოდა მასლოვის ქალი.

— საიდან გიცნობდი? ჩემს სიცოცხლეში ვერ გიცნობდი. ახლა სულ სხვა სახე გაქვს. ვგონებ, ათი წელიწადი გავიდა მას შემდეგ.

— ათი წელიწადი კი, არა მთლად ცხოვრება!—უთხრა



მასლოვის ქალმა და უცბად უხალისობა დაეტყო, სახეზე მოწყვეტილი
ყენილობა გამოეხატა და წარბებს შუა ნაოჭი დააჩნდა.

— რატომ, ადვილი ცხოვრება გქონდა?!

— დიალ, ადვილი!—სთქვა კატომ, თვალები დახუჭა და
თავის ქნევით დაუმატა:—კატორღაზე უარესი!..

— მერე რით იყო უარესი?

— იმით, რომ... საღამოს 8 საათიდან დილის 4 საათამ-
დე და ასე ყოველ დღე...

— თუ აგრე იყო, რატომ არ ანებებდი თავს?

— ძალიანაც უნდათ თავის დანებება, მაგრამ არ შეიძ-
ლება! ეჰ, რაღა უნდა ვსთქვა, —წარმოსთქვა მასლოვამ, წა-
მოვარდა, შეაგდო სურათი მაგიდის უჯრაში, გიყვივით გაეარ-
და კარიდორში და კარები გაირახუნა.

როცა სურათს უცქეროდა, ჰგრძნობდა, რომ ისეთივე მშვე-
ნიერი იყო, როგორც სურათში, და ოცნებობდა, თუ რა
ბედნიერი იყო მაშინ და კიდევ შეიძლება ბედნიერი ყო-
ფილიყო იმასთან. ამხანაგ ქალის სიტყვებმა გამოიყვანა კა-
ტო ოცნებიდან, ჩაახედა მისს დღევანდელს ცხოვრებაში და
ავრძნობინა ამ ცხოვრების საშიშროება, რომელსაც წინად
ბუნდოვანად ჰხედავდა და არ უნდოდა სავესებით დაენახა;
მხოლოდ ახლა მოაგონდა ის საშიში ღამეები და, უმეტესად,
ყველიერის ერთი ღამე. მოაგონდა, რომ ღვინით გათხუპნილ
წითელ აბრეშუმის კაბაში გამოწყობილმა თმა-აბურძგვილიმა
დაქანცულ-დატანჯულმა და ძალზედ მთვრალმა გააცილა „სტუ-
მრები“ ნაშუაღამევის ორ საათზე, მიუჯდა სკრიპკაზე მოთამაშე
გამხდარ ქალს და დაუწყა ჩივილი თავის უბედურ ცხოვრებაზედ;
მოაგონდა, რომ ამ ქალმაც შესჩივლა თავისი უბედურება; მო-
აგონდა, რომ ამ დროს მათთან მივიდა მეგობარი ქალი
კლარა და სამივემ გადასწყვიტეს თავი დაენებებინათ ამგვარის
ცხოვრებისათვის. უნდოდათ თავიანთთვის საღმე დაშხდა-
რიყვნენ, რომ ამ დროს სტუმრებმა ხმაურობა ასტეხეს. სკრიპ-
კაზედ მოთამაშემ ვაჰკრა სკრიპკას და გაიმართა კადრილი.



თეთრ-გალსტუკიანმა პატარა კაცმა მაგრად მოჰხვია ხელები და გაიტაცა. მეორე სქელ-წვერიანმა ფრაკიანმა უახტაცა და ასე დიდხანს ცეკვავდნენ, ჰყვიროდნენ, სვამდნენ... ასე გავიდა წელიწადი, ერთი, ორი, სამი... როგორ არ უნდა გამოიცივალოს კაცი? ყველა ამ უბედურების მიზეზი კი ის იყო. აქ კატოს უცბად აღეძრა წინანდელი გრძნობა და მზად იყო გაეღანძლა ის დაეტუქსა; დანანდა კიდევ, რომ გაუშვა ხელიდან და ერთხელ კიდევ ვერ უთხრა ყველაფერი; ვერ მოახერხა ეთქვა: მე შენ გიცნობ და არ დაგნებდები, არ მოგცემ ნებას, რომ სულიერად ისარგებლო ჩემით ისე, როგორც ხორციელად ისარგებლე; არ მოგცემ ნებას, რომ შენის სულმადლობის საგნად გამიხადო, და რომ ჩაეკლა გულში ეს აღძრული გრძნობა, არაყი მოუნდა. კატომ თუმცა სიტყვა მისცა ნებლიუდოვს, არაყს აღარ დაეღვეო, მაგრამ მაინც უღალატებდა სიტყვას და დაღვედა, რომ ყოფილიყო.

აქ კი, საავადმყოფოში, არაყი ისე არ იშოვებოდა, თუ არ ფერშაღთან, ხოლო ფერშლისა კი ეშინოდა, რადგანაც მოსვენებას არ აძლევდა. მამაკაცებთან სქესობრივი დამოკიდებულება კატოს ახლა საზიზღრადაც მიიჩნდა. კარგა ხანს იჯდა კარიდორში, შემდეგ შემოვიდა კამერაში და ხმა-ამოუღებელივ დიდხანსა სტიროდა თავის დაღუბულ ცხევრებას.

XIV

პეტერბურგში ნებლიუდოვს ოთხი საქმე ჰქონდა: საკასაციო საჩივრის თხოვნა სენატში მასლოვის ქალის შესახებ, თეოდოსია ბირიუკოვის ქალის საქმე თხოვნათა მიმღებ კომისიაში, ვერა ბოგოდუხოვსკაიას თხოვნით შუსტოვის ქალის განთავისუფლების თაობაზედ ეჩნდარბთა სემპართელოში და დედისგან შვილის ნახვის ნებართვის საქმე, რომლის შესახებაც ბოგოდუხოვსკაიამ ბარათი მოსწერა.

მასლენნიკოვის უკანასკნელ ნახვისა და უმეტესად სოფელში ყოფნის შემდეგ, ნებლიუდოვმა წარმოუდგენელი ზიზ-



ლი იგრძნო იმ ჯგუფისადმი, რომელთა შორისაც ამდენხანს სცხოვრობდა, იმ ჯგუფისადმი, სადაც, მისის აზრით, ანუ დაფარული იყო მილიონ ხალხის ტანჯვა-წამება იმ პატარა ჯგუფის დასაკმაყოფილებლად, ხოლო ეს პატარა ჯგუფი ვერა ჰხედავს და არც შეუძლიან დაინახოს ეს ტანჯვა და თან თავიანთი საძაგელი, გარყვნილი ცხოვრება. ახლა ნებლიუდოვს თითქმის აღარ შეეძლო ამგვარ ხალხისათვის მიემართა ისე, რომ თავის თავისთვის არ ესაყვედურებინა. ახლა ამ ჯგუფისაკენ იზიდავდა ნებლიუდოვს მისის წინანდელ ცხოვრების ჩვეულებანი, მეგობრული და ნათესავური კავშირი და უმთავრესად ის საქმე, რომელიც უნდა გაეკეთებინა; მისი გარდაწყვეტილება იყო— მიშველებოდა მასლოვის ქალს და ყველა იმათ, რომელნიც საშინლად იტანჯებოდნენ სატუსალოში, და ამიტომ უნდა მიემართა ამ ჯგუფის ხალხისათვის, როგორც გავლენიან კაცთათვის, და ეთხოვნა შემწეობა ხშირად ისეთ კაცთათვის, რომელნიც პირდაპირ სიძულვილსა და ზიზლსა ჰგვრიდნენ.

პეტერბურგში მისვლისას ნებლიუდოვი ჩამოხტა დეიდასთან, გრაფინია ჩარსკისთან, რომელიც მინისტრად ნამყოფის ცოლი იყო; ამგვარად ნებლიუდოვმა ამოჰყო თავი იმ არისტოკრატიის შუაგულში, რომელიც მკერდიდგან მოიგლიჯა და შეიზიზლა. ეს არ ესიამოვნა, მაგრამ სხვა გზა არ იყო. სასტუმროში რომ ჩამომხტარიყო და არა დეიდასთან, ეს შეურაცხყოფის მიყენება იქნებოდა; ამასთანავე, დეიდას დიდი ნაცნობობა და მიწერ-მოწერა ჰქონდა გავლენიან კაცებთან და დიდს სამსახურს გაუწევდა იმ საქმეში, რომლის გულისთვისაც აქ ჩამოვიდა.

— რაები არ მესმის შენზე? სასწაულებს აბდენ თურმე! — უთხრა დეიდა გრაფინია ეკატერინე ივანოვნამ ყავის დროს ნებლიუდოვს, რომელსაც მისვლის უმაღლესი ყავა მიართვა. — Vous posez pour un Howard. როგორც მოთბრეს, ავაზაკებს თურმე შეველი, სატუსალოებში დადიხარ და იმათ გასწორებასა სცდილობ.

— არა, ეგ არც კი მიფიქრნია.



— რატომ, ძალიან კარგი საქმეა! მაგრამ რაღაც რომანტიკული ამბავია, მგონი, არა? აბა, მიამბე ყველაფერი ნებლიუდოვი დაწვრილებით მოუყვა მასლოვის ქალთან თავის დამოკიდებულების ამბავს.

— მახსოვს, მახსოვს; საწყალომა ელენემ რაღაც მითხრა მაშინ, როცა იმ ბებრებთან სცხოვრობდი. იმათ უნდოდათ, რომ მათი გაზრდილი ქალი შეგეტოო (გრაფინია ეკატერინე ივანოვნას საშინლადა სძულდა ნებლიუდოვის მამიდევები). მაშ, ეგ ის არის?

დეიდა ეკატერინე ივანოვნა ნი წლის ჯანმრთელი, მზიარული, ლაპარაკის მოყვარე და ბეჯითი დედაკაცი იყო. მალაღობის, მხარ-ბეჭიანის ტანისა იყო და ტუჩებზედ შავი უღვაშები ემჩნეოდა. ნებლიუდოვს ბავშვობიდანვე უყვარდა იგი.

— არა, დეიდა, ყოველივე ეს გათავდა. მე შოლოდ მინდოდა დაეხმარებოდი იმას, რადგან უდანაშაულოდ დასჯილია, და მის დასჯის მიზეზი-კი მე ვარ, მე ვარ დამნაშავე; მოვალეედ ვგვრძობდი თავს დაეხმარებოდი, რაც შეიძლებოდა...

— მაშ, რად მითხრეს, რომ ვითომ მისი ცოლად შერთვა გინდოდა?

— დიად, მართალია, მინდოდა, მაგრამ იმას არ უნდა.

დეიდამ თვალები დააქუცა და გაკვირვებით შემხედა დისწულს.

უცბად სახეზე შეიცვალა და კმაყოფილების გრძობა გამოეხატა.

— მაშ, იგი შენზე ჭკვიანი ყოფილა. რა სულელი რამა ხარ! განა მართლა შეირთავდი?

— უეჭველად!

— მას შემდეგ, რასაც ის ჩადიოდა?...

— მით უმეტეს! ყველაფრის მიზეზი ხომ მე ვარ?

— არა, შენ მთლად გამოსულელებულხარ და სწორედ შიტომაც მიყვარხარ ასე! — უთხრა დეიდამ ღიმილით: — იცი, რა ვითხრა? აღინას სამაგალითო თავშესაფარი სახლი აქვს მარიამ



მაგდალინელის სახელობაზე აგებული. ერთხელ კიდევაც ვინც
ყავი იქა. ოჰ, რა საძაგლებია, ვინც იქ არიან! რომ გამოუვლი,
სულ საპნით ვიბანდი ხელებს. აღინა სულითა და გულით ამ
საქმეს შესდგომია. ის შენი ნაქები ქალიც იქ მიუყუენათ. თუ-კი
ვისმე შეუღლიან მისი გასწორება, ეს მხოლოდ აღინას.

— კი, მაგრამ იმას კატორღა აქვს გადაწყვეტილი! მეც
იმიტომ ჩამოვედი, რომ ვეცადო და გავაუქმებინო ოლქის
სასამართლოს განაჩენი. ეს პირველი საქმეა ჩემი თქვენთან.

— ჰოოო, მერე სად არის ეს საქმე?

— სენატში.

— სენატში? მართლა, ჩემი საყვარელი ნათლია ლევუშ-
კაც ხომ სენატშია? მაგრამ ის გეროლდის დეპარტამენტშია.
ვინც სამოსამართლო დეპარტამენტშია იმას კი ვერავის ვერ
ვიცნობ. ღმერთმა ნუ იცის იმათი თავი, ვილაც გერმანელები
არიან: გე, ფე, დე—tout l'alphabet, ან და ვილაც ივანო-
ვები, სემიონოვები, ნიკიტინები, ან ივანენკო, სემიონენკო და
ნიკიტენკო. ვეტყვი მაინც ჩემს ქმარს. შენ თვითონ გააგებინე
ყველაფერი, თორემ ჩემი იმას არა გაგებბარა. რაც არ უნდა
ფუთხრა, ვითომც არ გამოგონიაო. ყველას ესმის და მარტო იმას
კი არა.

ამ დროს შემოცოცდა ლაქია და ვერცხლის ტაბაკით
წერილი შემოიტანა.

— სწორედ აღინასაგან იქნება. აი, იქ კიზივეტერის
მქვერმეტყველობასაც გაიგონებ.

— ვინ არის ეგ კიზივეტერი?

— კიზივეტერი? შოდი დღეს და გაიგებ, ვინც არის.
ისე ლაპარაკობს, რომ თავზე ხელაღებული ავაზაკებიც კი
მის წინაშე მუხლს იღრეკენ და ინანიებენ.

გრაფინია ეკატერინედ ივანოვნა ერთგული მომხრე იყო
იმ მოძღვრებისა, რომელიც ასწავებს, რომ ქრისტიანობის უმ-
თაფრესი მისწრაფება—ცოდვების მონანიება არისო, თუმცა
სრულიად არ შეეფერებოდა ეგ მისს ღირსებასა და ხასიათს. გრა-
ფინია ესწრებოდა კრებებს, სადაც ამ მოძღვრებასა ჰქადაგებ-



დნენ, და იწვევდა თავის სახლში მორწმუნეთ. თუმცა ეს მო-
ძღვრება უარ-ჰყოფდა საეკლესიო წესებს, ხატებსა და ბიბლი-
არებას, მაგრამ გრაფინიას ყველა ოთახებსა და, ასე გასინჯეთ,
საწოლ ტახტის ზემოდაც კი ხატები ეკიდა და ყველა ქრის-
ტიანულ წესს ასრულებდა, რადგან აქ არაფითარს წინააღმ-
მდეგობას არა ჰხედავდა.

— აი, შენმა მაგდალინამ უნდა უყუროს იმას! უეჭვე-
ლად მოიქცეოდა, — უთხრა გრაფინიამ: — შენ უთუოდ სახლში
დარბი ამ საღამოს. გაიგონებ მისს ლაპარაკს. სამაგალითო
კაცია.

— ჩემთვის ეგ სრულებით საინტერესო არ არის, დეიდა!

— მე შენ გეუბნები, საინტერესო არის-მეთქი! უეჭვე-
ლად მოდი. აბა, სთქვი, კიდევ რა გინდა ჩემგან? *Videz
votre sac.*

— ციხეში მაქვს კიდევ საქმე.

— ციხეში? მაშ იქ ბარონ კრიგსმუტთან გაგატან წე-
რილს. *C'est un très-brave homme.* შენც უნდა იცნობდე
მამი-შენის ამხანაგი იყო. *Il donne dans le spiritisme.* კე-
თილი კაცია. რა საქმე გაქვს იქა?

— უნდა ვსთხოვო, რომ დედას ნება მისცენ თავისის
შვილის ნახვისა, რომელიც ეს რამდენიმე თვეა ციხეში ზის;
მაგრამ მითხრეს, ეგ კრიგსმუტზე არ არის დამოკიდებული,
ჩეროვიანსკის საქმეაო.

— ჩეროვიანსკი მეჯავრება, მაგრამ მარიეტას ქმარია და...
შეიძლება იმასა ვსთხოვო. მარიეტა არ გამაწბილებს, ჩემი
ხატრი აქვს. *Elle est très-gentille.*

— კიდევ ერთის ქალის შესახებ უნდა ვსთხოვოთ, რომ
მელიც რამდენიმე თვეა ციხეში ზის და არაფერ არ იცის კი,
რისთვის.

— დიად, როგორ არა! თვითონ მას კარგად ეცოდინება,
რისთვისაც ზის; ყველაფერი ძალიან კარგად იციან. ახია იმ
თმა-შეკრეპილზე!



— არ ვიცი, ახია თუ არა, მაგრამ იტანჯებიან კი. თქვენ—ქრისტიანი ხართ, სახარება გწამთ და ასეთ ღვთისმშობლებლობას კი იჩინთ...

— არა უშავს-რა! სახარება—სახარებად იყოს და, რაც საზიზღარია, უნდა შევიზიზღოთ. უარესი იქნება, რომ ვი-კრუო, ნიგილისტები მიყვარს-მეთქი და, უმთავრესად, თმა-გა-კრეჭილი ნიგილისტები, როცა საშინლად შეზიზღებიან.

— რატომ გეზიზღებათ?

— რატომ ვრევებიან სხვის საქმეში?! რა ქალების საქმეა მაგისტანა რამეში ჩარევა.

— დიად, მაგრამ თქვენ თითონ არა ბრძანეთ, მარი-ეტტას შეუძლიან საქმის გაკეთებაო, — უთხრა ნებლიუდოვმა.

— მარიეტტა? მარიეტტა—მარიეტტაა. ის კი, ვინ იცის, ვინ არის: ვილაც ხალტიუჰკინამ სხვებს უნდა ასწავლოს?!

— კი არ ასწავლოს, უნდათ ხალხს დაეხმარონ.

— უიშათოდაც იციან, ვის უნდა და ვის არა დახმარება.

— ხალხი რომ გალატაკებულია?! აი, ახლა სოფელიდგან მოვედი. განა ასე უნდა, რომ გლეხები ტყავს იძრობდნენ, მთელის ძალ-ღონითა შრომობდნენ და მუდამ მშვიდრები იყვნენ, ჩვენ კი ასე ფუფუნებითა ვსცხოვრობდეთ და დროს ვატარებდეთ?—ამბობდა ნებლიუდოვი და, დეიდას გულკეთილობით მოხიბლული, მზად იყო ყველაფერი ეთქვა.

— მაშ, რა გინდა? ის ხომ არა ვნებავს, რომ მე ვმუშაობდე და არაფერს არ ვქამდე?

— არა, მე ეგ არა მინდა, რომ მშვიერი იყოთ, — ძალი-უნებურის ღიმილით უპასუხა ნებლიუდოვმა. — მე მინდა, რომ ყველანი ვმუშაობდეთ და ყველანი მაძღარნი ვიყვნეთ.

— Mon cher, vous finires mal, — უთხრა გრაფინიამ.

— რისთვის?

ამ დროს ოთახში შემოვიდა მალალი, მხარ-ბეჭიანი გენერალი. ეს იყო — გრაფინია ჩარსკის ქმარი, სამსახურიდგან გადამდგარი მინისტრი.



— აა, დიმიტრი, გამარჯობა! — უთხრა მან და ახალ-მობარსული ლოყა უჩვენა: — როდის მოხვედი? — გრანდმა ჩუქმაღალ კოლს შუბლში აკოცა.

— Non, il est impayable, — მიჰმართა გრაფინიამ ქმარს: — ეგა ბრძანებს, მდინარეზე სარეცხი წაიღე გასარეცხად და მარტო კარტოფილი მიირთვიო; მთლად გამოს-ულელებულა ჩვენი დიმიტრი, მაგრამ მაინც უნდა აუსრულო, რასაცა გთხოვს. მართლა, გაიგე: ქ-ნი კამენსკისა თურმე ისეთს სასოწარკვეთილებას შია, რომ მისი სიცოცხლე ბეწვზედა ჰკიდია, — უთხრა ქმარს. — კარგი იყო, რომ წასულიყავ.

— ოჰო, ძლიერ ცუდი ამბავია! — სთქვა ქმარმა.

— მაშ, ჯერ მიბრძანდით დიმიტრისთან სალაპარაკოდ, მე კი წერილები უნდა დავწერო.

გამოვიდა თუ არა ნებლიუდოვი ოთახიდან, გრაფინიამ მაშინვე მიამბოხა კარებში:

— მაშ მარიეტას წერილი მივსწერო?

— უსათუოდ, დეიდა, გეთაყვა.

— მაშ მივსწერ, რაც გინდა შენის თმა-შეკრეკილისათვის და ისიც ქმარს ეტყვის. მისი ქმარი ყველაფერს მოახერხებს. არ იფიქრო, რომ მე სიბოროტით ვამბობდე: ეგ თქვენი მოკლეთმიანები სულ სულელები არიან... მაშ, წადი და სალამოზე უთუოდ სახლში იყავი... კიზივეტერის ლაპარაკს დაესწარი. ნახვამდის!

XV

გრაფი ივანე მიხეილის ძე სამსახურიდან გადამდგარი მინისტრი იყო.

ის ახალგაზღობიდანვე იმ აზრისა იყო, რომ, როგორც ფრინველი იკვებება ჭიებით, ბუმბულითაა შემოსილი და ჰაერში დაჰფრინავს, ისე მეც უნდა ვიკვებებოდე საუკეთესო მზარეულის მიერ მომზადებულ საჭმელებით, უნდა მეცვას საუკეთესო ტანსაცმელი და საუკეთესო ცხენებით უნდა დავსეირ-



ნობდგო; ამიტომ ყოველივე ეს ჩემთვის მუდამ მზად უნდა იყოს, ამასთანავე ჰფიქრობდა, რომ, რამდენ მეტ ფულსაც შევიტყობ ხაზინიდან, რამდენ მეტს ორდენებს მივიღებ და ხშირად ვინახულებ უმაღლესის თანამდებობის კაცთ და დამოკიდებულება მექნება მათთან, მით უკეთესიაო.

— ამ დიდ-კაცებს გარდა გრავ ივანე მიხეილის ძეს არაფერი სწამდა და სულ არაფერი არ იინტერესებდა. ამ მოსახრებით გრაფი 40 წელიწადსა სტოერობდა და მოქმედებდა პეტერბურგში და ამ ხსნის განმავლობაში მიაღწია კიდევ მინისტრის ადგილს.

უმთავრესი ღირსებანი, რომლის წყალობითაც მიაღწია გრაფმა მინისტრობამდე, ის იყო, რომ, ჯერ ერთი—კარგად ესმოდა ყველა ქალაქებისა და კანონების შინაარსი; თუმცა დალაგებით არა, მაგრამ მაინც შეეძლო ადვილ-გასაგების ქალაქების შედგენა ისე, რომ ორთოგრაფიული შეცდომები არ გაეპარებოდა; მეორე—წარმოსადგვი და ჰმოხერხებული კაცი იყო და, სადაც საჭირო იყო, არამც თუ ამპარტანულ გამოშეტყველებას მიიღებდა, არამედ მიუკარებელ კაცისასაც და, სადაც დასჭირდებოდა, მოილაქუცებდა; მესამე—არა ჰქონდა არც ხნობრივი და არც სახელმწიფოებრივი საზოგადო დედა აზრები და ამიტომ, სადაც თვითონ საჭიროებდა, თანახმა იყო, სადაც არა—წინააღმდეგი.

როცა მინისტრად დაინიშნა, არა თუ მისგან დამოკიდებული ხალხი, — მისგან-კი ძალიან ბევრი იყო დამოკიდებული, — არამედ თითქმის გარემენიცი-კი ჰფიქრობდნენ, დიდი ჭკვიანი და სახელმწიფოსთვის სასარგებლო კაციო.

გავიხდა ხანი და რაკი ვერაფერი ვააკეთა, ვერ გამოიჩინა თავი თავისის ჭკუითა ღ როცა—ასეთია კანონი არსებობისათვის ბრძოლისა— ძლიერ შეავიწროვეს მასაებრ უდენააზრო და გაუგათლებელმა „ჩინოვნიკებმა“, გრაფი იძულებული შეიქმნა სამსახურიდან გადამდგარიყო. მაშინ ყველანი დარწმუნდნენ, რომ არამც თუ დიდის ჭკუის პატრონი, არამედ ძალიან გან-



საზღვრულისა და გაუნათლებელიც ყოფილიყო, თუმცა თავისის თავის მორწმუნე კი იყო; ეს კაცი შეხედულეობით და მისი ვიწრო ვიწროებით უთანაბრდებოდა კონსერვატიულ გაზეთების შეთაურ წერილებს. აღმოჩნდა, რომ არა ჰქონდა არაფითარი ღირსება, რითაც წინაღ განირჩეოდ იმ გაუნათლებელ „ჩინოვნიკებისაგან“, რომელთაც ის განდევნეს. თვითონაც მიჰხვდა ყოველსავე ამას, მაგრამ მაინც არ დაჰკარგა რწმენა, რომ ყოველ წლივ ბევრ ფულსა და ახალ ორდენებს მივიღებო.

გრაფმა ივანე მიხეილის ძემ მოუსმინა ნებლიუდოვს ისე, როგორც საქმის მწარმოებელს უსმენდა ხოლმე, და აღუთქვა ორის ბარათის მიცემა: სხვათა შორის, ერთი საკასსაციო დეპარტამენტის სენატორ ვოლფთან.

— ბევრს რასმე ამბობენ იმაზედ, მაგრამ dans tous les cas c'est un homme tres comme il faut,—სთქვა ნებლიუდოვმა:—ჩემთანაც ვალდებულია და ყველაფერს იზამს, რაცკი შეუძლიან.

მეორე წერილი გრაფმა ივანე მიხეილის ძემ მისცა ერთ გავლენიან კაცს თხოვნების მიმღებ კომისიაში. თვოდოსია ბირიუკოვის ამბავმა, როგორც ნებლიუდოვმა უამბო, ძლიერ დააინტერესა გრაფი. როცა ნებლიუდოვმა უამბო, ამ საქმის შესახებ ერთ გავლენიან ქალთან მინდა წერილის მიწერაო, გრაფმა სთქვა, ეს საქმე მართლაც გულის აღმწვითებელია და, როცა შემთხვევა გქონდეს, მიაბეო. მაგრამ იმედი მაინც ვერ მისცა. სადაც ჯერ არს, თხოვნა უნდა მიართვათ და, თუ შემთხვევა იქნება, — იფიქრა მან, — თუ დამიძახებენ petit comite-ზე, შეიძლება მე თვითონ ვუამბო ყველაფერი დაწვრილებითაო.

მიიღო თუ არა ორივე წერილი გრაფისაგან, აგრედვე მარიეტტასთან მიწერილი გრაფინია დედასაგან, ნებლიუდოვი მაშინვე წავიდა.

პირველად მარიეტტასკენ წავიდა. მარიეტტას ბავშვობიდანვე იცნობდა ნებლიუდოვი. ის იყო ერთის ღარიბ არისტოკრატის ქალიშვილი და ცოლად გაჰყვა ისეთ კაცს, რომელიც



ყოველ დღე თანამდებობაში დაწინაურებას ელოდდა. ნებ-
ლიუდოვმა იცოდა, რომ ამ კაცზედ რაღაც კული ხმების
დიოდა და ძლიერ სამწუხაროდ ჰქონდა, რომ უნდა მიემართა
თხოვნით ისეთის კაცისათვის, რომელსაც პატივს არა სცემ-
და. ამნაირ შემთხვევაში ნებლიუდოვი მუდამ რყევაში იყო
და არ იცოდა როგორ მოქცეულიყო, ეთხოვნა თუ არა. ბო-
ლოს, როგორც იყო, მაინც გადასწყვეტდა, მიემართა თხოვ-
ნით. გარდა ამის, ხალხის წინაშე, რომელსაც უკვე თავისად
აღიარა სთელიდა, რაღაც უხერხულადა ჰგრძნობდა თავს. ნებ-
ლიუდოვი ჰხედავდა, რომ ამ ხალხთან ხშირის დამოკიდებუ-
ლებით თან-და-თან როლში შევიდოდა, დაავიწყდებოდა ახ-
ლანდელი ცხოვრება და იმ პანგზე დაიწყებდა მღერას, რომ
მელზედაც მღეროდნენ ამნაირ წრეში მყოფნი. ეს მან იგრძნო
დღედა ეკატერინე ივანოვნასთან, როდესაც სერიოზულ ლაპა-
რაკის დროს სულ ოხუნჯობდა ხოლმე.

საზოგადოდ პეტერბურგმა დიდი გავლენა იქონია ნებ-
ლიუდოვზედ. დიდი ხანია არ ყოფილიყო აქ და ყველაფერი
ისე ეჩვენებოდა, თითქო პირველად ჰხედავსო. ყველაფერი
რიგზე, წმინდად და კოპწიად იყო მოწყობილი.

მშვენიერმა, სუფთად ჩაცმულმა და ზრდილობიანმა მეეტ-
ლემ ჩაისვა ნებლიუდოვი და წაიყვანა. ჩაუარა მშვენიერ, სუფ-
თად ჩაცმულ ზრდილობიან ქუჩის დარაჯებს, გაიარა მშვენიერ-
რად მოკირწყლულ სუფთა ქუჩაზე, მშვენიერ მალალ სახლე-
ბის ახლო, და გაჩერდა მარიეტტას სახლის კარებზედ.

კარებთან ეტლი იდგა, რომელშიაც ინგლისურის ჯიშის
გათქვირული ცხენები ება; კოფოზე კობტად გამოწყობილი
მეეტლე იჯდა.

კარები ლაპაზად გამოწყობილმა ლაქიამ გაუღო. ნებლიუდო-
ვი შევიდა დერეფანში, სადაც მეორე მკიარე და ლაქია დიუხვდა.

— გენერალი ახლა ვერავის ვერ მიიღებს. ვერც გენე-
რალმა. სხვაგან უნდა წაბრძანდნენ.

ნებლიუდოვმა გადასცა გრაფინია კატერინე ივანო-
ვ



ნას წერილი, ამოიღო სადარბაზო ბარათი, მივიდოდა მკვდრებს, რომელზედაც სტუმრების სახელებისა და გვარის ჩასაწერი შეგანი იდგა, და ის იყო დაიწყო წერა: „ვწუხვარ, რომ ვერ გნახეთ“, რომ ლაქია კიბისკენ გაექანა, კუთხეში გაჩერდა, ხელები ჩამოუშვა და გაიჭიმა. გამოვიდა შეკარგე და დაიკვირა: „ეტლი მოიყვანე“. კიბეზე მისის ღირსების შეუფერებელის სირბილით ჩამოვიდა კოპწია ქალბატონი. შეკარგმა და ლაქიებმა მოწიწებით თაყვანი სცეს და მანამდე თვალი არ მოუშორებიათ, სანამ ქალბატონი კარებს არ გასცდა.

მარიეტტას შავი კაბა გცვა და თავზევევებერთელა შლოაბა ეხურა, თითქო მთელი ბალი სულ თავზე ჩამოუცვამსა; ხელზე ხელთათმანები გცვა და პირბადე ჰქონდა ჩამოფარებული.

ღაინახა თუ არა ნებლიუღოვი, პირბადე აიწია და თავისის მგზნებარე თვალეებით გაოცებით მიაშტერდა.

— აა! კნიაზ დიმიტრი ივანოვიჩ! — მხიარულას ხმით უთხრა მან, — მინდოდა შემეტყო...

— როგორ, განა თქვენ ჩემი სახელიც გახსოვთ?!

— როგორ არა, მე და ლემს დას გვიყვარდით კიდევ ერთ დროს! — დაიწყო მარიეტტამ ფრანგულად: — მაგრამ, ლმერთო ჩემო, როგორ გამოცვლილხართ! რა დაგემართათ? ვწუხვარ, რომ წასვლას ვაპირებ. მაგრამ არა უშავსრა, დაებრუნდები, — უთხრა მან და ყოყმანობდა, თითქოს უნდა გადასწყვიტოს, დაებრუნდეს თუ არაო.

მარიეტტამ შეხედა კედლის საათს.

— მაგრამ არა, არ შეიძლება! კამენსკაიასთან მივდივარ პანაშვიდზე... საწყალი საშინელს მდგომარეობაშია.

— ვინ არის ვე კამენსკაია?

— განა არ ვაგიგიათ? მისი შვილი დუელში მოჰკლეს. პოზენთან მოუხდა დუელი. მერე დედის ერთა იყო იმის მეტი მისს დედას აღარაინ გააჩნდა. საშინელება! საბრალო დედა ლამის ჯავრით მოჰკვდეს.

— დიად, ყური მოკვარ.



— არა, უმჯობესია, მე წავალ და თქვენ ხვალ ან დღეს სალამოზე შემომიარეთ, — უთხრა მან და წასასვლელად მოემზადა.

— დღეს სალამოზედ არ შემიძლიან. თქვენთან საქმეზედ მოვედი.

— რა ამბავია?

— იი, წერილი დეიდასაგან, — უთხრა ნებლიუდოვმა და პატარა კონვერტით ბარათი გადასცა. — აქედგან ყველაფერს გაიგებთ.

— ვიცი! გრაფინია ეკატერინე ივანოვნასა ჰგონია, რომ მე გავლენა მაქვს ჩემ კმართან. შემცდარია! არაფერი არ შემიძლიან და არც მინდა გავერიო რაიმე საქმეში. მაგრამ გრაფინიასი და თქვენის გულისათვის შემიძლიან დავარღვიო ჩემი მტკიცე გადაწყვეტილება. რაშია საქმე?

— სატუსალოში ზის ერთი ავადმყოფი ქალი, რომელიც სრულიად უდანაშაულოა.

— რა გვარია?

— შუსტოვის ქალი, ლიდია შუსტოვის ასული. წერილში სწერია.

— კარგი, ვეცდები მოვახერხო რამე, — უთხრა მარიეტტამ და შეეკოცა ეტლში.

ლაქია მარდად შეხტა კოფოზე და ანიშნა მეეტლეს — წადიო. ეტლი დაიძრა, მაგრამ იმ წამსვე მარიეტტა ქოლგით შეეხა მეეტლეს და გათქვირული ცხენები ფრუტუნითა და ფეხების ბაკუნით გაჩერდნენ.

— გეთაყვა, უთუოდ მობრძანდით, — უთხრა ნებლიუდოვს მარიეტტამ და ვაილიმა ისეთის ღიმილით, რომლის ძალაც კარგად იცოდა. შემდეგ ისევ ანიშნა ქოლგით მეეტლეს და გათქვირულმა ცხენებმა ფრუტუნითა და თქარა-ქთურით გააქანეს ეტლი.

XVI

ნებლიუდოვმა მოიგონა მარიეტტას ღიმილი და თავი ჩაიქნია. „უკან მოხედვასაც კი ვერ ძოასწრებ, რომ ისევ ამ



ცხოვრებაში ჩაებმები“, — იფიქრა ნებლიუდოვმა, დღე მთელი იგრძნო, როგორც იმნაირ ხალხთან დროებით მის დასაწყობად ბულებამ გამოიწვია, რომელთაც პატივს არა სცემდა.

მოიფიქრა, სადა სჯობია უწინ შესვლა, რომ უკან დაბრუნება აღარ დამჭირდესო, და პირველად სენატში წავიდა. შეიყვანეს კანცელარიაში, სადაც დაინახა მეტად ზრდილობიანი და სუფთად ჩაცმული მოხელეები.

ნებლიუდოვს უთხრეს, რომ მასლოვის ქალის საქმე გადაცემული აქვს სენატორ ვოლფს, რომელთანაც გრაფ ჩარსკის წერილი ჰქონდა.

— სენატის სხდომა ამ კვირაში იქნება და, არა მგონია, რომ მასლოვის ქალის საქმე ამ სხდომაზედ გაირჩეს. თუ სთხოვთ, შეძლება მოხერხდეს და ახლა გაირჩეს, — უთხრა ერთმა მოხელემ.

სენატის კანცელარიაში ნებლიუდოვს ყოველის მხრიდან მხოლოდ ერთი და იგივე ლაპარაკი ესმოდა — დუელისა. აქ პირველად დაწვრილებით გაიგო ყველაფერი ამ ამბის შესახებ, რამაც მთელი პეტერბურგი ფეხზე დააყენა. საქმე ასე იყო: ერთ დუქანში დამსხდარიყვნენ აფიცრები, კიბობებს შეექცეოდნენ თან ჩვეულებისამებრ სვამდნენ. ერთმა მათგანმა თურმე კუდად მოიხსენია ის პოლკი, რომელშიაც კამენსკი მსახურებდა. ამის გამო კამენსკიმ ამ აფიცრს ცრუ უწოდა. იმან სილა გაარტყა კამენსკის და ამას მოჰყვა დუელი, რომელიც მეორე დღესვე მოჰხდა. კამენსკის მუცელში მოჰხვდა ტყვია და ორის საათის შემდეგ გარდაიცვალა. პოზენი და სეკუნდანტები თუმცა დაიჭირეს და ნაობაბტში ჩასვეს, მაგრამ იმედი იყო, რომ ორის კვირის შემდეგ გამოუშვებდნენ.

სენატის კანცელარიიდან ნებლიუდოვი თხოვნების მიმღებ კომისიის წევრ ბარონ ფორობიევეთან წავიდა. ბარ ფორობიოვი დიდი გავლენიანი კაცი იყო და უზარმაზარი სახაზინო სადგომი ჰქონდა უფასოდ დათმობილი. მეკარემა და ლაქიამ სასტიკის კილოთი გამოუცხადეს ნებლიუდოვს, რომ დანიშნულ დღეებს



გარდა ბარონის ნახვა ყოველად შეუძლებელიაო. ნებლიუდოვმა გადასცა წერილი და წაეიდა სენატორ ვოლფთან.

ვოლფს კიდევ ესაუბმა და ჩვეულებრივად სივარცს შეეპყროდა. ვლადიმერ ვასილის ძე ვოლფი ნამდვილი un homme très comme il faut-ი იყო და ამ ღირსებას ყველაზე მაღლა აყენებდა და ამაყადაც დაჰყურებდა ყველას. არც შეეძლო მაღლა არ დაეყენებინა ეს თვისება, რადგან იმის წყალობით მიიღწია გულის წადილს: ცოლის შერთვით შეიძინა იეთი ქონება, რომელიც 18 ათას მანათს აძლევდა წელიწადში, და თავისის შრომით სენატორობამდეც მიიღწია. ვოლფი არა თუ un homme très comme il faut-ად სთვლიდა თავს, არამედ რაინდულ სინდისის პატრონიც კი იყო. მისის აზრით, სინდისი და პატიოსნება მხოლოდ ის იყო, რომ ჩემად ქრთამი არ აეღო, ხოლო ხაზინიდან მოთხოვნა სხვა-და-სხვა ხარჯებისა, მაგ., სამგზავროსი, დღიურისა, საიჯაროსი და სხვა ამგვარებისა კი სინდისიერად მიაჩნდა. სინდისიერი ქცევა იყო, მისის აზრით, ისიც, რომ გაძარცვა ცოლი, რომელსაც ძლიერ უყვარდა ვოლფი, და ცოლის და. ეს, პირიქით, კანონიერად მიაჩნდა, რადგან ამით თავისი ოჯახური ცხოვრება მოაწყო.

ვლადიმერ ვასილის ძის ოჯახს შეადგენდა: მისი ცოლი, ცოლის და, რომლის მამულებიც ხელთ იკლა თვითონ, გაჰყიდა და აღებული ფული ბანკში შეიტანა თავის სახელობაზე, და წყნარი, მშვიდარა, ულამაზო ქალიშვილი, რომელიც მხოლოდ ერთად-ერთ სახარებით ერთობოდა და აღინასა და გრაფინია ეკატერინე ივანოვნას დასის მუდმივი წევრი შეიქმნა.

ვლადიმერ ვასილის ძეს გაეგდო სახლიდგან ერთად-ერთი ვაჟი, რომელიც ჯერ ისევ 15 წლისა იყო, როცა წვერ-ულვაში ამოუვიდა და აქედგანვე დაიწყო ლოთობა და გარყვნილი ცხოვრება. ასე სცხოვრობდა 20 წლამდე, როცა სახლიდგან გააგდეს, რადგან ვერსად სწავლა ვერ დაამთავრა და ისეთ ხალხს დაუახლოვდა, რომ აუარებელი ვალები დაედო და ამით მამას სახელი გაუტეხა. მამამ ერთხელ გადაიხადა შეილის ვა-



ლი 230 მანათი, ვადაიხადა მეორედ 600 მან. და თან გამო-
უცხადა, უკეთუ ამ დღიდან მაინც თავს არ დაბნეულა, ამ
გარყენილ ცხოვრებას და კიდევ ვალებს დაიდებ, სახლიდან
გაგაგდებ და ყოველსავე კაცშირს შევსწყვეტ შენთანაო. მაგრამ
არამც თუ გასწორდა, კიდევ ათასი მანათი ვალი დაიდვა,
გაკადნიერდა და უთხრა მამას, რომ ჩემი სახლში ცხოვრება
ტანჯვა-წამებააო. მაშინ ვლადიმერ ვასილის ძემ გამოუცხადა:
მიბრძანდი, საითაც გინდათ, დღეის შემდეგ ჩემს შვილად აღარა
გთვლიო. ამ შემთხვევის შემდეგ ვლადიმერ ვასილის ძე ისე
იქცეოდა, თითქოს ვაჟი არა ჰყავსო, და ვერც შინაურები
უბედავდნენ შვილის გახსენებას. ამგვარად, ვლადიმერ ვასი-
ლის ძე სრულიად დარწმუნებული იყო, საუკეთესოდ მოვაწყვე
ჩემი ცხოვრებაო.

ვოლფმა ცბიერის ღიმილით შეჰხედა ნებლიუდვს და
წერილის კითხვა დაიწყო.

— გთხოვთ დაბრძანდეთ. ბოდიშს ეიხდი, მაგრამ მე უნდა
ვისეირნო, — უთხრა ვოლფმა, ჩაიწყო ჯიბეებში ხელები და
წყნარის ნაბიჯით გაიარ-გამოიარა ოთახში: — დიდად მოხარუ-
ლი ვარ თქვენის გაცნობისა და თან მსურს გრაფის იენ მიხა-
ილიჩის სურვილი ავასრულო, — ამბობდა ვოლფი და თან სუნ-
ნელოვან სიგარას ეწეოდა.

— მე მხოლოდ ამასა გთხოვთ, რომ რაც შეიძლება ადრე
გაირჩეს საქმე, რადგან, თუ დამნაშავეს ციმბირში წასვლა
მოელის, სასურველია, ადრე წავიდეს.

— დიად, დიად, ნიქნიდგან პირველის გემით, ვიცი! —
სთქვა ვოლფმა, რომელმაც უველაფერი წინ-და-წინვე იცოდა,
რაზედაც ლაპარაკს დაუწყებდნენ. — რა გვარია დამნაშავე?

— მასლოვა.

ვოლფი მივიდა მაგიდასთან და დაჰხედა ქალადს, რომ-
მელიც სხვა საქმის ქალაღდების თავზე იდგა.

— დიად, დიად, მასლოვა. ვსთხოვ ჩემს ამბანაგებს და
საქმეს ოთხშაბათს განვიხილავთ.



მაგრაძის
გინელოგიური

— მაშ, შემიძლიან კეკელს ვაცნობო დეპეშით?
— განა ექვლიცა გყავთ? რა საჭირო იყო? მაგრაძის
ხან აგრეა, თუ გნებავთ, გაუგზავნეთ.

— შეიძლება განსაჩივრების საბუთები ვერ იყოს მაგარი,
მაგრამ, ჩემის ფიქრით, საქმიდგანა სიანს, რომ სასამართლოს
განაჩენი შეცდომის წყალობით მოჰხდა.

— დიად, შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ უნდა მოგახსენოთ,
რომ სენატი საქმის არსებითად განხილვაში არ შედის.
სენატს მხოლოდ თვალ-ყურს აღევნებს იმას, თუ რამდენ-დ
წესიერად ასრულდება კანონი, სხვა არაფერი...

— მე მგონი, ეს არა-ჩვეულებრივი შემთხვევაა.

— ვიცო, ვიცო, ყველა შემთხვევა არა-ჩვეულებრივია.
ჩვენ, რაც საჭიროა, გავაკეთებთ... იშვიათად დადინართ პე-
ტერბურგში?—ჰკითხა ვოლფმა და თან უფროთხილდებოდა, რომ
სიჯარის ფერფლი უცაბედად არ დაეარდნილიყო და წამ-და-
უნწუმ დახედავდა.

საუბედუროდ, ფერფლი უცაბად შეინძრა, ვოლფი შეცუ-
ცხუნდა, ფერფლი სიფრთხილით მიიტანა საფერფლესთან და
ნახად დასდო.

— გაიკეთ, რა უბედურება შეემთხვა კამენსკის? სამა-
გალითო ახალგაზდა იყო საწყალი! ყველაზე მეტად სამწუხაროა
დედის მდგომარეობა, —სიტყვა და სიტყვა-სიტყვით გაიმეორა ის
ამბავი, რომელიც მთელს პეტერბურგს ენაზე ეკერა.

ვოლფმა კიდევ ცოტა ხანს ილაპარაკა გრაფინია ეკატე-
რინე ივანოვნას სარწმუნოებრივ მიმართულებებზე; იგი არც
ამტყუნებდა და არც ამართლებდა ამ მიმართულებას; ცოტა
ხნის შემდეგ ვოლფმა ზარს ჩამოჰკრა.

ნებლიუდოვი გამოეთხოვა.

— თუ მოახერხოთ, სადილად მობრძანდით, —უთხრა
ვოლფმა და ხელი ჩამოართვა; თუ გინდ ოთხშაბათს. მაშინ
გადაწყვეტილ პასუხს მოგცემთ.



რადგანაც ძალიან დაგვიანებული იყო, ნებლიუდოვი პირ-
დაპირ სახლში წავიდა დეიდასთან.

XVII

გრაფინია ეკატერინე ივანოვნას ოჯახში საღამოს რვის
ნახევარ საათზე სადილობდნენ; ისეთის ცერემონიითა და
წეს-რიგით მოართმევდნენ სადილს, რომ თავის დღეში არ
ენახა ნებლიუდოვს. საქმლის ჩამორიგება აქ ხმარებაში აღარ
იყო. ლაქიებს შემოჰქონდათ საქმლეები, სდგამდნენ სუფრაზე
და ისევ უკან გადიოდნენ. მოსადილენი თვითონ იღებდნენ
თავიანთ კერძს. მამაკაცები, როგორც ლონიერი სქესი, დე
დაკაცებს არა სარჯარდნენ და თვითონ არიგებდნენ საქველს,
თავიანთთვისაც და დედაკაცებისთვისაც. როცა ერთ კერძს
მიირთმევდნენ, გრაფინია შარს დარეკავდა, შემოირბენდა ლაქია,
გასწმენდა, გაასუფთავებდა იქაურობას, გამოსცვლიდა ქურ-
ქლებს და ახალს კერძს შემოიტანდა. საქმელ-სასმელი მუდამ
საუცხოვო გემოვნებისა იყო. დიდსა და ნათელს სამზარეუ-
ლოში გამოცდილი ფრანგი მზარეული მუშაობდა ორის თა-
ნაშემწით. სადილზე ექვსი სული იჯდა: გრაფი, გრაფინია,
მათი ვაჟი—გვარდიის აფიცერი, რომელიც მუდამ სუფრაზედ
იდაყვებით იყო დაყრდნობილი, ნებლიუდოვი, ფრანგის ქალი
და სოფლიდან ჩამოსული მთავარი მოურავი გრაფისა.

აქაც დუელზედ ჩამოვარდა ლაპარაკი. ყველანი თანა-
გრძნობას უტყაბდებდნენ პოზენს, რომელმაც მუნდორის პატი-
ვი დაიკვა; მხოლოდ გრაფინია ეკატერინე ივანოვნა წინა-
აღმდეგი იყო და პოზენს ამტყუნებდა.

— დაიწყებენ ლოთობასა და შშვენიერ ახალგაზღვებს
უსპობენ სიცოცხლეს; არაფრის გულისთვის არ ვაპატიებდი,—
სთქვა გრაფინიამ.

— სრულიად არაფერი არ მესმის,—სთქვა გრაფმა.

— ეიცი, რომ არას დროს არ გესმის ჩემი ლაპარაკი,—
უთხრა გრაფინიამ და ნებლიუდოვს მიუბრუნდა:—ყველას ეს-
მის და ჩემ ქმარს კი არა. მე ვამბობ, განსვენებულ კამენსკის

მარტინი
გენერალ-მაიორი

დღეა ძალიან მეცოდება-მეთქი, თორემ ის კი არ მინდა, რომ პოზენმა მოჰკლას და მით დაკმაყოფილდეს.

მარტინი
გენერალ-მაიორი

ამ დროს წამოდგა მისი ვაჟი და გამოეჭომაგა პოზენს.

უზრდელის კილოთი დაუმტკიცა დედას, რომ პოზენს, როგორც აფიკერს, არ შეეძლო სხვაფრივ მოქცეულიყო, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამანაგები პოლკიდგან გააგდებდნენ. თუმცა ნებლიუდოვი ლაპარაკში არ ერეოდა, მაგრამ, როგორც აფიკრად ნამყოფს, კარგად ესმოდა ახალგაზდა ჩარსკის საბუთები და თან მკვლელ აფიკერს იმ ტუსაღს ადარებდა, რომელიც სატუსალოში ნახა და რომელსაც კაცის მკვლელობისათვის კატორღა ჰქონდა გადაწყვეტილი.

ნებლიუდოვმა უამბო მათ ეს შემთხვევა. პირველად გრაფინია ეკატერინე ივანოვნა თითქოს დაეთანხმა, მაგრამ შენდევგ, როგორც ყველანი, ისიც დაზუმა და ნებლიუდოვმა იგრძნო, რომ თითქო რაღაც უზრდელობა ჩაიდინა.

სალამოზედ, სადილს შემდეგ, ვეებერთელა დარბაზში, თითქო ლექციების კითხვას ეპირებიანო, ისე ჩააწყრივეს სკამები, შუაზე დასდგეს მაგიდა და რბილი საფარძელი. დღეს ვიზივეტერს უნდა ექადაგნა.

მაყურებელნი თან-და-თან ჰგროვდებოდნენ. ქუჩის კარებთან ძვირფასი ეტლები იდგა. დარბაზში ისხდნენ ძვირფას კაბებიანი ქალები და მათ შორის რამდენიმე კაცი სამოქალაქო და სამხედრო ტანსაცმელში, ორი მეფეოვე, მელუქნე, ლაქია და მეეტლე.

კიზივეტერი, რომელსაც ქალარა საკმაოდ მორეოდა, მაგრამ მაინც მაგარის აგებულობისა იყო, ინგლისურს ენაზედ ჰქადაგებდა და შემდეგ მისს ნათქვამს ახალგაზდა სათვალეებიანი ქალი სთარგმნიდა.

კიზივეტერი ამბობდა: ჩვენი ცოდვები ისე მძიმეა და ამიტომ ისეთი სასტიკი და აუცილებელია სასჯელი, რომ მისს მოლოდინში ცხოვრება ყოველად შეუძლებელიაო.



— როცა მოვიგონებთ, საყვარელნო დანო და ძმანო, ჩვენს ცხოვრებას: რას ვაკეთებთ, როგორ ვცხოვრობთ? როგორ ვაწვალებთ ყოვლიად მოწყალე ღმერთს, როგორ ვაწვალებთ ქრისტეს, ცხადად დავინახავთ, რომ პატივება და ხსნა-კი არ მოგველის, არამედ დაღუპვა ყველას! დიად, დაღუპვა, საუკუნო ტანჯვა მოგველის, — ამბობდა ათრთიალეებულის ხმით: — როგორ ვიხსნათ თავი, ძმანო? როგორ ვიხსნათ თავი ამ საშინელ ცეცხლისაგან? ცეცხლმა უკვე შთანთქა სახლი და გასასვლელი კი არსაით არის...

კიბივეტერი გაჩუმდა. მისს კოტათი, ოღნავ დანაოქებულს ლოყებზე ცრემლები ჩამოდიოდა. რვა წლის განმავლობაში ისე ჰქონდა გაზეპირებული ეს სიტყვები, რომ, როცა დანიშნულ ალავს შიდაწვედა, სუნთქვას მოუხშირებდა, ცხვირის ნესტოები ებერებოდა და თვალებიდან ცრემლები დაბადუპით ჩამოსდიოდა ხოლმე. ცრემლებს უფრო მღელვარებაში მოჰყავდა იგი. გრაფინია ეკატერინე ივანოვნა პატარა მაგიდასთან იყო მიმჯდარი და მთლად სმენად გადაქცეულიყო. ხან-და-ხან ოთახში მწარე ქვითინი ისმოდა. მეეტლე თვალ-დაქყეტილი მისჩერებოდა გერმანელს, თითქოს ელოდდა, ეს არის ახლა დამეჯახებაო. ფოლფის ქალიშვილი უკანასკნელ მოდაზე იყო გამოწყობილი, დაჩოქილი იდგა და თვალებზე ხელები დაეფარებინა.

ორატორმა უცბად პირი დააღო და ნაზის, მიმზიდველის ხმით დაიწყო:

— არის ხსნა, ადვილი და სასიამოვნო! ეს ხსნა — ჩვენთვის დანთხეული სისხლია, რომელიც დანთხია ერთად-ერთმა ძემ ლეთისამან და მისცა თავი სატანჯველსა, რათა დაეხსნა მთელი კაცობრიობა. იმისი სისხლი გვიხსნის ჩვენცა. ძმანო და დანო, — დაიწყო ისევ ტირილის ხმით, — მაღლობა ვუძღვნათ უფალს, რომელმაც ჩვენის დახსნისათვის თავისი პირმშო ძე სატანჯველს მისცა. მისი წმინდა სისხლი...



ნებლიუდოვმა ველარ გაუძლო ორატორის სისულელის
ბოდვასა, ადგა და თავის ოთახისკენ ისე გაიპარა, რომ
ვის არ გაუგია მისი გასვლა.

XVIII

მეორე დღეს, დილით, ის იყო ნებლიუდოვმა ტანთ ჩაი-
ცვა და ძირს ჩასვლას აპირებდა, რომ ლაქიამ შემოუტანა
მოსკოველ ვეჟილის ბარათი. ვეჟილი თავის საკუთარ საქმის-
თვის ჩამოსულიყო პეტერბურგს და თანაც უნდოდა მასლო-
ვის ქალის საქმის გარჩევასაც დასწრებოდა, თუ ადრე გაირ-
ჩეოდა. ნებლიუდოვის ვაგზავნილ დეპეშას მისთვის აღარ მი-
ესწრო. როცა გაიგო ვეჟილია, თუ როდის და რომელი სენატო-
რები გაარჩევენ მასლოვის ქალის საქმეს, გააღიმა და სთქვა:

— სწორედ, სამნივე სენატორების ტაპები არიან: ვოლ-
ფი—პეტერბურგელი „ჩინოენიკია“, სკოვოროდნიკოვი—მც-
ცნიერი იურისტი და ბე—გამოცდილი იურისტი და ამიტომაც
უველაზედ უფრო ცოცხალი. ყველაზე მეტი იმედი იმისგან
უნდა ვიქონიოთ.—თხოვნების მიმღებ კომისიაში რა პქენით?

— აი, დღეს წავალ ბაოონ ვორობიოვთან. გუშინ ვი-
ყავი, მაგრამ არ მიმიღო.

— ძალიან კარგი, მაშ, ერთად წავიდეთ, მე მიგიყვანთ.
ის იყო გასვლა დააპირეს, რომ ლაქიამ მარიეტას წე-
რილი მიართვა ნებლიუდოვს.

„Pour vous faire plaisir j'ai agi tout à fait contre
mes principes, et j'ai intercedé auprès de mon mari
pour votre protégée... Il se trouve que cette personne
peut être relachée immédiatement. Mon mari a écrit au
commandant. Venez donc უანგაროდ. Je vous attend. M.“

— მაშ, მე მიგიყვანთ, უთხრა ვეჟილმა, როცა გარედ
გამოვიდნენ და მშვენიერი ეტლი კარებს მოადგა.

ვეჟილმა უბრძანა მეეტლეს საითაც უნდა წასულიყო და
წუთიც არ გასულა, რომ გაფთქვირებულმა ცხენებმა მიაცუნეს



იმ სახლის კარებს, რომელიც ბარონს ეკარა. ბარონი სახლში არ იყო. წინა ოთახში ახალგაზდა მოხელე დამალონისა ღიჯდა.

— თქვენი გვარი? — დაეკითხა ის ნებლიუდოვს.

ნებლიუდოვმა უთხრა თავისი ვინაობა.

— ბარონმა მითხრა თქვენს შესახებ. ეხლავე!

ადიუტანტმა გააღო დაკეტილი კარები და გამოიყვანა იქიდან მტირალი, შავით მოსილი ქალი, რომელიც გამბდარს ხელებით პირბადეს იფარებდა, რომ ცრემლები დაემალნა.

— მობრძანდით! — უთხრა ახალგაზდა მოხელემ ნებლიუდოვს, წყნარის ნაბიჯით მიუახლოვდა კაბინეთის კარებს, გააღო და გაჩერდა.

კაბინეთში მაგიდასთან იჯდა შუათანა ტანის ჩასკენილი, მოკლედ თმა-გაკრეპილი კაცი და კარებისაკენ მზიარულად იყურებოდა. ნებლიუდოვის დანახვაზე აღერსიანად გაიღიმა.

— დიდად მიხარობიან თქვენი ნახვა; ჩვენ დიდი მეგობრები ვიყავით თქვენს დედისა. ბავშვობისასაც მინახებართ და და შემდეგაც, აფიცრობის დროსაც... აბა, დაბრძანდით და მიამბეთ, რითი შემოძლიან გემსახუროთ? დიდალ, დიდალ, — ამბობდა ის და გაკრეპილ თავს უშნოდ აკანტურებდა, როცა ნებლიუდოვი უამბობდა თეოდოსიას ამბავს, — სთქვით, სთქვით, მე ყველაფერი გავიგე. — დიდალ, დიდალ, მართლაც, რომ საზარელი ამბავია. ფხოვნა შემოიტანეთ?

— თხოვნა მზადა მაქვს, — უთხრა ნებლიუდოვმა და ჯიბიდან ქალაღი ამოიღო, — მაგრამ მინდოდა მეთხოვნა თქვენთვის, რომ ამ საქმისთვის განსაკუთრებული ყურადღება მიგექციათ.

— ძალიან კარგადაც გიქნიათ. უეჭველად მე თვითონ მოვახსენებ, — უთხრა ბარონმა, რომლის სახეზედაც სიბრალული აღიბეჭდა: — მეტის-მეტად საგრძნობელია. უთუოდ მაშინ ბავშვი იყო, ქმარი სასტიკად ეჭყეოდა და იმიტომ ჩაუდგენია ეს საქმე. შემდეგ ისევ შეუყვარდათ ერთმანერთ... დიდალ, უეჭველად მოვახერხებ!



— გრაფმა ივან მიხაილოვიჩმა სთქვა, ბარონს უნდა ესთხოვოთ.

ნებლიუდოვმა ამის თქმა ვერც კი მოასწრო, რომ ბარონს სახე შეეცვალა.

— ყოველ შემთხვევაში, მიყვით თხოვნა კანცელარიაში და, თუ რამე შემედლება, არ დავზოგავ.

ამ დროს ოთახში ახალგაზდა მოხელე შემოვიდა.

— ის ქალი გთხოვთ ორი სიტყვა კიდევ ათქმევინოთ.

— მაშ დაუძახე. . . ოჰ, მეგობარო, რომ იცოდეთ, რამდენი ცრემლები იფქვრება აქ და ყველას მოწმენდა რომ შეიძლებაოდეს, ხომ კარგი იქნება! იმას ეაკეთებთ, რაც შეგვიძლიან. შემოვიდა ქალი.

— დამაფიწყდა მეთხოვნა, ნება არ მისცეთ, რომ იმას მისცეს ქალი, თორემ ყველაფერზე...

— აკი გითხარი, რაც შეიძლება, ყველაფერს მოვახერხებ-მეთქი?!

— ბარონ! ღვთის გულისათვის, იხსენით დედა!..

მივარდა, გამოსტაცა ბარონს ხელი და კოცნა დაუწყა.

— ყველაფერს გაეაკეთებ.

როცა ქალი გავიდა, ნებლიუდოვიც გამოეთხოვა.

— რაც-კი შეგვიძლიან, ვეცდებით. შევეკითხებით ოუსტიციის სამინისტროს. ისინი გვიპასუხებენ და მაშინ, როცაორც მოსახერხებელი იქნება, ისე მოვიქცევით.

ნებლიუდოვი გავიდა.

XIX

ეს კაცი, რომელზედაც დამოკიდებული იყო პეტერბურგის სატუსალოების პატიმართა ყოველგვარი შეღავათი, ორდენებით იყო დატვირთული, მაგრამ, გარდა თეთრის ჯერისა, არც ერთს არ ატარებდა; დამსახურებული, მაგრამ, როცაორც ამბობდნენ, გამოტყინებული მოხუცი გენერალი იყო, გერმანელ ბარონთა შთამომავლობისა. წანად მსახურებდა საქართველოში, სადაც ის თეთრი ჯვარი მიიღო, შემდეგ პოლო-



ნეთში და კიდევ სადაც, და ახლა-კი ის ადგილი ჰქვამდა ხელში, რომლის მეოხებითაც ჰქონდა მშვენიერი ხადგობის, თავის ზედ საყრელი ჯამაგირი და პატივისცემა. უმაღლეს მთაფრობის ყოველგვარ მოწერილობას სასტიკად ასრულებდა და ძვირად აფასებდა; მოწერილობებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევდა და, მისი აზრით, მთელს ქვეყანაზე ყველაფრის შეცვლა შეიძლებოდა და ამ მოწერილობებისა კი არა.

იმ დროს, როცა ნებლიუდოვი დაუახლოვდა იმ ადგილს, სადაც მოხუცი გენერალი სცხოვრობდა, კოშკის საათმა ჯერ ერთი საცკლესიო საგალობელი ჩააკანა და შემდეგ ორი დაჰკრა. როცა ნებლიუდოვი მიადგა გენერლის სასახლის კარებს, გენერალი და ახალგაზდა მხატვარი, რომელიც მისი ხელქვეითის ძმა იყო, ისხდნენ ოთახში და ქალაღზე ლამბაქს ატრიალებდნენ. მხატვარს თავისის ნაზ და ფაფუკ ხელის თითები გენერლის გამზარ ხელის თითებში გაეყარა და ისე ატრიალებდნენ ლამბაქს ქალაღზე, რომეღზედაც მთელი ანბანი იყო დაწერილი. ლამბაქს პასუხი უნდა მიეცა გენერლისათვის იმაზე, თუ როგორა სცნობენ სულელები ერთმანეთს სიკვდილის შემდეგ.

იმ დროს, როცა მოსამსახურემ ნებლიუდოვის ბარათი შეიტანა, ეანნა დ'არკის სული ლაპარაკობდა. ეანნა დ'არკის სულმა უკვე შემდეგი სიტყვები გამოიყვანა ასოებიდან: „იცი-ნობენ ერთი-მეორეს“-ო. ეს მაშინვე ჩასწერეს. როცა მოსამსახურე შემოვიდა, ლამბაქი ერთხელ ასო „შ“-ზე გაჩერდა, მეორედ „ა“-ზე, შემდეგ მივიდა „ს“-ზე გაჩერდა და ქანაობა დაიწყო. ქანაობდა იმიტომ, რომ, გენერლის აზრით, შემდეგი ასო „ღ“-ი უნდა ყოფილიყო, ესე იგი ეანნა დ'არკს უნდა ეთქვა, რომ სულნი ქვეყნიურ ყოველგვარ ცოდვათა განწმენდის „შემდეგ“ („После“) იცნობენ ერთმანერთსაო. იმიტომ შემდეგი ასო „ღ“ უნდა ყოფილიყო, რომ გამოსულიყო სიტყვა „После“ (შემდეგ). მხატვარის აზრით კი, შემდეგი ასო „ღ“-ი კი არა, „გ“-ი უნდა ყოფილიყო, იმიტომ, რომ სული ამბობდა: სულნი ერთმანერთს იცნობენ



„სანათღეზე“ („no enemy“), რომელიც სულეების სხეულისაგან გამოვაო. გენერალმა წარბები შეიკუმუხებდა. მოიდგინა, ვითომ ლამბაქი თავისთავად ტრიალებსო, და მითრევდა „ღ“-სკენ, ახალგაზდა მხატვარი კი „ვ“-სკენ პიიწევდა. გენერალმა კოპები შეიკრა, რადგან ხელი შეუშალეს, წუთის შემდეგ აიღო ბარათი, გაიკეთა „pince-nes“ (სათვალეები) და წამოდგა ხელების ფშვნეტით.

— კაბინეტში მიიწვიე...

— ნება მომეცით, თქვენო აღმატებულება, მარტო მე დადისრულო, — უთხრა მხატვარმა და წამოდგა.

— კარგი, დაასრულეთ, — უთხრა გენერალმა და თავის დაძაბუნებულის ფეხებით გავიდა კაბინეტიდან.

— ძლიერ სასიამოვნოა თქვენი ნახვა, — უთხრა გენერალმა ნებლიუდოვს და საწერ მაგიდასთან სავარძელზე მიუთითა, — დიდი ხანია, რაც ჩამობრძანდით?

— არა, დიდი ხანი არ არის.

— დედა თქვენი ხომ კარგად არის?

— დედაჩემი კარგი ხანია გარდაიცვალა.

— უკაცრავად! სწორედ რომ ძალიან სამწუხაროა. ჩემმა შეიღმა მითხრა, თავად ნებლიუდოვს შევხვდიო.

შვილიც ისეთისავე მიმართულებისა იყო, როგორც მამა-გენერალი, და სკდილობდა ისეთივე ადგილი ეშოვნა, როგორც მამას ეჭირა და ამით კიდევ ამაყობდა.

— მე და მამა-თქვენი ერთად ვიყავით სამსახურში; დიდი მეგობრები ვიყავით... თქვენ ხომ სამსახურში ხართ?

— არა!

გენერალმა უკმაყოფილოდ გაიქნია თავი.

— თქვენთან სათხოვარი მაქვს, — უთხრა ნებლიუდოვმა.

— ძაალიან მოხარული ვარ. რითი შემძლიან გემსახუროთ?

— თუ ჩემი თხოვნა უადგილოა, გთხოვთ მპატიოთ.

— რა ამბაეია?

— თქვენ დაპატიმრებული გყავთ ვიღაც გურკვეჩი. იმისი



დღეა გთხოვთ, რომ შეიღოს ნახვის ნება მისცეთ და, თუ ეს არ შეიძლება, წიგნების გადაცემას ნება მაინც მიეცეთ.

ამ სიტყვებმა არაავითარი გავლენა არ იქონია გენერალზე; კისერი განზე მოაგრინა და თვალები დახუჭა, თითქოს დაფიქრდაო. ნამდვილად კი არაფერზე არა ჰფიქრობდა, რადგან კარგად იცოდა, რა პასუხსაც მისცემდა. ამ დროს მხოლოდ გონებით ისვენებდა და არაფერზე არა ჰფიქრობდა.

— თქვენც კარგად უნდა იცოდეთ, რომ ეგ ჩვენგან არ არის დამოკიდებული, — სთქვა ცოტა შესვენების შემდეგ: — ნახვის შესახებ უმალლესი განაჩენია დადგენილი და, რაც იქა სწერია, შეიძლება ასრულდეს, რაც არა—არა. რაც შეეხება წიგნებს, ჩვენ თვითონ ბევრი წიგნები გვაქვს და, რაც ნებადართულია, იმას აძლევენ.

— დიად, მაგრამ იმას სამეცნიერო წიგნები უნდა. სურს იმეცადინოს.

— ნუ დაიჯერებთ მაგას! — გენერალი უცბად შეჭერდა: — სამეცადინოდ კი არა, ის არ ვინდათ?! ეგ მხოლოდ იმათის მოუსვენრობის ბრალია, სხვა არაფერი!

— როგორ შეიძლება? რომ რითამე არ გაერთოს, ყოველად შეუძლებელია, ასეთ საშინელ ვითარებაში ყოფნა...

— მუდამ ჩივიან თავიანთ მდგომარეობაზედ. ყველას ძალიან კარგად ვიცნობთ!

ისე ლაპარაკობდა პატიმართა შესახებ, როგორც რაღაც განსაკუთრებულ ჯიშის ხალხზე.

— ისინი იქ ისე მშვენივრად არიან მოწყობილნი, რომ ძნელად შეხვდება კაცი სხვა საპატიმროში, — განაგრძო გენერალი.

მოჰყვა და, თითქოს თავის გასამართლებლად, დაწვრილებით აუწერა ნებლიუდოვს, თუ როგორ კარგად ინახავდნენ პეტერბურგში ტუსაღებს, თითქოს ამ დაწესებულების უმთავრესი დანიშნულება ის იყოს, რომ კარგი ბინა მოაწყონ პატიმართათვის.



— წინად, მართალია, ძალიან ცუდად ვპყრობოდნენ მგვრამ ახლა სულ სხვია... ისე ინახავენ, როგორც ნებს. ყოველ დღე სამ კერძს აძლევენ, ერთი მუდამ ხორცეულია—კატლეტი ან სხვა რამე. კვირა უქმე დღეებში კი მხოთხესაც აძლევენ—ტკბილეულობას. ისე ინახავენ, რომ ღმერთმა ყველა რუსს მისცეს შეძლება ისე თავის შენახვისა.

როგორც ბებერ კაცებსა სჭირთ ხოლმე, რაკი ერთხელ დაიწყო გენერალმა, მოჰყვა ყველა იმის განმეორებას, რაც არა ერთხელ უთქვამს ტუსაღების უსაბუთო საყვედურის გამო.

— წიგნებს სასულიერო შინაარსისას აძლევენ და კიდევ ძველ ჟურნალებს. ჩვენ შესაფერ წიგნების ბიბლიოთეკა გვაქვს, მგვრამ ტუსაღნი იშვიათად ჰკითხულობენ. პირველად თითქოს ეხალისებათ, ხოლო შემდეგ კი ახალი წიგნები ნახევრამდე მთლად გაუჭრელი რჩება და ძველის წიგნების ფურცლები კი გადაუშლელი. ჩვენ კიდევ გამოვსცადეთ,—სიტქვა ღიმილით გენერალმა:—განგებ ქალაღლი ჩავუდევით წიგნში. ეს ქალაღლი ისევ ხელუხლებელი რჩებოდა ხოლმე. წერაც შეუძლიანთ, რამდენიც უნდათ: ასპიდის დაფასა და გრიფელს აძლევენ და, რაც უნდათ, ისა სწერონ გასართობად. შეუძლიანთ წაშალონ და ისევ დასწერონ, მგვრამ მაინც არაფერსა სწერენ. არა, ჩქარა დამშვიდდებიან. პირველად უჭირთ და შფოთავენ ხოლმე, თორემ შემდეგ კიდევ სუქდებიან და სიღინჯე ემატებათ,— ამბობდა გენერალი.

ნებლიუდოვი ისმენდა ჩახრინწიანებულ ლაპარაკს, ჰხედავდა მისს გაძვალტყავებულ სხეულს, მიმქრალ თვალებს, მოპარსულ თავს, თეთრ წვერს და დარწმუნებული იყო, რომ იმასთან ლაპარაკი და სიტყვების მნიშვნელობის აღსნა უსაფუძვლო იყო. შეეკითხა ტუსაღ ქალის შუსტოვის შესახებ, რომელიც, როგორც დღეს გაიგო, უნდა გამოეშვათ, თანახმად ბრძანებისა.

— შუსტოვა? შუსტოვა...არ მახსოვს ყველას სახელი.
20



ბევრნი არიან, სად დავიხსოვო ყველანი!—სთქვა გენერალმა, თითქოს საყვედურით ამოიბოძა, გამრავლდნენ ტუსაღებიო.

გენერალმა ხარი დააწკარუნა და მწერალი მოითხოვა.

სანამ მწერალი შემოვადოდა, მამაშვილოური დარიგება მისცა ნებლიუდოვს, სამსახურში შედითო, რადგან, მისის აზრით, ყველა პატიოსანი ადამიანი უეჭველად სამსახურში უნდა იყოს, იმიტომ, რომ ასეთი პატიოსანი კაცები სჭირია სამშობლოსაო.

— მე თუმცა მოხუცი ვარ, მაგრამ, რამდენადაც შემოძლიან, ვემსახურები სამშობლოს.

შემოვიდა გამხდარი მწერალი და მოახსენა, შუსტოვის ქალის შესახებ არაფერი ქაღალდი არ არის მიღებულიო.

— როგორც კი მივიღებთ, მაშინვე ვგზავნით, რადგან ძალიანაც არ გვებალისება, რომ ციხეში ყვარნენ... მშვილობით, მეგობარო, — სთქვა გენერალმა: — ნუ დამივიწყებთ. რადგან მიყვარხართ, გეტყვით, ნურავითარ კავშირს ნუ იჭონებთ იმ ხალხთან, რომელიც ციხეშია დაპატიმრებული. არ დაიჯეროთ, ვითომც ისინი უდანაშაულონი იყვნენ... არა, ნამდვილად გარყვნილი ხალხია. ჩვენ კარგად ვიცნობთ ყველას, — სთქვა გადაქრილის კილოთი, — ყველაზე უფრო კარგი ის იქნება, რომ სამსახურში შეხვიდეთ. ხელმწიფეს პატიოსანი ხალხი უნდა... და სამშობლოსაც, — დაუმატა მან: — აბა, მე, შენ და სხვას რომ არ გვემსახურნა, ვინდა იმსახურებდა? ჩვენ ახლანდელი წეს-წყობილება არ მოგვწონს, საყვედურს ვაცხადებთ და ის კი არა გვსურს, რომ დახმარება გავუწიოთ შთაფრობას.

გენერალმა უკმაყოფილოდ გაიქნია თავი და ისევ სასტუმრო ოთახისკენ გასწია, სადაც ელოდებოდა მხატვარი, რომელსაც ეანნა ჯარკის სულის მიცემული პასუხი კიდევ დაეწერა. გენერალმა გაიკეთა სათვალეები და შემდეგი წიკითხა: „იცნობენ ერთმანერთს „სინათლეზე“, რომელიც ფიზიკულ სხეულიდან გამოდის“.



— ააა! — კმაყოფილებით წარმოიძახა გენერალმა დედოფალს
ლები დახუჭა. — კარგი, მაგრამ როგორ გაარჩევთ, თქვენი ქვეყნის
ლას ერთნაირი სინათლე აქვს? — ჰკითხა, ისევ თითები თითებში
ვაუყარა მხატვარსა და მაგიდას მიუჯდა.

ნებლიუდოვის მეეტლე კარებს მოადგა.

— ძალიან მომწყინდა ლოდინი, ბატონო, — უთხრა მე-
ეტლემ ნებლიუდოვს, — ეს იყო, კიდევ ვაპირებდი წასვლას.

— დიად, ყველგან მოწყენილობაა, სხვა არაფერი! —
დაეთანხმა ნებლიუდოვი, ღონივრად ჩაჰყლაპა წმინდა ჰაერი
და თვალეში მიიპყრო კუბრივით შავ ღრუბლებს, რომელიც
ელვის სისწრაფით მისრიალებდა ცის სივრცეში.

XX

მეორე დღეს მასლოვის ქალის საქმე უნდა გაერჩიათ და
ამიტომ ნებლიუდოვი სენატში წავიდა. სენატის ღიდებულ
შენობის კარებთან შეხვდა ვეკილს. ორივენი აჰყვნენ ვეებერ-
თელა მშვენიერ კიბეს და ავიდნენ მეორე სართულში. ვე-
ქილმა კარგად იცოდა ყველა კუნჭულები და პირდაპირ მარ-
ცხნივ კარებისაკენ წავიდა, რომელზედაც ამოჭრილი იყო
სასამართლოს წესების შემოღების თარიღი: წელიწადი, თვე
და რიცხვი.

ფანარინმა გაიხადა პალტო პირველ ოთახში, როცა მეკა-
რესგან გაიგო, სენატორები უკვე შეიკრიბნენო, და ფრაკით მზია-
რულად შევიდა მეორე ოთახში, სადაც მარჯვნივ იდგა დი-
დი შკაფი, შემდეგ მაგიდა და მარცხნივ პატარა რკინის კი-
ბე იყო, რომელზედაც ამ დროს ჩამოდიოდა წარმოსადგვის შეხე-
დულობის მოხელე პორთფელით ილლიაში. ყველა იქ მყოფთა
ყურადღება მიიქცია პატრიარქის მსგავს სახის მოხუცმა, რომელ-
საც გრძელი თეთრი თმა მხრებამდე სწვდებოდა, ფიჯაკი და
ნაცრის ფერი შარვალი ეცვა და გვერდით მოსამსახურე ედგა;
ყველანი მოწიწებით მისჩერებოდნენ. მთლად გათეთრებული



მოხუცი შეძერა შკაფში და დაიძალა. ამ დროს, თვალი მოჰკრა ერთ თავის ამხანაგ ვეჟილს, და დაპარაკი დაუწყო. ნებლიუდოვი კი ისევ იქვე იდგა და ოთახში მყოფთ ათვალიერებდა. ოთახში 15-მდე მაყურებელი იყო, მათ შორის ორი ქალი—ერთი ახალგაზდა და მეორე ქალაჩა-შერთული. ამ დღეს ბეჟდვითი სიტყვით ცილის წამების საქმე ირჩეოდა და ამიტომაც ჩვეულებრივზე მეტ ხალხს მოეყარა თავი. ყველანი თითქმის ლიტერატურის თაყვანისმცემელნი იყვნენ.

ფანარინთან მივიდა გაპენტრილ ბამბასავით თეთრსა და ლამაზ მუნდირში გამოწყობილი სასამართლოს ბოქაული და შეეკითხა, რა საქმისთვის ხართო, და როცა გაიგო, რომ მასლოვას საქმეზე იყო. რაღაც ჩასწერა ქალაქში და გაბრუნდა. ამ დროს გაიღო შკაფის კარები და გამოძვრა პატრიარქის მსგავს სახის მოხუცი, მაგრამ ფიჯაკში კი არა, ბრწყინვალე მუნდირში გამოწყობილი; მუნდირი თითქო ამ ბებერსაც ეხამუშებოდა და ამიტომ ჩქარის ნაბიჯით გავიდა პირდაპირ კარებში.

— ეს სენატორი ბე არის, კაცი ყოველად პატიოსანი და სინილისიერი, — უთხრა ფანარინმა ნებლიუდოვს, შემდეგ გააქნო თავისი ამხანაგი და მოუყვა იმ საყურადღებო ამბავს, რომელიც დღეს ირჩეოდა.

საქმის გარჩევა ჩქარა დაიწყო; ნებლიუდოვი შევიდა სხვებთან ერთად მარცხენა კარებით სხდომის დარბაზში.

სენატის სხდომის დარბაზი ოლქის სასამართლოს დარბაზზედ ნაკლები იყო, მაგრამ, სამაგიეროდ, მშვენიერად იყო მოართული და, გარდა ამისა, განირჩეოდა იმით, რომ მაგიდა, რომლის გარშემოც სენატორები, ისხდნენ, მწკანე მაუღით კი არა, როგორც ოლქის სასამართლოში, არამედ მშვენიერ მაყვალის ფერის ხავერდით იყო დაფარული. დანარჩენი მოართულობა ისეთივე იყო, როგორც ოლქის სასამართლოში.

როგორც იქ, აქაც ისე რიხიანის ხმით გამოაცხადა სა-



სამართლოს ბოქაულმა: „სასამართლო მოდის“-ო, აქაც ყვე
 ლანი ფეხზე ადგნენ შემოვიდნენ სენატორები ბრწყინვალე
 მუნდირებით, დასხდნენ მაღალ სავარძლებზე და ისე, როგორც
 ოლქის სასამართლოში, ეყრდნობოდნენ მაგიდას და თავს
 ძალას ატანდნენ, რომ ბუნებრივი სახე მიეღოთ, როგორც
 ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე და წევრები იქცეოდნენ.

სენატორები სულ ოთხნი იყვნენ. თავმჯდომარე ნიკი-
 ტინი—წვერ-მოპარსული, პატარა პირისახისა და მიმინოს
 მსგავს თვალებიანია, ვოლფი—მოპულწკულის ტუჩებითა და თეთ-
 რის ხელებით, რომლითაც საქმის ქაღალდებსა ჰფურცლავდა;
 შემდეგ სკოვოროდნიკოვი—ზორბა ტანისა, ნაყუავილვევი, ნამ-
 დვილი იურისტი, და მეოთხე—ბე, თვით ის პატრიარქის მსგავს
 სახის ნოზუცი, რომელიც ყველაზე ბოლოს მოვიდა. სენატო-
 რების შემდეგ გამოვიდა უფროსი მდივანი და მთავარ-ბრალ-
 მდებლის ამხანაგი. თუმცა ნებლიუდოვს ეს უკანასკნელი დი-
 დი ხანია არ ენახა და ბრწყინვალე მუნდირში იყო გამოწყე-
 პილი, მაგრამ მაინც იცნო ერთი თავისი საუკეთესო მეგობარი
 სტუდენტობის დროისა.

— მთავარ-ბრალმდებლის ამხანაგი სელენინია?—დაეკით-
 ხა ვეჭილს.

— დიალ. რა იყო?

— ვიცნობ კარგად. სამაგალითო კაცია.

— და მთავარ-ბრალმდებლის კარგი ამხანაგიც არის, საქ-
 მის მოყვარე კაცია. აი, ამისთვის რომ გეთხოვნათ, კარგი იქ-
 ნებოდა, — უთხრა ფანარინმა.

— ყოველ შემთხვევაში, სინილისიერად მოიქცევა, — სთქვა
 ნებლიუდოვმა, როცა მოიგონა იმასთან ახლო დამოკიდებუ-
 ლება და მეგობრობა და თან როცა მისი წმინდა ღირსეული
 თვისებანი წარმოუდგა თვალ-წინ.

— ახლა დროც აღარ არის, — წასჩურჩულა ფანარინმა და
 მთლად სმენად გარდაიქცა, რადგან საქმის გარჩევა უკვე დაიწყო.
 ნებლიუდოვმა ყური დაუგდო და სცდილობდა გაეგო,
 რაც მის თვალწინ ჰხდებოდა, მაგრამ, როგორც ოლქის სასა-



მართლოში, ისე აქაც, უმთავრესი მიზეზი გაუგებრობისა ის იყო, რომ იმაზედ კი არა ლაპარაკობდნენ, რაც უნდა უნდა იქნებოდა, იყო ამ საქმეში, არამედ სულ უბრალო სხვა რამეზე, რომელიც სრულიად საგანს არ შეეხებოდა. საქმე შეეხებოდა გაზეთში დასტამბულ წერილის, რომელშიაც ერთ სააქციონერო აზრ-ნაგობის თავმჯდომარბს სიყალბე იყო გამოქვეყნებული. საქმის უმთავრესი აზრი ის იყო, რომ სააქციონერო საზოგადოე-ბის თავმჯდომარე მართლა სძარცვავდა თავის რწმუნებულთ თუ არა და ან რა საშუალება იყო საჭირო იმის ასაღაგზავად, მაგრამ ამის შესახებ კრინტიც არ დაუძრავთ. ლაპარაკი მხო-ლოდ იმას შეეხებოდა, ჰქონდა თუ არა გამომცემელს ნება დაებეჭდა წერილი თავის გაზეთში და ან რა დანაშაულობა ჩაიდინა ამ წერილის დაბეჭდვით—დიფფამაცია თუ ცილის წა-მება, ან დიფფამაცია ცილის წამებას შეიცავს თუ ცილის წამება დიფფამაციასაო. კიდევ რაღაც უმნიშვნელო საგნებზე ჰქონდათ ლაპარაკი: სხვა-და-სხვა წერილებზე და რომელიღაც დეპარტამენტის გარდაწყვეტილებაზე.

ერთმა შემთხვევამ განცვიფრებაში მოიყვანა ნებლიუდოვი-ვოლფი, რომელიც გუშინ არწმუნებდა, რომ სენატი არ შედის საქმის არსებითად განხილვაშიო, დღეს-კი ჰკერძავდა მოხსენების დროს პალატის განაჩენის გაუქმებას. ამ დროს წა-მოდგა სელენინი და, თუმცა მუდამ თავდაპირილი და წყნარი იყო, მაგრამ გაცხარებით წარმოსთქვა წინაამლდვეი აზრი. სე-ლენინის ასეთი გაცხარება იმან გამოიწვია, რომ კარგად იც-ნობდა სააქციონერო საზოგადოების თავმჯდომარეს, რო-გორც გარყვნილსა და ოქროს მოყვარულ კაცს, და თანაც შემთხვევით გაიგო, რომ ვოლფი წინა დღით, საქმის გარჩე-ვამდე, ამ კაცთან ყოფილიყო მშვენიერ სადილზე მიპატიებუ-ლი. ახლა, როცა ვოლფმა სააქციონერო საზოგადოების თავ-მჯდომარის მხარე დაიჭირა, ისე გაცხარდა სელენინი, რომ წინაამლდვეი აზრი გამოსთქვა. შეურაცხყოფა მიაყენეს ვოლფს, რომელიც მოუსვენრად იჯდა სკამზე, საცოდავად იგრიხებოდა

და დაღონებულის სახით გავიდა სხვა სენატორებთან ერთად
სათათბირო დარბაზში.

— თქვენ განსაკუთრებით რომელ საქმისთვისა ხელახლა შეეკითხა სასამართლოს ბოქაული ფანარინს, როცა სენატორები გავიდნენ.

— უკვე გითხარით, მასლოვის ქალის საქმის თაობაზედ ვარ-შეთქი.

— ჰოოო! დღეს განიხილავენ, მაგრამ...

— მაგრამ რა?

— ეს საქმე ორთავე მხრის დაუსწრებლად უნდა გარჩეულყო და ამიტომ განაჩენის გამოცხადების შემდეგ სენატორები, მგონია, აღარც-კი გამოვლენ, მაგრამ... მოვახსენებ.

— როგორ?

— მე მოვახსენებ, მოვახსენებ.

სენატორებმ მართლაც ასე აპირებდნენ. ცილის წამების საქმის განაჩენის გამოცხადების შემდეგ დანარჩენი საქმეები და, მათ შორის მასლოვის ქალის საქმეც, ჩაისა და პაპიროსის შექცევის დროს უნდა გაეჩიათ, ისე, რომ სათათბირო ოთახიდან არ გამოსულიყვნენ.

XXI

როგორც-კი სენატორები მიუსხდნენ მაგიდას სათათბირო ოთახში, მაშინვე წამოდგა ვოლფი, დაიწყო ისევ გაცხარებით ლაპარაკი და დაეინებითა თხოულობდა, საქმე უკან დაებრუნებიათ პალატაში და ხელახლა განეხილათ.

თავმჯდომარე, ბუნებით სასტიკი, ახლა ძალიან ცუდ გუნებაზე იყო. უკვე სხდომის დარბაზში შეადგინა თავისი აზრი, თუ როგორ დაებოლოვებინა საქმე, ახლა-კი იჯდა, ფიქრებში იყო გართული და ვოლფის ლაპარაკს ყურს არ უგდებდა. ჰფიქრობდა იმაზედ, რაც გუშინ თავის დღიურში ჩაეწერა ველიანოვზედ და არა მისის დანიშვნის შესახებ იმ წარჩინებულ ადგილზე, რომელსაც დიდი ხანია ელოდა. თავმჯდომარე ნი-



კატონი გულწრფელად იყო დარწმუნებული, რომ მისი მსჯელობა პირველ ორ კლასის მოხელეებზე, რომლებმაც საკმაოდ და მიწერ-მოწერა ჰქონდა, საყურადღებო საისტორიო მასალა იქნებო. გუშინ დასწერა ერთი თავი და სასტკიად შეეხო ზოგიერთ პირველ ორის კლასის მოხელეებს, იმიტომ, რომ ხელი შეუშალეს დაეხსნა რუსეთი დამუშავისაგან, ნამდვილად კი იმიტომ, რომ ხელი შეუშალეს მიეღო ახლანდელზე მეტი ჯამაგირი; ახლა ამის ფიქრში იყო, რომ ეს ნაწერი დიდი და ძვრთვასი განძი იქნებოდა მომავალ თაობისათვის, როგორც საისტორიო მასალა, რადგან ეს თაობა სულ სხვანაირად გააშუქებდა ამ ამბებს.

— დიად, რასაკვირველია, — თუმცა არ უსმენდა, უპასუხა მაინც ვოლფს.

ბე დაღვრემილის სახით უგდებდა ყურს ვოლფს და ქალღმერთზე გირლიანდებს ჰხატავდა. ბე ნამდვილი ლიბერალი იყო, ერთგულად იცავდა მესამოცე წლების ტრადიციებს და თუ ხანდისხან გადაუხვევდა, ისიც ლიბერალიზმისკენ. დღევანდელ შემთხვევაში კი, გარდა იმისა, რომ ბემ კარგად იცოდა, ვინც იყო სააქციონერო საზოგადოების თავმჯდომარე, საჩივრის უყურადღებოდ დატოვების მომხრე იყო კიდევ იმიტომ, რომ საჩივარი ეურნალისტზე, რომელსაც ცილის წამებას აბრალებდნენ, ბექდვითი სიტყვის თავისუფლების შემზღვეველი იყო. როცა ვოლფმა გაათავა სიტყვა, ბემ გირლიანდის დახატვა ვერც კი მოასწრო, წამოდგა და წყნარად, ტკბილის ხმით დაამტკიცა საჩივრის უსაბუთობა და ითხოვა უყურადღებოდ დაეტოვებინათ; გაათავა სიტყვა, დეჯდა და ხატვა განაგრძო.

გათავა ბემ სიტყვა თუ არა, წამოდგასკოვოროდნიკოვი, რომელიც ნაზად იწიწნიდა წვერს, და სთქვა: მეც ივან სემიონიჩის აზრისა ვარ ამ საგანშიო, რადგან საქმე არ იყო საკმაოდ დასაბუთებული და საკირო არ იყო ხელ-ახალი განხილვა. თავმჯდომარეც სკოვოროდნიკოვს მიემხრო და საქმე



მათდა სასარგებლოდ გადასწყდა, ე. ი. გადასწყვიტეს უკუ-
რადღებოდ დაკრძავებნათ.

ვოლფი ძლიერ უკმაყოფილო დარჩა საქმის ასე დაბოლო-
ვებით და უშეტესად კი იმისი, რომ იგრძნო, თუროგორ დაი-
კირეს უსინიღისო საქციელში, მაგრამ ეს არც-კი შეიმჩნია,
გადაშალა მასლოვის ქალის საქმე და. თითქოს აქ არაფერი
ამბავიაო, დაიწყო კითხვა. სენატორებმა ზარი დააწკარუნეს,
მოითხოვეს ჩაი და დუელის შესახებ მუსაიფი დაიწყეს. ამ
დროს შემოვიდა სასამართლოს ბოქაული და მოახსენა, ნებლიუ-
დოვსა და ვეკილს საქმის გარჩევაზე დასწრება უნდათო.

— ეს საქმე მთელი რომანია, — სთქვა ვოლფმა და მოუ-
ყვა სენატორებს, რაც კი იცოდა ნებლიუდოვისა და მასლო-
ვის ქალის დამოკიდებულებაზედ.

• ჩაის შემდეგ სენატორები გამოვიდნენ სხდომის დარბაზში,
გამოაქბადეს პირველ საქმის განაჩენი და მასლოვის ქალის
საქმეს შეუდგნენ.

ვოლფმა დალაგებით წაიკითხა მოხსენება მასლოვის ქალის
საკასაციო საჩივრისა და აქაც, თუმცა მთლად კერძოობა არ
ემჩნეოდა, მაგრამ აშკარადა სჩანდა, რომ ძალიან მონდომებუ-
ლი იყო სასამართლოს გადაწყვეტილება გაუქმებულიყო.

გაქვთ კიდევ რამე სათქმელი? — მიჰმართა თავმჯდომარემ
ფანარინს.

ფანარინი წამოდგა და ნათლად დაამტკიცა, თუ რა უკა-
ნონობა ჩაიდინა სასამართლომ ამ საქმეში. როგორ დაარღვი-
ეს კანონის ექვსი მუხლი და მოკლედ თვით საქმის ვითარე-
ბაც აუხსნა. ფანარინი თავის სიტყვაში ბოდიშს იხდიდა სე-
ნატორების წინაშე, გაწუხებთო და, თუმცა ბატონთ სენატორთ
თავიანთის გაქრიახობითა და იურიდიულის სიბრძნით უფრო
კარგად შეუძლიანთ ყველაფრის დანახვა და გაგება, მაგრამ
იმიტომ მოგახსენებთ, რომ ამას თხოულობს ჩემგან ნაკისრი
მოვალეობაო. ფანარინის სიტყვის შემდეგ კაცს ეგონებოდა, სე-
ნატი უეჭველად გააუქმებს სასამართლოს გარდაწყვეტილებასაო.



ფანარინი დაჯდა და სიამოვნებით გააღიმა. ნებლიუდოვს ამილმა იმედი აღუძრა გულში, მაგრამ გადახედა თუ ვინ უნდა ტორებს, იმედი უცბად გაუქრა. სენატორებსა და მთავარ-ბრალმდებლის ამხანაგს ისეთი ჩვეულებრივი ცივი სახე ჰქონდათ, რომელიც აშკარად ამბობდა, თუცა თქვენისთანა ვეჭილეებისგან არა ერთხელა გვსმენია ასეთი მკვერპეტყველური სიტყვა, მაგრამ საქმის მოგების იმედი მაინც ნუ გეჭმნებათო. ვეჭილის სიტყვის გათავების შემდეგ თავმჯდომარე მთავარ-ბრალმდებლის ამხანაგს მიუბრუნდა. სელენინმა მოკლედ და გარკვევით გამოსთქვა თავისი აზრი, რომ საქმე უყურადღებოდ დაეტოვებინათ, რადგან საკმაო საბუთები არ იყო. შემდეგ ამისა სენატორები წამოდგნენ და გავიდნენ სათათბირო ოთახში. აქ ხმები გაიყო. ვოლფი კასაციის მომხრე იყო; ბეც, როცა გაიგო, რაშია ცივი საქმე, კასაციის მომხრე გახდა და ნათლად დაუხატა ამხანაგებს სასამართლოს სურათი და ნაფიც მსაჯულთა შეცდომა. ნიკიტინი, როგორც სასტიკი ფორმალისტი და ყოველ სასტიკ საშუალებათა მომხრე, წინააღმდეგი გახდა. მთელი საქმე სკოვოროდნიკოვის ხმას უნდა გადაეწყვიტა და ის კი მოწინააღმდეგეთ მიემხრო, მით უმეტეს, რომ ნებლიუდოვის გადაწყვეტილება მასლოვის ქალის შერთვის შესახებ საზიზღრად მიიჩნდა.

სკოვოროდნიკოვი მატერიალისტი, დარვინის თეორიის მომხრე იყო და ყოველისავე განყენებითი ზნეობის გამოჩენა, და უფრო კი სარწმუნოებრივისა, არა თუ საზიზღრად, თავის თავის შურააცხმოფლადაც კი მიიჩნდა. ზიზღსა ჰგვრიდა მთელი ამბავი ამ ზნე-დაცემულის ქალის თაობაზედ, რომლის გულისთვისაც ვეჭილი და ნებლიუდოვი ჩამოსულიყვნენ პეტერბურგში, და თავს იტყებდნენ მისდა გასამართლებლად. იჯდა, ჩვეულებრივად წვერებს იტენდა პირში და ისე აწვენებდა თავს, თითქოს ამ საქმის შესახებ არაფერი არ იცოდნა, გარდა იმისა, რომ თვალსაჩინო საბუთები არ იყო, და ამი-

ტომ, თანახმად თავმჯდომარისა, საქმის უყურადღებოდ დასტოვების მოშურე გახდა.

ასეც მოხდა, საქმე უყურადღებოდ დასტოვეს.

XXII

— საშინელებაა, საშინელება, — წამ-და-უწუმ იმეორებდა ნებლიუდოვი, როცა ვეკილთან ერთად მისაღებ ოთახში გამოვიდნენ. — ასეთ საქმეშიაც კი, რომელიც, როგორც მათთვის, ისე ყველასთვის დღესავეით ნათელია, კიდევ იმაზე ჰბჭობენ, თუ რამდენად სავსებითაა შესრულებული საქმის გარეგანი, ფორმალური მხარე, და ასე დაუკვირვებლად და გაურჩევლად ჩვენთვის არა სასარგებლოდ აბოლოცებენ საქმეს. საშინელებაა!

— საქმე ოლქის სასამართლოში დაუღუბავთ, — სთქვა ვეკილმა.

— წარმოიდგინეთ, სელენინმაც კი უარი სთქვა; ამის კი სწორედ არ მოველოდი. რაღა ვქნათ ახლა? — სასოწარკვეთილებით წამოიძახა ნებლიუდოვმა.

— უმაღლეს სახელობაზედ მივსცეთ თხოვნა, სანამ აქა ვართ. მე დაგიწერთ და თქვენ თვითონ მიეცით.

ამ დროს გამოვიდა ვოლფი თავის ბრწყინვალე ვარსკვლავიან მუნდირითა და მივიდა ნებლიუდოვთან.

— აბა, რა უნდა გვექნა, საყვარელო თავადო! ღმერთმა ზომ იქის, რომ სულითა და გულით მონდომებული ვიყავით საქმე თქვენდა სასარგებლოდ გადაწყვეტილიყო, მაგრამ არ მოხერხდა, რადგან საკმაო საბუთები არ იყო, — უთხრა ნებლიუდოვს ტკბილის ხმით, მზრება აიჩეჩა, თვალეზი დანაბა და თავის გზას გაუდგა.

ვოლფის შემდეგ სელენინი გამოვიდა. სენატორებისგან შეეტყო თავის ამხანაგის ნებლიუდოვის იქ ყოფნა.

— არ მოველოდი შენს აქ ნახვას, — უთხრა მან ღიმი-



ლით ნეხლიუდოვს, — არც ის ვიცოდი, თუ ახლა შენ იყავი.

— ჩემთვის კი მოულოდნელი და წარმოუდგენელი იყო, რომ შენ მთავარ-ბრალმდებელი ხარ.

— მთავარ-ბრალმდებლის ამხანაგი, — გაუსწორა სელენინმა: — რა საქმე გაქვს სენატში? რა ამბავია?

— მოვედი იმიტომ, რომ სამართალს ვეძებდი, მინდოდა დამეხსნა ერთი უდანაშაულოდ დასჯილი ქალი და ვფიქრობდი, აქ ვიპოვნიდი სამართალს.

— რომელი ქალი?

— საქმე, რომელიც ამ წუთში გაარჩიეთ.

— ჰოო! მასლოვის ქალის საქმე? — უნდა გითხრა, რომ არაფითარი საბუთი არ იყო.

— საქმე საბუთებსა და საჩივარში კი არაა, იმ ქალს შეეხება, რომელიც უდანაშაულოდ იტანჯება.

სელენინმა ამოიოხრა.

— შესაძლებელია, მაგრამ...

— შესაძლებელი კი არა, სრული ჭეშმარიტებაა.

— მერე და შენ საიდან იცი?

— იქიდან, რომ იმ საქმის გარჩევის დროს, სხვათა შორის, მეც ვიყავი ნაფიც მსაჯულად და კარგად ვიცი, რა შეცდომაც მოგვიკიდა.

სელენინი ჩაფიქრდა.

— ეს მაშინვე უნდა გაგეცხადებინათ, — სთქვა ცოტა სიჩუმის შემდეგ.

— მე განვაცხადე.

— თუ განაცხადეთ, ოქმშიაც უნდა შეგეტანათ. ეს რომ ყოფილიყო საკასაციო საჩივართან...

სელენინმა არაფერი იცოდა ნეხლიუდოვის რომანის შესახებ და ნეხლიუდოვმაც საჭიროდ არ დაინახა ეთქვა ყველაფერი.

— კარგი, მაგრამ ახლაც ხომ ცხადი იყო, რომ საქმე სულელურად გადასწყვიტეს.



— სიმართლე უნდა გითხრა, სენატს არავითარი უფლებაც არა ჰქონდა უკანონოდ ეცნო სასამართლოს გარდაწვევები. სენატი რომ საქმის ძირითად განხილვაში შესულიყო და თავისის კერძო შეხედულებით უსამართლოდ ეცნო გარდაწვევები, მაშინ, გარდა იმისა, რომ დაჰკარგავდა თავის ღირსებას და დაარღვევდა კანონს, ამ საქციელით გააქარწყლებდა ნაფიც-მსაჯულთა გარდაწვევების მნიშვნელობას.

— მე მხოლოდ ერთი ეს ვიცი, რომ ის ქალი უდანაშაულოა და მის დახსნის უკანასკნელი იმედიც დაკარგულია. უმაღლესმა დაწესებულებამ დაამტკიცა სრული უკანონობა!

— არაფერიც არ დაუმტკიცებია, — წყენით წარმოსთქვა სენენინმა, — რადგან საქმის ძირითად განხილვაში არასოდეს არ შედის. მართლა, ბინად ვისთანა ხარ? დეიდასთან? — უცბად შეეკითხა სელენინი, რადგან სიტყვის ბანზე აგდებდა უნდოდა: — მე მხოლოდ გუშინ გავიგე შენი აქ ყოფნა... გრაფინია ეკატერინე ივანოვნამ მეც მიმიწვია ახალ-მოსულ მქადაგებლის კრებაზედ დასასწრებლად.

— დიად, მქონდა ბედნიერება დავსწრებოდი ამ კრებას, მაგრამ გიჟივით უკანვე გავიქეცი, ისე შემეზიზნა იქაურობა, — გაჯავრებით უთხრა ნეხლიუდოვმა, რაკი შეატყო, რომ სელენინი სიტყვას ბანზე აგდებდა.

— რატომ შეგეზიზნათ? თუმცა ეს ცალმზრივი და თითქმის სექტანტურია, მაგრამ მაინც, ყოველ შემთხვევაში, სარწმუნოებრივ გრძობათა გამოჩენაა.

— რალაც მხეცური უაზრობაა, სხვა არაფერი!

— სრულიადაც არა! სამწუხარო და თან საკვირველიც არის, რომ ჩვენ ასე ნაკლებად გვესმის ჩვენის ეკკესიის მოძღვრება და ჩვენივე ძირითადი წესები ახალ წესებად მიგვაჩნია, — უთხრა სელენინმა.

ნეხლიუდოვმა გაკვირვებით შეჰხედა სელენინს, რომლის თვალეშვიც წყენა და თან რალაც სიძულვილის მსგავსი რამ ამოიკითხა.



— უკაცრავად, შემდეგ მოვილაპარაკოთ, უთხრა ნებლიუდოვს. — მოვალ! — უთხრა მან მოკლედ. — მოკლედ სულს სასამართლოს ბოქაულს და მოუბრუნდა ისევ ნებლიუდოვს: — უგჭველად გნახავ, მაგრამ საქმე იმაშია, სად ან როგორ გნახო. 7 საათზე ესადილობ და ამ დროს მუდამ სახლში ვარ — ნადეჟდინის ქუჩაზე ვცხოვრობ. გახსოვს ძველი დროება? ბევრმა წყალმა ჩაიარა მას შემდეგ, — ღიმილით წარმო-სთქვა სელენინმა.

— მოვალ, თუ მოვასწარი, — უთხრა ნებლიუდოვმა და აშკარად იგრძნო, რომ ოდესღაც ახლო მეგობარი და გულით საყვარელი ამხანაგი სელენინი ამ მოკლე ლაპარაკის შემდეგ მისთვის სამუდამოდ უცხო შეიქმნა.

XXIII

ნებლიუდოვი სტუდენტობის დროს იცნობდა სელენინს, რომელიც სამაგალითო ამხანაგი იყო და, თავის წლოვა-ნებასთან შედარებით, კარგად განათლებული, მუდამ ფაქიზი, ლამაზი და თან უსაზღვროდ მართალი და პატიოსანი. სამაგალითოდ სწავლობდა. თბულუბისათვის ოქროს მედალიც კი მიიღო.

იმის ერთად ერთი მისწრაფება, რომლითაც სულდგმულობდა, ის იყო, რომ ხალხისთვის ემსახურნა და სამსახური კი სულ სხვანაირადა ჰქონდა წარმოდგენილი; ეგონა, სახელმწიფო სამსახური იგივე ხალხისთვის სამსახური იყო და დაასრულა თუ არა სწავლა, გადაწყვიტა ყველა დარგი მოღვაწეობისა, რომლისთვისაც უნდა შეეწირა თავისი ძალი-ღონე, და გადასწყვიტა, ყველაზე უფრო სასარგებლო მისი უდიდებულესობის საკუთარ კანცელარიის მეორე განყოფილებაში შესვლა იქმნებაო, რადგან იქ ადგენდნენ ყოველსავე კანონებს, და შევიდა კიდევ. საუბედუროდ, ჩქარა დარწმუნდა, რომ შეცდომა მოუვიდა. თუმცა სინიდი სიერად და წესიერად ასრულებდა თავის მოვალეობას, მაგრამ ეს არ აკმაყოფილებდა, მხედავდა, რომ მისი შრომა უნაყოფო



და უსარგებლო იყო, აკეთებდა იმას, რაც საჭირო არ იყო და უკმაყოფილებელმა სურვილმა გამოიწვია ხშირი შეტყუება წვრილ-ფეხა მოხელეებთან. ბოლოს იმდენად გამწვავდა საქმე, რომ იძულებული შეიქმნა გამოსულიყო მეორე განყოფილებიდან და სენატში გადავიდა. წინანდელ სამსახურთან შედარებით, თუმცა აქ კარგს გარემოებაში იყო, მაგრამ კმაყოფილი მაინც არ იყო, ჰგრძნობდა, რომ რაღაც აკლდა. სენატში სამსახურის დროს იმისმა ნათესაებებმა მოახერხეს მისი კამერონკრად დანიშვნა და ამიტომ ბრწყინვალე მუნდირით უნდა ჩამოეგლო და სამაგიერო მადლობა გადაეხადნა. ახლა მომეტებულად ჰგრძნობდა, რომ „ეს ის არ იყო“, რასაც დიდი ხანია ეძებდა, მაგრამ ერთის მხრით არ შეეძლო უარი ეთქვა ამ თანამდებობაზე, რომ არ ეწყენინებინა იმათთვის, რომელთაც, მათის აზრით, ვითომდა დიდი სარგებლობა მოუტანეს და, მეორეს მხრით, სასიამოვნო იყო დაენახა სარკეში თავისი თავი მშვენიერ მუნდირში და იმ პატივცემით ესარგებლნა, რომელიც ამ აღაგზე დანიშვნით მოიპოვა ზოგიერთთა თვალში.

ასე შეემთხვა ცოლის შერთვის დროსაც. გამოურჩიეს დიდებული საცოლო და უარი აღარა სთქვა, პირველად იმ მოსახრებით, რომ არ ეწყენინებინა იმისთვის, ვინც ეს საქმე ურჩია, მეორედ კი — ლამაზი, დიდის გვარიშვილის ქალი მისთვისაც სასიამოვნო იყო. საუბედუროდ, ცოლის შერთვის შენდევ უფრო მწვავედ იგრძნო, რომ თავის აზრს ძალიან დაშორდა და სულ თავის იღვის წინააღმდეგ მიდიოდა. პირველის შვილი შენდევ ცოლმა აღარ ინება, რომ სხვაც გასჩენოდა, განცხრომით ცხოვრება დამიწყო და ძალიანუნებურად ქმარაც ჩაითრია. თუმცა ცოლი ჰგრძნობდა, რომ ამგვარის ცხოვრებით თვითონაცა და ქმარსაც უწყამლაედა სიცოცხლეს, მაგრამ მაინც გულმოდგინედ ეწეოდა ასეთ ცხოვრებას. ყოველივე ცდა სელენინისა, რომ როკორმე მოერჯულებინა ცოლი და დაენებებინა თავი ამგვარ ცხოვრებისათვის — ამაო შეიქმნა.

ბავშვი, პატარა თმა-ხუტუქა გოგონა, თითქმის უცხო შეიქმნა მამისთვის, რადგან ისე იზრდებოდა, რომ სრულიად



ეწინააღმდეგებოდა მამის აზრებს. ცოლ-ქმარ შორსმანტანს გადგა ფესვი ერთმანერთის გაუგებრობამ და ჩუმი, სხვისთვის დაფარული ბრძოლა დღითი-დღე მწვავედებოდა მათ შორის, ასე რომ, სელენინს შხამად გადაეჭკა სიცოცხლე და მისი სახლში ყოფნა ნამდვილი ჯოჯობითი შეიქმნა. აქ, რასაკვირველია, კიდევ უფრო მწვავედ იგრძნო, რომ „ეს ის არ იყო“, რასაც ეძებდა.

ამგვარმა ცხოვრებამ თითქმის მოსტება იგი და მუდამ დაღონებული გამოიციქირებოდა. ნებლიუდოვის დანახვამ მოაგონა ის დრო, როცა იღვებით გატაცებული ემზადებოდა „იმისთვის“, და მწარე ტკივილები იგრძნო, რომ „ეს ის არ იყო“. ამგვარივე გრძნობა აღეძრა ნებლიუდოვსაც სელენინის დანახვაზე.

ამიტომ ორივემ აღუთქვეს ერთმანერთს ნახვა, მაგრამ არამც თუ ნახვასა სცდილობდნენ, ისე წავიდა ნებლიუდოვი პეტერბურგიდგან, რომ აღარ უნახავს სელენინი.

XXIV

ნებლიუდოვი და ვეჭილი გამოვიდნენ სენატიდგან და გაჰყენენ ქვა-ფენილს. ვეჭალმა უბრძანა შეეტლეს, უკან გამოგყვეო და დაუწყო ნებლიუდოვს ლაპარაკი ვიღაც კაცზედ, რომლის საყვარელსაც მილიონები შეეძინა ბირებაზე, უამბო, როგორ გაეყიდნა ცილასაც თავისი ცოლი და მეორეს ეყიდნა. მოუყვა მთელი ისტორია იმ გამოჩენილ კაცთა გარყვნილ ცხოვრებაზე, რომელნიც, სატუსალოს მაგიერ, სადაც მათი ალაგი იყო, თავმჯდომარის სავარძლებში იყვნენ წამომსხდარნი სხვა და-სხვა დაწესებულებაში. ეს ამბები, რომლის დაუშრეტელ წყაროდაც ის გამხდარიყო, სიამოვნებას ჰგვრიდა ვეჭილს, რადგან ცხადად აჩვენებდა, რომ საშუალება, რომლითაც ის ფულებს შოულობდა, სამართლიანი იყო იმ საშუალებასთან შედარებით, რომელსაც პეტერბურგის გამოჩენილი მოღვაწეები ჰხმარობდნენ. ამიტომ ვეჭილს ძალიან გაუ-



ვეირდა, როცა ნებლიუდოვს უკანასკნელის მისის სტუდენტული
ბისთვის არც კი მოუცდია, დაიჭირავე ეტლი და წავიდა სახლში
წყლის ნაპირის ქუჩაზედ. ნებლიუდოვი ძალიან დაღონებული
იყო, რადგან სენატის გარდაწყვეტილება ამტკიცებდა ბედ-
კრულ მასლოვის ქალის უშიზეზედ ტანჯვასა და თვალ-წინ
წარმოუდგა თავისი შეურყვეველი, მტკიცე გარდაწყვეტილება
მასლოვასთან შეერთებაზედ. წყლულს წყლულზე უმატებდა
ვეჭილის მზიარული ლაპარაკი და ოდესღაც საყვარელ ამბა-
გაგის სელონინის გულ-გრილი შეხვედრა.

როცა ნებლიუდოვი დაბრუნდა სახლში, მეკარგმ გადასცა
ბარათი, რომელიც ვიღაც ქალს დაეტოვებინა. წეროლი შუ-
სტოვის ქალის დედისაგან იყო. სწერდა: მობრძანდით ჩვენსა,
რათა მადლობა გადაგიხადოთ შეილის დახსნისათვისო; ვასი-
ლიევის ქუჩაზე ვსცხოვრობთო; ვერა ფერემოვნასთვისაც ძლიერ
საჭირო არის ესაო, — სწერდა შუსტოვის დედა და, თუ მოსა-
ხერხებელი იქნება, გთხოვთ, ხვალ დილით მობრძანდეთო.

იმ შთაბეჭდილების წყალობით, რომელიც პეტერბურგში
ყოფნის დროს უკანასკნელმა დღეებმა მოახდინა ნებლიუდოვზე,
ძლიერ უიმედო გახდა; არ ეგონა, თუ კიდევ შეეძლო რისამე
გაკეთება. მოსკოვში დაწყობილი გეგმა ახლა რაღაც ბავშვურ
ოცნებად ეჩვენებოდა.

ნებლიუდოვმა ამოიღო ი ჯიბიდან რაღაც ქაღალდები და
ის იყო კითხვას შეუდგა, რომ გრაფინია ეკატერინე ივანოვ-
ნას ლაქია შემოვიდა და სთხოვა, ზევით ამობრძანდით და
ჩაი მიირთვიეთო.

ნებლიუდოვმა დაჰკეცა ქაღალდები, შეინახა და წავიდა.
ზევით ასვლის დროს სარკმელიდან მარიეტტას ქერა ცხენებს
მოჰკრა თვალი, თავისდა უნებურად სიამოვნება იგრძნო და
გაიღიმა.

ფერად ტანსაცმელში გამოწყობილი მარიეტტა იჯდა გრა-
ფინიას გვერდით და რაღასაც ელურტულებდა. ნებლიუდოვის



შესვლაზე რაღაც ისეთი სასაცილო სიტყვა, რომ გულს კეთილმანად უღვამებიათმა გრაფინია ეკატერინე ივანოვნამ გულდასაწყვეტად დაიხარხარა: მარიეტას თავისი კეკლუცი თავი განზე მოეხარა და ღიმილით შესცქეროდა თვალეზში.

— შენ იმდენს იხუმრებ, რომ სიცილით მომკლავ, — ეუბნებოდა გრაფინია ეკატერინე ივანოვნა და მეტის სიცილისაგან მუცელზე ხელებს იჭერდა.

ნებლიუდოვი მიესალმა ორივეს და დაჯდა. ის იყო ნებლიუდოვმა დააპირა შენაშენა მიეცა მარიეტასთვის, რომ მან დაიანახა მისი სერიოზული სახე და, თავი რომ მოეწონებინა მისთვის, — ეს კი მას შემდეგ უნდოდა, რაც პირველად ნახა ნებლიუდოვი, — თვითონაც სერიოზული სახე მიიღო, თითქმის კიდევაც დაღონდა, თითქოს ცხოვრებისა დიდი უკმაყოფილო ყოფილიყოს. შეეკითხა ნებლიუდოვს საქმეზედ. ნებლიუდოვმა უამბო ყველაფერი, თუ როგორ წაავა საქმე სენატში და რანაირად იმოქმედა იმაზე ძველის მეგობრის სელენინის ნახვამ.

— ოჰ, რა სამაგალითო კაცია, რომ იცოდეს! ნამდვილი წმინდა სულია, — ერთხმად წამოიძახეს ორივე ქალებმა სელენინის ხსენებაზე.

— მისი ცოლი როგორია? — დაეკითხა ნებლიუდოვი.

— ცოლი? იმას ვერ გავამტყუებ, მაგრამ თავისი ქმარი ვერ იცნო. განა სელენინამაც უარი სიტყვა? — ჰკითხა გულწრფელის თანაგრძნობით: — საშინელება! რა რიგად მეცოდება ის საწყალი ქალი!

ნებლიუდოვს უნდოდა მუსაიფი გამოეცვალა და შუსტოვის ქალზედ ჩამოაგდო ლაპარაკი; შუსტოვის ქალი მარიეტას შეამდგომლობით უკვე გამოეშვათ სატუსალოდგან. ნებლიუდოვმა მადლობა გადაუხადა მარიეტას ქმართან შეამდგომლობისათვის და უნდოდა ეთქვა, რომ ის ქალი და ყველა მისი ნათესავები მხოლოდ იმიტომ იტანჯებოდნენ, რომ არავინ არ



მოაგონა მისი თავი ვისიღ ჯერ იყო, მაგრამ მარიეტამ დასწრო და თვითონ გამოსთქვა საყვედური ამის შესახებ.

გრაფინია ეკატერინე ივანოვნა ჰხელავდა, როგორ აწონებდა მისს დისწულს თავს მარიეტა და ეს გარემოება ძლიერ ართობდა.

— იცი, რა?—დაიწყო გრაფინიამ, როცა ისინი დაბრუნდნენ:—მოდი ხვალ ალინასთან, იქ კიზივეტერი იქნება; შენც მოდი, —უთხრა მარიეტას.

— Il vous a remarqué, —უთხრა დისწულს, —იმან მითხრა, ყოველივე, რაც შენ მიამბევო, —მე ყველაფერი ვუამბე, —კარგი ნიშანია და უეჭველად შეუდგება ქრისტესაო; უთხარი, მარიეტა, მოვიდეს და შენც მოდი.

— გრაფინია, ჯერ ერთი, რომ ნება არა მაქვს რაიმე რჩევა მივსცე თავადს, —უთხრა მარიეტამ და ნებლიუდოვს გადაჰხედა და ამით ნათლად გამოჰჩატა გრაფინიას სიტყვების სრული თანხმობა:—მეორეც, კარგად იცით, რომ მე ძალიან არ მიყვარს...

— შენ ხომ მუდამ უკუღმა დადიხარ და შენებურად აკეთებ ყველაფერს!

— როგორ თუ ჩემებურად? არა, გრაფინია, მე ისე მწამს ყველაფერი, როგორც ყველა უბრალო ქალს, —სთქვა ლიმილით:—და მესამეც, —განაგრძო მან, —ხვალ ფრანგების თეატრში მივდივარ...

— ჰოო?! განა შენ ნახე ისა?... ის... რა ჰქვიან?

მარიეტამ უჩუბრულა გრაფინიას შესანიშნავის ფრანგ მსახიობ-ქალის სახელი.

— უეჭველად წადი, შესანიშნავი მსახიობია.

— რომელი ვნახო უწინ, დეიდა, მსახიობი ქალი თუ მქადაგებელი?—ჰკითხა ლიმილით ნებლიუდოვმა.

— სიტყვებში ნუ მიქერ, გეთაყვა!

— ჩემის აზრით, უმჯობესი იქნება ჯერ მქადაგებელთან



წავიდე და მერე თეატრში, თორემ მეშინიან, თეატრის შემდეგ ქადაგების გეშოვნება მთლად არ დამეკარგოს.

— არა, მე მგონია, უკეთესია ფრანგულ თეატრიდგან დაიწყო და შემდეგ სინანულს შეუღდე, — სთქვა მარიეტამ.

— თქვენ ძალიანსა ჰბედავთ, რომ სასაცილოდ მიგდებთ! მქადაგებელი — მქადაგებლად და თეატრი თეატრად უნდა იყოს! თავის ხსნისთვის სრულიად საჭირო არ არის ერთს არშინხედ დაიგრძელო პირი და ტირილი დაიწყო. უნდა მტკიცედ გრწამდეს და მაშინ მუდამ მზიარულად იქნები.

— თქვენ, დეიდა, ყველა მქადაგებელზე უფრო კარგად ჰქადაგებთ.

— იცით რა? — უთხრა მარიეტამ ცოტა ფიქრის შემდეგ: — მობრძანდით ჩემთან ლოქაში.

— ვშიშობ, რომ ჩემთვის მოუხერხებელია იქნება...

ამ დროს შემოვიდა ლაქია და მოახსენა გრაფინიას, ვილაც მოვიდაო. ეს იყო მდივანი ერთის საქველმოქმედო საზოგადოებისა, რომლის თავმჯდომარეცაა გრაფინია იყო.

— ყველას თავს მოგვაბეზრებს, ისეთი კაცია. უმჯობესია, მარტო მივიღებ და ისევ ჩქარა მოვალ. მარიეტა, ჩაი დაალევინეთ მაგას, — უთხრა გრაფინიამ და ჩქარის ნაბიჯით დარბაზისაკენ წავიდა.

მარიეტამ წაიძრო ხელთათმანი ფუნთულა ხელებიდგან, რომელზედაც მრავალი ძვირფასი ბეჭდები ჰქონდა გაკეთებული.

— გნებავთ? — დაეკითხა ნებლიუდოეს და ვერცხლის საჩაიე აიღო ხელში.

უცბად დინჯი სახის გამომეტყველება მიიღო და საშინლად მოიწყინა.

— მუდამ საშინლად, საშინლადა მწყინს, რომ ის ხალხი, რომლის აზრაც ჩემთვის ძვირფასია, სულ სხვა თვლით მიყურებს.

თითქმის მზად იყო უკანასკნელ სიტყვების შემდეგ ქართნი დაეწყო. თუმცა ეს სიტყვები სრულიად უმნიშვნელოა



და უაზრო იყო, მაგრამ ისე მოეჩვენა ნებლიუდოვს, რომ ^{ეფექტური} გულის სიღრმიდან ყოფილიყოს ამომავენესი, რადგან ^{მისი} მისი გზნებარე თვალები, რომელიც ამ სიტყვების თქმის დროს ცეცხლებრივ ანთებული ჰქონდა მარიეტტას, ელექტრონივით უვლიდა ნებლიუდოვს ტანში და ჰხიზლავდა.

ნებლიუდოვი ჩუმად იყო და ისე მისჩერებოდა მარიეტტას, თითქოს შექმას უპირებსო.

— განა, თქვენა გგონიათ, რომ ვერ გიცნობთ და ვერ ვხედავ, რაც გემართებათ? რაც თქვენ ჩაიდინეთ, ხომ ყველამ იცის? მეც ძლიერ აღტაცებული ვარ თქვენის საქმეებით და ძალიანაც მომწონს!

— საკვირველია, ღმერთმანი, რად მოდიხართ აღტაცებაში, როცა ჯერ კიდევ არაფერი გამიკეთებია.

— სულ ერთია. მესმის თქვენი გულის პასუხი და იმისი, ვისთვისაც თქვენ თავი დაგიღვიათ. მაშ, კარგი, კარგი, ამის შესახებ აღარაფერს ვიტყვი, — უცბად გასწყვიტა ლაპა-ვაკი, რა კი შეატყო, რომ ნებლიუდოვის სახეზე უკმაყოფილება გამოიხატა: — მაგრამ, განა ეს გმირობა არ არის, რომ თქვენ იმ საშინელებაში, იმ ჯოჯოხეთურ ტანჯვა-წვალებაში მყოფთ, რომელნიც სატუსალოში არიან, ხელი გაუწოდეთ და გინდით დახმარება გაუწიოთ. მესმის თქვენი გმირობა, რომლისთვისაც მზადა ხართ სიცოცხლაც კი შესწიროთ, რასაც, თუ კი საჭირო იქნებოდა, არც მე დავიშურებდი. მაგრამ ყველას თავისი ბედი აქვს...

— განა თქვენც ბედს ემღუროთ?

— მე?! — გაკვირვებით შეეკითხა მარიეტტა, თითქოს გაუკვირდა, რომ ამის შესახებაც შეიძლება შეეკითხვა. — მე უკმაყოფილი უნდა ვიყო და ვარ კიდევაც, მაგრამ არის ერთი მატლი, რომელიც, როცა იღვიძებს...

— და თქვენც უნდა ეცადოთ მისს გაღვიძებას, — უთხრა ნებლიუდოვმა, რომელსაც თან-და-თან ჰხიზლავდა მარიეტტას ნაზი ხმა.



შემდეგ ამისა, როცა ნებლიუდოვს მოაგონდებოდა მისი მარიეტასთან ახლანდელი ლაპარაკი, მისი ყვები და ის მწუხარე სახე, რომელიც მან მიიღო მაშინ, როცა ნებლიუდოვი უამბობდა სატუსალოების ამბებს, სირცხვილისაგან წითლდებოდა.

როცა გრაფინია დაბრუნდა, ისინი ისე იყვნენ ლაპარაკში გართულნი, თითქოს დიდის ხნის შეგობრები არიან და თვითოვეულს თავიანთი, ძარღვის ცემა კარგად ესმითო.

ლაპარაკობდნენ იმას, თუ როგორ სჩაგრაედა ძლიერი სუსტს, როგორ გაღატაკებული იყო ხალხი და ნამდვილადკი მათი თვალები ლაპარაკის დროს ერთმანერთს ეკითხებოდა: „შეგიძლიან შემიყვარო?“ და პასუხსაც აძლევდა: „შემიძლიანო!“ გრძნობა ზორციელის სიყვარულისა, მრავალ-გვარად აფერადებული, თან-და-თან იზიდავდა ერთმანერთისაკენ.

წასვლის დროს მარიეტამ აღუთქვა დახმარება, რამდენადაც შესაძლო იყო მისგან, და სთხოვა—რამდენისამე წუთით შემოიარე ხვალ თეატრში ჩემთან, ერთ ფრიად საყურადღებო საფანზე მინდა მოგელაპარაკო.

— ნეტა როდის გნახავთ კიდევ?—დაუმატა მან ამოოხვრით და ფრთხილად დაიწყო ხელთათმანების ჩაცმა, რადგან თითები სავსე ჰქონდა ბეჭდებით:—მომეცით პირობა, რომ უუქველად მოხვალთ თეატრში.

ნებლიუდოვი დაჰპირდა.

იმ ღამეს ნებლიუდოვს დიდხანს აღარ დაეძინა. მოაგონდა მასლოვის ქალი, სენატის გადაწყვეტილება და ის, რომ მაინც გადაჭრილი ჰქონდა ხელი აკლო მამულეზზედ და კატოს გაჰყოლოდა ციმბირში; ამ დროს, თითქოს ამ საგნის გადასაწყვეტად, თვალწინ წარმოუდგა მარიეტა: მისი ამოოხვრა, ის სიტყვები, როცა მან უთხრა: „ნეტა როდის გნახავთ კიდევო“, და მისი ღიმილი, ისე ნათლად დაუდგა თვალწინ, თითქო მართლა ჰხედავსო, და გაიღიმა: „კარგი იქნება თუ არა, ციმბირში რომ წავიდე?“—დაეკითხა თავის თავს.



ყოველისავე ამის პასუხი კარგად ვერ გამოერკვია, სხვადასხვა ფიქრი დომხალივით აერია თავში. სკდილობდა ნებინა წინანდელი აზრთა მსელელობა, მაგრამ ახლა ამ აზრებს თითქო ძალა დაეკარგაო.

„ესთქვით, ყოველივე ესე ახირებაა და აღმოჩნდა, რომ ვერ შევიძელი ცხოვრება მაგ ნუგეშით, შევინანებ, რომ კარგად ვერ მოვიქეცი, და ვათავდა, — გკითხებოდა ამის თავის თავსა, პასუხი ვერ ეპოვნა და ისეთი სევდა შემოაწვა გულზე და ისეთს განწირულებაში ჩავარდა, რომელიც დიდი ხანია აღარ გამოვცადნა. ფიქრებმა მოჰღალა და ჩაეძინა იმ მოუსვენარის ძილით, როგორითაც ჩაეძინებოდა ხოლმე, როცა ქალაქის თამაშობაში დიდს ფულს წააგებდა.

XXV

მეორე დღეს გამოღვიძებისათანავე ნებლიუდოვს გაუელვა თავში ფიქრმა, რომ გუშინ რაღაც დიდი სისაძაგლე ჩავიდინეო.

მოიგონა ყველაფერი და, თუმცა მართლა სისაძაგლე არაფერი ჩაუდენია, მაგრამ ის ფიქრი, რომ წინანდელი ჩემი მოსაზრება: „მივცემ მიწას გლეხებს, შევირთავ კატოს და ვაყვები კიმიბირს-მეთქი, თითქო უარ-გყავ და ძნელი შეჩვენა, საბჭიმოდ დავსახე და ისევ წინანდელი ცხოვრება ვარჩიე. აი ეს არის ყველა სისაძაგლეზე უარესი. აი ეს სისაძაგლე ჩავიდინე გუშინაო“.

როცა ნებლიუდოვმა მოიგონა გუშინდელი ფიქრები, საშინლად გაუკვირდა, როგორ და საიდან დამებადაო. მტკიცედ მქონდა გარდაწყვეტილი, როგორც საქმე თხოულობდა, ისე მეცხოვრა და წინანდელის ცხოვრების დაბრუნება, რაც უნდა ტკბილი და სასიამოვნო ყოფილიყო, ყოველად შეუძლებლად მივიჩნიეო. გუშინდელმა ამბაემა თვალ-წინ დაუყენა ის კაცი, რომელიც გაიღვიძებს და, თუმცა არ ეძინება, მაინც უნდა ცოტა ხანს კიდევ იგორაოს ლოგინში და ინგბიეროს, იცის



კი, რომ ადგომის დროა, რადგან ფრიალ დიდი და სასიამოვნო საქმე ელის.

საქმიანობა

რადგან ეს დღე უკანასკნელი იყო პეტერბურგში ყოფნისა, დილით ადრე წავიდა ვასილიევის კუნძულზედ — შუსტოვასთან.

შუსტოვას ბინა მეორე სართულში იყო. ნებლიუდოვი, მეგზოვეს ჩვენებით, აპყვა უკანა კიბეს და პირდაპირ თორნესავით გახურებულ სხვა-და-სხვა საქმელების სუნით გაელენთილ სამზარეულოში ამოჰყო თავი. საქმელების ვასაკეთებელ ღუმელის წინ იდგა შუა ხნის დედაკაცი წინსაფარითა და ცხელს ქვაბში კოვხს ურევდა.

— ეინა გნებაეთ? — დაეკითხა ნებლიუდოვს და სათვალეების ზემოდან გადაჰხედა.

ნებლიუდოვმა ვერც კი მოასწრო თავის გვარის თქმა, რომ დედაკაცს უცხად ფერი ეცვალა და სიხარულმა აიტაცა.

— ოჰ, თავადო! — შესძახა დედაკაცმა: — აქედან რად ამობრძანდით? ჩვენო მხსნელო! მე იმისი დედა ვარ... ჩვენო მხსნელო! — იმეორებდა მოხუცი დედაკაცი და იწვევდა ნებლიუდოვისაკენ, რომ ხელები დაეკონა. გუშინ ვიყავი თქვენთან. მეტის მეტად შემეხვეწა. ახლა აქ არის. აქეთ მობრძანდით, თავადო, აქეთ, — ეუბნებოდა შუსტოვას დედა ნებლიუდოვს და ზრძელ, ვიწრო ტალანისაკენ მიუძღვებოდა: — ჩემი და კორნილოვის ქალია... უთუოდ გაიგონებდით, — ჩურჩულით დაუმატა მან, — ისიც იყო საქმეში ჩარეული... დიდი ჰკვიანი დედაკაცია.

შუსტოვას დედამ შეიყვანა ნებლიუდოვი პატარა ოთახში, სადაც ტახტზე იჯდა შუათანა ტანის ახალგაზრდა ლამაზი ქალი, ზუკუქ-თმიანი. მისს პირდაპირ საფარძელში იჯდა საყულო მოქარგულ რუსულ ხალათით ახალგაზრდა კაცი, ახლად აკურებულ წვერ-ულევაშით. ისე გაცხარებულად ლაპარაკობდნენ, რომ ნებლიუდოვის შესვლა არც კი გაუგიათ.



— ლიდა! თავადი ნებლიუდოვი. ის...

ახალგაზდა ქალი ამ სიტყვებზე საშინლად გათვითონდა წამოხტა ზეზე, თმები გაისწორა და შეშინებული თვალები ნებლიუდოვს მიაშტერა.

— მაშ, თქვენა ბრძანდებით ის საშიში ქალი, რომლისთვისაც ვერა ეფრემოვნამა მთხოვა დახმარება? — უთხრა ლილით ნებლიუდოვმა და ხელი გაუწოდა.

— დიალ, თავადო, სწორედ ის ქალი ვარ, — უთხრა ლიდამ და ნამდვილის ბავშვურის ლილით გაიღიმა: — დეიდას ძალიან უნდოდა თქვენი ნახვა. დეიდა! — გასძახა კარებისკენ თავისის ნაზის ხმით.

— ვერა ეფრემოვნა ძალიან შეწუხებული იყო თქვენის დაქვრით, — უთხრა ნებლიუდოვმა.

— დაბრძანდით, თავადო, აი აქ, — უთხრა მან და რბილი საეარძელი ანიშნა, საიდანაც ის-ის იყო ახალგაზდა კაცი წამოდგა, — ჩემი ბიძაშვილია — ზახაროვი, — გააცნო ნებლიუდოვს ახალგაზდა კაცი.

ისიც ისეთის სიხარულით მიესალმა ნებლიუდოვს, როგორც ლიდა და; როცა ნებლიუდოვი იმის აღიარებას დაჯდა, მან აიღო სკამი და გვერდით მოუჯდა. ოთახიდან გამოვიდა ქერა გიმნაზიელი, ასე თექვსმეტის წლისა, და სარკმლის თამჩაზედ ჩამოჯდა.

— ვერა ეფრემოვნა დეიდას დიდი მგლობარია, მე-კი თითქმის არც-კი ვიცნობ, — უთხრა ლიდამ.

ამ დროს ოთახიდან გამოვიდა ხნიერი, ჭკვიანის სახის ქალი.

— გამარჯობათ! დიდად გმადლობთ, რომ მობრძანდით, — დაიწყო მან, როგორც კი დაჯდა ტახტზე ლიდას გვერდით: — აბა, ვერას შესახებ რას იტყვით? როგორ იტანს თავის მდგომარეობას?

— არა უშავს რა, თითქმის არც კი ჩივის. ნამდვილის ოლიმპიურის დამშვიდებითა ვარო, — უპასუხა ნებლიუდოვმა.



— ოჰ, ვეროჩკა, ვეროჩკა! ვიცნობ, ვიცნობ, როგორც არის, — ლიმილით სთქვა დეიღამ: — სწორედ დღეებშიც დასთვის თავდებულთა და თავისთვის კი არასა ჰზრუნავს.

— დიად, თავისთვის არაფერს არა ნდომობდა, მხოლოდ თქვენის დისწულისთვის იყო შეწუხებული. უფრო ისა სტანჯავდა, რომ ტყუილად დაიქირეს, უბრალოაო.

— მართალია, შემაძრწუნებელი ამბავია! უფრო ჩემის მიზეზით დაიტანჯა.

— სრულიადაც არა, დეიღამ: — შეეკამათა ლიღამ: — უთქვენოდაც წავიდებდი ქალაქებს.

— დამაცა, მე შენზე კარგად ვიცი, როგორც იყო საქმე, — განაგრძო დეიღამ, — ერთმა მთხოვა, დროებით ჩემი ქალაქები შეინახეო და, რადგან ბინა არა მქონდა, ამას მივუტანე. სწორედ იმ ღამეს-კი გაჩხრიკეს, წაიღეს ქალაქები და თვითონაც დაატუსაღეს. ამდენი ხანი დაქერილი ჰყავდათ და ეუბნებოდნენ, სთქვი ვისგან მიიღე ქალაქებიო.

-- მეც არა ვსთქვი! — სწრაფად წამოიძახა ლიღამ.

— არც მე ვამბობ, რომ შენა სთქვი-მეთქი, — უპასუხა დეიღამ.

— თუ მიტინიც დაიქირეს, ეგ სრულებით ჩემი ბრალი არ იყო, — სთქვა ლიღამ, გაწითლდა და აქეთ-იქით ყურება დაიწყო.

— მაგას თავი დაანებე, ლიდოჩკა, — უთხრა დეღამ.

— რათაო, შერე? მინდა ყველაფერი ვუამბო.

— გუშინდელი ხომ გახსოვს, როცა შენს ამბავს მოჰყვიე?

— სრულიადაც არა... თავი დამანებე, დედა. კი არ მითქვამს, მხოლოდ გაეჩუმდი. როცა ორჯერ ჩვენება ჩამომართვეს და დეიღისა და მიტინის ამბავი მკითხეს, არაფერი არ ვუთხარი და გამოვეუცხადე, პასუხს არ მოგცემთ-მეთქი. მაშინ იმ პეტროვმა დამიწყო ქადაგება: „რასაც შეტყუით, არავის ზიანს არ მისცემსო, პირ-იქითაო. . თუ იტყვით ყველაფერს, უდანაშაულოებს გაანთავისუფლებთო... მე მაინც ვუთხარი,



არაფერს არ გეტყვით-მეთქი. მაშინ მითხრა: „მაშ, კარგად იყავი, არაფერს ნუ იტყვი, მხოლოდ იმის უარს ნუ იკისრებ, რომელიც მე ვიტყვი და ვისაც მე დავასახელებო“, და მიტინი-კი დაასახელა.

— ნუ ლაპარაკობ, კარგია, — უთხრა დეიდამ.

— ნუ მიშლი, დეიდა... — და წარმოიდგინეთ, — განაგძო მან, — მეორე დღეს კაკუნით მატყობინებენ, მიტინი დაიჭირესო. ეფიქრობ, ალბად მე გავეცე-მეთქი და ამან ისე დამტანჯა, ისე დამტანჯა, რომ კინაღამ ტყუაზე შევიშალე.

— აღმოჩნდა, რომ იმის დაქვრის მიზეზი შენ არა ყოფილხარ, — სთქვა დეიდამ.

— მე კი არ ვიცი; ეფიქრე... მე გავეცე-მეთქი... ბოლთასა ვსცემ ოთახში და ეფიქრობ, მე გავეცე-მეთქი. დავწეტი. ვილაც მიჩურჩულებს ყურში: გაეცი, გაეცი! მიტინი, მიტინი გაეციო. ვიცი, რომ ეს გალიუცინაციაა და მაინც ყურს უგდებ. მინდა დამინება — არ შემიძლიან. მინდა არ ვიფიქრო — ესეც შეუძლებელია. აი, ასეთს საშინელებაში ვიყავი! — აღვლეებული ამბობდა ლიდა.

— დამშვიდდი, ლიდოჩკა! — უთხრა დეიდამ და მხარზედ ხელი დაადო, მაგრამ ლიდამ რაკი დაიწყო, ძნელი იყო განჩერება.

— ასეთი ყოფა მით არის საშინელი... — დაიწყო მან, მაგრამ უცბად ქვითინი წასქდა, წამოხტა ტახტიდან და გავარდა მეორე ოთახში. დედა გამოუდგა უკან, მაგრამ ისევ შემობრუნდა და გამოაცხადა, ლიდა უცბად ავად შეიქმნა და ვეღარ გამოვყო.

— მერე და რად დაიღუპა ახალგაზდამ სიკოცხლე? — სთქვა დეიდამ: — უფრო მეტად ისა მწყინს, რომ მიზეზი მე ვიყავ...

— ღმერთი მოწყალეა, სოფლის წმინდა ჰაერზე კარგად გახდება, — სთქვა დეიდამ.



— თუ არ თქვენა, მთლად დაიღუპებოდა, — უთხრა ეფი-
 დამ ნებლიუდოვს: — დიდად გმადლობთ. თქვენის მახტამ ჩნებდა
 მინდოდა, რომ შეთხოვნა, წერილი გადაგეცათ ვერა ეფრე-
 მოვნასთვის, — უთხრა მან და ჯიბიდან წერილი ამოიღო: —
 წერილი დაბეჭდილი არ არის და შეგიძლიანთ გინდ დახიოთ
 და გინდ გადასცეთ, ერთის სიტყვით, როგორც საჭიროდ დაი-
 ნახოთ, ისე მოიქეცით. წერილში საიმისო არაფერია.

ნებლიუდოვმა გამოართვა წერილი, შეჰპირდა გადაე-
 სცემო, გამოეთხოვა და გამოვიდა ქუჩაში.

წერილი არც კი წაუკითხნია, დაჰბეჭდა და გადასწყვიტა
 დანიშნულებისამებრ გადაეცემო.

XXVI

ნებლიუდოვი იმავე დღეს აპირებდა პეტერბურგიდან წასე-
 ლას, მაგრამ მარიეტას შეჰპირდა თეატრში მოვალო და, თუმ-
 ცა იცოდა, რომ ეს არ უნდა ექნა, მაგრამ მაინც წავიდა, რად-
 გან მოვალეობად მიიჩნდა თავისი სიტყვა შეესრულებინა. გარდა
 ამისა, მარიეტას ნახვის გარდა უნდოდა ერთხელ კიდევ ჩა-
 რეულიყო იმ ცხოვრების ფერხულში, რომელიც წინად ასე
 ჰქონდა შეთვისებული. და ახლა თითქმის კიდევაც გადავიწ-
 ყებოდა.

„შემიძლიან განა ვეწინააშლდეგო ამ ცდუნებას?“ — ჰფიქ-
 რობდა გულში: — „ვნახავ უკანასკნელად“.

გამოიცივალა ტანისამოსი, ჩაიცვა ფრაკი და მეორე მოქ-
 მედებაზე მივიდა თეატრში. თამაშობდნენ მესამეჯერ ერთსა
 და იმავე „*Dame aux camelias*“ და ახალ-მოსული მსახიობი
 ქალი ასრულებდა მარგარიტა გოტიეს როლს.

თეატრი მთლად სავსე იყო ხალხით. ნებლიუდოვს ზრდი-
 ლობიანად უჩვენეს ის ლოჯა, სადაც მარიეტა იჯდა.

კარები ლაქიამ გაუღო და მოწიწებით თავი დაუკრა, რო-
 გორც ძველ ნაცნობს.



ლოცებიდგანა და პარტიკიდან ყველა თვალ-გაფრთხილებული
 ბით მისჩერებოდა ახალგაზდა მსახიობ ქალს, რომელიც ხარისხ
 მორეულის ხმით მონოლოგს ამბობდა. ნებლიუდოვმა შეალო
 კარები და შევიდა ლოჯაში.

აქ ისხდენ: მარიეტტა, ვილაკ უცნობი ქალი წითელ-ფე-
 რის მოსახურაფითა და ხშირის თმით, და კიდევ ორი კაცი: გენე-
 რალი—მარიეტტას ქმარი, და ქერა, მელოტი კაცი. მარიეტ-
 ტამ პირველმა შეჰნიშნა ნებლიუდოვი, უკანა სკამი ანიშნა და
 ისეთნაირად გაუღიმა, რომ აშკარად აგრძნობინა, შენი მოსვლა
 დიდად გამეხარდაო. ქმარმა ჩვეულებრივ მშვიდად შეჰხედა
 ნებლიუდოვს და ოდნავ დაუკრა თავი. შემდეგ გადაჰედა ცოლს
 და მით დაუმტკიცა, თავი მომწონს, ასეთის ლამაზის ცოლის
 ბატონ-პატრონი რომ ვარო.

გათავდა თუ არა მონოლოგი, თეატრში ისეთი საშინელი
 ხმაურობა და ტაშის ცემა ასტყდა, რომ ყურთა სმენა აღარ
 იყო. მარიეტტა ნაზად წამოდგა, იიწია კოხტად შრიალა აბრე-
 შუმის კაბა, გავიდა ლოჯის უკან და გააცნო ქმარს ნებლიუ-
 დოვი. გენერალი სულ ერთთავად ილიმებოდა.

— დღეს უეჭველად უნდა წავსულიყავი, მაგრამ, რაკი სი-
 ტყვა მოგვეცი, მოვედი, — უთხრა ნებლიუდოვმა მარიეტტას.

— მგონია, წაგებულნი არ უნდა იყოთ, რომ დარჩით; თუ
 ჩემი ნახვა არ გეინტერესებოდათ, მშვენიერი მსახიობი ქალი ხომ
 ჰნახეთ მაინც, — უთხრა მარიეტტამ, რაკი მიუხედა ნათქვამის
 აზრს: — მართლაც და, რა მშვენიერად თამაშობს! უკანასკნელ
 სცენაში მაინც შეუღდარებელი იყო, სწორედ ალტაცებაში მო-
 მიყვანა, — მიუბრუნდა ქმარს.

ქმარმა თავი ჩაჭლუნა და ხმა არ ამოუღია.

— მე ეგ სრულიად არ მალეღვებს... ამ მოკლე დროში
 იმდენი წამდელი უბედურება ენახე და გამოვსცადე, რომ...

ქმარი ყურს უგდებდა და თან-და-თან ირონიულად ილი-
 მებოდა.



— ვიყავი იმ ქალთან, რომელიც დიდი ხანოვანატუქა-ლოში იჯდა. საშინლად გამხდარა საწყალი. ვინაღმარაა

— ეგ ის ქალია, მე რომ ვითხარი,—უთხრა მარიეტტამ ქმარს.

— დიად ჩემთვის დიდად სასიამოვნო იყო, რომ მოვახერხეთ მისი განთავისუფლება,—თავის ქნევით წარმოსთქვა გენერალმა და, როგორც ნებლიუდოვმა შეჰნიშნა, დაკნინით ჩაიკინა უღევნებში:—მე წავალ, პაპიროსს მოვსწევ.

ნებლიუდოვი მოუთმენლად ელოდა, როდის ეტყოდა მარიეტტა ამ „რადასაც“, რაც უნდა ეთქვა, მაგრამ მარიეტტა არა ჩქარობდა, იჯდა არხვინად და პიესის შესახებ ლაპარაკობდა.

ნებლიუდოვი დარწმუნდა, რომ მარიეტტას მხოლოდ ის უნდოდა, თავისი სილამაზე ეჩვენებინა, თავისი მშვენიერი მორთულობა, და ეს-კი სასიამოვნოც იყო და საწყენიც მისთვის.

ნებლიუდოვი უმზერდა მარიეტტას, სტკებოდა მისის მშვენიერებით და ამავე დროს ჰხედავდა, რომ ყველა ის, რაცა ჰხიბლავდა, ყალბი და ხელ-ქმნილი იყო; ყალბი იყო მარიეტტა, რადგან ისეთი ჯოჯო ქმარი უყვარდა, რომელიც მუდამ იმისა ჰფიქრობდა, თუ როგორ აემიღლებინა თავი, ჰხედავდა, რომ ეს ქალი ყოველის ღონისძიებითა სკდილობდა შეეყვარებინა ნებლიუდოვისთვის თავი. ნებლიუდოვისთვის მარიეტტა მიმზიდველიც იყო და საზიზღარიც. რამდენჯერმე მოემზადა წასასვლელად, აიღო ქუდი, მაგრამ ისევ დარჩა, ხოლო რაცა მარიეტტას ქმარი შემოვიდა და ირონიულად გადაჰხედა ნებლიუდოვს, გრძევით წამოვარდა, კარების მიხურვა არც-კი დაუკლია, გამოვიდა ლოქიდან, ჩაიკვა პალტო და წავიდა სახლში.

გზაში დაეწია ერთ მალაღს, მშვენიერად მორთულ ქალს და მუშტრის თვალით დააცქერდა. ქალი ლამაზი იყო, უთუოდ ბევრი ფერ-უმარილი ჰქონდა წასმული. მან ღიმილითა და სიამოვნებით შეჰხედა ნებლიუდოვს. საკვირველია, ნებლიუდოვს მაშინათვე მარიეტტა მოაგონდა და ისეთივე გრძნობა აღეძრა, როგორც მარიეტტას მიმართ. ნაბიჯს უმატა:



გაუსწრო წინ, გაჯავრებით შეუხვია მეორე ქუჩაში და ხარებით დაიწყო იქ ბოლთის ცემა.

„იმანაც ასე გამოიღმა, როცა თეატრში შევედი“, — გაიფიქრა ნებლიუდოვა: — ორივეს ღიმილი ერთისა და იმავე აზრისა იყო. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ეს პირდაპირ და უბრალოდ მაგებიანებს რაც უნდა, ის კი თავს იკატუნებს, ვითომც აქ არაფერიაო, და რალაც მალალის იდეალებით სცხოვრობს, მაგრამ საფუძველი კი ორივეს ერთი და იგივე აქვს. ეს მართალს მაინც ამბობს და ის კი ყოველ ნაბიჯზე სტყუის“. ნებლიუდოვა მოიგონა კავშირი მანარის თავადაზნაურთა წინამძღოლის ცოლთან და თვალწინ წარმოუდგა თავისი სამარცხვინო მოქმედება. „საზიზღარია აღამიანის მხეცური ბუნება, ნამდვილის პირუტყვულის ალღოთი გაყდენთილი, — ჰფიქრობდა ნებლიუდოვი: — მაგრამ, როცა ვგ სიმხეცე ხალასია, შეურყენელია, შენის სულიერ ცხოვრების სიმალლიდგანა ჰხედავ, გეზიზღება და ჰკიცხავ; დაეცი თუ გაუმაგრდი ცდუნებას სულ ერთია, მაინც ისეთივე დარჩები, როგორც წინად იყავი; სულ სხვაა, როცა ვგ პირუტყვობა, ვგ მხეცური ბუნება ცრუ ესტეტიურ და პოეტურ ტყავში ვხვევა და თხოულობს, მუხლი მოდრიკეთ და თავყვანი მეციითა; თუ ამ ცხოველს აღმერთებ და მთლად ემონები, საშინელებაა!“

ნებლიუდოვისთვის ახლა ყველაფერი ცხადი და აშკარა იყო. ცხადი იყო, რომ რაც მნიშვნელოვანი და კარგი ეგონა, უმნიშვნელო და საზიზღარი აღმოჩნდა. ყველა ეს: გარეგნული სიმშვენსიერე, ფუფუნებითა და განცხრომით ცხოვრება, ჰფარავს ძველს ავაზაკობას, რომელიც ყველასთვის შეჩვეული ჰქონია და არამც თუ დაუსჯელად რჩება, არამედ თავიც მოაქვს გამარჯვებულობით.

ნებლიუდოვს არ უნდოდა ეფიქრა ამ საგანზედ, მაგრამ მაინც ყველაფერი თვალ-წინ ედგა. მართალია, ვერა ჰხედავდა იმ სინათლის წყაროს, რომლის წყალობითაც ყველაფერი ცხადი იყო, თუმცა ეს სინათლე უელფერო და არა-ბუნებრივი



იყო, როგორც უმთვაროდ განათებული პეტერბურგის ნათქვამი, მაგრამ მაინც აშკარად ჰხედავდა ყველა ამ თაღლითობას და ერთსა და იმავე დროს სიამოვნებასაც ჰგრძნობდა და მოუსვენრობასაც.

XXVII

მივიდა თუ არა მოსკოვში, ნებლიუდოვი მაშინვე სატუსალოს საავადმყოფოსკენ გაექანა, რომ ენახა მასლოვის ქალი და გამოეცხადებინა სამწუხარო ამბავი: უნდოდა ციკმბირში წასასვლელადაც მოემზადებინა.

ერთად ერთი იმედი მხოლოდ ის-და დარჩენოდა, რომ უმაღლესს სახელობაზე ჰგზავნიდა თხოვნას, რომელიც ვეჭილმა დაუწერა, და ახლა მასლოვის ქალითან მიჰქონდა ხელმოსაწერად. საკვირველია, ახლა სრულიადაც არ უნდოდა გაემარჯვნა ამ საქმეში, ახლა მხოლოდ ციკმბირში ცხოვრება ეხატებოდა თვალწინ და ვერ წარმოედგინა, განა როგორ მოეწყობდი ჩემს ცხოვრებას, მასლოვის ქალი რომ არ გაეგზავნათ ციკმბირშია.

საავადმყოფოს მეკარემ მაშინვე იცნო ნებლიუდოვი და აცნობა, მასლოვის ქალი აქ აღარ არისო.

— მაშ სად არის?

— ისევ სატუსალოშია.

— მერე, რატომ გადაიყვანეს? — ჰკითხა ნებლიუდოვმა.

— ოჰ, რომ იცოდეთ, თქვენო ბრწყინვალეობავ, რა ხალხია, — უთხრა მეკარემ და ზიზლით გაიღიმა: — ფერშალთან არ შეიკობა გამართა და უფროსმა ექიმმა უკანვე გაგზავნა.

ნებლიუდოვი თავის დღეში ვერ წარმოიდგენდა, თუ მასლოვის ქალი ასე დაახლოვებული იყო მისი. ამ ამბავმა სწორედ თავზარი დასცა. ისე იმოქმედა, რომ დიდხანს გონს ვერ მოვიდა. პირველად უზომო სირცხვილი იგრძნო, რომ ასე მოსტყუვდა მასლოვის ქალის შესახებ, რომელიც საკეთილოდ გამოცვლილი ეგონა. მოაგონდა მისი სიტყვები, როცა მტკი-



ცხ უარს ეუბნებოდა, არ მივიღებ შენგან მაგისტანა მსხვერპლსაო, და ეხლა კი დარწმუნდა, რომ ყოველივე ყვენილის ქალის ოინები იყო, რათა მეტი ფული დაეტყუვნა მისთვის. გაახსენდა, უკანასკნელ ნახვის დროს კიდევ შევამჩნიე, რომ მთლად გასწორებული არ იყო კიდევანო. ინსტიტუტურად ქუდი ჩაპოიფხატა თავზე და გამოვიდა საავადმყოფოდგან.

„რა უნდა ვქნა ახლა?—დაეკითხა თავისს თავს,—განა მისი ასეთი ქცევა არ მანთავისუფლებს ჩემის მოვალეობისაგან?“

მაგრამ როგორც კი ესა ჰკითხა თავისს თავს, მაშინვე მიჰხვდა, რომ, თუ განთავისუფლებულად მოვიჩნევ ჩემს თავს და უპატრონოდ დავტოვებ კატოს, იმას კი არ დავსჯი, არამედ თვითონ მე დავისჯებიო, და შეძრწუნდა.

„არა, რაც მოხდა—მოხდა, ჩემს ბტკიცე გადაწყვეტილებას ვერავითარი შემთხვევა ვერ შემაცვლევინებს. ის კი ისე მოიქცეს, როგორც მისს სულიერს მდგომარეობას შეეფერება. ფერშალთან არ შეიყობს? იარ შეიყოს—ეს საკუთარი მისა საქმეა. ჩემი საქმე კი ის არის, რასაც ჩემი სინიდისი თხოულობს“, — სთქვა მან გულში. — „ჩემი სინიდისი კი იმასა თხოულობს, რომ ჩემი თავისუფლება მსხვერპლად შევსწირო ჩემის ცოდვების გამოსასყიდლად და ჩემი გარდაწყვეტილება, რომ ის ქალი მე ცოლად უნდა შევიროთო და გავჰყვე ციმბირში, შეუცვლელი დარჩება“, — სთქვა მან და ბტკიცე ნაბიჯით სატუსალოს კარებისაკენ წავიდა.

როცა კარებთან მივიდა, სთხოვა მორიგეს, შეატყობინეთ უფროსს, რომ მასლოვის ქალის ნახვა მინდაო. მორიგე იცნობდა ნებლიუდოვს და, როგორც ნაცნობს, შეატყობინა სატუსალოს ახალი ამბავი. კაპიტანმა სამსახურს თავი დაანებებია და მისს ადგილზედ ვილაც ახალი, სასტიკი უფროსი დანიშნესო.

— ისეთი სასტიკია, ისეთი, რომ რაღა გითხრათ... ახლა



აკ არის, ებღავე შევატყობინებ, — უთხრა მორიგმა ზედამხედველმა და წავიდა.

მართლაც, უფროსი სატუსაღოში იყო და ჩქარა გამოვიდა ნებლიუდოვთან. მაღალი იყო, გამბდარი კაცი, მრისხანე შეხედულობისა.

— ნახვა მხოლოდ წინაღვე აღნიშნულ დღეებში შეიძლება და ისიც კერძოდ ამისათვის დანიშნულ ოთახში, — სთქვა მან ისე, რომ ნებლიუდოვისთვის არც კი შეუხედნია.

— მართალია, მაგრამ მინდა ხელი მოვაწერინო თხოვნაზე, რომელსაც უმაღლესს სახელობაზე ვაძლევ.

— შეგიძლიანთ მე გადმომცეთ.

— მე თვითონ მინდა ვნახო. წინად მუდამ მაძლევდნენ ნახვის ნებას.

— ეგ წინად იყო, ახლა კი სულ სხვა არის! — უპასუხა უფროსმა და ცალის თვალით გადაჰხედა ნებლიუდოვს.

— გუმბერნატორისაგან მაქვს ნება, — დაიქინა ნებლიუდოვმა და „ბუმაჟნიკი“ ამოიღო.

— გვიბოძეთ, — უთხრა უფროსმა, გამოართვა ქალაღლი და წაიკითხა: — მომზდნდით კანტორაში, — უთხრა მან.

კანტორაში ახლა არავინ იყო. უფროსს უნდოდა კანტორაში დარჩენილიყო მათის ლაპარაკის დროს, მიუჯდა მაგიდას და ქალაღლების გადათვალღეერება დაიწყო. ნებლიუდოვი შეეკითხა: შეიძლება თუ არა პოლიტიკურ დამნაშაღვის ბოგოდუხოვსკაიას ქაღის ნახვაო; უფროსმა მოკლედ მოუქრა — არაო.

— პოლიტიკურ დამნაშაღეთა ნახვა აღკრძაღულია, — უთხრა მან და ისევე ქალაღლებს მიუბრუნდა.

ნებლიუდოვი უხერხულ მღგომარეობაში ჩაღარდა, რადგან ბოგოდუხოვსკაიასთან წერიღი ჰქონდა და გადაცემა შეუძღმბელი შეიქმნა.

როცა მასღოვის ქაღი შემოღვიდა, უფროსს არც კი შეუღ



ხედნია, ისე უთხრა: „შეგძლინათ ილაპარაკოთო“, — და გარდავიდა გრძო თავისი საქმე.

მასლოვის ქალს წინანდებურად ეცვა ტანთ. მივიდა ნეხლიუდოვთან და, რაკი შეჰნიშნა ზიზლით აღვსილი სახე, ჭარხალივით გაწითლდა, თავი ჩაპლუნა და უაზროდ ხელების ფათური დაიწყო. მასლოვის ქალის ასეთმა ქცევამ დაარწმუნა ნეხლიუდოვი, რომ საავადმყოფოს მეკარეს სიტყვები მართალიაო.

უნდოდა წინანდებურად მოჰქცეოდა მასლოვის ქალს, მაგრამ ვერ შესძლო, ისე ეზიზღებოდა ახლა.

— სამწუხარო ამბავი მოგიტანეთ, — უთხრა ნეხლიუდოვმა ისე, რომ არც კი შეუხედნია: — სენატში უარი გვითხრეს.

— ვიცოდი, აგრე იქნებოდა, — უპასუხა მასლოვის ქალმა ისეთის ყრუ ხმით, რომ კაცს ეგონებოდა, იღრჩობაო.

წინად რომ ვთქვა ეს მასლოვის ქალს, ნეხლიუდოვი უთუოდ ჰკითხავდა მიზეზს, ახლა კი მხოლოდ შეჰხედა: მასლოვის ქალს ცრემლები ადგა თვალებზე.

ამ ცრემლებმა არა თუ მოარბილა, კიდევაც გააბრაზა ნეხლიუდოვი.

უფროსი წამოდგა და ბოლთის ცემა დაიწყო ოთახში. თუმცა მასლოვის ქალის ნახვამ საშინელი ზიზლი აღუძრა ნეხლიუდოვს, მაინც საჭიროდ დაინახა სიბრალულით მოჰპყრობოდა.

— მაინც იმედს ნუ დაჰკარგავთ, — უთხრა მან, — იქნება ამ თხოვნიდან გამოვიდეს რამე. იმედი მაქვს, რომ...

— არა, მე მაგისტრის კი არა... — ისეთის საცოდავის ხმით დაიწყო მასლოვის ქალმა, რომ გარკინებულ ადამიანის გულიც კი ათრთოლდებოდა.

— მაშ რა?

— საავადმყოფოში იქნებოდით და უთუოდ გეტყოდნენ რასმე ჩემზე...



— მერე რა, ვგ საკუთარი თქვენი საქმეა, — უთხრა ნებლიუდოვმა.

შეურაცხყოფილი გრძნობა, რომელიც მიყუჩებული იყო, უფრო ძლიერად შეიჩრყა, როცა მასლოვის ქალმა სადად-მყოფო ახსენა. «მე ისეთი კაცი ვარ და ისეთ გჯუფს ვეკლთენი, რომ ჩემს კოლობას არა ერთი და ორი საუკეთესო ქალიშვილები ნატრობენ; სურვილი განვაცხადე ამ ქალის შერთვაზედ და ამან კი ვიდაც ფერშაღს დაუწყო არშიყობა!» — ჰფიქრობდა ნებლიუდოვი და ზიზლით უმზერდა კატოს.

— აი, ამ თხოვნას მოაწერეთ ხელი, — უთხრა მან და ქალადი დაუდო წინ.

მასლოვის ქალმა თვალები მოიწმინდა, დაჯდა მაგიდასთან და დაეკითხა, სად ან როგორ მოეწერა. ნებლიუდოვმა უჩვენა, სადაც უნდა მოეწერა. ნებლიუდოვი თავსა ადგა და მისჩერებოდა მის მოხრილ ზურგს, რომელიც თრთოდა შეკავებულის ქვითინის გამო ნებლიუდოვის გულში ათასგვარი გრძნობა აღიძრა. ბოლოს სიბრალულის გრძნობამ დაიჭირა მეტი ალავი.

წინანდელის კოდვების წყალობითა თუ სიბრალულით, ნებლიუდოვმა იგრძნო თავის თავი დამნაშავედ და შეეპრაღა მასლოვის ქალი.

მასლოვის ქალმა ხელი მოაწერა, გაიწმინდა მელნით გათბუნილი ხელი და წამოდგა.

— რაც უნდა მოჰხდეს, რაც უნდა შეგემთხვეს, ვერაფერი ვერ შემაცვლევინებს ჩემს მტკიცე გადაწყვეტილებას, — უთხრა ნებლიუდოვმა.

იმ მოსაზრებამ, რომ მე ვაპატყე მასლოვის ქალს ყველაფერიო, უფრო მეტი სიბრალული აღუძრა გულში და მოინდომა მისი ნუგეშის ცემა.

— რაცა ვსთქვი, ავასრულებ. სადაც უნდა გაგზავნონ, უთუოდ შენთან ვიქნები.

— ტყუილად იწუხებთ თავს, — გააწყვეტინა მასლოვის ქალმა და უცბად სახე გაუბრწყინდა.



— ხომ იცი, რომ სამგზავროდ მომზადება გჭირდება? — მგონია, მაგდენი არაფერა. მადლობელი ვარ უფროსი წამოდგა და მივიდა მათთან. ნებლიუდოვმა

სიტყვის თქმაც კი არ დააცალა მასლოვის ქალს, ისე გამოეთხოვა. ისეთის გრძნობით იყო აღვსილი, რომ ასე არასოდეს არ ყოფილა.

ერთად ერთი აზრი, რომელიც მისს გულს მალამოსავით ეცხებოდა, ის იყო, რომ, რაც უნდა ცუდად მოქცეულიყო მასლოვის ქალი, მაინც უყვარდა. „როგორც უნდა, ისე მოიქცეს, ვისაც უნდა, იმას ეკურკუროს, თუ გინდ ფერშალსაც, ეს საკუთარი მისი საქმეა, მე მაინც მიყვარს იმიტომ, რომ ვალდებული ვარ ასე მოვიქცე“.

ის ავბავი, რომლისთვისაც მასლოვა დაითხოვეს სავად-მყოფოდან და რომელიც მაშინვე დაიჯერა ნებლიუდოვმა, ასე მოჰხდა: ერთხელ მასლოვა, ფერშალ ქალის ბრძანებით, მივიდა აფთიაქში ოფლის ჩაისათვის. იქ ფერშალი უსტინოვი დაუბჯდა, რომელსაც დიდი ხანია თვალი ეჭირა მასლოვის ქალზე და მოსვენებას არ აძლევდა. შევიდა თუ არა მასლოვის ქალი, ფერშალი მზეცივით მივარდა და ხელები მოჰხვია. მეტის სიბრაზით მასლოვის ქალმა ისე მძლავრად მოიქნია უსტინოვი, რომ შუშების უფრას დაეჯახა და ორი შუშა გასტეხა.

ამ დროს ტალანში უფროსი ეჭიმი დადიოდა და, გაგონა თუ არა შუშების მტვრევა და როგორც კი თვალი მოჰკრა, რომ აფთიაქიდან თმა-გაწიწილი და გაწითლებული მასლოვის ქალი გამოვარდა, დაუყვირა:

— ქალბატონო! შენ თუ ასეთი ამბები დაიწყე აქ, იცოდე, რომ გაგადებ. რა ამბავია? — მიჰმართა მან ფერშალს და სათვალეების ზემოდან მრისხანედ გადაჰხედა.

ფერშალმა თავის მართლება დაიწყო. ეჭიმი საჩქაროდ გავიდა და უთხრა უფროსს, რომ მასლოვის ადგილას სხვა, უფრო ზრდილობიანი ქალი გადმოეყვანა.



საავადმყოფოდან დათხოვნა მით უფრო თავი უნდა დამცემში იყო მასლოვის ქალისათვის, რომ სრულიად უნდა დაეცა იყო ამ საქმეში. მერე ისიც ახლა, როცა ნებლიუდოვს კვლავ შეჰხვდა, მამაკაცთან საქმის დაჭერა, წინადაც შეძლებული, უფრო მეტად შეეზიზღა. იმ გარემოების გამო, რომ აქაო და ამ ქალს საექვო წარსული ჰქონდაო, ყველა თამამად ეტანებოდა, რაც საშინლადა სწყინდა და სულ-გულს უთუთქავდა. როცა ნებლიუდოვთან გამოვიდა, უნდაო თავი გაემართლებინა, მაგრამ შეატყო თუ არა, ნებლიუდოვს არ სჯერა ჩემი სიმარლევო, მაშინვე დაიშობდა და თვალები ცრემლებით აევსო.

მასლოვის ქალი არწმუნებდა თავის თავს და ნებლიუდოვსაც განუცხადა, რომ არ მიპატივებია შენთვის დანაშაულიო და მეზიზღები კიდევცაო, მაგრამ ნამდვილად კი დიდი ხანია ისევ შეუყვარდა და ყოველსავე მისს ბრძანებას საესებით ასრულებდა: დანება თავი თამბაქოს წვეს და ღვინის სმას და მისის ბრძანებით საავადმყოფოში დადგა მოსამსახურედ. თუ ამდენ ხანს ცივს უარზედ იდგა მიელო მისგან მსხვერპლი, ვე იმიტომ, რომ დარწმუნებული იყო, ჩემი ცოლობა უბედურების მეტს არას მოუტანსო. მან მტკიცედ გადასწყვიტა არ მიელო მისგან არაერთარი მსხვერპლი და თან სამწუხაროდ მიაჩნდა, რომ ნებლიუდოვი ზიზღით უმზერდა და ვერ ამჩნევდა, რა ცვლილებაც დაეტყო. ახლა მას უფრო მეტად ისა სტანჯავდა, რომ ნებლიუდოვმა მის შესახებ ცუდი ამბავი გაიგო საავადმყოფოში, ვიდრე ის, რომ საბოლოოდ გადასწყდა მისი წასვლა კატორღაში.

XXVIII

შესაძლებელი იყო მასლოვის ქალი ტუსალების პირველ ჯგუფთან ერთად გაეგზავნათ, და ამიტომ ნებლიუდოვი მზადებას შეუდგა. საუბედუროდ, იმდენი საქმე გამოუჩნდა, რომ, რამდენი დროც უნდა ჰქონოდა თავისუფალი, ყოველად შეუძლებელი იყო ყველა საქმე გაეკეთებინა. წინად განგებ



უნდა მოეგონა, რა გავაკეთოო და თვით საქმის თავი და ბოლო იყო დიმიტრი ივანეს ძე ნებლიუდოვი. თუმცა ცხოვრების მთელი ინტერესები მარტო დიმიტრი ივანეს ძის ნებლიუდოვის გარშემო ტრიალებდა, მაინც საქმე მეტად მოსაწყენი და მოსაბეზრებელი იყო. ახლა მისი გასაკეთებელი საქმე სულ სხვას შეეხებოდა და არა დიმიტრი ივანეს ძეს, და მაინც უფრო სახალისო და მიმზიდველი იყო. ასეთი საქმეები აუარებელი აღმოუჩნდა.

ახლანდელი საქმეები ნებლიუდოვმა სამ კატეგორიად გააყოლა, ამისდა მიხედვით, სამს პორთფელში ჩაალაგა ცალკე-ცალკე.

პირველი საქმე, რასაკვირველია, მასლოვის ქალს შეეხებოდა. ეს საქმე იყო უმაღლესს სახელობაზედ მიცემულ თხოვნის თვალ-ყურის დევნება და ციმბირში სამგზავროდ მომზადება.

მეორე საქმე შეეხებოდა მამულების გაწესრიგებას. პანოვოს მიწები გლეხებს ჰქონდათ გადაცემული იმ პირობით, რომ მიწაში აღებული ფასი ისევ იმათვე მოცემარებინათ საზოგადო საქიროებისათვის. ამ საქმის დასაბოლოოვებლად საქირო იყო პირობების შედგენა და ხელის მოწერა გლეხებისაგან. კუზმინსკში ისე იყო საქმე, როგორც თვითონ გაარჩია: ე. ი. მამულებისგან აღებულ ფულს თვითონ იღებდა თავის საქიროებისათვის, მხოლოდ ახლა საქირო იყო ფულის გადახდის ვადის დანიშვნა და ამასთანავე ფულის საქმის გაწესრიგება, რომ წინადაცე გადაწყვეტილი ყოფილიყო, რამდენი აელო თავისთვის და რამდენი მიეცა გლეხებისთვის. არ იცოდა, რამდენი მოუნდებოდა სამგზავროდ და ამიტომ ეს შემოსავალი მთლად თავისთვის, გადასდო, თუმცა ნახევრად შეამცირა-კი.

მესამე საქმე შეეხებოდა საზოგადოდ ყველა ტუსაღთა შევლა-დახმარებას, რომელნიც ამ ბოლო დროს ხშირ-ხშირად მიჰმართავდნენ ხოლმე დახმარებისათვის.

წინად, როცა რომელიმე ტუსაღი მიჰმართავდა ხოლმე



ნებლიუდოვს დახმარებისათვის, მაშინვე იწყებდა შუამდგომლობას, რომ მალე შეემსუბუქებინა ტუსაღისთვის სსსრკ-ში, მაგრამ შემდეგ, რაკი ტუსაღებმა გაიგეს ეს ამბავი, იმდენი მთხოვნელები მიაწყდა, რომ ნებლიუდოვი იძულებული შეიქმნა ამ საქმისთვის ცალკე მეოთხე განყოფილება შეედგინა, რადგან ამდენ საქმეს პეტი ენერჯია და შრომა უნდოდა.

ამ მეოთხე საქმემ შემდეგი საკითხი დაუყენა თვალწინ: საიდან ან რისთვის გაჩნდა ეს საკვირველი დაწესებულება, რომელსაც სისხლის სასამართლო ეწოდება და რომლის შედეგიც სატუსაღოა, ის სატუსაღო, რომლის მცხოვრებნიც, ცოტად თუ ბევრად, გაიცნო ნებლიუდოვმა; და კიდევ ყველა ის სატუსაღოები, პეტროპავლოვსკის ციხიდან დაწყებული სახალინამდე, სადაც ამ სისხლის სამართლის კანონის წყალობით ასი და ათასი მსხვერპლი სასტიკ ტანჯვაში ატარებს თავისს სიცოცხლეს.

კერძო დაკვირვებით, ვეჭილისა, სატუსაღოს მღვდლისა და ციხის უფროსის გამოკითხვით, ნებლიუდოვმა გაიგო, რომ ტუსაღები, ეგრედწოდებული ავაზაკები, ხუთ რიგად განიყოფებოდნენ. პირველ რიგს ეკუთვნოდნენ სრულიად უდანაშაულო ხალხი, სასამართლოს შეცდომის მსხვერპლნი, როგორც მასლოვის ქალი და სხვანი. მღვდლის გამოკვლევით, ამ კატეგორიის ტუსაღები ცოტანი იყვნენ, ასე რომ მთლად ტუსაღების 7 პროცენტს შეადგენდნენ, მაგრამ მათი მდგომარეობა მეტად საინტერესო იყო. მეორე რიგს ეკუთვნოდნენ განსაკუთრებულ გარემოებაში დანაშაულობის ჩადენისათვის დასჯილნი, როგორც, მაგალითად, სიბრაზე და სიმთვრალეისთვის დანაშაულობისთვის, რომელიც არა ერთხელ დატუსაღებულნი ჩაუდენიათ თვით იმათ, ვინც მათ ასამართლებდნენ, ნებლიუდოვის დაკვირვებით, თითქმის მთლად ტუსაღების ნახევრამდე იქმნებოდნენ. მესამე რიგს ეკუთვნოდნენ ის ტუსაღები, რომელთაც, თავიანთის აზრით, კარგი საქმე ჩაიდინეს, მაგრამ სხვების აზრით კი, რომელნიც ყველაფერს კანონზე



ამყარებენ, მათი საქციელი დანაშაული იყო. ამ რიგს ეკუთვნოდნენ ვაჭარნი, რომელნიც ჩუმად ჰყიდდნენ არაყს, ბაგოხის მოპოველნი და მემამულისა და სახელმწიფო ტყიდან შემის გამტანნი. ამ რიგსვე ეკუთვნოდნენ ქურდი მთიელებიც.

მეოთხე რიგს ეკუთვნოდა ის ხალხი, რომელნიც, მისის აზრით, საზოგადოების უმრავლესობაზე ზნეობრივად მაღლა იდგნენ და ეს იყო მათი დანაშაული. ასეთი ხალხი იყო საზოგადოებისაგან დევნილნი, ცხოვრებისგან გათელილნი, რომელთაც ყოველ ფეხის გადადგმაზე ზაფანგი ჰქონდა დაგებული და უბედურება ელოდათ, როგორც, მაგალითად, ის ბავშვი, ძველი წლები რომ მოიპარა, და ათასი სხვა, რომლებიც ნებლიუდოვმა ნახა სატუსალოში; ამ სატუსალოს კედლებს გარეშე თითქოს ცხოვრების ვითარება სისტემატიურად იმ მდგომარეობაში აყენებს კაცს, რომ იძულებულნი ჰხდებიან ისეთი საქმეები ჩაიდინონ, რომელსაც ავაზაკობა ეწოდება. ამათრიცხვს შეადგენდნენ მრავალნი ქურდნი და კაცის მკვლელნი. ამ ჯგუფს მიუმატა ნებლიუდოვმა ყველა გარყვნილი და წამბდარი ხალხი, რომელთა არსებობაც საზოგადოებაში სისხლის სამართლის კანონისა და დისჯის საჭიროების უმთავრესი შედეგია. ეს, ეგრედ წოდებული გარყვნილი ხალხი, არა-ნორმალური ტიპები იყვნენ; მათ წინაშე, ნებლიუდოვის აზრით, უფრო მეტად დანაშაული იყო საზოგადოება, ვიდრე ისინი საზოგადოებზე წინაშე.

ერთმა ამათვანმა, რეციდივისტმა ქურდმა ოხოტინმა, მეტად გააკვირვა ნებლიუდოვი. ის იყო ზნედაცემულის ქალის უკანონო შვილი, ღამის თავშესაფარის მოწაფე. მთელი თავისი სიცოცხლე ამ კაცს ქურდებსა და ავაზაკებში გაეტარებინა. თანაც ისეთი ზუმარა იყო ეს ოხოტინი, რომ ძალა-უნებურად იზიდავდა ადამიანს. მან სთხოვა ნებლიუდოვს დახმარება გაეწია მისთვის და თან მასხარად იგდებდა თავის-თავს, მოსამართლეებს, სატუსალოს და, არა თუ მარტო სისხლის სამართლის კანონებს, თვით საღმრთო წერილის კანონებსაც-კი.



მეორე იყო ახალგაზდა ფედოროვი, რომელსაც ამხანაგებთან ერთად მოგვკლა ვილაც ბებერი „ჩინოვნიკი“ და ვერძალკა იყო ერთის ღარიბის გლეხის შვილი, რომელსაც უკანონოდ წაართვეს მთელი საცხოვრებელი და შემდეგ ჯარში გაიწვიეს, სადაც სასტიკად დასაჯეს, რადგან ერთის აფიცრის საყვარელი ქალი შეუყვარდა. იქვე ჰნახა ნებლიუდოვმა ერთი მაწინწალა კაცი და ერთი ქალი, რომელნიც ისეთის იდიოტურის შეხედულობისანი იყვნენ, რომ ზიზღსა ჰგვრიდნენ ადამიანს.

აი, ეს საკითხი: რაღა ზის ამდენი სხვა-და-სხვა ხალხი სატუსალოებში და სხვები-კი— ასეთივე ხალხი — თავისუფლად დათარეშობენ გარედ, ასე გასინჯერთ ასამართლებენ კიდევ ამათაო, შეიცავდა მეოთხე საქმეს.

ნებლიუდოვს პირველად ეგონა, რომ ამ საკითხის პასუხს წიგნებში იპოვნიდა და თითქმის რაც-კი ამ საგნის შესახები წიგნები იყო, ყველა იყიდა; იყიდა ლომბროზო, გაროფალო, ფერრი, ლისტი, მაუდსლეი და ტარდი და გულმოდგინედ დაიწყო კითხვა, მაგრამ რაც დრო გადიოდა და კითხულობდა ამ წიგნებს, თან-და-თან იმედი უკრუფდებოდა. ნებლიუდოვსაც ის დაემართა, რაც ისეთ ხალხს მოუფაზოლმე, რომელნიც ეხებიან მეცნიერებას, იმიტომ-კი არა, რაიმე როლი ითამაშონ მეცნიერებაში, სწერონ, იმსჯელონ, ისწავლონ, არამედ იმიტომ, რომ გაიგონ პასუხი ზოგიერთ ცხოვრების უბრალო საკითხისა. მეცნიერება ათას სხვა-და-სხვა ბრძნულ პასუხს იძლეოდა სისხლის სამართლის კანონების შესახებ, მაგრას იმ საკითხისა, რომელიც ნებლიუდოვს უნდა გაეგო, ვერავითარი პასუხი ვერ იპოვნა. სულ უბრალო საგნის გარკვევა უნდოდა: რად არის, რომ ერთი ხალხი ამწყვედვს, აწვალებს, ასახლებს, თავსა სპრის სხვა ხალხს, როდესაც თვითონ ისინიც ისეთები არიან, როგორიც ის, ვისაც სტანჯავენ? ამ საკითხზე პასუხს აძლევდნენ ასეთის მსჯელობით, შეიძლება თუ არა კაცი დავსახოთ ავაზაკად საკუთარის თავის ქალის გასინჯვით? რა როლს ითამაშობს შემკვიდრობა ავაზაკო



ბაში? არის თუ არა თან-შეზრდილი უზნეობა? რა არის სი-
გიჟე? რა არის გადაგვარება? რა არის ტემპერამენტი? რა არის
ლენა აქვს აფაზაკობაზე ჰაფის, საქმელს, უზრდევლობას, მი-
ბაძვას და ჰიპნოტიზმსა? რა არის საზოგადოება? რა არის მი-
სი მოვალეობა? და სხვ., და სხვ.

ამ მსჯელობამ მოაგონა ნებლიუდოვს ერთი ბავშვის
მსჯელობა, რომელიც სკოლიდან მოდიოდა. ნებლიუდოვი
დაეკითხა ბავშვს: ისწავლე თუ არა კითხვაო? ბავშმა უპასუხა
„ვისწავლე“ო. აბა, წაიკითხე „თათი“. — „რომელი თათი? —
ძალღისა?“ ეშმაკურად ღიმილით უპასუხა ბავშვმა. ასეთსავე პა-
სუხებს ჰპოულობდა ნებლიუდოვი სამეცნიერო წიგნებში იმის
თაობაზედ, რის გაგებაც უნდოდა.

ამ წიგნებში ბევრი საინტერესო რამ იყო, მაგრამ არა-
ვითარი პასუხი არ იყო იმისი, თუ რად სჯიდა ერთი მეორეს?
არა თუ პასუხი არ იყო, პირიქით, ყოველი მსჯელობა იმისა-
კენ იყო მიქცეული, რომ აეხსნა და გაემართლებინა დასჯა,
რომლის საჭიროებაც ტემპარიტებად იყო აღიარებული. ნებლიუ-
დოვი ნაწყვეტ-ნაწყვეტად ჰკითხულობდა წიგნებს და ეს ეგონა
მიზეზი, რომ პასუხი ვერ იპოვნა და იმედოვნებდა, ბოლოს
მაინც ვიპოვნო.

XXIX

ტუსაღების ის ჯგუფი, რომელთანაც მასლოვის ქალიც
უნდა წასულიყო, ნ ივლისს უნდა გაეგზავნათ. ნებლიუდოვიც
ამ დღისთვის მოემზადა წასასვლელად.

ნებლიუდოვის დაი ნატალია ივანოვნა რაგოჟინსკისა
უფროსი იყო ძმაზე. ნებლიუდოვი თითქმის მთლად მის გავლენ-
ის ქვეშ იზრდებოდა. დას სულითა და გულით უყვარდა ძმა
და გათხოვების წინად ისე დაუმეგობრდნენ ერთმანერთს, რო-
გორც თანასწორნი: დაი იყო 25 წლისა და ძმა კი 15-სა. დას
მაშინ ნებლიუდოვის ამბავი ნიკოლკა ირტენიევი უყვარდა.
ორივეს უყვარდათ ნიკოლკა, იმიტომ, რომ ნიკოლკა ბევრ
ჯარჯს თვისებას იჩენდა.



მას შემდეგ განელო ეამმა და ორივენი წამოვიტანდნენ. ნებლიუდოვმა მთლიან შესტოვა გარყენილს ცხინჭრქაშასა და ის კი გაჰყვა ცოლად ისეთ კაცს, რომელიც სრულებით არ უყვარდა, თუმცა თვითონ დარწმუნებული იყო, გაგიჟებით მიყვარსო. გათხოვებამ დიდი გავლენა იქონია მისს მომავალ ცხოვრებაზე—სულ გამოიცვალა. ის, რაც წინადა სწამდა და ძვირფასად მიაჩნდა, ახლა არამც თუ არა სწამდა, არამედ აღარც კი იცოდა რა იყო, და ყველა მისი მისწრაფება განვითარებისა და ხალხის სამსახურისა, რომლითაც ოდესღაც სკოცხლოზბდა, უბრალო მიზეზით იყო გამოწვეული, რომ ხალხის თვალში სახელი მოეხვეჭა.

რაგოკინსკი ისეთი კაცი იყო, რომელსაც არც სახელი ჰქონდა, არც ქონება და სიმდიდრე, მაგრამ ისეთი ეშმაკი და გაქნილი კაცი იყო, რომ ხერხიანად მიჰყავდა თავისი საქმეები. ლიბერალიზმსა და კონსერვატიზმში იმას ირჩევდა, რომელიც დროისა და შემთხვევის მიხედვით მეტ სარგებლობას მოუტანდა. ხან ლიბერალი იყო და ხან კონსერვატორი. ყველა ამასთან ისეთი უნარი ჰქონდა, რომ ყველა ქალი აღტაცებაში მოჰყავდა. ასეთის ხრიკებით მშვენიერი თბილი ალაგიც იშოვნა სასამართლოში. ასე, შუახნის კაცი იქნებოდა, როცა საზღვარგარედ შეჰხვდა ნებლიუდოვებს და გაიცნო; მოხერხებულის ქცევით თავი შეაყვარა ნატაშას და, თუმცა დედა წინამდღეგი იყო მათის ქორწინებისა, მაინც შეირთო; ნებლიუდოვს, თუმცა თავს ძალას ატანდა, მაგრამ მაინც ეზიზღებოდა სიძე. არა თუ წარმოდგენა, ერთი იმას მოგონებაც კი, რომ მისი საყვარელი ნატაშა ამ საძაგელ კაცის ცოლი იყო, სიცოცხლეს უწამლავდა ნებლიუდოვს. მისს ბავშვობასაც კი თითქმის ზიზლით ექცევოდა. როცა გაიგებდა ხალმე, რომ ნატაშა ფეხმძიმედ არისო, ისეთი გრძნობა აღეძვროდა, თითქოს ეცოდებოდა თავისი დაი, რომ რაღაც სენი გადაედვა ამ მისთვის უცხო კაცისაგანაო.

რაგოკინსკები მარტონი მოვიდნენ, ბავშვები თან არ წა-



მოეყვანათ — ბავშვი ორი ჰყავდათ: ვაჟი და ქალი — და საუკეთესო სასტუმროში ჩამოხდნენ. ნატალია ივანოვნა წავიდა ძველ ბინაზე, სადაც წინა დედა სცხოვრობდა, მაგრამ ნეხლიუდოვი არ დაუხვდა, და როცა აგრაფინა პეტროვნასგან გაიგო ნეხლიუდოვის სასტუმროში გადასვლა, იქ წავიდა. სასტუმროს ბნელსა და ბინძურს კარიდორში შეჭვდა მოსამსახურე და შეატყობინა, რომ კნიაზი სახლში არ არისო.

ნატალია ივანოვნა შევიდა ძმის ოთახში და გულმოდგინედ დაათვალიერა იქაურობა. ყველაფერი რიგზე და წმინდად იყო. მაგიდაზე ნაცნობი პრესი დაინახა. იქვე ელაგა: რიგზე დაწყობილი პორთფელეები, ქალაღებები, საწერ-კალამი; რამდენიმე ტომი სასჯელთა დებულებისა, ინგლისური წიგნი ჰენრი ჯორჯისა და ფრანგული — ტარდისა, რომელშიაც სპილოს ძვლის წიგნის საქრელი დანა იყო ჩადებული.

მიუჯდა მაგიდას და დასწერა წერილი; სახოვდა ძმას, უეჭველად მოდი ჩემთანაო, და ამ სანახაობით გაოცებული, დაბრუნდა თავის ოთახში.

ნატალია ივანოვნას ორი რამ აწუხებდა ძმისა: უნდოდა გაეგო, მართლა ირთავს კატოს და გლეხებს მართლა მისცა მიწები თუ არაო, რასაც ყველა დაპარაკობდა. ზოგიერთებს ეს ამბავი რაღაც პოლიტიკურ საქმედაც მიაჩნდათ. კატოს კოლად შერთვა ერთის მხრით მოსწონდა ნატალია ივანოვნას. ესიამოვნებოდა ეს დაწყვეტილება, თითქო წარსულა ავსებდა, იმ მშვენიერ დროს, ვიდრე გათხოვდებოდა, მაგრამ თან შიშის ქარი დაუღლიდა ხოლმე ტანში, როცა წარმოიდგენდა, რომ მისს ძმას ასეთი საშინელი ქალი უნდა შეერთო. უკანასკნელი გრძნობა უფრო ძლიერი იყო და გადასწყვიტა ყოველივე ღონე ეხმარა და დაეშალა ძმისათვის ეს საქმე, თუმცა იცოდა, რომ ეს თიანქმის შეუძლებელი იყო.

მეორე საქმე — გლეხებისთვის მიწების დარიგება, — მაინცა და-მაინც საინტერესო არ იყო მისთვის, მაგრამ ქმარი მეტად აღელვებული იყო ამ ამბით და სთხოვდა, როგორმე იმოქი-



დე ძმაზეო. ეგნატე ნიკიფოროვიჩი იმ აზრისა იყო, რომ ეგ ამბავი მეტის-მეტმა მისმა თავმოყვარეობამ თუ გმობიწმენილს ალბად უნდა ასეთის გულ-უხეობით ხალხის თვალში სახელი მოიხვეჭოსო.

— აბა, სხვა რა აზრი აქვს გლეხთათვის მიწების მიცემას, როცა მიწის საფასედ აღებული ფული იმათვე მიაქვთ? — ამბობდა: — იგი თუ-კი ასე უნდოდა, შეეძლო მიეყიდნა საგლეხო ბანკის შემწეობითაო. ამას აზრი ექნებოდაო. საზოგადოდ ასეთი საქციელი არა-ნორმალურ მდგომარეობას უნდა მივაწეროთო, — ამბობდა ეგნატე ნიკიფოროვიჩი და თან სთხოვდა ცოლს, როგორმე ემოქმედნა ძმაზე და დაერიგებინა, რომ სისრულეში არ მოეყვანა ეს სულელურა განზრახვა.

XXX

როცა ნებლიუდოვი დაბრუნდა სახლში და მაგიდაზე თავისის დის ბარათი დაუხვდა, მაშინვე გაეშურა იმათსა. ნატალია ივანოვნა მარტო მიეგება ძმას. ეგნატე ნიკიფოროვიჩი მეორე ოთახში იწვა და ეძინა. და-ძმანი გადაეხვივნენ ერთმანერთს, მხურვალედ ჩაჰკოცნეს და ერთმანერთს გაუღიმეს. ამ ღიმილში ნათლად გამოიხატა ის, რასაც ახლა ჰგრძნობდნენ და რის გამოხატვაც სიტყვით არ შეიძლებოდა: დედის სიკვდილის შემდეგ არ ენახათ ერთმანერთი.

— თითქო კიდევაც დასრულებულხარ და კიდევ უფრო გაახალგაზრდებულხარ, — უთხრა დას ნებლიუდოვმა.

ნატაშას სიამოვნება გამოეხატა სახეზე.

— შენ-კი გამხდარხარ.

— ეგნატე ნიკიფოროვიჩი სად არის? — ჰკითხა ნებლიუდოვმა.

— სძინავს. წუხელ მთელი ღამე არ დაუძინია.

აქ კიდევ ბევრი რამ იყო სათქმელი, მაგრამ არა სთქვეს; მათმა სახის შეტყვევებამ დაამტკიცა, რომ, რაც საჭირო იყო, ის არა თქმულა.



— მე ვიყავი შენთან.

— ვიცი. კარგა ხანია იმ სახლიდან გადავედი. ახლა დგები ალარ მინდა. ყველა ბარგი და ავეჯი, რაც არის, შენ წაიღე.

— ყველაფერი მითხრა აგრაფინა პეტროვნამ, იქაც ვიყავი. დიდად გმადლობთ, მაგრამ...

ამ დროს ლაქიამ ვერცხლის ჩაის ჭურჭელი შემოიტანა. ორივენი დაჩუმდნენ, სანამ ლაქია ჩაის ჭურჭელს დააღვებდა. ნატალია ივანოვნა გამოვიდა მაგიდის ახლოს და ჩაის მზადებას შეუდგა. ნებლიუდოვი ხმას არ იღებდა.

— დიმიტრი! ყველაფერი ვიცი, — მტკიცედ უთხრა ნატალიამ და ნებლიუდოვს შეჰხვდა.

— ძალიან კარგი. დიდად მოხარული ვარ, თუ იცი.

— განა იმედი გაქვს გაასწორო და გამოაბრუნო ისეთის ცხოვრების შემდეგ?

— მე იმისი გასწორება კი არა, ჩემი გასწორება მინდა. ნატალია ივანოვნამ ღრმად ამოიოხრა.

— არის სხვა საშუალება, გარდა ქორწინებისა.

— მგონია, რომ ეგ უკეთესია; გარდა ამისა, ქორწინებას შეუძლიან იმ ქვეყანაში შემიყვანოს, სადაც დიდის სარგებლობის მოტანა შემიძლიან.

— არა მგონია, ბედნიერება ჰპოვო, — უთხრა ნატალია ივანოვნამ.

— საქმე ჩემი ბედნიერება არ არის.

— რასაკვირველია, თუ გული აქვს, თვითონაც არ იქნება ბედნიერი... თითქმის არც კი ისურვებს მგას.

— არცა სურს.

— მესმის, მაგრამ ცხოვრება...

— ცხოვრება რა?

— სხვასა თხოულობს.

— არაფერსაც არა თხოულობს, გარდა იმისა, რომ ის უნდა მოვიქმედოთ, რაც საჭიროა, — უთხრა ნებლიუდოვმა.

— არ მესმის, — უპასუხა ამოოხვრით ნატალიამ.



„საბრალო, როგორ გამოცვლილა?“ — გაიფიქრა ნებლიუ-
დოვმა, როცა მოაგონდა ნატაშა ისეთი, როგორც ვახუშტის
დღე იყო და ბავშობის ათასგვარი მოგონებანი თვალწინ დაუდგა.

ამ დროს ოთახიდან, ღიმილით გამოვიდა ვგნატე ნიკი-
ფოროვიჩი.

— გამარჯობათ, გამარჯობათ, — უგემურად მიესალმა ნებ-
ლიუდოვს. თუმცა ქორწინების პირველ ხანებში სკდილობდნენ
„შენობით“ ელაპარაკნათ, მაგრამ „თქვენობით“ ლაპარაკობ-
დნენ მაინც.

ჩამოართვეს ხელი ერთმანერთს და ვგნატე ნიკიფოროვი-
ჩი ნაზად ჩაჯდა სავარძელში.

— ხელს ხომ არ შეგიშლით?

— არა, არავისაან არა ვფარავ, რასაც ვამბობ და ვაკეთებ.
როცა ნებლიუდოვმა დაინახა ეს სახე, ეს გაბანლული
ხელები და გაიგონა მისი ბრძანებითის კილოს ხმა, ცუდ გუ-
ნებაზე დადგა.

— დიალ, მაგის განზრახვაზედ ელაპარაკობდით, — სთქვა
ნატალია ივანოვნამ. — შენც გაგაკეთო ჩაი? — ჰკითხა ქმარს და
ჩაინიკი ხელში აიღო.

— დიალ, გეთაყვა, გამიკეთე... — განსაკუთრებით რაზედა
გქონდათ ლაპარაკი?

— იმაზე, რომ გადავსწყვიტე ვაფევე ციმბირში იმ ქალს,
რომლის წინაშეც დამნაშავედა ვპგრძნობ თავს, — სთქვა ნებ-
ლიუდოვმა.

— როგორც მე გავიგონე, მაგაზე ჭეტაც უნდა გინლო-
დეს რაღაც.

— დიალ, უნდა შევიტოო კიდევ, თუ ისიც თანახმა იქნება.

— მართლა? თუ არ გეზარებათ, ამისენით მიზეზი.

— მიზეზი ის გახლავთ, რომ ის ქალი... რომ ცუდის
ცხოვრებისაკენ პირველი ნაბიჯი...

ნებლიუდოვს ბრაზი მოუვიდა, რომ სიტყვები ვერ იპოვ-
ნა თვისის აზრის გამოსახატავად.



— ის მიზეზია, რომ დამნაშავე მე ვარ და ის-კი დასაჯეს.

— თუ კი დასაჯეს, ალბად დამნაშავეა.

— სრულიადაც არ არის დამნაშავე, — სტკვა ნებლიუდოვი.

მა და აჩქარებით მოუყვა ყველაფერს.

— სენატამა უარი გითხრათ, ალბად, საჭირო საბუთები არ იყო, — უთხრა ეგნატე ნიკიფოროვიჩმა: — სენატი არსებითად საქმის განხილვაში არ შედის. თუ მართლა სასამართლოს შეცდომა მოუვიდა, მაშინ საჭიროა უმალღეს სახელობაზედ მიართვათ თხოვნა.

— თხოვნა უკვე მივეცი, მაგრამ იმედი-კი მცირედი გვაქვს. შეჭკრებენ ცნობებს სამინისტროში, სამინისტრო სენატს შეეკითხება; სენატი თავის გარდაწყვეტილებას წაადგენს და, როგორც ჩვეულებრივ ჰხდება, სრულიად უდანაშაულოდ დასჯიან აღამიანს.

— ჩემის აზრით, სამინისტრო სენატიდან არავითარ ცნობებს არ მოითხოვს; თუ მოითხოვა, პირდაპირ სასამართლოდან მოითხოვს და, თუ რამე უკანონობა ჰნახეს, თავისს აზრს დაასკენიან. ამასთანავე უნდა მოგახსენოთ, რომ თავის დღეში არ მომხდარა და არც მოჰხდება, რომ უდანაშაულოდ ვინმე დასაჯონ, სჯიან მხოლოდ ავაზაკებს, რომელთაც რაიმე დანაშაულობა მიუძღვით საზოგადოებისა და კერძო კაცის წინაშე, — დინჯად წარმოსტკვა ეგნატე ნიკიფოროვიჩმა და სიამოვნებით გაიღიმა.

— მე კი დარწმუნებული ვარ, რომ სასამართლო ხშირად შედის შეცდომაში და ეს ასე იქმნება, სანამ კანონი სხვა დანიშნულებისა და სხვა სახეს არ მიიღებს.

— აბა, კარგად ჩაუკვირდით, რამდენს უსამართლობას დინახავთ. განა ერთი და ორი ისჯება უდანაშაულოდ? მერე ვინ არის ამის მიზეზი? თვით ის ხალხი, სადაც ეს დამნაშავეთა მთელი ლეგიონი აღიზარდა. დიად, თვით ეს ხალხია დამნაშავე, რომელიც თავიანთს მოქმედებას ისე უყურებს, თითქოს არაფერი დამნაშავე არ იყოს, — განაგრძობდა ნებლიუდოვი.

— უკაცრავად, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ ეგ დიდი უსა-

მართლობა; ყოველმა ქურდმა იცის, რომ ქურდობა ცუდია და არ უნდა ქურდობდეს, — დამშვიდებით წარმოსთქვა ნიკიფოროვიჩმა და ისეთ ნაირად გაიღიმა, რომ ბრაზი მოუვიდა.

— არა, არ იცის! ეუბნებიან: „ნუ იპარავო“, საქმით კი სულ სხვასა ჰხედავს. ჰხედავს, რომ შექარხნეები ურცხვად ჰპარავენ მუშებს შრომას, სწუწნიან სისხლს, პირიდგანა ჰგლეჯენ უკანასკნელ ლუკმას და მოხელეებიც ტყავს აძრობენ.

— ეგ ხომ, ჩემო მეგობარო, ანარქიზმა, — თავისებურად ახსნა ეგნატე ნიკიფოროვიჩმა ნებლიუდოვის სიტყვების მნიშვნელობა.

— მე არ ვიცი, რა არის ანარქიზმი თუ ჩანარქიზმი, მე მხოლოდ იმას ვამბობ, რაც სიმართლეა, — განაცრძო ნებლიუდოვიჩმა: — ვიცი, რომ მოხელეები ტყავს აძრობენ, ვიცი, რომ ჩვენ, მემამულენი, ვისაკუთრებთ და ვსარგებლობთ იმ მიწებით, რომელიც საყოველთაო უნდა იყოს. შემდეგ, როცა ჩვენს ტყეში ორიოდ ფიჩხს აიღებს გლეხ-კაცი, რათა ბუხარში ცეცხლი დაანთოს და გაყინული გვერდები გაიზბოს, ვიქვრთ, ვამწყვდევთ სატუსაღოში და ვარწმუნებთ ყველას, რომ ის ქურდია.

— არ მესმის და, თუნდაც მესმოდეს, მაინც თანახმა არა ვარ — მიწა არავისი საკუთრება არ არისო. დღეს რომ თანასწორად გაჰყოთ მიწები, ხვალ მაინც უფრო მშრომელისა და ნიჭიერ ხალხის ხელში გადავა.

— არცა ჰფიქრობს ვინმე მიწების თანასწორად დაყოფას. მიწა არავის საკუთრება არ არის და არც არავისა აქვს ნება ან იყიდოს და ან გაჰყიდოს.

— მიკერძების უნარი თან შერჩენილი აქვს ადამიანს. თუ საკუთრება არ იქმნება, მიწის შემუშავებას არავითარი ინტერესი არ ექნება. მოსპვთ კერძო საკუთრება და ჩვენც ველოუს მდგომარეობას დაეუბრუნდებით, — რიხით წარმოსთქვა ეგნატე ნიკიფოროვიჩმა.



— სრულიადაც არა! პირ-იქით, მიწები ისე უსარგებლოდ არ ეგდებოდა და შესაფერად დაამუშავებდნენ.

— ყური შიგდეთ, დიმიტრი ივანოვიჩ: ეგ ხომ სრული სიგიჟეა! განა ჩვენს ღროში შეიძლება კერძო საკუთრება მოსპოს? მე ვიცი, რომ ეგ აზრი დიდი ხანია დაგებადათ, მაგრამ ნება მომეცით პირდაპირ გითხრათ...

სიძე გაფითრდა და ხმა აუკანკალდა.

— გირჩევთ, ამ საგანს კარგად ჩაუკვირდეთ, სანამ პრაქტიკულად განახორციელებდეთ.

— თქვენ კერძოდ ჩემ საკუთარ საქმეებზედ ლაპარაკობთ?

— დიად. ყველა ჩვენგანი დღეს ისეთ გარემოებაშია, რომ ვალდებული ვართ ვიტვირთოთ ის მოვალეობა, რომელიც ამ გარემოებამ წარმოშობა, მტკიცედ დავიცვათ ის წესები, რომელიც ჩვენს მამა-პაპათ დაუდგენიათ, და ვეცადოთ მომავალ თაობასაც დავაკისროთ ასევე მოქცენენ.

— მე ჩემს მოვალეობად მიმაჩნია...

— ნება მომეცით, — განაგრძო ეგნატე ნიკიფოროვიჩმა, — განვაგრძო: ჩემთვის კი არა, ჩემის შვილებისთვის ვაზბობ. ჩემს შვილებს აქვთ სამყოფი ქონება. იმდენსა ვშრომობ, რამდენიც საჭიროა ჩვენის ცხოვრებისათვის და, იმედი მაქვს, რომ შვილებიც კაყოფილნი იქმნებიან თავიანთის ცხოვრებისა; ამიტომ თქვენს შესახებ ჩემი აზრი — ნება მომეცით ესთქვა — წინდაწინ მოფიქრებული არ არის. კერძო ინტერესებით გამოწვეული არ გეგონოთ; არა, მე პრინციპიალურად ვეწინააღმდეგები თქვენს აზრსა და ვერ გეთანხმებით. გირჩევთ, კარგად მოიფიქროთ და ისე გადასწყვიტოთ...

— ეგ საკუთარი ჩემი საქმეა და, როგორც მინდა, ისე გათავდება ყველაფერი. ამასთანავე, უნდა მოგახსენოთ, რომ არავისი რჩევა-დარიგება ჩემთვის საჭირო არ არის და, ნურას უკაცრავად, თუ თქვენი რჩევა უყურადღებოდ დავტოვო, — ბრალით წარმოსთქვა ნებლიუდოვმა და, რაკი შეატყო, ძნელია თავის შემავებაო, დაჩუმდა და ჩაის სმა დაიწყო.



XXXI

— ბავშვები როგორა გყავს?— დაეკითხა ნებლიუდოვი დას, როცა ცოტათი დამშვიდდა. დაი, კმაყოფილი მით, რომ ამ უსიამოვნო ლაპარაკს ბოლო მოეღო, სიამოვნებით მოჰყვა ბავშვების ამბავს: ისე თამაშობენ, როგორც ჩვენა ვთამაშობდი ხოლმე ბავშვობისასაო?

— ნუ თუ კიდევ გახსოვს ჩემი ბავშობა?— ღიმილით დაეკითხა ნებლიუდოვი.

— წარმოიდგინე, ისინიც ისე თამაშობენ, როგორც მე ვთამაშობდი ხოლმე.

უსიამოვნო ლაპარაკს ბოლო მოეღო. ნატაშა დამშვიდდა, მაგრამ არ უნდოდა ქმართან ეთქვა ის, რაც ძმას უკვე კარგად გაგებულნი ჰქონდა. მოჰყვა ისევ დუელის ამბავს, რომ საზოგადო ლაპარაკი დაეწყო.

გენატე ნიკიფოროვიჩმა ცუდად მოიხსენია ის წეს-რიგი, რომლის წყალობითაც დუელის დროს კაცის კვლა გამორიცხული იყო დანაშაულისა რიცხვიდან.

ამ შენიშვნამ ისევ აალაპარაკა ნებლიუდოვი და ისევ გაცხარებული კამათი გაიმართა ერთსა და იმავე საგანზე, რომელზედაც არც ერთს მთვანს მთლად არ გამოუთქვამს თავისი აზრი.

გენატე ნიკიფოროვიჩი ჰგრძნობდა, რომ ნებლიუდოვი ამტყუნებდა მას და მთელს მისს მოქმედებას ზიზღით იხსენიებდა, ამიტომ უნდოდა დაემტკიცებინა მისთვის მთელი მისის მსჯელობის სიყალბე და უსამართლობა. ნებლიუდოვი, მიუხედავად იმისა, რომ ძლიერ საწყენოდ ჰქონდა მისს საქმეში სიძის გარევა (გულში კი ჰფიქრობდა, რომ მისს სიძეს, დასა და დისწულეებს სრული უფლება ჰქონდათ მისს საქმეში გარეულობა), გაბრაზებული იყო იმაზე, რომ ეს უტვინო და ჰკუთვანებით ჩლუნგი კაცი დამშვიდებით ამტკიცებდა, რომ ის საქმე, რომლის სიყალბეში და უკანონობაში ნებლიუდოვი



სრულიად დარწმუნებული იყო, სამართლიანად და კანონიერად მიაჩნდა. ამ მოტივზე რწმენას სიგიჟემდე მოჰყავდა ნებლიუდოვი.

— მაშ, როგორ უნდა მოქცეულიყო სასამართლო? — დაეკითხა ნებლიუდოვი.

— ისე, რომ ერთ-ერთ დუელისტთაგანისთვის, როგორც ჩვეულებრივ მკვლელისათვის კატორღაში მუშაობა უნდა გადაეწყვიტნა.

— მერე რა გამოვიდოდა აქედგან, — სიბრაზით წარმოსთქვა ნებლიუდოვმა.

— ეს სამართლიანი სასჯელი იქნებოდა.

— თითქოს სასამართლოს დანიშნულება სამართლიანობა იყოს.

— მაშ, სხვა რაა, თუ არ სამართლიანობა?

— მხოლოდ წოდებრივ ინტერესების დაცვა. ჩემის აზრით, სასამართლო ერთი იმ იარაღთაგანია, რომლის წყალობითაც დღევანდელ წოდებრივ უპირატესობას მაგრადა აქვს ფესვები გამდგარი.

— ეგ სრულიად ახალი შეხედულებაა, — ღიმილით წარმოსთქვა ეგნატე ნიკიფოროვიჩმა: — ჩემის აზრით, სასამართლოს სულ სხვა დანიშნულება აქვს.

— თეორიული და არა პრაქტიკული, რაც ამკარად დაინახე და დაფრწმუნდო კიდევ. სასამართლო სცდილობს იმ ყოფაში ჰყავდეს საზოგადოება, რომელშიაც დიდი ხანია არის, და ამიტომ სდევნის და სჯის ყველა იმას, ვინც საზოგადოებაზე ან მალლა სდგას და ან დაბლა.

— არ შემიძლიან დაგეთანხმოთ, ვითომ ავაზაკებს იმიტომ სჯიდნენ რომ საზოგადოებაზე მალლა სდგანან. უმეტეს ნაწილად ისინი საზოგადოების ხორცმეტნი არიან, საზოგადოებიდან განდევნილნი, გარყენილნი ადამიანნი, როგორც, მაგალითად, ის ტიპები, რომელსაც საზოგადოებაზედ დაბლა აყენებთ.

— მე კი ბევრი ისეთი ვიცი, რომელნიც მალლა სდგანან იმაზე, ვინც მათ სასამართლებს.



— არ შემიძლიან დაგეთანხმონ იმაზედაც, რომ სსსრ-ის სახელმწიფო
ლოს ეხლანდელ წეს-წყობილების დაცვა უნდა იყოს სსსრ-ის
მართლო მხოლოდ თავის საქმეს ემსახურება, ან გაასწოროს...

— სატუსაღოში და გასწორება!.. კარგია, თქვენმა
მზემ! — ჩაურთო სიტყვა ნებლიუდოვმა.

— ან და სტდილობს განდევნოს საზოგადოებიდგან
გარყენილი და მხეცის მსგავსი ადამიანები, რომელიც ძირს
უთხრიან საზოგადოების არსებობას.

— საქმეც იმაშია, რომ სასამართლო არც ერთს აკე-
თებს და არც მეორეს. საზოგადოება უძლურია შეასრულოს
ეგ საქმე.

— როგორ? არ მესმის? — ძალდატანებულის ღიმილით
დაეკითხა ვენატე ნიკიფოროვიჩი.

— მე მინდა ვსთქვა, რომ გონივრული დასჯა ორგვა-
რი: — ერთი ისა, რომელიც ძველად იყო ხმარებაში: გაწყებლვა
და სიკვდილით დასჯა, მაგრამ ადამიანი გაღმობიერდა და
ერთიცა და მეორე სასჯელიც გადაეარდა, — უთხრა ნებლიუ-
დოვმა.

— ეგ სულ ახალი აზრია და მიკვირს, რომ თქვენგან
მესმის.

— დიად, გონივრული სასჯელია, როცა გინდა ატკი-
ნო რამ ადამიანს, რომ მეორედ აღარ გაჰბედოს ის, რის-
თვისაც დასაჯეს; ისიც გონივრული იქნება, რომ საზოგადოე-
ბისთვის საშიშ კაცს თავი მოჰკვეთონ. ორსავე ამ სასჯელს
გონივრული აზრი აქვს. აბა, ერთი მიუხარით, რა აზრი აქვს,
უსაქმობისა და ცუდის მაგალითებით გარყენილი კაცი ჩაამ-
წყედლიონ იმაზე უფრო გარყენილს ხალხში ან და სახელმწიფო
ხარჯით გდაიყვანონ — თვითთელის გადაყვანა 500 მანეთამდის
ღირს — ტულის გუბერნიიდან ირკუტსკისაში ან და კურსკიდან...

— კი, მაგრამ მუქთად მოგზაურობისა ბევრს ეშინიან და
და ეს მგზავრობა და სატუსაღოები რომ არ ყოფილიყო, ასე
არხვინად ვერ ვისხდებოდით აქ, როგორაც ახლა ვართ.



— არა, სატუსალოს არ შეუძლიან დაგვიცვას ჭიფჭიფი
საგან? ხალხი ხომ საუკუნოებით იქ არა ზის, ბოლოს-მომ
უშვებენ. პირობით, სატუსალოებში უფრო ჰრყენიან და იმ
ზომამდე მიიყვანენ ხოლმე, რომ მზად არიან ყოველგვარი
ავიზაკობა იკისრონ. ამიტომ ჩვენც ნაკლებად დაკულნი ვართ
ხიფათისაგან.

— გინდათ ვითომ სთქვათ, რომ ჰენატენცააღურა სის-
ტემა გაუმჯობესდეს?

— მისი გაუმჯობესება ყოვლად შეუძლებელია. უფრო
რიგიანი სატუსალოები, რასაკვირველია, უფრო ძვირად დაუჯ-
დება მთავრობას, ვიდრე სახალხო განათლებათზე იხარჯება; და
იმავე ხალხს დააწყება კისრად.

— მაგრამ ჰენატენცააღურას სისტემის უვარგისობა
სრულიად ჩირქს არა სცხებს სასამართლოებს, — განაგრძო ეგ-
ნატე ნიკიფოროვიჩმა ისე, რომ ნებლიუდოვის სიტყვები არც
კი გაუგონია.

— არ შეიძლება ამ ნაკლულევეანების გასწორება, — ხმა
ალიზალა ნებლიუდოვმა.

— მაშ, რა უნდა ვქნათ? დავხოცოთ? ან და, როგორც
ერთმა მოხელემ ურჩია მთავრობას — ყველას თვალები დავთხა-
როთ? — სთქვა ეგნატე ნიკიფოროვიჩმა და გაჯავრების ნიშნად
გაიღიმა.

— დიად, თუმცა სასტიკი სასჯელი იქნება, მაგრამ სა-
სარგებლო კი, ისე, როგორც ახლა სასჯელი სასტიკია და
უსარგებლო კი.

— მეც მონაწილე ვარ მაგ საქმეში, — წამოიძახა გაციით-
რებულმა ეგნატე ნიკიფოროვიჩმა.

— ეგ თქვენი საქმეა, თუმცა-კი მე არ მესმის, რო-
გორია.

— ეგონებ, სხვაც ბევრი რამ არ გესმის?, — უთხრა ეგ-
ნატე ნიკიფოროვიჩმა და მეტის სიბრაზით სულ აკანკალდა.

— მე ერთი ბრალმდებლის ამხანაგი ვნახე, რომელიც



თავგამეტებითა სცდილობდა გაემტყუნებინა უბედურნი მწევრი,
რომელიც სულით გაურყვნელ ადამიანის გულში სიძულადე-
ლის მეტს არას გამოიწვევდა...

— უთუოდ სამსახურს თავს დავანებებდი, მაგრამ რომ
ვფიქრობდე, — უთბრა ვგნატე ნიკიფოროვიჩმა და წამოდგა.

„ნუ თუ ცრემლები“? — გაიფიქრა ნებლიუდოვმა, როცა
სიძის აკრემლებული თვალები დაინახა.

ღიად, ცრემლები იყო. ვგნატე ნიკიფოროვიჩი სტირო-
და, მივიდა სარკმელთან, მოიძრო სათვალეები, გასწმინდა
ცხვირსახოცით და თვალებიც მოიწმინდა. შემდეგ მობრუნდა
და ხმა აღარ ამოუღია. ნებლიუდოვს ძლიერ საწყენად დარ-
ჩა, სიძეს და დას რომ აწყენინა, მით უსეტეს, რომ ხვალ
წასვლას აპირებდა და შეიძლება ველარც კი ენახა ამის მე-
ტად. მწარედ დაღონებული გამოეთხოვა და წავიდა სახლში.

„ადვილი შესაძლებელია, სიმართლე იყოს, რაცა ვსთქვი;
თითქმის ვერაფერთარი რიგიანი პასუხი ვერ მომცა, მაგრამ
მაინც ასე არ უნდა შელაპარაკნა. ძალიან ცუტათი შევცვლილ-
ვარ, თუ კი ისე გამიტაცა სიძულვილითა, რომ ასეთი შეუ-
რაცხყოფა მივაყენე სიძესა და საწყალ ნატაშასაც ვაწყენინე“, —
პფიქრობდა ნებლიუდოვი.

XXXII

მასლოვის ქალი სხვა ტუსალებთან ერთად რკინის გზის
სადგურიდან მ საათ. გადიოდა, ამიტომ ნებლიუდოვი დაეჭვრა,
რომ სატუსალოში თორმეტ საათზე ყოფილიყო, ტუსალების
გამოსვლას დასწრებოდა და მათთან ერთად მისულიყო რკი-
ნის გზის სადგურზედ.

როცა ბარგსა და ქაღალდებს ალოგებდა, ნებლიუდოვმა
თვალი მოჰკრა დღიურის რვეულს, აიღო ხელში და გადა-
იკითხა რამდენიმე ფურცელი. პეტერბურგში წასვლის უკანა-
სკნელ დღეს შემდეგი ჩასწერა:

„კატოს თვით უნდა მსხვერპლი გასწიროს, ჩემგან კი არა



თხოულობს. იმანაც გაიმარჯვა და მეც. ძალიან მასწავლებელი რომ ასეთი დიდი სულიერი ცვლილება დაეტყო, თუცა ძალიან მეშინიან დარწმუნებითა ვსთქვა ესა. მეშინიან დავჯერო, მაგრამ ვფიქრობ, რომ კატო გამოფხიზლდა“. იქვე შემდეგ ეწერა: „დღეს თავზარი დამცა ერთმა მოულოდნელმა ამბავმა. გავიგე, რომ კატო ძალიან ცუდად იქცევა საავადმყოფოში. ეს მოულოდნელი იყო ჩემთვის და ამიტომ შემადრწუნა. ზიზლითა და შურით დავუწყე ლაპარაკი და შემდეგ, როცა მომაგონდა, რომ ყველაფერში დამნაშავე მე ვიყავი, თვითონ ჩემი თავი შემეზიზლა და ის კი შემებრალა. ამ ცვლილებამ კარგ გუნებაზე დამაყენა“. ახლა შემდეგი ჩასწერა. „ვიყავი კატოსთან. მეტად კმაყოფილი ვიყავი და ამიტომ გულკეთილობა მაკლდა, ბოროტება მძლევდა; კატოს ტუდად მოვექეცი, რაც ძლიერ საწყინოდ დამჩა. მაგრამ რას იზამ, ხვალღვან ახალი ცხოვრება იწყება. მშვიდობით, ძველო ცხოვრებაე, და სამუდამოდაც! ფიქრები ბუზივით ირევა გონებაში ჯერ კიდევ ვერ მომიხერხებია თავი-თავს მოვუყარო“.

მეორე დღეს, დილით გაღვიძებისათვისავე, მოაგონდა, რომ სიძეს ცუდად მოექცა და ძალიან საწყინოდ დარჩა.

„ასე წასვლა არ შეიძლება, — იფიქრა მან, — უთუოდ, უთუოდ უნდა ვნახო და გავსწორო ჩემი შეცდომა“.

მაგრამ დაჰხედა საათს და დაინახა, რომ დრო აღარ იყო წასვლისა, რადგან მალე სატუსალოში უნდა მისულიყო. ბარგი მგეარესა და ტარასის (თეოდოსიის ქმრის) ხელით სადგურზე გაგზავნა, თვითონ ჩაჯდა ეტლში და სატუსალოსკენ წავიდა. ის მატარებელი, რომლითაც ტუსალები მიდიოდნენ, საფოსტო მატარებელზე ორის საათით აღრე გადიოდა, ამიტომ ნებლიუდოვი სულ გაუსწორდა სასტუმროს პატრონს, რომ უკან აღარ დაბრუნებულყო.

ივლისის ცხელი დღე იყო. წინა ღამით გახურებული ქვები და სახლის სახურავები ჯერ კიდევ არ გაცივებულყო და ისედაც ცხელ ჰაერს უფრო ახურებდა. არსიდან ნიავი



არა ჰქროდა და, თუ ხანდახან რაიმე მანქანებით შეეჩვივნენ და გუბებულები მყრალი ჰაერი, ისიც მხოლოდ ერთხელ — წყნარად რომ ყველგან მიეწვდინა თავისი სუნნელება. ქუჩებში თითქმის არაფერს გამოდიოდა და, თუ ვინმე იყო თითო-ოროვლი, ისიც საცოდავად სახლების ჩრდილში იმალებოდნენ. მხოლოდ ქვის მტეხელი გლეხები არხეინად ისხდნენ ქუჩაში და ამტვრევდნენ ქვებს. ქუჩის დაარაგებიც, თავიანთ მწვანე გრებილებით, რომელთაც რევოლვერები ეკიდათ, გარინდებულნი იდგნენ აქა-იქ ქუჩაში და ტილოებ-ჩამოფარებული კონკა ხარის წკარუნით მირახრახებდა ხან ზევით და ხან ქვევით.

როცა ნებლიუდოვი მიადგა სატუსალოს, ტუსალები ჯერ კიდევ არ გამოსულიყვნენ. სატუსალოში გაცხარებული მუშაობა იყო ტუსალების მიღება-ჩაბარებაზე. სულ გასაგზავნი იყო 623 კაცი და 64 ქალი; ყველანი უნდა შეემოწმებინათ; სუსტნი და ავადმყოფნი უნდა გაეცალკევებინათ. სატუსალოს ახალი უფროსი, ორი მისი თანამემწე, ვეჭილი, ფერშალი, თანამხლები აფიცერი და მწერალი, — მისხდომოდნენ ეზოს ჩრდილში მაგიდას, რომელზედაც ყველა სამწერლო იარაღი ელაგა, სათითაოდ ეძახოდნენ ტუსალებს, სინჯავდნენ, ჰკითხავდნენ და სწერდნენ.

მაგიდას სანახევროდ მზე მოსდგომოდა. საშინლად ჩამოცხა.

— ნეტა ბოლო აღარ ექნება? — სასოწარკვეთილებით წამოიძახა გზად თანამხლებმა აფიცერმა: — რად მორეკეს ამდენი? კიდევ ბევრია?

მწერალმა გასინჯა სია.

— კიდევ ოცდა ოთხი კაცი და ქალი.

— რას ვაჩერებულხართ, მოდით! — დაუყვირა აფიცერმა ტუსალებს.

ტუსალები სამ საათზე მეტს ხანს იდგნენ ჰაპანაქება სი-ცხეში რიგზე ჩამწერივებულნი და ჯერს ელოდნენ.

სატუსალოს კარებთან თოფიანი ჯარის კაცი იდგა. იქვე



ადგა რამდენიმე საბარგე ურემი ტუსალების ბარგისთვის. ტუსალების ნათესავე-მეგობრები, რომელთაც უნდოდათ უკანასკნელად თვალი მოეკრათ თავიანთ მახლობელ ტუსალებისთვის, გაეცათ ხმა და, თუ შესაძლო იქნებოდა, გადაეცათ რამე. ნეხლიუდოვიც ამათ შეუერთდა.

თითქმის ერთს საათს იყო ასე გაჩერებული. ერთის საათის შემდეგ მოისმა ბორკილების ჩხარუნი. გაიღო დიდი ქიშკარი და ტუსალები ყაყანითა და ჯახა-ჯუხით გამოვიდნენ ქუჩაში. პირველად საკატორღენი გამოვიდნენ, ნაცრისფერ ხალათებითა და შარვლებით; ყველანი: ახალგაზღვები, ბებრები, გამზღარნი, ჩასუქებულნი, ფერ-მკრთალნი, თეთრ ყირმიზ-ქერანი, შავგვრემანნი, უღვაშიანნი, წვერიანნი, უწვერონი, რუსი, თათარი, ებრაელი—ბორკილების ჩხარა-ჩხურითა და ხელების ქნევით გამოვიდნენ, თითქოს სადღაც შორს მიდიანო, მაგრამ გაიარეს თუ არა რამდენიმე ნაბიჯი, გაჩერდნენ და მორჩილებით ოთხ რიგად ჩამწყრივდნენ. მათ შემდეგ გამოვიდნენ ასეთივე ძაემოპარსულნი, მხოლოდ უბორკილოდ და ხელი-ხელ გადახლებულნი, ასეთისავე ტანსაცმელებით. ესენი იყვნენ გადასახლებულნი. თამამად გამოვიდნენ და ისინიც ოთხ რიგად ჩამწყრივდნენ. შემდეგ გამოვიდნენ ქალები, ზოგი საკატორღენი, ნაცრის-ფერ კაბით, და ზოგიც თავის ნებით მიმდევარნი თავიანთ ტანისამოსითა. ზოგს მათგანს ძუძუთა ბავშვი ჰყავდა.

ქალებს მისდევდნენ პატარა ბავშვები—გოგონები და ბიჭები. თითქოს ეშინიანთო, ზედ ეკვროდნენ თავისიანებს. კაცები წყნარად და მორჩილებით გაჩერდნენ. ქალებს-კი ერთი ამბავი ჰქონდათ. ნეხლიუდოვს მოეჩვენა, თითქოს იცნო მასლოვას ქალი, როცა კარებში გამოდიოდა, მაგრამ შემდეგ თვალთგან მიეფარა, ჰხედავდა მხოლოდ ნაცრისფერ ბრბოს, რომელსაც განსაკუთრებული ადამიანური სახე დაეკარგა.

თუმცა სატუსალოში სათითაოდ გადასთვალეს ტუსალები, გზად მხლებელ ჯარის-კაცებმა ხელშეორედ დაიწყეს გადათვლა. ნაკიანურდა კიდევ საქმე. ტუსალები ერთის ადგილიდან მეო-



რეზე გადადიოდნენ და ჯარის-კარებს ანგარიში ეშვებოდათ. უშვერის სიტყვებით ილანძღებოდნენ და ისევ თავიდან იწყებდნენ ხოლმე თვლას. ბოლოს, როცა გადათელა გათავდა, აფიცრმა გასცა ბრძანება და ბრზო შეინძრა: სუსტი ქალი და კაცი და ბავშვები სირობლით გაიქცნენ ურმებისაკენ, დაჰყარეს ზედ თავიანთი ბარგი-ბარხანა და თვითონაც ზედ აბობლდნენ.

რამდენიმე ტუსაღმა ქუდი მოიხადა და მივიდნენ აფიცრთან სათხოვნელად. როგორც ბოლოს გაიგო ნებლიუდოვმა, ურმებს თურმე თხოულობდნენ. ნებლიუდოვი ჰხდავდა, როგორ არხეინად ეწეოდა აფიცრს. პაპიროსს და ტუსაღებისათვის არც-კი შეუხებდნია. შემდეგ, როცა ერთი მათგანი მიუახლოვდა, აფიცრი გაბრაზდა, მოიქნია თავისი მოკლე ხელი, მაგრამ ტუსაღი მოიკუნტა და განზე გახტა.

— ისეთ აზნაურობას მოგცემ, რომ თავის დღეში არ დაივიწყო. ფეხითაც კარგად წაეთრევი, — დასტყვილა აფიცრმა.

მხოლოდ ერთი მოხუცი, რომელიც ძლივს მილასლასებდა, გაჰგზავნა აფიცრმა ურმებისაკენ და ნებლიუდოვმა დაინახა, როგორ მოიშვლიბა ბებერმა ქუდი და პირჯვრის წერით წავიდა ურმებისაკენ. მივიდა ურემთან, მაგრამ ბორკილების გამო ფეხები ველარ აიტანა ზედ და ურემზე მჯდომმა ქალმა ძლივს-ძლივობით აითრია.

როცა ურმები დაიტვირთა ბარგითა და იმ ტუსაღებით, რომელთაც ნება ჰქონდათ ურმებზე ჯდომისა, აფიცრმა მოიხადა ქუდი, პირჯვარი გიმოიხაზა და გმირულად შესძახა:

— პარტია, მარშ!

ჯარის კაცებმა თოფები მხრებზე დაიწყეს, ტუსაღებმა ქუდები მოიხადეს, პირჯვარი გადაისახეს, თავიანთ ნათესავ-მეგობრებს თითო-ოროლა სიტყვა გადასძახეს და დაიძრნენ. ქალებში ერთი ამბავი ასტყდა; ზოგის ტიროდა, ზოგი ყვიროდა და ეთხოვებოდა თავის მეგობარ-ნათესავებს, რომელნიც გარინდებულნი იდგნენ იქვე კუთხეში და დაღონებულნი აცრემლებულ თვალებით აცილებდნენ თავისიანებს. წინ მიდიოდნენ ჯარის-

კაცი, მათ უკან ბორკილების ჩხარა-ჩხურით საკატორღე-
ნი, ოთხ-რიგად ჩამწკრივებულნი, შემდეგ გადასახლებულნი
და ბოლოს ქალები. მათ მისდევდათ ბარგით დატვირთული
ურმები; ერთ ურემზე თავშეხვეული ქალი იჯდა და მწარედ
ჭვითინებდა.

XXXIII

ტუსალები ისე გრძლად იყვნენ გამწკრივებულნი, რომ
როცა წინ მიმავალნი კარგა შორს გავიდნენ და მიეფარნენ კი-
დეც, ურმები მხოლოდ მაშინ დაიძრა. ნებლიუდოვი ჩაჯდა
ეტლში და ჯბრძანა მეეტლეს წინ გაესწრო ტუსალებისათვის,
იქნებ ვინმე ნაცნობი ვნახო და, უკეთუ მასლოვის ქალი ვნა-
ხე, ვეტყვი, მიიღო თუ არა ის ნივთები, რომელიც გავუგზავ-
ნეო. საშინლად ჩამოცხა. ქუჩაში ისეთი მტვრის ბული იდგა,
რომ თვალს ვერ გაახელდა ადამიანი. ტუსალები ჩქარის ნაბი-
ჯით მიდიოდნენ და ნებლიუდოვის ეტლი ძლივს-ძლივობით
ეწეოდა. ეს ურიცხვი ერთფეროვანი ხალხი ისე ეჩვენებოდა
ნებლიუდოვს, თითქოს ადამიანნი კი არა, რალაც საშიშნი
არსებანი ერთად შეგროვილან და საითკენღაც დაძრულანო. ამ
მდგომარეობიდან საკატორღე ფედოროვისა და გადასახლებულ
ოხოტინის დანახვამ გამოიყვანა. ტუსალები ხშირ-ხშირად იხე-
დებოდნენ უკან და უმზერდნენ ეტლს, რომელშიაც ნებლიუ-
დოვი იჯდა. ფედოროვმა თავი დაიქნია, ნიშნად იმისა, რომ
იქნო ნებლიუდოვი. ოხოტინმა ეშმაკურად თვალები დანაბა,
მაგრამ არც ერთსა და არც მეორეს თავი არ დაუკრავს, რად-
გან იცოდნენ, რომ ნება არა ჰქონდათ. დაუმხარდამხარდა თუ
არა ქალებს, ნებლიუდოვმა მაშინვე დაინახა მასლოვის ქალი,
რომელსაც ზურგზედ პარკი ეკიდა და ღინჯად მიდიოდა.
მის გვერდით მეოთხე ახალგაზდა დედაკაცი მიდიოდა; ეს იყო
თეოდოსია. ნებლიუდოვი გადმოხტა ეტლიდან და მიუახლოვდა
მასლოვის ქალს, რომ ეკითხნა რაიმე, მაგრამ ამ დროს დაინახა



გზის მცველმა უნტერ-აფიცურმა, მიიღბინა მეორე მხრიდან და უთხრა:

— არ შეიძლება, ბატონო, ტუსაღებთან მისვლა; ბრძანება არ არის.

როცა ახლოს მივიდა და იქნა ნებლიუდოვი (სატუსაღოში თითქმის ყველა იცნობდა ნებლაუდოვს); უნტერ-აფიცურმა ქუდზე ხელი მიიღო, გაჩერდა და უთხრა:

— ახლა არ შეიძლება, სადგურზე შევიძლიანთ და აქ-კი ნება არ არის. ნუ ჩერდებით, გასწით!—დაუყვირა მან ტუსაღებს და, თუმცა სიცხისაგან სულ ხვითქი გადასდიოდა, მაგრამ მაინც ყოჩაღად გაიღბინა თავის ადგილისკენ.

ნებლიუდოვი გადავიდა ქვაფენილზე, უბრძანა მეეტლეს მომყვირო და თვითონ გაჰყვა ფეხით ტუსაღებს შორი-ახლოს. სადაც კი გაივლიდა ამ უბედურთა გროვა, ყველგან და ყველას გულში სიბრაღულს იწვევდა.

ყველა, ვინც კი გზაში შეხვდებოდათ, ცნობის მოყვარეობით ათვალეიერებდნენ ტუსაღებს; ზოგს შიშის ერუანტელი უვლიდა ტანში ამ ტანჯულ ხალხის დანახვაზე, ზოგიერთები მიდიოდნენ ახლოს და მოწყალებას აძლევდნენ; მოწყალებას გზის მცველი ჯარისკაცი იღებდნენ. ქუჩის პირად ერთი ხმაურობა და ძახილი იყო, ყველგან ცნობის მოყვარე ხალხი იდგა. სარკმლები, საბლის სახურავები და ქიშკრები სულ გაქვდილი იყო ხალხით. ერთს შესახვევში ტუსაღები ეტლს შეეხებნენ. კოფოზე ჩასუქებული მეეტლე წამოსკუპებულისყო. ეტლში ისხდნენ მდიდრულად მორთულნი ცოლ-ქმარნი ცუკრუმელა ქალიშვილითა და რვა წლის ვაჟით. მამა უჯავრდებოდა მეეტლეს, რატომ ვერ გაუსწარი ამ ბრბოსაო, და დედა კი საცოდავად იმანქებოდა მზისა და მტერის გამო. მეეტლე, ბატონის საყვედურით უკმაყოფილო, ძლივს-ძლივობით უქერდა თავს გათქვირულ ცხენებს.

ქუჩის დარაჯს თუმცა ძალიან გულით უნდოდა მოეგო ბატონის გული, გაეშვა მისი ეტლი და ტუსაღები შეეჩერე-

ბინა, მაგრამ ყოველად შეუძლებელი იყო, თუნდაც ამ მღირ-
 დარ ბატონის გულისთვის. მან მხოლოდ ქუდზე ხელი მიიღო, და
 ნიშნად იმისა, რომ თაყვანსა ესცემ სიმდიდრესაო, და მისი ხელი
 ნედ გადაჰხედა ტუსალებს, რითაც აგრძნობინა ბატონს, რომ
 ყოველ შემთხვევაში, მაინც თქვენი მომხრე და დამცველი ვა-
 რო. ასე რომ, ეტლს მანამდე მოუხდა დაცდა, სანამ ყველა
 ტუსალი გაივლიდა, დაიძრა მხოლოდ მაშინ, როცა უკანასკ-
 ნელად ბარგითა და ტუსალ ქალებით დატვირთულმა ურმებმა
 გაიარა. მხოლოდ მაშინ გაინძრა მსხვილი მეეტლე, შეუძახა
 გათქვირულ ცხენებს და მარდად გააქანა აგარაკისაგან; დროს
 გასატარებლად მიდიოდნენ კოლ-ქმარნი თავიანთ ბავშვებით.

არც დედასა და არც მამის ფიქრადაც არ მოსვლიათ აეხს-
 ნა ბავშვებისთვის ეს სანახაობა.

პატარა ქალმა, დედის სახის მეტყველების მიხედვით, ახ-
 სნა, რომ ეს ხალხი ისეთი არ იყო, როგორც მისი დედ-მამა
 და ნაცნობნი იყვნენ, ეს ხალხი კუდი ხალხი იყო და, აღბად,
 იმიტომ ექცეოდნენ ისე მკაცრად, რომ საჭირო იყო მათთვის
 ასეთი მოქცევა. კიდევაც შეშინდა მათის დანახვით და ძალიან
 გაუხარდა, როცა ისინი თვალთაგან მიეფარნენ.

ვაქმა კი, რომელიც გაოცებული მისჩგრებოდა ტუსა-
 ლებს, სხვაფრივ ახსნა ეს ამბავი. მან მტკიცედ იცოდა, პირ-
 დპირ ღვათისაგან გაიგო, რომ ეს ხალხი ისეთივე იყო, რო-
 გორც ყველა, და ამ ხალხს ვიღამაც კუდი საქმე უყო — ისეთი,
 რომელიც არ უნდა ექმნა, და სიბრალულითა და თან შიშით
 უმზერდა რკინის ბორკილებიან თავ-მოპარსულ კაცებს; — თავს
 ძალას ატანდა, რომ არ ატირებულყო, რადგან ამისთანა
 შემთხვევაში ტირილი დიდ სირცხვილად მიიჩნდა.

XXXIV

ნებლიუდოვი ჩქარის ნაბიჯით მისდევდა ტუსალებს და,
 თუმცა თხელის პალტოთი იყო, მაგრამ ქუჩაში ისეთი მტვრის
 ბული და სიცხე იდგა, რომ სულს ძლივს იბრუნებდა. გაიარა

მეოთხედი ვერსი თუ არა, ისევ ეტლში ჩაჯდა და წინ გასწო-
მან მოინდომა მოეგონებინა გუშინდელი ლაპარაკი სიძესთან,
მაგრამ ეს ლაპარაკი ისე აღარ აღელვებდა, როგორც დღევანდელი.
ტუსაღების ციხიდან გამოსვლამ და გამგზავრებამ დაწრდილა
ეს მოგონება. ქუჩაში იდგა ორი ბავშვი—რეალისტები. მათ
წინ ფეხ-მორთბული იჯდა ტკბილეულობის გამყიდველი. ერთი
ბავშვი ხარბად შეექცეოდა ტკბილეულობას და მეტის სიამოვ-
ნებისაგან თითებს ილოკავდა, მეორე-კი ნერწყვის უღაპვით
ელოდა, სანამ იმასაც მისცემდნენ ტკბილეულობას.

— შეიძლება აქ სადმე წყალი დავლიო?—ჰკითხა ნებ-
ლიულოვმა მეეტლეს, როცა საშინელი წყურვილი იგრძნო.

— აი, აქვე საუცხოვო ტრაქტირია, — უპასუხა მეეტლემ,
შეუხვია ქუჩაში და ტრაქტირის კარებთან გაჩერდა.

ტრაქტირის ჩასუქებულმა ნოქარმა და ლაჭიებმა, რომელ-
ნიც მისხდომოდნენ სუფრებს და ხანტად ამთქნარებდნენ უსა-
ქმობის გამო, გაკვირვებით შეშხედეს არა-ჩვეულებრივს სტუ-
მარს. ნებლიულოვმა მოითხოვა სელტერის წყალი და მიუჯდა
იქვე სარკმელთან სუფრა-გადაფარებულ მაგიდას.

იქვე ახლოს ორი კაცი მოსხდომოდა მაგიდას, რომელზედაც
ჩაის ჭურჭელი და ორი ცარიელი არაყის ბოთლი იდგა, და
მეგობრულად რაღასაც ანგარიშობდნენ. ერთი მათგანი ისეთი
თავ-მოტყვებელი იყო და კეთაზე შავის თმის ბუსუსები ჰქონ-
და, როგორც ეგნატე ნიკიფოროვიჩს. ამ შთაბეჭდილებამ ნებ-
ლიულოვს ისევ მოაგონა გუშინდელი ლაპარაკი სიძესთან და
ისევ მოინდომა იმისი ნახვა წასვლამდე. „მატარებლის წასვ-
ლამდე, მგონია, ვერც-კი მოვასწრო“, — იფიქრა მან: — „უმჯო-
ბესია წერილი მივსწერო“. მოითხოვა ქაღალდი, მაგრამ ისე
დაფანტული იყო, რომ ვერას გზით ვერ მოახერხა წერილის
დაწერა.

„საყვარელო ნატაშა! არ შემიძლიან, ის მძიმე შთაბეჭდი-
ლება, რომელიც ეგნატე ნიკიფოროვიჩთან ლაპარაკმა მოახ-
დინა ჩემზე, თან გავიყოლიო და ისე წავიდე... — დაიწყო მან.



„შემდეგ რა? პატიება ვსთხოვო იმისთვის, რაც გუშინ
 ეუთხარი? მაგრამ მე ხომ ისა ვსთქვი, რასაც ვფიქრობდი... თუ
 ქრებს, რომ ვითომ უარსა ვპყვოფ ჩემსსიტყვებს. შემდეგ, ჩემს
 საქმეში ჩარევა იმისი... არა, არ შემოძლიან“, — სთქვა თავისთვის
 ნებლიუდოვმა და უზომო ზიზღი იგრძნო ამ თავნება, უცნა-
 ურ კაცის ზიზართ. ჩაიღო გაუთავებელი წერილი ჯიბეში,
 გაუსწორდა მეტრაქტირეს, ჩაჯდა ეტლში და გასწია იქითკენ,
 საითკენაც ტუსალები წაყიდნენ.

თან-და-თან ჩამოცხა. ქვები და სახლის სახურავები ისე
 ლაპლაპებდა სიციხით, რომ, ლაღაში რომ გაეკრათ, მშვენიერად
 გამოცხებოდა ზედ. ნებლიუდოვი საცოდავად ჰქმინავდა სი-
 ცხისაგან.

ცხენები ფეხების ბაკუნითა და კუდის ქნევით ძლივს მი-
 ლასლასებდნენ შტვრიან ქუჩაში. მეეტლეს სთვლემდა და ხში-
 რად საცოდავად თავსაკანტურებდა ხოლმე. ნებლიუდოვი ხმა-
 ვაკმენდილი იჯდა ეტლში და დაღონებული გამოიყურებოდა
 ეტლიდან. ქუჩის მოსახვევში ნებლიუდოვი წააწყდა ხალხის
 გროვას, რომელიც რაღასაც მისჩერებოდა; იქვე იდგა ერთი
 გზის მცველი ჯარის-კაცი. ნებლიუდოვმა შეაჩერა ეტლი.

— რა ამბავია? — ჰკითხა მან შეგზოვს.

— ერთ ტუსაღს რაღაც მოუვიდა.

ნებლიუდოვი გადმოვიდა ეტლიდან და მივიდა ხალხთან.
 ოღრო-ოღრო ქვაფენილზე ეგღო ქერა წვერ-ულვაშიანი,
 შუახნის ტუსაღი, ნაცრისფერ ხალათითა. ეგღო პირქვე, ცალი
 ხელი გაეშალა, დრო-გამოშვებით გაახელდა ჩასისხლიანებულს
 თვალებს, ერთ წუთს მიმოიხედავდა გარშემო და საზარლად
 ქვითინებდა. თავს ადგა გაჯაერებული ქუჩის დარაჯი, ფოსტა-
 ლიონი, ბებერი დედაკაცი ქოლოგით და თმა-გაკრეკილი ბავშვი
 ცარიფლ კალათით ხელში.

— დასუსტებულია; სატუსაღოში ჯდომით დასუსტებულა
 და ახლა ასეთ საშინელ სიციხე-პაპანაქებაში გამოუგღიათ და მიე-



რეკებიან, როგორც პირუტყვს, — უთხრა ნებლიუდოვს ნოქარმა.

— მგონია, მოკვდება, — ტირილის ხმით ამბობდა ნოქარმა. გიანი ბებერი დედაკაცი.

— გაუხსენით პერანგის საყულო, — სთქვა ფოსტალიონმა.

ქუჩის დარაჯი მივიდა და ათრთოლებულის ხელებით უხერხულად დაუწყო პერანგის ღილების ხსნა. თუმცა ძალიან აღელვებული იყო ამ სანახაობით, მაგრამ მაინც არ დაივიწყა თვისი მოვალეობა და მრისხანედ მიჰმართა ხალხს:

— რას შეგროვილხართ? ისედაც ცხელა და თქვენ კიდევ უარესად აცხუნებთ. გასწით!

— კანონის ძალით, ექიმმა უნდა გასინჯოს. ვინც სუსტია, დასტოვოს, თორემ, აბა, ეს რასა ჰგავს, რომ ცოცხალ-მკვდარი კაცი წამოუყვანიათ, — ამბობდა ნოქარი და უთუოდ თავს იწონებდა კანონების ცოდნით.

ქუჩის დარაჯმა გაუხსნა პერანგის ღილები, წელში გაიმართა და მიიხედ-მოიხედა.

— გასწით-მეთქი, გეუბნებით! რა თქვენი საქმეა იქ დგომა და ყურება? — შესძახა მან ხალხს და თანაგრძნობისთვის ნებლიუდოვს გადაჰხედა; მაგრამ რაკი იქ საიმისო ვერაფერი დინახა, გზის მცველ ჯარის-კაცს მიუბრუნდა.

მაგრამ ჯარის-კაცს არც კი გაუგონია დარაჯის სიტყვები, თავის წაღების მორღვეულ ქუსლებს ათვალიერებდა.

— ვისიც საქმეა, ისინი არა ზრუნავენ. ხალხის ასე დაღრჩობა განა წესიერებაა?

— ტუსალი — ტუსალია, მაგრამ მაინც კაცია, — ისმოდა ხალხში.

— თავი მაღლა დაუდეთ და წყალი დააღვეინეთ, — ურჩია ნებლიუდოვმა.

— წყლისთვის უკვე გაკვზავენე, — სთქვა ქუჩის დარაჯმა და ძლივს-ძლივობით თავი მაღლა დაუღო ტუსალს.

— რას შეგროვილხართ? — მოისმა მრისხანე ხმა და ხალხთან ჩქარის ნაბიჯით მივიდა უბნის ზედამხედველი. თოვლი-



ვით თეთრი კურტკა ემოსა და გაკრიალებული წილები ეცვა: —
გასწით აქედან, რას უდგებხართ მანდ? — დაიუვირა მან.

მიუახლოვდა თუ არა, დაინახა მომაკვდავი ტუსალი და,
თითქოს ამას მოელოდაო, კმაყოფილების ნიშნად თავი დაა-
ქანა და მიჰმართა ქუჩის დარაჯს.

— როგორ მოჰხდა ეს ამბავი?

ქუჩის დარაჯმა უამბო, როგორ დაეცა ტუსალი და გზის
მცველმა აფიცურმა ბრძანა დაეტოვებინათ.

— მაშ ახლა, რა უნდა ვუყოთ? უნდა წავიყვანოთ. დაუ-
ძახე მეეტლეს.

— მეეზოვე გავგზავნე, — უთხრა ქუჩის დარაჯმა და ქუდ-
ზე ხელი მიიღო.

ნოქარიმა ისევ დაიწყო ფილოსოფოსობა სიცხის შესახებ.

— შენი საქმე არ არის! აა, გასწი შენ გზაზე, — დაუყვი-
რა უბნის ზედამხედველმა და ისეთის თვალით შეჰხედა, რომ
ნოქარი მაშინვე დაჩუმდა.

— წყალი უნდა დააღვეინოთ, — სთქვა ნებლიუდოვმა.

უბნის ზედამხედველმა მრისხანედ გადაჰხედა ნებლიუდოვს,
მაგრამ თავი შეიმაგრა და არაფერი უთხრა. მეეზოვემ მოიტანა
წყალი. ქუჩის დარაჯმა აუწია ტუსალს თავი და მოუნდომა
ძალათი ჩაესხა პირში წყალი, მაგრამ ვერას გზით ვერ გააღე-
ბინა პირი.

— დაასხი თავზე, — დაუყვირა უბნის ზედამხედველმა.

ქუჩის დარაჯმა მოჰხადა ქუდი და დაასხა წყალი.

ტუსალმა შეშინებული თვალემა თითქოს კიდევ უფრო
დააქყიტა, მაგრამ მდგომარეობა არ გამოუცვლია. პირისა-
ხეზე წურწურით ჩამოსდიოდა მტვერისაგან გასქელებული
ოფლი და წინანდებურად საშინლად თრთოლავდა და ქვი-
თინებდა.

— ეს ვისია? მოიყვანე ჩქარა! — უბრძანა უბნის ზე-
დამხედველმა ქუჩის დარაჯს და ნებლიუდოვის მეეტლე ანიშ-
ნა: — ჰეი, შენ, მოდი აქ! — დაუყვირა მეეტლეს.



— სხვისი დაქირავებულია, — უკმაყოფილოდ უპასუხა მე-
ეტლემ.

— ეგ ჩემი მეეტლეა, მაგრამ შეგიძლიანთ წაიყვანოთ, —
უთხრა ნებლიუდოვმა, — ფულს მე მივცემ.

— რას უღგებარ? — დაუყვირა უბნის ზედამხედველმა მე-
ეტლეს, — წაიყვანე!

ქუჩის დარაჯმა, მეგზოვემ და ჯარის-კაცმა ძლივს-ძლივობით
აიღეს ტუსალი, მიიტანეს ეტლთან და ჩასვეს შიგ.

— დაწვინეთ, — უბრძანა უბნის ზედამხედველმა.

— არაფერია, თქვენო კეთილშობილებავ, ასეც მივი-
ტან, — უთხრა ქუჩის დარაჯმა, მოუჯდა გვერდით ტუსალს და
ხელეები მაგრად მოჰხვია.

ჯარის-კაცმა ფეხები აუწია და გაუსწორა ეტლში.

უბნის ზედამხედველმა მოიხედა უკან, დაინახა ტუსალის
უკიზიროკო ქუდი, აიღო და თავზე ჩამოაცვა.

— გასწით! — უბრძანა მან.

მეეტლემ უკმაყოფილოდ თავი გაიქნ-გამოიქნია და ზან-
ტად გარეკა ცხენები პოლიციისაკენ. ქუჩის დარაჯი და ჯა-
რის-კაცი ძლივს-ძლივობით იმაგრებდნენ ტუსალს, რომელიც
მკვდარივით მოდუნებულიყო და აქეთ-იქით ვარდებოდა. ნებ-
ლიუდოვიც იმათ გაჰყვა თან.

XXXV

ეტლი პოლიციის წინ გაჩერდა. იქიდგან საჩქაროდ გა-
მოვიდნენ ქუჩის დარაჯები, აიღეს ტუსალის გაცივებული გვა-
მი და შეიტანეს პატარა, მყრალს ოთახში, სადაც იღვა ოთხი
სანთელი ავადმყოფთათვის. ორ ტანტზე იხსდნენ ორნი ავად-
მყოფნი, ორი კი ცარიელი იყო. ერთ იმათგანზე დასვეს ტუ-
სალი. მკვდართან მივიდა დაბალის ტანის კაცი, რომელიც
თვალეებს ათამაშებდა უცნაურად, ტანთ მარტო საცვლები
ეცვა, დაჰხედა მკვდარს, შემდეგ გადაჰხედა ნებლიუდოს და



გულიანად გადაიხარხარა. ეს იყო გიჟი, რომელიც საავადმყოფოში ფოში ჰყავდათ დამწყვედელი.

— ნუ გგონიათ მაგით შემაშინოთ. არა, არა, მაგას თქვენ ვერ მოახერხებთ!—წამოიძახა მან და საცოდავად დაიღრღია.

შემოვიდა უბნის ზედამხედველი და ფერშალი შემოჰყვა. ფერშალი მიუახლოვდა ტუსალს, აიღო ხელში მისი გაცვითებული, დაბებრებული ხელი და ისევ გაუშვა. ხელი უსიცოცხლოდ დაეცა ტუსალის მუცელზე.

— გათავებულა, —თქვა მან და თავი დააქნია, მაგრამ წესის ასასრულებლად გაუხსნა ჭუჭყიან პერანგის ღილები, გაუსწორა ხუჭუჭი თმა და ყური დაადო ტუსალის გაქვავებულ ფართე გულს.

ყველა ხმა-გაკმენდილი უმზერდა ამ სურათს. ფერშალი წამოდგა, ისევ თავი დააქნია და აუწია ჯერ ერთი თვალის ქუთუთო და მერე მეორე.

— ნუ მაშინებთ!—ჰყვიროდა გიჟი და ფერშალს მისჩერებოდა.

— რას იტყვი?—ჰკითხა უბნის ზედამხედველმა.

— მკვდრების ოთახში გაიტანონ, —უპასუხა ფერშალმა.

— არ შესცდეთ, კარგა გასინჯეთ, —უთხრა უბნის ზედამხედველმა.

— რა დამემართება, ვგეც ვერ შევატყო. თუ გნებავთ, მათვე ივანოვიჩისა დაუძახეთ, იმანაც მნახოს. პეტროვ! წადი, დაუძახე, —უთხრა ფერშალმა პეტროვს და მოშორდა მკვდარს.

— შეიტანეთ მკვდრების ოთახში, —უბრძანა უბნის ზედამხედველმა: —შენ მერე მოდი კანცელიარიაში, ხელს მოაწერ, —უთხრა მან ჯარის კაცს, რომელიც მკვდარს არა შორდებოდა.

— მესმის!—უპასუხა ჯარის კაცმა.

ჭუჩის დარაჯებმა აიღეს მკვდარი და ძირს ჩამოიტანეს. ნებლიუდოვს უნდოდა გაჰყოლოდა, მაგრამ გიჟმა შეაჩერა.



— თქვენც ხომ შეთქმული არა ხართ? მაშინ მომეცით პაპიროსი, — უთხრა მან. ნებლიუდოვმა ამოიღო პაპიროსი და მისცა. გიჟი წარბების ცმატუნით საჩქაროდ მოუყვა ნებლიუდოვს, როგორ აწვალებდნენ შთაგონებით. ყველა თითქოს ჩემს წინააღმდეგ ამხედრებულია და მტანჯავენ, გულს მიწყალავენ თავიანთ მედიუმების წყალობით.

— ბოდიშს ვიხდი, — უთხრა ნებლიუდოვმა და არც-კი დაუცდია ლაპარაკის გათავებისათვის, საჩქაროდ გამოვიდა. რომ შეეტყო, საით წაიღეს მკვდარი.

ქუჩის დარაჯებმა თავიანთის ტვირთით გაიარეს ეზო და სარდაფის კარებს მიაღვინენ. ნებლიუდოვს უნდოდა თვითონაც შესულიყო სარდაფში, მაგრამ უბნის ზედამხედველმა შეაჩერა.

— თქვენ რა გნებაეთ?

— არაფერი, — უპასუხა ნებლიუდოვმა.

— თუ არაფერი, მაშ, წადით!

ნებლიუდოვიც ძალა-უნებურად დაემორჩილა ამ ბრძანებას, მივიდა მეეტლესთან, რომელიც უკვე გულიანად ზერინავდა კოფოზე, გააღვიძა და გასწიეს სედგურისაკენ.

ასი ნაბიჯი არ გაეგლოთ, რომ ურემი შემოჰხვდათ, რომელზედაც კიდევ მკვდარი ტუსალი იდო და თან გზის მცველი ჯარის-კაცი მოსდევდა. ტუსალი პირაღმა იდო ურემზე და ურემის ჯაგჯაგზე თავს აქეთ-იქით რახა-რუხი გაჰქონდა, უკან ქუჩის დარაჯი მისდევდა. ნებლიუდოვი შეეხო თავის მეეტლეს.

— რა ამბავია? — სთქვა მეეტლემ და ეტლი შეაჩერა.

ნებლიუდოვი გადმოვიდა ეტლიდგან და გაჰყვა ურემს პოლციისაკენ. ეზოში უბნის დარაჯი იდგა. დაინახა თუ არა მეორე მკვდარი, მივიდა ურემთან.

— სად მოჰყვდა? — ჰკითხა მან და უკმაყოფილოდ თავი გაიქნია.

— ძველ გორბატოვის ქუჩაზე, — უპასუხა მომყოლმა ქუჩის დარაჯმა.



— ტუსალია? — იკითხა იქვე მდგომმა ბრანდ-მაიორმა.

— დიაღ.

— ეს მეორეა, — სთქვა ქუჩის დარაჯმა.

— წესიერებაც ეგ არის. რა ხალხია თქვენი ქირიმე! — გაჯავრებით წარმოსთქვა ბრანდ-მაიორმა და იქვე მდგომ ცეცხლის მქრობელ რაჭმის ჯარის კაცს მიუბრუნდა და უბრძანა ცხენი წაეყვანა.

მკვდარი წინანდებურად სააედამყოფოში შეიტანეს. ნებლიუდოვი, თითქო ჰიპნოტიზმით შეპყრობილიაო, გაპყვა უკან.

— თქვენ რა გნებავთ? — ჰკითხა ერთმა ქუჩის დარაჯმა, რომელიც ხმა-ამოუღებელივ მიდიოდა იქით, საითკენაც მკვდარი მიჰქონდათ.

გითი ტახტზე იჯდა და ხარბად ეწეოდა პაპიროსს, რომელიც ნებლიუდოვმა მისცა.

— ააა! დაბრუნდით? — მიადახა მან ნებლიუდოვს და გადაიხარხარა, მაგრამ მოჰკრა თუ არა თვალი მკვდარს, კოპეტი შეიკრა.

— კიდევ! მომაბეზრეს სწორედ თავი, — სთქვა მან: — მე ხომ ბავშვი აღარა ვარ? ხომ მართალია? — ჰკითხა ღიმილით ნებლიუდოვს.

ნებლიუდოვი მისჩერებოდა მკვდარს და ისე ათვალე-რებდა, თითქოს უნდა დაიხსომოს თვითნებური ნაკეთი ამ ძალმომრეობის მსხვერპლისაო. რამდენადაც პირველი ტუსალი უწონდა და ულამაზო იყო, იმდენად ეს ლამაზი იყო და შნონიანი, სულ ახალგაზდა ვაჟკაცი იყო. თუმცა თავი საძაგლად ჰქონდა მოპარსული, მაინც მისი ბროლივით თეთრი შუბლი და პატარა კეხიანი ცხვირი, ახლად აშლილ უღვაშებს ზემოდ, საუცხოვო სანახავი იყო. გალურჯებულ ტუჩებზე ღიმილი დაჰკვდამოდა. სახის მეტყველება მშვიდი, თან სასტიკი და თან კეთილი ჰქონდა. მთელი მისი აგებულება ჰმოწმობდა, რომ მშვენიერი და ძლიერი ცხოველი იყო. ამისთანა



ცხოველი მოჰკლეს და არა თუ არავის არ ებრალებოდა, როგორც კაცი—ისეც კი არ ებრალებოდათ, როგორც ღობალოდ დაღუპული მუშა პირუტყვი. ერთად ერთი გრძნობა, რომელიც მისმა სიკვდილმა გამოიწვია ადამიანთა გულში, იყო უკმაყოფილების გრძნობა, რომ მისის სიკვდილით ბევრს საქმე გაუჩნდა და სკდლილობდნენ ადრე მოეშორებიათ თავიდან ეს მკვდარი, რათა არ გახრწნილიყო.

საავადმყოფოში შემოვიდა ექიმი, ფერშალი და ბოქაული. ექიმი ჩასკენილი დაბალი ტანის კაცი იყო, ჩესუნჩის პიჯაკითა და ასეთისავე ვიწრო შარელითა. ბოქაულიც სიმსუქნით ექიმს არ ჩამოუფარდებოდა. ექიმი მიუახლოვდა მკვდარს და, როგორც ფერშალი, ისიც შეეხო ხელით, დაუგლო ყური გულის ცემას და წამოდგა.

— გათავებულა და ეს არის!—სთქვა ექიმმა.

— რომელ სატუსალოდგანაა?—ჰკითხა ბოქაულმა ჯარისკაცს.

ჯარისკაცმა უპასუხა და თან ბორკილები მოაგონა, რომელიც მკვდარსა ჰქონდა ფეხებზე.

— ვუბრძანებ მოხსნან, მაღლობა ღმერთს, მკვდლები ბლომად არიან,—სთქვა ბოქაულმა და წავიდა კარებისკენ.

— რა მიზეზია, რომ ასე იხოცებიან?—მიჰმართა ნებლიუდოვმა ექიმს.

— რა მიზეზია, რომ სიცხე უფარდებათ თავში? მიზეზი ის არის, რომ მთელი ზამთარი უძრავად სხედან ბნელსა და მყრალს კამერებში, მერე უცბად გამოჰყავთ ამისთანა დღეში, მიდიან ჯგუფ-ჯგუფად, ჰაერის მოძრაობა არ არის და იხოცებიან, მა რა მოუვათ?

— მერე და რადა ჰგზავნიან?

— ეგ იმათა ჰკითხეთ. თქვენ ვინა ბრძანდებით?

— მე—გარეშე კაცი.

— ააა! მშვიდობით ბრძანდებოდეთ, მე თქვენთან მუ-



საიდუმლო არა მაქვს, — წყენით უთხრა ექიმმა და ავადმყოფებისაკენ.

— როგორაა შენი საქმე? — მიჰპართა მან ყელ-შეხვეულ ავადმყოფს. გიყი ტახტზე იჯდა, პაპიროსის წვევა გაეთავებინა და ექიმისაკენ იფურთხებოდა. ნებლიულოვი გამოვიდა ეზოში, ჩაჯდა ეტლში და გასწია სადგურისაკენ.

XXXVI

როცა ნებლიულოვი სადგურზე მივიდა, ტუსალები უკვე ვაგონებში ისხდნენ. ბაქანი სავსე იყო ხალხით, მაგრამ ახლოს არავის უშვებდნენ. გზის მცველი ჯარის-კაცნი ერთს ფაცა-ფუცში იყვნენ. სატუსალოდგან სადგურზე მიხლამდე გზაში, იმ ორ ტუსალს გარდა, რომელიც ნებლიულოვმა ნახა, კიდევ სამი კაცი მომკვდარიყო სიციხის ჩავარდნით თავში, ერთი კიდევ პოლიციაში წაეღოთ და ორი კი იქვე დაცემულიყო სადგურზე *). ჯარის-კაცები იმიტომ კი არ იყვნენ ფაცა-ფუცში, რომ ტუსალებში ხუთი კაცი მოკვდა, არამედ იმიტომ, რომ მათი ვალი იყო სავსებით შეესრულებინათ ის, რასაც კანონი მოითხოვდა: ჩაებარებინათ მკვდრები, სადაც ჯერ იყო, გამოერიცხათ იმ ტუსალების სიიდან, რომელნიც ნიენში უნდა ჩაეყვანათ, და ეს-კი ადვილი შესასრულებელი არ იყო, მერე ისიც ამისთანა სიციხეში.

აი ამაზე იტებდნენ თავს გზის მცველი ჯარის-კაცები და იმიტომ ჯერ-ჯერობით არც ნებლიულოვს და არც სხვებს ახლო არ უშვებდნენ. ნებლიულოვი მაინც მიუშვეს, რადგან ერთ ნაცნობ უნტერ-აფიცერს ფული მისცა. უნტერ-აფიცერმა სთხოვა, ჩქარა გაეთავებია ლაპარაკი და მოშორებოდა ვაგონს, რომ უფროსს არ დაენახა. მატარებელს 18 ვაგონი ება და, გარდა მთავრობის ვაგონისა, ყველა სავსე იყო ტუსალებით.

*) მე-80 წლების დამდეგში ერთ დღეს ხუთი ტუსალი მოკვდა სიციხის ჩავარდნით თავში, იმ დროს, როცა ბუტირსკის ციხიდან ნიეგო-როდის რკინის გზის სადგურზე გადაჰყავდათ.



ვაგონთან გავლის დროს ნებლიუდოვი ყურს უყრდა და მხედობდა, როგორ მხდებოდა შიგ. ყველგან ბორკილების ჩხარა-ჩხურო და ვაგონის წყვეტელი ლაპარაკი ისმოდა, მხოლოდ იმ გარდაცვლილ ამხანაგ-ტუსალების შესახებ კი არაფერი არაფერს ამბობდა. ლაპარაკი უფრო ბარგისა, სასმელ წყალისა და დასაჯდომ ალაგის შესახებ იყო. ერთ ვაგონში დაინახა ნებლიუდოვმა ჯარის-კაცი, რომელიც ხელიდან ბორკილებს ჰხსნიდა ტუსალებს. ტუსალები სათითაოდ უშვერდნენ ხელებს, ჯარის-კაცი გახალისებით აღებდა კლიტეებს და ჰხსნიდა ბორკილებს. ნებლიუდოვმა გაიარა კაცების ვაგონები და მივიდა ქალების ვაგონებთან. ერთ ვაგონში ქალის საშინელი კვნესა ისმოდა.

ნებლიუდოვი, ჯარის-კაცის ჩვენებით, მივიდა შესამე ვაგონის სარკმელთან. მიუახლოვდა თუ არა სარკმელს, ვაგონიდან ისეთი საშინელი სუნი გამოვარდა, რომ კინალამ გულს შემოგყარა... ქალები ყველანი ისხდნენ და მუსაიფობდნენ. ნებლიუდოვის დანახვაზე დაჩუმდნენ და ზოგიერთებმა, რომელიც სარკმელთან ახლოს ისხდნენ, უფრო ახლოს მიიწიეს. მასლოვის ქალი და თეოდოსია ერთად ისხდნენ სარკმელის პირდაპირ. თეოდოსიამ მოჰკრა თუ არა თვალი ნებლიუდოვს, მასლოვის ქალს ხელი წაჰკრა და სარკმელი ანიშნა. მასლოვის ქალი სწრაფად წამოხტა და ღიმილით მივიდა სარკმელთან.

— რა საშინლადა ცხელია! — სთქვა მან მზიარულად.

— მიიღეთ ნივთები?

— მივიღე, გმადლობთ!

— სხვა არაფერი გინდათ? — ჰკითხა ნებლიუდოვმა და კინალამ გული შეუწუხდა, ისეთი ცხელი ჰაერი მოჰხვდა: ასე ვაგონა, გახურებულ საკირიდან გამოვარდა სულიო.

— არაფერი არ მინდა, გმადლობთ.

— ნეტა დაგვალევეინა რამე, — სთქვა თეოდოსიამ.

— მართლა, ურიგო არ იქნება, — დაუმატა მასლოვამ.

— განა მანდ წყალი არა გაქვთ?



— გვადღევენ, მაგრამ სულ დალიეს.

— ეხლავე ვეტყვი ჯარის-კაცს. ნიენამდე ველარ შევხედებით ერთმანეთს.

— განა თქვენც მოდინართ?—თითქოს არ იცისო, ისე დაეკითხა მასლოვის ქალი და მზიარულად გაუღიმა ნებლიუდოვს.

— მოვდივარ შემდეგის მატარებლით.

მასლოვის ქალმა ხმა არ გასცა, მხოლოდ რამდენისამე წამის შემდეგ ღრმად ამოიოხრა.

— მართალია, ბატონო, რომ გზაში თორმეტი ტუსალი მოუკლავთ?—დაეკითხა ბოხის ხმით ბებერი ტუსალი ქალი.

ეს ტუსალი კარაბლიოვისა იყო.

— მე არ გამიგია, თუ თორმეტი მოკვდა; მხოლოდ ორი ვნახე,—უპასუხა ნებლიუდოვმა.

— ამბობენ, თორმეტო. ნუ თუ ამისთვის არაფერს უზამენ? ოპ, ის წყეულები!!

— ქალებში ხომ არაფერს გამხდარა ავად?—ჰკითხა ნებლიუდოვმა.

— ქალები უფრო მაგრად არიან,—უპასუხა პატარა ტუსალი-ქალმა,—მხოლოდ ერთს აქ მოუნდამშობიარობა და აი, როგორ ჰკვენესის,—უთხრა მან და მახლოებელ ვაგონზე მიუთითა, საიდგანაც ისევ ისმოდა საცოდავი კვნესა.

— თქვენა მკითხეთ, ხომ არა გინდა რაო?—უთხრა მასლოვის ქალმა ნებლიუდოვს და ტუჩებს ძალა დაატანა, რომ ღიმილი შეემაგრებინა:—თუ შეიძლება, სოხოვეთ უფროსს, ის ქალი დასტოვონ, თორემ ძალიან იტანჯება.

— ძალიან კარგი, ვეტყვი.

— კიდევ აი რა: ამას უნდა თავისი ქმარი ტარასი ინახულოს,—დაუმატა მასლოვის ქალმა და მომღიმარე თეოდოსია ანიშნა:—ის ხომ თქვენთან ერთად მოდის?

— ბატონო, არ შეიძლება ლაპარაკი,—მოისმა უნტერ-აფიცრის ხმა.



ეს ის უნტერ-აფიცერი არ იყო, რომელმაც ნებლიუდოვს ნება მისცა ვაგონთან მისულიყო. ნებლიუდოვი შიშობდა ვაგონს და უფროსს დაუწყა ძებნა, რომ ტარასისა და მშობიარე დედაკაცის შესახებ ეთხოვნა, მაგრამ დიდხანს ვერ იპოვნა. ჯარის-კაცებს კი არაფერი გაეგებოდათ, სად იყო მათი უფროსი. ერთ მათგანს ტუსალი მიჰყავდა სადღაც, ზოგი სურსათის სასყიდლად დარბოდა, ზოგი ვიღაც ქალს ემსახურებოდა, რომელიც აფიცერთან ერთად მიდიოდა, და ამიტომ თავ-გზა ჰქონდათ დაბნეული და ვერაფერი პასუხი ვერ მიეცათ ნებლიუდოვისთვის.

მეორედ დაჰკრეს ზარი, როცა ნებლიუდოვმა მოჰკრა თვალი აფიცერს. აფიცერი უღვაშების გრებით რაღაზედაც ფელდფებელს აძღვედა შენიშნავს.

— რა ვნებათ?—ჰკითხა მან ნებლიუდოვს.

— ვაგონში მშობიარე დედაკაცია, ვფიქრობ, რომ...

— მშობიარეა და შობოს. მაშინ ვიფიქრებთ...—უთხრა აფიცერმა და ამაყად გასწია თავის ვაგონისაკენ.

მოისმა უკანასკნელი ზარის ხმა; კანდუქტორმა დაუსტვინა და მატარებელი შეკრთა, საზარლად ამოიქშინა და შეჰკიფლა. ნებლიუდოვი ტარასის გვერდით იდგა ბაქანზე და თვალს ადევნებდა, როგორ მისდევდა ვაგონები ერთი-მეორეს; სარკმლებიდან ტუსალ კაცების ნახევრად მოპარსული თავები მოსჩანდა. შემდეგ გაირბინა ქალების პირველმა ვაგონმა, მერე მეორემ, საიდანაც მშობიარე დედაკაცის კენესა ისმოდა, და შემდეგ იმ ვაგონმაც, რომელშიაც მასლოვის ქალი იყო. ის სხვებთან ერთად სარკმელთან იდგა და გულსაკლავად უღიშოდა ნებლიუდოვს.

XXXVII

სახალხო მატარებლის წასვლამდე, რომლითაც ნებლიუდოვი მიდიოდა, კიდევ ორი საათი რჩებოდა. პირველად იფიქრა, წასვლამდე შევივლი დასთანაო, მაგრამ დღევანდელმა



სანახაობამ ისეთი გავლენა იქონია, რომ საშინელ დაღლილობასა ჰგრძნობდა. შევიდა პირველ კლასის ბუფეტში, სადა სავარძელში და მაშინვე ძილი მოერია; გადაბრუნდა გვერდზე, შემოიღო თავ-ქვეშ ხელი და ტკბილად ჩაიძინა.

ნებლიუდოვი გააღვიძა ფრაკში გამოკვანწულმა ლაქიამ.

— ბატონო, ბატონო! თქვენა ხართ თავადი ნებლიუდოვი? ქალბატონი გეტვით.

ნებლიუდოვი ზეზე წამოვარდა, მოიფშენიტა თვალები და უცბად მოაგონდა, სად იყო, ან დილით რა მოჰხდა.

ჯერ კიდევ კარგად ვერ გამორკვეულიყო და თვალწინ ედგა: ტუსაღების მგზავრობა, მკვდრები, რკინებიან ბადით გაბმული სარკმელნი ვაგონებისა და იქ დამწყვდეული ქალები, რომელთა შორისაც ზოგნი საშინლად იტანჯებოდნენ მშობიარობით და ზოგნი საცოდავად უღიმოდნენ ვაგონის სარკმელიდან. ნამდვილად კი მის თვალწინ სულ სხვა სურათი იყო: იქ იდგა სხვა-და-სხვა ჭურჭლით სავსე სუფრა-გადაფარებული მაგიდა და ფრაკებიანი ლაქიები მარდად დასრიალობდნენ სხვა-და-სხვა ბრძანების აღსასრულებლად.

იმ დროს, როცა ნებლიუდოვი ცოტათი გონს მოვიდა და გასწორდა სავარძელში, შეამჩნია, რომ ყველა იქ მყოფნი ცნობის მოყვარეობით მისჩგრებოდნენ კარებს, სადაც რაღაც ამბავი იყო. ამ დროს კიდევ შემოიყვანეს სავარძლით ვიღაც ქალბატონი. წინ ლაქია მოუძლოდა, მას უკან შეკარე, რომელიც თითქოს სადღაც ენახა ნებლიუდოვს. სავარძლის უკან მოსამსახურე მოდიოდა სხვა-და-სხვა ბარგით დატვირთული, მათ უკან მობობლავდა თავადი კორჩაგინი. მათ მოსდევდა — მისსი, მიშა, ბიძაშვილი და ნებლიუდოვის ნაცნობი დიპლომატი ოსტენი. გზა-და-გზა რაღასაც უმტკიცებდა მისსის და მზიარულად უღიმოდა. სულ უკან ექიმი მოდიოდა და გაჯავრებული პაპიროსს ეწეოდა.

კორჩაგინები თავიანთ მამულიდან თავადის დის მამულში გადადიოდნენ, ნიკეგოროდის გზაზე.



შეზავრები თავიანთ ბარკი-ბარხანით ქალებს ოთახისაკენ წავიდნენ, ბებერი თავადი კი შემოსვლისთანავე გიდას, დაუძახა ლაქიას და რალაც შეუკვეთა. ოსტენი და მისი ცუდი გაჩერდნენ დარბაზში და ის იყო დაჯდომა დააპირეს, რომ კარებში ნაცნობი დაინახეს და იქითკენ წავიდნენ. ეს ნაცნობი ნატალია ივანოვნა იყო. მას თან ახლდა აგრაფინა პეტროვნაც და შემოსვლისთანავე ორივემ სწრაფად მოავლეს დარბაზს თვალი. თითქმის ერთ დროს დაინახეს მისი ცუდი და ნებლიუდოვიც. ნატალია ივანოვნა ჯერ მისისთან მივიდა და ძმას მხოლოდ თავი დაუქნია, მაგრამ გადაჰკოცნა თუ არა მისი, მიუბრუნდა ძმას:

— ძლივს არ გიპოვნე?—უთხრა მან.

ნებლიუდოვი წამოდგა, მიესალმა მისისს, მიშას, ოსტენს და გაჩერდა. მისიმი უამბო, რომ ჩვენს სახლში ცეცხლი გაჩნდა და იძულებული შევიქენით დეიდას მამულში გადასახლდეთ დროებითაო. ოსტენმა რალაც უხერხული საუბრო ანგდოტიც დაურთო ხედ.

ნებლიუდოვს ყური არ უგდია ოსტენისთვის და მიმართა დას.

— რომ იცოდე, რანაირად გამიხარდა შენი მოსვლა!

— კარგა ხანია, მოვედი,—უთხრა დამ:—აგრაფინა პეტროვნაც აქ არის.—ნებლიუდოვმა შეჰხედა აგრაფინა პეტროვნას, რომელიც საუცხოვოდ მორთულ-მოკაზმულიყო და შორიდან მოწიწებით თავს უკრავდა.

— მე კი აქ დამეძინა კიდევ. უჰ! რა მოხარული ვარ, რომ მოხვედი:—გაიმეორა ნებლიუდოვმა:—წერილის მოწერას ვაპირებდი და კიდევაც დაფიწყე.

— მართლა?!—გაიკვირვა დამ.

მისი თავის კავალერებით, რა შენიშნა, რომ და-ძმას შორის შინაურული ლაპარაკი გაიმართა, მოშორდა მათ. ნებლიუდოვი და ნატალია ივანოვნა ჩამოსხდნენ სარკმელს ახლოს სავარძელზე.

— გუშინ, როცა თქვენგან წამოვედი, მინდოდა უკან



დაებრუნებულები და ბოდის მომებადა, მაგრამ არ ვიცოდით, ის როგორ მიიღებდა ამ ბოდის, — უთხრა ნებლიუდოვიჩს ვაჯაგრე შენი ქმარი და ეს ძლიერ მტანჯავს.

— ვიცი, დარწმუნებული ვარ, — უთხრა დამ, — რომ არ გინდოდა. ხომ იცი...

ნატალია ივანოვნას მეტის მღელვარებისაგან თვალეზზე ცრემლები მოადგა. ეს ცრემლები ძლიერ სასიამოვნო და მნიშვნელოვანი იყო ნებლიუდოვისთვის, მნიშვნელოვანი იმიტომ, რომ უტყუარი ნიშანი იყო იმისი, რომ დასძლიერ უყვარდა ძმა და მისი წყენა გულსა სტკენდა.

— გამადლობ, გამადლობ, — უთხრა ნებლიუდოვიჩი: — იცი, დღეს რა ვნახე? ორი ტუსაღი მოჰკლეს.

— როგორ თუ მოჰკლეს?

— მოჰკლეს ისე, როგორც სხვა ოთხ-ფეხ პირუტყვებსა ჰკლავენ ხოლმე. წამოიყვანეს ამ პაპანაქება სიცხეში და სიციხისაგან გზაში ამოჰხდათ სული ბედკრულებს.

— ეგ შეუძლებელია! როგორ? ახლა, ამ წუთში?

— დიად, ამ წუთში, ჩემის თვალით ვნახე მკვდრები.

— მერე და რად მოჰკლეს? ვინ მოჰკლა? — ჰკითხა ნატალია ივანოვნამ.

— მოჰკლეს იმათ, რომელთაც ძალათი წამოიყვანეს, — გაბრაზებითა სთქვა ნებლიუდოვიჩი, რადგანაც იგრძნო, რომ ისიც ისე უცქეროდა ამ საქმეს, როგორც მისი ქმარი.

— ოჰ, ღმერთო ჩემო! — წამოიძახა აგრადინა პეტროვნამ და ახლოს მიიწია.

— სრულებით არ ვიცით, რა ჰხდება ქვეყანაზე და, მით უმეტეს, ამ ტანჯულ ხალხში. ძალიან საჭიროა კია ვიცოდეთ, — დაუმატა ნებლიუდოვიჩი და ბებერ თავადს გადაჰხედა, რომელიც ამ დროს მადიანად ილუქმებდა და ის იყო, იმანაც გადმოჰხედა ნებლიუდოვის.

— ნებლიუდოვიჩ, — დაუძახა მან, — გაგრილება არ გინდა? გზაში კარგია.



ნებლიუდოვმა უარის ნიშნად თავი გაიქნია.

— ახლა რას აპირებ, რა უნდა ჰქნა? — ჰკითხა ნატალია ივანოვნამ.

— რაც შემიძლიან. თუმცა არ ვიცი, მაგრამ ვგრძნობ-კი, რომ რაღაც უნდა მოვახერხო, და იმას მოვიქმედებ, რაც შემიძლიან.

— დიად, დიად, ძალიან კარგად მესმის, მაგრამ იმასთან მართლა ყველაფერი გათავდა? ჰკითხა დამ და კორჩაგინი ანიშნა.

— ყველაფერი, ვგონებ; არც მე დაარც ისინი არ უნდა ვიყვეთ უკმაყოფილონი.

— სამწუხაროა, სწორედ ძალიან სამწუხაროდა მაქვს. მე ის ქალი მიყვარს; ამას თავი დავანებოთ: ერთი ეს მითხარი, რად იტანჯავ თავს, რად მოდიხარ?.

— მივდივარ იმიტომ, რომ საჭიროა, — დაფიქრებულის სახით უპასუხა ნებლიუდოვმა, რადგან უნდოდა ამ საგანზე ლაპარაკი შეეწყვიტნა, მაგრამ მაშინვე შერცხვა, რომ ასე გულ-ცივად მოეპყრა დას. „რატომ არ უნდა ვუთხრა ყველაფერი, რასაც ფიქრობ? — გაიფიქრა, — თუნდა აგრაფინა პეტროვნამაც გაიგოს, მერე რა?“ — სთქვა მან თავისთვის და აგრაფინას გადაჰხედა.

აგრაფინა პეტროვნას იქ ყოფნამ უფრო წააქეზა და გადაწყვეტინა ეთქვა დისთვის ყველაფერი.

— ჩემს განზრახვას ამბობ კატოს შერთვის შესახებ? როგორცა ჰხედავ, ეგ გადავსწყვიტე, მაგრამ მტკიცე უარი მითხრა, — უთხრა დას და მისს ხმას კანკალი დაეტყო: — არ უნდა ჩემი მსხვერპლი, თვითონა ჰსურს გასწიროს ყოველივე. მე კი არამც და არამც არ შემიძლიან მისი მსხვერპლი მივიღო. ამიტომ მივყვები. მეც იქ ვიქნები, საცა ის იქნება; რამდენიც შემიძლიან, დახმარებას გავუწევ და ვეცდები შევუმსუბუქო ტანჯვა.

ნატალია ივანოვნა ხმას არ იღებდა. აგრაფინა პეტროვნა თვალ-დაშტერებით უმზერდა და უიმედოდ თავს აქნევდა



აქეთ-იქით. ამ დროს ქალების ოთახიდან გამოვიდნენ მგზავრნი და კნინაც გამოიყვანეს. მან გააჩერებინა სავარძელი და ნელი დაუქნია ნებლიუდოვს, საცოდავად დაიმანქა და თავისი თეთრი ბეჭდებიანი ხელი ოდნავ გაუწოდა.

— უჰ, რა ცხელია—სთქვა მან:—საშინლად მაწუხებს ასეთი სიცხეები. ბევრი აუფი სთქვა რუსეთის ჰავაზე და შემდეგ სთხოვა ნებლიუდოვს—გვეწვიეო, და ანიშნა მზიდველებს წამიყვანეთო:—უეჭველად მოგელით,—დაუძახა მან ნებლიუდოვს.

კნინა გაიყვანეს ბაქანზე და პირველ კლასის ვაგონში შეიყვანეს. ნებლიუდოვიც ტარასითურთ გავიდა და მეორე კლასის ვაგონისკენ გაემართა.

— აი, ეს ჩემი ამხანაგი და თანამგზავრია,—უთხრა ნებლიუდოვმა დას და ანიშნა ტარასი, რომლის ისტორიაც უკვე ვაგონილი ჰქონდა დას ნებლიუდოვისაგან.

— განა მესამე კლასით მიდიხარ?—ჰკითხა ნატალია ივანოვნამ, როცა ნებლიუდოვი მესამე კლასის ვაგონთან გაჩერდა და ტარასი შიგ შევიდა ბარგითა.

— დიაღ, ჩემთვის მესამე კლასით უმჯობესია მოგზაურობა, რადგან თან ტარასიც მახლავს. მართლა, იცი, რა უნდა ვითხრა?—დაუმატა მან:—კუზმინსკის მამულები ჯერ კიდევ არ წიმიცია გლეხებისათვის; მე რომ მოვეკვდე, შენს შვილებს დარჩება.

— გაჩუმდი, დიმიტრი! რას ამბობ?—წყენით უთხრა ნატალია ივანოვნამ.

— კიდევაც რომ მივსცე, მხოლოდ ერთი შემძლია ვსთქვა: მიწებს გარდა, ყველაფერი შენის შვილებისა იქნება, რადგან ცოლს არ შევირთავ და, თუნდაც შევირთო, შვილები მაინც არ მეყოლება... ასე... რომ...

— დიმიტრი, გეთაყვა, ნუ ამბობ მაგას!—ეუბნებოდა ნატალია ივანოვნა და თან-კი, როგორც ნებლიუდოვმა შეამჩნია, აძლიან ესამოვნა ყოველ ამის მოგონება.



პირველ კლასის ვაგონთან ხალხი შეჯგუფებულიყო და ცნობის-მოყვარეობით მისჩერებოდნენ კნეინას და მისსთან მისხარებებს. დაგვიანებული მგზავრები მირობოდნენ თავიანთ ვაგონებისაკენ. კონდუქტორები იწვევდნენ ხალხს, დროზედ შედით ვაგონშიო.

ნებლიუდოვი შევიდა საკირესავით გახურებულ მყარალს ვაგონში, მაშინვე კარები გააღო და გარედ გაჩერდა.

ნატალია ივანოვნა აგრათინათი ბაქანზე იდვა და უნდოდა ლაპარაკი დაეწყო, მაგრამ რაზე, ეს-კი ვერ მოეფიქრებინა. ფულისა და მამულების შესახებ ლაპარაკმა რაღაც უხერხულს ყოფაში ჩააგდო. ამიტომ ნატალია ივანოვნას კიდევაც გაეხარდა, როცა მატარებელი დაიძრა. „მშვიდობით, მშვიდობით, დიმიტრი!“ — აღერსიანის ხმით უთხრა მან ნებლიუდოვს, მაგრამ მოეფარა თუ არა თვალთაგან მატარებელი, ეს ნაზი გრძნობა საღდაც გაჰქრა და მისი ადგილი იმ აზრმა დაიკირა, როგორ ეთქვა ქმრისთვის ის, რაც ნებლიუდოვმა უთხრა, და ფიქრებმა მოიკცა მისი გონება.

თუმცა ნებლიუდოვს უზომოდ უყვარდა თავისი და, დღევანდელმა ლაპარაკმა მაინც ცუდად იმოქმედა იმაზედ და გულით უნდოდა ადრე გაშორებოდა იქაურობას. აშკარად ჰგრძნობდა, რომ ის ნატაში აღარ იყო ახლა, რომელიც ისე გაგიჟებოდა უყვარდა წინად, იყო მხოლოდ საძაგელის, ბანჯგელიან ქმრის მონა. ცხადად მიჰხედა ამას, როცა ფულისა და მამულების შესახებ ჩამოუგდო სიტყვა. ყოველივე ეს ძლიერ სამწუხაროდ დარჩა ნებლიუდოვს.

XXXVIII

თორენსავით გახურებულს ვაგონში ისეთი საშინელი, სულის შემბუთველი ჰაერი იდგა, რომ ნებლიუდოვმა ვერ შესძლო იქ გაჩერება და კარებთან დადგა. საუბედუროდ, აქაც საშინლად ცხელოდა და ნებლიუდოვმა მხოლოდ მაშინ ამოისუნთქა თავისუფლად, როცა მატარებელი სახლებს გასცილ-



და და გრილმა ნიაღმა ნექტარივით დაუარა ტანში. „დიდო მოჰკლეს!“ — განიშეორა თავისთვის ის სიტყვები, რომელიც დას უთხრა, და თვალწინ დაუდგა მეორე მკვდარის ტუსალის ახალგაზდა, ლამაზი სახე. ყველაზე სეტად სამწუხარო ის იყო, რომ მოჰკლეს, ხოლო ვინ მოჰკლა, ეს კი არაფერ იცოდა. როგორც სხვა ტუსალები, ისიც მასლენნიკოვის განკარგულებით წაიყვანეს. მასლენნიკოვმა ხომ თავისი ჩვეულებრივი მოვალეობა შეასრულა: მოაწერა ხელი ქაღალდს და, რასაკვირველია, თავს დამნაშავედ არ იცნობს. მით უმეტეს უდანაშაულოა ეჭიში, რომელმაც ტუსალები გასინჯა. იმანაც, რასაკვირველია, საფსებით შეასრულა თავისი მოვალეობა: სუსტები დასტოვა და ვერ წარმოედგინა, თუ ასეთი საშინელი სიტყვები იქნებოდა და ამდენ ხალხს ერთად წაიყვანდნენ. ციხის უფროსი?... მაგრამ უფროსმა ხომ მოწერილობა შეასრულა, რომლის ძალითაც დანიშნულ დღეს უნდა გაეგზავნა აღნიშნული რიცხვისა-კარტოლებისა და გადასახლებულთა — კაცი და ქალი. არც გზის მკველნი იყვნენ დამნაშავენი, რადგან მათი მოვალეობა იყო, მიეღოთ განსაზღვრული რიცხვი ტუსალებისა და უკლებლივ ჩაეხარებინათ, სადაც ჯერ იყო. ტუსალები ისე მიჰყავდათ, როგორც წესი და რიგი მოითხოვდა, და სრულიად ვერ წარმოედგინათ, თუ ისეთი ღონიერი ხალხი, როგორიც ის ორი ტუსალი იყო, ვერ გაუძლებდნენ ამ სიტყვებს და მოკვდებოდნენ. ამგვარად, აქ დამნაშავე არაფერ არ არის, თუმცა ამ უდანაშაულო ხალხის წყალობით დაიხოცნენ ამდენი ტუსალები.

„ყველა ეს იმიტომ მოჰხდა, რომ მთლად ეს ხალხი — გუბერნატორები, ციხის უფროსები, უბნის ზედამხედველნი და ქუჩის დარაჯები — თავიანთ წინ ხალხს და მისს მოთხოვნილებას კი არა ჰხედავდნენ, არამედ სამსახურსა და მისს მოთხოვნილებას, რომელსაც ყოველ ზნეობრივ და ადამიანურ მოთხოვნილებაზედ მაღლა აყენებდნენ. აი უმთავრესი მიზეზი“, — ჰუიქრობდა ნებლიუდოვი.

ისე იყო ფიქრებში გართული, რომ არც კი შეუნიშნავს,



როგორ გამოიცვალა ამინდი: მზე ღრუბელს მოეფარა და დასავლეთიდან კუბრივით შავი ბურუსი თან-და-თან ეფენებოდა არე-მარეს. ბურუსი თან-და-თან ახლოვდებოდა და კიდევაც წამოწინწყლა. ნებლიუდოვი გადავიდა მეორე მხარეს და ხარბად დაუწყო ყლაპვა ცივ ჰაერს.

— კიდევ, კიდევ! — ამბობდა ნებლიუდოვი, როცა ჰხედავდა, როგორ მოცოცხლდა ყველაფერი ქუქუნა წვიმის წყალობით.

უცბად კოკისპირულად დაუშვა, მაგრამ ჩქარა ისევ გადაიღო. მზემ მორცხვ პატარძალივით გამოიჭვრიტა ნაგლეჯ ღრუბლებში და დანამული ბალახები ვერცხლებრივ ააბრჭყვია-ლია. აღმოსავლეთისკენ ვეებერთელა მრავალფეროვანი ცისარტყელა გამოჩნდა.

„ჰო, რაზე ვფიქრობდი? — დაეკითხა თავის თავს ნებლიუდოვი, როცა ბუნება ისევ თავის კალაპოტში ჩადგა და მატარებელი დაღმართში დაეშვა: — ჰო, იმაზე ვფიქრობდი, რომ ეს მშვიდი ხალხი — სატუსალოს უფროსი, გზის მცველნი და ყველა ზოსამსახურენი — გაბოროტდა და რატომ, ეს კი ძნელ გამოცანად შექმნილა“.

მოიგონა მასლენნიკოვის გულგრილობა, როცა სატუსალოს ამბებს უამბობდა, მოიგონა სატუსალოს უფროსის სიმკაცრე, გზის მცველ აფიცრის სიმხეცე, როცა მან ყურადღება არ მიაქცია მშობიარე დედაკას, რომელიც საშინლად იტანჯებოდა. ამ ხალხის გულში, მთელს მათს ცხოვრებაში, ერთხელაც არ გაღვიძებულა კაცთმოყვარეობის გრძობა, ერთხელაც არ აჩქოვლებულა მათი გული ადამიანის სიბრაღულით. დიად, ამ გულ-ქვა ადამიანთა გულში ვერ შეუტანებია ვერავითარს კაცთმოყვარულ გრძობას ისე, როგორც წვიმის წყალი ვერ ატანს ამ ქვა-ბრემით მოკირწყლულ ქუჩის გულში“ — ჰფიქრობდა ნებლიუდოვი და გაჰყურებდა მოკირწყლულ გზას, რომელზედაც წყალი ნაკადულებივით გადადიოდა, რადგან ვერ ატანდა მიწის გულში. „შეიძლება ძალიან საჭიროც იყო



გზის მოკირწყლევა, მაგრამ გული გული გიკვდება ადამიანს, როცა ჰხედავ ამ გახრიოკებულ ადგილს, რომელიზედაც მდებარეობს ადამიანების მცენარეები და მობიბინე ყანებს დაემშვენებინა იქაურობა. ასე ჰხდება ხალხშია, — ჰფიქრობდა ნებლიუდოვი: — ხალხი ჰფიქრობს, რომ არის ისეთი მდგომარეობა, როდესაც შეიძლება ისე იცხოვროს ადამიანი, რომ სხვა ადამიანთან საქმე ჰქონდეს და სიყვარული კი არა; შეუძლიან იქონიოს საქმე ადამიანმა ისე, რომ არავითარის გრძობით არ ხელმძღვანელობდეს, ასეთი მდგომარეობა კი არ არსებობს. უსულო საგანთან შეიძლება იქონიოს საქმე ადამიანშია და სიყვარული არა ჰქონდეს: შეუძლიან მოსკრას ხე, გასტედოს რკინა, გააკეთოს აგური უსიყვარულოდ, მაგრამ ხალხთან კი უსიყვარულოდ არ შეიძლება საქმე იქონიოს ადამიანშია ისე, როგორც ფუტკრებთან გაუფრთხილებლად. ასეთია ფუტკრების თვისება. თუ ფრთხილად არ მოექცევი, თავის თავს აფნებ, ასეა ხალხთანაც. ეს სრული ჰეშმარიტებაა, რადგან ადამიანთა ურთიერთ შორის სიყვარული — ხალხის ცხოვრების ძირითადი კანონია; მართალია, ადამიანს არ შეუძლიან ძალიად უყვარდეს, ისე, როგორც არ შეუძლიან ძალიად იმუშაოს მაგრამ არც აქედან შეიძლება ის დასკვნა გამოვიყვანოთ, რომ ადამიანთან შეიძლება საქმე იქონიო უსიყვარულოდ, მით უმეტეს, როცა რასმე თხოულობ მისგან. არა ჰგრძობ ხალხისადმი სიყვარულს, იჯექი შენთვის წყნარად, — ჰფიქრობდა ნებლიუდოვი: — აკეთე შენთვის, რაც გინდა, მხოლოდ უსულო საგნებთან იქონიე საქმე და ადამიანთან კი არა. როგორც სმა-ჰამა მაშინ არის დიდად შესარგი, როცა კაცს ჰამა უნდა, ისე ხალხთან საქმის დატერაც მაშინ შეიძლება, როცა იგი გიყვარს. ეს გამოკვდილებით შევისწავლე და დარწმუნებული ვარ, რომ ასეა, — ჰფიქრობდა ნებლიუდოვი და თან ორკეც სიამოვნებასა ჰგრძობდა. გრილი და წმინდა ჰაერი მალამოდ ეფინებოდა მისს გულს და თან სიხარულით ფეხზე



აღარ იდგა, რომ ბოლოს, როგორც იყო, გამოეყოფოდა მწვანე საგანი, რომელიც დიდი ხანია ლოდინით მწვანე გულზე.

XXXIX

ის ეგონი, რომლითაც ნებლიუდოვი მიდიოდა, მთლად გაქედილი იყო ხალხით. რა ჯურის ხალხი გინდათ, რომ იქ არ იყო: ხელოსნები, მუშები, ურიები, ნოქრები, ქალები, მუშის ცოლები, ჯარის კაცი, ორი ქალბატონი: ერთი ახალგაზდა და მეორე ხნიერი, რომელსაც ოქროს სამაჯური ჰქონდა ხელზე გაკეთებული, და მრისხანე სახის ვაებატონი, რომელსაც თავზედ კაკარდიანი შავი ქუდი ეხურა. ყველა თავთავის ალაგას იჯდა, ზოგი პაპიროსს ეწეოდა, ზოგი მზესუშხირის მარცვლებს აჩქლამუნებდა და ზოგსაც გაცხარებული ბაასი ჰქონდა მეზობელთან.

ტარასი გაბრწყინებული სახით იჯდა გასაღლის მარჯვენა მხარეს და გაცხარებული ბაასი ჰქონდა მისს პირდაპირ მჯდომ ჩასუქებულ კაცთან, რომელიც, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, მებაღე იყო. ნებლიუდოვი შევიდა ვაგონში და გაიხრდა-გასავალში, ზრდილობიანის სახის მოხუცის წინ, რომელიც ახალგაზდა სოფლელ ქალს ებაასებოდა. მოხუცმა შეჰხედა ნებლიუდოვს, ალაგი დაუთმო და აღერსიანის ხმით უთხრა:

— მობრძანდით, დაჯექით.

ნებლიუდოვმა მადლობა გადაუხადა და დაჯდა. ქალმა განაგრძო დაწყებული ამბავი, თუ როგორ მიიღო ქმარმა, რომელიც ქალაქში იყო:

— ყველიერში ვიყავი და, შეწევნითა ღვთისათა, ახლაც ვნახე, — ამბობდა ქალი: — ახლა, საშობაოდ, რასაც ღმერთი მოგვცემს...

— კარგი საქმეა, — სთქვა მოხუცმა და ნებლიუდოვს გადაჰხედა: — უნდა ინახულოთ ხოლმე, თორემ, ხომ იცით, ახალგაზდა კაცია და გაირყვება ქალაქში.



— არა, ბაბუა, ისეთი კაცი არ არის! არავითარცა კუდიანი
საქმე მისგან არ შეიძლება. ისეთი მორცხვი და წყნარია, რომ
გორც ახალგაზდა გასათხოვარი ქალი. ფულს, რასაც შოუ-
ლობს, კაპეიკამდე სულ სახლში ჰგზავნის. ისეთი გაუხარდა
ჩვენი ნახვა, რომ რაღა გითხრათ, — სთქვა მან ღიმილით.

— თუ ჭკვიანია, მით უკეთესი — უთხრა მოხუცმა: — იმას
ხომ არ ეტრფის? — დაუმატა მან და თვალეზით ცოლ-ქმარზე
უჩვენა, რომელნიც მეორე მხარეს ისხდნენ.

ქმარს წამოეგდო პირზე არყით სავსე ბოთლი და ხარბად
ეწაფებოდა. ქალს ხელში ტომარა ეკირა, რომლიდანაც ბოთ-
ლი ამოეღო, თვალ-გაშტერებით მისჩერებოდა ქმარს და მე-
ტიის სიხარბით პირს აწკლავუნებდა.

— არა, ჩემი არც არაყსა სვამს და არც თამბაქოს ეწე-
ვა, — უთხრა ქალმა: — იმისთანა კაცს ძვირად შეჰხედება ადა-
შიანი, — სთქვა და ნებლიუდოვს შეჰხედა.

— თუ კი ასეთია, სხვა რაღა გინდათ! — უთხრა მოხუც-
მა და თან მოქეიფე ცოლ-ქმარს თვალს არ აშორებდა.

როცა გული იჯერა ქმარმა, მოიძრო ბოთლი და გადას-
ცა ცოლს. ცოლი გიჟივით ეცა ბოთლს და კბილები კინა-
ლამ ჩაიმტვრია, ისე მოიგდო პირზე და დაეწაფა. ცოტა ხნის
შემდეგ, რა შეჰნიშნა ქმარმა, რომ მოხუცი და ნებლიუდოვი
ცნობის მოყვარეობით გვიმზერენო, მიუბრუნდა მათ:

— რა იყო, ბატონო? გიკვირთ, ვანა, რომ ვსვამთ? ის
კი რატომ არავის უკვირს, როგორ ვმუშაობთ? როგორა
ვსჯამთ და ვსვამთ, ამას კი ყველა ჰხედავს. ჩემის შრომის ფა-
სით მეცა ვსვამ და ცოლსაც ვუმასპინძლდები, სხვა არაფერი!

— დიად, დიად, — მხოლოდ ეს უთხრა ნებლიუდოვმა.

— დიად, ასეა. ჩემი ცოლი ღონიერი დედაკაცია. მე
ამისი ძალიან მაღლიერი ვარ, რადგან ვეცოდები; ხომ მარ-
თალია, მაგრა? — მიუბრუნდა ცოლს.

— ჰო, მართალია; აჰა წაიღე, მეტი აღარ მინდა! — უთხრა
ცოლმა და გადასცა ბოთლი: — რას რატრატებ?



— აი, აგრეთა, — განაგრძო ქმარმა: — ხომ კარგია დედოფალი, მაგრამ ხანდისხან ისეთ ჭრიალს მოჰყვება ხოლმე, ვინც კარგად გაუქონავი ურემი. ხომ აგრეთა, მავრა?

მავრამ მხოლოდ ხელი ჩაიქნია.

— მოჰყვა ახლა, რაღა!..

— ჰო, კარგია და კარგი, მაგრამ დრომდე, ხოლო თუ კულ-ქვეშ აღვირი მოედო, შენი მტერი, ისეთს რასმე იზამს, რასაც ადამიანი ვერ წარმოიდგენს... აგრეთა ხომ? მამატიეთ, ბატონო, ცოტა გადაკრულში ვარ, მაგრამ რა ვქნათ... — სთქვა ქმარმა და დასაძინებლად მოემზადა, თავი მომღიპარე ცოლის ჩაუდვა კალთაში და, რამდენსაც ალაგი ნებას აძლევდა, გაიშხლართა.

ნებლიუდოვი კარგა ხანს იჯდა მოხუცთან, რომელმაც უამბო, ლუმელების ოსტატი ვარო და ახლა დასასვენებლად მივდივარ სოფელშიო. ნებლიუდოვი წამოდგა და მივიდა ტარასისთან.

— დაბრძანდით, ბატონო, ტომარას აქეთ გადმოვიტან, — უთხრა მებალემ, რომელიც ტარასის პირდაპირ იჯდა, და მხიარულად გაუღიმა.

— თუცა ვიწროობაა, მაგრამ არა უშავს-რა, — სთქვა ტარასიმ, აილო თავისი ორფუთიანი ტომარა და სარკმლისკენ გადასდო: — ალაგი არის, თორემ ფეხზე დადგომაც შეიძლება, ან კიდევ საჯდომს ქვეშაც შეუძლიან ადამიანს მოთავსდეს, — სთქვა მხიარულის ღიმილით.

ტარასი იმ აზრისა იყო თავის თავზე, რომ თამამად და გულიანად ლაპარაკი მაშინ შეეძლო, როცა ცოტათი ნასვამი იყო, სიფხიზლეში კი მორცხეობდა. მართლაც, როცა ნასვამი არ იყო, სდუმდა, ხოლო როცა სვამდა — რაც ძვირად შეჭხედებოდა ხოლმე — მხიარულად მოჰყვებოდა ლაპარაკს. მაშინ ბევრსაც ლაპარაკობდა და კარგადაც — უბრალოდ. სიმართლეს ამბობდა და უმთავრესად ისეთის აღერსიანის სიტყვებით, რომ სმენას უტკობდა ადამიანს. ასეთს მდგომარე-



ობაში იყო დღესაც. ნებლიუდოვის მისეღაზედ შესწყვიტა ლაპარაკი, მაგრამ როცა ტომარა თავის ალაგას მოათავსდა, თავითონაც დაჯდა, ხელები მუხლებზე დაიწყო და განაგრძო მუსაიფი. უამბობდა თავისს ახალ-გაცნობილ მეზობელს მისის ცოლის ისტორიას, თუ რათა ჰგზავნიდნენ ციმბირში და თვითონაც რატომ მიჰყავებოდა.

ნებლიუდოვს თავის დღეში არ გაეგონა ასე დაწვრილებით ეს ამბავი და გულმოდგინედ უსმენდა. იმ დროს მივიდა მათთან, როცა ტარასი იმ ადგილას შეჩერდა, თუ როგორ მოსწამლეს იგი და მთელმა ოჯახმა როგორ გაიგო, რომ ეს თეოდოსიას ოინი იყო.

XL

— ეს ჩემს ჭირ-ვარამზედ ელაპარაკობ, — უთხრა ტკბილის ხმით ტარასიმ ნებლიუდოვს: — ასეთი კეთილი კაცი შემხვდა, შევყვეით ლაპარაკში და მეც მოვჰყვეი ჩემს ამბავს.

— დიად, დიად, — უბასუხა ნებლიუდოვმა.

— ჰო და, ამ რიგად გაიგეს, ჩემო ძმაო, რაშია ცუო საქმე. დედამ აილო ლავაში და ამბობს: „წავალ ურიადნიკთანო“. მამაჩემი ჭკვიანი კაცია; ეუბნება: „დაიცადე, დედაკაცო, ის ქალი ჯერ ბავშვია, თვითონაც არ იცოდა, რას სჩადიოდა, უნდა შევიბრალოთ, შეიძლება შემდეგ ჭკუაზე მოვიდესო“. დედამ თავისი დაიქინა: „სანამ ის ჩვენთან იქნება, სულ მთლად ამოგვხოცავს ყველასაო“. წავიდა ურიადნიკთან. გაიგო თუ არა ეს ამბავი, მაშინვე მოვარდა ჩვენსა ურიადნიკი და დაიბარა მართალი კაცები.

— შენ რალა ჰქენი? — დაეკითხა მეზალე.

— მე, ჩემო ძმაო, ვეგდე ლოგინზე და ისე მგლეჯდა-მუცელი, რომ ძროხასავით ვბლაოდი. წარმოდგენაც კი ძნელია, ისე მტკიოდა მუცელი. მამაჩემმა მაშინვე შეუბა ურემი, დასვა ზედ თეოდოსია და გამომძიებელთან წაიყვანა. გამო-მძიებელთან თეოდოსია ყველაფერში გამოტყდა და დაწვრი-



ლებით უამბო ყოველივე, თუ სად ეშოვნა დარღვევა... და როგორ გამოცხადო ლაფაშები. „რატომ ჰქენიო?“ — „ვეყენებ გამოძიებელი. — იმიტომ, რომ ჩემი ქმარი მძაგს, მეზისღებო, — უპასუხა: — იმასთან ცხოვრებას, კომპირში ყოფნა მირჩევნიაო“, ე. ი. ჩემთან, — ლიმილით აუხსნა ტარასიმ. რაკი ყველაფერი თავის პირით აღიარა, რასაკვირველია, ცხენში უკრეს თავი. მამაჩემი მარტო დაბრუნდა. ამ დროს მუშაობაც მოახლოვებული იყო და ოჯახში მარტო ერთი ქალი — დედაჩემი იყო, და ისიც სუსტი. ვიფიქრეთ, იქნება როგორმე თავმდებობით გამოვიყვანოთო; წავიდა მამაჩემი ერთ უფროსთან, არაფერი გამოვიდა; წავიდა მეორესთან... ასე რომ, სულ ხუთ უფროსთან იყო, მაგრამ არსად არაფერი გამოდნა და, ის იყო, მამაჩემიც აპირებდა თავის დანებებას, რომ ერთი კაცი გამოგვიჩნდა. ისეთი ხერხიანი იყო, რომ რალა გითხრათ: „მომეცით ხუთიანი და გამოვიხსნიო“, — გვეუბნება. გავრიგდით სამიანზე. რას ვიზამდით, ძმაო, მისივე მოქსოვილი ტილოები დავაგირავე და მივეცი. დასწერა თუ არა იმან ქალაღდი, — განაგრძო ტარასიმ, — ხელად გათავდა საქმე. მეც იმ ხანად ფეხზედ დავდექი და თვითონ წავედი მასთან ქალაქში. მივედი, ჩემო ძმაო, ქალაქში, ცხენი თავლაში დავაბი, ავიღე ქალაღდი და მივადექი ციხის კარებს. „რა გინდა?“ — „ასე და ასეა ჩემი საქმე, — ვეუბნები, — ჩემი ცოლი მანდ არის დამწყვდეული“. „ქალაღდი რამე გაქვსო?“ — მეუბნებიან. მაშინვე მივეცი ქალაღდი. დახედა და „დაიცადეო“, — მითხრა. იქვე მივეგექი. მზე უკვე კარგად წამოწეულიყო. გამოდის უფროსი. „ვარგუშოვი შენა ხარო?“ — მეუბნება. — მე ვარ-მეთქი. — „მაწ წაიყვანეო“, — მითხრა უფროსმა. მაშინვე გაიღო ალაყათის კარები და გამომიყვანეს ცოლი თავის ტანსაცმელში. — „წავიდეთ-მეთქი, ვეუბნები. — განა ქვეითად ხარო?“ — „არა ცხენით-მეთქი“. მივედით, სადაც ცხენი მყავდა. გაუესწორდი მუღუქებს, შევუბით ცხენი, დავაჯექით და გავსწიეთ. ისე მივედით სახლამდე, რომ არც ერთს ხმა არ ამოგვიღია. როცა



სახლს მივუახლოვდით, კოლი მეუბნება: „დედა ცოცხალიაო?“ — ცოცხალია-მეთქი, — ვუთხარი. — „მამაც ცოცხალია?“. მამატიე, ტარასი, ჩემი საშინელი საქმე, მამატიე, გენაცვალე, მე თვითონ არ ვიცოდი, რას ვშერებოდიო“, — მითხრა. მე ვუთხარი — „დიდი ხანია გაპატიე-მეთქი“. შევედით სახლში თუ არა, დედის ფეხებთან ბრაგვანი გააღინა. დედა ეუბნება: „ღმერთმა გაპატიოსო“. მამაჩემი აღერსიანად მიესალმა და უთხრა: „ახლა რაღა დროა: ია წარსულის მოგონებაო; აწი მაინც ჭკვიანად იყავი და ისე იცხოვრე, როგორც შენთვის უმჯობესი იქნებაო. ახლა ისეთი დრო არის, რომ დიდი შრომაა საქირო, ისეთი ყანები გვაქვს, რომ ცელს ვერ გაატანს შიგა. უნდა მოვმკოთ. შენ და ტარასიმ წადით ხეალ და მომკეთო“. ამ წუთიდგან ჩემმა კოლმა ერთგულად მოჰკიდა მუშაობას ხელი. ჩვენ მაშინ სამი დღიური მიწა გვექონდა ქირით აღებული და იმდენი ქერი და პური მოგვივიდა, რომ ძლიეს მოვასწარით შენახვა. მე ვეკიდი და ის კონებსა ჰკრავდა. ისე გაცხარებითა ვმუშაობდით, რომ მოგვეწონებოდათ. ისეთი ახალგაზდა და მოზერბებული ქალია, რომ ყველაფერი გამოუღდის ხელიდგან. როცა საღამოობით მივდიოდით სახლში დაღლილები, ის კიდევ არ იხვენებდა და სხვა საქმეს მიჰყოფდა ხოლმე ხელს.

— შენც ხომ სიყვარულითა და აღერსიანად გექცეოდა? — ჰკითხა მებაღემ.

— ოჰ, ნულარ იკითხავთ, რა რიგად მე იმას შევეუყვარდი: ერთ წუთს ველარა მშორდებოდა. რასაც კი გავიფიქრებდი გულში, უკვე იცოდა. თითქმის დედაჩემიც კი მოჰხიბლა თავის ყოფა-ქცევით. ხშირად იტყოდა ხოლმე: „ჩვენი თეოდოსია, მგონი, გამოგვიცვალეს, სულ სხვა ქალი შეიქმნაო“. ერთხელ ორივე ერთად ვსხტდვართ ურემზე და ბზისთვის მივდივართ ყანაში. ვეუბნები: „როგორ ჩაიდინე, თეოდოსია, ის საქმე-მეთქი?“ — „ისე, რომ შენთან ცხოვრება არ მინდოდაო, — მიპასუხა: — ისე ვიყავი რაღაცნაირად გატაცებული, რომ უმაღ



სიკვდილს ვირჩევდი, ვიდრე შენთან ცხოვრებასაო*.
„ახლა მხოლოდ შენა მყევხარ გულშიო“, — მიპასუხა.

— ტარასი გაჩერდა და სიხარულით თავი გაიქნია.

— როგორც კი დავბრუნდით მინდვრიდგან, სახლში სასამართლოს უწყება დაგვიხვდა, — განაგრძო ტარასიმ ცოტა სიჩუმის შემდეგ: — ჩვენ კი თითქმის გადაგვაფიწყდა, რა საქმე გვექონდა სასამართლოში.

— უთუოდ ეშმაკი ჩაერია ამ საქმეში, — სთქვა მებაღემ: — განა კაცს შეუძლიან სულის დაღუპვა განიზრახოს?! ჩვენში ერთი კაცი იყო... — უნდა დაეწყო მებაღეს, მაგრამ მატარებელი გაჩერდა.

— უთუოდ სადგურია, — სთქვა მან: — წავიდე დავლიო.

ლაპარაკი შესწყდა. ნებლიუდოვი გაჰყვა მებაღეს და გავიდა ბაქანზე.

XLI

ვაგონიდგან გამოსვლის დროს ნებლიუდოვმა თვალი მოჰკრა ხალხის გროვას, რომელიც ცნობის-მოყვარეობით მისჩერებოდა ჩასუტებულ ქალბატონს და უშნოდ აკლანჩილ ახალგაზდა კაცს, რომელსაც თან დიდი ძაღლი ახლდა. მათ შორი-ახლოს იდგნენ ლაქია სხვა-და-სხვა ნივთებითა და მეეტლე. ამით ჩქარა შეუერთდნენ: სადგურის უფროსი წითელის ქუდით, ჟანდარმი, გამხდარი ქალიშვილი, რომელიც მუდამ ეგვებებოდა მატარებლებს, ტელეგრაფისტი და რამდენიმე მგზავრი.

ახალგაზდა კაცი, რომელსაც ძაღლი ახლდა, ნებლიუდოვმა იცნო — ის იყო კორჩაგინის ვაჟა, ჩასუტებული ქალბატონი კი კნენინას დაი იყო, რომლის მამულშიაც გადადიოდნენ კორჩაგინები. ობერ-კონდუქტურმა გაალო ვაგონის კარები და მანამდე ეჭირა ზრდილობიანად, სანამ ქალბატონს გამოასვენებდნენ სავარძლით. დები მიესალმნენ ერთმანერთს.

ნებლიუდოვს არ უნდოდა ხელ-მეორედ მათთან შეხვედრა და შორი-ახლოს გაჩერდა, სანამ ისინი წავიდოდნენ. წინ



კენიანა, მისი და ექიმშიმიდიოლდენ, უკან კი მიჰყვებოდით თავი ვადი ცოლის დითა.

ამ დროს სადგურის ერთის კუთხიდან ბაქანზე გამოვიდნენ მუშები ქალამნებითა და ტომრებით, მტკიცე ნაბიჯით წავიდნენ პირველ ვაგონისაკენ და დააპირეს შესვლა, მაგრამ მაშინვე გამორეკა კონდუქტორმა. გაჰყვნენ მეორე ვაგონისკენ კონდუქტორმა შორიდგანვე გაიგო მათი განზრახვა და ყვირილი დაუწყო. ისევ შემდეგის ვაგონისაკენ გაემართნენ, იმ ვაგონისაკენ, რომელშიაც ნებლიუდოვი იჯდა. კონდუქტორმა აქაც შეაჩერა. დააპირეს შემდეგის ვაგონისაკენ წასვლა, მაგრამ ამ დროს გამოვიდა ნებლიუდოვი და უთხრა: ალაგი ბევრია და შემოდითო. მუშები სიამოვნებით დასთანხმდნენ და შევიდნენ ვაგონში. ნებლიუდოვიც შეჰყვა. მუშები უკვე შეუდგნენ თავიანთ ნივთების დალაგებას, მაგრამ კაკარდიანი კაცი და მისი „დამა“ საშინლად გაბრაზდნენ და დაუპირეს გარედ გამოყრა. მუშები—20-მდე კაცი—ბებრები და ახალგაზდები, ტანჯულის, დაღლილ-დაქანცულის სახისანი, გაჰყვნენ შემდეგის ვაგონისაკენ, რომ დამსხდარიყვნენ სადმე, სადაც უბრძანებდნენ, თუ გინდ ლურსმნებზედაც.

— სად მიდიხართ, თქვე ქაჯებო და ეშმაკებო?! დალაგდით აქა, — დასქუივლა კონდუქტორმა.

ერთმა მანდილოსანმა რაღაც ფრანგულად წაიტუტუნა, იმ აზრით, რომ ნებლიუდოვის ყურადღება მიეპყრო.

გახარებულ მუშებს ბოლოს, როგორც იქნა, ეღირსათ ალაგის შოვნა, საჩქაროდ დაეყარნენ აქა-იქ და თავიანთი ბარგი-ბარხანაც დაალაგეს. ტარასისა და მებაღეს ახლოს სამი თავისუფალი ალაგი სამმა მუშამ დაიჭირა, მაგრამ როცა მათთან ნებლიუდოვი მივიდა, მისმა ბატონურმა შეხედულობამ და ტანისამოსმა იმდენად შეაკრთო მუშები, რომ მაშინვე წამოდგნენ და წასვლა დააპირეს, მაგრამ ნებლიუდოვმა არ გაუშვა.



XLII

ერთმა მუშამ, ასე 50 წლის მოხუცმა, გაკვირებულმა და თითქმის შეშინებულმა, გადაჰხედა ახალგაზრდა მუშას. მუშები განცვიფრებულნი იყვნენ, რომ ნებლიუდოვმა, როგორც ეს ჩვეულებადა სჭირთ სხვა ვაებატონებს, კი არ გალანძღა და გარეკა ისინი, თავისი ალაგიც კი დაუთმო. კიდევ ეშინოდათ, აქედგან ცუდი არა გამოვიდეს-რაო. მაგრამ როცა დაინახეს, რომ არავითარი საფრთხე არ მოელოდათ და ნებლიუდოვი უბრალოდ ებაასებოდა ტარასის, დამშვიდდნენ. უბრძანეს პატარა ბიჭს ტომარებზე დამჯდარიყო, ნებლიუდოვი მიიწვიეს და ალაგი დაუთმეს. ნებლიუდოვის პირდაპირ მჯდომი ხნიერი მუშა საცოდავად მოიკუნტა თავის ალაგას და სკდილობდა უცაბედად ფეხი არ წამოედო ბატონისთვის, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ შეგობრული მასლაათი გაუბა ნებლიუდოვს; ხანდისხან, როცა უნდოდა, რომ ნებლიუდოვს მეტი ყურადღება მიექცია მისის სიტყვებისთვის, ხელს დაადებდა მუხლებზედ. მოხუცმა უამბო ნებლიუდოვს მთელი თავისი ისტორია: როგორ მუშაობდნენ ქაობებში ორ თვე-ნახევარი და ახლა შინ მხოლოდ ათ-ათი მანათი მიჰქონდათ, რადგან ჯამაგირის ერთი ნახევარი წინდაწინვე აეღოთ. როგორც მოხუცმა მუშამ უამბო, მთელი დღე და ღამე მუხლებამდე წყალში იდგნენ და ისე მუშაობდნენ.

— ვინც შეჩვეული არაა, რასაკვირველია, მისთვის ძალიან ძნელია და, როცა შეეჩვევა ადამიანი, მაშინ-კი იმდენად არაფერია, — ჰმობდა მოხუცი: — მხოლოდ საქმელია საქმეთუ კარგო საქმელი გაქვს, მაშინ არა უშავს-რა. წინად ცუდი საქმელი გექონდა, შემდეგ, როცა ხალხმა უკმაყოფილება გამოაცხადა, გააუმჯობესეს და მუშაობაც გაგვიადვილდა.

შემდეგ უამბო — ოცდა რვა წლის განმავლობაში ქირაზე დაედრიოდი სამუშაოდ და მთელის ჩემს ნაშრომს სახლში ნებავნიდიო; წინად მამას ვუგზავნიდი, შემდეგ უფროსს ძმა-



სა და ახლა კი ძმის-წულს, რომელიც ოჯახს უვლისო; ჩემს ძმის-წულს 50—60 მანათი წლიური შემოსავალი და დაჯილდოება და ორ-სამ მანათს თამბაქოსა და წუმწუმზედა ჰხარჯავს წელიწადშიო.

— ცოდვილი ვარ, ხანდისხან არაყსაც გადავკრავ ხოლმე,—დაუმატა მოხუცმა და საცოდავად გაიღიმა.

კიდევ უამბო, — ჩემს მაგიერ ქალები უვლიდნენ ოჯახსო, ერთხელ მოიჯარადრე არყით გამიმასპინძლდაო; ერთი მუშათაგანი მოჰკვდა და ერთიც ავადმყოფი მოგვყავსო.

ავადმყოფი, რომელზედაც მოხუცი ლაპარაკობდა, იმავე კუთხეში იჯდა. ეს იყო სულ მთლად გაყვითლებული ბავშვი, რომელსაც აშკარად ეტყობოდა, რომ ქაობის ციებით იყო ავად. ნებლიუდოვი მივიდა ავადმყოფთან, მაგრამ ბავშვმა ისეთის ტანჯულის სახით შეჰხედა, რომ ნებლიუდოვი მაშინვე გამობრუნდა. ნებლიუდოვმა უჩიოა გლვებს—ქინაქინა იყიდეთო, და დაუწერა ქალაღღზე. მოინდომა ფულის მიცემა, მაგრამ მუშამ უარი უთხრა.

— აბა, რამდენი მივლია, სად არა ვყოფილვარ და ასეთს ბატონს ჩემს სიცოცხლეში არ შეგხვედრია! იმის მაგიერ, რომ კინწის კვრით გავეგდეთ აქედან, თავისი ალაგიც კი დაგვითმო. როგორცა სჩანს, ათასგვარის ხასიათის ბატონი ყოფილა ქვეყანაზე, — სთქვა მოხუცმა და ტარასის შეჰხედა.

«დიად, სულ სხვაა ახალი ქვეყანა», — ჰფიქრობდა ნებლიუდოვი და თვალს არ აშორებდა ამ მზისგან გახუხულ პირისახეებს, მძლავრ ძარღვიან სხეულის ნაწილებს და ჰგონობდა, რომ ყოველის მხრიდგან სულ ახალი ხალხი ეხვია, რომელთაც თავიანთის საგულისხმიერო ინტერესებითა, სიხარულითა და ნამდვილის კაცობრიულის ცხოვრებით გამოწვეული ტანჯვა-წვალება ემჩნეოდათ.

აქ მოაგონდა კორჩაგინის ნათქვამი სიტყვები და თვალწინ დაეხატა მთლად ის უქმი და ყალბი ქვეყანა, რომელ-

შიაკ კორჩაგინები სცხოვრობდნენ თავიანთის ფუქსიატის, სა-
ბრალო ინტერესებით.

ისეთს სიამოვნებასა ჰგრძნობდა ახლა ნებლიუდოვი, რო-
გორსაცა ჰგრძნობს მოგზაური, რომელსაც უცნობი, მშვენიე-
რი ქვეყანა აღმოუჩენია.

დასასრული პირველისა და მეორე ნაწილისა.



1107011

ნაწილი მესამე

I

ტუსაღების იმ ჯგუფმა, რომელთან ერთადაც მასლოვის ქალიც მიდიოდა, გაიარა ხუთი ათას ვერსამდე გზა. პერმამდე მასლოვის ქალი სისხლის სამართლის წესით დასჯილებთან ერთად მიდიოდა, მხოლოდ ამ ქალაქში კი, როგორც იყო, მოახერხა ნებლიუდოვმა მისი პოლიტიკურ დამნაშავეებთან გადაყვანა.

პერმამდე დიდი გაჭირვება გამოიარა კატომ, როგორც ფიზიკურად, ისე ზნეობრივადაც: ფიზიკურად—სიფიწროვისა, სიბინძურისა და საზიზღარის, მოუსვენარ მწერების გამო, რომელნიც არც დღე და არც ღამე მოსვენებას არ აძლევდნენ; ზნეობრივად—ასეთისავე საზიზღარ კაცების წყალობით, რომელნიც, თუმცა ყველა ეტაპზე იცვლებოდნენ, მაგრამ მწერებზე უარესს დღეს აყენებდნენ. ტუსალი კაცები, ზედამხედველნი და გზის მცველნი ისე ურცხვად და უსინდისოდ ექცოდნენ ტუსალ ქალებს, რომ ახალგაზდა ქალი მუდამ ფრთხილად უნდა ყოფილყო. ასეთს მდგომარეობაში ყოფნა კი მეტად აუტანელი იყო. ყველაზე მეტად კატოს ეტანებოდნენ, იმიტომ, რომ ღამიანი იყო და, გარდა ამისა, ყველამ კარგად იცოდ მისი წარსული. კატო სასტიკ წინააღმდეგობას უწევდა ყველას და ამით უფრო აქვზებდა მათ. ასეთს აუტანელს მდგომარეობაში ერთად-ერთი მისი იმედი თეოდოსია და ტარასი იყო; როცა ტარასიმ გაიგო, რომ მისს ცოლს შეურაცხყოფას აყენებდნენ, ძალათი დააპყრინა თავი, რათა და-



ეცა თავისი ცალი, და ნიენიდგან, როგორც ტუსალი, ისე მიდიოდა სხვა ტუსალებთან ერთად.

პოლიტიკურებთან გადაყვანით კატოს მდგომარეობა ყოველის მხრით გაუმჯობესდა. გარდა იმისა, რომ პოლიტიკურებს კარგად ინახავდნენ და ზრდილობიანად ექცეოდნენ, მასლოვამ იქ გადაყვანით იხსნა თავი მამაკაცთა დევნისაგან და ბოლო მოეღო იმ უშვერს სიტყვებსა და ყოველ წუთში წარსულის მოგონებას, რომლის დავიწყებაც სულითა და გულით უნდოდა. უმთავრესად კი იქ კატომ ისეთი ხალხი გაიცნო, რომელმაც დიდი გავლენა იქონია მასლოვის ქალის მთელს ცხოვრებაზედ.

ყოველ ეტაპზე, სადაც ტუსალებს მოუბღებოდათ შეზღერება, მასლოვა პოლიტიკურ დამნაშავეებთან ერთად იყო, გზაში კი, როგორც ჯანსალი ქალი, ქურდობა-აღაზაკობისათვის დასჯილ ტუსალებთან ერთად მიდიოდა ფეხით. ასე მიდიოდა ის ტომსკიდან. მისთან ერთად კიდევ ორი პოლიტიკური დამნაშავეც მიდიოდა: მარიამ პავლეს ასული შჩეტინინი, თვით ის ლაშაზი ქალიშვილი, რომელმაც აღტაცებაში მოიყვანა ნეხლიუდოვი სატუსალოს მისაღებ ოთახში, სადაც ბოგოდუხოვსკაიას უცდიდა, და იაკუტსკის მხარეში გადასახლებული ვიდაც სიმონსონი, თვით ის ბანჯველიანი კაცი, რომელიც იმ დღეს ჰნახა ნეხლიუდოვა სატუსალოში. მარიამ პავლოვნა იმიტომ მოდიოდა ფეხით, რომ თავისი ადგილი ურემზე მშობიარე დედაკაცს დაუთმო. სიმონსონი კი იმიტომ, რომ უსამართლოდ სთვლიდა კლასობრივ უპირატესობით სარგებლობას. სამივენი სხვა პოლიტიკურებზე ადრე გადიოდნენ დილით სისხლის სამართლით დასჯილებთან ერთად. ასე იყო უკანასკნელ ეტაპზედაც, როცა ისინი ერთ დიდ ქალაქიდან გამოვიდნენ და ტუსალები ახალმა გზის მკველმა აფიცურმა ჩაიბარა.

ენკენისთვის სუსხიანი დღე იყო. მოკუპრული ცა, თითქო შესაშინებლად, ხან თოვლსა ჰგზავნიდა დედამიწისკენ და



ზან წვიმას. ყველა ტუსაღები--400 კაცი და 50 ქალი ტუსაღოს ეზოში იდგნენ; ზოგნი შემოაჭვევოდნენ გზის მცველს, რომელიც ორის დღის სახარჯო ფულს არიგებდა, და ზოგნიც რაღაებსაც ჰყიდულობდნენ ეზოში შემოსულ ვაჭარ-ქალებისაგან. ტუსაღების ხმაურობისაგან ყურთა სმენა აღარ იყო.

კატო და მარიამ ჰავლეს ასული გამოვიდნენ ეზოში და წავიდნენ მოვაჭრე დედაკაცებისაკენ, რომელნიც ჰყადდნენ კვერცხებს, ყველს, თევზსა და რძეს; ერთს შემწვარი გოქიც კი მოეტანა გასასყიდად.

სიმონსონი, რომელსაც გუტაპერჩის კურტკა ეცვა და ფეხებზედაც კალოშები ჰქონდა, ეზოში იყო და ელოდა ტუსაღების გასვლას. იდგა ალაყაფის კარებთან და უბის წიგნში სწერდა იმ აზრს, რომელიც ამ დროს თავში მოუვიდა. ეს აზრი შემდეგი იყო:

„ბაქტერიას რომ გამოეკვლია ადამიანის ფრჩხილი, დაინახავდა, რომ ეს არა-ორგანიული არსება იყო; ჩვენც ისე ვიცანით დედა-მიწა მისის ზედაპირის გამოკვლევით—არა-ორგანიულ არსებად. ეს შემცდარი აზრია“.

ის იყო კატო ნასყიდ თევზსა, ბუბლიკებსა და ჰურს აწყობდა ტომარაში და მარიამ ჰავლეს ასული ფულს აძლევდა მოვაჭრე დედაკაცებს, რომ ტუსაღები აჩოქოდნენ და ახმაურდნენ. გამოვიდა გზის მცველი აფიცერი და უკანასკნელი განკარგულება მოახდინა.

ყველაფერი ისე ჰხდებოდა, როგორც ყოველთვის: სთვლიდნენ ტუსაღებს, სინჯავდნენ ბორკილებსა და წყვილ-წყვილად აყენებდნენ იმით, რომელნიც ხელი-ხელ გადაბმულნი უნდა წაეყვანათ. უცბად აფიცრის მრისხანე, „ნაილნიკური“ ხმა და თან ბავშვის ტირილი მოისმა. ცოტახანს მკვდარი სიჩუმე ჩამოვარდა, ყველამ სული განაბა. ერთი წუთიც არ გასულა, რომ ტუსაღებში ერთი ჩოჩქოლი ასტყდა. კატო და



მარიამ პავლეს ასული წაიღინენ იქით, საიდგანად ისმოდა.

II

მივიდნენ თუ არა იმ ადგილას, კატოსა და მარიამ პავლეს ასულს შემდეგი სურათი წარმოუდგათ თვალწინ: ჩასუქებული, ქერა, გრძელ-ულვაშებიანი აფიცერი უშვერის სიტყვებით იღიანდებოდა. მის წინ იდგა საცოდავად მოკუნტული მოკლე-ხალათიანი და ხალათზე უფრო მოკლე-შარვლიანი მაღალი, გამხდარი ტუსალი, ნახევრად თავ-მოპარსული, და ხელში პატარა გოკო ეჭირა, რომელიც საზარლად გაჰკიოდა.

— შე შენ გასწავლი, როგორ უნდა მსჯელობა... დედაკაცებს მიეცი, — უყვაროდა აფიცერი: — გაიკეთე ჩქარა!

აფიცერი თხოულობდა, რომ ხელსაბმელი გაეკეთებინათ იმ ტუსალისათვის, რომელიც ციმბირში მიდიოდა და რომელსაც მთელი გზა ბავშვი მიჰყავდა ხელით მას შემდეგ, რაც ტომსკში სახადით ცოლი მოუკვდა და ბავშვი მის ანაბარად დარჩა. ტუსალის სიტყვები, რომ შეკრულის ხელებით ბავშვის წაყვანა შეუძლებელიაო, ბრაზსა ჰგვრიდა აფიცერს.

ამ ტუსალის პირდაპირ გზის მცველი ჯარის-კაცი და მეორე ჩასკნილი შავწვერა ტუსალი იდგა, რომელიც წარბებქვეშ გამოიყურებოდა და ელოდა, თუ როდის გადაუბამდნენ მას იმ ტუსალს, რომელსაც აფიცერი უყვაროდა და ჰღიანდებოდა. აფიცერმა გაუმეორა ჯარის-კაცს ბრძანება, წაიყვანეთ გოგო. ტუსალები უფრო ახმაურდნენ.

— ტომსკიდგან აქამდე არ გაუკეთებიათ ხელსაბმელი და ახლა რამ გააცოფა? — მოისმა ჩახრინწიანებული ხმა უკანა რიგიდგან.

— ძაღლის ლეკვი ხომ არ არის, ბავშვია.

— რა უნდა უქნას ბავშვს?

— ეს რა კანონია? — სთქვა კიდევ ვიღამაც.

— ეს ვინ იყო? — დაიყვირა აფიცერმა და თოფნაკრა-



ვივით ზეზე წამოვარდა: — მე შენ გიჩვენებ კანონს! ვინაა შენა? შენა?

— ყველა ამას ამბობს. ამიტომ... დაიწყო დაბალ-დაბალმა ტუსაღმა.

— ჰა! თქვენა ბუნტობთ? მე თქვენ გიჩვენებთ, როგორ უნდა ბუნტობა! წაიყვანე გოგო!

ხალხი დაჩუმდა. ერთმა ჯარის-კაცმა გამოჰგლიჯა რუსალის მტირალი ბავშვი ხელიდგან და მეორემ ხელსაბმელი გაუკეთა.

— წაუყვანე დედაკაცებს! — დასპყივლა აფიცერმა გზის მცველ ჯარის-კაცს და ხმალი შეათამაშა.

ბავშვი საშინლად გაჰკიოდა. ხალხიდგან გამოვიდა მარიამ პავლეს ასული და მივიდა აფიცერთან.

— ბატონო აფიცერო! ნება მომეცით ბავშვი მე წაიყვანო.

ჯარის-კაცი შეჩერდა.

— შენ ვინა ხარ? — ჰკითხა აფიცერმა.

— მე პოლიტიკური დამნაშავე ვარ.

უთუოდ მარიამ პავლეს ასულის ლამაზმა სახემ გავლენა იქონია აფიცერზედ, რომელმაც ჩუმად გადაჰხედა ქალს, თითქოს რაღასაც სწონავსო.

— ჩემთვის სულ ერთია. წაიყვანეთ, თუ გინდათ. კარგია, თქვენმა მზემ, გეკოდებათ და, რომ გაიქცეს, მაშინ ვინ აგებს პასუხს?

— აბა, ბავშვიანად სად უნდა გაიქცეს? — უპასუხა მარიამ პავლეს ასულმა.

— შენთან სალაპარაკოდ არა მცალიან; წაიყვანე, თუ გინდა.

— გვიბრძანებთ, მივსცე? — ჰკითხა გზის მცველმა ჯარის-კაცმა.

— მიეცი.

— მოდი ჩემთან, გენაცვალე, — ეალერსებოდა ბავშვს



მარიამ პავლეს ასული და უნდოდა წაეყვანა, მფრთხილებში განწირულის ხმით გაჰკიოდა და მამისკენ იწვევდა.

— დაიკა, მარია პავლოვნა, ჩემთან მოვია, — უთხრა მასლოვის ქალმა და ტომარიდგან ბუბლიკი ამოიღო.

ბავშვი იცნობდა კატოს და, დაინახა თუ არა, თან რაკი ბუბლიკსაც მოჰკრა თვალი, მივიდა მასთან.

სიჩუმე ჩამოვარდა. გაიღო ალაყაფის კარები და ტუსაღები ქუჩაში გაიყვანეს; ხელმეორედ გადასთვალეს ყველა, ბარგი ურემზე დაალოგეს და სუსტებიც ზედ დასვეს. მასლოვის ქალი ბავშვით ხელში ჩადგა ქალებში თეოდოსიას გვერდით. სიმონსონი, რომელიც თვალს ადევნებდა ყველაფერს, რაც მოჰხდა, მტკიცე ნაბიჯით მივიდა აფიცერთან, რომელიც ამ დროს ეტლში ჯდებოდა.

— ძალიან ცუდად მოიქეცით, ბატონო აფიცერო! — უთხრა სიმონსონმა.

— წაეთრიეთ თქვენს ალაგზე. თქვენი საქმე არ არის!

— ჩემი საქმეა ვითხრათ, და ვითხარით კიდევ, რომ საზიზღრად მოიქეცით! — შეეკამათა სიმონსონი და თავისი აღზნებული თვალები შეანათა.

— მზად არის? გასწით, მარშ! — დაიყვირა აფიცერმა და სიმონსონის სიტყვებისთვის ყურადღება არ მიუქცევია, ისე ჩაჯდა ეტლში. ტუსაღთა რაზმი დაიძრა და ნელის ნაბიჯით გაუდგა ტალახიანს გზას.

III

უკანასკნელ ექვსის წლის ქალაქში ფუფუნებით ცხოვრებისა და ორის თვით სისხლის სამართალში მყოფ ტუსაღებთან ერთად სატუსაღოში ყოფნის შემდეგ, სადაც სასტიკს გარემოებაში იყო, ახლა პოლიტიკურ დამნაშავეებთან ცხოვრება კატოს ძალიან კარგად ეჩვენებოდა. მუდამ დღე 20—30 ვერსის ფეხით გავლამ, კარგმა საქმელმა და ორის დღის სიარულის შემდეგ თითო დღით დასვენებამ ღონეზე მოიყვანა კატო.



ახალ ამხანაგებთან დამოკიდებულებამ თვალწინ გადგემაღლესი
 ისეთი რამეები, რომელსაც თავის დღეში ვერ იფიქრებდა და
 ვერც წარმოიდგენდა.

კატო აღტაცებაში მოჰყავდა ყველა თავის ახალ ამხანა-
 გებს, მაგრამ ყველაზე უფრო მარიამ პავლეს ასულმა მოჰზიბ-
 ლა და კიდევაც შეუყვარდა იგი წმინდა, აღფრთოვანებულის
 სიყვარულით. კატო განცვიფრებაში მოდიოდა მარიამ პავლეს
 ასულის საქციელით. უკვირდა, რომ ეს ღამაში ქალიშვილი,
 მდიდარ გენერლის შვილი, რომელიც სამს ენაზე თავისუფლად
 ლაპარაკობდა, ისე იქერდა თავს, როგორც უბრალო მუშა
 დედაკაცი, და რაც კი რამ გააჩნდა და რასაც მდიდარი ძმა
 უგზავნიდა, ყველაფერს სხვებს ურიგებდა, უბრალოდ და ლა-
 რიბულად იცვამდა ტანზე და არავითარს ყურადღებას არ აქ-
 ცევდა არც ჩაცმა-დახურვასა და არც სხვა რასმე. უმთავრე-
 სად იმან მოჰზიბლა მასლოვის ქალი, რომ მარიამი არავითარს
 ყურადღებას არ აქცევდა სიკონტავეს და გარეგნულ სილამა-
 ზეს. მასლოვის ქალმა იცოდა, რომ მარიამი დარწმუნებული
 იყო თავის სილამაზეში, და ეს არამც თუ ახარებდა, არამედ
 კიდევაც აშინებდა—არავის შეეუყვარდეთ. მისი ამხანაგი კაცე-
 ბი თუმცა ჰგრძნობდნენ მისადმი ღტოლვილებას, მაგრამ რა-
 კი იცოდნენ მისი ხასიათი, თავს იქერდნენ და ისე ექცეოდ-
 ნენ, როგორც ამხანაგ-კაცს. მაგრამ უცნობი ხალხი თავს აბე-
 ზრებდა მარიამ პავლეს ასულს და, როგორც თვითონ ამბობ-
 და, ამისთანა დროს ერთად-ერთი მისი იარაღი საკუთარი ძალ-
 ღონე იყო, რომლითაც კიდევაც შეეძლო ვამაყნა.

„ერთხელ, — სიცილით ამბობდა მარიამ პავლეს ასული, —
 ქუჩაში ვილაც ვაებატონი ამეკვიატა და, თქვენც არ მომიკვ-
 დეთ, საშველს არ მაძლეედა, მაგრამ, ღვთის წყალობა გაქვთ,
 მე ის დავატრიალე: ისეთები მივაყოლე, რომ კულ-ამოძუებული
 მოჰკურცხლა, ისე რომ უკანაც არ მოუხედნია“.

მარიამ პავლეს ასული ამბობდა, ბავშვობიდანვე ვერ
 შეეუბრებდი ბატონურ ცხოვრებას და უბრალო მიყვარდა, რის-



თვისაც მუდამ მაყვედრიდნენ: ხან სამოახლოში, ხან სამზარეულოში და ხან თავლაში ხარ და არა სასტუმროში.

— მე კი მზარეულ დედაკაცთან და მეეტლეებთან უფრო თავისუფლად ვგრძნობდი თავს და მზარეულად ვიყავი, ვიდრე ჩვენს ბატონებთანა და ქალბატონთან, — ამბობდა მარია პავლოვნა: — შემდეგ, კარგად გავიგე და აშკარად დავინახე ჩვენის ცხოვრების მთელი სიყალბე და უაზრობა; დედა მე არა მყვანდა, მამა არ მიყვარდა: ცხრამეტის წლისა ვიყავი, როცა ერთ ამხანაგ ქალთან ერთად წავედი სახლიდან და შევედი მუშად ერთს ქარხანაში.

ქარხნიდან გამოსული სოფელში დაბრუნდა და ერთხანს იქა სცხოვრობდა. შემდეგ დაბრუნდა ქალაქში, სადაც დაიჭირეს და კატორღა გადაუწყვიტეს. მარია პავლოვნას არ უთქვამს ეს ამბავი, მაგრამ მასლოვის ქალმა სხვებისაგან გაიგო, რომ კატორღა ჰქონდა გადაწყვეტილი, რადგან სხვისი დანაშაული თვითონ იკისრა.

მას შემდეგ, რაც კატომ ეს ქალი გაიცნო, დარწმუნდა, რომ რაც უნდა გარემოებაში და სადაც უნდა ყოფილიყო, მარია პავლოვნა არასოდეს თავისთვის არა ჰფიქრობდა და მუდამ იმის ცდაში იყო, ვისთვის რა სამსახური და დახმარება გაეწია. ერთი მისი ამხანაგი ტუსალი კაცა — ნოვოდვოროვი — ხუმრობით ამბობდა, რომ ქველ-მოქმედება ავადმყოფობად აქვს გადაქცეულია. მას ცხოვრების იდეალად მხოლოდ ისა ჰქონდა, როგორ ეშოვნა შემოიხვევა სამსახური გაეწია ვისთვისმე; ყველა ამას ისე ბუნებრივად ასრულებდა, რომ აღარაფერ აღარ უფასებდა და თითქმის საგაღღებულოდაც გაუზადეს სხვების სამსახური.

ამ ორ დედაკაცს უფრო მეტად ის აკავშირებდა, რომ ორივენი ზიზღით უშვებდნენ ხორციელს სიყვარულს. ერთს ეზიზღებოდა იმიტომ, რომ წვენი იწვნია და უკვე სავსებით გამოსცადა მისი სიმწარე. მეორეს იმიტომ, რომ, რაკი გამოც-

Mm



დიდი არ იყო, ისე უყურებდა ხორციელს სიყვარულს, რომ გორც რალაც საზიზღარსა და ადამიანის ღირსების შემბღალღებ

VI

ერთად ერთი გავლენა, რომელშიც ღრმად გაიდგა ფესვები მასლოვის ქალის გულში, მარია პავლოვნას გავლენა იყო. მასლოვის ქალმა სულითა და გულით შეიყვარა მარია პავლოვნა. მეორე გავლენა სიმონსონისა იყო. ეს გავლენა იმან გამოიწვია, რომ სიმონსონს მასლოვის ქალი შეუყვარდა.

ხალხი ცხოვრებაში რამდენადმე თავისისა და რაზღენადმე სხვის აზრებით ჰხელმძღვანელობს. ადამიანთა შორის განსხვავება უმთავრესად იმით განისაზღვრება, თუ რამდენად ერთი თავის აზრებით ჰხელმძღვანელობს და მეორე სხვისით. ერთნი უმეტეს ნაწილად ისე სარგებლობენ თავის აზრებით, როგორც ჯონებრივ სათამაშოთი, ისე ეტყევა თავის გონებას, როგორც ღერძის ამტრიალებელ ბორბალს, რომელსაც სამოძრაო ტყავი აღარა აქვს გადავლებული, მოქმედებით კი სხვის აზრების გავლენით მოქმედებენ—ჩვეულებისა, გარდმოცემისა და კანონის მიხედვით იტყვიან; მეორენი კი თავიანთს აზრებს თავიანთისავე მოქმედების უმთავრეს ჩარხად სთვლიან და მუდამ თავიანთ გონების გავლენის ქვეშ არიან, მხოლოდ ძვირად, და ისიც კრიტიკულ განხილვის შემდეგ მიჰბაძავენ სხვებს. ასეთი კაცი იყო სიმონსონი. ყველაფერს კრიტიკულის თვალთ უცქეროდა, ყველაფერს ასწონ-დასწონავდა და, რასაც გადასწყვეტდა, იმას აკეთებდა ხოლმე.

ჯერ კიდევ გიმნაზიაში სწავლობდა, როცა გადასწყვიტა, რომ მამი-ჩემის—დიდის ინტენდანტის ჩინოვნიკის—შემძენილი ქონება უსინდისოდ შეძენილიაო და გამოუცხადა, ყველაფერს ხალხს დაეუბრებო. როცა მამამ, არა თუ არ შეასრულა მისი სიცივა, კიდევაც სასტიკად დასტუქსა ამ სისულელისათვის, მაშინვე მიატოვა სახლი და გადასწყვიტა არაფრით არ ესარგებლნა მამის ქონებიდან. გადასწყვიტა, რომ ყველაფერი, რაც



სული რამ ჰხდება ქვეყანაზე, ხალხის გაუნათლებლობის ბრალისა და, გაათავა თუ არა უნივერსიტეტი, დადგას თუ არა მასწავლებლად და მოსწავლეებსაც და გლეხებსაც დაუწყო ქადაგება ყოველ უსამართლოებაზედ.

ამიტომ დაატუსაღეს და გაასამართლეს.

გასამართლების დროს დარწმუნდა, რომ მოსამართლეებს არა ჰქონდათ ნება მისის გასამართლებისა და ეს აზრი კიდევ გამოსთქვა. როცა მოსამართლეები არ დაეთანხმნენ და განაგრძეს თავიანთი ჩვეულებრივი საქმე, მან გადასწყვიტა არ ებასუხნა და არც ერთ კითხვაზე ხმას არ იღებდა. ვაჰგზავნეს არხანგელსკის გუბერნიაში. იქ შეადგინა სარწმუნოებრივი სწავლა-მომღერება, რომლითაც განისაზღვრებოდა მთელი მისი მოქმედება. ეს სარწმუნოებრივი სწავლება შემდეგი იყო: ყველაფერი სულიერია ქვეყანაზე და არაფერი მკვდარი და უსულო არ არის, და ყველა ის საგნები, რომელსაც უსულო და არა-ორგანიულ საგნებადა ვსლელით, ყველა ერთის დიდის ორგანიულის სხეულის ნაწილია, რომელსაც ჩვენი გონება ვერ მისწვდება, ამიტომ ადამიანის დანიშნულება, როგორც დიდის ორგანიზმის ნაწილისა, ის არის, რომ ხელი შეუწყოს ამ ორგანიზმის სიცოცხლეს და ყველა მისს ცოცხალ ნაწილს. ქორწინების შესახებაც თავისი საკუთარი თეორია ჰქონდა: ხალხის გამრავლება ადამიანის უმდაბლესი ფუნქციაა და უმაღლესი კი ის არის, რომ უკვე ყოფილ არსებას ემსახუროს. ამ აზრის დასამტკიცებლად ჰხელმძღვანელობდა ადამიანის სისხლში ფაგოციტების არსებობით. უცოლო ადამიანი, მისის აზრით, იგივე ფაგოციტი იყო, რომლის უმთავრესი დანიშნულებაც ის არის, რომ დახმარება გაუწიოს სუსტისა და ავადმყოფ ორგანიზმის ნაწილებს. მას შემდეგ, რაც ეს გადასწყვიტა, სულ სხვანაირად დაიწყო ცხოვრება. თავის თავს, როგორც მარია პავლოვნას, საქვეყნო ფაგოციტებადა სთვლიდა.

კატოსადმი სიყვარული სრულიად წინააღმდეგი არ იყო მისის აზრებისა, რადგან პლატონიურ სიყვარულით უყვარდა



და ასეთი სიყვარული სრულიად არ ეწინააღმდეგებოდა ფეოდალური ციტიურ მოქმედებას და, პირ-იქით, ამხნევებდა კიდევ უფრო მოქმედებისადმი.

გარდა ზნეობრივ საკითხებისა, რომელსაც თავისებურადა სჭრიდა, პრაქტიკულ საკითხის უმრავლესობასაც ამ გვარადვე ჰხსნიდა. ყველა პრაქტიკულ საქმეზე თავისი განსაკუთრებული თეორია შეიმუშავა: წესად ჰქონდა დადებული, რამდენი საათი ემუშავა, რამდენი დაესვენა, როგორ ესაზრდოვნა, როგორ ჩაეცვა ტანთა, როგორ გაეთბო და გაენათებია ოთახი.

ყველა ამასთან სიმონსონი ხალხში წყნარი და თითქმის მშვიდარაღ იყო, მაგრამ როცა გადასწყვეტდა რაიმე, მისი დამკავებელი აღარაფერი იყო.

აი, ასეთმა კაცმა იქონია გავლენა მასლოვის ქალზე და შეიყვარა. მასლოვის ქალი ძალიან მალე მიხვდა ამას და იმ ფიქრ-მა, რომ ასეთის არა-ჩვეულებრივის კაცის გულში სიყვარული გამოიწვია, აღაშალა თავის თვალში. ნებლიუდოვი ირთავდა ცოლად, რომ თავისი სულ-გრძელობა დაემტკიცებინა და კიდევ იმიტომ, რომ წარსული აიძულებდა ასე მოქცეულიყო, სიმონსონს-კი უყვარდა ისე, როგორც ახლა იყო, და იმიტომ უყვარდა, რომ უყვარდა. გარდა ამისა, ჰგრძნობდა, რომ სიმონსონს უყვარდა, როგორც არა-ჩვეულებრივი ქალი, რომელიც ბევრად განსხვავდებოდა სხვებისაგან და განსაკუთრებულის, მაღალ ზნეობრივის თვისების პატრონი იყო. თუმცა ვერ მიმხვდარიყო, რა თვისებასა ჰხედავდა სიმონსონი, მაგრამ ყოველ შემთხვევაში მზად იყო ისე მოქცეულიყო, როგორც სიმონსონს მოეწონებოდა და ეს იამოვნებოდა.

პირველად დაიწყო ეს ამბავი მაშინ, როდესაც სატუსალოში, პოლიტიკურ დამნაშავეთა საზოგადო მნახველთა მისაღებ ოთახში, მასლოვამ იგრძნო სიმონსონის მიმართული მგზნებარე თვალები. მაშინვე მიჰხვდა, რომ ეს კაცი რაღაც სულ სხვა თვალებით უმზერდა. შემდეგ მეორედ დაინახა ტომსკში, როცა პოლიტიკურ დამნაშავეებთან გადაიყვანეს; თუმცა ერთი



სიტყვაც არ უთქვამთ ერთმანერთისათვის, მაგრამ შეხედული იგრძნეს, რომ საჭირონი იყვნენ ერთურთისათვის. შემდეგ ჰქონიათ შემთხვევა ელაპარაკნათ ერთმანერთთან, მაგრამ მასლოვა ჰგრძნობდა, რომ თუ სიმონსონი ელაპარაკობდა, მხოლოდ იმისთვის, და ამიტომ, რაც შეიძლება, გარკვევით და გასაგების ენით ვამოსთქვამდა ხოლმე თავის აზრებს. უფრო დამეგობრდნენ და ახლო გაიცნეს ერთმანერთი, როცა სიმონსონი სხვა „უგოლოვნებთან“ ერთად ფეხით გაუდგა გზას.

V

ნიენიდგან პერმამდე მხოლოდ ორჯელ მოახერხა ნებლიუდოვმა კატოს ნახვა. ერთხელ ნიენში და მეორედ პერმის სატუსალოს კანტორაში. ორჯელვე სასიამოვნოდ არ დარჩა მისი ნახვა. ყოველ ნახვაზედ კატო რაღაც ნაწყევტ-ნაწყევტად პასუხს აძლევდა დარცხვენითა. კატოს ასეთი გულცივობა ძლიერ სამწუხაროდ ჰქონდა ნებლიუდოვს. ძლიერ აფიქრებდა ის გარემოება, რომ ამ ცუდს ვითარებაში ყოფნას ძველებურად არ ჩაეთრია კატო და პაპიროსის წვეისა და არაყის სმისათვის არ მიეყო ხელი. შეველა არა შეგძლო-რა, რადგანაც მთლად ამ მგზავრობაში მხოლოდ ორჯელ მოახერხა მისი ნახვა. საბედნიეროდ, პოლიტიკურ დამნაშავეებთან გადაყვანის შემდეგ, ნებლიუდოვი დარწმუნდა, რომ მისი დახმარება საჭირო აღარ იყო, რადგან კატოს მაშინვე საკეთილო ცვლილება დაეტყო და, რაც დრო გადიოდა, მით გამოფხიზლება და სულიერად ამაღლება წინ მიდიოდა. ტომსკში პირველ ნახვაზედვე ისე მხიარული და მომღიმარე შეჰხვდა ნებლიუდოვს, რომ ნათლად დაინახა, რა სარგებლობა მოეტანა მისთვის პოლიტიკურებთან გადაყვანას.

ორისთვის მგზავრობის შემდეგ მისი გარეგანი ცხოვრებაც ძირიანად შეიცვალა. სადღა იყო წინანდელი კატო, რომელიც მუდამ იმის ცდაში იყო, რომ კობტად ჩაეცვა, კობტად დაეკუთლულებინა თმა, წაეცხო ფერ-უმარული, რათა ბევრს მო-



სწონებოდა. სულ სხვა იყო ახლანდელი კატო, სახე მზემ დღეწვეთ
თითქოს გახდა და მოხუცებულს დაემსგავსა, წინანდელ
თმას აღარ აქცევდა ყურადღებას და მუდამ თავსახვევით ჰქონდა
თავი წაკრული. არც ჩაცმა-დახურვასა და არც მიხერა-მოხერაში
წინანდელის სიკობტავის ნიშან-წყალიც-კი აღარ ეტყობოდა.
ასეთი აშკარა ცვლილება დიდად სასიამოვნო იყო ნებლიუდოვი-
სათვის.

ისეთის გრძნობით იყო გამსჭვალული ახლა ნებლიუდოვი,
როგორც თავის დღეში არ უგრძენია. ამ გრძნობას არაფი-
თარი კავშირი არა ჰქონდა არც წინანდელ პოეტურ გატაცე-
ბასთან, არც სიყვარულთან, რომელიც მან ბოლოს გამოსცადა,
და არც იმ გრძნობასთან, რომ ის კატოს შერთვით თავის
მოვალეობას ასრულებდა. ეს ის ნაზი და უბრალო გრძნობა
იყო, რომელიც აღედგრა პირველად კატოს ნახვის დროს სა-
ტუსსალოში და შემდეგ უფრო ძლიერად სააქადმყოფოში, რო-
დესაც თავი შეიმაგრა და აპატია კატოს ვითომდა ფერშალთან
მომხდარი ამბავი (რომელიც ნამდვილად შემდეგ გამოიჩვენა).
იგივე გრძნობა იყო, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მაშინ
დროებითი იყო, ახლა კი მუდმივი. ახლა რა მდგომარეობაშია
უნდა ყოფილიყო, ჰფიქრობდა, თუ აკეთებდა რასმე, მუდამ ამ-
გვარგრძნობით იყო გამსჭვალული, მაგრამ არა მარტო მასლოვის
ქალისადმი—ყველა ადამიანის შებრალებასა და შეწყალებას
პირველი ალაგი დაეჭირა მისს გულში.

მთლად მგზავრობაში ისე ჰგრძნობდა თავს ნებლიუდოვი,
რომ ყველაფერი აინტერესებდა, შეეტლედგან და გზის მცველ
ჯარის-კაციდგან დაწყებული სატუსსალოს უფროსსა და გუბერ-
ნატორამდე, რომელთანაც საქმე ჰქონდა.

მასლოვის ქალის პოლიტიკურ დამნაშავეებთან გადაყვა-
ნით ნებლიუდოვმა ბევრი მათგანი გაიცნო. პირველად ეკა-
ტერინბურგში, სადაც ყველანი ერთს კამერაში იყვნენ და
ფართოდ სარგებლობდნენ თავისუფლებით, და შემდეგ იმ ხუთ



კაცსა და ოთხ ქალსაც გაეცნო, რომლებთანაც მასლოვის ქალი იყო.

როცა ახლოს გაიცნო ისინი ნებლიუდოვმა, დარწმუნდა, რომ არც ისეთი ავაზაკები იყვნენ, როგორადაც უმრავლესობასა ჰქონდა წარმოდგენილი, და არც ისეთი გმირები, როგორადაც ბევრი მათგანი სთელიდა თავის წრის ხალხს, არამედ ჩვეულებრივი ადამიანები, რომელთა შორისაც, როგორც ყოველგან, კარგებიც იყვნენ, ცუდებიცა და საშუალო ღირსებისანიც. ბევრი მათგანი, რასაკვირველია, ეგონისტურის მიმართულებით ჰხელმძღვანელობდა და თავიანთი თავი დიდ ბუმბერაზად ჰყავდათ წარმოდგენილი.

როცა ახლო გაიცნო ნებლიუდოვმა, მიხვდა, რომ ბევრი მათგანი მასზე მალლა იდგა და ბევრი-კი დაბლა. ნებლიუდოვიც ზოგს გულგრილად უყურებდა და ზოგი-კი სულითა და გულით შეიყვარა.

ყველაზე მეტად შეიყვარა ნებლიუდოვმა ახალგაზდა ქლეკიანი კრილცოვი, რომელიც იმ ჯგუფთან ერთად მიდიოდა, რომელშიაც მასლოვის ქალი ვერა. კრილცოვს კატარღა ჰქონდა გადაწყვეტილი. პირველად ეკატერინბურგში გაიცნო ნებლიუდოვმა და მას შემდეგ რამდენჯერმე ინახულა და მეგობრულად გაუბა მასლათი. ერთხელ, ზაფხულში, როცა ტუსაღები ერთს ეტაპზე გაჩერდნენ მთელის დღით, მთლად ეს დღე ნებლიუდოვმა კრილცოვთან გაატარა და კრილცოვმა, სხვათა შორის, თავისი ისტორიაც უამბო. სატუსაღოში შესვლამდე მისი ისტორია ძალიან მოკლე იყო. ჯერ კიდევ ბავშვი იყო, როცა მამა თურმე მოუკვდა, ჩრდილოეთ გუბერნიის მდიდარი მემამულე. დედას ძლიერ უყვარდა და ყოველსანე ღონესა ჰხმარობდა, თავისი ერთად-ერთი შვილი რიგიანად აღეზარდა. გიმნაზიაშიცა და უნივერსიტეტშიც მშვენივრად სწავლობდა და მათემათიკურ ფაკულტეტის პირველ კანდიდატად გაათავა უნივერსიტეტი. ურჩივს დარჩენილიყო ისევ უნივერსიტეტში და შემდეგ საზღვარ-გარედ წასულიყო, მაგრამ არა ჩქარობდა.



ამ დროს უყვარდა ერთი ქალიშვილი და უნდოდა შეერთო
კოლად, რათა ორივეს ხელი-ხელ ჩაკიდულთ ხალხში
მნათ. ყველაფერი უნდოდა და ვერაფერი კი ვერ გადაწყვი-
ტა. ამ დროს ამხანაგებმა მოსთხოვეს ფული საზოგადო საქმის
საქიროებისათვის. იცოდა, რა საზოგადო საქმეც იყო და, თუმ-
ცა მაშინ ეგ საქმე სრულიად არ აინტერესებდა, მაინც, რათა
ამხანაგებს არ ეფიქრათ ეშინიანო, მისცა ფული. ფულის მი-
მღებნი მახეში გაებნენ. ხელში ჩაიგდეს ბარათი, რომლიდანაც
გაიგეს, რომ ფული კრილცოვს მიეცა, — და ყმაწვილი კაცი
დაატუსაღეს.

სატუსაღოდგან გამოსვლის შემდეგ ხან პეტერბურგში
იყო, ხან საზღვარ-გარედ, ხან კიევში და ხან ადესაში. საუ-
ბედუროდ, ერთმა მისმა ერთგულმა ამხანაგმა, როგორც იუდამ,
ისე გაპყიდა. დაატუსაღეს ისევ. ორის წლის ციხეში ჯდომის
შემდეგ, გაასამართლეს და სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს,
მაგრამ სიკვდილი საოკუნო კატორღად შეუცვალეს.

სატუსაღოში, სხვა სიკეთესთან, ქლექიც შეიძინა თვი-
თონაც კარგად იცოდა, რომ ასეთ სასტიკ გარემოებაში რამ-
დენიმე თვე-ღა თუ დარჩენოდა სიცოცხლე.

VI

იმ დღეს, როდესაც გზის მკველ აფიცერს. ტუსაღების
გამოსვლის დროს შეტაკება მოუხდა ტუსაღებთან ბავშვის გუ-
ლისთვის, ნებლიუდოვმა სასტუმროში გაათია ღამე და დილით
გვიან გაიღვიძა. მაშინვე წერილების წერას შეუდგა; ეს წერი-
ლები საგუბერნიო ქალაქის ფოსტაში უნდა მიეცა, ამიტომ
ჩვეულებრივზე უფრო გვიან გამოვიდა სასტუმროდგან და სა-
ღამოს ძლივს მიღწია იმ ადგილას სოფელში, სადაც ტუსაღები
იყვნენ. ჩამოხტა აქ სასტუმროში, რომელიც ჩასუქებულ
ქვრივ დედაკაცს ეჭირა, გაიშრო სველი ტანისამოსი, დალია
ჩაი და შემდეგ წავიდა გზის მკველ აფიცერთან ნებართვის
ასაღებად.



წინად, თუმცა გზის მცველი აფიცრები ხშირად ეკვლე-
ბოდნენ, არ უშვებდნენ ნებლიუდოეს ტუსალები, სანამაქედ
ამიტომ თითქმის ერთს კვირაზედ მეტი იყო, რაც კატო არ
ენახა. ეს სისასტიკე იმან გამოიწვია, რომ ვილაც უფროსს
უნდა გამოეგლო. ახლა უფროსს უკვე ვაგვლო და ნებლი-
უდოეს იმედი ჰქონდა, რომ გზის მცველი აფიცერი ნებას
მისცემდა კატოს ნახვისას.

სასტუმროს პატრონმა ქალმა ეტლი დაუთმო ნებლიუ-
დოეს ტუსალების ბინაზე წასასვლელად, მაგრამ ნებლიუდოე-
მა ფეხით არჩია წასვლა. გზის მაჩვენებლად ახალდაზდა გლე-
ხი გაიყოლია. ქუჩებში ისე ჰბნელოდა, რომ თვალში თითს
ვერ მიიტანდა აღამიანი. გაიარეს ეკკლესიის ახლო მოედანი
და გავიდნენ სოფლის ბოლოზე. აქაც ისე ჰბნელოდა, რომ
ორ ნაბიჯზე რისამე გარჩევა შეუძლებელი იყო. მაგრამ ჩქა-
რა გამოჩნდა სატუსალოს მიბუტული ფარნები. მიუახლოვდნენ
თუ არა სატუსალოს, დარაჯმა ჩვეულებრივ დაიძახა: „ვინ
მოდის“-ო, და როცა გაიგო, ჩინიანები არ არიანო, ისე მკაც-
რად მოექცა, რომ ქუჩაში ცდაც კი არ დააცალა; მაინც
ნებლიუდოვის მხლებელი არ შედრკა.

— რა ამბავია, ბიჭო, რა ნახე? რა გაჯავრებს?—უთხრა
მან დარაჯს, — შენს უფროსს დაუძახე და ჩვენ აქ დაეცდით.

დარაჯმა გასძახა ვილასაც კიშკრიდგან და შემდეგ გაშ-
ტერებული დაუწყო ყურება გლეხს, რომელიც გასვრილ
წაღებს ნაფოტით უწმენდა ნებლიუდოეს. სატუსალოდან ხმა-
ურობა ისმოდა. ცოტა ხნის შემდეგ გაილო კარები და გამო-
ვიდა უფროსი ჯარის-კაცი. ნებლიუდოვმა გადასცა ბარათი; ამ
ბარათით სთხოვდა აფიცერს, მიელო. სთხოვა ჯარის-კაცს, გარ-
დაეცი ოფიცერსაო. უფროსი ჯარის-კაცი მეტად ცნობის მო-
ყვარე გამოდგა. უეჭველად უნდოდა ვაგვო, ვინ იყო ან რა
საქმე ჰქონდა აფიცერთან. შეატყო, რომ საკბილო იშოვნა
და არ უნდოდა ხელიდგან გაეშვა. ნებლიუდოვმა უთხრა,
ფრიად საჭირო საქმე მაქვს და გთხოვ გადასცე ეს ბარათიო;



ამისთვის გასამრჯელოსაც შეჰპირდა. სალდათმა წაიღო ბარათი, ორი წუთიც არ გასულა, რომ ალაყაფის კარები ისევ გაიღო და სატუსალოს ეზოდან რამდენიმე დედაკაცი გამოვიდა, რომლებსაც კალათები და სხვა-და-სხვა ბარგი მოჰქონდათ და ხმამაღლა ღაპარაკობდნენ თავიანთ, კიმბირულ კილოზე. დაუახლოვდნენ თუ არა ნებლიუდოვს, ცნობის მოყვარეობით აათვალიერ-ჩაათვარიერეს. ერთს მათგანს სახე გაუბრწყინდა, დაინახა თუ არა ნებლიუდოვის მხლებელი გლეხი და აღერსიანად შეუკუროთბა კიმბირულად.

— შე ქაჯო, რას გაჩერებულხარ აქა?— მიჰმართა მან გლეხს.

— აგერ, მგზავრი გამოვაცილე, — უპასუხა გლეხმა, — შენ რაღა მოიტანე?

— რძე მოვიტანე და მიბრძანეს, დილაზედ მოგვიტანეო.

— ღამე არ გაგათევენეს?— დაეკითხა გლეხი.

— მეხი კი დავათხლიშე მაგ ქეციან თავზე, შე ფლიდო, შენა!— შეუტია მან სიცილით, — წამო ჩქარა, მიგვაცილე სოფლამდე.

გლეხმა კიდევ რაღაც ისეთი სასაცილო უბუბრა, რომ მრისხანე დარაჯიც კი გააცინა და მიუბრუნდა ნებლიუდოვს:

— ახლა ხომ გაიგნებთ გზას, ბატონო? არ დაიბნეეთ?

— გავიგნებ, გავიგნებ.

— ეკკლესიის ახლოს რომ გაივლით, ორ-სართულიანის სახლის იქით, მეორე, მარჯვნივ. აი, ჯობი ინებეთ, — უთხრა მან ნებლიუდოვს და გადასცა ვეებერთელა კეტი. თვითონ კი სირბილით გამოუდგა უკან ქალებს.

მისი ხმა ჯერ კიდევ ისმოდა, როცა ისევ გაიღო ალაყაფის კარები და სალდათმა შეიწვია ნებლიუდოვი აფიცერთან.

VII

სატუსალო, როგორც საზოგადოდ კიმბირის გზებზე არის ხოლმე, რამდენისამე შენობისაგან შესდგებოდა და გარს წვე-



ტიანი მესრები ჰქონდა შემოვლებული. ერთი მოზრდილი სახლი ტუსაღებისთვის იყო დანიშნული, მეორე — გუნის მცველ სალდათებისთვის და მესამეში აფიცერი სცხოვრობდა და კანცელიარიაც იქვე იყო მოთავსებული. სახლები ყველა განათებული იყო და აქა-იქ ეზოშიაც ბეუტაედა ფარნები.

უნტერ-აფიცერი გაუძღვა ნებლიუდოვს და ერთ პატარა სახლის კარებთან მიიყვანა. აპყენენ კიბეს და, აიარეს თუ არა სამ საფეხურამდე, უნტერ-აფიცერი უკან ჩამოდგა და წინ გაუძღვა ნებლიუდოვი; ისინი შევიდნენ წინა ოთახში, რომელიც მთლად გაბოლილი იყო ლამპრის კვამლით. აქ დაუხვდათ სალდათი, რომელსაც ერთი წალა წაედრო, სამოვრის პირზე ჩამოეცვა და უბერაედა სამოვარს.

დაინახა თუ არა ნებლიუდოვი, დაანება თავი სამოვარს, მოჰხადა ქურქი ნებლიუდოვს და შევიდა ოთახში.

— მოვიდა, თქვენო კეთილშობილებავ.

— მაშ, დაუძახე! — მოისმა მრისხანე ხმა.

— შემოდით, — უთხრა სალდათმა ნებლიუდოვს და თვითონ ისევ სამოვარს მიუბრუნდა. მეორე ოთახში, მაგიდასთან, რომელზედაც ელაგა სადილის მონარჩენი საქმელები და ორი ბოთლი, იჯდა ავსტრიულ კურტკაში გამოწყობილი გრძელ, ქერა უღვაშებიანი აფიცერი. ოთახში, თამბაქოს სუნს გარდა, კიდევ რალაც საზარელი სუნი იდგა. ნებლიუდოვის შემოსვლაზე აფიცერმა ცოტათი წამოიწია და დამკინაფის თვალგბით გადაჰხედა.

— რა გნებაეთ? — ჰკითხა მან და პასუხისთვის არ მოუცდია, დაუყვირა კარებისკენ:

— ბერნოვ! სამოვარი როდის იქნება?

— ამ წუთში.

— მე შენ მოგცემ ამ წუთში, ბრიყვო! — დაუყვირა აფიცერმა და თვალები დაუბრიალა.

— მომაქვს, — დაიძახა სალდათმა და შემოიტანა სამოვარი. ნებლიუდოვი ელოდა, სანამ სალდათი სამოვარს შემოი-



ტანდა და დასდგამდა (აფიცურმა თვალები გააყოლა), რომელიც
სამოვარი დადგეს, აფიცურმა ჩაჰყარა ჩაინიკში ჩაი, შემდეგ
გამოიღო შკაფიდან კონიაკის ბოთლი და ბისკეიტები, დააწ-
ყო ყველა ეს მაგიდაზე და მიუბრუნდა ისევ ნებლიუდოვს.

— რით შემოდლიან გემსახუროთ?

— გთხოვთ, ერთის ტუსალ ქალის ნახვის ნება მომცეთ,
— უთხრა მან.

— პოლიტიკური დამნაშავეა? ეგ კანონით აღკრძალუ-
ლია, — უპასუხა აფიცურმა.

— ის ქალი პოლიტიკური დამნაშავე არ გახლავთ.

— გთხოვთ უმოკრჩილესად, დაბრძანდეთ, — მიიწვია ნებ-
ლიუდოვი, რომელიც საჩქაროდ ჩამოჯდა.

— პოლიტიკური დამნაშავე არ არის, — განაგრძო მან, —
მაგრამ, ჩემის თხოვნით, უმაღლესმა მთავრობამ ნება მისცა
პოლიტიკურ დამნაშავეებთან ერთად მგზავრობისა.

— ჰო, ვიცო, — გააწყვეტინა აფიცურმა: — დაბალ-დაბალი,
შავგვრემანი? როგორ არა, შეიძლება. პაპიროსს არ ინებებთ?
მიუწია ნებლიუდოვს პაპიროსებიანი კოლოფი, კობტად
დაასხა ორი ჭიქა ჩაი და ერთი ნებლიუდოვს გადაუღდა.

— გთხოვთ, — უთხრა მან.

— გმადლობთ. შე მინდოდა მენახა...

— ლამე დიდია, მოასწრობთ. ვუბრძანებ გამოუძახონ.

— არ შეიძლება იქ წავიდეთ და იქ ვინახულო? — უთხრა
ნებლიუდოვმა.

— პოლიტიკურ დამნაშავეებთან? ეგ კანონიერი საქმე
არ იქნება?

— თითქმის ყველგან მაძლევდნენ იქ შესვლის ნებას.
თუ იმისი გეშინიანთ, რომ გადაესცემ რასმე, მაგას ხომ მი-
სის ხელითაც შეიძლება?

— ვერ მოგართვით, გასჩხრეკენ! — უთხრა აფიცურმა და
უსიამოვნოდ გაიცინა.

— მაშ, გამჩხრიკეთ.



— უმაგისოდაც მოხერხდება, — უთხრა აფიცრმა და სასმელი დაუსხა.

— ინებებთ? თქვენი ნებაა, როგორც გსურდეთ. უნდა მოგახსენოთ, რომ სწორედ ჯოჯოხეთია ჩვენი ცხოვრება. სცხოვრობ კაცი ასეთ მიყრუებულ ალაგას, როგორც ციმბირია, და ისე გადის თვეები და წლები, რომ ერთ განათლებულ კაცს ვერ შეჰხედები. თქვენც კარგად იცით, რა სადაგელი სამსახურია ჩვენი სამსახური; მით უმეტეს ძნელია ასეთი სამსახური, რომ სხვა ცხოვრებას არის შეჩვეული კაცი. ჩვენზე ხომ უცნაური შეჰხედულება აქვს ყველას. გზის მცველი აფიცერი უთუოდ ერთი გაუთლელი და გარყვნილი კაცი უნდა იყოს, და იმას კი არა ჰფიქრობენ, რომ შესაძლოა კაცი სულ სხვა რამისთვის არის დაბადებული.

ნებლიუდოვს თუშკა საშინლად ეზიზღებოდა და ბოაზიც მოსდიოდა, როდესაც აფიცრის წამოქარხანებულს სახეს ჰხედავდა, მთელი მისი მიხვრა-მოხვრა, მორთულობა, უსიამოვნო ღრეჭა ზიზღსა ჰგვრიდა, მაგრამ, როგორც ყოველთვის, თავს იკერდა და არ უნდოდა შეემჩნევინებინა რამე, თავს დალა დაატანა, მოუსმინა აფიცრს და შემდეგ სერიოზულის კილოთი უთხრა:

— ჩემის აზრით, თქვენს თანამდებობაში მყოფმა შეიძლება ნუგეში ჰპოვოს მით, რომ შეუმსუბუქოს ხალხს ტანჯვა.

— განა მათი ტანჯვა ტანჯვაა?! ისინი ხომ ისეთი ხალხია, რომ...

— როგორ თუ ისეთი ხალხი? ისეთები არიან, როგორც ყველა სხვა, და თანაც ბევრი უდანაშაულოდაც კი იტანჯება.

— რასაკვირველია, არიან მაგისტანებიც. კიდევაც მეცოდება, ღვთის წინაშე. სხვები ისე ექცევიან, როგორც პირუტყვებს, და მე-კი, რითაც შემიძლიან, ვსცდილობ შემწეობა აღმოვეუჩინო. ისა სჯობია, მე ვიტანჯო, ოღონდ იმათ კი რაიმე სარგებლობა მოვეუტანო; მოჰხდება თუ არა რამე, სხვები მაშინვე კანონს დაიხვეწენ ხელზედ და მე კი მეცოდება. ინე-



ზებთ? მიირთვით, — უთხრა მან და კიდევ დაუსხა ჩაბრუნების
არის ის ქალი, ვისიც ნახვა გსურთ? — ჰკითხა მან. ბიზლიცონა

— უბედურია, უსამართლოდ კაცის მოწამლის ბრალი
დასდეს; სამაგალითო ქალი კია, — უპასუხა ნებლიუდოვმა.

აფიცერმა თავი გაიქნია.

— ეგეც მოჰხდება ხოლმე. ყაზანში იყო ერთი — სახე-
ლად ემმა ერქვა, შთამომავლობით უნგრელი იყო და თვა-
ლები კი ნამდვილი სპარსული ჰქონდა, — განაგრძო აფი-
ცერმა შეკავებულის ღიმილით, — ისეთი კოხტა და წარმოსა-
დგვი იყო, რომ ნამდვილი გრაფინია გეგონებოდათ...

ნებლიუდოვმა გააწყვეტინა ლაპარაკი და ისევ წინანდელი
ამბავი დაიწყო:

— მე მგონია, დიდი შეღავათი შეგიძლიანთ მისცეთ ამ
ხალხს, სანამ თქვენს ხელ-ქვეშ არიან. ამ გვარის მოქმედებით
დიდ ბედნიერებას იგრძნობთ და თქვენს სიხარულს საზღვარი
არ ექმნება, — უთხრა ნებლიუდოვმა.

აფიცერი გაბრწყინებულის თვალებით მისჩერებოდა ნებ-
ლიუდოვს და ელოდა, როდის გაათავებდა ლაპარაკს, რომ
ისევ უნგრელ ქალის ამბავი განეგრძო.

— ჰო, ვსთქვათ, რომ ეგ სიმართლეა, — უთხრა მან, —
მეც მებრალეობა ისინი, მხოლოდ მინდოდა იმ ემმას ამბავი
შეთქვა თქვენთვის. იცით, რასა შერებოდა...

— მე ეგ სრულიად არ შეინტერესება, — შეეკამათა ნებ-
ლიუდოვი, — პირდაპირ უნდა გითხრათ, რომ, თუმცა წინად
მეც მაგრეთი ვიყავი, მაგრამ ახლა საშინლად მეზიზღება ქა-
ლებთან აგრე მოქცევა.

აფიცერმა თვალები დააქუცია.

— ჩაის არ ინებებთ კიდევ? — ჰკითხა მან.

— არა, გმადლობთ.

— ბერნოვ! — დაიძახა აფიცერმა, — გააცილეთ ვაკულოვთან
და უთხარი, პოლიტიკურ დამნაშავეებთან შეუშვას კამერაში.
შეუძლიანთ შემოწმებამდე დარჩეთ.



VIII

ნებლიუდოვი და სალდათი გავიდნენ ეზოში, სადაც მკრთალად ბეუტავდა ფარნები.

— საით?—დაეკითხა ერთი გზის მკველი სალდათი.

— მებუთე ნომერში.

— აქ ვერ გაივლით, დაკეტილია. მეორე კარებიდან მოუარეთ.

— რაო, დაკეტილია?

— უფროსმა დაკეტა და თვითონ სოფელში წავიდა.

სალდათი გაუძღვა ნებლიუდოვს მეორე კარებისაკენ. სატუსალოდან საშინელი ხმაურობა ისმოდა და უფრო იმატა, როცა იქ ნებლიუდოვი შევიდა; ისმოდა ყვირილი და ლანძღვა-გინება. მოისმა ბორკილების ჩხარუნი და ნებლიუდოვს ნაცნობი, მყრალი ჰაერი ეცა ცხვირში.

ამ სანახაობამ ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა ნებლიუდოვზე, რომ საძაგელ გუნებაზედ დადგა.

დერეფნის ერთ კუთხეში ვებერთელა ბოქვა იდგა, რომლიდანაც ისეთი სუნი ამოდიოდა, რომ ადამიანს გულს შემოეყრებოდა. დერეფნიდან იწყებოდა კარიდორი, რომლის გასწვრივაც რიგ-რიგზე კარები იყო ჩამწყვრივებული. პირველი კამერა ცოლშვილიანებისათვის იყო, მეორე დიდი კამერა უცოლოებისათვის და კარიდორის ბოლოში ორი პატარა კამერა—პოლიტიკურ დამნაშავეებისათვის. ტუსაღების სადგომი, რომელიც 150 კაცისთვის იყო დანიშნული, 450 კაცს იტევდა, ამიტომ ისეთი სივიწროვე იყო, რომ კარიდორი სულ გაეცსოთ ტუსაღებით. ზოგი იატაკზე იჯდა, ზოგი იქვე წამოწოლილიყო და ზოგსაც ცხელი წყალი მიჰქონდა ჩაისთვის. მათ შორის ტარასიც იყო. ის დაეწია ნებლიუდოვს და აღერსიანად მიესალმა. ტარასის სახე აქა-იქ სულ დალურჯებული ჰქონდა.

— რა დაგემართათ?—ჰკითხა ნებლიუდოვმა.



— რალაც საქმე მოხდა, — ღიმილით უპასუხა ტარასიმ.
 — მუდამ ჩხუბობენ, — ზიზღითა სიტყვა მხლებელმა

კაცმა.

— ქალის გულისთვის, — დაუმატა ერთმა ტუსაღმა, რომელიც მათ უკან მიდიოდა: — ბრმა ფედკას დაეტაკა.

— თეოდოსია როგორ არის? — ჰკითხა ნებლიუდოვმა.

— არა უშავს, კარგად არის; აი, ჩაისთვის ცხელი წყალი მიმაქვს მასთან, — უთხრა ტარასიმ და შევიდა კამერაში.

ნებლიუდოვმა შეიხვედა კამერაში. მთელი კამერა საესე იყო ქალებითა და კაცებით. ზოგი ტახტზე იჯდა და ზოგნი ისე ეყარნენ იატაკზე. ისეთი მყრალი სუნის იდგა შიგ და ისეთი ამბავი ჰქონდათ ტუსაღებს, რომ მეორედ მოსელა ეგონებოდა ადამიანს. შემდეგი კამერა უცოლოებისა იყო. აქ მთლად გატენილი იყო ხალხით, თითქმის კარებში და კარიდორშიაც იდგნენ ტუსაღები და რალაზედაც ხმა-მალლა ლაპარაკობდნენ. ნხლებელმა ჯარის-კაცმა აუხსნა ნებლიუდოვს, რომ აქ უფროსი ურიგებდა მათ იმ ფულს, რომელიც თამაშობის დროს წაეგოთ. დაინახეს თუ არა უნტერ-აფიცერი და ნებლიუდოვი, ტუსაღებმა ლაპარაკი შესწყვიტეს და უკმაყოფილოდ ათვალაიერ-ჩაიგალიერეს ისინი. მოლაპარაკეთა შორის ნებლიუდოვმა შენიშნა ნაცნობი კატორღელი ფედლოროვი და საზიზღარის შეხედულობის უცხვირო „ბროდიავა“, რომელიც ცნობილი იყო მით, რომ გაქცევის დროს ტყეში თავისი ამბანავი მოჰკლა და მისის ხორციით იკვებებოდა. „ბროდიავა“ კარებში იდგა და დამცინავის თვალებით და თავხედურად უმზერდა ნებლიუდოვს. ნებლიუდოვმა გვერდი აუარა.

თუმცა ნებლიუდოვისთვის ნაცნობი იყო ეს სანახაობა, რამდენჯერმე ენახა ამ სამის თვის განმავლობაში ეს 400 ტუსაღი სხვა-და-სხვა მდგომარეობაში: საშინელ სიციხეში გზაში, სადაც მათ ბორკილების თრევით მტვრის ბული დაეყენებიათ, გზებზე დაყრილნი დასასვენებლად, სატუსაღოს ეზოში, სადაც საშინელი ამბები ხდებოდა, მაგრამ როცა მათ ახლოს



იყო, რაღაც უზერბულად ჰგრძნობდა თავს და სიტყვებით იწოდა, რომ დამნაშავე იყო მათ წინაშე. ყველაზე უფრო მძიმე ის იყო მისთვის, რომ თანაგრძნობასთან ერთად საშინელ ზიზღსა და სიძულვილს ჰგრძნობდა, თუმცა იცოდა, რომ იმ გარემოებაში, რომელშიაც ისინი იყვნენ, არ შეიძლებოდა სხვაფორივ მოქცევა, მაგრამ მაინც თავისდა უნებურად ეზიზღებოდა ისინი.

— ამ მუქთა მკამლეებს რა უჭირთ,— გაიგონა ნებლიუდოვმა, როდესაც პოლიტიკურების კამერას დაუბირდაპირდა. ეს სიტყვები ვიღასიც ჩაბრინწიანებულმა ხმამ სთქვა და თან უშვერის სიტყვებით ლანძღვა დაიწყო.

გაისმა საზარელი, დამცინავი ხარხარი.

IX

გაიარეს თუ არა უცოლო ტუსაღების კამერა, უნტერ-აფიცერი უკან გამობრუნდა, უთბრა ნებლიუდოვს, რომ შემოწმების შემდეგ მოვალეო და წავიდა. როგორც კი წავიდა უნტერ-აფიცერი, ნებლიუდოვთან მივიდა ბორკილების ჩხარაჩხურით ვიღაც ტუსაღი, რომელსაც ისეთი ოფლის სუნი ასლიოდა, რომ კინალამ გულს შემოეყარა ნებლიუდოვს, და იღუმალის ხმით წასჩურჩულა:

— გვიშველეთ, ბატონო! საძაგლად გამოიჭირეს საწყალი ბიჭი. დღეს ჩაბარების დროსა სთქვა, რომ კარმანოვი ვარო. გვიშველეთ რამე, ღვთის ვულისთვის, ჩვენ არ შეგვიძლიან, მოგვკლავენ,— უთბრა ტუსაღმა და საჩქაროდ მოშორდა.

საქმე აი რაში იყო: ერთმა საკატორღემ — კარმანოვმა, დაიყოლია ნებაზე ვიღაც ახალგაზდა, რომელიც ძალიანა ჰგავდა მას და ციხირში იყო გადასახლებული, შეეცვალა მისთვის სასჯელი, რომ ის კატორღაში წასულიყო და კარმანოვი მის ალაგას.

ნებლიუდოვმა იცოდა ეს ამბავი, რადგან იმავე ტუსაღმა უთბრა ერთის კვირის წინად. ნებლიუდოვმა თავი დაუქნია, იმის



ნიშნად, რომ ყველაფერი გავიგე და ვეცდები გაეაყვინოს ჩემს
ქმეო, და არც კი მოუხდენია, ისე გასწია წინ.

ნებლიუდოვი ამ ტუსალს ეკატერინბურგიდგან იცნობდა, სადაც მან სთხოვა ეშუამდგომლა მთავრობასთან, რომ ცოლის გაყიდვის ნება მიეცათ, და ახლა ძლიერ აკვირებდა მისი საქციელი. ის იყო შუათანა ტანის გლეხი, ასე 30 წლისა, და გაძარცვისა და მკვლელობის განზრახვისათვის კატორღა ჰქონდა გადაწყვეტილი. სახელად მაკარ დევკინს ეძახდნენ. მისი დანაშაული გასაოცარი იყო. როგორც მან უამბო ნებლიუდოვს, ერთხელ მაკარის მამასთან შეიარა ვილაც მგზავრმა და 40 ვერსის მანძილზე ორ მანათად მარბილი სთხოვა. მამამ უბრძანა მაკარს, გაჰყოლოდა მგზავრს. მაკარმა შეუბა ცხენები, ტანთ ჩაიცვა და მგზავრთან ერთად ჩაის სმა დაიწყო. ჩაის სმის დროს, სხვათა შორის, სთქვა მგზავრმა, ცოლის შესართავად მივდივარ და თან ჩემი შექმნილი 500 მანათი მიმაქვსო. გაიგონა თუ არა ეს მაკარმა, გამოვიდა გარედ და ჩასდო ცუდი მარბილში თივის ქვეშ.

„მე თვითონ არ ვიცი, რატომ წავიღე ცული“, — ამბობდა. — „წაიღე ცულიო“, — მითბრა წყეულმა და მეც წავიღე. დავაჯექით და წავედით, მივდივართ და მე თითქმის კიდევაც დამავიწყდა ცული. მივუახლოვდით თუ არა სოფელს — მხოლოდ ექვსი ვერსი-ლა დაგვრჩენადა — შევუდექით გორაკს. გადმოვხტი მარბილიდგან და გავყვევი ფეხით. ას მიწურჩულებს: „რას უყურებ? აივლი გორაკს, იქვე სოფელია, ხალხსაც შეჰხედები, და ის წაიღებს ფულსაო“. დავიხარე მარბილისკენ, ვითომ თივას ვასწორებდი, და ცული თავის თავად ხელში მომხვდა. მოიხედა უკან. „რას შერებიო“? მეკითხება. ამ დროს, რაც ძალი და ღონე მქონდა, მოვუქნიე ცული, მინდოდა კარგად მეთხლიშა, მაგრამ ისეთი ყოჩალი კაცი გამოდგა, რომ მარდად გადმოხტა მარბილიდგან და ხელებში მეცა. „რას შერები, შე ავაზაკო?“ — დამიყვირა მან, წამაქცია თოვლში და მე არც კი შევბრძოლებივარ, ისე დაენებდი. შემიკრა ხე-



ლები და ჩამავდო მარხილში. წამიყვანა პირდაპირ სადგურზე. ჩამსვეს ციხეში და გამასამართლეს. საუბედურობა, ვინაა ვინაა დაეიჭირე კარგი, — ამბობდა მაკარი, — და ამიტომ ოთხის წლით კატორღა მომიხაჯეს“.

ახლა ამ კაცმა, მეზობლის დახსნის გულისთვის, თუმცა იცოდა, რომ ამ სიტყვებით მისი სიცოცხლე ძაფზედ ეკიდა, მაინც გაუშვილა ნებლიუდოვს ტუსალების საიდუმლო, რისთვისაც, რომ გაეგოთ, უეჭველად ჩამოაღრჩობდნენ.

X

პოლიტიკურ დამნაშავეთა სადგომი ორის პატრა ოთხისაგან შესდგებოდა. კარიდორი, სადაც კამერებში შესაველი კარები იყო, გადაკედლული იყო. როცა იქ შევიდა ნებლიუდოვი, დაინახა სიმონსონი, რომელიც ღუმელის ახლოს იჯდა და ხელში მუხის შეშის ნაჭერი ეჭირა.

დაინახა თუ არა ნებლიუდოვი, არც-კი წამომდგარა ისე გაუწოდა ხელი.

— ძლიერ მოხარული ვარ, რომ თქვენ მოხვედით, რადგან ჩემთვის ძლიერ საჭიროა თქვენი ნაბეა, — უთხრა მან სერიოზულის კილოთი და თვალი თვალში გაუყარა ნებლიუდოვს.

— რაშია საქმე? — ჰკითხა ნებლიუდოვმა.

— მერე იყოს, ახლა საქმეში ვარ.

ისევ მიუბრუნდა ღუმელს, რომელსაც თავის თეორიის ხელმძღვანელობით ახურებდა, რომ ნაკლები სითბო დაეკარგა.

ის იყო, ნებლიუდოვი პირველ კარებში შესვლას აპირებდა, რომ მეორე კარებიდან, ცოცხით ხელში, რომელითაც ნაგავს მიხვეტავდა ღუმელისავენ, გამოვიდა მასლოვა. დაინახა თუ არა ნებლიუდოვი, წელში გაიმართა, გადაავლო ცოცხი, გაიწმინდა ხელები კაბაზედ და მხიარული და მთლად გაწითლებული გაიერდა მის წინ.



— ოთახებს ალაგებ? — უთხრა ნებლიუდოვმა დაეჭვებული
ჩამოართვა.

— დიალ, ჩემი ძველი ხელობაა, — უპასუხა მან და გაი-
ლიმა: — ისეთი სიბინძურეა, რომ ვერ წარმოიდგენთ. ვსწმენდთ,
ვსწმენდთ და... წამოსასხამი გაშრა თუ არა? — მიჰმართა მან
სიმონსონს.

— თითქმის, — უპასუხა სიმონსონმა და ისეთის თვალებით
შეჰხედა, რომ ნებლიუდოვი გაშტერდა.

— მაშ მე წავალ და ქურქებს მოვიტან გასაშრობად.
ჩვენები ყველანი იქ არიან, — უთხრა მან ნებლიუდოვს და
მახლობელ კარებზე უჩვენა.

ნებლიუდოვი შევიდა პატარა კამერაში, რომელიც ოდნავ
განათებული იყო თუნუქის ლამპარით. კამერაში საშინლად
ციოდა და სინესტისა და თამბაქოს კვამლის სუნი იდგა.

ყველანი იქ იყვნენ, გარდა ორის ქალისა, რომელიც ჩა-
ის წყლისა და საქმელისათვის წასულიყვნენ. აქ იყო ნებლიუ-
დოვის ძველი მეგობარი ვერა ეფრემოენაც, რომელიც კიდევ
უფრო გაყვითლებულიყო და გამხდარიყო. ის იჯდა, გაზეთის
ქალალღზე თამბაქო დაეყარა და გაჩქარებული პაპიროსებს
აკეთებდა.

იქვე იყო ემილია რანცვეაც, რომელიც ყველა პოლი-
ტიკურებში მეტად შეუყვარდა ნებლიუდოვს. ის იჯდა ლამ-
პარის ახლოს და ჩაის ჭურჭელს რეცხავდა.

რანცვეისა, თუმცა შეხედულობით არ იყო მაინცა და
მაინც ლამაზი, მაგრამ საკმაო იყო ერთი მისი ღიმილი, რომ
მთლად გამოცვლილიყო. ასეთის ღიმილით შეჰხედა ის ნებ-
ლიუდოვს.

— ჩვენ კი გვეგონა, რომ თქვენ უკვე რუსეთში დაბ-
რუნდით, — უთხრა მან.

იქვე კუთხეში იჯდა მარია პავლოვნა და პატარა თივ-
თეთრა გოგოს ვალერსებოდა.

— რა კარგია, რომ მოხვედით! ნახეთ კატო? — ჰკითხა



მან ნებლიუდოვს:—ხედავთ, რა სტუმარი გვყავს ^{სურუთხრა} პატარა გოგოზე უჩვენა.

იქვე იყო ანატოლი კრილცოვიც; ის საშინლად გაფითრებული მიმჯდარიყო კუთხეში, ხელები ხალათის სახელოებში შეეყუა, საცოდავად მოკუნტულიყო და მთლად აკანკალებული მისჩერებოდა ნებლიუდოვს. ნებლიუდოვმა დააპირა მასთან მისვლა, მაგრამ კარების ახლოს დაინახა ახალგაზდა, თმა-ხუჭუჭი და სათვალეებიანი კაცი, რომელიც ლამაზ პერტას ელაპარაკებოდა და ტომარაში რაღასაც ეძებდა. ეს იყო ნოვოდვოროვი. ნებლიუდოვმა საჩქაროდ ხელი ჩამოართვა. დაჩქარების მიზეზი ის იყო, რომ მთლად პოლიტიკურ დამნაშავეებში მარტო ეს ერთად ერთი კაცი არ მოსწონდა ნებლიუდოვს.

ნოდვოროვმა გადმოჰხედა სათვალეებს ზემოდ და ხელი ჩამოართვა.

— კარგად მოგზაურობთ?—ირონიულის ღიმილით დაეკითხა ნებლიუდოვს.

— დიად, ბევრი რამ არის საინტერესო, —უპასუხა ნებლიუდოვმა და, თითქოს ვერ შეჰნიშნა ირონიული ღიმილით, მივიდა კრილცოვთან.

თუმცა გარეგნულად გულ-გრილად მოექცა ნებლიუდოვი ნოდვოროვს, მაგრამ ნამდვილად კი იმასაც სხვებსავეთ პატრისა სცემდა, თუმცა კი არ მოსწონდა. იმისმა ასეთმა ქცევამ და დამცინავმა კილომ ცუდ გუნებაზე დააყენა ნებლიუდოვი.

— როგორა ხართ?—უთხრა კრილცოვს და ხელი გაუწოდა.

— არა მიშავს-რა, მაგრამ უბედურება ეს არის, რომ საშინლად მცივა და ჩემი გათბობა არასგზით არ მოხერხდა, —უთხრა კრილცოვმა და ხელები ისევ ხალათის სახელოებში დაშალა:—ჰხედავთ, რა საშინელი სიცოცხეა? მერე ასეთ საძაგელ კამერაში! სარკმლები სულ ჩამტვრეულია, ხომ ხედავთ?



კრილცოვმა ხელით ანიშნა სარკმელზე, სადაც ორჯერ დაჯდნის
ნა ჩამტვრეული იყო.

— რა მოგივიდათ, რომ ამდენ ხანს ვერა გენახეთ?

— არ მიშვებდნენ, სასტიკი მთავრობაა, ხომ იცი. ახლა
რალაც კარგ ხასიათზე შემხვდა აფიცერი.

— დიან, კარგის ხასიათისაა, როგორ არა! აბა ჰკითხეთ
მაშოს, რა ამბები დაუთენა დილით?

მარია პავლოვნა არც კი წამომდგარა, ისე უამბო, რაც
ამბავი მოჰხდა დილით პატარა გოგოს თაობაზე.

— ჩემის აზრით, საქიროა ყველამ ერთად პროტესტი
განვაცხადოთ,—სთქვა გადაქრით ვერა ეფრემოვნამ:—თუმცა
ვლადიმერმა რალაც კი უთხრა, მაგრამ ეს არა კმარა.

— რა პროტესტი?—წყენით წარმოსთქვა კრილცოვმა.

ცხადი იყო, რომ ვერა ეფრემოვნას ბელოვნური კილო
ბრაზსა ჰგვრიდა კრილცოვს.

— კატოს ეძებთ?—მიუბრუნდა კრილცოვი ნებლიუდოვს:
—ის მუდამ საქმეშია, ოთახებსა სწმენდავს. ჩვენი ოთახი
გასწმინდა და ახლა ქალების ოთახსა სწმენდავს. მაგრამ იმ შე-
ჩვენებულ რწყილებს კი ვერაფერი მოვუხერხეთ. ისე იკბინე-
ბიან, როგორც ძაღლები. მაშო იქ რას აკეთებს?—ჰკითხა
კრილცოვმა და მარია პავლოვნაზედ უჩვენა.

— გოგოს თმის ვარცხნის,—უპასუხა რანცევისამ.

— ნადირებს ხომ არ შემოგვისევეს, ნეტა?

— არა, არა, ნუ გეშინიანთ. ახლა სუფთად არის,—
უთხრა მარია პავლოვნამ:—წაიყვანე,—მიუბრუნდა რანცე-
ვისას,—მე წავალ და კატოს ვუშველი.

რანცევისამ აიყვანა ბავშვი, დაისვა მუხლებზე და დედა-
ბრულად აღერსი დაუწყო.

მარია პავლოვნა კამერიდგან გავიდა. ცოტა ხნის შემ-
დეგ შემოვიდა ორი კაცი, რომელთაც ცხელი წყალი და სა-
გზალი შემოიტანეს.



XI

ერთი შემოსულთაგანი შუათანა ტანის ახალგაზდა, გამ-
 ხდარი კაცი იყო; ჩქარის ნაბიჯით შემოვიდა და ცხელი წყა-
 ლი და ილღიაში ამოჩრდილი პური შემოიტანა.

— თავადიც მობრძანებულა?!—სთქვა მან და გადასცა
 პური მასლოვის ქალს.—რა ვიყიდეთ, რომ იცოდეთ!—სთქვა
 მან და ქურქი ტახტზე მიაგდო:—მარკელმა რძე და კვერცი
 იყიდა; დღეს ნამდვილი მეჯლისი გვექნება. კირილოვნას
 მთელი თავისი ესტეტიური სიწმინდე გამოუჩენია,—სთქვა
 მან და ღიმილით ჩანცვევისას გადაჰხედა:—აბა, ახლა ჩაი გა-
 ამზადე.

ამ კაცის ყოველი მიზერა-მოხერა და თვითოეული სიტყვა
 მკვეთრი და სიცოცხლით სავსე იყო. მეორე შემოსულთაგა-
 ნიც ასეთივე დაბალი და გამხდარი კაცი იყო, მაგრამ მისი
 სვედიანი სახე რალაც სულ სხვა შთაბეჭდილებას ახდენდა ადა-
 მიანზედ. ტანთ გახუნებული დაბამბული პალტო და წაღები
 ეცვა კალოშებით. ამან შემოიტანა ორი ქილა, დასდო, თავი
 დაუკრა ნებლიუდოვს, შემდეგ უხასიათოდ ხელი ჩამოართვა
 და კალათიდან პურის ამოლაგება დაიწყო.

ორივე ეს ტუსალი ხალხის შვილი იყო: ერთი იყო გლე-
 ხი ნაბატოვი, მეორე—ქარხნის მუშა მარკელ კანდრატიევი.
 მარკელი მან წლისა იქმნებოდა, როცა მუშათა მოძრაობაში
 მოჰყვა, ნაბატოვი კი სულ ახალგაზდა იყო, ასე 18 წლისა.
 განსაკუთრებულის ნიჭის წყალობით, სოფლის პირველ-დაწ-
 ყებით სკოლიდგან გიმნაზიაში იქმნა გადაყვანილი, სადაც კურსი
 გაათავა ოქროს მედლით, მაგრამ უნივერსიტეტში სწავლაზე
 უარი განაცხადა, რადგან მე-VII კლასიდანვე ჰქონდა გადა-
 წყვეტილი; რომ გიმნაზიის გათავების შემდეგ ხალხში ჩამდგა-
 რიყო, იმ ხალხში, რომლიდგანაც ის გამოვიდა, და მთელი
 თავისი ძალ-ღონე ხალხისთვის შეეწირა. სიტყვა ჩქარა საქმედ
 აქცია: პირველად შევიდა სოფლის სამმართველოში მწერ-



ლად, მაგრამ ჩქარა დაატუსაღეს. სატუსალოში რვა თვე იჯდა შემდეგ გამოუშვეს და პოლიციის ზედამხედველობის იმყოფებოდა. გამოვიდა თუ არა სატუსალოდგან, მაშინვე გადავიდა სხვა გუბერნიაში, სხვა სოფელში, აქ ხელ-ახლა დაიჭირეს და წელიწადი და ორი თვე ამყოფეს სატუსალოში.

აქედგან ის გაგზავნეს პერმის გუბერნიაში. პერმში დიდხანს არ დარჩენილა, მაშინვე გაიქცა, მაგრამ ისევ დაიჭირეს და არხანგელსკის გუბერნიაში გაგზავნეს. აქედგან ირკუტსკის გუბერნიაში უკრეს თავი. ასე რომ, ნახევარი სიცოცხლე სატუსალოებსა და სხვა-და-სხვა ალაგას გაატარა. ამგვარმა არა ნორმალურმა ცხოვრებამ არა თუ შეასუსტა მისი ენერჯია, არამედ უფრო მტკიცედაც მოეკიდა საქმეს. როცა თავისუფლად იყო, სულითა და გულით მტკიცედ ასრულებდა თავის მოვალეობას და დაულაღავედ მუშაობდა იმ საქმისთვის, რომელიც ცხოვრების იდეალად დაესახა. განათლება, მუშათა შეერთება, უმეტესად გლეხებისა—აი რა გაეხადა მას დევიზად. სატუსალოში ყოფნის დროსაც არ ეცემოდა სულით და აქედგანაც მტკიცედ ასრულებდა თავის მოვალეობას: მიწერ-მოწერა ჰქონდა გარედ. ის აზრი ჰქონდა, რომ მისთვის არაფერი არ იყო საჭირო და საზოგადოებისა და იმ წრისათვის, რომელშიაც ის ტრიალებდა, მზად იყო შეეღია თავისი ძალღონე. ამ დროს მისთვის არც ძილი, არც სმა-ქამა და მოსვენება არ არსებობდა. როგორც გლეხი, ყველაფრის ამტანი იყო და ვერავითარი ტანჯვა-წვალება ხელს ვერ შეუშლიდა მოქმედებაში. მოხუცი დედა, უსწავლელი გლეხის ქალი, ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და ნაბატოვი, როცა თავისუფალი იყო, შევლიდა მას. როცა სახლში ყოფნა მოუხდებოდა ხოლმე, უკვირდებოდა მისის ცხოვრების ყოველსავე წვრილმანებს და თან თავის ძველ ამხანაგ ბიჭებთან ძველებურად ატარებდა დროს. იმ აზრისა იყო, რომ ხალხის ცხოვრების ძირიანად შეცვლა საჭირო არ იყო. ამ აზრში არ ეთანხმებოდა ნოვოდგოროვსა და მარკელ კონდრატიევს.



სარწმუნოების მხრივ ნამდვილი გლეხი იყო: თავის დღეში არ დაფიქრებულა მეტაფიზიკურ საკითხებზე. მისთვის ჰიპოტეზა იყო მხოლოდ, სხვა არაფერი, და ამიტომ ჯერ-ჯერობით არ საჭიროებდა. მისთვის სრულიად საჭირო არ იყო სცოდნოდა როგორ გაჩნდა ქვეყანა და, დარეინინში, რომელიც ასე მნიშვნელოვანი იყო მისის ამხანაგებისათვის, რაღაც სათამაშო საგნად მიაჩნდა.

მას მუდამ ერთი საკითხი ედგა თვალ-წინ: როგორ გაეუმჯობესებინა ცხოვრება და ქვეყნის შექმნა, ხოლო სხვა ამისთანა საკითხები უმნიშვნელო იყო მისთვის და სრულიად არ აინტერესებდა საიქიო ცხოვრებაზე თავის დღეში არ დაფიქრებულა, რადგან, როგორც გლეხს, მტკიცედ სწამდა, რომ ქვეყანაზე არაფერი არა კვდება და მუდამ ერთის ფორმიდან მეორეზე გადადის, როგორც, მაგალითად, პატრი თესლად კეთდება, თესლი ქათმად, თავკობაღა ბაყაყად, მატლი პეპელად, რკო მუხად და სხ. — კაციც ასეა, ის კი არა კვდება, სხვა ფორმაში გადადის. ამ მოსაზრებით ის მუდამ მედგრად ეგებებოდა სიკვდილს და ყოველსავე გაქირვებას ადვილად იტანდა. მუდამ შრომობდა, მუდამ პრაქტიკულ საქმეში იყო გართული და მუდამ სცდილობდა ამხანაგებიც წაექვებებინა ასეთ მდგომარეობაზე.

XII

მეორე ტუსალი, მარკელ კონდრატიევი, სულ სხვა ჯურის კაცი იყო. თხუთმეტის წლის იქნებოდა, როცა მუშაობა დაიწყო და მაშინვე პაპიროსის წვეასა და სმას მიჰყო ხელი, რომ ჩაკლა გულში ის გრძნობა, რომელიც მას აშკარად ნახულმა უსამართლოებამ აღუძრა. ეს გრძნობა პირველად მაშინ აღუძრა, როცა ერთხელ ქარხნის პატრონის ცოლმა შობის ხე გაუმართა ბავშვებს და მისს ბავშვებს რაღაც უბრალო, გროშის საღირალი ნივთები მისცეს, ხოლო მექარხნის ბავშვებს კი ძვირფასი, რომელიც, როგორც გაიგო მარკელმა, 50 შ.-მდე ჰლირდა.



საქართველოს
საბჭოთაო
საზღვრო
სამართლებრივი
სამსახური

ოცის წლისა იქნებოდა, როცა იმ ქარხანაში, სადაც
შობდა, ერთი ახალგაზდა ინტელიგენტი ქალი დადგა და,
რა შეჭნიშნა კონდრატიევს განსაკუთრებული ნიჭი, მისცა
წიგნები და დაუწყო ლაპარაკი მისის მდგომარეობის შესახებ,
როგორ უნდა გაეუმჯობესებინა თავისი ცხოვრება. მას ნათლად
წარმოუდგა, როგორ შეიძლებოდა ამ მდგომარეობიდან თავის
დაღწევა, არა თუ მარტო იმისთვის, არამედ მთელის მისის ამხა-
ნაგებისათვისაც კი. მაგრამ ეს კი ვერ წარმოედგინა, თუ რო-
გორ შეიძლებოდა მარტო ცოდნით შეესრულებინა თავისი
იდეალი; ყოველ შემთხვევაში, დარწმუნებული იყო, რომ
როგორც ამ ცოდნამ აუხსნა მისი მდგომარეობა, ისე ეს ცოდნა
გამოუნახებდა საშუალებას, რომ დაეღწია თავი ამ მდგომარეო-
ბიდან. მან დაანება თავი სმას და ჰაპიროსის წევს და მთელ
თავისუფალ დროს კითხვას ანდომებდა.

ის ქალიშვილი ასწავლიდა მას და განცვიფრებაში მოდიოდა
მისის განსაკუთრებულის ნიჭით. ორ წელიწადში მან შეისწავლა
ალგებრა, გეომეტრია, რომელიც ისე ძლიერ უყვარდა, და
გადაიკითხა თითქმის მთელი ლიტერატურა, უმთავრესად კი
სოციალური.

ქალიშვილი ჩქარა დაიჭირეს და მასთან ერთად კონდრა-
ტიევიც; ესენი გაგზავნეს ვოლოგდის გუბერნიაში, სადაც
გაიცნო ნოვოდვოროვი. იქ უფრო ბევრი წიგნები წაიკითხა
და განვითარდა. ჩქარა აქედგან გამოიქცა; დაიჭირეს, ჩამო-
ართვეს ყოველივე ღირსება და ისევ გაგზავნეს სხვა ალღას.

ის ნაშდვილი ასკეტი იყო და რაც უნდა მდგომარეობაში
ყოფილიყო ყველაფერს ადვილად იტანდა, შიმშილს სიცივეს.
როგორც ჯანსაღი და ღონიერი, ის ყოველსავე ფიზიკურ სა-
მუშაოს აკეთებდა, მაგრამ მეტ დროს კითხვას ანდომებდა.
ახლა მარქსის პირველ ტომს კითხულობდა და ისე უფრთხილ-
დებოდა ამ წიგნს, როგორც ძვირფასს განძს. ყველა ამხანა-
გებს თავ-დაქერიითა და გულ-გრილად ეპყრობოდა, გარდა



ნოვოდვოროვისა, რომელზედაც სულითა და გულით მინდობილი იყო და მისს ამა თუ იმ საგანზე მსჯელობას უწყობდა ტეზად სთვლიდა.

ქალები, საზოგადოდ, ყველა სძულდა, მიგრამ მასლოვის ქალი ებრალებოდა და მუდამ აღერსიანად ეპყრობოდა, რადგან მისს არსებაში ჰხედავდა მალალ კლასისაგან დაბალ კლასის ექსპლუატაციის მაგალითს. ამ მოსაზრებით არც ნებლიუდოვი უყვარდა და არასოდეს ხელს არ ართმევდა, გაუწვდიდა ხალმე ხელს იმიტომ, რომ ნებლიუდოვს ჩამოერთვია.

XIII

ლუმელი გახურდა. ჩაი უკვე მზად იყო, ჩაასხეს კიქებში და რძით შეათეთრეს. დაალაგეს ტახტზე, რომელიც მაგიდის მაგიერობას ასრულებდა: ცხვრის ხორცი, ახალი პური, მოხარული კვერცხები, კარაქი და ცხვრის თავ-ფეხი და გარს შემოუსხდნენ. თან სჭამდნენ და თან გაცხარებული ლაპარაკი ჰქონდათ. რანცევისა კოლოფზე წამოსკუბულიყო და ჩაის ასხამდა. ყველანი იქ ისხდნენ. გარდა კრილცოვისა, რომელიც მშრალ ქურქში გახვეულიყო, იჯდა კუთხეში და ნებლიუდოვს ებაასებოდა.

ყველა იმ გაჭირვების შემდეგ, რომელიც მათ გზაში შეჰხვდათ, და იმ სიბინძურისა და უწესრიგობის შემდეგ, რომელიც აქ ნახეს და რომლის გასაწესრიგებლად და გასასუფთავებლადაც დიდი შრომა დასჭირდათ, თავისუფლად ჰგრძნობდნენ თავს ისინი აქ ყველაზე მეტად თავისუფლად იყვნენ. ყველაფერზე ლაპარაკობდნენ, გარდა თავიანთ მდგომარეობისა. გარდა ამისა, როგორც საზოგადოდ ჰხდებოდა ქალ-ვაეთა შორის, მათ შორის დაიბადა სხვა-და-სხვა გვარი კავშირი. თითქმის ყველანი შეყვარებულნი იყვნენ. ნოვოდვოროვს უყვარდა მუდამ მომღიმარე ლამაზი გრაბეცი. გრაბეცი ახალგაზდა კურსისტკა იყო, პოლიტიკაზე თითქმის ცოტასა ჰფიქრობდა და გულ-გრილად უყურებდა ამ გვარ საგნებს. ის აჰყვა ფეხის



ხმას, რაღაზედაც შენიშნეს და ამიტომ გაპგზავნეს. მისი ერთადერთი მოსწრაფება კაცებთან გამარჯვება იყო. ახლა მთელ მს. ხავერობაში იმით ნუგეშობდა, რომ ნოვოდვოროვი მოჰხიბლა და თვითონაც შეიყვარა იგი. ვერა ფერემოვნას ხან ნაბატოვი უყვარდა და ხან ნოვოდვოროვი. რაღაც სიყვარულის მსგავსი კავშირი კრილცოვსა და მარია პავლოვნას შორისაც იყო. მას უყვარდა მარია პავლოვნა ისე, როგორც საზოგადოდ უყვართ კაცებს ქალები, მაგრამ რაკი იცოდა მარია პავლოვნას ამბავი, ხელოვნურად ჰფარავდა ამას და მისის სიყვარულის გრძნობა მხოლოდ მადლობის გამოცხადებაში იხატებოდა. ნაბატოვი და რანცევისა ნამდვილ სიყვარულის რთულის კავშირით იყვნენ ერთმანეთთან დაახლოვებულნი. როგორც მარია პავლოვნა უმანკო ქალიშვილი იყო, ისე რანცევისა უმწიკვლო და პატიოსნებით სავსე ქმრიანი ქალი იყო.

თექვსმეტის წლისა ჯერ ისევ გიმნაზიაში იყო, როდესაც შეუყვარდა პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი რანცევი და უნივერსიტეტის გათავებაშდე კიდევ გაჰყვა ცოლად. მეოთხე კურსზე მისი ქმარი მოჰყვა სტუდენტების არეულობაში და პეტერბურგიდგან გააძევეს. რანცევისამ მიატოვა საექიმო კურსები და გაჰყვა ქმარს. ვერ წირმოედგინა, თუ მისის ქმრისთანა ჰკვიანი და ნასწავლი ჰყვეანაზე ვინმე იქნებოდა, და რომ სცოდნოდა, ისეთი არ იყო, როგორიც მას წარმოდგენილი ჰქონდა, არ შეუყვარდებოდა და, რაკი არ შეუყვარდებოდა, ცოლადაც არ გაჰყვებოდა. მაგრამ რაკი ეოთხელ შეიყვარა და გაჰყვა, მტკიცედ ასრულებდა თავის მოვალეობას და წინანდებურად სწამდა, რომ მისი ქმარი ჰკვიანი და ყველაზე განათლებული იყო; რანცევას წინად ასე ესმოდა ცხოვრება, რომ. რაც შეიძლება, მეტი სწავლა-განვითარება საჭირო, და ისიც ხარბად ეწაფებოდა. მას კარგად ესმოდა, რომ არსებული ვითარებანი მძიმე და აუტანელი იყო და ყოველის კაცის ჰირდაპირ მოვალეობას შეადგენდა ებრძოლა ამ ვითარებათა წინააღმდეგ, რათა ის მწუობრი ცხოვრება დაემყარე-



ბინა, როდესაც აღამიანის პიროვნებას შესძლებოდა, თავისუფლად განვითარება და სხ.; ეგონა, ასე ვფიქრობდა, მისი ნამდვილად კი იმასა ჰფიქრობდა, რასაც ქმარი. მისის ქმრის აზრი კი სრულ ჭეშმარიტებად მიაჩნდა.

ქმრისა და ბავშვის დაშორება ძალიან სამწუხარო იყო მისთვის, მაგრამ მედგრად იტანდა ყოველსავე გაქირვებას, რადგან იცოდა, რომ ყველაფერს იმ საქმის გულისათვის იტანდა, რომელსაც მისი ქმარი ემსახურებოდა. ფიქრით მუდამ ქმართან იყო და იმაზე ჰფიქრობდა; როგორც წინააღმდეგობა, ახლაც მარტო ის უყვარდა, სხვა არავინ და არც შეეძლო სხვა შეეყვარებინა. მაგრამ ნაბატოვის წმინდა და ერთგული სიყვარული ძლიერ აღელვებდა. ნაბატოვი, როგორც ზნე-მალალი და მაგარის ხასიათის კაცი, მეტე მისის ქმრის ამბანაგი, სცდილობდა ისე მოჰქცეოდა, როგორც დას, მაგრამ რაც დრო მიდიოდა, მათი დამოკიდებულება სულ სხვა ხასიათს იღებდა. ეს გარემოება კიდევაც ამინებდა ორივეს და თანაც მათს ტანჯულს ცხოვრებას მალამოდ ეცხებოდა.

ასე რომ, სიყვარულისაგან თავისუფალი მათ შორის იყვნენ მხოლოდ მარია პავლოვნა და კონდრატიევი.

XIV

ნეხლიუდოვი ელოდა, სანამ ჩაის სმას გაათავებდნენ, რომ მარტოდ ენახა კატო, იჯდა კრილცოვთან და ებაახებოდა. სხვათა შორის, უამბო მაკარის ამბავიცა და ისიც, თუ როგორ მიჰმართა მან.

— დიად, — უტბად წამოაძახა კრილცოვმა: — ხშირად მაფიქრებს ის აზრი, რომ ჩვენ იმათთან ერთად მივდივართ... ახლა, არ იკითხავთ, ვინ იმათთან? თვით იმ ხალხთან, რომლის გულისთვისაც ამდენს ტანჯვა-წვალებას ვიტანთ. ჩვენ კი არამც თუ არ ვიქნობთ, არც კი გვინდა მათი გაცნობა. ისინი კიდევ უფრო შორს წავიდნენ. წარმოიდგინეთ, ვეზიზღებით



კიდევცა და, როგორც მტრებს, ისე გვიყურებენ...საშინელი
ღიზღინით

— მართალია, ამხედ უფრო საშინელი არა არის რა, —
სთქვა ნოვოდვოროვმა, რომელიც მათს ლაპარაკს ყურს უგ-
დებდა: — ბრბო მუდამ თავხედი და განუვითარებელია.

ამ დროს ასტყდა ერთი ხმაურობა და ვაი-უშველებელი.
მოისმა ჯახა-ჯუხი და ბორკილების ჩხარა-ჩხური. ვილასაცა
სცემდნენ და ვილაც ხმა-მალლა გაჰკიოდა „ყარაულ“-ო.

— აი, ის მხეცები! რა უნდა იყოს ჩვენსა და იმათ შორის
საერთო? — წყნარად წარმოსთქვა ნოვოდვოროვმა.

— შენ ამბობ — მხეცებიო?! აი, ახლა მიაშბო ნებლი-
უდოემა, თუ რა ჩაუდენია ერთს თქვენ-მიერ დასახელებულ
მხეცთაგანს, — ბრაზით წარმოსთქვა კრილცოვმა და უამბო,
თუ როგორა სწირავდა თავს მაკარი მეზობლის დახსნისათვის: —
ეს მხეცობა კი არა, ნამდვილი გმირობაა, გმირობა!

— სენტიმენტალისტობაა, — დაცინვით უთხრა ნოვო-
დვოროვმა: — ჩვენ არ შეგვიძლიან გავიგოთ ამ ხალხის მისწრა-
ფება და მათის მოქმედების მიზეზები. შენ აქ გმირობასა ჰხედავ-
და, შეიძლება, იმ საკატორღეს შურის ძიება კი აღაპარაკებდეს.

— ეს როგორ არის, რომ არასოდეს არ გინდა სხვა კაცს
კარგი რამ თვისება შეამჩნიო? — უცბად გაცხარებით წამოიძახა
მარია პავლოვნამ, რომელიც ყველას „შენობით“ ელაპარა-
კებოდა.

— არ შეიძლება დავინახო ის, რაც არ არის.

— როგორ არ არის, როცა კაცი სასიკვდილოდ თავს
იმეტებს.

— ჩემის აზრით, — დაიწყო ნოვოდვოროვმა, — თუ გვინდა,
რომ ჩვენი საქმე გავაკეთოთ, თავი და თავი ის არის, რომ
(კონდრატიევი დასდო წიგნი ლამპასთან, სადაც კითხულობდა,
და გულმოდგინედ დაუგდო ყური თავის მასწავლებელს) ფან-
ტაზიას თავი დავანებოთ და ისე შევხედოთ ყოველსავე სა-



განს, როგორც ნამდვილად არის. ვიმოქმედოთ ხალხისთვის და სამაგიეროს ნურცა ვთხოულობთ და ნურც ველით. ხალხი ჩვენის მოქმედების საგანია, მაგრამ არ შეუძლიან მხარი დაგვიჭიროს, სანამ ასეთს გარემოებაში იქნებიან, როგორც ახლა არიან, — დაიწყეთ ისე, თითქოს ლექციას კითხულობსო: — ამიტომ ილიუზია იქნება ჩვენთვის, რომ შემწეობას ველოდეთ მათგან, სანამ განვითარების პროცესი არ მომხდარა, ის პროცესი განვითარებისა, რომლისთვისაც იმათ ვამზადდებით.

— რომელი განვითარების პროცესი? — წამოიძახა კრილკოვმა და მეტის მღელვარებისაგან საშინლად გაწითლდა: — ჩვენ ვამბობთ, რომ წინააღმდეგნი ვართ ძალმომრეობისაო, და განა ეს ყველაზე უფრო უსაშინელესი ძალ-მომრეობა არ არის?

— აქ არავითარი ძალმომრეობა არ არის, — წყნარად უპასუხა ნოვოდვორცის: — მე ვამბობ მხოლოდ, რომ ვიცი ის გზა, რომელზედაც უნდა წავიდეს ხალხი, და შემიძლიან ამ გზის ჩვენება.

— კარგი, მაგრამ რატომ ხარ დარწმუნებული, რომ ის გზა, რომელიც შენ უნდა უჩვენო, ქვეშაირითა? განა ეს იგივე დესპოტიზმი არ არის, რომელმაც წარმოშობა ინკვიზიცია და სასტიკი წამება დიდის რევოლუციის დროს? იმათაც იცოდნენ მეცნიერების ერთი ქვეშაირითი გზა.

— რაკი ისინი სცემოდნენ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვითომ მეცა ვესცდებოდე. გარდა ამისა, დიდი განსხვავებაა იდეოლოგიების ბოდვასა და ეკონომიურ მეცნიერების მოძღვრებას შორის.

მხოლოდ მართა ნოვოდვორცის ხმა ისმოდა კარებში. ის ლაპარაკობდა და სხვები ყურს უგდებდნენ.

— მუდამ ჩხუბობენ, — სთქვა მარია პავლოვნამ, როცა ნოვოდვორცი ცოტათი დაჩუმდა.

— თქვენ თვითონ რა აზრისა ხართ ამ საგნის შესახებ? — ჰკითხა ნეხლიუდოვმა მარია პავლოვნას.



— მე ვფიქრობ, რომ ანატოლი მართალია; არ შეიძლება ჩვენი შეხედულება მოვახვიოთ ხალხს თავზე.

— საკვირველი წარმოდგენაა ჩვენს მისწრაფებაზედ, — სთქვა ნოვოდვოროვი, დაჩუმდა და ბრაზით პაპიროსს წვეა დაუწყაო.

— არ შემიძლიან მაგათთან ლაპარაკი, — ჩურჩულით უთხრა კრილცოვმა და ჩაჩუმდა.

— უმჯობესია, არ ელაპარაკოთ, — უთხრა ნებლიუდოვმა.

XV

თუმცა ყველა პოლიტიკური დამნაშავენი დიდს პატივსა სცემდნენ ნოვოდვოროვს და თუმცა განვითარებული და ქვეიანი კაცი იყო, ნებლიუდოვი მაინც იმ ხალხთან ერთად აყენებდა, რომელიც თავისის ზნეობრივის თვისებით საშუალოზედ დაბლა იდგა.

დიდი განსხვავება იყო იმასა და სიმონსონს შუა: სიმონსონი ისეთი კაცი იყო, რომლის მოქმედებაც მისის აზრის პირდაპირი შედეგი იყო და მისის აზრით განისაზღვრებოდა. ნოვოდვოროვი კი ისეთი კაცი იყო, რომლის აზრთა მოქმედებაც მიმართული იყო ერთის მისწრაფების მისაღწევად, რომელიც გრძნობისგან წარმოშობილია, ან და იმ მოქმედების გასამართლებლად, რომელიც გრძნობამ გამოიწვია.

ნებლიუდოვის აზრით, ნოვოდვოროვის მოქმედება თავმოწონების შედეგი იყო, რათა პირველი ადგილი დაეჭირა ხალხის თვალში. წინად, როცა მისის ნიჭის წყალობით შეეძლო სხვისის აზრების შესწავლა და შემდეგ მისი გადაცემა, მოსწავლეობის დროს, როცა ასეთი ნიჭი ძვირფასად ჰფასობს (გიმნაზია, უნივერსიტეტი, მაგისტერსტეო), პირველი ალბადი ეჭირა და ძალიან კმაყოფილიც იყო. მაგრამ, როცა სწავლა დაამთავრა და დიპლომი მიიღო, მისი პირველობაც გათავდა; უცბად, — როგორც უამბო კრილცოვმა ნებლიუდოვს, — ისევ პირველობა რომ მიეღო ახალ სფერაში, სრულიად გამოიცივა-



ლა თავისი შეხედულება. იმის წყალობით, რომ, მისს ხასიათში ალაგი არა ჰქონდა არავითარს ესტეტურსა და მხედობრივს თავისებას, რომელიც გამოიწვევს ხოლმე რყევასა და ეჭვს, ჩქარა დაიჭირა მისის თავმოყვარეობის დასაკმაყოფილებელი ალაგი—ერთის დასის წინამძღოლი შეიქმნა. რაკი ერთხელ ამოირჩია ერთი მიმართულება, არასოდეს ეჭვი არ აღძვრია, და ამიტომ დარწმუნებული იყო, რომ ერთხელაც არ შეეცდებოდა. ყველაფერი უბრალოდ ეწვეებოდა. მისის მოკლე და ცალმხრივის შეხედულებით, მართლაც ყველაფერი უბრალო და ნათელი იყო და საჭირო იყო მხოლოდ, როგორც თვითონ ამბობდა, ლოდიკის პატრონი ყოფილიყო კაცი. საკუთარს რწმენას ისე მაგრად გაედგა ფესვები მისს გულსა და გონებაში, რომ ან სულ დაშორებული და განზე გამდგარი იყო ყველა მისგან და ან მთლად ბრმა თავყვანისმცემელი იყო მისი და რადგანაც ის ჰმოქმედებდა ჯერ სულ ახალგაზდა კაცებში, რომელნიც მისი დიდი თავყვანისმცემელნი იყვნენ და ყოველსავე მისს სიტყვას ჰეშმარიტებად სთვლიდნენ, დიდი გამარჯვება და სახელი მოიხვეჭა.

ამხანაგები პატივსა სცემდნენ, როგორც მამაცსა და მტკიცე ხასიათის ადამიანს, მაგრამ არ უყვარდათ კი. მისაც თითქმის არავინ არ უყვარდა და ყველა გამოჩენილ ადამიანთ ისე უყურებდა, როგორც თავის მოპირდაპირეს; მზად იყო სხვებისთვის ამოეგლიჯა მთელი ტვინი, მთელი ნიჭი, რათა ხელი არ შეეშალათ მისთვის; მხოლოდ იმ ხალხს შესცქეროდა კარგის თვლით, რომელიც თავყვანსა სცემდა მას და გუნდრუკს უკმევდა. ასე ექცეოდა ამ მგზავრობის დროს კონტრატივეს, ვერა ეფრემოვნასა და ლამაზ გრაბეცს, რომელთაც ორივეს უყვარდათ იგი. თუმცა პრინციპიალურად დედათა საკითხის მომხრე იყო, მაგრამ გულში კი ყველა ქალებს სულელებად სთვლიდა, ზოგიერთებს გარდა, რომელნიც ხშირად შეუყვარდებოდა ხოლმე, როგორც ახლა იყო შეყვარებული გრაბეცზედ. ასეთ ქალებს ყველაზე მალა იყენებდა და შესანიშნავ ქალებად სთვლიდა.



სქესობრივ დამოკიდებულებაზედ საუბარი უბრალო საგნად მიაჩნდა, როგორც სხვა უბრალო საგნები, და სიყვარულს თავისუფალ აღსარებად სთვლიდა.

ერთი ფიქტიური ცოლი ჰყავდა, მეორე ნამდვილი, რომელსაც განშორდა, რადგან დარწმუნდა, რომ მათ შორის სიყვარული არ იყო, და ახლა უნდოდა ახალი თავისუფალი შეუღლება გრაბეცთან.

ნებლიუდოვი ეზიზღებოდა, რადგან, როგორც ამბობდა, რაღაცნაირად „იგრიხებოდა“ მასლოვის ქალის წინაშე და უფრო კი იმისთვის, რომ ნებას აძლევდა თავის თავს ეფიქრა არსებულ წეს-წყობილების ნაკლულევენებაზე და მის გასწორების საშუალებაზე, როგორც ნოვოდვოროვი ამბობდა, ჰფიქრობდა თავისებურად, თავადურად, ე. ი. სულელურად. ნებლიუდოვი აშკარად ჰხედავდა ნოვოდვოროვის ასეთს ქცევას, იცოდა, რა შეხედულობისაც იყო მასზე და, თუმცა ყოველსავე ღონეს ჰხმარობდა, მაგრამ მაინც თავის მხრივაც საშინლად სძულდა ნოვოდვოროვი.

XVI

შემოწმება დაიწყო. შემოვიდა უფროსი და ორი გზის მცველი ჯარის კაცი. სათითაოდ გადასთვალეს ყველა და, როცა ჯერი ნებლიუდოვზედ მიდგა, ჯარის კაცმა მოკრძალებით უთხრა:

— ახლა დროა, თავადო, მიბრძანდეთ. შემოწმების შემდეგ აღარ შეიძლება დარჩენა.

ნებლიუდოვი მიჰხვდა რაშიაც იყო საქმე, წამოდგა და ხელში სამ მანათიანი ჩაუღვია.

— ეჰ, რა გაეწყობა! დაბრძანდით კიდევ ცოტა ხანს, არა უშავს-რა.

უფროსი ჯარის-კაცი გასვლას აპირებდა, როცა კამერაში მეორე უნტერ-აფიცერი შემოვიდა და გამხდარი ტუსალი შემოჰყვა.



— გოგოსთვის მოვედი, — სთქვა ტუსაღმა.

— აი, მამაც მოვიდა, — გაისმა ბავშვის წყნარად მომხმარებელი პატარა გოგო გაიქცა მამისაკენ.

— მე ვარ, გოგო, მე, — აღერსიანად უთხრა ბუზოვკინმა.

— აქაც კარგად არის, — უთხრა მარია პავლოვნამ და სიბრაღეულობით გადაჰხედა ბავშვს, — დასტოვეთ ჩვენთან.

— ქალბატონი ახალ კაბას მიცერავს, — უთხრა გოგომ მამას და რანცევისაზე უჩვენა: — მშვენიერია.

— გინდა ჩვენთან დარჩე ღამე? — უთხრა ალერსიანად რანცევისამ.

— მინდა. მამაც აქ იყოს!

რანცევისამ მზიარულად გაიღიმა.

— მამა არ შეიძლება, — უთხრა მან: — მაშ, დასტოვეთ აქ, — მიუბრუნდა რანცევისა ბავშვის მამას.

— მართლა, დასტოვეთ, რა უშავს, — უთხრა ჯარის კაცმა და უნტერ-აფიცრითურთ გავიდა გარედ. როგორც კი ჯარის კაცი გავიდნენ, ნაბატოვი მივიდა ბუზოვკინთან, მხარზე ხელი დაადო და უთხრა:

— მართლა, მამო, მაგ თქვენს კარმანოვს უნდა სხვის მაგიერობა იკისროს?

ბუზოვკინი უცბად შეიცვალა სახეზედ და დაღონდა.

— არ გაგვიგონია. არა მგონია, რომ მართალი იყოს, — უთხრა მან და დაუმატა: — არა, აკრიუტკა, ალბად ასეთის ბედისა ყოფილხართ; ინებიერე, ქალბატონო, — და საჩქაროდ გავიდა.

— ყველაფერი იცის და მართლაც ასე მოჰხდება ეგ საქმე, — სთქვა ნაბატოვმა: — რას იზამთ!

— ვეტყვი მთავრობას ქალაქში. ორთავეს ვიცნობ პირადად, — უპასუხა ნებლიუდოვმა?

ყველანი ჩუმად იყვნენ, ალბად იმის შიშით, რომ ისევ კამათი არ გამართულიყო.



სიმონსონი მთლად ამ ხნის განმავლობაში ჩუმად იჯდა და მერე წამოდგა და მივიდა ნებლიუდოვთან.

— შეგძლიანთ ახლა მე შომისმინოთ?

— რასაკვირველია, — უთხრა ნებლიუდოვმა და თვითონაც წამოდგა.

კატომ გადაჰხედა ნებლიუდოვს, საშინლად გაწითლდა და თავი გაიქნია.

— თქვენთან აი, რა საქმე მაქვს, — დაიწყო სიმონსონმა, როცა კარიდორში გამოვიდნენ.

კარიდორში ისეთი ხმაურობა ისმოდა სისხლის სამართლით დასჯილთა კარებიდგან, რომ ძალიან მაგარ ნერვების პატრონს შეეძლო რამდენსამე წუთს გაჩერებულიყო კარიდორში და აეტანა ეს საშინელი აურ-ზაური. ნებლიუდოვმა კოპები შეიკრა, მაგრამ სიმონსონმა ამას ყურძე არ ათხოვა.

— რადგანაც ვიცი კატერინა მიხაილოვნასთან თქვენი დამოკიდებულება, — დაიწყო მან და თავისი კეთილი თვალები პირდაპირ დააშტერა, — ვალდებული ვარ... — განაგრძო, მაგრამ იძულებული გახდა შეჩერებულიყო, რადგან შიგ კარებში ერთი ჩხუბი და ყვირილ-წივილი გაიმართა.

— შე წყეულო, გეუბნები, ჩემი არის-მეთქი! — ჰყვიროდა ერთი.

— დაიღრჩვი, დაიღრჩვი, შე ძაღლო, შენა! — ხლიჩინებდა მეორე.

ამ დროს გამოვიდა მარიამ პავლოვნა.

განა აქ ლაპარაკი შეიძლება? — უთხრა მან, — აქეთ მოდით, იქ მარტო ვეროჩკაა.

მარიამ პავლოვნა გაუძღვა და შეიყვანა ისინი ერთ პაწაწკინა კამერაში, სადაც ტახტზე საცოდავად მოკუნტულიყო ვერა ფერემოვნა.

— ამას შაკიკი აქვს, სძინავს და ვერაფერს ვერ გაიგონებს, მე კი...



— არა, დარჩით, — უთხრა სიმონსონმა, — მე არ ვიცი, რა დასაფარავი არა მაქვს-რა, მით უმეტეს შენთან.

— მაშ, კარგი, — უთხრა მარია პავლოვნამ და ბავშვურის ზტუნვით მივიდა ტახტთან, ჩამოჯდა ზედ და მთლად სძინად გარდაიქცა.

— ჩემი საქმე იმაშია, — განიმეორა სიმონსონმა, — რომ, რადგან ვიცი თქვენი დამოკიდებულება კატერინა მიხაილოვნასთან, ვალდებულად ვსთვლი თავს, რომ შეგატყობინოთ ჩემი დამოკიდებულებაც მასთან.

— ესე იგი რა? — ჰკითხა ნებლიუდოვმა და უკვირდა სიმონსონის უბრალო და გულწრფელი ლაპარაკი.

— ის, რომ მინდოდა შემერთო კატერინა მიხაილოვნა...

— საკვირველია! — სთქვა მარია პავლოვნამ და სიმონსონს მიაშტერდა.

— და გადავსწყვიტე, რომ ის ჩემი ცოლი გამხდარიყო, — განაგრძო სიმონსონმა.

— მერე, მე რა შემიძლიან? ეგ მისგან არის დამოკიდებულები, — უთხრა ნებლიუდოვმა.

— კი, მაგრამ უთქვენოდ მას არ შეუძლიან ამ საქმის გადაწყვეტა.

— რატომ?

— იმიტომ, რომ სანამ თქვენს დამოკიდებულებაზედ არაფერი გადაწყდება, მანამ არ შეუძლიან რომელიმე გზას დაადგეს.

— ჩემის მხრით საქმე გადაწყვეტილია: მე მინდოდა ჩემის მოვალეობის აღსრულება; მინდოდა შემემსუბუქებინა მისთვის ტანჯვა, მაგრამ არამც და არამც არ მინდა შეეავიწროვო და ხელი შევეშალო.

— კარგი, მაგრამ ის თქვენგან მსხვერპლს არ თხოულობს.

— აქ არაფითარი მსხვერპლი არ არის.

— ვიცი, რომ ეს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი კატას და არც შეცვლის.



— მაშ, რად შელაპარაკებით?—უთხრა ნეხლიუდოვი.

— კატერინას უნდა, რომ თქვენც თანახმა იყოთ.

— როგორ უნდა დავეთანხმო, როცა მე ვალდებული ვარ გავიყვანო აქედგან. მხოლოდ ერთი შემთხვევით ვსთქვა, რომ მე არა ვარ თავისუფალი, ის კი თავისუფალია.

სიმონსონი დაჩუმდა.

— კარგი, ასე ვეტყვი; არ იფიქროთ, რომ მიყვარდეს, — განაგრძო სიმონსონმა:— მიყვარს ისე, როგორც მშვენიერი და თან მრავალ-ტანჯული ადამიანი. მისგან სიყვარულს არ ვითხოვ, მაგრამ გულთ მინდა დავებმარო და შევეუმსუბუქო მდგომარ...

ნეხლიუდოვი გაშტერდა, რადგან სიმონსონს ხმაში კანკალი დაეტყო.

— ...შევეუმსუბუქო მდგომარეობა, — განაგრძო სიმონსონმა:— თუ არ უნდა მიიღოს თქვენი შემწეობა, იმ შემთხვევაში მიიღოს ჩემი, თუ თანახმა იქმნება, ვითხოვ, რომ მეც იმ ალბას გამგზავნონ, სადაც იმასა ჰგზავნიან. ოთხი წელიწადი მთელი საუკუნე არ არის. მე შემთხვევით მის გვერდით ვიცხოვრო და შეიძლება შევეუმსუბუქო ტანჯვა...

სიმონსონი ისევ შეჩერდა მეტის მღელვარებისაგან.

— არაფრის თქმა არ შემთხვევით! — უთხრა ნეხლიუდოვი: — მოხარული ვარ, რომ კატოს ისეთი შფარველი გამოუჩნდა, როგორც თქვენა ხართ...

— აი, მეც ეგ მინდოდა შემეტყო, — განაგრძო სიმონსონმა: — მინდოდა შემეტყო, თუ გიყვართ და კეთილი გინდათ მისთვის, რომ კარგი იქმნებოდა თუ არა ჩემი მასთან შეერთება?

— დიალ, დიალ, — გადაჭრით უთხრა ნეხლიუდოვი.

— მთელი საქმე იმაშია, რომ მინდა ერთხელ მაინც დაისვენოს ამ მრავალ-ტანჯულმა ადამიანმა, — უთხრა სიმონსონმა და ისეთის აღწერისაღი, ნამდვილის ბავშვურ თვალებით



შეჰხედა, რომ ნებლიუდოვს გაუკვირდა, რადგან ამას არ მოელოდა ასეთის მრისხანე შეხედულობის კაცისაგან. სიმონსონი წამოდგა, მოჰკიდა ხელი ნებლიუდოვს, მიიწია თავისკენ, მოარცხვად გაუღიმა და ჩაჰკოცნა.

— მაშ ასე! წაივალ და ვეტყვი ყველაფერს, — სთქვა სიმონსონმა და გავიდა.

XVII

— რას იტყვი? — უთხრა მარია პავლოვნამ ნებლიუდოვს: — შეყვარებულია ხომ? სწორედ გითხრათ, არასოდეს არ მოველოდი, თუ ვლადიმერ სიმონსონი ვისმე შეიყვარებდა. მერე ასეთის სპეტაკის ბავშვურის სიყვარულით! საკვირველია და თან საშუუხაროც.

— კი, მაგრამ კატა? როგორა ჰფიქრობთ, კატა როგორ უყურებს ამ საქმეს? — ჰკითხა ნებლიუდოვმა.

— კატა?... — მარია პავლოვნა შეჩერდა, რადგან უნდოდა გადაქრილი პასუხი მიეცა: — კატა? თუმცა მას კუდი წარსული ჰქონდა, მაგრამ მაინც ისეთი სპეტაკი და ზნე-მალალი არსებია, რომ მეორეს ძვირად შეჰხვდებით... იმას თქვენ უყვარხართ და ბედნიერია მით, რომ შეუძლიან აგაშოროს თქვენ ის უბედურება, რომელიც მასთან შეერთებით მოგვლით. არასოდეს არ დაგთანხმდებათ ცოლობაზედ, რადგან ეს დიდი უბედურება იქნებოდა მისთვის; ამასთანავე, თქვენნი აქ ყოფნაც ძალიან აწუხებს.

— მაშ რა ვქნა? სად გადავიკარგო?

მარია პავლოვნამ გაიღიმა...

— მერე და, როგორ დავიკარგო ასე?

— მაპატიეთ, ვიკრუე. მე მინდოდა მეთქვა, რომ კატა დიდ სისულელედს სთვლის სიმონსონის ასეთს აღზნებულს სიყვარულს და თითქმის კიდევ ეშინიან მისი. თუმცა გადაქრით არ შემოძლიან ვსთქვა, მაგრამ ცხადია, რომ იმის მხრით ჩვეულებრივი, ადამიანური სიყვარულია, მაგრამ ჯერ ნილაბ-



ჩამოთარებული. ის ამბობს, ეგ ნამდვილი პლატონიური სიყვარულია და ენერჯისა და გრძნობას მიმატებსო, მაგრამ იმ აზრისა ეარ, რომ, თუნდაც ეგ განსაკუთრებული სიყვარული იყოს, საფუძვლად მაინც სისაძაგლე უდევს... როგორც ნოვოდვოროვსა და ლიუბოჩკას.

მარია პავლოვნა ისე გაიტაცა თავის საყვარელ საგანზე ლაპარაკმა, რომ სულ დაავიწყდა ნებლიუდოვის შეკითხვა.

— კი, მაგრამ ახლა რა უნდა ექნა?—ჰკითხა ნებლიუდოვმა.

— ჩემის აზრით, უმჯობესია ახლავე უთხრათ ყველაფერი. მოვლაპარაკეთ; თუ გინდათ, დაუძახებთ.

— დუძახეთ, გეთაყვა, —უთხრა ნებლიუდოვმა.

მარია პავლოვნა გავიდა დასაძახებლად. საშინელმა ფიქრებმა შეიპყრო ნებლიუდოვი, როცა მარტო დარჩა პატარა კამერაში, სადაც დრო-გამოშვებით ისმოდა ვერა ეფრემოვნას ოხვრა და მწარე კვნესა.

სიმონსონის სიტყვებით ის თავისუფლდებოდა თავის მოვალეობისაგან, მაგრამ ის სიტყვები ისე საწყენად და სამწუხაროდ აჰქონდა, რომ მწარე ტკივილებსა ჰგრძობდა. სიმონსონის წინადადება აქარწყლებდა მისის მოქმედების განსაკუთრებულ ხასიათს და ხალხის თვალში მისს სსხვერპლს ფასი ეკარგებოდა. თუ კი ისეთ კაცს, როგორც იყო სიმონსონი, რომელიც არაფრით არ იყო მასლოვის ქალის ვალდებული, სურდა მასთან შეერთება, რასაკვირველია, ნებლიუდოვის მსხვერპლი ისეთი დიდი არ იქმნებოდა, როგორც მას ეგონა. შეიძლება, უბრალო ექვიანობის გრძნობითაც ხელმძღვანელობდა ნებლიუდოვი. ისე გაიტაცა მასლოვის ქალის სიყვარულმა, რომ ვერ წარმოედგინა, თუ კიდევ ოდესმე სხვას შეიყვარებდა. ნებლიუდოვს ხომ გადაწყვეტილი ჰქონდა ეცხოვრა კატოსთან, საწამს სასჯელს გადაიხდიდა და, უკეთუ სიმონსონი შეერთავდა, მისი იქ ყოფნა საჭირო აღარ იქმნებოდა; ამიტომ ცხოვრების ახალი გეგმა უნდა შეედგინა. ჯერაც ვერ



გამორკვეულიყო ამ ფიქრებისაგან, რომ სისხლის კამარტული დასჯილთა კამერაში საშინელი ხმაურობა ასტყდამოქცემდა (ახლანდელად არა-ჩვეულებრივი ამბავი ჰქონდათ). ამ დროს გაიღო კარები და შემოვიდა კატო, რომელიც ჩქარის ნაბიჯით მივიდა ნებლიუდოვთან.

— მარია პავლოვნამ გამომგზავნა, — უთხრა მან და წინ გაუჩერდა ნებლიუდოვს.

— დიად, მე მინდა მოგელაპარაკოთ. დაჯექით. ვლადიმერ ივანოვიჩმა ყველაფერი მითხრა.

მასლოვა დაჯდა და ხელები მუხლებზე დაიდო; თუმცა დამშვიდებული იყო, მაგრამ როგორც კი ნებლიუდოვმა სიმონსონი ახსენა, საშინლად გაწითლდა.

— რა გითხრათ? — ჰკითხა მან.

— ის მითხრა, რომ შენი ცოლად შერთვა უნდა.

მასლოვა სახეზე შეიცვალა, მაგრამ ხმა კი არ ამოუღია.

— მას უნდოდა გაეგო ჩემგან, თანახმა ვიქნებოდი თუ არა, და რჩევა მიმეცა. თქვენზე ვუთხარი, რომ ყველაფერი მისი საქმეა და მას შეუძლიან გადაწყვეტა-შეთქი.

— ეგ რაღა არის? რატომ უთხარით? — წამოიძახა ჩვეულებრივად და აღმაცერად გადაჰხედა ნებლიუდოვს.

რამდენსამე წუთს ჩუმად იყვნენ და ერთმანერთს მისჩერებოდნენ თვალებში. ამ შეხედვით ბევრი რამ უთხრეს ერთმანერთს.

— უნდა გადასწყვიტოთ, — განუმეორა ნებლიუდოვმა.

— რა უნდა გადასწყვიტო? — უპასუხა კატომ: — ყველაფერი, დიდი ხანია, გადაწყვეტილია. მე კი არა, თქვენ უნდა გადასწყვიტოთ: მიიღებთ ვლადიმირ ივანოვიჩის წინადადებას, თუ არა?

— კარგი, მაგრამ, რომ გაპატიონ დანაშაული?

— ეჰ, თავი დამანებეთ, მეტი ლაპარაკი საჭირო აღარ არის! — უთხრა კატომ, წამოდგა და გავიდა კამერიდან.

როცა ნებლიუდოვი დაბრუნდა კაცების კამერაში, ყველა საშინლად აღელვებული დაუხვდა. ნაბატოვს, რომელიც ყველგან იყო და ყველაფერს ტყობილობდა, თავ-ზარ-დამცემი ამბავი გაეგო. კედელზედ ენახა ბარათი, რომელიც დაეტოვებინა პოლიტიკურ დამნაშავეს პეტლინს, რომელსაც კატორღა ჰქონდა გარდაწვეტილი. ყველას ეგონა, რომ პეტლინი ახლა კარს იქნებოდა მისული, ნამდვილად კი აღმოჩნდა, რომ ცოტა ხნის წინად გაეფლო ამ გზით სისხლის სამართლით დასჯილებთან ერთად.

„17 აგვისტოს, — ეწერა ბარათში, — მე გავემგზავრე სისხლის სამართლით სასჯელ-გარდაწვეტილებთან ერთად. ნევეროვიც ჩემთან იყო და თავი ჩამოიღრჩო ყაზანში, საგიყეთში. მე კარგად, ჯანმრთელად ვარ და ყველაფერს კარგს მოველი“.

ყველანი პეტლინის მდგომარეობისა და ნევეროვის ჩამოღრჩობის მიზეზების განხილვაში იყვნენ. კრილცოვი ხმას არ იღებდა და აღგზნებულ თვალებს გიჟივით აბრიალებდა.

— ჩემმა ქმარმა მითხრა, რომ ნევეროვს წინადაც უნახავს მოჩვენება, — სთქვა რანცევისამ.

— დიად, ის პოეტო, ფანტაზიორი იყო; ასეთ ხალხს არ შეუძლიან მარტოობის ატანა, — სთქვა რიხიანის კილოთი ნოვოდვოროვიმა. როცა მე მომიხდებოდა ხოლმე მარტოდ ყოფნა სალუსალოში, ისე მქონდა გაწესრიგებული დრო, რომ ერთ წუთსაც არ შემეძლო მეფიქრა და ამიტომ მშვენიერად ვიტანდი ყველაფერს.

— დიდი რამე ვი გგონია მარტოობა?! მე კიდევაც მოხარული ვიყავი, როცა მარტო ჯდომა მომიხდებოდა ხოლმე სატუსალოში, — სთქვა ნაბატოვი: — ჯერ თითქოს გეშინიან სატუსალოს ხსენებაზე; თორთი, კანკალებ, მაგრამ როცა იგემებ,



მერე-კი არაფერია, ისე შეეჩვევი, როგორც საკუთარ სახლს, როცა ჩვენებას ჩამოგართმევენ, მერე ხომ სულ არხვენილად მოსწიე პაპიროსი და იჯექი შენთვის თავისუფლად!

— დაახლოვებით იცნობდი?—ჰკითხა მარია პავლოვნამ კრილცოვს.

— ნევეროვი ფანტაზიორიაო?!—ისეთის ხმით წამოიძახა უცბად კრილცოვმა, თითქოს იღრზობაო, თვალები დაებრიცა, საშინელი ხველა აუვარდა და უცბად პირიდან სისხლის ნაკადულმა გადმოსჩქევა.

ამ სანახაობამ ყველას დაავიწყა თავისი თავი. ნაბატოვი თოვლისთვის გაიქცა. მარია პავლოვნამ საჩქაროდ მიუბრუნინა ვალერიანის წვეთები, მაგრამ კრილცოვმა თავისი გამხდარი ხელი ჰკრა და მოიშორა. როცა თოვლითა და ცივის წყლით ცოტათი მოაბრუნეს და ლოჯინში ჩააწვინეს, ნეხლიუდოვი გამოვიდა კამერიდან და გაჰყვა უნტერ-აფიცერს, რომელიც დიდი ხანია ელოდა.

სისხლის სამართლით დასჯილთა კამერებში სიჩუმე იყო. ყველას ეძინა; თუმცა კამერებში ყველა ადგილი დაჭერილი იყო: ტახტზედ; ტახტს ქვეშა და იატაკზედ, მაგრამ მაინც ვერ ეტეოდნენ და ბევრი მათგანი კარიდორში ეყარა, სველი ხალათები გაეშალათ და თავქვეშ ტომრები ამოედოთ.

უცოლოების კამერაში რამდენიმე ტუსანი იყო ერთად და ნამწვი სანთელი აენთათ, რომელსაც ჯარის-კაცის გავლის დროს აქრობდნენ და მერე ისევ ანთებდნენ. კარიდორში ლამპასთან იჯდა ერთი ბებერი და პერანგში ნადირობდა. პოლიტიკურ დამნაშავეთა ოთახის მყრალი ჰაერიც კი წმინდა ფრენებოდა კაცს აქაურ ყოველისფრით შეზავებულ სულის შემხუთველ ჰაერთან. კარიდორში გავლის დროს დიდი სიფრთხილედ იყო საჭირო, რომ მძინარე ტუსალებს არ დასჯახებოდით. ჯერ კარგად უნდა აგერიოთ ფეხის დასადგმელი ადგილი, ერთის ნაბიჯის გადადგმის შემდეგ, მეორე ნაბიჯის გადასადგმელ ადგილის ძებნა იყო საჭირო. სამი კაცი, რომელთაც ვერსად



დასაწოლი ალავი ვერ ეშოვნათ, დერეფანში მოთავსებული იყვნენ, სიბინძურით სავსე ბოქკასთან. ერთი მათგანი სულელი ბებერი იყო, რომელსაც ხშირად ჰხედავდა ნებლიუდოვი მგზავრობის დროს. მეორე იყო ათის წლის ბავშვი, რომელსაც ორ ტუსადს შუა ეძინა.

გამოვიდა ქუჩაში ნებლიუდოვი, კარგა ხანს გაჩერდა და ხარბად დაუწყო ყლაპვა ცივს ჰაერს.

XIX

ცა ვარსკლავებით მოქედილიყო. ნებლიუდოვი დაბრუნდა სასტუმროში, გაიხადა ტანთ და ჩაწვა ქვეშაგებში. ათასგვარმა ფიქრმა ელვის სისწრაფით გაურბინა თავში.

თუმცა დღევანდელი სიმონსონთანა და კატოსთან ლაპარაკი მეტად დიდ-მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ არ დაფიქრებულა ახლა ამაზე, რადგან ეს ძალიან რთული და განუსაზღვრელი საქმე იყო მისთვის; თვალწინ ედგა ამდენის ხალხის ტანჯვა წვალეზა; წარმოუდგა, როგორ ეყარნენ ისინი კამერებსა და კარიდორში, და უმეტესად გული დასთუთქა ნებლიუდოვს იმ ბავშვმა რომელსაც კატორღელის მუხლებზედ ეძინა.

როცა ნებლიუდოვს გამოეღვიძა, სასტუმროს პატრონმა ქალმა გადასცა ბარათი, რომელიც ჯარის-კაცს მოეტანა. ბარათი მარია პავლოვნასაგან იყო, რომელიცა სწერდა, რომ კრილცოვი ძალიან ცუდად შეიქმნაო. „ჩვენ ვითომ გვინდოდა მისი დატოვება და მასთან ჩვენცა ვრჩებოდით, მაგრამ ნება არ მოგვცეს. მიგვყავს თან, მაგრამ ძლიერ ვშიშობთ. ეცადეთ, ქალაქში იქნება მოახერხოთ რამე და, თუ დასტოვეს, იქნება ვინმე ჩვენგანიც დასტოვონ მასთან. თუ ამისთვის საჭირო იქნება, რომ მე ცოლად გავყვე, რასაკვირველია, გავყვები.

ნებლიუდოვმა გაპზავნა ბიჭი სადგურზედ და საჩქაროდ მზადებას შეუდგა. ჯერ კიდევ მეორე ჭიქა ჩაი არ დაელია, რომ ეტლი კარებზე მოადგა. ნებლიუდოვი გაუსწორდა მსხვილკისერა ქალს, ჩაჯდა ეტლში და გაეშურა, რომ ტუსადებს



დასწვოდა. მართლაც, გაშორდა თუ არა ეზოს, დაეწიდა ურ-
მებს (აფიციერი თან არ ახლდა, წინ წასულიყო), ურმებზე
რი იყო; წინა ურემზე ექვსი სისხლის სამართლით დასჯილი
ტუსალი იჯდა, შემდეგ ნოვოდვოროვი, გრაბეცი და კონდრა-
ტიევი, მათს უკან რანცევისა, ნაბატოვი და ის ქარებიანი ჭა-
ლი, რომელსაც მარია პავლოვნამ დაუთმო თავისი ალაგი;
მესამე ურემზედ კრილცოვი იწვა და გვერდით მარია პავ-
ლოვნა ეჯდა. ნებლიუდოვმა გააჩერა ურემი და მივიდა კრილ-
ცოვთან. მთვრალმა გზის მკველმა ჯარის-კაცმა ხელი გაიქნია,
მაგრამ ნებლიუდოვმა ყურადღება არ მიაქცია და გაჰყვა ურემს.
კრილცოვი პირ-აკრული იწვა ურემზე და უფრო გაფითრე-
ბული იყო, თვალები თითქოს უფრო გაფართოებოდა და უფრო
უფელვარებდა; მიშტერებოდა ნებლიუდოვსა და გაჯავრებით
თავს აქანებდა. მარია პავლოვნა ურმის მეორე მხარეზე იჯდა.
მან გადაჰხედა ნებლიუდოვს ისეთის თვალებით, რომელშიაც
იხატებოდა უზომო მწუხარება კრილცოვის მდგომარეობისა
გამო და შემდეგ დაიწყო მზირულის ხმით:

— ცხადია, შერცხვა აფიციერს, — სთქვა მალაღის ხმით მარია
პავლოვნამ, რადგან ურმების ხმაურობის გამო არაფრის ვაგონე-
ბა არ შეიძლებოდა: — და ხელსაბმელი შეჰხსნა ბუზოვკინს. ახ-
ლა თითონ მას მიჰყავს ბავშვი. მასთან ერთად კატო და სი-
მონსონი მიდიან და ჩემს მაგიერ ვერა ეფრემოვნაც.

კრილცოვმა ჩუმის ხმით რაღაცა სთქვა, რის გაგებაც ძნე-
ლი იყო, მარია პავლოვნაზე უჩვენა, საშინლად გაიძაბა ყელ-
ში მომდგარ ხველის გამო და თავი გაიქნია. ნებლიუდოვმა
თავი ახლოს მიიტანა, რომ გაეგონა რას ლაპარაკობდა. კრილ-
ცოვმა გადაიწია პირიდან ხელსახოცი და წაიჩურჩულა:

— ახლა ძალიან კარგად ვარ. უნდა ვუფროთხილდე მხო-
ლოდ, რომ არ გავცივდე.

ნებლიუდოვმა თავი დაუქნია და მარია პავლოვნას გა-
დაჰხედა.

— აბა, რას იტყვით ამ სამის სხეულის პრობლემაზედ? —



წაიჭურჭულა ისევ კრილცოვმა და გულსაკლავად გაიღვიძრულა.
მეცნიერული საკითხია, არა? ბიზლიჩინა

ნებლიუდოვმა ვერ გაიგო კრილცოვის სიტყვები, მაგრამ მარია პავლოვნამ აუხსნა, ეს მათემატიკური პრობლემაა, რომლითაც განისაზღვრება სამის სხეულის — მზისა, მთვარისა და მიწის — ერთმანერთთან დამოკიდებულება; კრილცოვმა ეს შეუდარება სოიგონა ნებლიუდოვისა, კატოსა და სიმონსონის ერთმანერთთან დამოკიდებულობაზედ და თავი გაიქნია ნიშნად იმისა, რომ მარია პავლოვნამ კარვად განმარტა ჩემი საამოცანო სიტყვებიო.

— მაგის გამოცნობა ჩემი საქმე არ არის, — სთქვა ნებლიუდოვმა.

— ჩემი ბარათი მიიღეთ? როგორ მოიქცევით? — ჰკითხა მარია პავლოვნამ.

— უეჭველად მოვახერხებ რასმე, — უპასუხა ნებლიუდოვმა და, შენიშნა რა კრილცოვს უკმაყოფილება, მოშორდა, ჩაჯდა ეტლში და გამოუდგა უკან ნაცრისფერ ხალათებიან ტუსაღთა ჯგუფს. გზის მეორე მხარეს ნებლიუდოვმა შენიშნა კატოს მწვანე თავსახვევი, ვერა ფერემოვნას შავი პალტო, კურტკა და ნაქსოვი ქუდი სიმონსონისა, რომელიც ქალების გვერდით მიდიოდა და რაღაზედაც გაცხარებით ლაპარაკობდა.

XX

დაინახეს თუ არა ნებლიუდოვი, ქალებმა თავი დაუკრეს და სიმონსონმა დინჯად, ზრდილობიანად ქუდი მოუხადა. ნებლიუდოვს არ უნდოდა მათთან ლაპარაკი, შემოუარა გვერდით, თავი დაუსწრო და გასწია წინ. მგეტლემ მარდად გარეკა ცხენები, მაგრამ გზა-და-გზა უნდა შეჩერებულიყო, რადგან წინ ურმები მიდიოდნენ. გაიარეს ხშირი ტყე და გაეიდნენ ტრიალ მინდორში. ცა თან-და-თან მოიწმინდა. მზემ კარგა მაღლა წამოიწია და თავის სხივებს უხვად აჰფენდა დედამიწას. სველ დედამიწას, ბალახებსა და ეკლესიის ჯვარს მზის



სხივებზე ოქროსაებრ ბრჭყვიალი გაჰქონდა. ჩქარა სოფელიც გამოჩნდა. ქუჩები მთლად საფხვე იყო სხვა-და-სხვეფილი ხით, მთვრალი კაცი და ქალი ბუზებივით ირეორნენ დუქნების წინ ერთმანერთში.

მეტლემ შნოიანად გადაჰკრა ცხენებს, რომ თავი მოეწონებინა ხალხისთვის, გაირბინა ფართო ქუჩა და მიადგა მდინარეს, სადაც ბორანით შეიძლებოდა გასვლა. ბორანი იქეთა მხრიდან მოდიოდა, აქეთა მხარეს კიდევ რამდენიმე კაცი უცდიდა. ნებლიუდოვს დიდხანს არ მოუხდა ცდა—ბორანი ჩქარა მოადგა ნაპირს.

ხალხი გამოვიდა ნაპირზე; ღონიერმა მებორნეებმა დაიწყეს ბარგის გადაზიდვა. როცა ბორანი დაიკალა, ნებლიუდოვი და სხვები ჩასხდნენ შიგა და მებორნეებმა იქეთა ნაპირისკენ გააქანეს.

ნებლიუდოვი ბორანის პირად იჯდა და წყალს დაჰყურებდა. ფიქრმა გაიტაცა, წარმოუდგა მომავლადვი კრილცოვი და სიმონსონთან მხიარულად მიმავალი კატო. კრილცოვის სახის წარმოდგენამ ძლიერ დაალონა. სამაგიეროვ, კატოს მხიარულ სახის მოგონება, რომელიც ახლა მკვიდრსა და ქეშმარიტს გზაზედ იდგა სიმონსონის მეოხებით, სასიამოვნო უნდა ყოფილიყო, მაგრამ აშკარად ეტყობოდა, რომ არ იყო სასიამოვნო. ქალაქიდგან ზარების ხმა მოისმა. ბორანზედ მჯდომთ ქუდები მოიხადეს და ყველანი პირჯვრის წერას მოჰყვნენ, გარდა მოხუცის გლეხისა, რომელიც ნებლიუდოვის გვერდით იჯდა; გლეხმა თავი მადლა აიღო და გაშტერებით დააკქერდა ნებლიუდოვს. ტანთ დაკონკილი ტანსაცმელი ეცვა, ზურგზე ტომარა წამოეკიდა და თავზედ გახუნებული ტყავის მაღალი ქუდი ეხურა.

— საით მიდიხარ?—ჰკითხა ნებლიუდოვმა.

— საითაც ღმერთი წამიყვანს. ვმუშაობ და, როცა მუშაობა არ არის, ვმათხოვრობ, — უპასუხა მან, რა დაინახა, რომ ბორანი ნაპირს უახლოვდებოდა. ბორანი მიადგა მეორე



ნაპირს; ნებლიუდოვმა ამოიღო ქისა და მოხუცს ფუფუნებით
წოდა, მაგრამ მან უარი სთქვა.

— არა, ამას არა ეღებულობ; პურს კი მივიღებ...

— მაშ, მაპატიეთ.

— აბა, რა არის საპატიებელი! ხომ არაფერი არ გიწყენინებიათ?! არც შეიძლება ჩემი წყენა, — უთხრა მოხუცმა და ტომარა წამოიგდო ზურგზე.

XXI

ნებლიუდოვი გადმოვიდა ბორანიდგან, ჩაჯდა ეტლში და გასწია ქალაქისაკენ. ავიდნენ თუ არა გორაკზე, მეეტლე მოუბრუნდა ნებლიუდოვს:

— რომელ სასტუმროში გვიბრძანებთ?

— რომელში სჯობია?

— სასტუმრო „ციმბირს“ რა სჯობია. ლიუკოვთანაც კარგია.

— სადაც გინდა.

მეეტლემ ისევ გააქანა ეტლი. როგორც საზოგადოდ ყველა ქალაქები, ეს ქალაქიც ისეთი იყო: ისეთივე სახლები, ისეთივე საყდრები, დუქნები და უმთავრეს ქუჩაზე მალაზიები და თითქმის ისეთივე ქუჩის მცველები. მხოლოდ სახლები თითქმის ხის იყო და ქუჩები მოუკირწყლავი. მეეტლე გაჩერდა ერთის სასტუმროს წინ, მაგრამ სასტუმროში თავისუფალი ალაგი არ აღმოჩნდა და მეორეში უნდა წასულიყვნენ. მეორეში იშოვეს ოთახი და ნებლიუდოვმა თავისუფლად ამოისუნთქა, რომ ამდენის ხეტიალისა და მგზავრობის შემდეგ ახლა დავისვენებო. ოთახი თუმცა მაინც-და-მაინც სახარბიელოდ არ იყო მოწყობილი, მაგრამ ამ ქალაქში ესეც დიდი ღეთის წყალობა იყო. უმთავრესად მისთვის საჭირო იყო მკებნარის მოცილება და ტანისამოსის გაწმენდა. გზა-და-გზა, სატუსალოებში სიარულის დროს, ნებლიუდოვს ბლომად დაეხვია მკებნარი. დაალაგა თუ არა ნიეთები, საჩქაროდ გაიქ-



ცა აბანოში, კარგად იბანავა, გამოიცვალა ტანისამოსი და წაიღია ადგილობრივ გუბერნატორთან. მეეტლემ ნებლიუდოვი მიიყვანა დიდსა და ლამაზ სახლთან, სადაც დარაჯი იდგა. სახლის წინ და უკან ბალი იყო გამართული, სადაც ფოთოლგაცივივანულ არყის ხეებსა და ვერხვს შუა მოსჩანდა ამწვანებულ ფიჭვისა და სოჭის ხეები.

გენერალი უქეიფოდ იყო და არავის არ იღებდა. ნებლიუდოვი მაინც სთხოვა ლაქიას გადაეცა მისი ბარათი. ლაქია დაბრუნდა სასიამოვნო პასუხით:

— გთხოვეს, მობრძანდითო.

წინა ოთახი, ლაქია, კიბე, ვებერთელა დარბაზი და გაკრიალებული პარკეტოანი იატაკი—ყველაფერი პეტერბურგს მოაგონებდა კაცს, მაგრამ უფრო უსუფთაო და დიდებულის შეხედულობისა იყო. ნებლიუდოვი მიიწვიეს კაბინეტში.

გენერალი ბირ-წამოსიებული იყო, კარტოფილის მსგავსი ცხვირი ჰქონდა და დაკორზლილი პირისახე, თათრულს ხალათში იჯდა, ხელში პაპიროსი ეჭირა და არხეინად ჩაის მიირთმევდა.

— გამარჯობა, მეგობარო! უკაცრავად, ხალათითა ვარ, მაგრამ სულ მიუღებლობას, ასე სჯობია. ცოტათი უქეიფოდა ვარ და გარედ აღარ გამოვიდივარ. რა ქარმა გადმოგავდოთ ამ ჩვენს მიყრუებულს მხარეში?

— ტუსაღთა ჯგუფს გამოაცყევი; მათ შორის ერთი ჩემი მახლობელიც ურევია, — უთხრა ნებლიუდოვი, — და იმიტომ გაიხელით, თქვენო აღმატებულებავ; სათხოვარი მაქვს თქვენთან ამ ტუსაღის შესახებ.

გენერალმა შეხვრიპა ჩაი, დაადლო პაპიროსი ძვირფას საფერფლეზე და დიდის გულმოდგინებით უსმენდა ნებლიუდოვს. უცბად გენერალმა გააწყვეტინა სიტყვა და სთხოვა, თუ გნებავთ, პაპიროსი მოსწიეთო.

გენერალი მწსაველულ სამხედრო კაცის ტიპს ეკუთვნოდა და დარწმუნებული იყო, რომ კაცთ-მოყვარეობისა და ლიბე-



რალიზმის შეთანხმება შესაძლებელი იყო მის ხელობასთან
 მაგრამ, როგორც ბუნებით ჭკვიანმა კაცმა, ჩქარა შეშინდა
 რომ ვე ისე ადვილი არ იყო, როგორც ეგონა; ამიტომ,
 რომ არ დაენახა ის ძალმომრეობა და უსამართლობა, რომე-
 ლიც მის თვალწინა ჰხდებოდა, ხარბად ეწაფებოდა არაყსა
 და ღვინოს. ისე გაელენთილიყო ალკოჰოლით, რომ საკმაო
 იყო სულ ცოტაოდენი დაელია რაიმე სითხე, რომ სიმთვრა-
 ლე ეგრძნო. ღვინო-არაყის სმა ისეთ მოთხოვნილებად გადა-
 ექცა, რომ უიმისოდ სიცოცხლე აღარ შეეძლო. იმ დღით
 კი, როცა მასთან ნებლიუდოვი მივიდა, ჭკვიან კაცსა ჰგავ-
 და და შეეძლო გაეგო, რასაც ელაპარაკებოდნენ. თუმცა უმა-
 ლღესმა მთავრობამ, იცოდა ეს მისი უმთავრესი ნაკლი, მაგ-
 რამ, როგორც განათლებულს, გაბედულსა და მოხერხებულს
 კაცს, მას სიმთვალეშიაც კი შეეძლო შეესრულებინა თა-
 ვისი მოვალეობა. ამიტომ დანიშნეს იმ ალაგზე, რომელზე-
 დაც ახლა იყო, და არც ჰფიქრობდნენ მისს დათხოვნას.

XXII

ნებლიუდოვმა უამბო გენერალს, რომ ის ტუსალი, რო-
 მელზედაც მე მოგახსენებდით, ქალიაო. საბრალო უდანაშაუ-
 ლოდაა დასჯილი; უმაღლესს სახელობაზედ თხოვნა გვაქვს
 პირთმეული და იქნება როგორმე სასჯელი აპატიონო.

— დიაღ, მერე? — უთხრა გენერალმა.

— პეტერბურგში აღმითქვეს, რომ ამ ქალის შესახებ
 ცნობას გამოევგზავნითო და აქ...

გენერალს თვალი არ მოუშორებია ნებლიუდოვისთვის,
 ისე გასწია ხელი მაგიდისკენ და ზარს ჩამოჰკრა.

— მე გთხოვთ, დასტოვოთ ის ქალი აქ მანამდე, ვიდრე
 რაიმე ცნობას მივიღებდე პეტერბურგიდან...

შემოვიდა მოსამსახურე, ჯარის კაცის ტანისამოსში.

— წადი, გაიგე, ანნა ვასილიეენა ადგა თუ არა, — უთხრა



გენერალმა, — და ჩაი მომიტანე კიდევ... შერე? — მიუბრუნდა ისევ ნებლიუდოვს.

— მეორე ჩემი თხოვნა შეეხება ერთ პოლიტიკურ დამნაშავეს, რომელიც ამ ჯგუფთან ერთად მიდის, — უთხრა ნებლიუდოვმა.

— ეპეე! — გაიკვირვა გენერალმა და თავი გაიქნია.

— მძიმე ავადმყოფია, თითქმის სიკვდილის პირადაა. შეიძლება აქ დასტავონ საავადმყოფოში და ამიტომ ერთ პოლიტიკურ დამნაშავე ქალს უნდა მასთან დარჩენა.

— მისი ნათესავია?

— არა, მაგრამ მზად არის გაჰყვეს ცოლად, თუ კი რასმე უშველის; კარგი იქნება, რომ დაარჩინონ მასთან.

გენერალი გაშტერებული მისჩერებოდა ნებლიუდოვს და ხმას არ იღებდა.

როცა ნებლიუდოვმა გაათავა ლაპარაკი, გენერალმა გადმოიღო წიგნი, მონახა ქორწინების შესახებ კანონის მუხლი და წაიკითხა.

— რა სასჯელი აქვს ქალს გადაწყვეტილი? — ჰკითხა გენერალმა და წიგნს თვალი მოაშორა.

— კატორღა.

— მაშ, მისის მდგომარეობის გაუმჯობესება ქორწინებით შეუძლებელია.

— დიად, მაგრამ...

— მოითმინეთ, თუნდაც რომ თავისუფალ კაცს შეერთო ცოლად ეგ ქალი, მანც უნდა მოიხადოს სასჯელი. საქმე იმაშია, რომელს უფრო მძიმე სასჯელი აქვს გადაწყვეტილი, კაცს თუ ქალს?

— ორივეს კატორღა აქვს გადაწყვეტილი.

— მაშ, ქვით! — სიცილითა სთქვა გენერალმა: — ორივეს ერთი და იგივე სასჯელი ჰქონია. ის შეიძლება ავადმყოფობის გამო დავტოვოთ, — განაგრძო გენერალმა, — და, რასაკვირველია, ყოველსავე ღონეს ვიხმართ, რომ მძიმე მდგო-



მარეობა შევეუბნებოთ, მაგრამ ქალს კი, თუნდა ცოცხალიც
გაპყვეს, არ შეუძლიან აქ დარჩენა...

— გენერალმა ყავას მიირთმევს, — მოახსენა ლაქიამ.

გენერალმა თავი დაიქნია და განაგრძო:

— ჰო, მაინც კიდევ მოვიფიქრებ, რა გვარები არიან?
ჩასწერთ აი აქ.

ნებლიუდოვნა ჩასწერა მათი გვარები.

— არც ეს შემოძლიან! — უთხრა გენერალმა, როცა ნებ-
ლიუდოვმა სთხოვა ავადმყოფის ნახვის ნება: — შე, რასაკვირ-
ველრა, თქვენზე არავითარი ეჭვი არა შემომამტებს, მაგრამ
თქვენ გულითა გსურთ მათი ნახვა და თან ფულიცა გაქვთ.
აქ თითქმის ყველა ოქროს მოყვარულები გვახვევია გარს. აბა,
საიდგან უნდა გაეცილა კაცი 5,000 ფრანსის სიშორიდგან?
ის იქ ისეთივე მეფეა, როგორც აქ მე, — და გენერალმა გაი-
ცინა: — თქვენ უთუოდ ნახულობდით პოლიტიკურ დამნა-
შავეთ, აძლევდით ფულსა და ვიშვებდნენ? — ჰკითხა ლიმი-
ლით, — ასეა ხონ?

— დიად, მართალია.

— მესმის და ასეც უნდა მოქცეულიყავით. თქვენ გინ-
დათ პოლიტიკურ დამნაშავეს ნახვა იმიტომ, რომ გებრალებათ.
სატუსაღოს უფროსი და გზის მცველი ჯარის კაცი უსათუოდ
აიღებს ფულს, რადგან ჯამაგირად ორიოდ გროში აქვს და
ასე ცოტა ფული კი ცოლ-შვილიან კაცს არ ეყოფა. იმათსა
და თქვენს ადგილზე მეც ისე მოვიქცეოდი, როგორც თქვენ
იქტვეით და ისინი. მაგრამ ჩემს ადგილზე არ მიესცემ ჩემს
თავს ნებას, რომ დადგენილ კანონის ერთ ასოს გადავსცდემ,
იმიტომ, რომ მეც კაცი ვარ და შეიძლება სიბრალულმა გამო-
ტაცოს. მე, ჩემო კარგო, საქმე მომანდევს და იმედი აქვთ,
რომ სინიღისიერადა ვასრულებ ჩემს მოვალეობას; ამიტომ მე-
ცა ვსცდილობ გავამართლო მათი ჩემდამი გამოცხადებული
ნდობა. ეს საქმე გათავებულია. აბა, ახლა მიაშბეთ, რა ამბა-
ვია თქვენს ქვეყანაში?



გენერალმა დაუწყო გამოკითხვა და თან თავისი ამბებიც მოუყვა, რადგან ერთსა და იმავე დროს უნდოდანდა, ხალხი ამბევს ბიკ გაეგო და მთელი თვისი მნიშვნელობა და კაცთმოყვარული აზრებიც გაეცნო ნებლიუდოვისთვის.

XXIII

— მაშ, აი რა:—ვისთან ჩამოხდით? დიუკთან? იქაც კუდი სამყოფია; მობრძანდით ჩემთან სადილად, —უთხრა გენერალმა ნებლიუდოვს, როცა ეს უკანასკნელი წასასვლელად მოემზადა:—თქვენ, მგონი, ინგლისური ოცით?

— დიალ, ვიცი.

— მაშ, ძალიან კარგი. ამ ემხად აქ არის ერთი ინგლისელი მოგზაური, რომელსაც უნდა სატუსალოებისა და კიშბირის შესწავლა. სადილად ჩვენსა იქნება და თქვენც მოდით. ხუთ საათზე ვსადილობთ და ცოლი სასტიკად თხოულობს, რომ დანიშნულ დროს ერთი წუთიც არ გადავაცილოთ და წესიერად აეასრულოთ მისი განკარგულება. მაშინ მოგცემთ პასუხს იმ ავადმყოფისა და ქალის შესახებ; იქნება მოვახერხოთ რამე.

ნებლიუდოვი გამოეთხოვა გენერალს და მხიარულად გასწია ფოსტისკენ.

ფოსტის კანტორა დაბალ შენობაში იყო. კანტორკას იქით ისხდნენ მოხელეები და აწვდიდნენ ხალხს წერილებსა და სხვა-და-სხვა ნივთებს. ერთ მოხელეს კისერი განზე მოეგრია და განუწყვეტლად უტყაპუნებდა ბეჭედს კანვერტებზე. გაიგეს თუ არა ნებლიუდოვის გვარი, დიდბანს არ ალოდინეს, მაშინვე გადასცეს სხვა-და-სხვა ამანათები. ამ ამანათებში იყო ფული, რამდენიმე წერილი, წიგნები და „Отечественный Записки“-ს რამდენიმე ნომერი. მიიღო თუ არა წერილები, ნებლიუდოვი მივიდა ხის სკამთან, რომელზედაც ჯარის კაცი იჯდა წიგნით ხელში, გვერდით მოღუჯდა და დაუწყო წერილებს გადასინჯვა. სხვა წერილთა შორის ერთი



საგანგებო წერილი იყო მშვენიერის კანცერტით. კანცერტი და, რა დინახა სელენინის წერილი რალა ციალოურის ქალაღდით, სისხლი აუვარდა თავში და თავღტ დაუბნელდა. ეს იყო კატოს საქმის ვარდაწყვეტილება. რა გადაწყვეტილება იყო? ნუ თუ უარი? ნებლიუღოვმა საჩქაროდ გადაიკითხა წერილის ასოებით დაწერილი ქალაღდი და თავისუფღად ამოისურტქა. გარდაწყვეტილება საბღდნიერო იყო: ორის ინსტანციის განაჩენი გაუქმბინათ და კატოსთვის კატორღა ციმიბირში ვადასახლებით შეეცვღათ.

„საყვარეღო მღგობარო, — სწორღა სელენინი, — უკანასკნელმა ჩენმა ლაბარაკმა დიღი გავღენა იქონია ჩემზე. მასღოვის ქაღის შესახებ შენ მართაღი ყოფიღხარ. კარგად გადავსინჯე საქმე და შევიტყვე, რომ გასაოცარი უსამართღობა ჩაუღენათ. საქმის გასწორება მხოღოდ თხოვნათა მიმღებ კომისიაში შეიძღლებღდა, სადაც შენ უკვე მიგეცა თხოვნა; მოვახერხებ ისე, რომ საქმე საკეთიღოდ გადაწყვეტიღიღყო, და აი, გიგზავნი კიღეც პატიების ქალაღდის პირს იმ აღრესით, რომეღიც გრავინია ეკატერინე ივანოვნამ გადმომცა. თკით გარდაწყვეტიღების ქალაღდი კი იქ გაიგზავნა, სადაც მასღოვის ქაღი იჯღდა ვამოძიებისა და გასამართღების ღროს და მიღებისათანავე უთუღად გამოგზავნიან ციმიბირის უმთავრესს სამმართვეღოში. ვისწრაფვი გაცნობო ეს სასიამოვნო ამბავი. მღგობარულ-ამხანაგურად გართმეგ ხეღს. შენი სელენინი“.

თვით ქალაღდის შინაარსი კი შემღღვი იყო: „მის იპერატორებითის უღიდებულღესობის თხოვნათა მიმღები კანცეღლარია. ესა და ეს საქმის წარმოება, ესა და ეს სტოღი, ესა და ეს რიცხვი და წეღი. მისის იმპერატორებითის უღიდებულღესობის თხოვნათა მიმღებ კანცეღლარიის უფროსის ბრძანებით, ამით გამოეცხადა მღაბიო მოქაღაქეს ეკატერინე მასღოვს, რომ მისმა იმპერატორებითმა უღიდებულღესობამ, მოიქციო რა ყურადღება მასღოვის ქაღის თხოვნას, უქვეშევრღო მიღღსის მოხსენებისამებრ, უმაღღესად პბრძანა: შეეცვღაღოს



კატორღა ციმბირის მახლობელ ადგილებში გადასახლებით“
ეს ამბავი მნიშვნელოვანი იყო: მოხდა ის, რაც ნებისმიერ
დღეს გულით უნდოდა, როგორც თავისთვის, ისე კატოსთვის-
საც. ეს ცვლილება ახალ მიზეზებს ჰბადებდა მათს დამოკიდე-
ბულებაში. სანამ კატო საკატორღე იყო, მათი ქორწინებაც
ფიქტიური იყო, ახლა კი არაფერი ხელს აღარ უშლიდათ
ერთად ეცხოვრათ. ამის გამო ნებლიუდოვი სრულიად მოუშ-
ზადებელი იყო. გარდა ამისა, კატოს დამოკიდებულება სი-
მონსონთან? რას ჰქონდა სიმონსონის გუშინდელი სიტყვები?
კატო რომ თანახმა გახდეს სიმონსონის წინადადებაზე, კარგი
იქნება თუ არა? ნებლიუდოვს ვერაფერი ვერ გარდაეწყვიტა
ამ საგნის შესახებ და თავი დაანება ამაზედ ფიქრს. „შემდეგ გა-
მოიკვვევა,—იფიქრა მან,—ახლა-კი საჭიროა, რაც შეიძლება,
ჩქარა ვინახულო, შევატყობინო ეს სასიამოვნო ამბავი და გავან-
თავისუფლო კიდევ“. ჰფიქრობდა, რომ გარდაწყვატილების
პირი, რომელიც ხელში ჰქონდა, საკმაო იყო განსათავისუფ-
ლებლად. გამოვიდა თუ არა ფოსტიდგან, უბრძანა შეეტღეს
პირდაპირ სატუსალოში წასულიყო.

თუმცა გენერალმა დილით ნება არ მისცა „სატუსალოში
შესვლისა, მაგრამ ნებლიუდოვმა გამოცდილებით იცოდა, რომ
რაც უმალღეს მთავრობასთან შეუძლებელია, შესაძლებელია
მდამიო მოხელეებთანაო, და გადასწყვიტა როგორმე მოეხერ-
ხებინა და შესულიყო სატუსალოში, გამოეცხადებინა კატოს-
თვის სასიამოვნო ამბავი, თან გავგო კრილცოვზედ რამე და
გადაეცა კრილცოვისა და მარია პავლოვნასთვის ყოველივე,
რაც გენერალმა უთხრა. ციხის უფროსი დიდი წოწოლა, ჩა-
სუქებული კაცი იყო. მკაცრად მიიღო ნებლიუდოვი და გა-
მოუცხადა, რომ უფროსის ნება-დაურთველად არ შემძლიან
გარეშე კაცის ციხეში შეშვებაო. ნებლიუდოვმა შეჰნიშვნა,
რომ სატახტო ქალაქებშიაც კი მიშვებდნენ სატუსალოებშიო;
ამაზედ ციხის უფროსმა უპასუხა:



— შესაძლოა აგრე იყოს, მაგრამ მე კი არ შემიძლიან და თან მისის სიტყვების კილო ამბობდა: „თქვენ, ქალაქების ბატონები, ჰფიქრობთ, რომ თქვენი დანაბზა ვითომ თავბრუს დაგვახვევს, მაგრამ იცოდეთ, რომ აღმოსავლეთ ციბირშიაც კარგად ვიცით წეს-რიგი და თქვენც განვენებთ“.

გარდაწყვეტილების პირმაც არაფერი უშველა ნებლიუდოვს და ჯიუტი უფროსი ვერ მოარბილა. გადაჭრით უთბრა უარი ნებლიუდოვს ციხეში შესვლაზე. ნებლიუდოვის გულუბრყვილო წინადადებაზე, რომ შეიძლება ამ ქალაქის ძალით მასლოვას განთავისუფლებაო, სატუსალოს უფროსმა დაციინვის კითხვით გაიღრიჭა და უთბრა, რომ ვისიმე განთავისუფლებისათვის საჭიროა ჩემის პირდაპირის უფროსის ქალაქილიო; აღუთქვა მხოლოდ, რომ შევატყობინებ მასლოვის ქალს დანაშაულობის პატიებას და, როგორც კი მოწერილობას მივიღებ, ერთ საათსაც არ დავაყოფნებო.

კრილკოვის შესახებ რაიმე ცნობის მიცემაზედ უარი სთქვა და დაუმატა: თითქმის ისიც კი არ შემიძლიან დანამდეილებითა ვსთქვა, აქ ასეთი ტუსალი იყო თუ არაო. რაკი ვერაფერი გაარიგა ნებლიუდოვმა, ჩაჯდა ეტლში და წავიდა სასტუმროში.

სატუსალოს უფროსის სიმკაცრე იმას გამოეწვია, რომ სატუსალოში, რომელიც მთლად გაქედილი იყო ტუსალებით, ამ დროს საოფლე მძვინვარებდა. მეეტლემ, რომელსაც ნებლიუდოვი მიჰყავდა, უამბო გზაში, რომ სატუსალოში აუარებელი ხალხი იხორკებაო. რალაც რამი გაერიათ, დღეში ოც-ოც კაცს მარხავენო.

XXIV

თუმცა სატუსალოში ვერაფერი გააწყო ნებლიუდოვმა, მაგრამ ისევ მზიარული წავიდა გუბერნატორის კანცელარიაში, რათა გაეგო, მასლოვის პატიებაზედ მიიღეს ქალაქილი თუ არა, მაგრამ უთბრეს, ჯერ არავითარი ქალაქილი არ მიგვილიაო



დაბრუნდა თუ არა სასტუმროში, ნებლიუდოვი მაშინვე შეუდგა წერილების წერას სელენინთანა და ვეკილთა და წერილები და საათს დაჰხედდა; გენერალთან სადილზე წასვლის დრო იყო.

გზაში ასეთი აზრი დაებადა: როგორ მივგებება კატო ამ ამბავს? სად დაასახლებენ? როგორ ცხოვრებს ჩემთან? რას იზამს სიმონსონი? როგორი დამოკიდებულებაა მათ შორის?

ნებლიუდოვმა მოიგონა ის ცვლილებანი, რომელიც კატოს შეჰნიშნა, თან მოიგონა მისი წარსულიც.

„უნდა დავივიწყო, ამოვიგლიჯო გულიდგან“, — იფიქრა და მოინდომა თავიდან მოეშორებინა ეს ფიქრი. — მაშინ გამოირკვევა ყველაფერი“, — სთქვა თავისთვის და დაიწყო იმაზედ ფიქრი, თუ რა უნდა ეთქვა გენერლისათვის.

ყოველის მხრით შემკული სადილი გენერლის სახლში ნებლიუდოვისთვის, როგორც მდიდრულ ცხოვრებას შეჩვეულ კაცისათვის და ამდენის ხნის განმავლობაში ყველაფერს მოკლებულისთვის, ძლიერ სასიამოვნო იყო.

ღიასახლისი, ნიკოლოზის სასახლის ფრეილინად ნამყოფი, კარგად ლაპარაკობდა. ფრანგულად, ხოლო რუსულში კი ჰკოჭლობდა. ის მუდამ პირდაპირ იჯდა და, როცა ხელებს ამოძრავებდა, იდაყვს არ აშორებდა ტანს. ქმარს პატივისცემით ეპყრობოდა და მეტის-მეტად ვაღერსებოდა. ნებლიუდოვი ისე მიიღო, როგორც თავისიანი და ხოტბა-დიდება შეასხა, რითაც ნებლიუდოვი ნასიამოვნები დარჩა. ღიასახლისმა აგრძობინა ნებლიუდოვს, — ვიცი შენი ორიგინალური მოქმედება, რომლის გულისთვისაც ციმბირში ჩამოსულხარ, ამისთვის განსაკუთრებულ კაცადა გთვლიო. მეტის მეტმა აღერსმა და ხოტბა-დიდება, საუცხოვო საქმელმა და მდიდრულად მორთულმა სახლმა ისეთი გავლენა იქონია ნებლიუდოვზე, რომ მთლად შესტოპა ამ გვარს ცხოვრებაში, თითქოს ყველაფერი, რაც ამ ბოლოს დროს გამოიარა და ის ცხოვრება, რომელიც ამ



ბოლოს დროს გამოსცადა, თითქოს სიზმარი იყო, და ახლა გამოფიხილდა და დაუბრუნდა სინამდვილეს.

სადილადა, გარდა შინაურებსა—გენერლის სიძე ქალიშვილისა და ადიუტანტისა—კიდევ ერთი ინგლისელი ვაჭარი და შორეულ-ციმბირის ქალაქის გუბერნატორი იყვნენ. ამ ხალხის ნახვა ძლიერ სასიამოვნოდ ჰქონდა ნებლიუდოვს.

ინგლისელი კარგი მოსული, ჯან-სალი კაცი იყო ძალიან ცუდად ჯანსაღობდა ფრანგულად, მაგრამ, სამაგიეროდ, ნამდვილ ორატორულის მქვერმეტყველობით ინგლისურ ენაზედ; ყველაფერი ძლიერ აინტერესებდა, — ბევრი რამ ენახა თავის სიკაცხლეში და საყურადღებო ამბებს უამბობდა ამერიკასა, ინდოეთსა, იაპონიასა და ციმბირზედ.

ახალგაზრდა ვაჭარი იყო ოქროს მადნების მწარმოებელი — შვილი უბრალო გლეხისა, უკანასკნელ მოდაზე შეკერილ ფრაკში გამოწყებილი ბრილიანტის დუგემებით; ამ ვაჭარს მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონდა და დიდი ქველმოქმედი იყო. მიმართულებით ლიბერალობდა; ნებლიუდოვისთვის ძლიერ სასიამოვნო იყო ეს ვარემოება, რადგან იგი წარმოადგენდა ევროპის კულტურის წყალობით ხელ-ახალ ტიპს წინად გაუთლელ გლეხისას. შორეულ ქალაქის გუბერნატორი, დეპარტამენტის დირექტორად ნამყოფი — ჩამრგვალებული კაცი იყო ცისფერ თვალებით და თეთრის ფუნთუშა ხელებით, რომელზედაც მრავალი ძვირფასი ბეჭდება ჰქონდა ვაკეთებული. სახლის პატრონს იმიტომ მოსწონდა გუბერნატორი, რომ ქრთამს არ იღებდა. დიასახლისს კი, როგორც მუსიკის თაყვანისმცემელს, იმიტომ უყვარდა, რომ კარგი მემუსიკე იყო. ნებლიუდოვი ისეთ ხასიათზე იყო ამ დღეს, რომ მისი სტუმრობაც სასიამოვნო იყო დიასახლისისათვის.

ყველასთვის სასიამოვნო სტუმარი იყო აგრედვე ადიუტანტი მხიარულის, ენერგიულის სახითა და თავისი ვულკეთილობით.



ყველაზედ უფრო ნებლიუდოვს გენერლის ქალიშვილი და მისი ქმარი მოეწონა.

ქალი თუმცა ლამაზი არ იყო, მაგრამ მეტის მეტად კეთილი იყო და მთელი თავისი გრძნობა-გონება პირველის ორის შეიღისკენ ჰქონდა მიქცეული; მისი ქმარი, რომელსაც მშობლებთან დიდის ჩხუბისა და დავიდარების შემდეგ სიყვარულით გაჰყვა ცოლად, ლიბერალი და მოსკოვის უნივერსიტეტის კანდიდატი, ფრიად ჰყვიანი და მშვიდი კაცი იყო, მსახურებდა და სტატისტიკურ ცნობებსა ჰკრებდა, განსაკუთრებით უცხო ტომთა შესახებ, რომელთა შესწავლასაც ბევრ დროს ანდომებდა და სცდილობდა დაეხსნა გადაშენებისგან.

ყველა აღერსიანად და სიყვარულით ექცეოდა ნებლიუდოვს და უხაროდათ მისი ნახვა, როგორც უცხო და საპატიო კაცისა. გენერალი გამოვიდა სასადილო ოთახში; სამხედრო სერთუქში იყო და თეთრი ჯვარი ჰქონდა ყელზედ. მიესალმა ნებლიუდოვს, როგორც ძველ ნაცნობს, და მიიწვია ყველანი სუფრაზედ. გენერალი შეეკითხა, რა ჰქენ შენის საქმეებისაო. ნებლიუდოვმა უამბო: წავედი ფოსტაში, სადაც დამხვდა კატოს შეწყნარების ქალაღი, რომელზედაც დილით მოგახსენებდითო, და ხელმეორედ სთხოვა სატუსაღოში შესვლის ნებართვა.

გენერალს უკმაყოფილება გამოეხატა სახეზედ იმის გამო, რომ სადილის დროს საქმეზე ჩამოუკდეს ლაპარაკი, კოპებში შეიკრა და არა უთქვამს-რა.

— არაყს მიირთმევთ? — მიჰმართა გენერალმა ფრანგულად ინგლისელს.

ინგლისელმა არაყი დალია და სთქვა, დღეს ტაძარი და ქარხანა ვნახე და ახლა კი სატუსაღოს ნახვა მსურსო.

— ძალიან კარგი, — სთქვა გენერალმა და მიუბრუნდა ნებლიუდოვს — თქვენც შეგიძლიათ ამასთან ერთად. დაუწერეთ შესვლის ბარათი, — მიჰმართა აღიუტანტს.



— როდის გნებავთ ნახათ? — ჰკითხა ნებლიუდოვი ნინოს გლისელს.

— საღამოზედ მირჩევნია ვნახო, — უთხრა ინგლისელმა: — ყველანი თავ-თავიანთს ალაგზედ დამხედებიან და არავითარს მზადებაში არ იქნებიან. ყველაფერი ისე იქნება, როგორც არის.

— აა! მაგათა ჰსურთ ნახონ სატუსალოს მშვენიერებით შემკული სურათი! რა მენალღლება, ნახოს. მივსწერე სადაც ჯერ იყო, მაგრამ ჩემსას არ ისმენენ. დეე, გაიგონ უცხოეთის გაზეთებიდან! — სთქვა გენერალმა და მივიდა სუფრასთან სადაც დიასახლისი ეპატრიცებოდა სტუმრებს სადილზე და ყველას თავ თავის ალაგს აჩვენებდა.

ნებლიუდოვი დიასახლისსა და ინგლისელს შუა იჯდა. მის პირდაპირ გენერლის ქალიშვილი და დეპარტამენტის დირექტორად ნამყოფი იჯდა.

სადილის დროს ნაწყვეტ-ნაწყვეტად ლაპარაკობდნენ, ხან ინდოეთზედ, სადაც ინგლისელი ყოფილიყო, ხან ტონკინის ექსპედიციაზე, რომელსაც სასტიკად ჰკიცხავდა გენერალი, და ხან საზოგადოდ კიმბირის გარყვნილებასა და მექრთამეობაზე. ყველა ეს ამბები მაინცა-და-მაინც არაფრად აინტერესებდა ნებლიუდოვს.

მაგრამ სადილს შემდეგ, ყავის დროს, საყურადღებო ლაპარაკი მოუბდათ დიასახლისსა და ინგლისელს გლადსტონის შესახებ და ნებლიუდოვმა წარმოიდგინა, რომ ინგლისელმა ბევრი საგულისხმეო რამ სთქვა, რაც შეუძნეველი არ დარჩა არავის პოზიერ სადილის შემდეგ ყავაზედ, რბილ სავარძელში მჯდომი, გალალეზულ და აღერსიან ადამიანთა შორის, ნებლიუდოვი თან-და-თან გამხიარულდა და უსაზღვრო სიამოვნებასა ჰგრძნობდა. როცა ინგლისელის თხოვნით დეპარტამენტის დირექტორად ნამყოფი და დიასახლისი მიუხსდნენ ფორტებიანოს და ბეთხოვენის მეზუთე სიმფონია საუცხოვოდ ჩაარაკრაცეს, ნებლიუდოვი მთლად სმენად გარდაიქცა და ისე-



თი სიამოვნება იგრძნო, რომ ასეთი თავის დღეში არა უგრძობი
ძენია-რა, თითქოს ახლა გაიგო, თუ რა კარგი კაცია მისი მამა

როიალი სამაგალითო იყო და სიმფონიაც კარგად შეას-
რულეს. ნებლიუდოვს თვითეული ხმა ნექტარივით უვლიდა-
ტანში და თვალთ ებნიდებოდა.

ნებლიუდოვმა უღრმესი მადლობა გადაუხადა დიასახლისს
პატივისცემისათვის და ის იყო გამოთხოვებას აპირებდა, რომ
მასთან მივიდა გენერლის ქალი და გაწითლებულმა უთხრა:

— თქვენ შეკითხვობდით ჩემის ბავშვების შესახებ; გნე-
ბავთ ნახოთ?

— მაგასა ჰგონია, რომ ყველასათვის საინტერესოა მისი
ბავშვების ნახვა, — სთქვა დედამ ღიმილით: — თავადს სულაც არ
ინტერესება!

— სრულიადაც არა! პირიქით, ძალიან შეინტერესება, —
სთქვა ნებლიუდოვმა: — მიჩვენეთ, გეთაყვა.

— თავადი მიჰყავს თავის ბავშვების სანახავად, — სთქვა
სიცილიდ გენერალმა, რომელიც ბანქოს სათამაშო მაგიდას
მისხდომოდა; მასთან ისხდნენ სიძე, ოქროს მადნების მწარმო-
ებელი და აფიცერი-ადიუტანტი. — შეასრულეთ, შეასრულეთ
თქვენი მოვალეობა.

ახალგაზდა ქალი მეტად აღელვებული იყო იმის გამო,
რომ ახლა მისი ბავშვები უნდა გაესინჯათ, და ჩქარის ნაბიჯით
მიდიოდა ოთახისკენ. მესამე თეთრ შპალერიან მაღალ ოთახში,
რომელსაც ზომიერად ამოწეული ლამაზა ანათებდა, ორი პა-
ტარა საწოლი იდგა; საწოლებს შუა იჯდა თეთრ წინსაფა-
რიანი ძიძა, რომელიც ადგა და თავი დაუკრა. დედა დაიხარა
პირველ საწოლისაკენ.

— აი, ეს კატო არის, — სთქვა მან და საბანი გაუსწორა
გრძელ-თმიან ორის წლის გოგუცას; კარგია, არა?

— საუცხოვოა!

— ეს ვასიუკაა, ბაბუამ უწოდა ეს სახელი. სულ სხვა
ტიპია. ნამდვილი ციმბირელია.



— დიად, მშვენიერი ბავშვია, — უთხრა ნებლიუდოვმა
— მართლა? — სთქვა დედამ მრავალ მნიშვნელოვან

ლიმილით.

ნებლიუდოვმა მოიგონა ბორკილები, მოპარსული თავები, ცემა-ტყეპა, გარყვნილება, მომაკედავი კრილცოვი და კატო თავისის წარსულით, მოიგონა ყოველივე ეს და შეშურდა ასეთი ცხოვრება; ნებლიუდოვს უნდოდა თავისთვისაც ისეთი ნაზა და წმინდა ბედნიერება, როგორც მას ეჩვენებოდა იმ წუთში.

რამდენჯერმე განიხიორა ბავშვების ქება, რითაც დედა დიდად კმაყოფილი დარჩა, და გამოვიდა სასტუმრო ოთახში, სადაც ინგლისელი უცდიდა, რომ ერთად წასულიყვნენ სატუსალოში. ნებლიუდოვი გამოეთხოვა მასპინძლებს და ინგლისელთან ერთად გავიდა გარედ.

კუდი დარი იყო. თოვლს სახლის სახურავები და ხეები თეთრის სუდარით შეემოსა. ნებლიუდოვმა უბრძანა ინგლისელის მეგტლეს სატუსალოში წასულიყო, თვითონ ჩაჯდა თავისს ეტლში და უკან კაპყვა.

XXV

თუმცა ყველაფერი თეთრს მანტიაში იყო გახვეული, მაგრამ სატუსალოს შენობა თავის დარაჯითა და მიბეუტულის ფარნებით ისე ნაღვლიანად და მჩისხანედ გამოიყურებოდა, რომ საშინლად ჰმოქმედებდა ადამიანზე.

გამობრძანდა დიდებულის სატუსალოს უფროსი და, წაიკითხა რა ფარნის ახლოს შესვლის ნებართვის ბარათი, რომელიც ნებლიუდოვისა და ინგლისელისათვის მიეცათ, გაკვირვებით მხრები აიჩეჩა, მაგრამ რაკი მეტი ჩარა არ იყო და ბრძანება უნდა აესრულებინა, მიიწვია სატუსალოში.

შევიდნენ კანტორაში, სადაც უფროსმა სკამი მიართვა და სთხოვა აეხსნა ასე უდროოდ მათის მობრძანების მიზეზი. როცა ნებლიუდოვმა უთხრა, ძლიერ საჭიროა ახლივე ენახო



მასლოვის ქალიო. უფროსმა გაჰზავნა ზედამხედველი მოსკოვი
ყუანად და თვითონ კი მოემზადა, რომ ინგლისელის მხედრობის
თხვაზედ პასუხი მიეგო.

— რამდენის კაცისთვის არის აგებული სატუსალო? —
ეკითხებოდა ინგლისელი ნებლიუდოვის პირით: — რამდენი
ტუსალოა? რამდენი კაცია? რამდენი ქალი და ბავშვია? რამ-
დენია საკატორღე, გადასახლებული, თავის ნებით გამყოფნი?
რამდენია ავადმყოფი? და სხ.

ნებლიუდოვი თარგმნიდა ინგლისელისა და უფროსის
სიტყვებს, თუმცა თვითონ ყურადღებას არ აქცევდა ამ სი-
ტყვემის შინაარსს, რადგან ძალიან აღელვებული იყო კა-
ტოს ნახვის მოლოდინით.

იმ დროს, როდესაც ნებლიუდოვი ინგლისელის სიტყვებს
უთარგმნიდა სატუსალოს უფროსს, უცბად გაიღო კარე-
ბი და შემოვიდა სატუსალოს ზედამხედველი, რომელსაც
კატო შემოჰყვა.

„შეც ცხოვრება მინდა, მინდა ოჯახი, ცოლ-შვილი, მინ-
და ადამიანურად ცხოვრება“, — გაუელვა ნებლიუდოვს თავში
იმ დროს, როცა კატო ჩქარის ნაბიჯით ოთახში შემოდიოდა.

ნებლიუდოვი წამოდგა, გადადგა რამდენიმე ნაბიჯი კა-
ტოსკენ და გაჩერდა. კატოს თუმცა ჯერ არაფერი ეთქვა,
მაგრამ ისე გაელვებული იყო, რომ მისმა სახის ვამომეტყვე-
ლებამ განცვიფრებაში მოიყვანა ნებლიუდოვი, რომელსაც
კატო ასეთი თავის დღეში არ ენახა. მასლოვის ქალი ხან
წითლდებოდა, ხან ყვითლდებოდა და ხელებით მაგრად კმუ-
ქნიდა ხალათის კალთას, თითქოს ამაზედ უნდა ამოიყაროს
თავისი ჯავრიო.

— იცით ამბავი? — ჰკითხა ნებლიუდოვმა.

— დიალ, გადმომცეს... და ახლა გადავსწყვიტე ვითხოვო
ვლადიმერ ივანოვიჩთან... — კატო ისე სწრაფად და გარკვევით
ლაპარაკობდა, თითქოს წინ-და-წინ ჰქონდა ყველაფერი გაზე-
პირებულიო.



— როგორ თუ ვლადიმერ იენანოვიჩთან? — დაიწყო ნენე-
ხლიუდოვმა, მაგრამ კატომ გააწყვეტინა:

— რა ვქნა, თუ კი უნდა, რომ მასთან ვიცხოვრო...
მასთან ვიყო, უკეთესი რაღა იქნება?... იქნება სხვისთვისაც
სასარგებლო გამოვლდე... მეტი რა მინდა...

ორში ერთი იყო: კატოს ან შეუყვარდა სიმონსონი და სრუ-
ლიადაც არ უნდოდა მიეღო ნებლიუდოვისგან მსხვერპლი, ან და
ისევ ნებლიუდოვი უყვარდა და მისდა საკეთილდღეოდ უარს ამ-
ბობდა მისს ცოლობაზე და სიმონსონს მიჰყევბოდა. ნებლი-
უდოვი მიჰხვდა ამას და შერცხვა. აშკარად იგრძნო, რომ
წითლდებოდა.

— თუ კი გიყვართ, რატომ...— დაიწყო მან.

— მე ხომ არასოდეს ასეთ ხალხთან არა მქონია საქმე
და არც ვიცნობდი; ისეთი ხალხია, რომ არ შეიძლება არ
შეიყვაროს ადამიანმა. ვლადიმერ იენანოვიჩს ხომ კიდევ ის
უპირატესობა აქვს, რომ სულ განსაკუთრებულ ხასიათის კაცია.

— ჰო, რასაკვირველია, მეც იმ აზრისა ვარ, რომ სამა-
გალითო კაცია და ვფიქრობდი...

კატომ საჩქაროდ გააწყვეტია სიტყვა, რომ ზედ-მეტი
არაფერი ეთქვა ნებლიუდოვს.

— არა, უნდა მაპატიოთ, თუ ისე არ ვიქცევი, როგორც
თქვენ გინდათ, — უთხრა კატომ: — კარგად ვიცი, რომ თქვენც
ცხოვრება გინდათ. — კატომ დაასწრო იმისი თქმა, რასაც ახლა
ნებლიუდოვი ჭფიქრობდა და რის თქმაც მას უნდოდა.

— ნუ თუ ყველაფერი გათავდა ჩვენ შორის? — შესაბრა-
ლის ხმით წარმოსთქვა ნებლიუდოვმა.

— დიად, სწორედ რომ გათავდა! — უპასუხა მასლოვის
ქალმა და გაიღიმა.

— ძალიან კარგი, მაგრამ მე მაინც მინდოდა თქვენი
სამსახური.

— ჩვენ... — სთქვა კატომ სიტყვა „ჩვენ“ და შეჰხვდა
ნებლიუდოვს: — ჩვენ არაფერი არ გვინდა. მე ისედაც დიდად



დავალებული ვარ თქვენგან. თუ არ თქვენ... უნდოდა რაღაც
ეთქვა, მაგრამ ხმა აუკანკალდა და გაჩერდა.

— არ ვიცი, ვინ ვისგან მეტად დავალებულია. ჩვენს
ანგარიშს ღმერთი გასწმენდს.

— დიად, ღმერთი გასწმენდს, — ყრუ ხმით წარმოსთქვა
მასლოვის ქალმა.

— Are you reofy (მზადა ხართ)? — დაეკითხა ამ დროს
ნებლიუდოვს ინგლისელი.

— Directly (ეხლავე)! — უპასუხა ნებლიუდოვმა და კრილ-
ცოვის ამბავი გამოჰკითხა კატოს.

მასლოვის ქალი დამშვიდდა და უამბო ყველაფერი, რაც
იყო კრილცოვზედ. გზაში ძალიან დასუსტებულიყო და
საავადმყოფოში დაეწვინათ. მარია ჰავლოვნას ეუბოვნა მასთან
დარჩენა, მაგრამ ჯერ პასუხი არ მოსვლოდა.

— მაშ წავიდე? — დაეკითხა კატო ნებლიუდოვს, როცა
შეჰნიშნა, რომ ინგლისელი ელოდებოდა.

— არ გეთხოვები. კიდევ გნახავ, — უთხრა ნებლიუდოვმა
და ხელი გაუწოდა.

— მაპატიეთ, — ყრუ ხმით უთხრა კატომ.

ორივემ თვალები ერთმანეთს გაუშტერეს. ამ შეხედვაში
და იმ საცოდავ ღიმილში, რომლითაც კატომ წარმოსთქვა
„მაპატიე“-ო, ნებლიუდოვი დარწმუნდა, რომ კატოს ისევ
უყვარდა და, რომ არ გაეუბედურებინა იგი თავის ცულობით,
გადასწყვიტა, სიმონსონს გაჰყოლოდა და ამგვარად გაენთა-
ვისუფლებინა.

კატომ მაგრად ჩამოართვა ნებლიუდოვს ხელი, მოტრი-
აღდა და გავიდა.

ინგლისელი, ნებლიუდოვისათვის რომ ხელი არ შეეშა-
ლა, რაღასაც სწერდა უბის წიგნში. ნებლიუდოვი ჩამოჯდა
სკამზე და მეტის-მეტად დაღონდა. უცბად საშინელი დაღლი-
ლობა იგრძნო, მიაწვა სკამის საზურგეს და ტკბილად ჩა-
სთვლიმა.



— გნებავთ ახლა კამერებში გავლა?—დაეკითხა ციხის უფროსი. ნებლიუდოვი უცბად გამოფხიზლდა, ინგლისელმა გაათავა წერა და მოისურვა კამერების დათვალიერება.

XXVI

გაიარეს შყრალი კარიდორი და ნებლიუდოვი, ინგლისელი და სატუსალოს უფროსი შევიდნენ პირველ კამერაში, სადაც საკატორდენი იყვნენ. ტუსალები თითქმის ყველანი იწვნენ ტახტზე, რომელიც კარების შუაში იდგა. ისეთი ვიწროობა იყო, რომ ფეხის დასადგმელ ალავს ვერ იშოვნიდა აღმდანი. ყველგან თევზებივით იყვნენ ჩაწოლილნი. გაიგონეს თუ არა ფეხის ხმა და გამოჩნდა—რა კამერაში უფროსი და მასთან ერთად ორი უცხო კაცი დაინახეს, უცბად ფეხზე წამოდგნენ და ტახტის წინ გაჩერდნენ. მხოლოდ ორი მათგანი არ ამდგარა—ერთი იყო ახალგაზდა, რომელიც თვალებიანად ჰარხალივით გაწითლებულიყო, ეტყობოდა, ძალიან სიციხე ჰქონდა, და მეორე—ბებერი, რომელიც განუწყვეტლივ ჰკუთავდა.

ინგლისელმა იკითხა: რამდენი ხანია ეს ახალგაზდა ავადაო. უფროსმა მოახსენა, დღეს დილით გახდა ავად; ბებერი კი დიდი ხანია მუცელს იტკივებს და, რადგან საავადმყოფოში ალაგი აღარ იყო, ელარ გადავიყვანეთო. ინგლისელმა უკმაყოფილოდ გააქანა თავი და სთხოვა ნებლიუდოვს, რამდენიმე სიტყვა გადაეცათ ტუსალებისთვის.

აღმოჩნდა, რომ ინგლისელს, გარდა იმისა, რომ უნდოდა სატუსალოებისა და ციმბირში გადასახლებულთა ცხოვრების შესწავლა, კიდევ სხვა აზრიც ჰქონდა:—ქადაგება სარწმუნოებითა და სინანულით ხსნაზედ.

— უთხარიტ მაგათ, რომ ქრისტეს უყვარდა და ებრალებოდა ტუსაღნი და მოკვდა მათთვის. თუ ესენი ირწმუნებენ მას, იხსნიან თავს.



სანამ ინგლისელი ლაპარაკობდა, ტუსალები, როგორც გაწოთენილნი ჯარის-კაცნი, ისე იყვნენ ტახტის წინაშე ვებულნი.

— უთხარით აგრედვე, რომ ამ წიგნში ყველაფერი სწორია. კითხვა ხომ არავენ იცის?— აღმოჩნდა, რომ ოკამდე კაცმა იცოდა კითხვა.

ინგლისელმა ამოიღო რამდენიმე ყდიანი წიგნი—ახალი აღთქმა—და მაშინვე რამდენმამე ტუსაღთაგანმა შავი დაკოჭრებული და ჭუჭყიანი ხელები გაიშვირა. ინგლისელმა ამ კამერაში ორი სახარება დააჩიგა და გავიდა მეორეში.

აქაც ისეთივე სურათი ნახა, როგორც პირველში. აქაც ერთი-მეორეზე ეყარნენ ტუსალები. ინგლისელმა აქაც ის სიტყვა სთქვა და ორი სახარება დასტოვა.

მესამე კამერიდან საშინელი ხმაურობა ისმოდა უფროსმა დააკაკუნა კარებზე და დაიყვირა:

— წყნარად!

როცა კარები გააღეს, აქაც ყველანი ფეხზე წამოდგნენ, გარდა ორის მოჩხუბარისა, რომელთაც მაგრად ჩაებლუჯათ თმა და წვერი და სწეწდნენ ერთმანერთს; ესენი მაშინვე გაშორდნენ ერთმანერთს როცა მათთან ზედამხედველი მივიარდა. ერთს ცხვირი ჰქონდა გატეხილი და სისხლი სდიოდა, მეორე კი დაქილულ წვერებს ისწორებდა.

— სტაროსტა!—მრისხანედ დაიყვირა უფროსმა.

გამოვიდა ახალგაზდა კაცი.

— ვერას გზით ვერ დავამშვიდე, თქვენო კეთილშობილებებო!—უთხრა „სტაროსტამ“ და მზიარულად გაიღიმა.

— მე მაგათ დავამშვიდებ...

— რაზედ ჩხუბობენ?—იკითხა ინგლისელმა.

— რაღაც უბრალოზე დაიწყეს კინკლაობა და შემდეგ მუშატი-კრიკიც მოჰყვა,—უპასუხა ღიმილით სტაროსტამ.

— რამდენიმე სიტყვა მინდა ვუთხრა მაგათ,—სთქვა ინგლისელმა და ნებლიუდოვმა გადაუთარგმნა უფროსს.



— შეგიძლიანთ, — უთხრა უფროსმა.

ინგლისელმა ამოიღო თავისი ყდიანი სახარება.

— გადაუთარგმნეთ, გეთაყვა, — უთხრა ნებლიუდოვს: — თქვენა ჩხუბობთ და ქრისტემკი, რომელიც ჩვენთვის იტანჯა, სულ სხვა მაგალითი გვიჩვენა. ჰკითხეთ, იციან თუ არა, როგორ უნდა მოვექცეთ ქრისტეს კანონით იმ კაცს, რომელმაც შეურაცხყოფა მოგვაყენა?

ნებლიუდოვმა გადაუთარგმნა.

— მთავრობასთან ვუჩივლებთ და ის გააჩვენს. — სთქვა ერთმა და უფროსს შეჰხედა.

— კარგად უნდა მიბერტყო და აღარ მოგაყენებს შეურაცხყოფას, — სთქვა მეორემ.

აქა-იქ სიცილი მოისმა. ნებლიუდოვმა გადაუთარგმნა ინგლისელს.

— თვითონა სცადოს ჯერა, — სთქვა ერთმა.

— ასე ხომ სულ გაგვთქვიფავს.

— აბა, სცადე, — სთქვა ვილამაც უკანიდან და გადაიხარხარა.

მთელი კამერა ახმაურდა, ყველამ გულიანად გადაიხარხარა.

ინგლისელი მაინც არ შედრკა. სთხოვდა ნებლიუდოვს, გადაეცა მათთვის, რომ ის, რაც მათ შეუძლებლად მიიჩნდათ, შესაძლებელია იმათთვის, რომელნიც მტკიცე მორწმუნენი არიანო.

— აბა, ჰკითხე, სვამენ რასმე თუ არა?

— დიად, ვსვამთ, — მოისმა ერთი ხმა და ისევე საერთო ხარხარი ასტყდა.

ამ კამერაში ოთხი ავადმყოფი იყო. ინგლისელმა იკითხა, რატომ ყველა ავადმყოფები ერთად არ არიანო? უფროსმა მოახსენა, თვით ავადმყოფებმა არ ისურვეს ერთად ყოფნაო. გარდა ამისა, გადამდების სენით არ არიან ავად და ფერწალი მუდამ თვალყურს ადევნებსო.

— მეორე კვირაა თვალით არ გვინახავს, — სთქვა ერთმა.



უფროსმა ყურადღებაც არ მიაქცია ამ სიტყვებს და შემდეგ კამერაში წავიდა. აქაც ის განმეორდა, რაც ზღონიერების ორ კამერაში: ტუსაღები წამოდგნენ, ინგლისელმა რამდენიმე სიტყვა უთხრა, გადასცა სახარება და შემდეგ კამერაში შევიდა; ასევე იყო მეხუთე, მეექვსე, მარჯვნივ და მარცხნივ კამერებში.

ნებლიუდოვი თუმცა საშინელს დალლილობასა ჰგრძნობდა, მაგრამ რაკი უარის თქმა არ შეეძლო, ძალა-უნებურად მიჰყვებოდა მათ უკან და საცოდავად მილასლასებდა.

XXVII

საკატორლებიდან გადასახლებულებთან გადავიდნენ, შემდეგ საზოგადო კამერაში, ვგრედ-წოდებულ „ობშჩესტვენნიკებთან“, და თავის ნებით გამოიმყოფელებთან. ყველგან ერთი და იგივე იყო: ყველგან სიცივით აკანკალებულნი, მშვიერ-მწყურვალნი, ავადმყოფნი, დამწყვდეული ტუსაღნი ისე ვჩვენებოდა კაცს, თითქო მხეცები არიანო.

ინგლისელმა სულ დაარიგა სახარება. ახლა აღარ არიგებდა და აღარც სიტყვას ამბობდა. ამ სამწყურვარო სანახაობამ და მყრალმა ჰაერმა ისე დაასუსტა ინგლისელი, რომ უმადოდ მიდიოდა კამერებში და ხმას აღარ იღებდა. გადასახლებულების კამერაში კარგა ხანს დარჩნენ. აქ მათი ყურადღება მიიპყრო ერთმა ტუსაღმა, რომელიც მათ შესვლაზე, როცა ყველა ფეხზე წამოდგა, არც კი განძრეულა. ეს ის ბებერი იყო, რომელიც დილით გაიცნო ნებლიუდოვმა ბორანზე. ის დაფლეთილის პერანგის ამარა იჯდა იატაკზე და გაკვირვებით უცქერდა შემომსვლელთ. ეტყობოდა, რომ ამ დროს ამხანაგებთან ლაპარაკი ჰქონდა და უკმაყოფილო იყო, რადგან ხელი შეუშალეს. თვალები აღგზნებული ჰქონდა და მრისხანედ გამოიყურებოდა.

— აღეკი! — დასჭყიელა უფროსმა.

ბებერი არ ინძრეოდა.



— რატომ ავდგე? უმჯობესია, შენც აქ დაჯექი, რაღაც საც გეტყვი, — უთხრა მან და ტახტზე უჩვენა.

— რაო, რაო? — დაიღრიალა უფროსმა და თავზე წაადგა.

— ვიცნობ ამ კაცს, — საჩქაროდ უთხრა ნებლიუდოვმა, — რაზე დაიჭირეს?

— პოლიციამ გამოჰგზავნა უპასპორტობის გამო. ჩვენა ვსთხოვეთ, ნუ გზავნი-თქო, მაგრამ მაინც ჰგზავნიან, — სთქვა უფროსმა მრისხანედ და ბებერს შეუბღღერა.

— გასწი, გასწი! — მრისხანედ დაუყვირა ბებერმა ნებლიუდოვს: — შეჭხედე და დასტკბი, როგორ აძლებენ ტილებს ადამიანთა ხორცით. გასწი, გასწი!

ნებლიუდოვი გავიდა კარიდორში და მივიდა ინგლისელთან, რომელიც ერთის კამერის კარებთან იდგა და ეკითხებოდა უფროსს მისს დანიშნულებაზე. ეს მიცვალებულთა კამერა იყო.

— ოჰჰ! — წამოიძახა ინგლისელმა და მოშორდა.

ჩვეულებრივი პატარა კამერა იყო; კედელზე პატარა ლამაზი ეკიდა და მკრთალად ანათებდა ტახტზე დაწყობილ ოთხ მკედარ ტუსაღის გვამს. ერთი მიცვალებული მაღალის ტანისა, პატარა წვერიანი და ნახევრად თავმოპარსული იყო. ხელები გულზე ჰქონდა დაკრფილი და ფეხები ტახტიდგან აქეთ-იქით გადაგდებული. მის გვერდით მოხუცი დედაკაცი ესვენა. დედაკაცის გვერდით კიდევ კაცის გვამი ესვენა, ლურჯ ხალათში. ამ ხალათის დანახვაზე ნებლიუდოვს რაღაც მოაგონდა და, გააჭრჭოლა.

— ეს მესამე ეინ არის? — ჰკითხა უფროსს და თვალებს არ უჯერებდა.

— ეს ერთი ბატონთაგანია. სადილობისას მოასვენეს სააფადმყოფოდგან, — უპასუხა ზედამხედველმა.

ფეხ-შიშველა და გვერდზედ გადაწვდილის ხელებით ორ მკედარს შუა ესვენა კრილცოვი თავის ლურჯ ფანელის ხალათში. გუშინდელის სიბრაზისაგან წამოქარხლებული



სახე ახლა საშინლად გაყვითლებული და უძრავი იყო. ნებ-
ლიუდოვი მივიდა მიცვალებულთან და შეეხო მისს (გაყვითლულს)
ხელებს. არა, ეს სიზმარი არ იყო. ჰხედავდა თავის წინ
კრილცოვის გაცივებულს გვამს. ჰხედავდა, რომ ის, რაც გენერ-
ლის სახლში ნახა, სიზმარი იყო, ხოლო ეს კი, რაც აქა ნა-
ხა და ის მოქმედება, რომელსაც ეს სანახავე იწვევდა, ნამ-
დვილი ცხოვრება იყო. დიალ, სინამდვილე იყო. საჩქაროდ
გამოეთხოვა ინგლისელისა და სატუსალოს უფროსს და საშინ-
ლად გულ-მოკლული დაბრუნდა სასტუმროში.

XXVIII

ნებლიუდოვს დიდხანს არ დაუძინია, გაცხარებული ბოლ-
თასა სცემდა სასტუმრო ოთახში. მისი საქმე კატოსთან გათა-
ვებული იყო—და გათავებული იყო ცუდად. მაგრამ ახლა ეს
აღარ აწუხებდა. მეორე მისი საქმე არა თუ გათავებული იყო,
არამედ წინანდელზე მეტად აწუხებდა და მეტი შრომა და
ენერჯია იყო საჭირო.

თვალ-წინ დაუდგა მყრალ და ნესტიან კამერებში დამ-
წყვდელი ასი და ათასი კაცი, მოაგონდა ის საზარელი ხარ-
ხარი, რომელიც სახარების სიტყვებში გამოიწვია ტუსაღთა შო-
რის, მოაგონდა ის ბებერი, რომელიც გიჟად იცნეს, და მი-
ცვალებულთა შუა გაწოლილი ფერ-მკრთალი კრილცოვი.
ნებლიუდოვს ისევ დაებადა საკითხი: თვითონ მე ვარ გიჟი,
თუ ის ხალხია, რომელთაც თავიანთი თავი ჰკვიანები. ჰკო-
ნიათ და ასეთ საქმეს კი სწადიან?—მაგრამ პასუხი ვერ მოა-
ხერხა. ძნელი იყო პასუხი ამ საგანზედ: როგორ მოვექცეთ
გამხეცებულ ხალხს? გარედ ხომ ვერ გამოუშვებთ საზოგადო-
ების დასალუპავად?!

როცა ბოლთის ცემით დაიღალა, დაჯდა, ამოიღო ჯი-
ბიდგან ინგლისელის ნაჩუქარი სახარება და მაგიდაზედ დააგდო.
„ამბობენ, აქ ყველაფერია განმარტოვებულიო“,—გაი-

ფიქრა. გადაშალა და დაიწყო მათეს სახარების მე-XVIII თავის კითხვა.

შემდეგ მიაშტერდა ლამზას და გაშეშდა. ისეთმა სიხარულმა აიტაცა, რომ ასეთა თავის დღეში არაფერი უგრძვნია. თითქოს ამდენის ტანჯვა-წვალების შემდეგ იპოვა ის, რასაც ეძებდა.

მთელი ღამე არ უძინია, როგორც სჩვევიათ იმათ, ვინც პირველად სახარებას კითხულობს. სახარების სიტყვებში ჰხედავდა იმას, რაც დიდი ხანია ნახული და გაგონილი ჰქონდა, მაგრამ ვერ შეეგონია. ყველაფერი, რასაც კითხულობდა, თითქო ნაცნობი იყო, თითქო სადღაც წაეკითხა, თითქოს წინადაც იცოდა, მაგრამ მთლად დარწმუნებული არ იყო, ახლა კი გაიგო და დარწმუნდა კიდევ. დარწმუნდა იმაში, რაც უმთავრესი იყო და რაც მებაღის იგავში იყო გამოყვანილი. მებაღეებმა წარმოიდგინეს, რომ ის ბაღი, სადაც ისინი გაჰგზავნეს სამუშაოდ, მათი საკუთრება იყო; რაც ბაღში იყო, ყველაფერი მათთვის იყო გაკეთებული და მათი საქმე იყო — დამტკბარიყვნენ მხოლოდ ყველა ამით, დაევიწყებინათ ბაღის პატრონი და მოეკლათ ყველა, ვინც კი რასმე მოაგონებდა მათის პატრონისა და მოვალეობის შესახებ.

„ყველაფერი ამაშია“, — ჰფიქრობდა ნებლიუდოვი: — მესცხოვრობდი და ყველა ჩვენგანი სცხოვრობს იმ სულელურის მოსაზრებით, რომ ჩვენი ცხოვრება ჩვენ გვეკუთვნის და ჩვენდა დასატკობაა გვაქვს ბოძებული. ეს ხომ მტკნარი სისულელეა. ჩვენ თუ აქა ვართ გამოგზავნილნი, უთუოდ ვისომე ნებითა და რაიმე საქმისათვის. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ, როგორც სოკოები, დავიბადეთ და ვცხოვრობთ მხოლოდ ჩვენის მზიარულებისათვის; ცხადია, რომ ჩვენი საქმე ცუდად იქნება, როგორც იმ მუშისა, რომელმაც პატრონის ბრძანება არ დასრულა. პატრონის ნება კი ქრისტეს მცნებაშია აღნიშნული. საკმაოა მხოლოდ შეასრულოს ხალხმა ეს მცნება და ქვეყანაზე მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება დამყარდება.

„ეძიებდეთ სასუფეველსა ღვთისასა და სამართლესა მის-
სა, ხალხი დანარჩენი მოგაკლათ თქვენ“.


„ჩვენ ვეძებთ დანარჩენს, მაგრამ ვერ გვიპოვნია, და არა
თუ არ განვახორციელებთ სასუფეველსა, არამედ ვარღვევთ კი-
დეც“.

„აი, ჩემის ცხოვრების საქმე. უკვე გათავდა ერთი და
დაიწყო მეორე. მე კი ვფიქრობდი, რომ ობოლი ვარ და
არავითარი საქმე არა მაქვს-მეთქი“.

ამ ღამიდან ნებლიუდოვისთვის დაიწყო ახალი ცხოვრება;
არა იმიტომ, რომ ცხოვრების ახალს ვითარებაში ჩადგა, არა-
მედ იმიტომ, რომ მისგან ნახულმა და გამოანაცხადმა ყველაფერ-
მა სულ სხვა, ახალი დანიშნულება მიიღო.

(დასასრული)

—



ვინაა ჩემი
 მისი
 მისი



